

K 224178  
3

საქართველოს  
საბავშვო  
საბიბლიოთეკო



ი. ჯ. ჯ.  
ე. ბ. ე. გ. ე.

ბრძოლის  
მსახურისათვის

იუზა ევგენიძე

# გრიგოლ მრგულიანი





წიგნში დახასიათებულია გამოჩენილი ქართველი პოეტის გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება და მოღვაწეობა, განხილულია მისი შემოქმედების ზოგიერთი მხარე.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

„<...> ბრ. ორბელიანს როგორც პოეტს წინ ვერაპონე ბაღურაბენს ჩვენში, ამ მაცხრამეტე საუკუნეში – <...> ერთს ვეროპიულს გაზეთში ნათქვამი იყო, რომ ერთი უდიდესი ღირიკონია ამ მაცხრამეტე საუკუნისაო“.

ილია ჭავჭავაძე

საქართველოს  
1995 წლის  
აპრილის 10-ის  
დღისათვის



# თ ა ვ ი    პ ი რ ე ლ ი



## გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების პუბ

ბრწყინვალე პოეტს — გრიგოლ ორბელიანს — რთული და ამდენად მეტად საინტერესო ხვედრი არგუნა განგებამ. მალაღმბატვრულ ნიჭთან ერთად, ქართველთა ცხოვრების ძნელბედობის ეამს, ის საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის მძიმე ტვირთსაც უზიდებოდა. არც არაფერია ამაში გასაკვირი, ამგვარი მაგალითები მრავლად იცის ქართულმა ყოფამ, მაგრამ აქ სირთულეს მხოლოდ ერთი გარემოება ქმნის; გარეშე თვალისათვის თითქოსდა ერთმანეთს დამორდა გრ. ორბელიანის პოეტური სიტყვა და მისი საზოგადოებრივი საქმიანობა. თავისთავად ეს ფაქტი აზრთა სხვადასხვაობის წყაროდ იქცა შემომავლობისათვის.

სადღეისოდ გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების შესახებ მრავალი ნარკვევი და წიგნია დაწერილი, სადაც დაფრთხილია ძალზე მდიდარი მასალა პოეტის ყოფითი, სამხედრო-საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ცხოვრებიდან. გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიის გარშემო ხშირად ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებიც არის გამოთქმული. მაგრამ ყველა შემთხვევაში უდაოა ერთი: გრიგოლ ორბელიანი წარმომავლობით ძველი, ფეოდალური საქართველოს უწარჩინებულეს საგვარეულოს განეკუთვნებოდა. ძმის, ზაქარიასადმი მიწერილ ბარათში<sup>1</sup> პოეტი ორბელიანთა გვარის ფუძემდებლად, მამამთავრად („Родоначальника нашей фамилии“) ლიპარიტს ასახელებს. ჩანს, პოეტი აქ თავის წინაპრად თვლის აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგე-

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, აკაკი გაწურულიას რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1936, გვ. 31.

სკპგ-2000  
 შვეიცარიული

ნელს, ორბეთის მკვიდრს, ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს ლიპარიტ სუმბატის ძე ორბელს, რომელსაც ამირახორის და ქართლის ერისთავის საპატიო ადგილი ექირა XII საუკუნეში, გიორგი III-ის მეფობის დროს. ¶

ისტორიაში ცნობილია აგრეთვე სხვა ლიპარიტებიც, — ბაღვაშები — მსხვილ ფეოდალთა საგვარეულო XI—XIII საუკუნეების საქართველოში, არგვეთის (ზემო იმერეთის) ძველი მფლობელნი, რომლებიც შემდეგ კლდეკარის ერისთავები გახდნენ. ამ განშტოების ერთი უკანასკნელი წარმომადგენელთაგანი ლიპარიტი — დავით აღმაშენებლის დროსაც მოღვაწეობდა და მასთან დაპირისპირების გამო გაძევებულ იქნა კიდევ საქართველოდან; ამ ლიპარიტის სახე შთამბეჭქდაა დახატული კონსტანტინე გამსახურდიას სახელგანთქმულ რომან „დავით აღმაშენებელში“. ორბელიანთა გვარის შესახებ უფრო მეტი სიცხადითაა წარმოდგენილი ცნობები ჩვენი სახელოვანი მეცნიერის სიმონ ჯანაშიას ნაშრომში: „ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის“ (შრომები, ტ. II, თბ., 1952) და შესანიშნავი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის ნარკვევში: „სულხან-საბა ორბელიანი“. ამ მონაცემთა მიხედვით, რომელიც ემყარება დიდი ქართველი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებებს, (საქართველოს სიძველენი, II, გვ. 123, 133, 137, 142), ორბელიანები, ანუ ორბელის შვილები „ნათესავით ბარათაშვილები“ იყვნენ. ბარათას შვილები კი მომდინარეობენ ქაჩიბაიძე ქავთარის შვილ ბარათასაგან. ქართულ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „ქაჩიბაიძეები წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან უნდა ყოფილიყვნენ... მეფის ხელისუფლებასთან ბრძოლაში განცდილი მარცხის გამო ქაჩიბაიძეები ქართლში გადმოსულან და ალგეთის ხეობაში დასახლებულან“. შემდგომში ორბელიანებს ანუ ბარათასშვილ-ორბელიშვილებს“ ექირათ „მოწინავე სადროშოს“ ანუ ქვემო ქართლის დიდი ნაწილი“; ამ გვარის წარმომადგენლები ზვიადი ფეოდალები იყვნენ, რომელთაგან განსაკუთრებით განთქმული ყოფილა ყაფლან ორბელიშვილი, როსტომ მეფის (1634—1658) სახლთუხუცესი და მდივანბეგი. გრიგოლ ორბელიანი თავის წერილებში ლიპარიტთან ერთად ყაფლანიანობითაც იწონებს თავს.

ახლა ძნელია იმის თქმა, რამდენად სარწმუნო შეიძლება იყოს ლიბარიტ ორბელის ძირებთან, ან ლიბარიტ ბაღვაშებთან. ქაჩიბაიძე ქვეთარის შვილ ბარათასაგან წარმომდგარ ორბელიშვილთან საუკუნეების სიღრმეებში მიმალულ, ბურუსით მოცულ ლიბარიტებთან გრიგოლ ორბელიანის საგვარეულო ფესვების ძიება, მაგრამ გამორიცხული არაა: ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ისტორიული ბედუქუდმართობის გამო, ლიბარიტის შთამომავალთ, რომელთა მოსვლას საქართველოში გადმოცემით 2500 წლის წინ ვარაუდობენ, ხან დასავლეთში ეცხოვროთ, ხან სამხრეთში, კვლავ იმერეთში და სულაც საქართველოს გარეთ და ბოლოს, ისევ დაბრუნებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს. მოცემულ შემთხვევაში გარკვეულად გრიგოლ ორბელიანის აზრს იზიარებს ქართული საისტორიო მეცნიერების ისეთი დიდი წარმომადგენელი, როგორც აკად. ნიკო ბერძენიშვილია, როცა წერს: „ორბელებიც... XII საუკუნეში იყვნენ წამოწეულნი (თუმცა ესენიც ბაღვაშ-ორბელიანობით აძველებდნენ თავიანთ გვარს). გვართა ეს დაძველება იმის მოწმობა იყო, რომ იდეური სასწორი ძირძველობის მხარეზე იყო“.<sup>1</sup> ამ მონაცემთა გათვალისწინებით ჩვენთვის ამჟამად მთავარი ისაა, რომ გრიგოლ ორბელიანს, დიახაც, ჰქონდა უფლება ეამაყა თავისი სახელოვანი წინაპრებით, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მკლავმაგარი რაინდები იყვნენ, არამედ საჭირო შემთხვევაში ისეთი მამულიშვილები, რომელთაც ზმლის გვერდით კალმის მოხმარების მაღალი კულტურაც ვაჩინდათ. ამის დასტურია ის, რომ ორბელიანთა საგვარეულომ მოგვიანო საუკუნეებში მრავალი ღირსეული კალმოსანი მისცა ჩვენს კურთხეულ ქვეყანას, იქნება ეს „მთელს საქართველოს მამად მიჩნეული“ დიდი სულხან-საბა, თუ თავის დროზე ცნობილი პოეტი დემეტრე ორბელიანი, სასულიერო პოეტი და კალიგრაფი ნიკოლოზ ტფილელი, ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი, პოეტი და სარდალი დავით ორბელიანი და ცნობილი რომანტიკოსები, გრიგოლ ორბელიანის ახლობლები: ძმები — ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები და სხვ. ცნობილი თვალ-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, თბ., 1979, გვ. 133.

საზრისის მიხედვით, „XVIII საუკუნის ბოლოს — ქვემო ქართლის აოხრებასთან დაკავშირებით, ორბელიანები გადასახლდნენ თბილისში“. (ქ. ს. ე. ტ. 7, გვ. 555).

| საყოველთაოდ აღიარებულია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ მწერლის ყოფითი გარემოს, საარსებო, სულიერი ატმოსფეროს გაცოცხლებასა და აღდგენას, რათა მეტნაკლებად სრული წარმოდგენა შეგვექმნას, თუ რა კვალი დატოვა ამ გარემომ ხელოვანის სულში და გარკვეული ფორმით მის შემოქმედებაში.

დიდი დროითი მანძილი გვაშორებს გრიგოლ ორბელიანის თბილისიდან. ამდენად, ძნელია იმ ვითარების, ისტორიული ადგილებისა და დეტალების გაცოცხლება, რომლებშიც ეს მადლიანი პოეტი ცხოვრობდა... მით უფრო, რომ უკვე სახეცვლილია გრიგოლ ორბელიანისეული საცხოვრისის შემოგარენი. ჩვენამდე ის სახლიც კი არ მოღწეულა, სადაც დაიბადა, თავისი ზანგრძლივი ცხოვრება გაატარა და აღესრულა პოეტი. ორბელიანთა სახლი, დიდი ქართველი მეცნიერის, პავლე ინგოროყვას თქმით, მდებარეობდა „გარეთ-უბანში“, ახლანდელ ორბელიანის ქუჩაზე, სახელდობრ, ჩიხის ბოლოს, ქუჩის აღმოსავლეთ მხარეს.<sup>1</sup> საბედნიეროდ, შემოგვრჩა ქართველ მწერალთა შესანიშნავი ბიოგრაფის, გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების ღირსეული მემკვიდრის, იონა მეუნარგიას მიერ 1885 წელს შედგენილი გრიგოლ ორბელიანის სახლის აღწერილობა:

„ძველიდგანვე ამ სახლის არე-მარე შეადგენდა ორბელიანთა გვარის სამყოფ ადგილს და იწოდებოდა ორბელიანთ უბნად, აულად. ამ აულში ცხოვრობდა სარდლიაანთ ოჯახი, ასლანის ოჯახი, ზურაბ — პოეტის მამა და სხვ. ზურაბის დიდი, ორსართულიანი, ფართო მოაჯირით შემოვლებული სახლი ისევ ისე დარჩა პოეტის ცხოვრებაში, როგორც იმის მამის დროს იყო. ადამის დროული არქიტექტურა, ფართო, ყოველს მცენარეს და ყვავილებს მოკლებული ეზო, შეუღესელი უშნო გალავნით და ალაყაფის კარებით; გალავნის ერთ ყურეში წვიმისა და მზისაგან გახუნებული ფიცრის საჯინიბო, სახლის გვერ-

<sup>1</sup> იხ. დაწვრილებით, პ. ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ნარკვევი, წიგნში, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბზულებანი, თბ., 1968, გვ. 24.

დით სასახლის ეკლესია, — აი, რა შეადგენდა სასახლის გარემოს. პოეტს არ უნდოდა სიძველეში მოსულ სახლის განახლება. «Для меня дорог по воспоминаниям этот старый, невзрачный дом, в котором жили и умерли мои родители, мои братья, и, признаюсь, для меня было бы невыносимо его обновление», — სწერდა პოეტი გრიგოლ ბატონიშვილს.

სახლის შესასვლელი ეკლესიის პირდაპირ იყო: კარებზე არც რიგიანი ზარი, არც მოსამსახურე. რომ შეაღებდი კარს — მე ვამბობ იმის ცხოვრების სამ-ოთხ უკანასკნელ წელზე, როდესაც მე მქონდა ბედნიერება იმის ცნობისა — წინა ოთახში გვხვდებოდა თოფიანი სალდათი — ნაშთი ძველი დიდებისა... შედით, პალტო გაიხადეთ, ჩამოკიდეთ კედელზე და შეაღეთ დარბაზის კარები. არავინ არის, ვეებერთელა დარბაზი სკამებით გარშემო შემომწკრივებული, რომელშიაც არც მაგიდა დგას, არც დივანი, არც ტახტი: თუ კარების ხმამ გააგონა ვისმე მოსამსახურეს თქვენი შემოსვლა, ზომ კარგი, თუ არა და გასწით პირდაპირ და შეაღეთ ის დიდი კარები, რომელიც გზაზე დაგიხვდებათ. ამ კარებს შეყავხართ თქვენ პოეტის კაბინეტში.

კაბინეტსაც ატყვია სიძველე, ნამდვილი ქართული სიძველე. მარჯვენა კედელზე მიკეთებული თაროები საცხეა წიგნებით, რომელთა ტყავის ყდაზე იკითხება წარსული პერიოდი წიგნის შემკვრელთა ვინაობისა, მაგიდები მარჯვენა და მარცხენა. თვითონ სამუშაო მაგიდა, ფანჯრები და ბუხრის თავი საცხეა არეულად დაყრილი, მტკრიანი ქაღალდებით, გაზეთებით, წიგნებით, სურათებით, რუკებით... არაფერს არ ეტყობა ხელოვნება, კაბინეტის ლამაზად მორთვის სურვილი, არსად არ ჩანს ქალის ხელი".<sup>1</sup> ამრიგად, ეს აღწერილობა საშუალებას გვაძლევს მეტნაკლებად აღვადგინოთ ჩვენს წარმოდგენაში პოეტის სასიცოცხლო ატმოსფერო...

და რა დასაინანია, რომ გრიგოლ ორბელიანის ერთადერთმა

<sup>1</sup> ი. მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა, ქართული მწერლები, ს. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, I, თბ., 1954, გვ. 120. შემდეგ ყველგან ამ ავტორის ნაშრომიდან მოტანილ მასალას ვიმოწმებთ შემოკლებით „ი. მ.“, და სათანადო გვერდის ნიშნებით.



მემკვიდრემ, პოეტის ძმის, ილია ორბელიანის ვაჟმა გიორგიმ 1889 წელს უცხოელი არქიტექტორის გეგმით ააშენა ის მშვენიერი შენობა, სადაც ამჟამად უცხოეთთან საქართველოს კულტურული ურთიერთობის განყოფილებაა მოთავსებული.<sup>1</sup> ეს ფაქტი რომ არა, ვინ იცის, შესაძლებელია პოეტის სახლი დღესაც შენარჩუნებული ყოფილიყო...

თბილისის გარეთ უბანში, ორბელიანთა ძველ სახლში 1804 წელს სახელგანთქმულ ფეოდალს, ზურაბ ორბელიანს, როცა ის პავლე ციციანოვს სხვა ქართველ თავადებთან ერთად ახლდა ერევნის ასაღებად, შესძენია ვაჟი, რომლისთვისაც გრიგოლი დაურქმევიათ. პოეტის ბიოგრაფები ზონებენ ერთ ეპიზოდს ამ შემთხვევასთან დაკავშირებით: ზურაბ ორბელიანი ფათალი შახს ტყვედ ჩაგარდნია და გრიგოლზე ორსულად მყოფ მეთულეს, ხორეშანს, აღთქმა დაუდვია, თუ ზურაბს ცოცხალს დააბრუნებენ, ჩემს შვილს ბერად მივცემო (ი. მ. 31). მართლაც, ხორეშანს ვაჟი შესძენია... და აღთქმაც ნაწილობრივ აღსრულებულა. გრიგოლ ორბელიანმა შემდგომ ერისკაცის ბრწყინვალე ცხოვრებით იცხოვრა, მაგრამ არ დაქორწინებულა. (იქვე).

გადმოცემით, ზურაბ (დიმიტრი) ორბელიანი, იმდროინდელი მრავალი ქართველი თავადისაგან განსხვავებით, რუსთა მოტრფიალუ არასოდეს არ ყოფილა. ის კი არა და იმასაც ამბობენ, მთავარმართებელ ერმოლოვს წამდაუწუმ ლანძღავდაო. მის ამგვარ გამოხდომებს რუსი დიდმოხელის ყურამდევ მიუღწევია, მაგრამ ზურაბს თავისი მაინც არ დაუშლია. ის თურმე, არც რუსულ ენას ფლობდა რიგიანად და თავისი ცხოვრების სტილითა და მრწამსით დიდად განსხვავდებოდა მისი სეზნიისა და სახლიკაცის — იმ დიმიტრი ორბელიანისაგან, რომელიც არბევდა საქართველოს და ამით ცდილობდა რუსეთის საიმპერიო კარის ყურადღების მიპყრობას. ზურაბს (დიმიტრის) შესანიშნავად სცოდნია საღვთო წერილი, ძველი ქართული საისტორიო და მხატვრული ლიტერატურა. პოეტის ერთ-ერთი

<sup>1</sup> ამის შესახებ ცნობა მოგვაწოდა ბ-ნმა ვახტანგ გურგენიძემ. იხ. გიორგი მოზდოკელის „სად ცხოვრობდნენ ორბელიანები თბილისში“, გვ. 3: საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივი (ლხსა) ფონდი 209, აღწერ. 1, საქმე 6.

პირველი ბიოგრაფის ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით, „ზურაბი ლექსებსაც სწერდა, ამისგან დაწერილი ლექსები შეცდომიანადაა...“<sup>1</sup> ზურაბ ორბელიანს თავის დროზე დიდი თანამედრობა სჭერია ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის კარზე, მეტად დაახლოებული პირი ყოფილა მეფის ოჯახთან.

ერეკლეს თავის კარზე აღზრდილი ობოლი შვილიშვილი — ელენე ბატონიშვილის ასული ზორეშანი — ზურაბისთვის მიუთხოვებია ცოლად. ელენე ბატონიშვილისათვის ზაქარია ანდრონიკაშვილი მეორე ქმარი იყო. პირველად ის ცოლად ჰყავდა იმერეთის მეფის, დიდი სოლომონ I-ის ძმას, არჩილ ბატონიშვილს, რომელიც ადრე გარდაცვლილა. მისგან ელენეს ერთი ვაჟი დავითი დარჩენოდა, რომელიც შემდეგ იმერეთის მეფედ აკურთხეს და ისტორიაში ცნობილია სოლომონ მეორის სახელით. სოლომონ მეორე ის მამულიშვილი გახლდათ, რომელიც თავისი შორსმჭვრეტელობით, გაბედული და შეუდრეკელი ბუნებით ვერ ურიგდებოდა რუსთა დიდმპყრობელურ პოლიტიკას, დაუდგრომლად იბრძოდა მის წინააღმდეგ, თავისი პიროვნული სიმამაცითა და პოლიტიკური გამჭრიახობით, იმერეთის „კანცლერად“ წოდებულ სოლომონ ლიონისძესთან ერთად, ბევრ საზრუნავს უჩენდა საქართველოში მოვლენილ რუს სარდლებსა და დიპლომატებს. საერთაშორისო პოლიტიკური ამინდი ქართველთა სასარგებლოდ რომ შექმნილიყო, ვინ იცის, ის დამოუკიდებელი საქართველოს მეთაურიც გამხდარიყო და ოსმალეთში, კერძოდ, ტრაპიზონში არ დაესრულებინა თავისი სიცოცხლე. ამის გახსენება მხოლოდ იმიტომ დაგვჭირდა, რომ მოგვიანებით, გრიგოლ ორბელიანი მოკრძალებითა და მადლიერების გრძნობით სავსე გულახდილ ბარათებს სწერს რუსეთში მცხოვრებ სოლომონ მეფის თანამეცხედრეს, სამეგრელოს მთავრის, კაცია დადიანის ასულს, დედოფალ მარიამს. ეტყობა, ჩვენი პოეტი დავალებულია თავისი ბიცოლასაგან, როცა 1832 წელს ასე მიმართავს მას: „უმაღლესო დედოფალო, უმოწყალესო ხელმწიფევ... ვიცი, რომ ჩემი მწყალობელი ბრძანდებით... გთხოვთ, უმაღლესო დედოფალო! რათა მიიღოთ უმდაბლესი თაყუანისცემა ჩემი“...<sup>2</sup> 1834 წლით დათარიღე-

<sup>1</sup> ბესიკი, თ. ალექსანდრე ქავჭავაძე და თ. გრიგოლ ორბელიანი, ზ. მთაწმინდელისა, თბ., 1986, გვ. 40.

<sup>2</sup> გრ. ორბელიანი, წერილები, I, თბ., 1936, გვ. 3.

ბულ წერილში კვლავ ვკითხულობთ: „უმაღლესო დედოფალო, უმაღლესო ხელმწიფე! ჩემს უმოწყალეს „ხელს უმდაბლესად გაკოცებთ, და თქვენს მშვიდობით სუფევას უფალსა ვპსთხოვ. — ნუ გამიწყრებით, უმაღლესო დედოფალო! რომ აქამომდის წერილი ვერ მოგართვით... ცრემლითა აღვსილი მოგახსენებთ დედის ჩემის სიკუდილსა, რომლითა დამემწარა სრულებით სიცოცხლე ჩემი“.<sup>1</sup> ჩვენი აზრით, კიდევ უფრო საგულისხმოა მარიამ დედოფლისადმი მიწერილი გრიგოლ ორბელიანის შემდეგი სტრიქონები: „ულრმეს პატივისცემასა ჩემსა უმდაბლესად მოგახსენებთ და უფალსა ვპსთხოვ კეთილის სუფევას თქვენსა... მე... დედოფალო! რიყეზე დავრჩი, ჩემი სოფიკო თავრიზშია, მე რიდაში. თმებიც ყოველდღე მითეთრდება უმეტეს და უმეტეს“... სხვა ბარათში (1835 წლის 25 აპრილი) გრ. ორბელიანი სწერს სოლომონ II-ის მეუღლეს, როგორც ჩანს, თავის დიდ მეცენატს: „ჩემდამი ესრეთ მფარველობასა და მოწყალებასა თქვენსა დავივიწყებ მაშინ, ოდესცა განჰქრების სიცოცხლე ჩემი“<sup>2</sup>.

ყოველივე ამის გახსენებას ის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ, რომ გარკვეულწილად წარმოვაჩინოთ იმ ადამიანთა სახე, ვინც სულიერად და სისხლხორცეულად საარსებო გარემო შეუქმნა გრიგოლ ორბელიანს, როგორც პიროვნებას.

პოეტის დედა ხორეშანი, როგორც ეს კეთილშობილურ საზოგადოებაშია დამკვიდრებული საერთოდ, როგორც ჩანს, ინტელექტუალურად და ზნეობრივად უკვალავდა გზას ნიჭიერ შვილს. მან შეაყვარა გრიგოლს ფსალმუნნი და დიდი საქართველოს აღდგენაზე ფიქრი... გრ. ორბელიანის ბიოგრაფიიდან ისიც კარგადაა ცნობილი, რა ტანჯვით გამოიტირა ყაზარმის ჭუჭურუტანებიდან მოთვალთვალე პოეტმა საყვარელი დედა: შემდგომ კი როგორ გამოეთხოვა ის მის ძვირფას სამარეს...

გარეშე თვალს, უკვე კარიერის ზენიტში მყოფი მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი, ინფანტერიის გენერალი, რუსეთის იმპერიაში დაფასებული დიდი ქართველი

<sup>1</sup> იქვე, გვ. 17.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 29.

პოეტი, შეიძლება უბედნიერეს კაცად მიაჩნდა ამ ქვეყანაზე. მაგრამ აბა, თვით გრიგოლ ორბელიანს, ამ ბევრის ჭირთაშთმენ ქართველს ვკითხოთ, რას ფიქრობს ის და როგორ გვიხასიათებს თავისი სულიერ-ზნეობრივი წრთობის კერას, ანჩისხატისა და კეთილშობილთა სასწავლებლის ატმოსფეროს. გრ. ორბელიანის ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ მომავალი პოეტი მიუბარებიათ ანჩისხატის მონასტერში, სადაც მას ასწავლიდა იმ დროის ცნობილი აღმზრდელი დ. ალექსი-მესხიშვილი. ეს გონიერი მოძღვარი კარგა ხნის შემდეგ გრიგოლ ორბელიანის ძმის, ზაქარიას სიმამრად მოგვევლინება. მისი ქალი ბარბარე, როგორც ცნობილია, ცოლად შეირთო შემდეგში სახელმოხვეჭილმა სამხედრო პირმა, გონიერებით და ვაჟკაცობით განთქმულმა ზაქარიამ, რომლის ადამიანურ ღირსებებს წარმოაჩენს არა მხოლოდ ძმათა შორის ფაქიზი სიყვარულით აღსავსე ბარათები, არამედ ის წერილიც, რომელსაც ზაქარიას უგზავნის მისი და, ჩვენს ლიტერატურაში გრ. ორბელიანის მშვენიერი ლექსით და გენიალური ვაჟის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელით უკვდავოფილი ეფემია. აი, რას სწერს 1842 წლის 28 აპრილს ეფემია ძმას: „ჩემო სიცოცხლე, ძმაო ზაქარია, მომილოცამს ქრისტეს აღდგომა. ღმერთმა მრავალს დაგასწროს ბედნიერებით და შენის ცოლისა და შვილის სიცოცხლით. ძმაო, ამისთანა უბედურება შევიტყვე ილიკოს დაჭერა — დატყვევება, იფიქრე, ჩემო სიცოცხლე, რა დღე იქნებოდა ჩემთვის. განა კიდევ მე ცოცხლებში ვურევივარ. მგონია კარგად უნდა იცოდე ამ დაწყევლილს სოფელში თქვენს მეტი რა მეგულება. ზაქარიავ, როგორ უნდა გაზძლოს ილიკომ იმ ურჯულოს ხელში. თან როდისღა მელირსება იმისი ნახვა. ამითი კიდე ჩემს თავს ნუგეშს ვცემ. შენ იცოცხლე, შენ გენაცვალე, ზაქარიავ, სახლის დიდებავ. ძმაო, შენ ხომ მხნე და გონიერი კაცი ხარ, ეცადე ილიასთვინ, რომ შენი სახელი იდიდოს და გამოიხსნა იმისი ყმაწვილკაცობა იმ ურჯულოებისაგან. ღმერთსა ვთხოვთ შენს სიცოცხლეს. ზაქარიავ, დღეს ამ წიგნს რომ გწერდი, გრიგოლის წიგნი მოუვიდა ტატოს. შეუტყვია ილიას დაჭერა. დიდს მწუხარებას იწერება. ასე, რომ ავათაც შექმნილა და იხვეწება, ყოველივე წვრილათ შემატყობინეთო, როგორ გამხდარათ იმისი დაჭერა. შენმა სიძემ სიყვარულით მო-

გიკითხა. ესეც ძალიან ავათ არის ქვეშაგებათ მწოლარე. რაც  
შენ წასულხარ, მას აქეთ, სულ ავათ არის. შენი და ეფემია  
ბარათოვისა.

ჩემმა ქალებმა ერთობლივ პირს გაკოცეს და ღმერთს  
სთხოვეს შენი მშვიდობით ნახვა.<sup>1</sup> ეს ვრცელი ამონაწერი  
იმიტომაც მოვიტანეთ, რომ გაგვეხსენებინა და „გვეთქვა ქება“  
პოეტის დედმამიშვილებისა, მისი სიცოცხლის აზრსა და ში-  
ნაარსს რომ შეადგენენ, — ესაა ძმები: ზაქარია და ილია;  
მათთან ერთად, არა მხოლოდ ამ ბარათიდან, არამედ ჩვენამდე  
მოდწეული ყველა დოკუმენტიდან, მით უფრო თავად გრიგოლ  
ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან თუ ბრწყინ-  
ვალე ლირიკული შედევრიდან, ეგზომ დიდი სათნოებითა და  
სიფაქიზით შემოგვყურებს პოეტის დის — ეფემია ორბელია-  
ნის პიროვნება, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახით ქართული  
ლირიკული პოეზიის გენია რომ მოუვლინა ამ ქვეყანას. ეფე-  
მია, ზაქარია და ილია გრიგოლ ორბელიანის სალოცავი ადა-  
მიანები იყვნენ. ჩვენი პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეო-  
ბა ნათლად მოწმობს, თუ მთელი ცხოვრების მანძილზე რა  
შეუწუნებლად ფიქრობს და ზრუნავს გრ. ორბელიანი თავის  
და-ძმებსა და მათ მემკვიდრეებზე. გრიგოლის და-ძმანი თავისი  
ღროის შესანიშნავი ადამიანები იყვნენ: ზრდილნი, მაჟულიშვი-  
ლობის გრძნობით გულანთებულნი, განათლებულნი. რასაკვირ-  
ველია, ამ შვილთა აღზრდაში გამორჩეული წვლილი მიუძღო-  
და ერეკლე II-ის შვილიშვილს, გრიგოლ ორბელიანის საოც-  
რად სათნო დედას, ხორეშანს, რომელიც ასე მწარედ გამოიტი-  
რა პოეტმა თავის პირად წერილებსა და ლექსში „ჩემს დას  
ეფემიას“...

ტრადიციული, ქართული სამონასტრო სწავლების შემ-  
დეგ, 1810 წელს, გრ. ორბელიანი თბილისის კეთილშობილთა  
სასწავლებელში შეუყვანიათ. ზაქარია ჭიჭინაძე იგონებს გრი-  
გოლ ორბელიანის ნაამბობს: „ჩვენ დროს, ქართული ენის  
მასწავლებლად მღვდელი ქართველოვი იყო. ამ მღვდელს თა-

<sup>1</sup> ეფემიას წერილი ზაქარია ორბელიანისადმი, 1842, B.IV, საქ. საის-  
ტორიო არქივი, ფონდი 481, აღწ. № 2, საქმე 364, გრ. ორბელიანის წე-  
რილები, გვ. 154.



ვისი საკუთარი ქართული გრამატიკა ჰქონდა შედგენილი, ეს მღვდელი სკოლაში რომ შემოვიდოდა, თავის ხელს უყვარჯენზე დააბჯენდა თავს, წინ წამოიწევდა და გვკითხავდა: — რა არის ქართული გრამატიკა? ჩვენ მივუგებდით: — გრამატიკა არის ხელთსამძღვანო, რომელიც ასწავლის კანონიერად წერასა და უბნობასა. ასე და ამგვარად მიჰყვებოდა თურმე რამდენიმე პარაგრაფს<sup>1</sup>. იონა მეუნარგიას თქმით კი კეთილშობილთა სასწავლებელში გრიგოლ ორბელიანს ქართულს ასწავლიდა მღვდელი ხელაშვილი. „ჩინებული კაცი იყო, — მუიგონებდა პოეტი თავის მასწავლებელს: — როდესაც სწავლა გავათავეთ და აფიცრები ვიყავით, ერთხელ მე და ჩემს ამხანაგებს მთავარმართებლის სახლის გვერდით შემოგვხვდა ეს მღვდელი, ძლიერ ესიამოვნა ჩვენი ნახვა, გამოგვკითხა, სად ვიყავით, რა სამსახურში შევედით, ჯამაგირი რა გვქონდა და როდესაც მუსაიფი გავათავეთ, გვითხრა: „აბა, ახლა მშვიდობით! მე ასე უნდა წავიდე და თქვენ თქვენს გზაზე გაისეირნქალწულ-ჰაერეთ!“ (ი. მ. 41). შემდეგ გრიგოლი ახლადგახსნილ საარტილერიო სასწავლებელში გადაუყვანიათ... როგორც ირკვევა, აქ მომავალი პოეტი ბეჯითად სწავლობდა; სხვა დაწვრილებითი ცნობები, რაც გააფართოებდა ჩვენს წარმოდგენას გრიგოლ ორბელიანის ყრმობისდროინდელ სულიერ ინტერესებზე, იმ ინტელექტუალურ გარემოზე, სადაც ყალიბდებოდა მისი პიროვნება, არაა მოლწეული. ეტყობა, ოჯახიდან და მახლობელთა გარემოდან დიდ სულიერ საგზლად გაჰყვა ცხოვრების ძნელ გზაზე გრიგოლ ორბელიანს სამშობლო-ქვეყნის ისტორიის, დიდი ქართული მწერლობისა და ქრისტიანული კულტურის სიყვარული, რაც მის ასაკობრივ ზრდასთან ერთად კიდევ უფრო ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა.

ბავშვობაში ტანმორჩილი გრიგოლისათვის მახლობლებს ზედმეტ სახელად „ქურკა“ შეურქმევიათ. ქართული ტრადიციისათვის ერთობ უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ 14 წლის გრიგოლ ორბელიანი მამამისს ორბელიანთა გვარის ქალზე — სამი წლის სოფიოზე დაუნიშნავს.

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, დასახ. წიგნი, გვ. 40.

შემდეგში რუსეთში პოეტის ყოფნის ქამს, სოფიო ცოლად გააყოლეს რუს მოხელეს ბეზაკს. 1816—1820 წლებში გრიგოლ ორბელიანი 21-ე საარტილერიო ბრიგადის იუნკერია. 1820 წლიდან მსახურობს საქართველოს გრენადერთა პოლკში. 1822 წელს ის ჩაერთო იმ სამხედრო ოპერაციებში, რომელიც მიზნად ისახავდა ქარელი ლეკების განადგურებას; 1826—1829 წლებში იბრძოდა სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ. ამ ხანებში გრიგოლ ორბელიანმა, როგორც მხედარმა, თავი გამოიჩინა ზაქათალასთან, განჯასა და შამქორთან ბრძოლებში. 1831 წლის ნოემბრიდან სამსახურებრივი მოვალეობის გამო იგი ნოვგოროდშია. აქვე აბატიმრებენ მას 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.<sup>1</sup> დაბატიმრებულ პოეტს ერთხანს თბილისის „ყაზარმებში“ ამწყვდევენ და შემდეგ დასასჯელად აგზავნიან „კავკასიის ხაზზე“ საბრძოლველად (1833 წ.), მალე ის გადაჰყავთ ნეეის საზღვაო პოლკში, ჯერ რიგაში და შემდეგ ვილნოში. გრიგოლ ორბელიანის სულიერი ცხოვრების უმშვენიერეს დოკუმენტს წარმოადგენს მისი პირადი წერილები, სადაც დიდი სიყვარულითა და ცხოველმყოფელობითაა აღწერილი პოეტის მძიმე, საინტერესო მხედრული და ახალგაზრდული გატაცებებით სავსე ცხოვრება. 1838 წლიდან ის კვლავ საქართველოს გრენადერთა პოლკს უბრუნდება. 1839 წელს ებმება შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში. გადმოცემით, მონაწილეობს გურიის 1841 წლის აჯანყების ჩაქრობაში. 1842 წლიდან ის გრენადერთა პოლკის ერთ-ერთი ბატალიონის უფროსია. 1843 წელს კი ავარიის მმართველად ეხედავთ. ის ხან ოლქის მმართველია, ხან პოლკის უფროსი და სარდალი. ბოლოს კი მთელს დაღესტანს განაგებდა. ფაქტიურად მის სახელთანაა დაკავშირებული შამილის დამარცხება. 1858 წელს გრიგოლ ორბელიანი გადმოიყვანეს კავკასიის მთავარმართველ ბარიატინსკისთან. 1859 წელს მთავარმართველის საბჭოს თავმჯდომარეა. 1859, 1860—63 და 1865 წლებში ის მეფისნაცვლის მოვალეობასაც ასრულებდა, ამ ხანებში (1864) მან დაამშვიდა აჯანყებული ზაქათალის მაჰმადია-

<sup>1</sup> 1832 წლის შეთქმულების მნიშვნელობას ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებისათვის ეხებებით წიგნში: „ქართული რომანტიზმის საკითხები“, თბ., 1982, გვ. 44—54.



ნი მოსახლეობა და 1865 წელს ჩააქრო თბილისის ამქართა „ბუნტის“ სახელით ცნობილი გამოსვლები. 60-70-იან წლებში მას აქვს მაღალი დონის შეხვედრები რუსეთის იმპერატორთან, მისი კარის უმაღლესი თანამდებობის პირებთან. პეტერბურგში გრიგოლ ორბელიანი ხვდება მის მიერ დამარცხებულ შამილს. 1871 წელს მეფის რუსეთის ხელისუფლება პოეტს უხდის მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს, აწ უკვე ინფანტერიის გენერალ გრიგოლ ორბელიანს, თვით ალექსანდრე II აჯილდოებს ანდრია პირველწოდებულის ორდენით. დაძაბულ სამხედრო და სამოქალაქო-პოლიტიკურ საქმიანობასთან ერთად გრიგოლ ორბელიანი 60-იანი წლებიდან აქტიურადაა ჩაბმული ლიტერატურულსა და ეროვნულ-საქველმოქმედო ცხოვრებაში. ფაქტიურად მისი და ალექსანდრე ორბელიანის მეცენატობით სულდგმულობს ივანე კერესელიძის მიერ განახლებული ჟურნალი „ცისკარი“. გრიგოლ ორბელიანი ხელს უწყობს ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ დაარსებას, 70-იან წლებში ის ებმება „ახალი თაობის“ წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკაში, რაც ხდება იმის საბაბი, რომ პოეტის სახელი ე. წ. „მამათა“ და „შვილთა“ ანუ „ძველი“ და „ახალი“ თაობის, „პროგრესისტებისა“ და „კონსერვატორების“ ბრძოლას დაუკავშირონ და გრიგოლ ორბელიანი „ძველი“ თაობის მეთაურადაც გამოაცხადონ.

ახალ თაობასთან პოლემიკას პოეტისათვის ხელი არ შეუშლია, რომ მას ახლო ურთიერთობა ჰქონოდა ილია ჭავჭავაძესთან და აქტიური მონაწილეობა მიეღო ქართული ბანკის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული თეატრის აღორძინების, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში. ცალკეულ შემთხვევაში ის ამ მამულიშვილურ წამოწყებათა ორგანიზატორადაც კი გვევლინება. მხცოვანი პოეტი მხურვალედ მიესალმა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებას. 1883 წლის 21 მარტს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ სახელოვანი პოეტი გარდაიცვალა. 26 მარტს ის დაასაფლავეს ქაშვეთის ეკლესიაში. ამ დღემ დიდი ეროვნული შინაარსი შეიძინა... სახელი და დაფასება სიცოცხლეშიც არ მოკლებია შესანიშნავ პოეტსა და სარდალს, მაგრამ ქართველი ერის ღირსეულ შვილთა მიერ აქ კიდევ ერთხელ დადას-





ტურდა, თუ რა ღრმა სიყვარულით უყვარდა მოწინავე საქართველოს შესანიშნავი პოეტი და ღირსეული მამულნიშვილი. გარდაცვალებამდე რამდენინე დღით ადრე შექმნა პოეტმა მრავლისმომცველი სევდით ავსებული სტრიქონები: „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო, გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით“... პოეტის დასაფლავებაზე წარმოთქმულ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილ სიტყვებში ნათლად იქნა გაცხადებული გრიგოლ ორბელიანის მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის, მისი მოუცილებელი კავშირი მთელ ქართულსულიერ სამყაროსთან, მის წარსულსა, აწმყოსა და მომავალთან.

ასეთია ის ანკეტური ცნობები ამ გამოჩენილი პოეტისა და პიროვნების ცხოვრებიდან, რომელთა გაცნობა დღევანდელ მკითხველს შეუძლია ნებისმიერ სახელმძღვანელოსა და ცნობარში. მაგრამ აღნიშნულ მონაცემთა იქეთ დგას ძალზე რთული (აზრთა სხვადასხვაობის წყაროდ ქცეული), გამოკვეთილი პიროვნული ინდივიდუალობის მქონე მოღვაწე-შემოქმედი, რომლის სამოქალაქო და პოეტური ცხოვრების შინაარსი, სამსახურებრივი საფეხურები და პოეზიის მოტივები თურმე ყოველთვის არათუ თანხვდებიან, არამედ გარკვეულწილად უპირისპირდებიან კიდევ ურთიერთს. სახელოვანი პოეტის და ამასთან, რთულ ცხოვრებაგამოვლილი კაცის ბიოგრაფიის დაწერა ძალიან ჭირს. ცნობილი მკვლევრის, გრიგოლ კიკნაძის თქმისამებრ, „როდესაც დიდსა და ღრმა პოეტთან გვაქვს საქმე, ჩვენ მაინც სულ იმის ცდაში ვართ, რომ გარეგნულადაც შესამჩნევი გავხადოთ მისი ცხოვრების პირობათა სირთულე. ამნაირი ცდის დროს სრულიადაც არ არის მოულოდნელი შეცდომა, რამდენადაც გარეშე თვალისათვის ძალიან ძნელია მიგნება და გამოყოფა იმ პირობებისა, რომლებიც ნამდვილად განსაზღვრავენ პოეტის სიდიადეს. ...ამნაირ შემთხვევაში ხელოვანის პორტრეტი ბუნებრივად ივსება იმ შთაბეჭდილებებით, რომლებიც ამა თუ იმ მკითხველს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ნაირ-ნაირ ფაქტთა გაცნობიდან მიუღია... ასეთი პორტრეტი გამოხატავს მკითხველის დამოკიდებულებას მწერ-

ლისადმი, რომლის მნიშვნელობა მკითხველის წარმოდგენაში ირხევა დროისა და ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად!

ქართულ სინამდვილეში, თუ რომელიმე ხელოვანის ბიოგრაფია თუ პორტრეტი დანახულა სუბიექტურად, ეს პირველ ყოვლისა ეხება გრიგოლ ორბელიანს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ არც ერთი ქართველი მწერლის შესახებ ისეთი სიმკვეთრით არ წამოჭრილა პიროვნული ბუნების ორმაგობის პრობლემა, როგორც ეს გრიგოლ ორბელიანის მიმართ დაისვა. მას შემდეგ, რაც დიდმა მგოსანმა, აკაკი წერეთელმა, უწოდა პოეტს „სიტყვით სწორი — საქმით კუზა“, — ქართული საზოგადოებრივი აზროვნების და ლიტერატურის მკვლევართა უმეტესობამ მეტნაკლებად ირწმუნა ამ შეფასების სამართლიანობა და პოეტურ ფრაზას რეალური მნიშვნელობა მიანიჭა ისე, რომ არ გაითვალისწინა არც ლიტერატურული პოლემიკის მხატვრული ასპექტი, არც მისი ქვეტექსტები და პერიპეტეხები. კიტა აბაშიძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, სიმონ ხუნდაძის, გერონტი ქიქოძის, მიხეილ ზანდუკელის, კონსტანტინე კაპანელის, შალვა რადიანის და ნაწილობრივ თვით იონა მეუნარგიას, ასევე ელგუჯა მადრაძის მონოგრაფიებში ვითარება ისეა წარმოდგენილი, რომ გრიგოლ ორბელიანი წინააღმდეგობრივი პიროვნება იყო<sup>1</sup>. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს პოეტისადმი კონსტანტინე გამსახურდიას<sup>2</sup>, გრიგოლ კიკნაძის<sup>3</sup>, კონსტანტინე მეძველიას<sup>4</sup>, რამდენადმე აპოლონ მახარაძის<sup>5</sup>, და აკაკი გაწერელიას<sup>7</sup> დამოკიდებულება. ავტორთა უმეტესობა ვარაუდობს შემდეგს:

<sup>1</sup> გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957, გვ. 297.

<sup>2</sup> პოეტის შესახებ არსებული კრიტიკული ლიტერატურის მიმოხილვა ძირითადად იხ. ე. მადრაძე, გრ. ორბელიანი, თბ., 1967, გვ. 355—424.

<sup>3</sup> იხ. კ. გამსახურდია, თხზ., ტ. VI, თბ., 1963, გვ. 439, 602 და სხვ.

<sup>4</sup> გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957.

<sup>5</sup> კ. მეძველია, გრ. ორბელიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროფილი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946.

<sup>6</sup> აბ. მახარაძე გრ. ორბელიანი, წიგნში: ქართული რომანტიზმი, თბ., 1982.

<sup>7</sup> აკ. გაწერელია, გრ. ორბელიანი, წიგნში: ჩიხული ნაწერები, ტ. II, თბ., 1978.

1. გრიგოლ ორბელიანი, როგორც ცნობილია, დიდგვაროვანთა შთამომავალი, ქართული სამეფო კარის ახლო ნათესავი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეა. ამისთვის ის ისჯება, მაგრამ შემდგომ თავისი სამსახურეობრივი მოვალეობით განსაკუთრებულ ერთგულებას ავლენს რუსეთის მეფის ტახტისადმი და აღწევს უმაღლეს სამხედრო წოდებას; პოეტის ბიოგრაფები ერთხმად აღნიშნავენ რომ XIX საუკუნეში არც ერთ ქართველს ისეთი მაღალი პოსტისთვის არ მიუღწევია და ისეთ თვალსაჩინო სახელმწიფოებრივ ფიგურად არ ქცეულა, როგორც ეს შეძლო გრიგოლ ორბელიანმა. პიროვნება, რომელმაც თარგმნა „ნალივაიკოს აღსარება“, და ვისაც ეკუთვნის პატრიოტული გზნებით ავსებული ლექსი „იარალის“, (რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა მის დაპატიმრებაში); პოეტი, რომელიც თავისი შემოქმედებითი ცხოვრების გარიყრაჟზე ქმნის რუსთა წინააღმდეგ მიმართულ სტრიქონებს: „შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას“... — („პე, ივერია“), დამოუკიდებელ საქართველოზე მეოცნებე მგოსანი, ბოლოს ხოტბას ასხამს ნიკოლოზ პირველს, რომელსაც მოწინავე რუსმა საზოგადოებამ „პალკინი“ შეარქვა და მის სამსახურში დგას. გამოდის, რომ ერთ დროს რუსეთის მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგე და ეროვნული თვითმყოფლობისათვის მებრძოლი გრიგოლ ორბელიანი საბოლოოდ ქართველთა სახელმწიფოებრიობის დამთრგუნველ ამავე რუსული ხელისუფლების დამცველად გვევლინება. ის ეფერება არა მხოლოდ რუს იმპერატორებს, არამედ იმპერიის დიდმოხელეებს: მ. ვორონცოვს, ბარიატინსკის, მ. ლორის-მელიქოვს...

2. გარკვეული თვალსაზრისის მიხედვით, გრ. ორბელიანი არის უნაზესი ლირიკული ლექსების ავტორი, თავისუფლების ტრფიალი მგოსანი, რომელიც ვარდისა და იის სინაზით ავსებს ქართულ პოეზიას... პოეტი, რომელსაც ეკუთვნის უკვდავი სტრიქონები: „ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა?!“ — აი, ეს პოეტი უმკაცრესი სარდალია, თავისუფლებერს მოყვარე, ამაყ, კავკასიის მთებში შეფარებულ დაღესტნელებს რომ ებრძვის, წევს მათ სოფლებს, თავებს აჭრის ლეკთა ნაიბებს და თავის ახლობლებს აღტაცე-

ბით აღუწერს ყოველივე ამას. ასე, რომ დიდი სინაზე, რაც მის პოეზიას ახასიათებს, დიდი პატრიოტიზმი, რაც მისი შემოქმედების დედაძარღვია, მკვლევართა დაკვირვებით პოეტის პირად ცხოვრებაში საწინააღმდეგო ნიშნებითაა წარმოდგენილი. აქედან დასკვნა: ის გაორებული პიროვნებაა, რადგან მასში ერთიმეორის საწინააღმდეგო თვისებებია თავჩენილი.

3) პოეტი, რომელიც „სადღევრძელოსა“ და ლირიკულ შედევრებში ერთი დროშის ქვეშ გაერთიანებული საქართველოს აღდგენაზე ოცნებობს, ჩვენი ქვეყნის კუთხეთა კავშირს ერთგული თავისუფლების პირობად სახავეს, ტყვიას უშენს რუსების წინააღმდეგ აჯანყებულ გურულებს. გრ. ორბელიანის ბიოგრაფები თვლიან, რომ ესაა მეტად საჩოთირო ფურცელი პოეტის ცხოვრებაში. მოგვიანებითაც უკვე დიდი თანამდებობის პირი, თბილისის ყოფის, ყარაჩოხელთა ცხოვრების მომღერალი, არბევს 1865 წლის თბილისის ამქართა გამოსვლებს. სხვა დროს, აჯანყებულ ლეკებს საინგილოში ცოლების გაყიდვითაც ემუქრება, თუ ისინი არ დაწყნარდებიან და არ მოუხმობენ ჰქუას.

4) ქართული ლიტერატურის და საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევართა უმრავლესობა გრიგოლ ორბელიანს თვლის შესამოცე წლებში ე. წ. ძველსა და ახალ თაობას შორის გამართული კამათის დროს „ძველი თაობის“, ანუ „კონსერვატორებად“ წოდებული „მამების“ თავკაცად, სიტყვით საქართველოს პროგრესისათვის მებრძოლი, წინ რომ აღუდგა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაობას, ებრძვის მათ. ამასთან, ის იმდენად თანმიმდევრულია თავისი პოზიციით, რომ 70-იან წლებშიც უპირისპირდება „შვილებს“ და წინააღმდეგია თბილისში უნივერსიტეტის გახსნისა და ა. შ.

ბრალდებათა ამ რიგს ემატება კიდევ ერთი, დიდი შთაბეჭდილების მომხდენი ფაქტი მისი ცხოვრებიდან.

5) როგორც ცნობილია, გრიგოლ ორბელიანი იყო ბიძა გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებიდან, კერძოდ, გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილი ბარათიდან ჩანს, რომ მას სწავლის გაგრძელება სწყურია უნივერსიტეტში. შეძლებული და თანამდებობის პირი გრ. ორბელიანი კი ამ დროს დუმს, დახმარებას არ უწევს თავის

ოისწვილს, შვილს იმ მანდილოსნისა, რომელიც თავისი უნა-  
დო სათნოებით, სიკეთით გამოირჩევა ყველას მიმართ, თავადა  
განსაკუთრებით ფაქიზია ძმებთან ურთიერთობაში; აი, ამ  
ქალს, რომელსაც გრ. ორბელიანმა მიუძღვნა ქართული ეპის-  
ტოლარული ლირიკის შედევრი „ჩემს დას ეფემიას“, ის გულ-  
გრილად ეკიდება. ძმა დახმარების ხელს არ უწყვდის გაჭირ-  
ვებაში ჩავარდნილ დასა და დისშვილებს. თუ გრიგოლ ორ-  
ბელიანის პიროვნების შესახებ ამგვარ ვერსიას ვირწმუნებთ,  
გამოდის, რომ დისადმი უნაზესი, თბილი პოეტური სტრიქო-  
ნების ავტორი საკმაოდ გულცივი კაცია ყოფით ურთიერთ-  
ობაში.

მართალია, პოეტის ცხოვრება-შემოქმედების სხვადასხვა  
ასპექტთა რეაბილიტაციას შეეცადნენ კ. გამსახურდია, გრ. კი-  
კნაძე, კ. მეძველია, სოლ. ცაიშვილი, ა. გაწერელია, აბ. მახა-  
რაძე, ჯ. ჭუშბურიძე, ე. მალრაძე, ნ. გოგუაძე, კ. დანელია,  
ბ. ჯორბენაძე და სხვ. მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა გრიგოლ  
ორბელიანის ყოფასა და პოეტურ ცხოვრებას შორის შინაგა-  
ნი კავშირების დაძებნა ანუ ახსნა იმისა, რაც ამ ხელოვანის  
გარე და შინა სამყაროს ამთლიანებს და გარკვეულ მხატვრულ  
ინდივიდუალობად აქცევს.

არსებული მონაცემების მიხედვით, ჩვენი ერთი ამოცანა ისი-  
ცაა, რომ გარკვეულწილად კიდევ ერთხელ შემოწმდეს გრიგოლ  
ორბელიანის მიმართ დასმულ არცთუ სასრამოვნო პრეტენზი-  
თა საფუძვლიანობა. მოცემულ შენთხვევაში ჩვენი გამოსავა-  
ლია ახსნითი მიდგომა მოვლენებისადმი. როგორც ვიცით, ადა-  
მიანის გაკიცხვა უფრო იოლია, ვიდრე მისი გაგება. გრიგოლ  
ორბელიანისადმი ქართველ ლიტერატორთა გაორებულ დამო-  
კიდებულებას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: 1. ფსიქო-  
ლოგიური, 2. პიროვნულ-ლიტერატურული და 3. პოეტის გარ-  
შემო არსებული ფაქტობრივი მასალის არასრული კორეგირე-  
ბა. XIX საუკუნის ქართველთაგან, კაცი, რომელმაც უმაღ-  
ლეს თანამდებობას მიაღწია ქართველთა შორის რუსეთის  
იმპერიაში — ეს გრიგოლ ორბელიანი იყო, პიროვნება,  
რომელსაც ამშვენებდა უძველესი არისტოკრატიული ჯიში და  
ამასთან მომადლებული ჰქონდა მაღალი პოეტური ნიჭი. ნათ-  
ქვამია, „ძლიერი შუქი ძლიერ ჩრდილს გამოსცემსო“. ფსიქო-

ლოგიური თვალსაზრისით, ერთის მხრივ, გრიგოლ ორბელიანის პიროვნების ჩრდილოვან მხარეთა შესახებ აზრს <sup>ნიდავღ</sup> მისმა ამ მაღალმა თანამდებობრივმა მდგომარეობამაც შეუშინა. ანდრე მორუა ერთგან იხსენებს ლაბრიურის აზრს: „კაცი სახელს მოიხვეჭს თუ არა, ყველანი ერთბაშად მის წინააღმდეგ ირაზმებიან; თვით ეგრეთ წოდებული მეგობრებიც კი ვერ ურიგდებიან, რომ მისი ღირსებები პოეზიზენ აღიარებას“... ნათქვამი მეტნაკლებად გრიგოლ ორბელიანზეც ვრცელდება.

დიდი პიროვნებისაგან მომდინარე შეხედულებას რომ განსაკუთრებული რეზონანსი აქვს და გამორჩეული დამარწმუნებელი ძალა, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ისიც ცხადია, რომ ამა თუ იმ სახელოვანი ადამიანის შესახებ უარყოფით აზრს უფრო მეტი ექო ახლავს, ვიდრე დადებითს, რადგან გაუკუღმართებული ცხოვრების პირობებში სიკეთის რწმენა უფრო ეძნელება საზოგადოების ნაწილს; ასე მოხდა გრიგოლ ორბელიანის მიმართაც; დიდი აკაკის სატირულ ქმნილებათა ის წყება, რაც გრიგოლ ორბელიანის გაორებაზე, სიტყვასა და საქმეს შორის აღმართულ ჯებირზე მიუთითებს, რატომღაც იოლი დასამახსოვრებელი და ფუძემყარი აღმოჩნდა ჩვენი საზოგადოების გარკვეული ინტელიგენტური ჯგუფისთვის, ვიდრე იგივე აკაკის ბრწყინვალე შეფასებანი, როცა ის გრიგოლ ორბელიანს უწოდებს „ტკბილ ლექსების ფეიქარს“, „დიდბუნებოვანს“, „ძველსა და ახალს შორის შემაერთებელ ხიდს“, „მშვენიერი ლექსების“ ავტორს და პიროვნებას, რომლის „სახელი საუკუნოებს თან გაჰყვება“...

ოდითგანვე ასე ყოფილა, ღირსების აღიარება მუდამ ჭირდა და ის მხოლოდ რჩეულთა ხვედრია... ნაკლის შემჩნევასა და მხილებასაც ნიჭი სჭირდება, მაგრამ სულ სხვაა დანახვა ღირსეულისა და ნათელისა ადამიანში... გარდა ამისა, სანამდე დროითმა მანძილმა გარკვეული დისტანციები არ შექმნა, არ გააცივა პოლემიკის პირობებში წარმოშობილ ემოციათა მხურვალეება, ეტყობა, ძნელი აღმოჩნდა ობიექტური შეფასება ერთდროულად საწინააღმდეგო პოლუსების — პოეტის და სარდალ-დიდმოხელისა...

თუ იმასაც გავუწევთ ანგარიშს, რომ გრ. ორბელიანზე

თვით უნიჭიერეს ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილის შეხედულებების შემუშავების პროცესში ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, 1832 წლის შეთქმულების მასალები, სათანადო სისრულით თავმოყრილი მისი თხზულებები, მაშინ ნათელი იქნება, რომ მხოლოდ ნიჭსა და მაღალ-ინტელექტუალურ რეფლექსიასაც კი არ შეეძლო შეესრულებინა არგუმენტის ფუნქცია.

გრიგოლ ორბელიანის ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე საქართველოში მიმდინარე რთულ ეროვნულ-სოციალურ, პოლიტიკურსა და კულტურულ-ლიტერატურულ პროცესებისადმი სხვაგვარი მიდგომა არსებობდა ჩვენში, რასაც გარკვეული პოლიტიკური ვითარებაც განსაზღვრავდა. ამიტომაც პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის შედარებით მარტივი ახსნის გზა უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა რთული და მრავალფეროვანი ბუნების მქონე პიროვნების თავისებურებათა გასათვალისწინებლად.

გრიგოლ ორბელიანის გაორების მაუწყებელ მოსაზრებებს პუნქტობრივად შეიძლება ასეთი ახსნა მივცეთ:

1. უძველეს არისტოკრატიულ ოჯახში დიდ მამულიშვილურ ტრადიციებზე აღზრდილი გრიგოლ ორბელიანი 1832 წლის შეთქმულების მონაწილეა. ამ დროს იგი 27-28 წლისაა. პატრიოტულად მომართული, თავისუფლების ტრფიალი და, ბუნებრივია, რუსთა „მფარველობისაგან“ იმედგაცრუებული ახალგაზრდა კაცი გულწრფელად იღვწის საქართველოს გასათავისუფლებლად. მას შემდეგ, რაც ქართველ პატრიოტთა ეს ჩანაფიქრი გამეღავნდა, გამოაშკარავდა მის მონაწილეთა „პოლიტიკური რომანტიზმიც“, ნათელი გახდა, რომ რეალურად, ქართველმა საზოგადოებამ ამ დროისათვის ვერ შეძლო ჩვენი ერისათვის მეტად მნიშვნელოვანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემის გადაჭრა. გრიგოლ ორბელიანი შეთქმულების სხვა მონაწილეებთან ერთად დასაჯეს, გადაასახლეს; ის ხან პოლონეთშია, ხან ბალტიისპირეთში; საბოლოოდ კი კავკასიის მთიანეთში, სადაც ებრძვის სახელგანთქმულ შამილს. ეტყობა, საკითხის რეალურმა მხარემ, იმ მწარე გამოცდილებამ, რაც გრიგოლ ორბელიანმა ცხოვრებისაგან მიიღო, საბოლოოდ დაარწმუნა პოეტი, რომ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, XIX საუკუნის პირველ ნახევრისათვის

შეთქმულებას სასურველი შედეგი არ შეიძლება მოჰყოლოდეს პოეტის მუდმივი ფიქრის საგანი რომ არის, ამას ნათლად გვიდასტურებს მისი „მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურლამდის“ და პირადი წერილები. გრიგოლ ორბელიანი ხედავს, რომ, რაოდენ მწარეც უნდა იყოს რუსეთის ქვეშევრდომობა, ეს არის შედარებით უკეთესი გზა შექმნილი საერთაშორისო ვითარების პირობებში; ის ბევრად სჯობს მაჰმადიანური სპარსეთისა და თურქეთის ბატონობას. ბოლოს და ბოლოს, ქვეყანა დაცულია მათი გამანადგურებელი შემოსევებისა და ლეკთა თარეშისაგან. დროთა ვითარებაში გრიგოლ ორბელიანი მოვლენათა ანალიზს უფრო მიმართავს და მაღალი ემოციების სფეროდ მხოლოდ პოეზიას იტოვებს...

თუ იმას ვიტყვით, რატომ დაადგა კარიერის გზას საქართველოს ხსენისათვის თავგადადებული პოეტი, ამას თავისი ახსნა შეიძლება მოეძებნოს.

ვახტანგ კოტეტიშვილი ერთგან შენიშნავს: ამ თაობას „შეურიგებლობა და კარიერიზმი, რაღაც უცნაურად ჰქონდათ შეთავსებული, თუმცა ეს შეთავსება დაბნეულობას უფრო ჰგავდა“<sup>1</sup>. „ვის შეუძლიან უარჰყოს, რომ გრიგ. ორბელიანი კარიერის მოტრფიალე იყო. მაგრამ ვინ იტყვის იმასაც, რომ გრ. ორბელიანს, ამავე კარიერის გამო, ღრმა სკეპსისიცი არ ჰქონდა მორეული, და რომ შინაგან ბრძოლის დრამასაც მტკივნეულად არ განიცდიდა?“. ამის საილუსტრაციოდ მკვლევარს მოჰყავს პოეტის დღიურიდან ერთი ადგილი: „ნეტარ მას, ვინც არს კმაყოფილი მით, რაიცა მოუვლენია მის წილად ბედსა მისსა; ვინცა დამყუდროებული, დამშვიდებული სულითა მივალს გზასა ზედ ცხოვრებისასა. მაგრამ ახ! უნეტარეს არს იგი, ვინცა ცხოვრებათა თვისითა გინა ერთი ფურცელი ისტორიასა შინა, ვითარცა ბრწყინვალე ვარსკვლავი სჩანს საუკუნეში სახელი მისი, რომელსაცა შთამომავლობა შემწერს კეთილ-მოწიწებითა და კურთხევითა“. (1934 წ. მ. VIII.) აქ გარკვეულად ისმის დაეჭვებული ადამიანის ხმა. მაშ, რა უნდოდა პოეტს? რასაკვირველია, ის არაა, რაც მისი კარიერით განისაზღვრებოდა. პოეტი რაღაც სხვას ეძებს, იქნებ მისთვის საბულოოდ გაურკვეველს, და სწორედ აქ იწყება ის

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, თხზულებანი, შესავალი წერილი, 1928, გვ. 12.



რომანტიული სულის საღმობა, რომელიც გრ. ორბელიანს ასე  
ქარბად ახასიათებს<sup>1</sup>.

ამ დაკვირვებაში კარგად არის მიგნებული გრიგოლ ორბელიანის ეპოქისათვის დამახასიათებელი განწყობილებანი, მაძიებელი სულის ადამიანთა ზვედრი, როცა ისინი არსებულ პოლიტიკურ რუტინასთან შეგუებას კი არ ახდენენ, არამედ ბრძოლის ფორმებს იცვლიან, დიპლომატიური მანევრირების გზით ფარსს თამაშობენ, ეფერებიან „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“, რათა მიაღწიონ საწადელს...

ამგვარ დიპლომატიურ ფანდებს მრავალი დიდი შემოქმედი მიმართავდა. რუსული სინამდვილიდან ამ თვალსაზრისით თვითმპყრობელობისადმი ისეთ შეუპოვებელ პოეტებსაც კი ასახელებენ, როგორიცაა, მაგალითად, ალექსანდრე პუშკინი და კონდრატე რილევი. მაგრამ მაინც სულ სხვაა, როცა რუსი პოეტი რუსეთის იმპერატორს ასხამს ხოტბას. თუნდაც ეს დროებითი განწყობილებით იყოს გამოწვეული, და სულ სხვაა, როცა დაპყრობილი ქვეყნის მგოსნები უძღვნიან ქებას დამპყრობელ იმპერატორს... მაგრამ აქაც რამდენადმე გასათვალისწინებელია საკითხის ერთი მხარე.

რატომ შედიოდა რუსეთის იმპერიის სამსახურში მოწინავე ქართველი არისტოკრატია? რატომ ირჩევდნენ ისინი სამხედრო კარიერის გზას? სამხედრო სასწავლებლებისაკენ მიმავალი გზა ჩვენი ქვეყნის უბედური მდგომარეობით შეპირობებული ზვედრი იყო. ამ დროის ქართველი თავად-აზნაურობა არც თუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა, რომ თურქ-სპარს-ლეკთა წინააღმდეგ რუსეთის იმპერიის ბრძოლა საქართველოსათვის მომგებიანი უნდა ყოფილიყო... მით უფრო, რომ 1832 წლის შეთქმულების გამომჟღავნებამ გამოააშკარავა ჩვენი ქვეყნის როგორც საშინაო, სამხედრო-ეკონომიკური მდგომარეობის სისუსტე, ასევე ქართველთათვის პოლიტიკურად არახელსაყრელი საერთაშორისო ვითარებაც. რეალობა რეალობად რჩებოდა, ქართველობას უნდა ეზიდა პყრობილის ზვედრი, 1812 წლის რუსეთის სამამულო ომის შემდეგ ქართველმა ინტელიგენციამ კარგად დაინახა, რომ, ყოველგვარი პროგრესის ძი-

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, თხზულებანი, შესავალი წერილი, 1928, გვ. 12—13.

რითად მამოძრავებელ ძალას ე. წ. სამხედრო ინტელიგენცია წარმოადგენდა. სხვათა შორის, 1825 წლის დეკაბრისტული მოძრაობაც ევროპულად მოაზროვნე რუსმა სამხედრო ინტელიგენციამ მოახდინა. რუსული ლიტერატურის მრავალი დიდი წარმომადგენელიც ხომ სამხედრო მოღვაწეობას ეწეოდა. პოლონელთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას XIX საუკუნის 30-იან წლებში სწორედ სამხედრო პირები ედგნენ სათავეში... ქართველ ახალგაზრდობასაც ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჭდარი სამხედრო ძალაუფლების მოპოვების პირობებში საქმით თავიანთი მამულიშვილური სიყვარულის დამტკიცება. იმდენად დიდი იყო ამ იდეის ცხოველყოფელი გავლენის ძალა, რომ მან ჩვენში XIX საუკუნის 60-იან წლებამდეც კი მიალწია. ასე განსაჯეთ, სიყმაწვილეში ამან გავლენა მოახდინა ჩვენი ეროვნული მოძრაობის უდიდეს წარმომადგენელზე, ქართველთა სათაყვანებელ მგოსანზე, აკაკი წერეთელზე. როგორც ვიცით, გიმნაზიის მასწავლებლის, პოლონელ როდზიევიჩის სიტყვებით შთაგონებული: „ახლა რაღა დროს, ვწუხვარ, რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გავმხდარიყავ და მარჯვე დროს ქვეყნისათვის კონრადივით სამსახური გამეწია!“<sup>1</sup> — მომავალი პოეტი თავს ანებებს გიმნაზიას შემდეგი გადაწყვეტილებით: „რა მინდა უნივერსიტეტში? რა კარგი იქნება სამხედრო სამსახური! ოდესმე სარდალი გავხდები!“ ასე ფიქრობს ახალგაზრდა აკაკი და ამ ფიქრით ფრთაშესხმული ოცნებობს, პოლონეთის სახელოვანი გმირივით ჯერ სამხედრო პირი გახდეს და მერე იხსნას სამშობლო... ცხადია, 60-იანი წლებისთვის ამ გზით სვლის იდეა უკვე მოძველებული იყო, ეს აკაკიმაც დაინახა და იცვალა გეზი, მაგრამ სამხედრო საქმიანობის მეოხებით სამშობლოსადმი სამსახურის გაწევის სურვილი ნებაუნებლიეთ არც შემდეგ განელებულა ქართველ ახალგაზრდობაში. სწორედ ამ იდეის ცხოველყოფილობას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ ქართულ სინამდვილეში შეიქმნა ტიპი პოლიტიკური მოღვაწისა, რომლის მხატვრული პერსონიფიკირება ჩვენში შეძლო ალექსანდრე ყაზბეგმა სვიმონ ჩოფიკაშვილის სახით. როგორც აღნიშნავენ, „სვიმონი ფრიად განზოგადოებული სახეა ჩვენი

<sup>1</sup> „ჩემი თავადასავალი“, თბ. ტ. VII, თბ., 1958, გვ. 77.

ისტორიული მოღვაწეებისა. სვიმონი გაკვეთილია, რომელსაც უძველესი დროიდან სწავლობდნენ, — როგორ შეიძლება იჯღე ერის სამტრო სკამზე და შეძლო შენს ხალხს ემსახურო“ (ვახტანგ გოგუაძე, „ხასიათები“, ქართ. ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1981, № 2, გვ. 104).

რასაკვირველია, ამ მდგომარეობაში ნებისმიერი ადამიანის ყოფნა მძიმეა და ეროვნული ტრაგედიაა, როცა განგებისაგან მაღალი ნიჭით ცხებულ ადამიანებს უხდებათ დიდი ძალისხმევა, რათა კლანჭებიდან გამოჰგლიჯონ დამპყრობელსა და მჩაგვრელს იმის მეთასედი, რაც საკუთარ ხალხს ეკუთვნის... ცხადია, ერის ჩაგვრის პირობებში პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გზაზე შემდგარი კაცი, მჩაგვრელისადმი მოფერების უნართაც უნდა იყოს აღჭურვილი და მოთმინების დიდი ძალითაც, რომ რამდენადმე მაინც შეძლოს სასიკეთო ჩანაფიქრთან მიახლოება... ასეთი დამამცირებელი კომპრომისი ქართველთა პოლიტიკური ტრაგედიის ნიშანი ყოფილა ყოველთვის და არა ცალკეული პიროვნების სულიერი სიდატაკის მათუწყებელი. მას შემდეგ, რაც ქართველს დამოუკიდებელი მხედრული ინიციატივის უფლება ხელიდან გამოაცალეს, ის დათმობების გზით ცდილობდა არსებობის შენარჩუნებას, სასიცოცხლო ეროვნული ენერჯის აღდგენას და მას უკან თავის გამოხსნას.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში გახლდათ თავის დროს გრიგოლ ორბელიანი, როცა ის ეფერება მ. ვორონცოვს, ბარიატინსკის, მ. ლორის-მელიქოვს, დიდმთავარს მიხეილს, იმპერატორებს: ნიკოლოზსა და ალექსანდრე II-ს, როცა გახარებულა, რომ იმპერატორი „ქართველობით“ მოიხსენიებს ჩვენს თავადაზნაურობას, ლელავს, რომ იმპერატორმა კარგად ვერ ინადირა კოლხეთის ტყეებში და კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ რუს-ხელმწიფემ, სამაგიეროდ, კარგად ინადირა და მოილხინა ქართველებთან... დღეს ყოველივე ამას, რასაკვირველია, წერილმანი, წარმავალი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იმ დროისათვის შეიძლება ამ და ამდაგვარმა შემთხვევებმა განსაზღვრა, რომ გრიგოლ ორბელიანმა ასე თუ ისე მოახერხა ქუთაისში კაპიტალური ხიდის გაკეთება, თბილისსა და რუსეთის იმპერიის ქალაქებს შორის ტელეგრაფის ხაზის გაყ-

ვანა<sup>1</sup>, ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბის“ დაარსებისათვის ხელის შეწყობა და სხვ.

ცალკეულ შემთხვევაში ის გულწრფელიცაა, მაგალითად, მიხეილ ვორონცოვის მიმართ, მაგრამ ამ რუსი მთავარმართებლისადმი მოწიწებით იყვნენ გამსჭვალულნი არა მხოლოდ გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც ახლო კონტაქტი ჰქონდა მასთან, არამედ მრავალი ქართველი მოღვაწე. ცბიერი და მოქნილი პოლიტიკოსი მ. ვორონცოვი ქართველთა ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე „კეთილ“ მმართველად მოეგლინა ჩვენს ხალხს...

ცნობილია აკაკი წერეთლის ლექსი „ქართველი ძეგლის წინ“, სადაც დიდი პოეტი აღნუსხავს ყველა იმ დამსახურებას, რაც მ. ვორონცოვს მიუძღვის საქართველოს წინაშე. აღსანიშნავია, რომ დასახელებულ ლექსში გამოთქმული თვალსაზრისი თანხვედბა გრიგოლ ორბელიანის პოზიციას, მის მიერ ვორონცოვის ძეგლის გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვას. ალბათ, ამის გამოა, რომ გრიგოლ ორბელიანის არქივში ინახება მის მიერ გადაწერილი აკაკის ლექსი „ქართველი ძეგლის წინ“<sup>2</sup>. ეტყობა, გრიგოლ ორბელიანი ნასიამოვნები დარჩა, რომ მის თვალსაზრისს თანხვდა ახალგაზრდა, მაგრამ ისეთი დიდი პოეტის შეხედულება, როგორც აკაკი წერეთელი იყო და მხცოვანმა პოეტმა შემოინახა ის თავის არქივში. სხვათა შორის, მადლიერების გრძნობის გამოხატვა კულტურის ნიშანია, უმაღლურია ამქვეყნად უბედური, თორემ დიდბუნებოვან ადამიანს თვით უკიდურესი მოწინააღმდეგის მიმართ სამართლიანად გამოხატული მადლიერება, თუკი საამისო საფუძველი არსებობს, კი არ ამდაბლებს, არამედ ამალლებს კიდევ სხვის თვალში. გრიგოლ ორბელიანი თავისი კარიერის უმაღლეს საფეხურზე ზავთიან პიროვნებად მოჩანს. თავისი ადმინისტრაციული მდგომარეობის გამო, ის იყო საქმეში მიზანსწრაფული, ინტიმურ ურთიერთობაში რბილი პიროვნება. მაღალ პოსტზე ყოფნა ხშირად წარმოშობს იქვს და შურს... ამას ემატებოდა ისიც,

<sup>1</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ. A. Қарбелашვიли, Первые телеграфные линии на Кавказе, Тб., 1988, გვ. 9, 13-22, 25 და სხვ.

<sup>2</sup> საქ. ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი № 481, აღწერ. 2, საქმე № 365.

რომ გრიგოლ ორბელიანის, როგორც დიდმოხელის დიპლომატიური ქცევა უმეტესად გაუგებარი რჩებოდა სხვებისთვის. როგორც ითქვა, პოლიტიკური მოღვაწის საქმიანობას ახლავს ხოლმე უმადურობა. ქეშმარიტი საქმე რომ აკეთო, ხშირად საჭიროა საპირისპიროდ იმოქმედო. ამგვარი ფანდი, რასაკვირველია, წარმატებით მყოფი ხალხის თვისება არაა, ეს მხოლოდ ქართველებისთანა დაჩაგრული ხალხის დაწყევლილი ბედია; შეიძლება, ამის გამოც იყო, რომ მძაფრად, მწვავედ აღიქვამდნენ ინფანტერიის გენერალ გრიგოლ ორბელიანის ყოველგვარ რევერანსს რუსეთის მმართველი წრეებისადმი, თორემ იმას, რასაც გრიგოლ ორბელიანი ზეპირი სიტყვის ან პირადი მიმოწერის ფარგლებში ატევდა, ისეთი დიდი მგოსანი, როგორიც აკაკი წერეთელია და როგორიც ილია ჭავჭავაძის „ივერია“, ბეჭდურის სახით გამოხატავდა, თუმცა სამართლიანადაც, არავის მოსვლია აზრად, რომ მათთვის ორპირობა დაეწამებინა<sup>1</sup>.

გრიგოლ ორბელიანს, როგორც მოღვაწეს, ურთიერთობა უხდებოდა მისი დროის რუსეთის საიმპერიო კარის ყველა დიდმოხელესთან, იმპერატორებთან, მთავარმართველებთან, სარდლობასთან, ათასი ჯურის ჩინოვნიკებთან... ცხადია, მას, როგორც ადმინისტრატორს, კონტაქტში შესვლა სჭირდებოდა იმ გარემოსთან, რომელშიც ის ცხოვრობდა და საქმიანობდა... ბევრი მისი პირადი წერილი სწორედ ამ მოტივებით განსაზღვრული პიროვნული სიმპათიისა და მადლიერება-მოფერების ნიშნითაცაა დალდასმული... რაც შეეხება აზრს იმის შესახებ, რომ პოეტმა „სადღეგრძელოში“ ხოტბა შეასხა ნიკილოზ I-ს... აქ ხოტბის პირობა არის თამარის დიდების დღეთა დაბრუნება. მართალია, ეს იდეა შიშვლად არაა წარმოდგენილი, მაგრამ ფაქტია, რომ პოეტს მხედველობის არედან არა აქვს გაშვებული საქართველოს „დიდების დღეთა“ აღდგენის სურვილი. ნეგატიური რაც იყო იმპერიული რუსეთისათვის და რა დღეებიც მოუვლინა მან საქართველოს, ეს დანახული და პოეტურ ენაზე შეფასებულიც აქვს გრ. ორბელიანს, როცა ამბობს: „შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრე-

<sup>1</sup> ამ მხრივ საინტერესოა აკაკის პატარა სტატია. „გლოვა“, აკაკის კრებული, 1899 წ. № 6, აკაკის აღნიშნულ სტატიაზე მიგვითითა და მოგვაწოდა პროფ. ბ. ბარდაველიძემ. გაზ. „ივერია“; 1896 წ. № 102.

ბას“, და შემდეგაც არაერთგზის გამოყოფს ამ მოვლენას პირად ბარათებში (იხ. მაგ., წერილები: ეკატერინე ჰავცკევიჩის, სალომე მიურატისადმი). მაგრამ „სადღეგრძელოს“ ამ სტრიქონებში რუსი იმპერატორის ზოგიერთი ნაბიჯის დადებით შედეგზეა საზოგადოდ ლაპარაკი. მთავარი მაინც ისაა, რომ, როგორც აკაკი გაწერელია ბრძანებს, „იმპერატორის სახელი მხოლოდ 1884 წლის გამოცემაში (ე. ი. პოეტის სიკვდილის შემდეგ) ჩნდება პირველად“<sup>1</sup>.

როგორც ვიცით, გრ. ორბელიანის სიცოცხლეში „სადღეგრძელო“ ბეჭდური სახით რამდენჯერმე გამოქვეყნდა, ჯერ 1871 წელს ეურნალ „კრებულში“, (№ 1), შემდეგ, იმავე წელს, ივანე კერესელიძის მიერ ცალკე გამოიცა. არსებობს 1873 წლისა და 1879 წლის გამოცემებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ „სადღეგრძელოს“ ბეჭდური სახით გამოქვეყნება გრიგოლ ორბელიანის ნების გარეშე არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო. ამდენად, პოეტს მიზანშეწონილად არ ჩაუთვლია იმპერატორის ქება შეეტანა ნაბეჭდ ტექსტში. 1884 წლის გამოცემაში პირველად ჩნდება ნიკოლოზ პირველის სახელი. როგორც ჩანს, ეს მიძღვნა მაინც მომენტური განწყობილების ამსახველია და სრულად რომ გამოხატავდეს ავტორის ნებას, ის უსათუოდ აღრინდელ ბეჭდურ გამოცემებშიც იქნებოდა შეტანილი.

მის სიცოცხლეში გრიგოლ ორბელიანს არ ჩაუთვლია საჭიროდ ქართველი საზოგადოებისათვის ეუწყებინა იმპერატორის მოღვაწეობით აღძრული აღტაცების გრძნობა და მომავალი თაობა უნდა ენდოს სახელოვანი პოეტის ამ „განაჩენს“ საკუთარ სტრიქონთა მიმართ.

2) აზრი იმის შესახებ, რომ გრიგოლ ორბელიანის სათუთი, ნაზი პოეზია უპირისპირდება მის ცხოვრებისეულ ქმედებას, მართებული არ უნდა იყოს. მართალია, გრიგოლ ორბელიანის ახლობელთადმი გაგზავნილ ბარათებში ვხვდებით მისი, როგორც სარდლისა და ადმინისტრატორის, სიმკაცრის გამოხატველ სიტყვებს, მართალია, პოეტი-სარდალი მუსრს

<sup>1</sup> იხ. გრიგოლ ორბელიანი, თხზ. სრული კრებული, აკაკი გაწერელის და ჯუმბერ ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1959, შდრ. აკაკი გაწერელის შენიშვნები, გვ. 485.



ავლებს შამილის ნაიბებს, თავს აჭრის მათ, მაგალითად, ილია ორბელიანს 1848 წლის 21 ივლისით დათარიღებულ ბარათში სწერს კიდევ: „სოფელი ისე დავანგრიეთ, რომ, საცა იყო გერგებილი, იქ ახლა დარჩა მხოლოდ სალი კლდე“<sup>1</sup>, მაგრამ სხვა დროს ადრესატს პოეტი თავისი უღმობელოების მიზეზსაც უხსნის, როცა გადამეტებულ სიმკაცრეს შურისძიების ნიადაგზე აფუძნებს: „ეს სულ საქართველოს სისხლის ლალადისია“-ო<sup>2</sup>.

საერთოდ, შურისძიების გრძნობისაგან აღამიანი თავის განვითარების არც ერთ საფეხურზე არაა თავისუფალი. სხვა საკითხია რანაირად, რა ფორმით ავლენს ის შურისძიების გრძნობას. საყურადღებოა, რომ თვით პოეტი აღამიანურ გრძნობათაგან განსაკუთრებით ფასეულად მიიჩნევდა მადლიერებისა და შურისძიების გრძნობას, აღამიანის, როგორც სოციალური ფენომენის გამაწონასწორებელ გრძნობებს, ვითარცა მისი შინაგანი ენერჯის მარეგულირებელს.

„საქართველოს სისხლის ლალადისად“ მხოლოდ ისტორიას, გარდასულ დღეთა მაგალითებს არ გულისხმობდა პოეტი. მისთვის შურისძიების საფუძველს დავით გურამიშვილისაგან ესოდენ შთამბეჭდავად აღწერილი ლექთა მიერ სულიერად და ზნეობრივად ამოგდებული საქართველო არ წარმოადგენდა მხოლოდ. თვით პოეტის თვალწინ მიმდინარეობდა ის ბარბაროსული თავდასხმები, რაიც მხოლოდ დაუოკებელი, შეუნიღბავი შურისგების წყაროდ შეიძლებოდა ქცეულიყო. მრავალი ავტორის ყურადღების საგნად ქცეულა 1854 წლის ივლისის თვეში კახეთში დატრიალებული ტრაგედია, როცა ლეკებმა „ზედინედ დაარბიეს გრემი, ენისელი, ტურის ციხე, შილდა“<sup>3</sup>.

ქავკავაძიანთ ოჯახში მყოფ ფრანგ გუვერნანტ ქალს ანა დრანსეს, წიგნში „შამილის ტყვე ქალები“, რომელსაც იმორწმებს ე. მალრაძე მონოგრაფიაში (ამ წიგნის მ. თავდიშვილისეული ქართული თარგმანიც არსებობს, თბ., 1978), შთამ-

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, წერილები, I, გვ. 180.  
<sup>2</sup> გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, გვ.183.  
<sup>3</sup> ე. მალრაძე, დასახ. წიგნი, გვ. 208.

ბეჭდავადაა აღწერილი ლექთა უსასტიკესი ქცევა, დავით ჭავჭავაძის ჩვილი ბავშვის მკვლელობა, ქალთა ტანჯვა-წურთი სიტყვით, პრიმიტიული ყოფით მცხოვრებ ისლამის რელიგიის მატარებელ მთის ტომთა შეჯახება ქართული ბარის ქრისტიანულ, კულტურულ სამყაროსთან და მისი მწარე შედეგები.. ლექთა ამ მარბიელ რაზმებთან ბრძოლაში დაიღუპა ილია ჭავჭავაძის უფროსი ძმაც.

უფრო ადრე, დაახლოებით 1842 წლის 25 მაისს, როგორც ამას ფიქრობს მკვლევარი სოლომონ ცაიშვილი, როცა მ. არლუთინსკიმ, გრიგოლ ორბელიანის მფარველმა სარდალმა, დაამარცხა ყაზი-ყუმუხში სამი მხრივ შემოსეული შამილის ლაშქარი, თათრებს დაურბევიათ უდაბნოს მონასტერი. ამის შესახებ საინტერესოდ სწერს ილია ორბელიანს ჩვენი პოეტი: „აი, როგორ მომხდარა უდაბნოში მონასტრის გატეხა და ბერების დახოცვა, ორნი თათარნი სანდარიდან და ქესამანიდან მოსულან მთაში, სადაც შეუყრიათ 13-ნი ყაჩაღნი შაქელები და აქაურები. სხვადასხვა გზით წამოსულან და მოსულან ალაზნის პირზედ, სადაცა რაოდენიმე აქაურნიც მიჰმატებიან, და ასე წასულან იორისაკენ, სადაც სპანი თათარნი კიდევ მიჰმატებიან, უთუოდ ან სამუხელნი, ან ყაზახელნი და ან იორის პირიდან. სალამოზედ ოთხნი კაცნი თათარნი მოსულან მონასტერთან და უთხოვნიათ იმ ღამეს იქ სტუმრობა, საბრალო ბერებსაც მიუღიათ სიყვარულით, შემდეგ კიდევ მოსულან რაოდენიმე და ესენიცა გაუწვევიათ და მაშინ უშიშვლიათ ხმლები და უღონო ბერები დაუხოციათ, აუკლიათ მონასტერი და დაუტყვევეებიათ სამნი ბერნი და ორნი დიაკნები. ის 15-ნი თათარნი გზიდანვე უკან დაბრუნებულან და წასულან შინისაკენ თავ-თავიანთ სოფლებში“<sup>1</sup>.

გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც ამ დროს არც დიდი თანამდებობა აქვს და არც მატერიალური დასაყრდენი, რომ ტყვედ წაყვანილი ბერები გამოიხსნას, მხოლოდ საკუთარი ჰკუის, გონებრივი ძალის ამარაა დარჩენილი და მიზნის მი-

<sup>1</sup> გრიგოლ ორბელიანის წერილი ილია ორბელიანისადმი, გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ფ. 20136, გვ. 11, ამ წერილის დედანი ინახება ზუგდიდის მუზეუმში.



საღწევად იძულებულია ასეთ დიპლომატიურ მანევრირებას მიმართოს: „ბერები არიან ირიბში, ... ითხოვენ თითოსთვის 500-ს თუმანსა. მეც შევუთვალე, რომ ეგენი ბერები არიან, სოფელზედ ხელალებულნი, თუ გინდ უდაბნოს კლდეში იყვნენ, თუ გინდ ირიბის კლდეებში, სულერთია მაგათთვის, და ხუთას მანათსაც არავინ მისცემს. სასუფეველის მოპოვებისათვის ეგენი უნდა აქ დაიტანჯნენ და ასეთი პირობაც აქვსთ იმათ დადებული ღვთის წინაშე და რათ უნდა ჩვენ ეგენი გამოვიხსნათ?!“<sup>1</sup> ესაა ხანა, როცა ქართველთა ერთ ნაწილს დაკარგული აქვს ძველი მეომრული თვისება, ზოგი ჩვენ დამღუპველ ცთუნებას, მომხვეჭელობას და კარიერიზმსაა გადაგებული, სხვა კიღევ დავით გურამიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დადედლებულნი შიშთაგან აღარ ვარგოდენ მამლადა“... ერთი ასეთი შემთხვევის გამო თავის გულისწყრომას ვერ ფარავს გრიგოლ ორბელიანი, როცა შემოთმობილ ბარათში თავის ძმას სწერს: „... რა გაეწყობა ჩვენს საძაგელ ქიზიყელობას; ამათანა წამხდარი თავადიშვილობა და გლეხობა ნუ გგონია ნახო სადმე. გულხელდაკრეფილნი დადიან უთოფ-იარალოდ, ერთხელ მდევარზედ ვერ გამოვიდნენ; ვერ გაუბედნიათ, რომ თვეში ერთხელ მაინც შეიყარნენ და მოსხრიკონ ალაზნის პირებში, სადაცა იმათი საქონელია და მწყემსებად პატარა ბიჭები. ირწმუნე, ილიკო, რომ ქიზიყელობა დაჩვეულა ტყვეობას, რომ უბედურებად აღარ მიაჩნიათ, აქ მარტო რუსის ჯარმა რა ჰქნას. გზები ხომ ისე ვერ შეიკვრის, რომ ხუთი თუ ექვსი ქურდი ვერ გაეპაროსთ. აქამდის იძახდნენ, წამალი არა გვაქვსო; ჩემის წარმოდგენით წამალიცა მისცეს, მაგრამ მაინც არა გამხდარა“<sup>2</sup>.

პოეტი აქ, ყოველი დროის თვალსაზრისით, ერთ საგულისხმოდ თავისებურებაზე ამახვილებს ყურადღებას: როგორ ეგუება ქართველი ტყვეობას, მონობას; — როგორ იქცევა ტყვეობა, მონობა ცხოვრების ჩვეულებრივ ფორმად. გრიგოლ ორბელიანს აღიზიანებს, აღაშფოთებს ის ფაქტი, რომ ქართველებ-

<sup>1</sup> იქვე, ილია ორბელიანისადმი მიწერილი დასახ. ბარათი, გვ. 12, ამის შესახებ იხ. ე. მაღრაძე, გრიგოლ ორბელიანი, 1967, გვ. 164.

<sup>2</sup> იქვე.

ში ქრება, ისობა პროტესტის გრძნობა და ბრძოლის უინი. მიჩვევა და შეგუება თვითკმაყოფილების გამომუშავენას უწყობს ხელს, რაც ჩვენი ხალხის ეროვნული გადაგვარების სიმპტომს წარმოადგენს. აი, ეს აწუხებს პოეტს. მოგვიანებითაც, როცა გრიგოლ ორბელიანი დაღესტანში ლეკებს ებრძვის, ცხოვრებით თვითკმაყოფილი ქეიფისა და დროსტარების საფლობში ჩაფლული მისი ერთი სახლიკაცი ფულის მოსაპოვებლად, ქართულ, მამაპაპურ მიწაზე თათრების დასახლებას აპირებს, რაც პოეტის სამართლიან გულისწყრომას იწვევს. განრისხებული გრიგოლ ორბელიანი ასე მიმართავს თავის აღრესატს: „შევიტყვე, რომ შენ უნდა დაასახლო თურმე თათრები, ვიდაც ქურდები და ჰარამზადები... ესლავ გიცხადებ, ეგ არა ჰქნა, თორემ ჩამოვალ და ცხვირს გავიტეხ<sup>1</sup>“.

აი, ასეთ ზნეობრივად დუხჭირ და ეროვნული შეგნების თვალსაზრისით დამცრობილ გარემოში უხდებოდა გრ. ორბელიანს ცხოვრება და არაფერია გასაკვირი, რომ ბოლოს და ბოლოს მასში იფეთქებს შურისძიების ის გრძნობა, რომელიც შექმნილ ვითარებაში არსებული მდგომარეობისადმი პროტესტისა და ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად ვლინდება. როცა აღმოსავლეთიდან თათრები არბევენ ქართულ სოფლებსა და მონასტრებს, დაღესტნიდან — ლეკთა ბრბოები, დასავლეთიდან — თურქეთი (ომარ ფაშას სარდლობით) და შიგნით ქართული, ყაფლან ორბელიანისებური ბედოვლათობა, — ერთადერთი გზა გრიგოლ ორბელიანისთვის, რომელიც ამ დროს სამხედრო პირია, არის სამშობლოს ხმლით დაცვა და მოპოვება პიროვნული და ეროვნული ღირსებებისა. ახლა, შორიდან რომანტიკულად მოჩანს თავისუფლებისათვის მებრძოლი პატარა დაღესტნის ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ; ამ ფონზე ლომგულად და გმირად იღანდება სახე შამილისა და ზოგიერთის თვალში ანტიპათიურად გამოიყურება რუსეთის იმპერიის ერთგული მსახური, შამილისა და მის ნაიბთა რისხვა გრიგოლ ორბელიანი, მაგრამ გასათვალისწინებელია შემდეგი: შამილის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ ეს იყო დიდი დაღესტ-

<sup>1</sup> გრიგოლ ორბელიანის წერილი ყაფლან-ორბელიანს, 1846 წ. 2. IX, გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ფ. 20136 № 20136—20142, გვ. 17.

ნის პანისლამური იდეით შეპყრობილი ფანატიკოსის ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავდა კავკასიაში ყოველგვარი ქრისტიანული ელემენტის მოსპობას და ქართველი ხალხის ცხოვრების სხვა წესსა და რჯულზე გადასვლას.

ელგუჯა მალრაძე, თავის საყურადღებო მონოგრაფიაში იმოწმებს ა. ზისერმანის აზრს, რომელშიც მკაფიოდაა მითითებული შამილის გამარჯვების შემთხვევაში ქართველებისა და საქართველოს მომავალ ბედზე: „არაერთარი ეჭვი არ არის, რომ მთელი ნახევარმილიონიანი შეიარაღებული მაჰმადიანი აღდგებოდა, შამილთან ერთად უზარმაზარ ცეცხლის ნიაღვრად წამოვიდოდა უკანდახეული ჯარის კვალდაკვალ, შეუბრალეზლად გაელეტდა ქრისტიან მოსახლეობას... ვერც კახეთში შემოქრას შევაჩერებდით... და ორ ცეცხლს შუა აღმოვჩნდებოდით. ასეთ ვითარებაში სპარსეთიც ისარგებლებდა შემთხვევით, ლომის თათს დაჰკრავდა საქართველოს... თბილისი და მთელი საქართველო გააფთრებული ფანატიკოსებისა და მტაცებლების მსხვერპლი აღმოჩნდებოდა... სისხლი იყინება, ამნაირ რაიმეს რომ წარმოვიდგენთ“<sup>1</sup>.

თუ არა ზოგიერთთა მხრივ გრიგოლ ორბელიანის „ნაკლად“ მიჩნეული სიმკაცრე, ვინ იცის, მართლაც, რა დღე მოელოდა საქართველოს... ფაქტიურად ქართველმა სარდალმა, გრიგოლ ორბელიანმა, დაამარცხა შამილი და როგორც ეს უმაღლეს რუსულ იმპერიას სჩვევია, „პეტერბურგში კი უკმაყოფილოდ შეიშმუშნენ და ეს „ოინი“ ბარიატინსკის მიაწერეს“<sup>2</sup>.

ასეთი ყოფილა ბედი სხვადასხვა ეპოქაში იმპერიათა სამსახურში მყოფი ყოველი დიდი ქართველისა, და მათ შორის რუსეთის იმპერიის გენერლის — გრიგოლ ორბელიანისაც, რომელიც „შავ ბედთან მეზრძოლი“ ქართველი ერის მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად თავისი მოქნილი პოლიტიკური აზროვნების წყალობით ცდილობდა, მეორე სახელოვანი პოეტის პერიფრაზით რომ ვთქვათ, „მოენახა წყლულთ მალამო“, რათა „ზედ სალბუნი“ „შემოედო“...

<sup>1</sup> А. Зиссерман, Барятинский, т. I, стр. 320-321 ვიმოწმებთ წიგნიდან, ე. მალრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1967, გვ. 201—202.

<sup>2</sup> ე. მალრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1967, გვ. 202.

ვრ. ორბელიანისათვის სამშობლოსთვის სისხლის ღირსად  
„საღვთო მოვალეობა“ იყო... ამიტომაც თავისი სამსახურებში  
რივი მდგომარეობითაც ის ამართლებდა ლეკ-ოსმალთა მი-  
მართ გამაჩენილ სიმკაცრეს, რადგან ამაში „სარდალი-პოე-  
ტი“ ქართველი ერის სასიცოცხლო ძალთა შენარჩუნების აუ-  
ცილებლობას ხედავდა. ამიტომაც, ამ შემთხვევაშიც კი არაა  
იგი გაორებული პიროვნება, არამედ დაჩაგრული სამშობლო-  
სა და სიკეთის მსახურია, სამშობლოს დაცვის ერთადერთ  
პრინციპს: „მტერს მტრულად მოექცე“ — უღებს საფუძვლად  
თავის ქცევას და ამით სრულიადაც არ ეწინააღმდეგება საკუ-  
თარ პოეტურ მრწამსს.

\* \* \*

ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ადრე, გრიგოლ ორ-  
ბელიანის შესახებ თაყვანისცემით დაწერილ იონა მეუნარგიას  
მონოგრაფიიდან მოყოლებული (იხ. ქართველი მწერლები, —  
I, 1954, გვ. 56) ერთგვარად განმტკიცებულია აზრი, რომ პო-  
ეტი აქტიურად მონაწილეობდა გურიის 1841 წლის აჯანყების  
ჩაქრობაში. ერთ-ერთ ბოლოდროინდელ და სოლიდურ წიგნ-  
ში ვკითხულობთ: „გურიის აფეთქებას“ გრიგოლი კაპიტნის  
წოდებით ებრძოდა. აქვე დააწინაურა არღუთინსკიმ მომავალი  
ინფანტერიის გენერალი. თუ ლეკებთან ბრძოლაში თავს მამა-  
პაპათა სისხლის ალებით იმართლებდა, აქ თავის მართლებაზე  
ლაპარაკი ზედმეტია და გენიალური დისშვილი სრულიად სა-  
მართლიანად საყვედურობს ბიძას უდანაშაულო გურული გლე-  
ხების სისხლის დაქცევას<sup>1</sup>. იმავე ავტორის აზრით, „ფაქტია,  
რომ გურული გლეხობის წინააღმდეგ ბრძოლა გრიგოლ ორ-  
ბელიანის ცხოვრების ყველაზე უფრო საჩოთირო ფურცელია.  
როგორც მეფის არმიის ოფიცერი, ჩვენი პოეტი მონაწილეო-  
ბას იღებდა გურიის 1841 წლის იმ აჯანყების ჩაქრობაში,  
მოგვიანებით ასე უზადოდ და ბრწყინვალედ რომ ასახა ეგნა-  
ტე ნინოშვილმა თავის უკვდავ „ჯანყი გურიაში“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ე. შალვაძე, გრიგოლ ორბელიანი. თბ., 1967, გვ. 102.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 103.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნისათვის სტრუქტურულად განმავლობაში ეროვნულ უბედურებად იქცა მისი სტრუქტურული შვილთა მტრის სამსახურში ყოფნა... XIX საუკუნეში რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ მოხდა ამ „სამსახურის“ ერთგვარი მოდერნიზაცია, როცა ქართველი ახალგაზრდობა მათივე მშობლების ენერგიული ჩარევით სამხედრო განათლებას იღებდა. არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, ქართველთა ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, როცა რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფი ქართველები ებრძოდნენ თავიანთ ისტორიულ მტრებს: ოსმალებს, სპარსელებსა და ლეკებს, მათ მოქმედებას სათანადო პატრიოტული მექანიზმით განაგებდა; მაგრამ იყო მძიმე პერიოდები, როდესაც ისეთ ბრწყინვალე მამულიშვილები, როგორიც, მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი და დავით კლდიაშვილია, იძულებულნი იყვნენ, მათთვის ესოდენ უსიამოვნო ოპერაციებში მიეღოთ მონაწილეობა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რას ფიქრობდნენ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ეს სახელოვანი ქართველები. ბუნებრივად ისმის კითხვა: ნუთუ მათ არ ჰქონდათ არავითარი შესაძლებლობა გამოეხატათ პროტესტი, დამდგარიყვნენ თანამემამულეთა გვერდით და ა. შ. რასაკვირველია, საკითხის ასე დასმა სავსებით ბუნებრივია და კანონზომიერიც. მაგრამ გასათვალისწინებელია თვით სამხედრო სამსახურის სპეციფიკა, სიტუაცია, რომელშიც მოქცეულია ესა თუ ის დასახელებული პირი და შემდეგ უილაჯობის ის ტრაგიკული შეგნება, რასაც განიცდის ასეთ წუთებში ადამიანი. ჩვენამდე არაა მოღწეული არავითარი ცნობა, რას განიცდიდა ალ. ჭავჭავაძე, როცა ის აჯანყებულ კახელებთან მივიდა. ფაქტია, რომ ის ცდილობდა სიტყვით მათ დამშვიდებას, შემდეგ იმძლავრა ემოციამ და მოხდა სისხლისღვრა, დაიჭრა თვით პოეტიც ისე, რომ მას იარაღი არ გამოუყენებია...

სამაგიეროდ, ჩვენ გვაქვს ბათუმის მუშათა გამოსვლების დარბევაში მონაწილე დიდი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის თვლით ხილული მსგავსი სინამდვილის წარუშლელი აღწერა, სადაც ამ დიდსულოვანი პიროვნების და ხელოვანის ტრაგიკული განცდებიცაა გადმოშლილი. მხურვა-



ლე ქართველი პატრიოტი, რუსეთის იმპერიის ოფიცერი/კლდიაშვილი, რომელიც შემდეგ პოლკოვნიკის ჩინით გავიდა პენსიაზე, ასეთ სურათს ხატავს: „უეტრად გავარდა რვეოლვერი... საზარელი კვილი, წივილი!... აირია ყველაფერი! გარბიან გონებადაკარგულები შიშით, ელეტენ ერთმანეთს. დაცარიელდა იქაურობა, ქუჩა კი მოფენილია დაჭრილებით, მომაკვდავებით და მოკლულებით. სისხლში გდიან დევი ახალგაზრდები, ზოგი უძრავად, ზოგი სიკვდილს ებრძვის... გულადულებული თვალცრემლიანი ვუყვებ ოდი ჩემს გარშემო შეყრილ ჯგუფს, თუ როგორ მოულოდნელად მოხდა ასეთი საშინელი ამბები. ახლა ტირი?! პატიოსანი კაცი რომ ყოფილიყავი, აქ არ იქნებოდი! — მომესმა უკნიდან. ამის მთქმელი ვიღაც დედაკაცი იყო. აღუღდა გული უარესად. შეგაჩვენა გამჩენმა! მივაყვირე, მხეცო! შეუბრალებლო! გესმის შენ შენი სიტყვები?!... გული გადამეტებით დულდა მწარე სიტყვების ვაგონებით... რა მინდოდა მე ამ რიგებში? რატომ ვხდები მოწმე ამგვარი საშინელებისა, ამ საზიზღრობისა, ო, რა ტანჯვა გამოვიარე!“ (დავით კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე თ. VIII. თხზ. ტ. — II, თბ., 1981, გვ. 215—216).

პოლიტიკური და ეროვნული თვალსაზრისით ძნელია ასეთი ვითარების შეფასება, მაგრამ ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ არ ვაუგოს, მსგავს მძიმე ფსიქოლოგიურ სიტუაციაში მოქცეულ მეორე ადამიანს, ვინც უნდა იყოს ის. აბა, ვისთვის წარმოადგენს მეჯლისის კაცთა კვლა და, მით უმეტეს, თანამემამულეთა სისხლის ღვრა...

ჩვენამდე არ არის მოღწეული რაიმე ცნობა, თუ რას განიცდიდა გრიგოლ ორბელიანი, როცა ის გურიის აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობდა; ან, საერთოდ, რა როლი შეასრულა მან ამ ოპერაციაში. ყველაზე სანდო წყაროს წარმოადგენს 1841 წლის 8 ოქტომბრით დათარიღებული ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, სადაც გენიალური ქართველი პოეტი თავის სახელოვან ბიძას აჯანყებული გურულების მიმართ გამოვლენილ „დიპლომატობას“ უქებს; „შენი დიპლომატობა ხომ აღრევე ვიცოდის: ხუმრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას...“

გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის გასათვალისწინებლად საგულისხმოა, რომ თავისი დისწული, ბრწყინვალე პოეტი ნიკ. ბარათაშვილი, მას, გრიგოლ ორბელიანს, გურულების მიმართ გაწეული შეგონებებისა და დიპლომატობის წყალობით მიღწეულ წარმატებას ულოცავს, რაც, უნდა ვივარაუდოთ, იმის მაუწყებელია, რომ გრიგოლ ორბელიანის როლი გურიის აჯანყების მოწესრიგებაში უპირატესად ამ მისიით იფარგლება.

1842 წლის 20 მაისს პოეტი ქუთაისიდან აი, რას ატყობინებს ზაქარია ორბელიანს: „ქუთაისში მინისტრის ბრძანებით გაანთავისუფლეს გურულები ბუნტისათვის დაჭერილნი, უნდა გენახათ ამათი ტირილი და სიხარული, პირჯვარის წერა და დალოცვა, მხოლოდ ერთი გაგზავნეს ციმბირში შალიკაშვილი, რომელიც უწინდელს ბუნტებშიაც ერია“<sup>1</sup>. იმავე წლის 11 ივნისს გრიგოლ ორბელიანი თავის შეფს, მოსე არღუთინსკი-დოლგოპოროვს, მადლიერების გრძნობით შეფერილი სიტყვებით ატყობინებს: — „ჩემს ქუთაისში ყოფნისას განათავისუფლეს გურულები დიდის ცერემონიით, რაც ისინი თქუენ გლოცვიდნენ ცრემლებით“<sup>2</sup>.

პოეტის ასეთი ინტერესი ჯანყში მონაწილე გურულთა შემდგომი ბედისადმი, მისი რევერანსი მთავარსარდალ მ. არღუთინსკისადმი, რომელიც ხელმძღვანელობდა გურიის აჯანყების ჩაქრობას, იმაზედაც მიუთითებს, რომ გრ. ორბელიანს გარკვეული წვლილი მიუძღვის ამ კუთხის მცხოვრებთა მშვიდობიან დაშოშმინებაში. სავარაუდოა, პოეტს, ალბათ, ერთგვარი შუამავლის მისიაც ჰქონდა დაკისრებული მ. არღუთინსკისა და აჯანყებულთა შორის, რაკი განთავისუფლების შემდეგ მინიჭებული წყალობისათვის მადლიერებით ახსენებს მას.

ეს არის და ეს, რაც შეიძლება საბუთად გამოდგეს გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობაზე გურიის ჯანყში. ჭერჯერობით ოფიციალური წყაროები არ ჩანს და თვით პოეტის წერილებიც არაფერს გვეუბნება მომხდარი ამბების შესახებ. სხვათა შორის, გურიის აჯანყების ჩასაქრობად დაძრული რუსე

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, წერილები, I, გვ. 55.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 60.

თის იმპერიის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს ამ დროს ახლდა სახელოვანი დიმიტრი ყიფიანიც. თავის „მემუარებში“ ეს ცნობილი ქართველი მოღვაწე წერს: „მე მხვდა პატივი, მოძრავი კანცელარიის მსგავსი რამ ვყოფილიყავ. მაგრამ ქუთაისს იქით ჩვენ წასვლა არ მოგვიხდა“<sup>1</sup>. დ. ყიფიანი აქვე მიუთითებს გრ. ორბელიანის სიახლოვეზე მ. არღუთინსკისთან. სავარაუდოა, ამ სიახლოვის ნაყოფი იყოს ნ. ბარათაშვილის მიერ ხაზგასმული „დიპლომატობის“ წყალობით ჯანყში მონაწილე გურულებთან შემდგომში მშვიდობიანი მოლაპარაკება და მათი გათავისუფლებაც. ერთ გარემოებასაც უნდა გავსვას ხაზი: როგორც ცნობილია, როდესაც ეგნატე ნინოშვილი ამ თემაზე თავის რომანს წერდა, ის სარგებლობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიელი მეგობრის, შემდგომში ცნობილი გენერლის, ქართული ეროვნული საქმის მეცენატის, გრიგოლ გურიელის ბიბლიოთეკით, გურიის აჯანყების შესახებ მის ოჯახში დაცული მდიდარი მასალით. გარდა ამისა, როგორც ირკვევა, მწერალს კონსულტანტობას უწევდა დიდი მეცნიერი, ექვთიმე თაყაიშვილი<sup>2</sup>. უნდა ვიფიქროთ, გრიგოლ ორბელიანის აქტიური, დამსჯელი საქმიანობის ამსახველი ფაქტები რომ არსებულებოდა, მას არ დაფარავდა ისეთი მძაფრი კლასობრივი შეგნებისა და მკაცრი რეალისტური ხედვის მწერალი, როგორც ეგნატე ნინოშვილია. რომან „ჯანყი გურიაში“ კი არსად არ ფიგურირებს პოეტის სახელი. ასეთია ფაქტიური ვითარება, რომელიც გვიდგენს გრ. ორბელიანის სახეს გურიის აჯანყების დროს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც პოეტის შინაგან გაორებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ მიზნისაკენ მავალი კაცის თანშიმდევრულ ქცევასთან. ამ დროს კაპიტანი გრიგოლ ორბელიანი იხდის სამსახურებრივ მოვალეობას და ამ ვალდებულების ასრულების პროცესში ყოველნაირად ცდილობს შეგონებით თუ დიპლომატიური ფორმით, მშვიდობიანად მოაგვაროს შექმნილი კონფლიქტური მდგომარეობა. რასაკვირველია, ეს არაა ადამიანის გმირული საქციე-

<sup>1</sup> დ. ყიფიანი, მემუარები, თბილისი, 1930, ს. ხუნდაძის რედაქციით, გვ. 26.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხ. ი. მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1989, გვ. 21, 286.



ლი, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ადამიანი თავისი ცხოვრების ყველა ეტაპზე არ შეიძლება მოგვევლინოს გმურად; თუ ის თავისი მდგომარეობის კვალობაზე დააკეთებს იმას, რაც მის ძალებს აღემატება, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად.

ამგვარ ვითარებაში ჩავარდნილი ქართველი კაცის, თანაც ნიჭიერი პიროვნების, სულიერი ვითარების გულწრფელი ფსიქოლოგიური სურათი სავსებით დამაჯერებლადაა მხატვრულ-დოკუმენტური სახით ნაჩვენები დავით კლდიაშვილის შემოთგანხილულ მოგონებაშიც, რომლის ანალოგიები ჩვენი ეროვნული ტრადიციის გამო ქართულ სინამდვილეში ადრეც ბევრი ყოფილა და დღესაც მრავალია.

გრიგოლ ორბელიანის შესახებ დაწერილ მონოგრაფიებში კარგადაა ნაჩვენები მისი წვლილი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხის საინგილოს შემომტკიცების საქმეში. პოეტს ამ შემთხვევაშიც თავისი გამოკვეთილი პოზიცია ჰქონდა, როცა ფიქრობდა: საქართველოს გამაპმადიანებულ კუთხეთა ქართული სულით ავსება, მათი საბოლოო დაბრუნება დედამამშობლოსთან მხოლოდ მაშინ იყო ფუძემყარი, თუკი ძველი ქართული პროვინციების მკვიდრნი მამაპაპურ სარწმუნოებას დაუბრუნდებოდნენ. ამიტომაცაა, ასე ენერგიულად რომ ცდილობს ქრისტიანობის აღორძინებას საინგილოში და თვითონაც ნათლავს მრავალ ადგილობრივ მკვიდრს. როგორც მიუთითებენ, პირდაპირ „დრაკონის კანონებს“ აწესებს იგი საინგილოს მარბიელ ლეკებისადმი. „ხელებს და თავებს აჭრევენებს“, ცოლების ყმად გაყიდვით ემუქრება და სხვ. მაგრამ ეს უმკაცრესი მეთოდი მიმართულია მხოლოდ საქართველოს ამომგდებ ლეკთა ასალაგმავად. პოეტი ქრისტიანობას სახავს ეროვნული შეგნების განმტკიცების ერთადერთ პირობად, ამ კუთხეში სიმშვიდის, სათნოებისა და სიკეთის დამკვიდრების ეფექტურ გზად. „მშვიდობიანობის აღდგენას დიდად შეეწია ქრისტიანობის გავრცელება ინგილოში... რიცხვი ახლად მონათლულთა ინგილოთა იყო 1170 სული. ამათ ნათვლიდენ ძალდაუტანებლად, საკუთარი თხოვნისა და სურვილისამებრ“ (ი. მ. I, გვ. 70). ეტყობა, ჩვენში ლეკთა პრობლემა ყოველ დროში მწვავედ იდგა. 1863 წელსაც უხდება გრიგოლ ორბელიანს ზა-

ქათალაში, საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე ჩამოთვალ-  
ლილ ლეკთა ამბოხების ჩაქრობა. ცხადია, სამხედრო-ადმინისტრაციული  
ტრაქტორი უცხო ტომის აგრესორთა დასამარცხებლად ღონისძი-  
ებებსა და ყვავილებს არ იმარჯვებდა, ის ბნელ, ბარბარო-  
სულ ძალას ძალითვე უპირისპირდებოდა და როგორც დრომ  
ცხადყო, შექმნილი მძიმე სიტუაციიდან ეს იყო ყველაზე რეა-  
ლური გამოსავალი.

როგორც ჩანს, პოეზია გრიგოლ ორბელიანისთვის სულის  
საოხი იყო, მის ყოფით სინამდვილეში განუხორციელებელ  
ჩანაფიქრთა საოცნებო ქვეყანა ანუ იდეალში გადატანილი სა-  
კუთარი „მე“. პოეტური ოცნება გრიგოლ ორბელიანისათვის  
განუხორციელებელ სურვილთა კომპენსაციას უფრო წარმო-  
ადგენდა, ვიდრე ყოფით ცხოვრებასთან პირდაპირი, მკიდრო  
კავშირის საფუძველზე შექმნილ სამყაროს.

თავის დროზე კ. მეძველია მართებულად შენიშნავდა, რომ  
„ირან-ოსმალეებსა და ლეკებში გრ. ორბელიანი „საქართველოს  
ისტორიულ მტრებს ხედავდა“ და რომ „ლეკების წინააღმდეგ  
ომში რუსეთის იმპერიალისტური ზრახვები კი არა, თავისი  
ქვეყნის მტრის სამაგიეროს გადახდის და სისხლის აღების  
გრძნობა ამოძრავებდა და ეს მაშინდელ საქართველოში სააუ-  
გო საქმედ არ იყო მიჩნეული“<sup>1</sup>. სხვათა შორის ამავე პოზიცი-  
აზე იდგა ნიკოლოზ ბარათაშვილიც თავის ცნობილ ლექსში  
„ომი საქართველოს თავად-აზნაურთა და გლეხთა“...

გრიგოლ ორბელიანი, როგორც ქვეყნის ძველი ქართვე-  
ლი, თავისი პოლიტიკური ხედვით ქრისტიანობას ქართველო-  
ბის გადარჩენის საფუძველად სახავდა და ერთი შეხედვით მისი  
გადამეტებული სიმკაცრე ისლამური რწმენის ისტორიული  
ერებისა და არაისტორიული ხალხებისადმი, ამ ნიადაგზე პოუ-  
ლობს თავის გამართლებას. პოეტის პოლიტიკურ პოზიციასა  
და რელგიურ მრწამსს კარგად გამოხატავს 1877 წელს, თავი-  
სი ერთი ახლობლისადმი მიწერილი ბარათის შემდეგი სტრი-  
ქონები: „ვიყავ გაჩუმებული შიშისაგან და აღარა მქონდა თა-  
ვი არცა წერისათვის და არცა თუ სხუა რაიმე ფიქრისათვის,

<sup>1</sup> კ. მეძველია, გრიგოლ ორბელიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
პროფილი. იბ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრო-  
მები, VI, 1946, გვ. 29—30.

ვიდრე ყოვლად მოწყალე ღმერთმან არ მოჰსცა ძლევა ჩვენს ჯარსა და მრთლად არ შეიმუსრა მტერი ქრისტიანობისა და სიკუთრივ ჩემნი, ჩემნის საქართველოსა, რომლისა სისხლი ჯერ კიდევ ბევრი აძევს ოსმალოსა და მარტო ამ დამარცხებით ვერ გადაიხდის ჩემს სისხლის ვალსა. ათასი წელიწადი ებრძოდნენ მაჰმადიანნი პატარა საქართველოს, რათა? რას ვართმევდით? მართალია, ჩემს გაგვაობრეს, მაგრამ არცა თუ თვითონ გაიხარეს. ჩემს ვიყავით მიზეზი, რომ რუსეთმა წაართვა სპარსელებს ერევანი, ნახჩევანი, ყარაბაღი, თალშის სახანო, შაჰი-შარვან, ბაქუ, დერბენდ და ყუბა. ოსმალებსა — ახალქალაქი და ახალციხე. და ახლა მესამედ ართმევს ყარსსა. აქედან დაინახამთ, რომ ჯერ ოსმალო არის კიდევ მოვალე ჩემნი. აი, როგორ ძვირფასია ქართველების წმინდა სისხლი! მართლაც და განსაკვირველია ესრეთ დაბრმავება ევროპისა, რომ აქამომდის ვერ იცნეს ოსმალების საძაგლობა და მათი დაუძინებელი მტერობა ქრისტიანობისა.

სტამბოლის მინისტრების ფრაზები სულ სიცრუეა. სიცრუეში არიან ძალიან დახელოვნებულნი. ოსმალოს ამბავი უნდა ჰკითხოს ევროპამ საქართველოსა, სომხეთსა, საბერძნეთსა, სლავიანებსა, რომ სწორედ შეიტყოს ღირსება ოსმალებისა და შეიძულოს ივინი გულითა!<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, დრო და ასაკი ვერ აქრობს გრიგოლ ორბელიანის სულში საქართველოს ისტორიული მტრებისადმი შურისძიების გრძნობას. პოეტი ისეთივე რისხვითაა ანთებული ყველა ჯურის მარბიელისადმი თავისი ცხოვრების მიწურულში, როგორც ახალგაზრდობაში. ქრისტიანული მრწამსის, მისი კულტურის ღვიძლი შვილი, ცხადია, ვერ ეგუება ყოველივე აზიურს (გარდა ლამაზი ქალის ხალისა). ევროპული ორიენტაციის პიროვნებაა იგი და წუხს, როცა ხედავს ევროპელთა მხრივ ქართველთა სასიცოცხლო ინტერესების ვერგაგებას.

გრიგოლ ორბელიანს ბრალდებად წაუყენეს ისიც, რომ მისი, როგორც იმ ხანებში მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრუ-

<sup>1</sup> გრიგოლ ორბელიანის წერილი სალომე მიურატისადმი 1877 წ. 12. X. ამ ბარათიდან ნაწყვეტი დამოწმებული აქვს ი. მუუნარგიას იხ. მისი ქართველი მწერლები, I, გვ. 112, სრული ტექსტი მოგვაწოდა ნ. იმედაძემ.

ლებლის, თავკაცობით ჩაახშვეს 1865 წლის თბილისის ამქართა გამოსვლები. პროფ. ალექსანდრე ფირცხალაიშვილმა, თავის შესანიშნავ ნაშრომში: „თბილისის ამქრების 1865 წლის გამოსვლის ისტორიისათვის“<sup>1</sup>, მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით თვალსაჩინოდ წარმოადგინა ამ გამოსვლების სოციალური და პოლიტიკური ფესვები. თავის დროზე და შემდგომაც ცდილობდნენ თბილისის „ბუნტი“ ჩაეთვალათ სოციალურად ჩაგრული ადამიანების ორგანიზებულ გამოსვლად არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ, როგორც აღნიშნულ გამოკვლევაში თავმოყრილი ფაქტების გაცნობიდან ჩანს, ეს ასე არ იყო.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იმპერატორის მითითებით მთავარმართებლებს დავალებული ჰქონდათ, „მიეზიდათ ყოველგვარი წყალობით სომეხთა ნაცია“<sup>2</sup>, დაეწინაურებინათ ამ ერის წარმომადგენლები თანამდებობებზე და დაეპირისპირებინათ ქართველებთან. თბილისის ბურჟუაზია იმთავითვე არაქართულ ელემენტს წარმოადგენდა და მან განსაკუთრებით გაშალა ფრთა მას შემდეგ, რაც რუსთაგან „ქალაქის ბურჟუაზიის მიმართ ტარდებოდა „წყალობისა და დაყვავების პოლიტიკა“<sup>3</sup>.

ამიტომაც, განსაკუთრებით XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, „სომხები, — როგორც აღნიშნულია ერთ-ერთ იმდროინდელ ოფიციალურ გამოკვლევაში, — დაეუფლნენ თბილისისა და მთელი ამიერკავკასიის ტერიტორიას. ისინი ასრულებენ ყოველგვარ დავალებებს, აღებული აქვთ თითქმის ყველა იჯარა, ასრულებენ იქ საკომისარიატო და საპროვიანტო კომისიების მოვალეობებს. ისინი მთარგმნელებია, მომხსენებლები... ერთი სიტყვით, სადაც შესაძლებელია მოგების მიღება, იქ აუცილებლად იმყოფება სომეხი“<sup>4</sup>. ბუნებრივია, თბილისის ვაქართა და ხელოსან-ამქართა უმეტესობა სომხები იყვნენ. ალ. ფირცხალაიშვილის დაკვირვებით „ასეთ ეროვნულ უპირატე-

<sup>1</sup> თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XI, ნაკვეთი, I, თბილისი, 1940.

<sup>2</sup> იხ. ა. ფირცხალაიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 44.

<sup>4</sup> დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

სობას ამქრული იერარქიის უმაღლეს საფეხურზე ბუნებრივად მოსდევდა ის, რომ დაბალ საფეხურებზეც, ამქრების ქარგლებად და შეგირდებად, — ქართველები უფრო იშვიათად მიდიოდნენ და მათი რიგების შევსებაც უმთავრესად სომხების ხარჯზე ხდებოდა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას სხვათა შორის თბილისის ამქრების ოფიციალური მკვლევრის ახვერდოვის მტკიცება (ახვერდოვი, თბილისის ამქრები, რუს. ენაზე გვ. 11—12), სარწმუნოებრივ და სხვა ცერემონიებს ყოველთვის და აუცილებლად სომეხი მღვდელი ეწეოდა<sup>1</sup>. ის კი არაა, თუკი ქართველი მოახერხებდა ამქარში ქარგლად ან შეგირდად შესვლას, იგი გრიგორიანულ სარწმუნოებაზე უნდა გადასულიყო, რათა მიეღო თბილისის მოქალაქის, ე. ი. ქეშმარიტ თბილისელად წოდების (პერსპექტივაში ეს აქტი უკვე ამ ბედკრულ ქართველთა ეროვნების დაკარგვას ნიშნავდა) უფლება. ქალაქის თავს, მთელ მმართველობასთან ერთად სომხის ბურჟუაზია შეადგენდა. არც ერთი ეროვნებით ქართველი არ მონაწილეობდა თბილისის მართვაში. ახლომანლო სოფლებიდან სავაჭროდ ჩამოსულ ქართველ გლეხს უფლება არ ჰქონდა, გადასახადის გარეშე თბილისში არა თუ რაიმე შემოეტანა და გაეყიდა, არამედ ღამეც გაეთია. აი, ასეთი გახლავთ რეალური სურათი XIX საუკუნის 60-იანი წლების თბილისისა, რაზეც ასე ბევრს წერენ შემდგომ ახალი თაობის წარმომადგენლები. თვით 1874 წელსაც კი, სერგეი მესხი გულისტკივილით წერდა: „ერთ დროს ქართველთა სატახტო ქალაქი — თბილისი — დღეს სომხების საკუთრებად შექმნილა... ვაჭრობა, ალებ-მიცემობა მათ ხელშია. ქალაქის მიწა იმათია, ამ მიწაზე აგებული შენობებიც თითქმის სულ სომხებისაა. ერთი სიტყვით, სომხები ქარგა მაგარი ბრჭყალებით ჩაჰფრენიან ქალაქს და ჯერჯერობით ჰფლობენ და განაგებენ ყველა იმის საქმეს“<sup>2</sup>. აი, ასეთ დემოგრაფიულ ატმოსფეროში მოუხდა გარკვეული ღონისძიებების გატარება იმხანად მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელ გრიგოლ ორბელიანს. ღონისძიებების არსი, რომელმაც

<sup>1</sup> ახვერდოვი, თბილისის ამქრები, რუს. ენაზე, გვ. 11—12.

<sup>2</sup> ა. ფორცხალიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 421.

<sup>3</sup> ს. მესხი, ქალაქის ახალი გამგეობა, ნაწერები, ტომი პირველი, ტფ. 1903, გვ. 222.

თბილისის ამქართა გამოსვლები განაპირობა, შემდეგში მდგომარეობდა: რუსეთის იმპერიის ცნობილი ქალაქების კეთილმოწყობის მიზნით გარკვეული გადასახადები დააკისრეს მოსახლეობას. რუსეთში ეს ღონისძიება უმტკივნეულოდ ჩატარდა. თბილისი, როგორც ცნობილია, ამ დროისათვის აზიური ტიპის ქალაქი იყო ძალზედ პრიმიტიული იერსახით. გრიგოლ ორბელიანი მოიწადინა ევროპული იერი მიეცა ქალაქისათვის, თბილისს ჭირდებოდა გათბობა, განათება, ფოსტა-ტელეგრაფი, კანალიზაცია და ა. შ. ამისათვის მან, პირველად თბილისის მართვის ისტორიაში, გადაწყვიტა სპარსეთიდან მოეწვია ევროპულად განათლებული სომეხი შერმაზან ვართანოვი და ქალაქის თავად დაენიშნა იგი. აბა, ქართველის არჩევას ამ დროს ვინ გაბედავდა. თბილისის მმართველობაში გარკვეული ხმის უფლებით საჭირო იყო ქართველ მოქალაქეთა არჩევა. გრიგოლ ორბელიანი, როგორც ქეშმარიტი ქართველი, თავისი ბუნებით არ იყო შოვინისტური განწყობილების პიროვნება. თანამედროვეთა გადმოცემით, ის სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა სხვა ერის წარმომადგენლებთან. მირზაჯანა მადათოვთან, ლოპიანასთან, მიხეილ ლორის-მელიქოვთან და სხვა. მაგრამ მას, როგორც ქართველს, როგორც მოღვაწეს ჰქონდა ეროვნული ღირსებისა და თავმოყვარეობის მძაფრი გრძნობა. მისი პირადი წერილებიდან ვიცით, თუ როგორი შიშით შეჰყურებს იგი უცხო ტომის მოძალების პროცესს საქართველოში და თბილისშიც. მას, როგორც ფხიზელი გონების კაცს, პატრიოტს, აშფოთებს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში სხვა ერის შეილთა წინსვლა და მომრავლება, რადგან ეს პროცესი ზომ პოტენციურად ქართული მიწაწყლის, ცხოვრების წესისა და კულტურის შთანქმას გულისხმობს. 1865 წლის თბილისის ამქართა გამოსვლას ჩაგრული მოქალაქენი არ თავკაცობდნენ. აი, არასრული სია იმ პირებისა, ვინც შეამზადა ამქრები აჯანყებებისთვის: ამბარცუმ უფეჟიანცი, გრიგოლ იზმიროვი, გაბრიელ სუნდუკიანცი, მოსიკო სოლდოვი, დანიელ იზმიროვი, შაქარ სულხანოვი, ნაზარ ნაზარბეგოვი, პეტროს სიმონიანცი, სტეფან ნაზარიანცი, არტემ ბაისალოლოვი, გეოგოზალოვი... ამათგან ამბარცუმ უფეჟიანცი სტამბის მებატ-

რონეა და რედაქტორ-გამომცემელი სომხური გაზეთისა, მრავ-  
ლისმეტყველი სათაურით „მელუ აიასტან“ „სომხეთის ფუტ-  
კარი“), ზოლო სტეფან ნაზარიანცი — მოსკოვის ლაზარევის  
ინსტიტუტის პროფესორი. სხვები ფაბრიკა-ქარხნების მეპატ-  
რონეები, დიდვაჭრები და მაღალი თანამდებობის მოხელეები  
არიან. ამ აქციაში ჩართულია პატრიარქი, ეჩმიაძინში თბილი-  
სიდან ჩადის რწმუნებული იზმიროვი. მანამდე შეთქმულნი  
ჯერ სომხური ნორაშენის ეკლესიის გალავანში, ზოლო შემდეგ  
ხოჯივანქის სასაფლაოზე ფიცს დებენ, რომ არ დაუშვებენ  
თბილისის მოქალაქეთა ადრინდელი უფლებების შეზღუდვას,  
რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ახალი მმართველობის პირო-  
ბებში ქართული თავადაზნაურული ელემენტი ხელისუფლება-  
ში ერთვებოდა და ამით ქართველთა უფლებები ძლიერდებო-  
და. როგორც აღნიშნავენ, ეს აქტი გარკვეულად „ზღუდავდა“  
თბილისის პირველხარისხოვანი მოქალაქეების (ე. ი. სომხე-  
ბის — ი. ე.) ტრადიციულ პრივილეგიებს<sup>1</sup>. ქალაქის მსხვილი  
ბურჟუაზიის ინტერესები გადაჯაჭვული იყო ამქართა ინტერე-  
სებთან, ყველაფერ ამას გვირგვინს ადგამდა მათი ეროვნულ-  
პოლიტიკური ანგარიშები ქართველების მიმართ და რელიგიუ-  
რი მრწამსი. ამ მოძრაობის თავკაცი, გრ. ორბელიანის თქმით,  
ყოფილა პროფ. სტეფან ნაზარიანცი, რომელიც პოეტის შენიშვ-  
ნით „ჰქადაგებს... სომხების ნაციონალიზმსა, სარწმუნოების  
შეცვლასა“ („შენიშვნები თბილისის ამქართა მღვდვარების  
შესახებ“). როგორც ცნობილია, თავდაპირველად აღელვებულ  
ბრბოს დაურბევია ხარჯთამკრეფის სახლ-კარი, მოუკლავთ ის,  
დაუჭრიათ 2 ყაზახი და 1 ოფიცერი. დაჭრილ ოფიცერს უსვ-  
რია თოფი, რასაც მოჰყოლია არეულობა. ამქართა გამოსვლების  
დასაწყნარებლად გამოყვანილ ჯარს გამოუყენებია იარაღი, მო-  
უკლავთ 2 და დაუჭრიათ 9 კაცი. როცა გრიგოლ ორბელიანს  
გაუგია მომხდარი ინციდენტის ამბავი, დაუსჯია კიდევ რუსი  
ოფიცერი და საბოლოოდ დაპატიმრებებით დაუშოშმინებია  
ხალხი, თუმცა ამის გამო, დამცირებაც აუტანია. ამ თვალსაზ-  
რისით პოეტის დამსახურება ასეა შეფასებული სპეციალურ  
ლიტერატურაში: „გრიგოლ ორბელიანის ღვაწლად უნდა ჩა-

<sup>1</sup> ა. ფირცხალიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ .81.

ითვალოს, რომ საქმეში ჯარი არ ჩაერია და სისხლით არ დაიწერა იმ დღეების თბილისის ისტორია“.<sup>1</sup>

4) ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიკოსთა უმეტეს ნაწილში დღემდე ფეხმოკიდებულია აზრი, რომელიც უპირატესად ჯერ კიდევ არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებიდან იღებს სათავეს.<sup>2</sup> ამ თვალსაზრისის ამოსავალი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ ქართულ სინამდვილეში XIX საუკუნის მესამეოცე წლებში დაიწყო ბრძოლა ძველსა და ახალ თაობას შორის. თაობათა ამგვარ დამოკიდებულებას არჩილ ჯორჯაძის არგუმენტაციის კვალობაზედ მკვლევართა დიდი ნაწილი ჩვეულებრივ „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლასაც უწოდებს და ჩვენს მოღვაწეებს ამის მიხედვით ყოფს „კონსერვატორებად“ ანუ „რეაქციონერებად“, ე. ი. ძველ თაობად, და „პროგრესისტებად“ ანუ „ახალ თაობად“. თუ რამდენად მართებულია მესამეოცე წლების ქართველ ლიტერატორთა და მოღვაწეთა ასეთნაირი დაყოფა, გამოხატავს თუ არა ის ქართული სულის განვითარების სპეციფიკას, რამდენად მიუღებელია რუსული სამყაროს ანალოგიებით ჩვენი ეროვნული საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნების სრულყოფილი ანალიზი, ეს ჯერ კიდევ დიდმა ილია ჭავჭავაძემ სავსებით დამაჯერებლად აჩვენა თავის ბრწყინვალე ნარკვევში „წერილები ქართულ ლიტერატურაზედ“, შემდეგ ანტონ ფურცელაძემაც მოგვცა ამ კონცეფციის კრიტიკა (იხ. „ბათუმის გაზეთი“, 1912 წ. № 141, 142).<sup>3</sup> ჩვენს დროში კონსტ. გამსახურდიამ და უკვე ღრმა მეცნიერული არგუმენტაციით გრ. კიკნაძემ ცხადყო აღნიშნული თვალსაზრისის უსაფუძვლობა<sup>4</sup>, მაგრამ ამას არ შეუფერხებია ქართველი მკვლევრები, რომ დაბეჭდვით ემტყიცებინათ „კონსერვატორ“ „მამათა“ და

<sup>1</sup> ე. შაორაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1967, გვ. 302.

<sup>2</sup> არჩილ ჯორჯაძე, მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის, წერილები, შემდგენელი აკაკი ბაქრაძე, თბ., 1989, გვ. 200—314.

<sup>3</sup> ვიშოწმებთ არჩ. ჯორჯაძის დასახ. თხზულების მიხედვით, გვ. 303.

<sup>4</sup> გრ. კიკნაძე, რომანტიკულ და რეალისტურ სტილთა ურთიერთობის საკითხი ქართულ ლიტერატურაში. იხ. მისი წიგნი: „მეტყველების სტილის საკითხები“, თბ., 1957.



„პროგრესისტი“ „შვილთა ბრძოლის“ საკითხი 60-იანი წლების საქართველოს სინამდვილეში.



საქართველოში ამ კულტურულ-ლიტერატურულ მოვლენის შინაგანი ბუნების შესაფასებლად სხვა დროსაც მოუმარჯვებიათ და ახლაც უნდა გავიხსენოთ დიდი ილიას მიერ ჯერ კიდევ 1892 წელს გამოქმეული ფუძემდებლური აზრი, რომლის მიხედვით „დღემდე კი არავის გამოუჩვენებია — რა არის ან ვინ არის ან ახალი, ან ძველი თაობა, და არავინ იცის, ვისზე ლაპარაკობენ, როცა ან ერთს, ან მეორეს ახსენებენ... აშკარაა, ვინც ამ სახელებს რაიმე ფასსა სდებს და თუთიყუშივით გაგონილს არ იმეორებს, ახალს თუ ძველს თაობას იმათში ეძებს, რომელნიც საზოგადო სარბიელზე გამოსულან სამოქმედოდ... ხსენებული სიტყვები ჩვენში ცალიერი სახელებია უსაგნო, ნაქუჭია უგულო, ფრაზაა უსაქმო... დროა თავი დავანებოთ ამ გაცვეთილს სახელებს და მოვიკითხოთ მარტო ის, გუშინ რას ვსდევდით ძველნიცა და ახალნიცა და დღეს რასა ვსდევთ“.<sup>1</sup> ამ სტრიქონების დაწერიდან გაივლის ოთხიოდე წელი და უდიდესი ქართველი პოეტი, ე. წ. თაობათა „ბრძოლის“ აქტიური მონაწილე აკაკი წერეთელი 1896 წელს იტყვის:<sup>2</sup> „ახირებული დრო იყო „მესამოცე წლები“ რუსეთში!..

... ეს საშიში სენი ჩვენც გადმოგვედვა ქართველებს და უფრო მეტი ვნებაც მოგვიტანა, ვიდრე რუსეთს. ეს ნიგილიზმით წოდებული სენი რუსეთში კანონიერი მოვლინება იყო, როგორც მაშინდელ დროთა ვითარების ძალით, რუსეთისვე ცხოვრებიდან გამოწვეული, მაგრამ ჩვენში კი წამხედურობით იყო გადმოტანილი და ნაძალადევი და ამიტომაც უფრო მეტი ვნება მოგვიტანა. ზოგიერთ სახადს, მაგალითად, ყვავილს, განგებ აუცრიან ხოლმე კაცს, რომ ნამდვილს ძალა დააკარგვინონ. ის ზემოხსენებული სენი ანუ სახადი სწორედ აცრილი იყო ძროხის ყვავილივით რუსეთში, მაგრამ ჩვენში კი ნამდ-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, წერილები ქართულ ლიტერატურაზე, თხზულებანი ხუთ ტომად. ტ. 3, თბ., 1986, გვ. 177—178, 180.

<sup>2</sup> აკაკი წერეთლის პოზიცია 60-იან წლებში, მისი სტატიები გარჩეულია წიგნში: გ. ვახანია, რეალიზმის საკითხები ქართველ სამოციანელთა ესთეტიკაში, თბ., 1988, გვ. 87—103.

ვილ-ჰირ-ბოროტათ შემოვიდა, დაგვასახიჩრა და დაგვაწყლულა“.<sup>1</sup> რამდენიმე წლის შემდეგ (1901) დიდებული შვოსანი კვლავ დაუბრუნდება ამ საკითხს და უფრო მეტი ენერგიულობით განაცხადებს: „რუსეთმა დიდი ხანია მოიხადა ეს სატკივარი და დღეს იქ იმისთანა ვერავის იპოვით, რომ... პისარევ-ზაიცევეების ნამოძღვრალი სწამდეს! ჩვენ კი, რადგანაც რუსეთის ნასუფრალით ვიკვებებით და მასზე გვიან გამოვხრავთ ხოლმე ნაწყალობებს, უფრო დიდხანსაც ჩაგვრჩება ხოლმე პირში გემო“<sup>2</sup> აი, სწორედ, აკაკის მიერ მწარედ ნათქვამი „პირში დიდხანს ჩარჩენილი“ აზროვნული სტემების „გემოს“ შედეგია ის ფაქტი, რომ ანგარიში არ ეწევა ჩვენს დიდ სულიერ და გონებრივ წინამძღოლთა აზრებს.

ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული თითქოს გარდაუვალ კანონად იქცა, თუ ქართული აზროვნება და კულტურული ცხოვრების წესი რუსულ თარგზე არ იქნებოდა აჭრილი, მისი ნიშნით მაინც უნდა ყოფილიყო დადღასმული. ამიტომაც აზროვნებაში არსებული ამგვარი სოციალურ-პოლიტიკური პრესინგის გამო, ის, რაც სპეციფიკური იყო ახალგაზრდა ისტორიის მქონე რუსეთისათვის, აუცილებლობად იქნა აღიარებული უძველესი კულტურულ-ისტორიული წარსულის მქონე საქართველოსათვისაც. რასაკვირველია, ეს საკითხის სხვა მხარეა და საგანგებო მსგელობის საგანიც, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ამ კონტექსტს არ შეიძლება მოვწყვიტოთ საკუთრივ გრიგოლ ორბელიანის პიროვნების შესახებ შექმნილი აზრიც, რომლის თანახმად ის არის ჩათვლილი ე. წ. „მამათა“ ბანაკის მეთაურად. ქართული ლიტერატურის მრავალი მკვლევრის ნაშრომში განმტკიცებულია ეს შეხედულება იმდენადაც კი, რომ ბოლო ხანებში მას „მამათა ბანაკის ბურჯს“<sup>3</sup> (ე. მაღრაძე) უწოდებენ. 60-იან წლებში თაობათა შორის გამართული პოლემიკისადმი პოეტის ინდიფერენტისმს ზოგი მკვლევარი გრიგოლ ორბელიანის „სამსახურებრივი მო-

<sup>1</sup> ა. წერეთელი, განთიადი, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. XI II, თბ., 1861, გვ. 242—243.

<sup>2</sup> აკაკი წერეთელი, მცირე შენიშვნა, თხზ. ტ. XIV, თბ., 1961, გვ. 39.

<sup>3</sup> ე. მაღრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1967, გვ. 309.

უცლელობით“ (აქ. გაწერელია)<sup>1</sup> ხსნის, სხვა კიდევ ტაქტიკურ, დიპლომატიურ მანევრად მიიჩნევს და ფიქრობს, „ამ დროს „ლომი თავის ბუნაგში იწვა და დუმდა, ვიდრე ის ძლიერ არ გააბრაზეს“<sup>2</sup>.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე კონსტანტინე გამსახურდია „უსაზმნო ფანტაზირებას“ უწოდებდა „ჩვენს ლიტერატურათმცოდნეთა“ მიერ ე. წ. „მამებსა“ და „შვილებს“ შორის ატეხილ ომობანას გამო შექმნილ „კორიანტელს“<sup>3</sup> და აღნიშნავდა, რომ გრიგოლ ორბელიანს... იდეური ბრძოლის ნამდვილი საბაზი არც კი ჰქონდა ილიას მიმართ“.<sup>4</sup>

დღესდღეობით ნათლადაა გარკვეული ის წვლილი, რაც გრ. ორბელიანმა შეიტანა „საქართველოს მოამბის“ დაარსებაში, როცა დახმარების ხელი გაუწოდა ქართველი საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ ახალგაზრდა ილია ქავჭავაძეს.<sup>5</sup>

ცხადია, გრიგოლ ორბელიანს ფარულადაც რომ თანაეგრძნო ე. წ. „რეაქციონერი“, „კონსერვატორი“ „მამებისათვის“, (თუკი ასეთი პირები საერთოდ არსებობდნენ საქართველოში), მაშინ ის თავის იდეურ მოწინააღმდეგეს არ მისცემდა ასპარეზს. არ არსებობს საფუძველი რაიმე ტაქტიკური მოსაზრებით იქნას გამართლებული მისი ეს ქესტი და ლიტერატურული პასიურობა ილიას მიერ წამოწყებულ პოლემიკაში. როგორც ლიტერატორს, მას „ძალიც შესწევდა“ ჩაბმულიყო კამათში და ადმინისტრაციული თვალსაზრისითაც „თუ გრ. ორბელიანი ოდნავ მაინც დაინტერესდებოდა, რომ ქართული ჟურნალი არ გამოსულიყო, ეს მისთვის სრულიად იოლი საქმე იყო. იგი მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა და ასეთი პიროვნე-

<sup>1</sup> აქ. გაწერელია, გრიგოლ ორბელიანი, ჩრეული ნაწერები, II, თბ., 1978, გვ. 100.

<sup>2</sup> ე. მაღრაძე, დასახ. წიგნი, გვ. 488.

<sup>3</sup> კ. გამსახურდია, ქართული ენის მეურნეობისათვის, თბზ. ტ. VI, თბ. 1963, გვ. 602.

<sup>4</sup> კ. გამსახურდია, Pater patriae, დასახ. წიგნი, გვ. 439.

<sup>5</sup> იბ. აბ. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1969, გვ. 52—53.



ბის ნება-სურვილზე ძალიან ბევრი იყო დამოკიდებული. ამის  
ვისი ნება-სურვილი პოეტმა იქითკენ მიმართა, რომ ჩვენი ერის  
მომავლის სასიკეთოდ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი და  
ლიტერატურული რეპუტაციის ასამაღლებლად, ახალი ჟურნა-  
ლის დასაარსებლად, იშუამდგომლა სათანადო უმაღლეს ინს-  
ტანციათა წინაშე და ამით ერთგვარი პასუხისმგებლობაც იტ-  
ვირთა.

„1862 წლის 28 თებერვალს გრიგოლ ორბელიანმა პეტერ-  
ბურგს შეატყობინა მის მიერ ილია ჭავჭავაძისთვის „საქართ-  
ველოს მოამბის“ გამოცემის ნებადართვისა და ჟურნალის  
პროგრამის დამტკიცების შესახებ („აქტები», XII, გვ. 238-  
პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, I, 1941, გვ. 302—3),  
რაც იმპერიის სატახტო ქალაქში შეიწყნარეს 1862 წლის 2  
მარტს (იხ. პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 303)<sup>2</sup>, ამ წარ-  
მატების საფუძველი, ცხადია, გრ. ორბელიანის დიდ ავტო-  
რიტეტთანაა დაკავშირებული, რადგანაც რუსეთის საიმპერიო  
კარზე ქართველთაგან თუ ვინმეს უსმენდნენ და ენდობოდნენ,  
ეს პირველყოვლისა გრ. ორბელიანი იყო .

ილია ჭავჭავაძისადმი გრიგოლ ორბელიანის სიმპათიის გა-  
მოხატულებად უნდა ჩაითვალოს ახლადდაარსებულ „საქართ-  
ველოს მოამბეში“ (1863 წ. № 2) მისი ცნობილი მუხამბაზის  
„ვინდ მეძინოს“ დაბეჭდვის ფაქტიც. ლიტერატურის ისტო-  
რიკოსები (გრ. კიკნაძე, აბ. შახარაძე) ილიას მხრივ თავისი უფ-  
როსი თანამოკალმისადმი გულთბილი, საქმიანი დამოკიდებუ-  
ლების აღმნიშვნელ მოვლენად საბავენ იმ გარემოებასაც, რომ  
60-იან წლებში ილია თავის სტატიებში „სიმპათიურად იხსე-  
ნიებს“ და „აფასებს“ გრ. ორბელიანს, ახდენს მისი ლექსების  
ციტირებას. ესაა სწორედ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალ-  
თა ლიტერატურული ურთიერთობის ქვეშარბიტი გამოხატულებ-  
ა და ასეთი რანგის პიროვნებათა ურთიერთდაფასების საქმი-  
ანი ფორმაც. ახლა ბევრი ნაამბობი, ფაქტი და ეპისტოლარუ-  
ლი მასალაა წარმოჩენილი ჩვენს სინამდვილეში, რომლებიც  
გვაუწყებენ ამ ორი დიდი ქართველის სიახლოვეს და ურთი-

<sup>1</sup> აბ. შახარაძე, დასახ. წიგნი, გვ. 53.

<sup>2</sup> გურამ შარაძე, ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქ-  
მედება, თბ., 1987, გვ. 178.

ერთანადგომას. მაგრამ ამ მასალიდან ყურადღებას იქცევს მაინც, საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, გრიგოლ ორბელიანის ყველაზე მკაცრი ოპონენტის, აკაკი წერეთლის მოგონება, სადაც დიდი მგოსანი თავისებურად ჰკენწლავს გრიგოლ ორბელიანს, მაგრამ ილია ჭავჭავაძისადმი მის მიერ გამოვლენილ თანადგომას ნებისით თუ უნებლიეთ გვიდასტურებს; აკაკი გვიამბობს: „ერთხელ დავით ერისთავმა, გლუხარიჩის შვილმა, მოუნდომა ილია ჭავჭავაძეს ბანკის მმართველობიდან გადაგდება და მისი ადგილის დაჭერა. ჩამოიყვანა სულ ტივებით, რადგანაც მაშინ რკინისგზა არ იყო, ხალხი შეიტანა მათ მაგიერ ფული და ითხოვა, რომ ისინიც დამფუძნებლებად ჩარიცხულიყვენ. ახალი მეკენჭეები ერთი-ორად მეტი იყო ძველებზე. დაღონდნენ ილიას მომხრეები, მაგრამ შორსმკვრეტელი ილია კი ყურსაც არ იბერტყდა. დიდის სიამოვნებით მიიღო. მერე მიუბრუნდა ძველ ამრჩევლებს და უთხრა: „საზოგადო საქმისათვის, რაც მეტია ამხანაგი, ისა სჯობსო და ჩვენც უნდა მადლი შევწიროთ ახლად ჩაწერილებს; მაგრამ ხმის უფლება ახლავე უნდა მივცეთ, რაც კანონს ეწინააღმდეგება, თუ შემდეგისათვის კანონისამებრო?“ ძველი ამრჩევლები მიხვდნენ და დაიყვირეს ერთხმად: „შემდეგისთვის! შემდეგისთვის!“ დარჩენ პირჩალაგამოვლებული, როგორც ახალი არჩეულები, ისე ასარჩევიც.

იმ დროს თ-დ გრიგოლ ორბელიანს ჭავჭავაძის მხარე ეჭირა და მშვენიერი, სატკაცატკუტო სიტყვაც წარმოსთქვა. საზოგადოება სულგანაბული უგდებდა ყურს (უმისობა ან კი როგორ იქნებოდა, რომ მაშინ ორბელიანს მთავარმართველის ადგილი ეჭირა). ის სიტყვა ორატორმა ასე დააბოლოავა: „საქართველო შურმა და მეტოქეობამ დაამხო!.. ჩვენი დღევანდელი უბედურება ის არის, რომ მე, ყაფლანიშვილს, და ვილაც ცალქალამანიძეს ერთი და იგივე უფლება გვაქვს მონიჭებული, ერთი და იგივე ძალა!.. იმასაც ჩემდენი შეუძლია ამ საკენჭო საქმეშიო!“<sup>1</sup>

აკაკი წერეთლის ამ მოგონებაში მნიშვნელოვანია არა

<sup>1</sup> აკაკი წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1958, გვ. 117—118.

ცალკეულ ფაქტთა სიზუსტე (მაგ. შეიძლება საკამათო ან დასაზუსტებელი იყოს, თუ როდის დაუპირისპირდა დავით ერისთავი ილიას ბანკის საკითხზე), არამედ თავისთავად მთავარმართებელ გრიგოლ ორბელიანის ჩათვლა ილია ჭავჭავაძის თანამოაზრედ და მხარდამჭერად. აქედან გამომდინარე, საეარაუდოა, რომ გრ. ორბელიანი ახალგაზრდა ილიას მხარში ედგა არა მხოლოდ „საქართველოს მოამბის“ დაარსებაში, არამედ სხვა საერისკაცო საქმიანობაშიც, იმ დროს გრიგოლ ორბელიანის ხმას გარდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მოსაგვარებელ საკითხთა დადებითად გადასაქრელად.

იმის გამო, რომ გრიგოლ ორბელიანს მალალი პოსტი ეჭირა, იმის გამო, რომ ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საქმის მოგვარებისას ის სიღინჯეს და აუჩქარებლობას იჩენდა, ის ფაქტი, რომ მშვენიერი პოეტი უარს არ ამბობდა და სიამოვნებითაც იღებდა მთავრობის ჯილდოებს, — გრიგოლ ორბელიანს „კონსერვატორად“ და „რეაქციონერად“ სახავენ. თავისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე პოეტი გულმხურვალედ ეკიდება ქართულ ეროვნულ-კულტურულ წამოწყებებს, ამ მხრივ შეიძლება გავიხსენოთ მისი ღვაწლი თბილისში ბიბლიოთეკის დასაარსებლად, ეურნალ „ცისკრის“ მეცენატობა, ბატონყმობის გაუქმების კომისიაში დიმიტრი ყიფიანთან ერთად მოღვაწეობა და მოწინავე, დადებითი პოზიციიდან მიდგომა ამ ჩამორჩენილი სოციალური წყობის გასაუქმებლად. ჩვენში არსებული სოციალური სიღუბეჭირის დახასიათებისას გრ. ორბელიანი ყოველთვის ეროვნული თვალსაზრისით აფასებდა მოვლენებს და ბრალს სდებდა რუსულ მმართველობას. აღნიშნული მოსაზრების საილუსტრაციოდ მოვიტანთ ვრცელ ამონაწერს მისი ერთ-ერთი ბარათიდან, რომელიც 1866 წლის 6 სექტემბრითაა დათარიღებული: „ღუბერნატორ აგოლინსა სძულს იმერეთი და იმერეთსა აგოლინი და რაღა კეთილი წარმოსდგება ამგვარი მდგომარეობიდან. ახლა რაღა ჰქნას მთელმა იმერეთმა და გურიამ, რომელთაცა იჩივლეს აგოლინზე და დაუმტკიცეს ფაქტებით უსამართლობა ბატონყმობის საქმეში და უნიჭობა ხალხის მოვლაში“ (ლიტ. მატეანე, წიგნი 1—2, გვ. 301—302)<sup>1</sup>. სხვა

<sup>1</sup> იხ. კ. მეძველიას დასახ. ნაშრომი, გვ. 38—39.

წერილის მიხედვით, გრ. ორბელიანი სავსებით მართებულად ფიქრობს, რომ „მინისტრების მიერ კავკასიის მხარის თავისებურებების მხედველობაში მიუღებლობა, არის უდიდესი უზედურება აქაური მცხოვრებლების სიმშვიდისათვის, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რელიგიით, ენით, ზნეჩვეულებით, მცნების სხვადასხვაობით. მათ თავისებურებების მხედველობაში მიღების გარეშე არ შეიძლება გაგებულ იქნას მოსახლეობის საჭიროებანი და მოთხოვნები“ (ლიტ. მატინე, წიგნი 1—2, გვ. 404).<sup>1</sup> უფრო ადრე, გრ. ორბელიანი მიესალმება ბატონყმობის გაუქმებას და ამბობს: „ასი ათასი სული თავისუფლდება, ასი ათასი სული გამოდის საშინელის მღგომარეობიდან“. პოეტი ფიქრობს, რომ ყველაფერი ეს მიმართულია „სიკეთისათვის საზოგადოებისა“ („სიტყვა წარმოთქმული 1863 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე“). შემდგომში ვხედავთ, რომ ყველა საქმეში, იქნება ეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ხელმძღვანელობა, თუ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში აქტიური მონაწილეობა, — ყველგან გრიგოლ ორბელიანი ჭეშმარიტი მამულიშვილის ენთუზიაზმს ავლენს. ის კი არა და ამ საზოგადოების დასაარსებლად გამართულ შეკრებაზე „გრიგოლ ორბელიანის წინადადებით ყრილობამ მიიღო სახელწოდების ის ვარიანტი, რითაც იგი შევიდა ქართველი ხალხის ისტორიაში — „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.<sup>2</sup> გადმოცემით, „სხდომის მონაწილენი ფეხზე წამომდგარან და თავმჯდომარეობა შეუთავაზებიათ გრიგოლ ორბელიანისათვის, რათა მას ენებებინა „საზოგადოების“ მართვა.

გრიგოლ ორბელიანს ყრილობისთვის მიუმართავს: „დიდადა ვწუხვარ, ჭეშმარიტად, რომ უარი უნდა განვიცხადოთ, ეს საქმე ისე დიდი და მძიმე საქმეა, რომ საზოგადოების თავმჯდომარეცა, იმისი მმართველობაც განუწყვეტლივ შრომაში უნდა იყვნენ, რომ ეს ღვთიური საქმე კეთილად წარიმართოს. მე ყოველთვის მზადა ვარ, რითაც კი შემიძლია საზოგადოებას

<sup>1</sup> იქვე, გვ. 39.

<sup>2</sup> ს. ხუციშვილი, მანათობელი, თბ., 1980, გვ. 24, ის. აგრეთვე: ი. მგერელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1989, გვ. 56.

ვემსახურო, მაგრამ ეს ჯაფა რომ ვიკისრო. არც სიმრთელე მაძლევს ნებას და არც თვითონ საქმის გამოცდილება მაქვს საქმარისი. ამ მიზეზებით ვთხოვთ, მე გამანთავისუფლოთ და თავმჯდომარეობა ისევ იმასა ვთხოვოთ, ვინც თავიდანვე ამ საქმეს აღვია“. და გრიგოლ ორბელიანს დიმიტრი ყიფიანზე მოუთითებია ყრილობისათვის. ამის შემდეგ ყრილობამ დიმიტრი ყიფიანი ერთხმად აირჩია საზოგადოებისა და მის გამგეობის თავმჯდომარედ<sup>1</sup>, და ეს მაშინ, როცა გრ. ორბელიანისა და დ. ყიფიანის ურთიერთობას მძაფრი წინააღმდეგობები უსწრებდა წინ, ერთ დროს ისინი ჯერ გიმნაზიის სასწავლო პროცესის განხილვისას დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ხოლო შემდეგ გრიგოლ ორბელიანი წინააღმდეგი წავიდა თბილისის თავად-აზნაურთა მარშლად დიმიტრი ყიფიანის არჩევისა.

დიმიტრი ყიფიანი, როგორც ტფილისის თავად-აზნაურთა გიმნაზიის საპატიო მზრუნველი, მოწადინებული იყო გიმნაზიაში რუსული ენის სწავლება გაძლიერებულიყო და, საერთოდ, გაზრდილიყო ჰუმანიტარულ დისციპლინათა საათები. გრიგოლ ორბელიანი კი ცდილობდა სასოფლო-სამეურნეო და პოლიტექნიკური საგნების ქართულ ენაზე სწავლება შემოეღო. დიმიტრი ყიფიანი დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა. მისი აზრით, უნდა „გიმნაზიის კურსიდან გამორიცხულიყო ტექნოლოგია და სასოფლო მეურნეობა, ვინაიდან გიმნაზია არის სასწავლებელი საერთო განათლებისა და არა პროფესიონალური“.<sup>2</sup>

გრ. ორბელიანის აზრით, „აქაურ მხარეს... ეხლანდელ დროში უფრო ესაჭიროება პოლიტექნიკური სკოლები... გიმნაზიები, უნივერსიტეტები, აკადემიები ზრდიან ადამიანებს მხოლოდ სახელმწიფო სამსახურისათვის... და არ მოაქვთ არავითარი სარგებლობა თავისი ცოდნით სოფლის მეურნეობისათვის, რომლის აყვავებული მდგომარეობა წარმოადგენს კეთილდღეობის ერთადერთ საფუძველს, როგორც მოსახლეობისათვის. ისე სახელმწიფოსათვის... ჩვენ გვინდა ახლა ადამიანები

<sup>1</sup> ს. ხუციშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 22—23.

<sup>2</sup> დ. ყიფიანი, მემუარები, თბილისი, 1930, გვ. 84.



სხვა მეცნიერების, რომლებიც დაამუშავებენ მიწას, გამოიღებდნენ რა მისი წიაღიდან დამალულ განძებს და ამით გაამდიდრებდნენ თავის თავსაც და სხვა მხარესაც. რა არ არის აქ რკინა, სპილენძი, ტყვია, გოგირდი, მარმარილო, ნავთი, ნახშირი, აბრეშუმი, ბამბეული, ენდრო, ყურძენი, ყოველგვარი ხილი, მეჭოგეობა, მეცხვარეობა, მატყლი, მსოფლიოში საუკეთესო ცხენების ჯოგები, ტყეში კაკალი, წაბლი, უღბობი პალმა, ყველაფერი, ყველაფერი. ამავე დროს მოსახლეობა ღარიბია, ღარიბი. აი, სახელდობრ აქ ერთად ერთ დამხმარებლად შეიძლება მოგვევლინოს პოლიტექნიკური სკოლა და არა ბერძნული ენა. ასეთი სკოლა მოკლე დროში გამოცვლიდა მთელი მხარის სახეს, მოფენდა რა სასარგებლო შრომის ცოდნას, რომლის შედეგია ყველგან და ყოველთვის კმაყოფილება და კეთილდღეობა. 70 წლის განმავლობაში ცოტა რამ შეიცვალა აქ სოფლის მეურნეობაში, იგივე გუთანია, იგივე ურემი მკისა და გალეწვის იგივე ხერხი, რომელიც სპობს ძალას, თვით სიცოცხლესაც მუშებისას და სამუშაო საქონლისას და იგივე მამა-პაპური მარანი“ (ლიტ. მატთანე, წიგნი 1—2, გვ. 307—308).<sup>1</sup> ამ ამონაწერის მიხედვით ვერ ვიტყვით, რომ კონსერვატორი პიროვნება მსჯელობდეს. ესაა საქმეში ღრმად ჩახედული და მასში გარკვეული მოღვაწის თვალსაზრისი, რომელიც ზრუნავს ქართველი ხალხის ეროვნულად საარსებო, რეალურ საქროებაზე.

გრ. ორბელიანი ეროვნული ცხოვრების გადაუდებელი მოთხოვნილებებიდან ამოდის, როცა ჯერ გიმნაზიაში რუსული ენის საათების შემცირების ხარჯზე ქართული ენის სწავლების გაძლიერებას და მასზე დაყრდნობით პოლიტექნიკურ საგანთა შემოღებას მოითხოვს, ხოლო შემდეგ საერთოდ პოლიტექნიკური სასწავლებლების გახსნაზე ოცნებობს. თუ ვინმემ იმდროინდელ საქართველოში რეალურად იცოდა მისი ეკონომიკური ცხოვრების სტრუქტურა და ერკვეოდა ეროვნული განვითარების პერსპექტივაში, ეს გრიგოლ ორბელიანი იყო. ის ვერ ეგუებოდა იმას, რომ ქართველმა გლეხმა თავისი გაუნათლებლო-

<sup>1</sup> გრ. ორბელიანის სიტყვებს ვიმოწმებთ კ. მეძველიას დასახ. ნარკვევის მიხედვით, გვ. 44—45

ბის გამო, მიწის ყადრი არ იცოდა. ხელოსნებად და ტექნიკურ-სებად ჩვენს ქვეყანას კალიასავით მოეფინა უცხო ტომის წარმომადგენლები. ეს უკვე ეკონომიკურსა და სოციალურ პრობლემებში პოზიციების დათმობას ნიშნავდა და ქართული ეროვნული ცხოვრების მომავლის საფუძვლების მოშლასაც.

აქედან თითქოსდა უკვე ჩანს გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულება 70-იან წლებში საქართველოში გაშლილ იმ პოლემიკასთან, რომელსაც ჩვენი ლიტერატორები და ისტორიკოსები 60-იანი წლების, ე. წ. „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლას ვაგრძელებად თვლიან.<sup>1</sup> მაგრამ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ტრადიციული თვალსაზრისი არ გამოხატავს რეალურ ვითარებას. აქ, კამათის ნიადაგი და მოტივები სხვადასხვაა. როგორც ითქვა, ჩვენი ქვეყნის მოღვაწეთა წინაშე მრავალგზის დასმულა ახალი თაობის აღზრდა-განათლების შესაფერის ფორმათა მოძებნის საკითხი. ეს პრობლემა აწუხებდა ადრე დიმიტრი ყიფიანს და გრიგოლ ორბელიანსაც. თუ პირველი ერის სულიერი წარმატების პირობად რუსული და უცხო (ძველი და ახალი) ენების შესწავლის საფუძველზე ახალგაზრდობის გონებრივი პორიზონტის გაფართოებას თვლიდა, მეორე პრაქტიკულ-უტილიტარული აუცილებლობიდან ამოდიოდა, როცა სასწავლო პროცესში ქართული ენის საფუძველზე ეროვნული, ტექნიკური ინტელიგენციის ან, თუნდაც, ტექნოკრატიული ფენის მომრავლებას მოითხოვდა. 70-იან წლებში ამ საკითხმა რეალური განხორციელების პერსპექტივის მხრივ განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა მას შემდეგ, როცა რუსეთში სწავლამიღებული ახალი თაობის წარმომადგენელთა ერთმა ნაწილმა წამოაყენა უნივერსიტეტის გახხნის მოთხოვნა. აღნიშნულმა მოსაზრებამ მეტი რეზონანსი მოიპოვა მას შემდეგ, როცა გაირკვა, რომ „1871 წელს კავკასიაში ალექსანდრე მეორის ჩამოსვლას ელოდნენ. დავა ატყდა: რა შევევედროთ ხელმწიფეს, რა წყალობა გამოვიტხოვოთ. პაექრობამ ქართველი საზოგადოება ორ ნაწილად გაჰყო.

„ერთი ნაწილი ფიქრობდა, ყველაზე მეტად უმადლესი

<sup>1</sup> ამ პოლემიკის ლიტერატურული ასპექტის დახასიათება მოცემულია ამავე წიგნის ერთ ქვეთავში — გრ. ორბელიანის პოლემიკური ლირიკა.

სასწავლებელი იყო საჭირო და სწორედ მისი გახსნა უნდა ეფ-  
ხოვოსო. ეს აზრი პირველად გიორგი წერეთელმა გამოთქვა  
ილიამაც მას დაუჭირა მხარი.

მეორე წყება სამხედრო სასწავლებლის დაარსებას ამჟო-  
ბინებდა. ქართველი საზოგადოების უმრავლესობა, არისტოკ-  
რატიული წარმომავლობისაც კი ღარიბ-ლატაკი იყო. უნივერსი-  
ტეტში სწავლის ქირის გადახდა უჭირდა სამხედრო სასწავ-  
ლებელში, ანუ კადეტთა კორპუსში კი სწავლა ხელისუფლე-  
ბის ხარჯზე შეიძლებოდა. ამიტომ უნივერსიტეტს კადეტთა  
კორპუსი ერჩია ბევრს...<sup>1</sup> ამ პოზიციაზე იდგა ძირითადად  
ქართველი საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც გარკვეული  
თანამდებობები ეკავა და რომელიც სატირულად ჰყავს დაზა-  
სიათებული ილია ჭავჭავაძეს თავის ცნობილ „გამოცანებში“  
და „კიდევ გამოცანებში“. ესენი იყვნენ: რევან ანდრონიკა-  
შვილი, გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი, ივანე მუხ-  
რან-ბატონი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ჯორჯაძე, იასე  
ჭავჭავაძე, ბესარიონ ლოლობერიძე, გრიგოლ ორბელიანი. შემ-  
დეგ უკვე: მიხეილ ლორის მელიქოვი, ლევან მელიქი-  
შვილი, იოსებ თარხნიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი... თავ-  
დაპირველად გრიგოლ ორბელიანს ნეიტრალური პოზი-  
ცია დაუკავებია. მისი ადრინდელი გეგმებიდან გამომდინარე  
ეს გასაგებიცაა, სხვათა შორის თვით ე. წ. „ახალი თაობის“  
წრეშიც არ ყოფილა ერთსულოვნება. ისეთი დიდი პატრიოტი  
და ღრმად მოაზროვნე, როგორიც იყო „ნიკო ნიკოლაძე, არც  
პირველ ნაწილს მიემხრო და არც მეორეს“.<sup>2</sup> საინტერესოა,  
რით შეიძლება აიხსნას ქართული საზოგადოების უთვალსაზი-  
ნოეს წარმომადგენელთა გვერდით ისეთი რადიკალურად მო-  
აზროვნე ევროპული ყაიდის მოღვაწის, როგორიც ნიკო ნიკო-  
ლაძე იყო, იმგვარი პოზიცია, რაც მას აახლოებს გრიგოლ ორ-  
ბელიანთან? საქმე ხომ ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას  
ეხება, როგორიც თბილისში უნივერსიტეტის დაარსებაა. ქარ-  
თველ თავად-აზნაურთა ნივთიერი გაჭირვება არ იყო მხოლოდ  
იმის მიზეზი, რომ უნივერსიტეტის ნაცვლად სამხედრო სას-  
წავლებლის დაარსება მოეთხოვათ ქართველთა გარკვეულ

<sup>1</sup> აკაკი ბაქრაძე, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1989, გვ. 111.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 111.

ჯგუფს. ისეთი მოღვაწეები, როგორც მაგალითად ვ. ორბელიანი და დ. ყიფიანი იყვნენ, საქართველოს მომავლისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართული სამხედრო კადრების გაზრდას. გრიგოლ ორბელიანი ქართველების სამხედრო დაბეგვრის წინააღმდეგ იყო.<sup>1</sup> ზემოთაც ითქვა და ახლაც შევახსენებთ, რომ პირველად ეს საკითხი გიორგი წერეთელმა დასვა 1871 წელს. მან ჯერ ეურნალ „კრებულში“ (№ 5) გამოაქვეყნა წერილი სათაურით „რა გვჭირდება“ და შემდეგ იმავე წელს, გაზეთ „დროებაში“ (№ 26.3.VI<sup>1</sup>) დასტამბა სტატია: „საჭიროა კავკასიაში უნივერსიტეტი თუ არა?“<sup>2</sup> აქ ვკითხულობთ: „ხალხისთვის კეთილდღეობის მსურველთ სხვადასხვა რამ მიაჩნიათ, რაც ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდება: ზოგს სოფლის სკოლები, ზოგს პურის მაღაზიები, ზოგს სასოფლო ბანკები.

ცხოვრება ისეთი რთული რამაა, რომ მის მოსაწესრიგებლად მხოლოდ ერთი რომელიმე საგანი საკმარისი არ იქნება. საჭიროა ისეთი კაცები, რომლებსაც ხალხის კეთილდღეობისათვის გული შესტკივათ და საკმაო ცოდნაც აქვთ.

ამისთანა კაცებს საზოგადოებას უმაღლესი სასწავლებლები უმზადებენ და ამ სასწავლებელში პირველი ადგილი, უეჭველია, უნივერსიტეტს უჭირავს. უნივერსიტეტსავით ყმაწვილკაცს ვერც ერთი სხვა სასწავლებელი ვერ გაუხსნის გონებას და ვერ გააგებინებს ხალხის საჭიროებას და მოთხოვნილებას. თვით ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნის გარდა, ყოველ ყმაწვილს კაცს ის პატიოსნებას და მოქალაქეობის თესლ უნერგავს გულში... უნივერსიტეტის წყალობით, ჩვენ გავიცნობდით ჩვენ თავს, ჩვენ შევიტყობდით რამდენი სიუხვე მოუცია ჩვენი ქვეყნისთვის ბუნებას და მისივე შეწევნით ამ სიმდიდრის გამოყენებას დავასწავლიდით.

შეიძლება ჩვენში უნივერსიტეტის გახსნა თუ არა? თუ კიევში, ყაზანში, ხარკოვში, ოდესაში შესაძლებელი იყო, ტფილისში რატომ არ შეიძლება? იქნებ ვინმემ სთქვას,

<sup>1</sup> შ. მეგრელიძე, ჩვენი სახელოვანი წინაპრები, თბ., 1979, გვ. 141.  
<sup>2</sup> ნ. უსურაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1989, გვ. 88—92.  
<sup>3</sup> აღნიშნულ სტატიაზე მიგვითითა დოც. ნ. ქლენტმა.

სხვა უნივერსიტეტებშიც ნაკლებია პროფესორები და ჩვენ ვინ მოვაო? იქნებ ისიც სთქვან მოსწავლეები ნაკლებად იმნიშვნელოვანნი?

რაც შეეხება პროფესორებს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პეტერბურგსა და ოდესის გარდა, უმეტესი ნაწილი პროფესორებისა, ჩვენში უფრო დიდის სიამოვნებით წამოვლენ, ვიდრე დანარჩენ პროვინციების უნივერსიტეტებში...

რუსეთში კავკასიისთანა მეორე მხარე არ მოიპოვება, სადაც ამდენი ბუნების სიმდიდრე, ნაირ-ნაირი მოვლინებები, ნაირნაირი პირუტყვები, მცენარეები და მადნეულები იპოვებოდეს და სადაც ისე ნაკლებად იყვნენ ესენი გამოკვლეულნი. მაშასადამე, რამდენ მასალას იპოვნიან ჩვენში ბუნების გამომამჩიებელი პროფესორები? სხვაგან ასეთ პატარა სივრცეზე სად იპოვით იმდენ სხვადასხვა ტომის ხალხებს, ათასნაირ ენებზე მოლაპარაკეს და ათასნაირი ჩვეულებების დამფარველთ? მაშასადამე, ფილოლოგები და ლინგვისტები რამდენ მასალას მოკრეფენ აქ თავიანთი მეცნიერებისათვის? აგრეთვე მატემატიკისა და სხვა ფაკულტეტების პროფესორებიც. უიქველია, დიდის კმაყოფილებით წამოვლენ ჩვენში.

სტუდენტობის ნაკლებობის შიში კი სრულიად არ უნდა გვექონდეს, გამოიანგარიშეთ რამდენი გიმნაზიაა კავკასიაში. (გარდა თბილისისა და ქუთაისისა, გ. წერეთელი მოიხსენიებს, სტავროპოლის, ბაქოს, ერევნის, ვლადიკავკაზის გიმნაზიებს — ი. ე.) რამდენი ყმაწვილი კაცები ათავენს იმათში ყოველწელიწადს კურსს და დავრწმუნდებით, რომ ჩვენი მომავალი უნივერსიტეტის აუდიტორიებიც ცარიელი არ დარჩებიან“.

როგორც ვხედავთ, საკითხი ეხება უნივერსიტეტის გახსნას თბილისში. მაგრამ აქვე ისმის კითხვა: რა ტიპის უნივერსიტეტზეა აქ ლაპარაკი? თვით გიორგი წერეთლის სტატიის სათაურიდანაც აშკარად ჩანს, რომ საქმე ეხება თბილისში არა ეროვნული უნივერსიტეტის გახსნას, არამედ ე. წ. „კავკასიის უნივერსიტეტს“. აქ ლაპარაკია, კავკასიის სხვადასხვა რეგიონიდან არაქართველი ახალგაზრდობის მოზიდვაზე. ავტორი ცდილობს დაასაბუთოს რუს პროფესორ-მოსწავლეებელთა ჩამოსახლების აუცილებლობა ადგილობრივ მკვიდრთა ეკონომიკური და კულტურული დონის ასამაღლებლად, მისი

კეთილსმყოფელი ზემოქმედება და სხვ. მაგრამ ყველა აქ ჩა-  
მოთვლილი ღირსებების მიუხედავად აშკარაა, რომ ეს უნივერ-  
სიტეტი რუსული უნივერსიტეტია.

ამ სტატიის ავტორის და მის თანამოაზრეთა პოზიციას როცა ვეცნობით, კვლავ შეიძლება წამოიჭრას კითხვა: ჰქონდა კი ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით თბილისში საერთო კავკასიური, რუსული უნივერსიტეტის გახსნას გამართლება? როგორც ჩანს, გ. წერეთელს და მის თანამდგომთ კეთილ-შობილური ჩანაფიქრი გააჩნიათ, მაგრამ შორსმჭვრეტელობა არ აკონტროლებს ამ სურვილს. დღევანდელი ქართველისათვის, რომელიც კარგად ერკვევა ჩვენში შექმნილ დემოგრაფიულ და ეთნო-კულტუროლოგიურ პროცესებში, ძნელი არაა იმის შემჩნევა, თუ რას მოუტანდა XIX საუკუნის 70-იან წლებში რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით სულიერად და ფიზიკურად ისედაც მოუძღვრებულ საქართველოს თბილისში ხარკოვის, ყაზანის, კიევის, ოდესის ტიპის რუსული უნივერსიტეტის დაარსება. დემოგრაფიული თვალსაზრისით მთელი კავკასიის რეგიონში განლაგებული გიმნაზიებიდან მოსწავლენახალგაზრდობის მოზიდვა (ყველა ტომის წარმომადგენლობა), რუსული პროფესურის ოჯახებით საქართველოში ჩამოსახლება-დამკვიდრება — ეს ხომ ნება-უნებლიეთ საქართველოს გარუსების ეფექტური გზა იყო. „შეგნების მაგალითს ინტელიგენცია უნდა აძლევდეს ქვეყანას“, — გვასწავლის დიდი აკაკი, მაგრამ გამოდგებოდნენ კი. ქართველთა ეროვნული შეგნების ასამაღლებლად რუსეთიდან ჩამოსახლებული თუნდაც ნიჭიერი რუსი პროფესორები? ისინი ხომ ბუნებრივად მოიტანდნენ აზროვნებისა და ცხოვრების რუსულ წესს, რასაც მოჰყვებოდა რუსული პრესის, რუსული კულტურული გარემოს გაძლიერება. გენიალური ვაჟას თქმით, „ინტელიგენციამ უნდა... განასპეტაკოს ერის გრძნობა, მოაშოროს ქანგი და ქუჭყი მის გულს“ — მაგრამ, რასაკვირველია, ინტელიგენცია, რომელიც თავისი მოღვაწეობის ბალავარად რუსულ ენას, რუსულ პრესას, რუსული ცხოვრების წესს მოიმარჯვებდა, ერის სულის „განმასპეტაკებლად“ ვერ გამოდგებოდა; ამიტომაც იყო, რომ დიდი პოეტი მოგვიანებით ებრძვის კიდევ ამგვარ

„ფერუსულობას“ და ეროვნული სკოლის უქონლობას აერ-  
ვნებისა და გათახსირების“ საფუძვლად თვლის.

ეტყობა, რუსეთის კულტურულ ცხოვრებას ნაზიარებ, ნა-  
თელი იდეალების მქონე ქართველთა ერთ ჯგუფს ჯერ კიდევ  
არ ჰქონდა გავლილი პრაქტიკული და პოლიტიკური მოღვაწე-  
ობის მკაცრი სკოლა და თავიანთ სამოქმედო პროგრამას უფ-  
რო ვიწრო, დროითი ფარგალით საზღვრავდნენ. თუნდაც გ. წე-  
რეთლის ზემომოტანილ სიტყვებში აშკარად ვხედავთ, რომ ავ-  
ტორი ემოციურად ხატავს ჩვენი ქვეყნის ბედნიერ მომავალს...  
როგორც ჩანს, რუსეთის სამხედრო-ადმინისტრაციულ სკოლა-  
გამოვლილი იმპერიის ყოფილი დიდმოხელე, გრ. ორბელიანი,  
უფრო კარგად ერკვეოდა ცარიზმის მმართველობის შორს გა-  
მიზნულ ზრახვებში. მან იცოდა, რომ საქართველოს დაპყრობის  
შემდეგ რუსეთის ყოველი მეფე ქართველთა დემოგრაფიულ გა-  
დაგვარებას უგეგმავდა კავკასიაში წამოსულ ყველა მოხელეს,  
ქართულ სხეულში რუსული სულის აღზრდას უსახავდა მიზნად  
ყველა მმართველს და ამიტომაც იკაებებს თავს ის თბილისში  
უნივერსიტეტის დაარსების თხოვნაზე. წერილებიდან კარგად  
ჩანს, როგორი გულსტკივილით ლაპარაკობს გრ. ორბელიანი  
რუს მოხელეთა უმსგავსობაზე, თბილისის სახის ცვლაზე, აფ-  
ხაზეთისა და აჭარის მკვიდრ მცხოვრებთა განსახლებაზე. ჯერ  
კიდევ ახალგაზრდა გრ. ორბელიანი იყო მოთვალთვალე, თუ  
როგორ აყარა საიმპერიო კარის მითითებით პასკევიჩმა სამც-  
ხე-ჯავახეთში 1500 ქართული ოჯახი, რამაც სავალალო მდგო-  
მარეობა შეუქმნა ამ მხარის ეროვნულ განვითარებას. ყოველ-  
თვის ილია ჭავჭავაძის მხარდამჭერი გრიგოლ ორბელიანი, აღ-  
ბათ, ამიტომაც არ ამოუდგა გვერდით თავის უნიჭიერეს ახალ-  
გაზრდა თანამოკალმეს, უნივერსიტეტის გახსნის საქმეში. სა-  
ფიქრებელია, მუდამ ურთიერთის გამტანი და თანამოაზრე,  
ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლის პოზიციებიც სხვადა-  
სხვა აღმოჩნდა იმის გამო, რომ ევროპულ ეკონომიკურ და  
პოლიტიკურ ცხოვრებაში სერიოზულად ჩახედულმა, ღრმად  
ანალიტიკური ჭკუის ნიკო ნიკოლაძემ უფრო კარგად დაინახა,  
რუსული უნივერსიტეტის დაარსებას, თუ რა დემოგრაფიული  
და ეთნოკულტურული კრიზისები შეიძლებოდა მოპყო-  
ლოდა... რაც შეეხება აკაკი წერეთლის დამოკიდებულებას გრი-

გოლ ორბელიანთან, მას უმეტესად პიროვნულ-ლიტერატურული სარჩული უდევს და საზოგადოებრივ ელერადობას მისი პოლემიკა „ნოვგოროდის“ „ლიბერალთან“ ნხოლოდ მაშინ იძენს, როცა ყოფიდან პოეზიაში ინაცვლებს კამათი.<sup>1</sup>

• • •

5) რა შეიძლება ითქვას ბრალდების იმ ნაწილზე, რომლის მიხედვით გრიგოლ ორბელიანი, პოეტი, რომელსაც ეკუთვნის დამძვრი ურთიერთობის ამსახველი უბრწყინვალესი მხატვრული დოკუმენტი „ჩემს დას ეფემიას“, უყურადღებოა და გულცივი გაჭირვებაში ჩაეარდნილი დის ოჯახისა და განსაკუთრებით, გენიალური დისწულის, ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი.<sup>2</sup>

ვიცი, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა 1845 წელს. იმხანად გრიგოლ ორბელიანი, როგორც ადმინისტრატორი, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფიგურა არ ყოფილა, რომ თანამდებობრივი უფლებები გამოეყენებინა და თავის დისშვილს დახმარებოდა. მას, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, ნ. ბარათაშვილისათვის ხელის გაწვდენა არ შეეძლო. რაც შეეხება საყვარელი დის ეფემიასადმი, მისი ოჯახისადმი მორალურ-სულიერ თანადგომას და მატერიალურ დახმარებას, შესაძლებლობის ფარგლებში მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გრ. ორბელიანი ამ ყურადღებას მათ არ აკლებს. და ეს მაშინ, როცა თვით პოეტსა და მის ძმებს მატერიალურად უჭირთ, მელიტონ ბარათაშვილი კი ქეიფებსა და ოროსკარებაში ფლანგავს ნამზითვ ქონებასაც კი. ნათქვამის ჩხადსაყოფად მივმართავთ ფაქტებს. ახლობლებისადმი მიწერილ ბარათებში ძალზე ხშირად ფიგურირებს ნიკოლოზ ბარათაშვილი.

<sup>1</sup> ამ პოლემიკის ლიტერატურული შინაარსი განხილულია წიგნის შესაბამის თავში.

<sup>2</sup> მაგ., პოეტის თვით ისეთი თავყანისმცემელიც კი, როგორც იონა მეუნარგია იყო, წერდა: „სამწუხაროდ, გრ. ორბელიანმა ვერა და ვერ მოუხერხა რა თავის დისწულს, დაუდევნელობით მოუვიდა — უეჭველია, ეს საქმე, თორემ ისეთი მაღალი ადგილი ეჭირა, რომ ადვილად შეძლებდა იმის შემწეობას“ (იხ. ი. მეუნარგია, ქართული მწერლები, I, თბ., 1954, გვ. 188).



თაშვილის, მოფერებით ტატოს სახელი. „ტატიკოს ჩემსავე აკოცე“<sup>1</sup>; წერს 1834 წელს პოეტი უმცროს ძმას ილია ორბელიანს... 1835 წლის 11 აპრილს, აღდგომა დღეს, მეორე ძმას ზაქარიას მიმართავს: „მელიტონის უიმედოდ ავადმყოფობამ ძალიან შემაწუხა — მთელი ღამე მწუხარებისაგან თვალი არ მომიხუჭავს — რა უნდა ჰქნას საბრალო ეფემიამ, თუ მართლა ეს უბედურება მიაღგა! რით უნდა შეინახოს თავისი წვრილი შვილები და ანუ რით გადაიხადოს ვალები, რომელიც უქველად ბევრი დარჩება... ჩუენც ასეთს სიღარიბეში ვართ, რომ შემწეობა მაგთენი არა შეგვიძლიან რა. ახ, ღმერთო, რა უბედური ოჯახი შეიქმნა სახლი ჩვენი. ოხ! რა ძნელია მოსათმენად, რომ კაცი ჰხედავდეს ესრეთ გულთ საყუარელს დას უკანასკნელ განწირულობაში და არ შეეძლოს შემწეობა — მომწერე ვეთაყვა ზაქარიავ, ყოველივე ეფემიას დაწვრილებით, ნურას დამიმაღავ ჩემს სანუგეშოდ — Нельзя ли её поместить в нашем доме какнибудь до времени? ... გრიგოლ ორბელიანის ეს მწარე ამონაკვეთი არის პასუხი იმავე წლის 18 თებერვალს ზაქარიას წერილზე, სადაც ხაზგასმულია, თუ რა მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა მელიტონის ხელგაშლილობამ ოჯახი. ზაქარიაც წუხილით უამბობს გრიგოლს ამ მძიმე ამბავს: „ჩემო უძვირფასესო და სიცოცხლეც ძმავო გრიგოლ — „Мелитон очень болен“... ოჰ, როგორ დაღუბა თავისი სახლი და ცოლშვილი, ერთი გროში არა აქვსთ, ან რით უნდა დაიმარხოთ ან რით უნდა იცხოვრონ ცოლშვილმა იმის შემდეგ... ეს-ღაც ზღუაა ამის ხარჯი, ვგონებ 5000 რუბლსა ხარჯავდეს წელიწადში — და საბოლოოდ კი ფიქრი არა ჰქონია“<sup>3</sup>. 1837 წელსაც ზაქარია გამწარებით წერს გრიგოლს: „მელიტონ იყო ავით ჩემს გამოსვლის დროს 21 იანვარსა, ვგონებ ეხლა კარგად იყო. რა უნდა ვჰქნათ იმის შემდეგ, ან იმის ცოლ-შვილს რა ვუყოთ, ან იმის ვალსა“<sup>4</sup> და ეს ხდება მაშინ, როცა გრიგოლიც და ზაქარიაც უბრალო ოფიცრებია. 1840 წლის 11 სექ-

<sup>1</sup> გრიგოლ ორბელიანი, წერილები, I, გვ. 15.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>3</sup> გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტ. მუზეუმის ორბელიანების ფონდი № 16267, გვ. 2.

<sup>4</sup> სცსა, ფონდი № 481, აღწ. № 2, საქმე № 364, გვ. 33—34.

ტემბერს თავის ერთ მეგობარს გრიგოლი სწერს: „მამის ჩემის გარდაცვალების წიგნი მივიღე... ვთხოვ სამი თუმანი მიწოდონო“.<sup>1</sup> ნივთიერად უჭირს გრიგოლ ორბელიანს, როცა იმავე მეგობარს ეხვეწება, რომ ცოტა ხნით კიდევ დააცალოს ვალის გადახდა: „შენი ჭირივე, ცოტა ხანს მომითმინე, თხუთმეტი თუმანი მქონდა თანა. ათი იქ დავხარჯე... ამ კვირა გამოვართმევ უთუოდ და მოვართმევ თქვენმა მზემ, ნუ დამემდურებით, ხომ იცით როგორი ძნელი არის გამორთმევა, თორემ აბა, რას გეშარტლები. ვალი ხომ ვალი არის“.<sup>2</sup>

როცა ნიკოლოზ ბარათაშვილი გიმნაზიის კურსს ასრულებს, რიგაში მყოფი გრიგოლ ორბელიანი თავისებურად ზრუნავს ზეგარდმო ნიჭით ცხებული დისწულის ბედზე; ამას მოწმობს შემდეგი სიტყვები: „რასა იქს ტატიკო, კიდევ კოჭლობს თუ აღარა? და ან რას ჰსწავლობს? ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს На казенном иждивении იმისი გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში — Жаль, очень жаль будет если его умственные способности останутся без развития. ნეტავი გაგზავნოს დერპტსკის უნივერსიტეტში, რომელიც არის უპირველესი რუსეთში, — ძალიან ადვილია ამის აღსრულება, თუკი მელიტონი ჰსთხოვს ბარონს“. ამ დროს მელიტონი თბილისის მაზრის მარშალი, აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა მარშლის პირველი მოადგილე და მთავრობის მიერ განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირია, დაახლოებული მმართველ აპარატთან იმდენად, რომ „1837 წელს, როდესაც იმპერატორი ჩამოვიდა თბილისში, თარჯიმნობას იმპერატორთან მელიტონი ეწეოდა“ (პ. ინგოროყვა); მართლაც, თუ ვინმეს შეეძლო დიდი მონაცემების მქონე ნიკოლოზ ბარათაშვილის გზაზე დაყენება, ეს, პირველ ყოვლისა, მამამისს შეეძლო და არა რიგით ოფიცერს გრიგოლ ორბელიანს.

თავად ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჩვენი მკვლევრებისაგან განსხვავებით, გრ. ორბელიანს კი არ ადანაშაულებს ამაში, არამედ მშობლებს და, კერძოდ, მელიტონის ავადმყოფობას თვლის საკუთარ ოცნებათა მსხვრევის მიზეზად. „საყვარელო ძიავე! — სწერს ის 1837 წლის თებერვალში გრიგოლ ორბე-

<sup>1</sup> ფონდი 481, საქმე № 365, გვ. 4.

<sup>2</sup> იქვე.

ლიანს, — აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კერძო  
დავასრულე და ვიმყოფები სუდაირასპრავაში. წარდგენილ  
ვარ ჩინზედ... ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსუ-  
ლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯა-  
რისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან  
კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში, მაშ, რალამ დამიშალა  
თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელ-  
თა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო, და თუ არ ინვა-  
ლიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო... მაგრამ რადგანაც  
შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ესთხოვე უნივერ-  
სიტეტში გაგზავნა... არც ეს შემისრულეს, უბედურებისა გამო,  
მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე ასე  
მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასო,  
იქნება მე ველარც კი გავაწიო ამ სნეულებასო, შენს სახლს  
არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ  
შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში;  
განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა,  
თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას: ან  
ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება“... ეტყობა „ჯა-  
რისკაცობის სურვილი“ ვერ ამოიღო გულიდან მეოცნებე პო-  
ეტმა, რომელსაც, ვინ იცის, რა რომანტიკულ ფერებში წარმო-  
ედგინა დალესტნის მთებში შამილის წინააღმდეგ მიმდინარე  
ბრძოლების ხილვა, აკი სწერს კიდევ იქ მყოფ გრიგოლს-  
„სირცხვილია, მაგ საშინელებაებში პოეზიამ არ გაიღვიძოს, და  
თუ ემირს ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და  
სტატისტიკა მაინც უბრძანე, რომ დაწერონ“. ამ ბარათის  
დაწერიდან ერთი წლის მერე, 1844 წელს, ის თვით შექქმნის  
ამ თემაზე ლექსს „ომი ქართველ თავად-აზნაურ-გლეხ-  
თა...“ მანამდე კი ნიკოლოზ ბარათაშვილს ბიძისთვის უთხოვ-  
ნია, დალესტანში მოქმედი დივიზიის უფროსთან, პავლე იაკო-  
ბის ძე რენენკამფთან, ეშუამდგომლა, რათა ტატო მიეღო სამ-  
სახურში. როგორც ჩანს, გრიგოლს დაგვიანებია საქმის მოგ-  
ვარება, ან შეიძლება კიდევ დალესტნის მიუვალ მთებში, სამ-  
ხედრო უწყებაში კოჭლი მოხელის მუშაობა გერმანული წყო-  
ბის რენენკამფს არ აწყობდა...

საფიქრებელია, უარყოფითი პასუხის შეტყობინება

ეუბერხულა გრ. ორბელიანს. ამ გარემოებას დიდი მგოსანი გაუბრაზებია კიდევ. აქ წერს სწორედ ნიკ. ბარათაშვილი იმ სტრიქონებს, რაც ასე ხშირად მოაქვთ ბიოგრაფებს გრ. ორბელიანის გასამტყუნებლად. აი, რას სწერს ამასთან დაკავშირებით ნიკ. ბარათაშვილი: „კაცი მინდა, რომ ამ პატარა კლდე-ღრეს გამიყვანოს, და დაედგე გაშლილს ადგილს. ოპ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ... ჩემი ფიქრი მანდეთ მოქრის, ეცადე, რომა რენენკამფთან დამანიშვნირო, ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის“... ამ სიტყვებს მოსდევს სკეპსისით დატვირთული პოეტის ცნობილი სენტენცია: „ვიცი, დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულეზის ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება“. — ეტყობა, ნიკ. ბარათაშვილი ამჩნევს, რომ ძალზედ სერიოზული განსჯით და ექვით გააჯერა ბარათი და უკვე მისთვის ჩვეული იუმორით ამსუბუქებს წერილს, როცა აღნიშნავს: „მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განსჯას გამიტრიზავენ, ემირობა მასხრად აიგდე, და მომავლის დიდების ფიქრს რას უზავ? სხვებრ შენ იცი — ახლა ქალაქის ამბავს მოგწერ“, — წერს ტატო და ბიძას აწვდის ფერადოვან ამბავთა აცმას, თან ამუნათებს მას, რომ დაღესტნის სისხლისღვრის „საშინელებებს“ პოეტური თვალით შეხედოს.

ბიძა-დისშვილს სულიერად ძალზედ ახლო ურთიერთობა აქვთ, იმდენად, რომ ნიკ. ბარათაშვილი ლექსებს უგზავნის წასაკითხად, უძღვნის მას კიდევ მშვენიერ ლექსს. მიმართვის ფორმები ასეთი აქვს: „ძია გრიგოლ“, „ძმაო გრიგოლ!“ გენიალური დისწული ხშირად მოაგონებს და აქეზებს გრ. ორბელიანს, რომ აკაკის სიტყვის პერიფრაზებით რომ ვთქვათ, „დაიბრუნოს თავის მუზა“... „დააწკარუნოს თავის სანთური“, „სირცხვილია, მაგ საშინელებაებში არ გააღვიძოს პოეზია“. როგორც ვთქვით, ნიკ. ბარათაშვილისადმი შეუუნელებელ ყურადღებას ავლენს გრ. ორბელიანი ყოველთვის. მას კარგად აქვს დანახული დისშვილის დაუდგრომელი, მეოცნებე ხასიათი, როცა 1843 წელს, თავად მშვენიერი პოეტი, ილია ორბელიანს სწერს: „ჩვენი ტატო პოეტია, და პოეტის ხასიათი ხომ ვიცი, ოღონდ ყური დაუგდო, თორემ აღარ გაათავებენ. მაგისი იმე-



დი მაქვს, რომ კარგად გატენილს წიგნებს მოიწერება ჩემთან მალიმალ“.<sup>1</sup>

გრიგოლ ორბელიანის მხრივ ბარათაშვილთა ოჯახისადმი ამ შეუხელებელი ყურადღების გამოხატულებაა 1845 წლის 7 იანვარს ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილი ბარათი: „ილიასაგან მომვიდა წიგნი, რომელშიაც მაცნობებს მელიტონის დაბლობასა. შენი მტერი შეწუხდეს ისე, როგორც მე ამ ამბითა, რა უნდა ჰქმნას სიყრმითვე ეფემიამ, რით შეინახოს წვრილი შვილები, სრულიად ლატაკად შთომილნი, ტატოც ნახჩევანში წასულა ლევანთან ერთად — ამდენს ჩვენის თავის ვაი-ვაგლახს ესღა გვაკლდა, რა უყოთ, რათა ან როგორ შევეწივნეთ უსახლკაროსა, უბუროსა; უტანისამოს ჩვენს დასა? ეს ფიქრი მაგიეებს სრულიად, ნეტავი მოგვკუდუ და ამდენს სიგლახაკეს მოვრჩე.“<sup>2</sup> თითქოს წინასწარ გრძნობს მოსალოდნელ უბედურებას, ისე აღელვებით სწერს 1845 წლის 12 ნოემბერს თემირხან-შურიდან ავადმყოფი გრიგოლ ორბელიანი ილია ორბელიანს: „ჩემი გულით საყვარელს, ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? უცნობლობა მკლავს, შენ მიხაკოსათვის მოგეწერა ტატოს უიმედოდ ავათმყოფობა, ამანაც წიგნი არ მანგუნა, ისე ზეპირად მითხრა, მაგრამ ასე მითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს. — ახ ეს დამალვა რა არის?... აქაურმა ცხოვრებამ, ძაღლის ცხოვრებამ და ამ უცნობლობამ ტატოსთვის მე ავათ გამხადეს; ეს ექუსი დღეა ვწევარ... თუ ხატი გწამს, მომწერე ტატოს ამბავი სიწრფეობით“.<sup>3</sup> იმავე წლის 29 ნოემბერს გრიგოლ ორბელიანი გებულობს გულსაკლავ ამბავს და საყვარელი დისშვილისა და პოეტის გარდაცვალების გამო იღებს ნუგეშს ძმის — ილია ორბელიანისაგან: „ამ საწყლუნის მელიტონის და იმის ცოლშვილის ყურებისათვის ვეღარ გამიძლია; გულს ცეცხლი მეკიდება, გვიჟდები და აღარა მესმის რა; ჩვენი სიცოცხლე ტატო გარდაიცვალა განჯას და იფიქრე ჩვენი ცხოვრება — ნეტავი შენა, მელიტონს და ეფემიას არა ხედავ! შენი ჰირიმე გრიგოლჯანი! ესე ამბავი ჭრისტიანებრივი მოთმინებით მიიღე და ნუ შეიწუხებ მა ავათმყოფობაში თავსა“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, წერილები, I, გვ. 68.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 106.

<sup>3</sup> გრიგოლ ორბელიანი, წერილები, I, გვ. 118.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 284.

და გრიგოლ ორბელიანიც სწორედ „ქრისტიანებრივი მოთმინებით“ იტანს კიდევ ერთ სულიერ ტრავმას.

სამწუხაროდ, ჩვენამდე არაა მოღწეული წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც იყოს წარმოდგენილი გრიგოლ ორბელიანის აზრი ნიკოლოზ ბარათაშვილზე როგორც შემოქმედზე, მისი პოეზიის ავ-კარგზე... მაგრამ გამორჩეულად მაღალი აზრისა რომ იყო გენიალური დისწულის პოეტურ ნიჭზე, ამას გვიდასტურებს ზაქარია ჭიჭინაძე. მისი გადმოცემით, ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილმა მოიწადინა თურმე გრიგოლ ორბელიანის „50 წლის მწერლობის სახსოვრად დღესასწაულის გამართვა“. ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, „მაშინ ორბელიანმა უარი სტკიცა და სთქვა: რას გაუგებებიან ესენიო, რის იუბილეი, რის დღესასწაული და რის ეს მასხარაობაო... ეს რაებს იგონებენ ბატონოვო... თუ მაინცა და მაინც არ იშლიან აგერ რუსთაველი, გურამიშვილი და ბარათაშვილიო“.<sup>1</sup> ქართული პოეზიის მანათობელ ვარსკვლავთა — რუსთაველისა და გურამიშვილის სახელთა გარემოცვაში გრიგოლ ორბელიანის მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მოქცევა — თავისთავად მიუთითებს, თუ რაოდენ დიდ მოვლენად მიაჩნდა პოეტს თავისი სულით და ხორციით უახლოესი პოეტი — ჩვენი ლიტერატურის მშვენება და სიამაყე — ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ამ შემოქმედთა ეპისტოლარულ მემკვიდრეობათა და პოეტური შეხვედრების გაცნობა გვარწმუნებს,<sup>2</sup> რომ, იმდროინდელ საქართველოში თუ ვინმე უგებდა და შემოქმედებითი ნათესაობით ახლოს იდგა ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ეს გრიგოლ ორბელიანი იყო.

გრიგოლ ორბელიანს საყვედურობენ, რომ მას შეეძლო და ნივთიერ-მატერიალური დახმარება არ გაუწია გაქირვებაში მყოფ დასა და დისშვილებს.

ვთქვათ, ავადმყოფი მეღიჯონ ბარათაშვილიც რომ დათანხ-

<sup>1</sup> ბესიკი თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე და თ. გრიგოლ ორბელიანი. ზ. მთაწმინდელისა, თბილისი, 1885, გვ 64.

<sup>2</sup> ვრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის პოეტური ნათესაობის შესახებ, იბ. ს. კილაია, ლიტერატურული წერილები, თბ., 1946, გვ. 3—27.

მებუღიყო ერთადერთი ოჯახის მარჩენალი ვაჟის ფნივერს<sup>1</sup> ტეტში გაგზავნას, თავად გაჭირვებაში, ვალებში მყოფ გრიგოლ ორბელიანის ოჯახს შეეძლო კი პეტერბურგსა თუ რუსეთის რომელიმე ქალაქში ერჩინა თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი? მით უფრო, რომ ამ დროს მას ჯანმრთელობამაც უმტყუნა, ჰქონდა კი ამის სახსრები ვალებით მცხოვრებ სამ ძმას? რაც თავს მოესწრო გრ. ორბელიანი, ის თავისი მცირე ბიუჯეტიდან ყოველთვის აწვდიდა ეფემიას გარკვეულ თანხას. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ ახალგაზრდა გრიგოლ ორბელიანი თავის რძალს სწერს: „შენ მაინც მომწერე... მოუვიდა თუ არა ეფემიას ხუთი თუმანი ჩემგან“.<sup>2</sup> და ეს მაშინ, როცა პოეტს გარკვეული არა აქვს, თუ „რამდენიღა გვაქვს ვალი?...“<sup>3</sup> (იქვე) ტატოს ამბავი რათ ვერ მომწერე... ეფემიას დიდი ხანია მიწერე წიგნი და ლექსები გამოუგზავნე. არც ის ვიცი, მოუვიდა თუ არა“. — სწერს იმ ხანებში გრ. ორბელიანი ზაქარიას. 1845 წლის 11 მარტს, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, კვლავ ვალებში მყოფი გრიგოლ ორბელიანი ეხმარება დის ოჯახს. ამას ადასტურებს ილია ორბელიანისადმი მიწერილი ბარათი: „რაოდენიცა არის ჩვენი ვალი დარჩომილი?... ეს კერპული მოუწერლობა რა არის? ეგრეთვე არ ვიცი მიიღე თუ არა ხუთი თუმანი გამოგზავნილი ჩემგან ეფემიასთვის“.<sup>4</sup> ასე გრძელდება ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგაც. 1848 წლის 15 მარტს გრიგოლი რძალს, ქეთევან ორბელიანს, ეხმიანება: „ჩემის დის ეფემიასათვის გამომიგზავნია ხუთი თუმანი, გთხოვთ გაუგზავნოთ ამავე წერილითა, სააღდგომოდ მოუნდება. ეგ საბრალო სრულებით არაფერსა მწერს, თქვენ მაინც შემატყობინეთ მაგის ამბავი“...<sup>5</sup> გრიგოლ ორბელიანი არც კეთილ, მამობრივ რჩევას აკლებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახს, აქტიურად ერევა მისი დის, ბაბაღეს, მომავალი ბედის გადაწყვეტაში და სწორედ ჩვეული ტაქტით აგვარებს ამ საქმეს; 1855 წლის 2 სექტემბერს რძალს, ქეთევანს, სწერს: „ჩემს ჰაზრსა მოგახსენ-

<sup>1</sup> სსცხა, ფ. № 481, საქმე 364, გვ. 197—198.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>3</sup> გრ. ორბელიანი, წერილები, I, გვ. 109.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 170.

ნებთ ცხადად: მე მსურდა, რომ ბაბაღე საქართველოში შევერ-  
 თო ვინმე თავადისშვილებთაგანს, რადგანაც ბაბაღემ არც ერთს  
 რუსული, და მაშასადამე, ჩემის ანგარიშით, ვერცა შეითვისებს  
 რუსულს ჩვეულებასა და ცხოვრებასა“. <sup>1</sup> რამდენიმე თვის შემ-  
 დეგ, 1856 წლის 5 იანვარს, ის იმავე ქეთევანს ბარათს უგზავ-  
 ნის, თან დასძენს: „ეს ათი თუმანი უბოძეთ ჩემს დისწულს  
 ბაბაღესა“. <sup>2</sup> ხოლო, როცა იმავე წლის აგვისტოს თვეში ქართ-  
 ველ თავადისშვილზე ქორწინდება საყვარელი დისშვილი, ტა-  
 ტოს და ბაბაღე, კმაყოფილი გრიგოლი წერს: „მე ჩემის მხრით,  
 მიკუთხებიან მავისი გვირგვინი და საქორწილოდ შემომიწევია  
 ასი თუმანი, და შემდეგ რასაც ღმერთი შემაძლებინებს ჩემს  
 ბაბაღეს არ მოვაკლებ შემწეობასა... ღმერთია მოწამე, რომ ამ  
 ხელად მეტი არ შემიძლიან, თორემ მეტს მივსცემდი, და შემ-  
 დეგ კი, რაც შემიძლიან, ჩემს ბაბაღეს არას დავაკლებ ყო-  
 ველს წელიწადს, ვიდრე ვარ ცოცხალ და მასუკან თვითონ  
 იცის“. <sup>3</sup> და ეს მაშინ, როცა ჯანგატეხილ პოეტს ეს ფული ნა-  
 სესხები აქვს ვაჭარ შირზოვეისაგან (შღრ. ქეთევანისადმი წე-  
 რილი, დასახ. წიგნი, გვ. 181). გრიგოლ ორბელიანი მოხუცე-  
 ბულობაშიც კი ყურადღებას არ აკლებს ეფემიას შთამომავ-  
 ლებს. აი, რას სწერს ის 1872 წლის 11 თებერვალს რევაზ ერის-  
 თავს: „ჩემო საყუარელო რევაზ! მომირთმევია ათი თუმანი  
 ფული. გთხოვთ რომ ეს ფული მოახმარო უნუგეშოდ დაპშთო-  
 მილს ჩემის დისწულის ქალსა, რევაზის შვილსა“. <sup>4</sup>

როგორც ვხედავთ, მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების  
 მანძილზე გრიგოლ ორბელიანი სამაგალითო გულისხმიერებას  
 ავლენს მისი დის, ეფემიას ოჯახისა და დისწულის, ნიკოლოზ  
 ბარათაშვილის, მიმართ; ამიტომ იმის თქმა, რომ მატერიალუ-  
 რად არ ეხმარებოდა ის ბარათაშვილების ოჯახს, სინამდვილეს  
 არ შეეფერება. თუ იმას მოვთხოვთ ხელმოკლე გრიგოლსა და  
 მის ძმებს, რატომ არ გაყიდეს მცირეოდენი მამულები და  
 მელიტონ ბარათაშვილის ნების წინააღმდეგ, უნივერსიტეტში  
 სასწავლებლად არ გაუშვეს ნიკოლოზ ბარათაშვილი — ეს

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, წერილები, II, თბ., 1837, გვ. 139.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 156.

<sup>3</sup> გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 172.

<sup>4</sup> ბარათი მოგვაწოდა ნ. იმედაძემ.



უსაფუძვლო მოთხოვნა იქნება. თავად გაჭირვებაში მყოფი გრიგოლ ორბელიანი 1843 წლის 12 აგვისტოს ხუნდახიდან გულდათუთქული სწერს ზაქარიას: „სიყრმიდან სიბერემდე ასე უნდა ვიწოდეთ ერთი ლუკმა პურისათვის, რომლისა მოსაპოვებლად ძალღებსავით უნდა ვეყარნეთ გარეთ, შორს-ჩვენი სახლ-კარისაგან... ყმაწვილსავით ვტირიო. ახ, როდემდის უნდა ასეთ სიგლახაკეში ვიხრაკებოდეთ?“ (წერილები, I, გვ. 82). 1856 წელს უკვე გენერალი გრიგოლ ორბელიანი ასე უწლის გულს ერთ ახლობელს: „სწორედ მოგახსენოთ, აღარ შემძლიან მეტი სამსახური. არღარა მინდარა და არცა რასმეს მოველი არცა სამსახურისაგან და არცა სიცოცხლისაგან“... (წერილები, II, გვ. 161).

გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება ისე აეწყო, რომ თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამო დიდ პრეტენზიებს უყენებდნენ მას კერძო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მკაცრი მოთხოვნის ტონი ფარავდა უღმობელ რეალობას... ასე იყო ნიკ. ბარათაშვილთან მისი დამოკიდებულების ინტერპრეტაციის დროსაც... თორემ პოეტის ბიოგრაფი ზ. მთაწმინდელი (ვიჭინაძე) ირწმუნება, რომ „გრიგოლ ორბელიანს ერთობ ჰყვარებია პატარა ნიკოლოზი: საკეთილშობილო სკოლიდან თითქმის ყოველდღე გრ. ორბელიანთან დადიოდა. დღესაც ცოცხალნი არიან ის პირნი, რომელთაც კარგად ახსოვთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მისვლა-მოსვლა გრიგოლ ორბელიანთან“<sup>1</sup> ასე წერს ეს ავტორი 1885 წელს. ადამიანური ურთიერთობის მისაბამ მაგალითად უსახავდა თავის ახლობლებს გრ. ორბელიანი მისსა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობას, როცა ერთგან წერს: „ვიხილო ერთმანეთი გიყვარდეთ გულწრფელად. ესრეთ როგორც მე და ტატოს გვიყვარდა ერთმანეთი“<sup>2</sup>. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ის მითი, რომელიც შექმნილია გრიგოლ ორბელიანის პიროვნების შესახებ, რომ ის ახლობლებთან და, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილთან ურ-

<sup>1</sup> ზ. მთაწმინდელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1885 წ. გვ. 6, ვიმოწმებთ პ. ინგოროვას ნარკვევის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ — მიხედვით, იხ. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1968, გვ. 23.

<sup>2</sup> გრიგოლ ორბელიანის წერილი ილია ორბელიანისადმი, ვიმოწმებთ პ. ინგოროვას დასახ. ნარკვევის მიხედვით, გვ. 23—24.

თიერთობაში იყო გულცივი, არ გამომდინარეობს ჩვენამდე მოღწეული ფაქტებიდან.

გრიგოლ ორბელიანს საყვედურობენ იმასაც, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის საქმეში მან „ვერ გამოიჩინა სათანადო ყურადღება“. აქ მხედველობაშია მისაღები ის აზრი, რომ „ნიკოლოზ ბარათაშვილის ნამდვილი ვაგება მაინც ილია ჭავჭავაძის დრომ მოიტანა: თუ მანამდე მის პოეზიას მხოლოდ გრძნობდნენ, ახლა ის სავსებით გაიზარეს და დააფასეს“.<sup>1</sup> რასაკვირველია, გრიგოლ ორბელიანი არ მიეკუთვნება იმ პიროვნებათა რიცხვს, რომელიც მხოლოდ „გრძნობდა“ დიდი მგოსნის შემოქმედებას, მაგრამ სათანადო დაფასებისათვის დრო და ქართული საზოგადოებრივი აზრის მომწიფება იყო საჭირო; მხოლოდ ილიასა და აკაკის მიერ დანთებულ დიდ აზროვნულ ცეცხლსა და ინტელექტუალურ სიმამაცს შეეძლო ფარზე აეზიდა ერთ დროს მათთან მოპაექრე გრიგოლ ორბელიანის სახელი. ილიამ, თითქოს აკაკი წერეთლის ადრე ნათქვამ აზრს გაეკამათაო, მის სიტყვასა და საქმეს შორის აღმართული ზღვარის შესახებ შეხედულება უარყო (გავიხსენოთ აკაკის „სიტყვით სწორი — საქმით კუზა“), როცა გრიგოლ ორბელიანის პიროვნების დასახასიათებლად საქვეყნოდ განაცხადა: „არიან ქვეყანაზედ იმისთანა რჩეულნი, იმისთანა „ზეგარდმო მადლით ცხებულნი“, რომელთაც მინიჭებული აქვთ ერთი სასწაულთ-მომქმედი ძლიერება. იგი სასწაულთმომქმედი ძლიერება თვითონ სიტყვასაც საქმედა ჰქმნის“. ამიტომაც უწოდა მას „თვითმპყრობელი ჩვენის ქართულისა ენისა“... „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა“.. „მოძღვარი ჩვენი“... ხოლო აკაკი წერეთელმა სავსებით გაიზიარა და გაიმეორა თავის დროზე გ. ორბელიანის ილიასეული დახასიათება, როცა თქვა: „თ. გრ. ორბელიანი იყო კავშირი ძველისა და ახალის თაობის შორის, სხვა-და-სხვა დგმის შემაერთებელი ხიდი“. შთამბეჭდავად ამბობს დიდი მგოსანი: „გრ. ორბელიანის ბრწყინვალე სახელს თვით სიკვდილიც კი გაუ-

<sup>1</sup> გრ. კიკნაძე, რომანტიკოსებიდან რეალისტებისაკენ, წიგნში, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1972, გვ. 247.

დიდებია... და გადაუქცევია რალაც უჩვეულო მოვლინებად.  
საუკუნოები საუკუნოებს გამოსცვლიან, ერთი დგმა მეორეს,  
მაგრამ მაშინაც შეხედავენ ამ საუკუნეს გონების თვალით და  
როდესაც მოწინავე რაზმში დაინახავენ დღევანდელ მამუ-  
ლისშვილს, მათი გულიც იმ გვარისავე გრძნობითა და მად-  
ლობით აღივსება, როგორითაც დღეს ჩვენი გულია სავსე“.

ყოველივე ზემოაღნიშნული მრავალგვრად დამაფიქრებელი  
და თან გზისმკვლევეია გრიგოლ ორბელიანის პიროვნების ში-  
ნაგანი სირთულისა და მისი შემოქმედებითი ბუნების დასახა-  
სიათებლად.

## გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურულ-ესთეტიკური და მოქალაქეობრივი მრწამსი

ლიტერატურული ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისათვის შინაგანი აუცილებლობით განსაზღვრული მოთხოვნილება და ამდენად სულიერი არსებობის ერთ-ერთი ფორმა იყო. წარუვალია ვრ. ორბელიანის პოეტური სიტყვის გავლენა მკითხველზე. ამიტომაც, მოწინავე ქართველობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვენი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე გამოთქმულ პოეტის აზრს... შემთხვევით კი არ უწოდა მას დიდმა ილიამ „თვითმპყრობელი ქართული ენისა“, „მეუფე ქართული სიტყვისა“, „სიტყვამაღალი მოძღვარი“. ეს იყო ობიექტური შეფასება იმ კაცისაგან, რომელიც სრულიად საქართველოს აზრთა მესაქვე გახლდათ და ვისაც უსმენდა ერი... ქართველ მწერალთა ცნობილი ბიოგრაფი იონა მეუნარგია მოგვიანებით გულწრფელად აღიარებდა: „ვრ. ორბელიანისებრ ვინიერი ქართველის მნახველი არა ვარ.“<sup>1</sup> ცხადია, ყოველთვის ინტერესით მოელოდნენ ასეთი პიროვნების მოსაზრებას ახალ ლიტერატურულ მოვლენაზე, ყოველ ახალ ნაწარმოებზე, ახლად გამოჩენილ მწერალზე... საინტერესოა და ანგარიშგასაწევი ასეთი ავტორიტეტიდან მომდინარე აზრი დღესაც. ვრ. ორბელიანი კრიტიკული სტატიებით იშვიათად მონაწილეობდა ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში, მაგრამ მის თითოეულ სიტყვას სწორედ რომ მაორგანიზებელი ფუნქცია ჰქონდა ამა თუ იმ მწერალსა და ლიტერატურულ ფაქტზე გარკვეული საზოგადოებრივი თვალსაზრისის, თუ ლიტერა-

<sup>1</sup> ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1954, გვ. 151.

ტურული აზრის შესაქმნელად. ცნობილ ქართველ რომანტიკოსთა მსგავსად გამოკვეთილი თეორიული ხასიათის ინტერესები ლიტერატურათმცოდნეობისა და ესთეტიკის ზოგად საკითხებზე გრ. ორბელიანს არ გამოუვლენია. ამგვარი ინტერესების გასათვალისწინებლად უპირატესად მისი პოეტური ქმნალებები იძლევა გარკვეულ მასალას. რასაკვირველია, პოეტურ ფრაზაში მოქცეულ ემოციურ აზრს ესთეტიკის პრობლემებზე მსჯელობისათვის არ შეიძლება ლოგიკური არგუმენტის ძალა ჰქონდეს, მაგრამ თეორიულ შეხედულებათა უქონლობის პირობებში პოეტურ განწყობილებათა შორის კავშირების დაძებნით მაინც შესაძლებელია გარკვეული სისტემურობა შევნიშნოთ ამ ხელოვანის მხატვრულ ხედვაში. პოეტური მსოფლმხედველობის დონემდე ასული ეს სისტემურობა, პირველ ყოვლისა, ამალღებულისადმი განსაკუთრებულ ინტერესშია გამოხატული იმდენად, რომ ამალღებული, როგორც ასეთი, გრ. ორბელიანისათვის მშვენიერების ნაირსახეობათაგანია.

პარტმანის ცნობილი თვალსაზრისის მიხედვით, ამალღებული გულისხმობს გარკვეულ დისტანციას გრძნობადის მიმართ. დროითი დისტანცია, პირველ ყოვლისა, წარსულის გაზსენების პროცესში ვლინდება. მის მასაზრდოებლად ოცნება და ნატვრა გამოდის. რადგან ადამიანური სულის ეს თვისებები ყველაზე მეტად შეიცავს ზეგრძნობად, არასხეულებრივსა და არასავნობრივს. განსულიერებისაკენ სწრაფვა ამალღებს, მიწიდან ზეცისკენ ეწევა ხელოვანის მიერ განსახონებულ მოვლენას და ამალღებულ შინაარსს იძენს.

გრიგოლ ორბელიანის ესთეტიკური მრწამსით, „წმინდა“ და „შვენიებით სავსე“ წარსული; „სახიერებით განსხივებულია“ მის წიაღს შეფარებული, -სავნობრივად უხილავი, მაგრამ სულიერად „თაყვანისცემა-კრძალვის“ ობიექტად ქცეული სახელები. ამიტომაც ასე ბეჯითად ქადაგებს პოეტი: „პატივით მივმართოთ თვალნი წარსულთა ძველთა საუკუნეთა“, რადგან წარსულის გამოცოცხლება „დიდების სხივს“ გვფენს და მისი „სული მაღალი ჩვენც მიგვიზიდავს ცად მაღლად“, ე. ი. გვაზიარებს იმ ნათელ განცდას, რასაც ესთეტიკოსები ამალღებულს უწოდებენ. წარსულის ამალღებულ წარმოდგე-

ნას გრ. ორბელიანისათვის გარკვეულად ენიადაგება ფაქტის სევდაზე ამოზრდილი აწ უკვე დაკარგული სიდიადის ტრავმატული განცდა. კიდევ უფრო მაღლდება წარსულის, როგორც გარკვეული ფენომენის ცნობიერება და მისი ესთეტიკური ღირებულების შეგნება პოეტში, როცა ის მოგონების ფაქტად იქცევა ხოლმე; წერს კიდევ ერთგან: „მით უფრო გული გრძნობდა ფასს დაკარგულის, წარსულთა დღეთა იგონებდა რა ნეტარებას“... გრ. ორბელიანს მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული წარსულის, კერძოდ, საქართველოს წარსულის გამოსახვის დიდი შემეცნებითი და ესთეტიკური მნიშვნელობა, როცა აღნიშნავს: „ჩვენი ისტორია სავსეა დიდ საქმეებით, დიდი მამაცობით და მამულისათვის თავდადებით, სიყვარულითა. ყოველთა ამათთვის დიდი მწერლობა უნდა“.<sup>1</sup> ამიტომაცაა, რომ თვით მოუღლეად ცდილობს „ქველმოქმედების“, „სახიერების“, „სახე ნათელი“ „მშვენიერების“ მქონე დიად პიროვნებათა გაცოცხლებას... თამარ მეფეზე ნათქვამი მისი პოეტური ფრაზა: „ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი“ — შეიძლება გრივოლ ორბელიანის მხატვრული ხედვის ერთ საყრდენ ტენდენციადაც მივიჩნიოთ და ე. წ. „ნათლის ესთეტიკის“<sup>2</sup> გამოხატულებადაც მივიღოთ. ამას მოწმობს შემდეგი სიტყვებიც: „ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს, მის ფერუთვალავ მშვენიებას, სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით პბადავ ცხოვრებას“.<sup>3</sup> მშვენიერია ეს სამყარო, მაგრამ ამაღლებულია პოეტის წარმოდგენაში მისი შინაარსი, რამდენადაც ღვთის ნებასაა დაქვემდებარებული მასში ყოველი... ზემომოხმობილი სტრიქონებიდან ისევე, როგორც მთლიანად გრივოლ ორბელიანის პოეზიიდან, დღიურებიდან და მიმოწერებიდან შემოგვეყურებს მშვენიერების მოტრფიალე ქეშმარიტი რომანტიკოსი — ხელოვანი, რომელიც მშვენიერების დასაბამს ზოგჯერ მისტიკური ბურუსის სამოსელში ახვევს და ამით მის არსს კიდევ უფრო რომანტიკულად მიმზიდველს ხდის მკითხველისათვის. პირველყოვლისა ასეთი განწყობილება ეუფლება

<sup>1</sup> იონა შეუნარჯია, ქართველი მწერლები, ტ. II, სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 268

<sup>2</sup> რევაზ სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 1982, გვ. 149.

<sup>3</sup> შდრ. ართურ შობენაშვილის (1788—1860) აზრს: „სიკვდილი სიცოცხლის შემოქმედად გვევლინება“.

პოეტს ბუნების მშვენიერების ხილვისას, ბუნებისა, რომელიც მრავალ რომანტიკოსთა მსგავსად, მისთვისაც არის მშვენიერების დასაბამი და მისი აყვანი. გრ. ორბელიანისათვის ამგვარი აზრი არაა მხოლოდ წუთიერი პოეტური განწყობილების შედეგი. „სადღეგრძელოს“ ცნობილი სტრიქონების დარად, „დღიურების“ ერთ ადგილას პოეტი ასეთ დასკვნას აკეთებს: „კაცისა ხელი ფრიად სუსტ არს აღსაწერელად დიდებულებითისა ბუნების მშვენიერებისა. ყოვლადშემძლეობა შემოქმედისა აღბეჭდილ არს ამა მთათა ზედა, რომლითა განცვიფრდების, ჰკრთების და იკარგების გონება კაცისა“. ცხადია, ესაა ცნობილ ხელოვანთათვის ერთგვარი შემოქმედებითი მზაობის პროცესში ნიშანდობლივი შიშის გრძნობა, რომელიც ახალი პოეტური სინამდვილის შესაქმნელად შემდეგ გზას აძლევს მხოლოდ ნიჭისათვის დამახასიათებელ დიდ სითამამეს.

გრიგოლ ორბელიანი ჩვენი ლიტერატურული ტრადიციისამებრ ფიქრობს, რომ (იქნება ეს რუსთველი, ალ. ჭავჭავაძე თუ სხვ) პოეტური შთაგონების მთავარი იმპულსი და საზოგადოდ ხელოვნებითი ფაქტის შექმნის სათავე სიყვარულია, რადგან სწორედ ეს გრძნობაა „სულის, გონების ცადა აღმტაცი“, პოეტისათვის „უსიხარულოდ, უსიყვარულოდ, რას სანატრელ არს სიმრავლუ დღეთა?“. სხვა შემთხვევაშიც ლექსის შექმნის უმთავრეს ფაქტორად მას სიყვარული მიიჩნია, როცა ამბობს: „სიყვარულმა მათქმევინა, თორემ მე ვინ, ლექსი ვინა?“. გრ. ორბელიანი რატომღაც ზოგიერთის თვალში ბრძენი აღმოსავლელის ილუზიას ჰქმნიდა, მაგრამ ეს ილუზია მაცდური იყო. მართალია, ერთი შეხედვით გრ. ორბელიანისათვის ღვინო „ყოვლად ძლიერი... გულის ჭირთ მდევნი ნიჭი ციურია“, მაგრამ ესაა გზა არა წუთისოფლის მოთხოვნათგან ამორთვისა, არამედ საშუალება, რომელიც შემოქმედებითი ძალების აღმასვლას უწყობს ხელს, ამსუბუქებს ტვირთს ცხოვრებისას, რათა დასაბამი მისცეს პოეტურ აღმაფრენას და ამალღებულ აზრს ხელოვნების, პოეზიის, სიმღერის უკვდავებასა და მარადიულობაზე.

ისევე როგორც ბევრ ცნობილ რომანტიკოსს, გრ. ორბელიანს გამაზვილებული სმენითი ხილვა აქვს. ამიტომაცაა, რომ მისთვის პოეტურად ზეაღმტაცი სამყაროა მუსიკა. სიმღერა

და მუსიკა გრ. ორბელიანისათვის არის პაეროვან, ფაქიზ, რომანტიკულ სულიერ გარემოში მოქცევის პირობა. „დღიურებში“ ჩერდება ის მუსიკის როლსა და მნიშვნელობაზე ადამიანის ცხოვრებაში და მიუთითებს კიდევ საკუთარი შემოქმედებითი პროცესისათვის ამ ყველაზე რომანტიკული ხელოვნების დიდი გავლენის ძალას: „ვითარი ძლიერება აქვსთ ჩვენთა გრძნობათა ზედა სიმღერასა და მუზიკას, სმენა მათი ზოგჯერ აღრმავებდა გამოუთქმელი სიხარულითა და საიდუმლოთა სურვილთა განაღვიძებდა გულსა შინა ჩემსა და ზოგჯერ წყნარად, ტკბილად დამაფიქრებდა, მაწუხებდა და წარსულთა კნინდა დავიწყებასა შინა დაფლულთა სიამოვნებათა, მწუხარებასა აღადგენდა და წარმომიდგენდა ცხადად ქონებასა შინა ჩემსა; ხოლო რომელსამე ხმათა იყო დამატყვევებელ... ვითარცა ჯადო... მაშინ ქვეყნიური აღარა მანსოვდა რა და არლარა ვგრძნობდი თავსა ჩემსა!“...

ხელოვნების სხვა სფეროთაგან გრ. ორბელიანის მიერ შესანიშნავადაა ახსნილი ეთიკურ-ესთეტიკური მიზანდასახულება თეატრისა. პოეტი თავისი დროის მოწინავე შეხედულებათა დონეზე განმარტავს თეატრის ფუნქციას საზოგადოებისათვის, რითაც თეატრალური ხელოვნების უქონლობის პირობებში ერთგვარად გახაზავს მის ეროვნულ აუცილებლობას ქართველი ხალხისათვის. პოეტის სიტყვებით, „თეატრი... გამოაჩენს ხარისხსა ერის განათლებისასა და აქვს დიდი ძლიერება ზნეობასა ზედა, რამეთუ თეატრი არს ცხოვრებისა ჩვენისა წარმოდგენა... თეატრი რაოდენცა არს უკეთეს, ეგოდენ ერი ანუ საზოგადოება არს განათლებულ, ხოლო ქვეყანასა მას, სადაც არა არს თეატრი სრულიად, მუნცა არ არს განათლება ერისა. თეატრი არს პირველი განმწმენდელი ზნეობისა ჩვენისა ყოველთა სიბილწეთაგან. მუნ ვხედავთ საყოველთაო ჩვენთა ნაკლუვანებათა“. — თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ეს აზრი გამოთქმულია XIX ს. 30-იან წლებში, ე. ი. ქართული თეატრის აღდგენამდე 20 წლით ადრე, ვნახავთ, რომ სასიკეთო, მამულიშვილური შეხედულება ქართველთა კულტურულ-ინტელექტუალური ცხოვრების ასამაღლებლად თეატრის აუცილებლობის შესახებ ათეული წლები მწიფდებოდა ქართველ ინტელიგენტთა შორის; დრო, შესაბამისი სი-



ტუაცია და სათანადო თავკაცის არსებობა იყო საჭირო, რომ 50-იან წლებში მოხერხებულყო ამ სანუკვარი მიზნის შესრულება. გრ. ორბელიანის მსჯელობაში ბრწყინვალედ არის გაცხადებული თეატრის როგორც ესთეტიკური, ასევე ეთიკურ-სოციალური და ეროვნული მიზანდასახულობა, რაც, რასაკვირველია, დიდი ქართველი რომანტიკოსის აზრს ქმედით ძალას ანიჭებს ჩვენი ხალხის კულტურული ცხოვრებისათვის.

გრიგოლ ორბელიანი ქართულ სინამდვილეში ერთი იმ ხელოვანთაგანია, რომელიც სიტყვის, როგორც საღვთო და ადამიანური ფენომენის, მისი რელიგიური სარჩულისა და სოციალურ-ესთეტიკური რაგვარობის, თუ შეიძლება ითქვას, საქმიან ქებათა ქებას იძლევა. აი, რანაირად წარმოგვიდგენს პოეტი სიტყვის ამ რთულ, ეზოტერიულ ბუნებას: „იდეა, ჰაზრი, დაბადებული გონებასში, არის ჯერ, ვითარცა არა არსი, უნაყოფო და უვარგისი, ვიდრე სიტყუა, განმაცხოვრებელი ჰაზრისა, არა გამოსთქუამს მას ნათლად, არ გამოჰხატავს ცოცხლად, არა ჰყოფს თითქმის ხილულად და არა მოჰფენს ათასთა მსმენელთა გასაწმედელად, გასანათლებლად სიბნელისაგან გონებისა და ზნეობისა მათისა! ამის გამო, სიტყუა არის პირაშუი მიზეზი ჰსწავლისა და განათლების მოფენისა ქუჩყანასზე! სიტყუამ გამოიყუანა კაცი ველურისა მდგომარეობისაგან, სიტყუამ დაუმშუდა მას მხეცური გული, ჰყო იგი ლმობიერ, მოჰსცა შებრალება და აღიყუანა სახიერებისა სიმალლედ, სადაცა ჰსუფევს მეუფება სიყუარულისა და მოწყალებისა! აწცა სიტყვისავე ძალითა ირყევა ქუეყანა!.. სიტყუა, გამომთქმელი ჰეშმარიტებისა, არის უკუდავი და მოქმედ მარად-ჟამს!.. დაირღუნენ ეგვპტისა პირამიდები, ბაბილონი შთაჰნთქა შიწამ, მაგრამ სიტყუა თქმული მოსესაგან, ჯერეთცა არის ცოცხალ და ჰმფლობელობს ქუჩყანასზე, ვითარცა ჰსჯული! სიტყუამ დააყენა კაცი მალალსა მას დიდებისა ხარისხზედ, საიდამაც აწ ხელმწიფურად ჰბრძანებს, და ბრძანებასა მისსა მორჩილებითა ისმენენ ჰაერი, ცეცხლი, უკიანე! სიტყუა არის ძალი მღუთაებრივი, რომლისა შემწეობითა კაცი შეიქმნა მეფედ ქუეყანისა“. (კრიტიკა: მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ.). როგორც ვხედავთ, გრ. ორბელიანი მისთვის ჩვეული მჭევრმეტყველებით ქებათა-ქებას უძღვნის სიტყვის მა-

გიორ ქალას, რითაც მშვენიერ ძეგლს უგებს მის სიდიადეს... სიტყვის ძალისა და მნიშვნელობის ეს შესანიშნავი ხოტბა, რომელიც თავისი საფუძვლით ითანეს სახარების პირველი თავის ლიტერატურულ ტრანსფორმაციას წარმოადგენს, მძაფრი პოეტური აღმაფრენითა და რელიგიური ეგზეგეზითაა აღსავსე. აქ თვალნათლივ იგრძნობა ხელოვანის და მასთან პოეტისათვის სპეციფიკური თვითგანცდა სიტყვის შემოქმედებით მოგვრილი ხიბლისა და აღიარება მისი ყოვლისშემძლეობისა. რასაკვირველია, ქართულ სინამდვილეში ძველთაგანვე დადასტურებული მჭევრი სიტყვის, პოეტური სიტყვის და სრულიად ქართული ენის ძალისა და სიდიადის აღიარება. მაგრამ გრიგოლ ორბელიანამდე ჩვენ ვერ ვხედავთ შემოქმედს, მოაზროვნეს, რომელსაც ახალ დროში ჩვენში სიტყვის, როგორც გარკვეული სოციალურ-ესთეტიკური ფენომენის, ცნობიერება ასეთ დონეზე აეყვანოს, სახარებაში გახშიანებული აზრი ახალი შინაარსით დაეტვირთოს და ის ადამიანის არსებობის უმთავრეს ატრიბუტად გამოეცხადებინოს.

განსაკუთრებით ღირებულია გრ. ორბელიანის შეხედულებათა მნიშვნელობა, როცა იგი მხატვრული სიტყვის რაობას ეხება. გრ. ორბელიანის მრწამსით, პოეზია უნდა იყოს ერთიანობა ნიჭისა და გულწრფელი გრძნობისა. პოეტს მტკიცედ სწამს, რომ: „ათი წელი, ასი წელი რას არგებს, უნიჭობა თუ თან ჰყვება მწერალსა“. ნიჭს კი, პოეტის აზრით, „ზენა აძლევს მხოლოდ კაცს“. გარკვეულ კონტექსტში ჩვენი პოეტის ესთეტიკური პოზიცია ეხშიანება ევროპული სინამდვილიდან მომდინარე თვალსაზრისს, რომლის მიხედვით „ვერავითარი სკოლა ვერ მისცემს უნიჭო ადამიანს პოეტად წოდების უფლებას“ (შელი). საერთოდ, გრ. ორბელიანი შრომის როლისა და მხატვრული ოსტატობის იგნორირებას კი არ ახდენს, არამედ ბუნებრივი ნიჭისა და ხელოვანების სინთეზს მოითხოვს, როცა წერს: „სიტყუასა უნდა გაწყობა, გაწყობასა ჰსწავლა, ჰსწავლასაცა უნდა შეეწოდეს ნიჭი ბუნებითი“... მხოლოდ დიდ რუსთველს და მისი ნიჭის დარ პოეტებს შეუძლიათ „ბრწყინვით გამოვლონ საუკუნენი“. კონკრეტულ შემთხვევაში გრ. ორბელიანის პოეტური იდეალი რუსთველია, რადგან

„ძველთა დროთაგან მისი თხზულება, ვით მარგარიტი დაგვწ-  
თა საუნჯეთ“...

მწერლის მხატვრული ოსტატობის საკითხზე მსჯელობისას  
გრ. ორბელიანის ინტერესთა სფეროში ექცევა ფორმისა და  
შინაარსის ურთიერთმიმართების პრობლემაც. მისი თქმით,  
„ვითარცა ლამაზსა ტანსა უფრო გაალამაზებს შემკობილი  
სამოსელი, და ჩუშნცა მოგუწონს და შევხარით მას, ეგრეცა  
გამოჩენილნი მწერალნი გვიხატუენ ჰაზრსა, არა თუ მხოლოდ  
ნათლად, არამედ ლამაზის ფორმითაცა და სიტყუაცა მათი  
მომდინარებს, ვითარცა წყალი, ხან მძიმედ, დიდებულების  
სიამაყითა, ხან დამმუდებული, ვითარცა დაწყნარებით რონი-  
ნება ქალისა, და ხან მქუხარედ, ვითარცა შემამრწუნებელი  
რისხუა! მაშინ, მსმენელიცა უნებლიეთ მიჰსდევს სიტყუსა  
მის მდინარეობის ძალსა, გულით-გახარებული, გონებით-მი-  
ზიდული, ღონე-მიტაცებული, დამონებული“... (კრიტიკა:  
მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ.) როგორც ვხედავთ, გრიგოლ  
ორბელიანი „ნათელი ჰაზრისა“ და „ლამაზის ფორმის“ ერ-  
თიანობის პრინციპს იცავს. პოეტის მხედველობის არეში მხატ-  
ვრული ქმნილების ღირსებათა შეფასების ეამს გადამწყვეტი  
მნიშვნელობა თკათ მხატვრულ მთლიანობას აქვს მინიჭებუ-  
ლი, რომელიც არ გულახმობს მის დაშლას ცალკეულ ერ-  
თეულებად: ფორმად და შინაარსად. გრ. ორბელიანის მრწამ-  
სით, ჭეშმარიტი მწერალიც სწორედ შინაარსის ანუ „ჰაზრი-  
სა“ და „ამ ლამაზის ფორმის“ ყოვლისმომცველ მთლიანობას  
უნდა იცავდეს, თუკი სურს, რომ „მსმენელიცა უნებლიეთ  
მიჰსდევდეს სიტყუსა მდინარეობის ძალსა“... ე. ი. ნაწარმო-  
ების ზემოქმედებითი ძალა იყოს სრულყოფილი.

გრიგოლ ორბელიანი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც გან-  
საკუთრებულად აფასებს და აღიარებს ლიტერატურული კრი-  
ტიკის მნიშვნელობას, როცა წერს: „... არა რომელსამე ხე-  
ლოვნებას, ანუ საქმეს, არ მიეცემა უკეთესობა, თუ კრი-  
ტიკა არ მიეშველება მას და ცხადად არ აჩუშნებს ნაკლუ-  
ლევანებასა, ანუ ურიგობასა. ამის გამო, მგონია, ახლა  
დროც იყოს, რომ კრიტიკამ მიაქციოს ყურადღება ჩუშნს  
მართლწერასზედაცა, თუ თვთ ენის თქსებას ზედაცა, რათა  
მის ძალითა და შემწეობითა გაიწმინდოს ჩუშნი ენა ზოგი-

ერთთა შეცთომილებათაგან, რომელნიცა, ანუ დაუდევნელობითა, ანუ უცოდინარობითა, შემოეპარნენ ჩუქნსა მწერლობასა“. (კრიტიკა: მგზავრობა სვანეთისაჲც, გ. წ.).

საერთოდ, რაოდენ ვრცლადაც უნდა მოვიხმოთ გრიგოლ ორბელიანის შეხედულებანი ლიტერატურისა და ესთეტიკის, თეატრისა და მუსიკის მნიშვნელობასა თუ მხატვრული სიტყვისა და პოეტური ხელოვნების ამა თუ იმ საკითხზე ზოგადთეორიული თვალსაზრისით, თავის არსებით ნაწილში ეს მოსაზრებანი არ სცილდება რუსულსა და ევროპულ სინამდვილეში გავრცელებულ შეხედულებათა ფარგლებს. მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის ღირებული მაინც ისაა, დავავიროდეთ, ადრე არსებული შეხედულებები რანაირად გადაამუშავდა გრ. ორბელიანის აზროვნებაში და რამდენად მოახერხა პოეტმა გაეთავისებინა, აზრისა თუ ფრაზის მხრივ თავისი ინდივიდუალური სამყაროს საკუთრივ შინაარსად ექცია ისინი; მაგალითად, ადრეც იყო ცნობილი აზრი, რომ პოეზია, ხელოვნება ამსუბუქებს ტვირთს ცხოვრებისას და უკვდავყოფს ყოველივე სულიერად ამალღებულსა და დიადს ამქვეყანაზედ, მაგრამ ჩვენში გრ. ორბელიანის მოხდენილი ფრაზის წყალობით დამკვიდრდა შეხედულება ხელოვნების მარადიულობის, თუ ქეშმარიტი პოეტის უკვდავების შესახებ:

„ნეტარ ვინც ჩანგით განაცხოველებს  
ქამთა ცხოვრების მსწრაფლ წამავალთა“...

ლიტერატურულ სამყაროში ცნობილი თეორიული შეხედულებანი განსაკუთრებულ ძალმოსილებას მაშინ იძენენ, როცა პოეტი უშუალოდ ქართული ლიტერატურული მასალის, თუ ცალკეული მწერლის შემოქმედებით თავისებურებებს აფასებს და აანალიზებს.

მხცოვანი პოეტი ილიას პიროვნებისა და ნიჭის მიმართ ასეთ ფორმულირებებს აძლევს თავის გრძნობებს: „თქვენთვის მარადის ბედნიერების მსურველი“... „თქვენის ბრწყინვალეების მორჩილი მოსამსახურე“... გადმოცემის მიხედვით, დიდ პატივს სცემდა გრ. ორბელიანი მისი ისეთი უმკაცრესი ოპონენტის ნიჭსაც კი, როგორც აკაკი წერეთელი იყო. სა-

ყოველთაოდან ცნობილი ახალგაზრდა ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიმართული გრიგოლ ორბელიანის უშურველესი ტყვეები „შაბაშ, ქართველთ ომიროს არს!“. ასე რომ, გრ. ორბელიანი არასოდეს ყოფილა თვალმოხუჭული ან პასიურად მჭკრეტელი მის თვალთ წინ მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრებისა. ამიტომაც მიმართავს ის თავის სატირას უნიკო ანუ იმ „ცრუ რუსთაველთა“ საპირისპიროდ, რომლებიც ვერ ახერხებდნენ ქართული ენის „მის ძალი მადლისა“ და „სიმალის“ დაცვას. გრ. ორბელიანს სავსებით ნათლად აქვს გაცნობიერებული ენის სასიცოცხლო მნიშვნელობა მწერლობისათვის და არა მარტო მწერლობისათვის, არამედ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი ხალხის აწმყოსა და მომავლისათვის. ამიტომაც ასზე მეტი წლის წინათ პოეტურ ფრაზაში მოქცეულ კლასიკურად ნათქვამ გრ. ორბელიანის აზრს:

—ერის ცხოვრება,  
მისი დიდება,  
მის ისტორია დაცულ არს ენით;  
რა ენა წახდეს,  
ერაც დაეცეს...  
წაეცხოს, ჩირქი ტაძარსა წმინდას...<sup>1</sup>

მრავალჭირნახული ქართველი ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს; სწორედ ამიტომაც ეს დიდი შინაგანი ექსპრესიით ავსებული სიტყვები ასე მძაფრად შესისხლბორცებულა ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებასთან, მის წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გრ. ორბელიანის პოზიცია გარკვეულად ეხმიანება ჰუმბოლდტის იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც „ენისა და ეთნიკური ერთობის ისტორიული კავშირი რეალური ფაქტი“<sup>1</sup> ერის სასიცოცხლო ფაქტორთაგანი გრ. ორბელიანისათვის პირველყოვლისა ენაა. ეს ორი ცნება მის წარმოდგენაში ფარაქს ურთიერთს, ანუ იგივეობრივია.

სწორედ ამ მაღალი ეროვნული პოზიციიდან უპირისპირ-

<sup>1</sup> გარამიშვილი, ენის ენერგეტული თეორიის საკითხები, თბ., 1978, 83-84.

დღეა რომანტიკოსი გრ. ორბელიანი რეალისტ გ. წერეთელს/როცა ახალი თაობის თვალსაჩინო მოღვაწეს „ენის ბუნებითი თვისების“ დაცვას თხოვს. კრიტიკულ სტატიაში „მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ. (განხილვა)“ გრ. ორბელიანი საზოგადოდ პოეტათვის უჩვეულო და თვით კრიტიკოსისათვის შესაშუ-რი სკრუპულოზური ანალიზით ნათელყოფს გ. წერეთლის ამ ნაწარმოების მხატვრულ სისუსტეს. აქ იგი აყენებს ძალზე სა-ინტერესო პრობლემას, მწერლის ენის პრობლემას. ახალი „თაობის“ წარმომადგენელთა მიერ წამოყენებული „ხალხის ენაზე წერის“ მოთხოვნა, გრ. ორბელიანის აზრით, მხოლოდ მოთხოვნად დარჩება, უკეთუ არ გაირკვა ცნება „ენის ხალ-ხურობისა“. დიდი პოეტის მართებული შეხედულებით, „ხალ-ხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუმუშავებელი, ვიდრე დახე-ლოვნებული მწერალი მასალას მას არ გადააჩრჩევს, კარგსა უფარვისისაგან არ გაჰსწმენდს, არ გაამშუენიერებს“, და დი-დებულებითა არ აღიყვანს სალიტერატუროს სამფლობელოს-ში. მანამდე არ შეიძლება იწოდებოდეს მწერლის ენა სალი-ტერატურო ენად და მაშასადამე, სახალხო ეროვნული მეტყვე-ლების საკუთრებად. მწერლის ენაში უნდა იყოს თავმოყრი-ლი ყველა ის სულიერ-ინტელექტური მონაპოვარი, რაც თავი-სი ცხოვრების გზაზე ერს შეუქმნია. მისი აზრით, ჭეშმარიტ ქართველ მწერალს ამოუწურავ სულიერ საზრდოს აძლევს ქართული ენა, „რომელიცა ასრეთ მდიდრად, ასრეთ ლამაზად და დიდებულებით ჰბრწყინავს ჩუენს საღმრთოს წერილსში, „ვეფხისტყაოსანსში“, ძუღლთა და ახალთა ლექსებში თუ თვთ სვანის სიმღერასშიაც“. მაშასადამე, აქ სავსებით სამართლი-ანად დგას მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ეროვნული ენერ-გიის გამომხატველი, პირველ ყოვლისა, სამწერლო ენაა და მისი შემოქმედია ჭეშმარიტი ხელოვანი — მწერალი, რომელ-საც „ჰსწავლასა“ და მხატვრულ ოსტატობასთან ერთად აქვს „ნიჭი ბუნებითი“. ამგვარ ნიჭს კი, რომელიც ატკობს და სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს, გ. წერეთლის საპირისპიროდ, გრ. ორბელიანი ხედავს „საქართველოს ისტორიისა“ და „კა-ციკია-ადამიანის“ ავტორთა ნაწერში. მაშასადამე, „ხალხის ენა-ზე“ წერის მოთხოვნა ყალბ მოთხოვნად რჩება, როცა გ. წე-რეთელი ვერ ახერხებს მასალის დამუშავებას, 60-იანელთა

თეორიული მოთხოვნისა და საკუთარი შემოქმედებითი პრაქტიკის ერთმანეთთან დაკავშირებას, ხოლო სიამოვნების წყაროდ იქცევა მაშინ, როცა ილია ჭავჭავაძის დიდი ტალანტი იწოვს ყოველივე იმას, რაც ქართველი კაცის სულიერ ძალეს შეუქმნია მანამდე.

ამ მხრივ გრ. ორბელიანს საგანგებოდ აქვს გამახვილებული ყურადღება ენობრივ ფენომენზე და არა მხოლოდ თავის პოეზიაში ეძიებს ენობრივი გრძნობის შესაბამის ფორმებს, არამედ მას მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული, რომ დახვეწილი ქართულით წერა არის მაღალი ღირებულების მქონე ლიტერატურის არსებობის ძირითადი პირობა. ესაა პოეტური სიტყვის, როგორც ეროვნული მნიშვნელობის ფაქტის, არსებობის გამართლება და მისი უკვდავების ფაქტორიც. ეროვნული ენის ეს მწვავე გრძნობა არა მხოლოდ გრ. ორბელიანის, როგორც ფაქიზი ლიტერატურული გემოვნების მქონე ხელოვანის მხატვრულ დონეზე მიგვიტოვებს, არამედ ეს მისი, როგორც რომანტიკოსის ესთეტიკური პოზიციის გამოხატულებაა; ქართველ რომანტიკოსთა პოეტურ განწყობილებათა ნიადაგს ხომ პირველ ყოვლისა ეროვნული მეობის დაკარგვით გამოწვეული სევდა წარმოადგენს. გრ. ორბელიანი ქართველ რომანტიკოსთა შორის ყველაზე გამოკვეთილად და კატეგორიულად აცხადებს: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ და სავსებით სამართლიანად ერის მეობის შენარჩუნების პირობად ენის დაცვას სახავს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ტრადიციული თვალსაზრისით, გრ. ორბელიანის თეორიული პოზიცია ყველაზე ცხადად გამოვლინდა სტატიაში „კრიტიკა: მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ.“ გრ. ორბელიანის მსოფლმხედველობრივი პოზიციის გამოშხატველად ჩაითვალა ამ სტატიაში წარმოდგენილი მსჯელობა და ბუნებრივად დაუკავშირდა ის პოეტის მხატვრულ შემოქმედებაში გამოვლენილ ენობრივ ტენდენციებს. არსებული ავტორიტეტული თვალსაზრისის მიხედვით, გრ. ორბელიანის ენობრივი პოზიცია კონსერვატულია.

თუმცა ამ მიმართებით კარგა ხნის წინათ სრულიად მკაფიოდ აღინიშნა, რომ „გრ. ორბელიანისა და პლ. იოსელიანის ენობრივი პოზიციები ურთიერთს ემთხვეოდნენ ხშირად, სა-

მაგერიოდ, მათი ლიტერატურული პრაქტიკა საესეზო გაცხადდა.<sup>1</sup>

ზემოთქმული იმაზე მიგვანიშნებს, რომ გრ. ორბელიანი პირველყოფლისა ხელოვანია და, ბუნებრივია, ის თავისი შემოქმედებითი პრაქტიკისათვის ქართულ ენობრივ სამყაროში მისთვის ხელსაყრელ პოზიციას ირჩევს ყოველთვის. ამ თვალსაზრისით მას, როგორც პოეტს, არც მოეთხოვება ორიგინალური თეორიული თვალსაზრისის შექმნა. გრ. ორბელიანისათვის არსებობს გარკვეული მოცემულობა პლ. იოსელიანის გრამატიკის სახით. უფრო პროგრესულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებული გრამატიკა, რომელსაც ანგარიშს გაუწევდა მკითხველი, ამ პერიოდში არაა შექმნილი. პოეტი კონკრეტულ შემთხვევაში აანალიზებს რა გ. წერეთლის ნაწარმოებში წარმოდგენილ ენობრივი დამახინჯების შემთხვევებს, მოითხოვს არსებული გრამატიკული ნორმების ელემენტარულ დაცვას. „მსგავსად სხუათა ენათა, ქართულსაცა აქუს თსი თსება, თსი კანონები მართლწერისა და უბნობისა. ესე იგი თსი ღრამატიკა, რომელიცა ასწავლის ყოველსა ამას თეორეტულად და რომლისა ზედ-მიწევნით ცოდნა საჭირო არის მწერალთა-თს“... მისი თქმით, „მწერალმა უნდა იცოდეს ენა, რომელზედაც მსწერს ან თეორეტულად და ანუ პრაქტიკულად“.<sup>2</sup> ქართველმა პოეტმა „სიტყვის მეუფემ“ გრ. ორბელიანმა იცოდა, რომ ენობრივი ლაფსუსების აღნუსხვა ესთეტიკური სიამოვნების წყარო არ შეიძლება იყოს მკითხველისათვის, მაგრამ პოეტი მაინც კისრულობს ნაკლის მამხილებლის არც თუ სახარბიელო მისიას. გრ. ორბელიანს მშვენივრად აქვს გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ არსებულ ენობრივ მოთხოვნათა მიხედვით, ტრადიციული გრამატიკის მოშველიებით არაა ძნელი შემჩნევა იმ დარღვევებისა, რაც განსახილველ მასალაშია მოცემული. მაგრამ ის თავის მოვალე-

<sup>1</sup> ე. გამსახურდია, პლატონ იოსელიანი — ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, რწ. თბზ. ტ. VI, 1963, გვ. 663.

<sup>2</sup> ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. თბ. 1980, გვ. 86, 87, აგრეთვე 88, 89, 90, 94 — 95, 98. სხვა შემთხვევაშიც ციტატებს გრ. ორბელიანის თხზულებიდან ვიმოწმებთ დასახელებული კრებულის მიხედვით.



ობად თვლის ამგვარი ანალიზის ჩატარებას, როცა საქმე ერთ-  
თული მწერლობის მომავალს ეხება. „საქმე ესე, რომელსა  
საცა შეუდევ მე, თუმცა არ არის ძნელი, მაგრამ რა გჭკნდა  
ეპგრძნობ კი, რომ საკითხავად დიდად არის მოსაწყენი, რად-  
განაც უნდა დაიწყო თავიდან, ესე იგი, ანბანიდან, რომელს-  
ზედაცა არის დამოკიდებული მართლწერა, და ამის გამო ამ  
სტატიასა, რასაკვირველია, წაერთმევა ის პოეტოკური გულ-  
მიმტაცი მომდინარეობა სიტყუსა, რომელიცა უნდა მარადის  
ახალისებდეს და აღვიძებდეს მკითხველის სურვილსა“. („კრი-  
ტიკა: მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ.“).

გრ. ორბელიანს ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ ამ-  
თუ იმ თხზულების ენობრივ ანალიზს, და მით უმეტეს, კრი-  
ტიკულ გარჩევას, არ შეიძლება ჰქონდეს და არც კონკრეტულ  
შემთხვევაში აქვს გამართობელი ხასიათი. პოეტი მიმართავს  
თავის უერთგულეს მკითხველს — ქალთა საზოგადოებას,  
„რომელნიცა ყოველსა დროსა ყოფილან და აწცა არიან  
უკეთესნი ენის დამფასებელნი. ისინი აქ ვერა ჰპოებენ ვერცა  
პოეტოკურად აღწერილსა ვარდის სურნელსა, ვერცა მარგა-  
რიტ-ცრემლსა დატანჯულისა სიყუარულდსაგან და ვერცა  
სიცილსა მახვლგონიერის მოთხრობისაგან“ („კრიტიკა: მგზავ-  
რობა სვანეთისაკენ გ. წ.“) მართალია, იმ ხანებში, როცა გრ.  
ორბელიანის სტატია იწერებოდა, ჩვენში ენის საკითხებთან  
დაკავშირებით გარკვეული პოზიცია ჰქონდა გამომუშაებუ-  
ლი ილია ქავჭავაძის თაობას, მაგრამ ისეთი განმაზოგადო-  
ებელი ხასიათის ნაშრომი, რომელშიც სალიტერატურო ენის  
ნორმალიზაციის ელემენტარული წეს-კანონები იქნებოდა მოქ-  
ცეული, პლატონ იოსელიანის გრამატიკის გარდა, არ არსე-  
ბობდა. სხვა საკითხია, აქმაყოფილებდა თუ არა ეს წიგნი იმ  
მალალ მოთხოვნებს, რასაც მოწინავე ქართველობა უყვებოდა  
მას; ფაქტი ერთია: რაკი გ. წერეთლის თხზულება ვერ უძ-  
ლებს სამწერლო სალიტერატურო ენის წინაშე არსებულ ან-  
ბანურ მოთხოვნებს, ამიტომაც გრ. ორბელიანი იძულებულია,  
თვით პლ. იოსელიანის წიგნიდან დაიწყოს გ. წერეთლის მო-  
თხრობის ენობრივი ღირებულების შეფასება, იმ პლატონ  
იოსელიანისა, რომლის მიმართ ფართული ირონიით შენიშნავს  
კიდევ პოეტი, როცა მკითხველს ერთგვარი მობოდიშებით

მიმართავს: „რა ვქმნა, არცა მე მაქუს ამასში ბრალი. ეს გან-  
 ლავსთ მხოლოდ ერთი, ნამცეცა ნაწილი პლატონის ღრამატი-  
 ციკისა, და კარგად მოგეხსენებათ, რომ ფილოსოფოსის ლა-  
 პარაკი მოითხოვს წარბ-შეკუმუხენით მოთმინებასა. პლატონი  
 არის დამნაშავე თქვენს წინაშე და არა მე, მარადის თქვენნი  
 ერთგული“. (გვ. 88, „კრიტიკა: მგზავრობა სვანეთისაკენ  
 გ. წ.“). გრ. ორბელიანი პლატონ იოსელიანის ცნობილი წიგ-  
 ნიდან — „პირტელდაწყებითნი კანონი ქართულისა ღრამატი-  
 ცისა“ (1840), იღებს იმ აუცილებელსა და ელემენტარულ წეს-  
 კანონებს, რომლის გამოუყენებლობა, გ. წერეთლის მხრივ,  
 მას ქართველი მწერლის პრინციპულ ნაკლად მიაჩნია. საყო-  
 ველთაოდ აღიარებული თვალსაზრისის მიხედვით, პლ. იოსე-  
 ლიანი ანტონი I-ის გრამატიკიდან ამოდის და ამის გამო შე-  
 იძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ გრ. ორბელიანის თე-  
 ორიული თვალსაზრისი ენის საკითხში კონსერვატული პოზი-  
 ციის გამომხატველია. როგორც უკანასკნელ ხანებში გაშლილ-  
 მა კვლევა-ძიებამ ცხადყო, მიუხედავად თავისი ნაკლისა, „ისიც  
 უნდა აღინიშნოს, რომ თვით გრამატიკული სისტემა ქართული  
 ენისა ანტონმა ძირითადად მართებულად აავო და მას შეიძ-  
 ლება ითქვას, დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა“.¹ ამის  
 გამო, ანტონისა და მისი მიმდევრების ენობრივ რეფორმას,  
 გარკვეულად, პროგრესულ მნიშვნელობასაც ანიჭებენ და  
 თვლიან, რომ „ტრადიციის ხელაღებით უარყოფა ქმნიდა ძვე-  
 ლი, კლასიკური ქართული სალიტერატურო ენისაგან სრული  
 გამიჯვნის საშიშროებას — დაირღვეოდა მრავალსაუკუნოვანი  
 ერთიანობა. ამას კი გარდაუვალად მოჰყვებოდა უფრო მძი-  
 მე შედეგი: ქართველთა მომავალი თაობები ვეღარ შეისისხლ-  
 ხორცებდნენ წინაპართა სულისკვეთებას, ვეღარ გაითავისებდ-  
 ნენ მამა-პაპათა მიერ შექმნილ კულტურას... ახალი განუკი-  
 თხავად დაუპირისპირდებოდა ძველს. ქართველთა მრავალსა-  
 უკუნოვანი ისტორია თვითდამკვიდრებისა თაობათა მასაზრ-  
 დობელი სულისკვეთების ნაცვლად სათავგადასავლო ამბების  
 გროვად იქცეოდა. რა თქმა უნდა, ეს ხელს აძლევდა ზოგი-

¹ ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის დიდი მოამავე, კრ. ილია ქავჭავაძე —  
 150, თბ., 1987, გვ. 12.

ერთებს, მაგრამ არამც და არამც ქეშმარიტ მამულიშვილებს<sup>1</sup>! გრივოლ ორბელიანი სწორედ ქეშმარიტი მამულიშვილები იყვნენ. მას სწამდა, რომ ნამდვილმა ქართველმა მწერალმა უნდა გააერთიანოს, საკუთარი თვალსაზრისისა და მრწამსის დონეზე აიყვანოს ადრინდელი ლიტერატურული ტრადიცია და მის წიაღში დაგროვილი ენობრივი რესურსები. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს მას ქეშმარიტი საფუძველი შექმნას ახალი სიმბოლე... ამას მოწმობს პოეტის სიტყვები: „ჩემ, დიდად უცოდინართა ქართულისა ენისა, ვინ მოგუცა ის უფლება, რომ ესრეთის გაბედვით, ესრეთის კადნიერებით, უარვპყოთ, გადავაგდოთ და შევჰსცუვალოთ ის წესი, ის კანონი, რომელიცა დაჰსდრჱმს ჩემნისა ენისა — თეს დიდად მეცნიერთა ღრამბატკოსთა, თვთ ენის თვსებისავე გამოკულებითა, რომელთაგან საბერძნეთიდან ძემლად გადმოტანილი ჰსწავლა და კელოვნება ჩემნისა მხარესში ღრამად იყო დანერგილი და გარდაფენილი მთლად საქართველოსზე; რომელთაცა სირიისა და ბერძნულის ენით გარდმოიღეს ქართულად საღრმთო წერილი ესრეთის მშემნიერ-სიტყუაობითა და ძლიერებითა. და რომელთაგან დაწესებულნი კანონნი ვერა შეჰსცუვალეს, ვერცა შავთელმა, ვერცა ჩახრუხაძემ და ვერცა თვთ რუსთაველმა? ანტონ კათალიკოსმა, დიდად მცოდნემ ქართულისა ენისა, არათუ დააკლო, არამედ მოუმატა ასო ჭ, ახლა ნუ-თუ მართლად ჩემენ უნდა დავივიწყოთ იგინი, რომელთა სახელნი გვიბრწყინჱმ ჩემს ინსტორიასა ესოდენტა საუკენეთა განმავლობასში... ჯერ აღვიდეთ იმ სიმბოლესზედ, რომელსზედაც იდგნენ ძემლნი მსწავლულნი ქართულის ენის ცოდნასში, შეუთანასწორდეთ მათ, და მერე... იყავნ ნება შენი“ (კრიტიკა: მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ. გვ. 89—90). როგორც ვხედავთ, გრ. ორბელიანი ენის განვითარების წინააღმდეგი კი არაა, პირიქით, მოითხოვს შეგნებულ, შემოქმედებითად სავსებით გაცნობიერებულ ენობრივ თვალსაზრისზე ყოფნას.

გრ. ორბელიანის, როგორც არქაისტისა და კონსერვატორის შესახებ მსჯელობა დაუკავშირდა, პირველ ყოვლისა, ძველი ასოების (ჭ, მ, ძ, ჯ, ჭ, შ) გამოყენების საკითხს. ამ

<sup>1</sup> ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის დიდი მოამბე, კრ. ილია ჭავჭავაძე — 150, თბ., 1987, გვ. 16.

მხრივ პოეტის ამოსავალი თვალსაზრისი კი ასეთია: „იშვანსა ენასა აქუს ისეთი სრული ანბანი, როგორცა ქართულსა: ჩუშნს ანბანასში თეთოეულსა ხმის ბგერასა აქუს საკუთრივ გამოხატული თუბი ნიშანი, ასო, რომლითაცა წარმოითქმის ის ბგერა. მაშასადამე, ამ ასოების უარის-ყოფა გადაგდება, უეჭუშლად საენებელი არის ენისათვ. („კრიტიკა: მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ.“). ცალკეულ შემთხვევაში გრ. ორბელიანის დაკვირვებანი ანგარიშგასაწვევია დღესაც. ასე, მაგალითად, ის ერთგან აღნიშნავს: „ჩუშნ გუაქუს ერთი სიტყვა „და“, რომელიცა ზოგჯერ ჰნიშნავს კავშირსა, რუსულად „И“ და ზოგჯერ „დასა“ — „Сестра“. გასარჩევად ორისა ამის მნიშვნელობისა ძუშლად დაჰსდუშს და (გადაბმული) კავშირად, ხოლო მეორე „დაჲ“ სახელად, და ესრეთის გარჩევით დააშორეს ერთი მეორესა, რადგანაც მნიშვნელობითაცა არიან სხუა და სხუანი. ახლა ეს საფუძვლიანი კანონი სრულიად დაივიწყეს, რათა?

ეგრეთვე, ხელი, ჰნიშნავს შმაგსა, გიუსა, ჳელი, მარჯუენასა ანუ მარცხენასა, და ამ ასოებით გაირჩევა ეს ერთი სიტყუა ორისა მნიშვნელობისა, ამასაც ყურს არ უგდებენ!“ („კრიტიკა: მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ.“).

პოეტის აღნიშნული დაკვირვებანი შეიძლება გაიზიარო, ან არ გაიზიარო, მაგრამ მათ ანგარიში ყოველთვის უნდა გავუწიოთ, მით უმეტეს, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს პოეტის შემოქმედებითი, მხატვრული ინტერესებისა და სტილის გასათვალისწინებლად. საყურადღებოა, რომ გრ. ორბელიანის ამ თვალსაზრისს ანგარიშს უწევს ისეთი გამოჩენილი მწერალი, როგორიც კონსტანტინე გამსახურდიაა. გრიგოლ ორბელიანის ენობრივ პოზიციასთან სიახლოვე აშკარაა, როცა ვკითხულობთ კ. გამსახურდიას შემდეგ სტრიქონებს: „ქართულ ენას უბრწყინვალესი და უმარჯვესი აღფაბეტი აქვს, თითქმის ყოველი ბგერის, ყოველი ფონეტიკური ნჲუანსის ცალფა ასო-ნიშნით გამოსაზვისთვის... ქართული იხმარება დასაბამიდან; ეს ასო (იგულისხმება ჰ — ი. ე.) დღესაც ეღერს ქართლ-კახეთის, ფშავ-ხევსურეთის, ქართლისა და გურიის მეტყველებაში“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> კ. გამსახურდია, ქართული ენის მეურნეობისათვის, თბ. ტ. VI, 1963, გვ. 586.

გრ. ორბელიანის შეხედულების კვალზედ. კ. გამსახურდიაც ფიქრობს, რომ „ხელოვნური გამარტივების ტენდენციამ გამოიწვია ოთხი ასოს ქართული ალფაბეტიდან გაძევება. ქართული ანბანი ათასი წლის შრომით შეუქმნია და დაუცავს ქართველ ხალხს და მისი შემოკლების უფლება რუსთველსაც არ ექნებოდა“.<sup>1</sup> ცნობილი მწერალი ფიქრობს, რომ „გრ. ორბელიანი უაღრესად კლასიკური ენის კონსექვენტური მიმდევარია“ და რომ „იგი იყო საერო ქართულის უწარჩინებულესი მესიტყვე“.<sup>2</sup> ამიტომაც „გამოგონილ ამბავად“ მიიჩნევს ის „არქაისტებად“ მწერლების დაყოფას.<sup>3</sup>

გრ. ორბელიანთან, კ. გამსახურდიას შეხედულებათა მსგავსების მომენტებზე იმიტომაც გავამახვილეთ ყურადღება, რომ ამ ასოების გამოყენება-არგამოყენების საკითხი, სრულიადაც არაა ისეთი მნიშვნელობის პრობლემა, რომელიც თეორიულ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით გრ. ორბელიანის როგორც კონსერვატიულად მოაზროვნე პიროვნების დამადასტურებელ არგუმენტად გამოდგეს.

მდიდარი ფაქტობრივი მასალის გათვალისწინების საფუძველზე ჩვენში უკვე გარკვეულია, რომ 60-იან წლებში ძველი ორთოგრაფიით წერდნენ როგორც „ძველი“, ასევე „ახალი“ თაობის წარმომადგენლები. ამიტომაც „მაშეხად“ და „შვილებად“ დაყოფა ენის მიხედვით არ არის საფუძვლიანი“<sup>4</sup> ამ ასოთა ხმარების შემთხვევებს მხატვრული სიტყვის სფეროში ჩვენს დროშიც ვხვდებით არა მხოლოდ კ. გამსახურდიას, არამედ ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის და შრავალი სხვა გამოჩენილი პოეტისა თუ მთარგმნელის შემოქმედებით პრაქტიკაში; ამიტომაც სავსებით სამართლიანად ფიქრობენ კიდევ, რომ ქართველ რომანტიკოსთა და მათ შორის გრ. ორბელიანის „პოეტურ თხზულებებში ეროვნული სულის, მეობის ტიპილის გამჟღავნებისას არქაიზაცია თითქოს მინორული გან-

<sup>1</sup> კ. გამსახურდია, დასახ. წიგნი, გვ. 603.

<sup>2</sup> კ. გამსახურდია, პლ. იოსელიანი — ცხოვრება გიორგი მეცამეტისა; თხზ. ტ. VI, გვ. 663.

<sup>3</sup> კ. გამსახურდია, *Pater Patriae*, იქვე, გვ. 602.

<sup>4</sup> გრიგოლ კიკნაძე, მერყველების სტილის საკითხები, 1957, გვ. 163.

წყობილების გამოხატვის სტილურ ფუნქციას იძენს<sup>1</sup>. ფაქტია ისიც, რომ გრ. ორბელიანმა და სხვა ქართველმა რომანტიკოსებმა „თავიანთი ლიტერატურული ნაღვართ“ სტიქიურად პირველად აჩვენეს ახალი ქართულის ლიტერატურულ ენად გამოყენების შესაძლებლობა“ (კ. დანელია). მით უფრო საგულსხმოა ის, რომ ეს ფაქტი ჯერ კიდევ XIX ს. 50-იან წლებში გრ. ორბელიანს ნათლად აქვს გაცნობიერებული, როცა სარდიონ მესხიშვილის თარგმანის გამო ერთ თავის ახლობელს სწერს: „მაიმუნის ხასიათის აღწერაში რა საჭიროა სახარების სიტყვები „რამეთუ“, „უკეთუ“, „მიერით“ და სხუანი მკუდარნი სიტყვები, რომელნიცა ჰსცხოვრობენ დაბადებაში და ძველ წიგნებში და ეხლა აღარ ხმარობს „ხალხი“. აქ, როგორც აღნიშნავენ, „შეუძლებელია ინტერესს არ იწვევდეს ის გარემოება, რომ გრ. ორბელიანი ყურადღებას ამახვილებს მაინცდამაინც მთარგმნელის ენის არქაულობაზე. იგი გადაჭრით ამბობს, მესხიშვილი ცდილობს გააცოცხლოს ისეთი ქართული სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ძველ წიგნებშია გადაჩენილი და ახლა მათ ხალხი აღარ ხმარობსო“<sup>2</sup>. როგორც ფაქტიური ვითარებიდან ჩანს, გრ. ორბელიანი, პირიქით, ეწინააღმდეგება ენის არქაიზაციით შექმნილ ყოველ შეუსაბამობას ჩვენს ლიტერატურაში და კონსერვატორულ პოზიციაზე კი არ დგას, არამედ იცავს შეხედულებას „ენის სტატიურობის აუცილებლობის შესახებ“<sup>3</sup>, რაც, რასაკვირველია, სალიტერატურო ენის განვითარებას არ ეწინააღმდეგება. (ენის განვითარების თანდათანობითი პროცესი მის ნააზრევში საფუძველშივეა ნაგულისხმევი). ასე აისახება გრ. ორბელიანის მსჯელობაში ენის სისადავისა თუ ხალხურობის საკითხი, რომელიც როგორც ითქვა, სასიცოცხლო საკითხს წარმოადგენ-

<sup>1</sup> იხ. კ. დანელიას სტრია, „ლექსიკონისათვის“, რომელიც მოთავსებულია კრებულში „ქართველი რომანტიკოსები ლიტ. და ხელოვნ. შესახებ“, თბ. 1980, გვ. 242.

<sup>2</sup> აბ. მახარაძე, ლიტერატურული თაობათა ბრძოლა. გრ. ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურული ისტორიიდან, III, თბ., 1969, გვ. 23.

<sup>3</sup> კ. გამსახურდია, არქაიზმი და პროვინციალიზმი რწ. თბზ. ტ. VII. 1965, გვ. 448.

და 60-იანი წლების მოღვაწეთათვის. პოეტის თქმით, „ახალი სტილი ვერა-ოდეს ვერ შეჰსცულის ენის ბუნებითსა თვსებასა. მართალია, დროთა განმავლობაში ზოგიერთი სიტყვა უვარგისობისა-გამო, ძეშლდება და აღარ იხმარება, მაგრამ ენის თვსება მყოფობს მარადის შეურყეველად. ენა არ არის გამოვონებული ერთისა ვისგანმე, რომ მეორესა შეეძლოს ძირიანად შეცვლა მისი! შეისწავლეთ არა ბაზრის არეული ენა, არამედ მდიდარი, მშუშენიერებით სავსე ქართული ენა, რომელსზედაც ლაპარაკობს, რომელსზედაც ლოცულობს და რომელსზედაც დაჰმღერის ქართველი კაცი“ („კრიტიკა: მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ.“).

იცრ. ორბელიანი წიგნიერი, ჭეშმარიტი ლიტერატურული ენისა და შეურყვნილი ხალხური მეტყველების ურთიერთშერწყმას მოითხოვს და ახალი ენის საფუძვლად ბარბარობებით სავსე XIX საუკუნის თბილისის მეტყველება კი არა, არამედ საუკუნოებით ნაანდერძევი ლიტერატურულ ძეგლთა ენა და პროვინციას თავშეფარებული ქართველი კაცის მეტყველება მიაჩნია. ამიტომაც წერს ასე გულისტკივილით პოეტი: „საკურველია, ჩუშენი ქართული ენა რათ გაასომხეს ასე უწყალოდ... რათა ჰგონიათ ეს სტილი ახლად? სწორედ ამ ენით ლაპარაკობენ თბილისის ბაზარსში სომხები, ურები, თათრები“... („კრიტიკა: მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ.“). გრიგოლ ორბელიანი სავსებით სამართლიანად ფიქრობს, რომ ქართული მწიგნობრული მეტყველება არასოდეს დაშორებია ხალხური მეტყველების სფეროს და ქართული ლიტერატურული სამყაროს მიზანდასახულებაც ყოველთვის ის იყო, რომ თავის წიაღში აესახა ხალხის ენობრივი პოტენციალი და ამასთან მომსახურებოდა სწორედ ხალხს. მისი თქმით, „განჰვლოათასმა წელმა, რა პირაშვლად ითქუა ქართულად, მიწყალე მელმერთო დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღჰხოცე უსჯულოება ჩემი“. და რომელსა გლეხსა არ ესმის უხლაცა მარტივად და მშუშენიერად გამოთქმული სიტყუა ესე, რომელიცა ეკუთვნის იმავეს გლეხის ენასა? თვთ ვეფხისტყაოსანი რა არის, თუ არა იგივე სიტყუა ქართველის გლეხისა, მხოლოდ ლამაზად განწყობილი და გამოთქმული?“ („კრიტიკა: მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ.“ გვ. 95).

სიტყვის „გაწყობა“, „ჰსწავლა“ და „ნიჭი ბუნებითი“ არის პოეტისათვის ის აუცილებელი კომპონენტები, რომლებიც განაპირობებს შეუჩვენელი ქართული ლიტერატურული ენის არსებობას.

ქართული ენის დამცრობის ერთ მიზეზად გრ. ორბელიანი იმასაც თვლის, რომ „ქართულსა ენასა აღარა ჰსწავლობენ, ანუ არ ასწავლიან გულსმოდგინებით, არცა ღიმნაზიასში და აღარცა თვთ სემინარიასში“ („კრიტიკა: მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ.“) ასეთ პირობებში უნიჭო მწერალთა მოძალეზამ შეიძლება მომაკვდინებელი როლი ითამაშოს ერის ცხოვრებაში. „სამწუხაროდ... ჩუშნის ენის გასომხება არ უნდა დამკვიდრდეს ჩუშნს მწერლობასში მწერლების უნიჭობითა“. (გვ. 98). („კრიტიკა: მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ.“). სწორედ ამ პოზიციიდან ესხმის ის თავს გ. წერეთელს, როცა აკრიტიკებს მის თბზულებას: „როგორ მოვიფიქრებდი, რომ იმერეთსში, სადაც გვეგულებოდა ქართული ენა სიწმინდით, შეუჩვენებლად შენახული, გამოჩნდებოდა მწერალი ასეთის გადარეულის ენითა?“ („კრიტიკა: მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ.“) დიდი კმაყოფილებით ხვდება გრ. ორბელიანი ახალი თაობის მწერალთა გარჯასა და ღვაწლს ქართული ენის შემდგომი განვითარების საქმეში. თუკი ამ საპატიო მისიის შესრულებისას ისინი გარკვეულ წინააღმდეგობას აწყდებიან, ან ზოგჯერ სულაც ცდებიან, პოეტის აზრით, ეს ახალ მწერალთა ბრალი კი არაა, არამედ მათ გარშემო შექმნილი იმ სულიერი ვითარების შედეგია, რამაც ეს ნიჭიერი თაობა მოსწყვიტა დიდ ლიტერატურულ ტრადიციას. გრ. ორბელიანის კეთილმოსურნეობით დამოკიდებულებას ახალი თაობისადმი მოწმობს სწორედ მისი შემდეგი სიტყვები: „ეხლანდელთა მწერალთა მიეწერებათ მართლად დიდი ქება მისთვის, რომ ესრეთის მეცადინეობით, ესრეთის ერთგულად მსახურებით, შეუდგნენ იგინი გულმხურვალედ აღდგენასა ჩუშნისა დავრდომილისა ენისა, და არა არიან ეგენი ბრალეულ, თუ ზოგიერთის წერასში მოჰსჩანს მრავალი შეცთომილება, როგორცა პირისპირ ენისა თვსებისა, ეგრეცა მართლ-წერისა. მათ არა ჰქონიათ შემთხუშვა ღრმად შესწავებისათვს ქართულისა ენისა, და ამა მიზეზითავე არა არიან ჩუშულნიცა საღმრთოს წერილისა, რომე-



ლიცა არის, მართლად მოუღვეველი საუნჯე ჩუშნისა ვნისა, და რომელს შიაცა მალაღნი და ღრმანი ჰაზრანი არიან გამოთქმულნი ადვილად და მეტად შშუშნიერის ფორმითა“ („კრატეკა: მგზავრობა სვანეთისაკენ“ გ. წ.“). მხატვრული ქმნილების შეფასების უამს გრ. ორბელიანისათვის ამოსავალი რომელიმე მწერლის კორპორაციული ან მსოფლმხედველობრივი პლატფორმა კი არაა, არამედ თვით ნაწარმოების მხატვრული ღირსება. ამიტომაცაა, რომ ის ერთნაირი პატივისცემით, გინა თაყვანისცემით ეკიდება ენას, რომელიც „მდიდრად“, „ლამაზად“ „დიდებულეებით“ „ჰბრწყინავს“, როგორც „სალმრთოს წერილსში“, ასევე „ვეფხისტყაოსანსა“ და „ძველთა და ახალთა ლექსებში“. გრ. ორბელიანი, ალ. ორბელიანის მსგავსად; არც „ენის სისადავისა და სიმარტივის წინააღმდეგ ილაშქრებს“<sup>1</sup> და არც არქაისტია. ის ენის ხალხურობის მოთხოვნას აყენებს, რაც გულისხმობს საუკუნეებით შემუშავებულ მწიგნობრულ-კულტურულ ენობრივ ტრადიციასთან სასაუბრო ხალხური მეტყველების შერწყმას; მწიგნობრული და ცოცხალი ქართული მეტყველების ეს „ნაზავი“ თავისებურად „შემუშავებული“, ნიჭიერი მწერლის ტალანტის წყალობით „გალამაზებული“ უნდა დაედოს საფუძვლად ნამდვილ ლიტერატურულ ქართულს. ამ გზაზე მიზნის მიღწევის ერთი მთავარი პირობა, გრ. ორბელიანის მრწამსით, ენის სიწმინდის დაცვაა. ამიტომაცაა ის ასე შეურიგებელი, თუ გნებავთ, დაუნდობელი ყველა იმათ მიმართ, ვინც არ, ან ვერ იცავს ერის საუნჯეს — მის ენას; სულ ერთია, ეს ძველი თაობის წარმომადგენელი იქნება, თუ ახალი დროის მწერალი; ეს აზრი და განწყობილება გასდევს მის სატირულ ლექსს „დროების ათი წლის იუბილე („ფერხული და ბუქნა“), სადაც ამ ვაზეთის მისამართით ნათქვამია, რომ მან „მოგვაწყინა ბაზრის ენა სომხისა; ბილქამ, ალბათ, არხაინათ, იღბალი“... პოეტი

<sup>1</sup> ალ. ორბელიანის და სავრთოდ ე. წ. ძველი თაობის აღნიშნული პოზიცია საგანგებოდაა გარჩეული წიგნში: გრ. კეკელიძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ. 1957, იხ. თავი: რომატიკულ და რეალისტურ სტილთა ურთიერთობის ისტორიიდან ქართულ ლიტერატურაში. გვ. 148—166. ჩვენი მსჯელობის ამოსავალი დასახელებულ ნაშრომში წარმოდგენილი თვალსაზრისია.

„დროებასთან“ შედარებით ენობრივი თვალსაზრისით „საამო“ მოვლენად სახავს არა მხოლოდ ე. წ. ძველი თაობის ლიტერატურულ ორგანოდ მიჩნეულ ქურნალ „ციცკარს“, არამედ სიმბათიით ახსენებს ახალი თაობის ქურნალ „მნათობსა“ და „შარილქებულ ქურნალ „კრებულსაც“. სახელოვანი პოეტი გულრისყურით აღევნებს თვალს მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრებას. როცა საკითხი სამწერლო ენას ეხება, უშეღავათოა ის არა მხოლოდ გ. წერეთლის, არამედ თვით აკაკი წერეთლისა და მის მიერ ნაქები ალ. ყაზბეგის მიმართაც.

1881 წელს ვახტანგ ორბელიანის „განკითხვა“-ში შეტანილი ენობრივი შესწორებანი<sup>1</sup> ძველი ორთოგრაფიის დაცვის მოთხოვნით კი არაა განპირობებული, არამედ პოეტი ინტონაციის ამაღლებას ისახავს მიზნად. ე. გაბაშვილის მიერ შესრულებულ თარგმანზე გრ. ორბელიანის მინაწერი: „დიდი სირცხვილია, რომ ბესიკის ჩამომავლობამ არ იცოდეს ქართული“<sup>2</sup> მხოლოდ იმას მოწმობს, რომ მსცოვანი პოეტი სიცოცხლის ბოლომდე ფხიზელ გუშავად ედგა მის სათაყვანებელ ქართულ ენას, რომელიც მის წარმოდგენაში ჩვენი ხალხის სულიერ ძლიერებას განსახიერებდა. გრ. ორბელიანი ყოველგვარი ლიტერატურული წუნის უმკაცრესი კრიტიკოსი იყო და ეროვნული, მამულიშვილური პრინციპებით ხელმძღვანელობდა, როცა აფასებდა ამა თუ იმ მწერლის თხზულებასა თუ მთლიანად ლიტერატურული პროცესის რაობას. ამ ნიადაგზე სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს კარგა ხნის წინათ კონსტანტინე გამსახურდიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ გრიგოლ ორბელიანს „ლიტერატურისა და ენის საკითხებში იდეური ბრძოლის ნამდვილი საბაბი არც კი ჰქონდა ილიას მიმართ“<sup>3</sup> ამ მხრივ, თუკი ვინმე შეიძლება იყოს

<sup>1</sup> იხ. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახ. მუზეუმის ორბელიანების ფონდი № 76. № 16279, ე. ივერია, 1881, XI, გრ. ორბელიანის შენიშვნები ვახტანგ ორბელიანის „განკითხვაზე“, პოეტის მიერ ნასწორები ტექსტის გაცნობა გვარწმუნებს, რომ აქ მხატვრული სრულყოფის თვალსაზრისითაა ჩატარებული მუშაობა.

<sup>2</sup> ლიტ. მუზეუმის დასახ. ფონდი, ე. გაბაშვილის მიერ ნათარგმნ ალფონს დოდეს მოთხრობა „გაიმარჯვა“ ვაზ. „დროება“, 1882 წ. № 174.

<sup>3</sup> ე. გამსახურდია, Pater Patriae, რჩეული თხზულებანი ტ. VI, 1963, გვ. 439.

ღირსეული შემკვიდრე გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურული ნაღვაწისა, უპირველეს ყოვლისა, ილიას; იმავე ავტორის სიტყვით, „უთუოდ გრიგოლ ორბელიანისაგან გადმოცემა ილიას პათეთიური შემართება ქართული ისტორიის დიდი გმირების აპოლოგიაში“... „ენის საკითხებშიც ილია ჭაგჭავაძე თანმიმდევრულად აგრძელებს იმ გენერალურ ხაზს, რომლის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში იყო გრიგოლ ორბელიანის ბრწყინვალე პოეზია! (კ. გამსახურდია). გამოჩენილი მწერლის დავირვებით „ისევე, როგორც გრიგოლ ორბელიანის ლექსებსა და პოემას, ძველ ქართული, დარბაისლური ინტონაცია გასდევს ილიას ლირიკულ ლექსებს, მის „განდევილს“, „დიმიტრი თავდადებულს“, „აჩრდილსა“ და „ოთარაანთ ქერიეს“.<sup>2</sup>

გრიგოლ ორბელიანი იყო ის შემოქმედი, რომლის ნააზრევსა და მხატვრულ პრაქტიკაში გამოიკვეთა 60-იანელთა იდეალად ქცეულ ეროვნულ და ესთეტიკურ მისწრაფებათა კონტურები. ენობრივ-სტილური და მსოფლმხედველობრივი ნიშანტულებით გაშლილმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა ერთი რამ: „ისტორიკოსის თვალით თუ შევხედავთ სინამდვილეს დაერწმუნდებით, რომ ილია ჭაგჭავაძისა და სხვა მწერალთა დამსახურება ამ მხრივ იმაში მდგომარეობდა, რომ მათ გაცილებით უფრო უკეთ, პირდაპირ შესანიშნავად მოახერხეს იმ გზის დაუფლება, რომელზედაც უჭირდათ დადგომა ადრინდელ მწერლებს. ილიასა და აკაკის მკვეთრმა ნიჭმა შეძლო ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის გზა ისეთნაირად გაეკაფა, რომ ამ გზის აღმოჩენაც კი მათ მიაწერეს. მაგრამ ეს ასე არ იყო. გზა ადრინდელმა მწერლებმაც დაინახეს“.<sup>3</sup> და ამ მწერალთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო სწორედ თვით ილიას მიერ „სიტყვაშაღალ მოძღვრად“ ნაკურთხი გრიგოლ ორბელიანი, პოეტი, რომელიც ქართული სამწერლო ენის პეტრად აცხადებს „კაცია აღამიანს“ და მისი ავტორის „მარადის ბედნიერების მსურველად“, თუ მისი „ბრწყინვალეების მორჩილ მოსამსახურედ“ რაცხს საკუთარ თავს. ამიტომაც არ

<sup>1</sup> კ. გამსახურდია, Pater Patriae, რჩეული თხზულებანი, ტ. VI. 1963, გვ. 440.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 442.

<sup>3</sup> გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ. 1957, გვ. 159—169.

არსებობს არაეითარი საფუძველი, რომ ეს ორი დიდი ქართ-  
ველი მკვეთრად დაპირისპირებულ მოღვაწეებად იქნან წარ-  
მოდგენილი სალიტერატურო ენის საკითხში მაინც. როგორც  
ჩვენ ვხედავთ, ილია ჭავჭავაძესა და გრიგოლ ორბელიანს ქართუ-  
ლი სალიტერატურო ენის განვითარების შესახებ უფრო მე-  
ტი ჰქონდათ საერთო, ვიდრე განსხვავებული.<sup>1</sup> სპეციალურ  
ლიტერატურაში საგანგებოდ არის მითითებული, რომ ისეთ  
პრინციპულ საკითხებში, როგორიცაა: ქართული ენის უფლე-  
ბის დაცვა, მშობლიურ ენაზე აუცილებელი სწავლების მო-  
თხოვნა, უარყოფა სამი სტილის ენისა და ბრძოლა ხალხური  
ენის დანერგვისათვის, და არსებითი საკითხი — ენის სიწმინ-  
დის დაცვის პრობლემა, ი. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის  
შეხედულებანი აქ მეტწილად თანხვედნილია. გრ. ორბელიანი  
არათუ მხარს უჭერს „მამათა“ ბანაკს „შვილების“ წინააღ-  
მდეგ, რომლებსაც ენაში სიახლე შემოჰქონდათ, არამედ აღი-  
არებს კიდევ „შვილების“ დამსახურებას ქართული ენის წი-  
ნაზე.<sup>2</sup> აღნიშნავენ, „ერთადერთი საკითხი, სადაც გრ. ორბე-  
ლიანი უპირისპირდება ილია ჭავჭავაძეს... ესაა ორთოგრაფი-  
ის საკითხი“,<sup>3</sup> მაგრამ როგორც ჩვენი ლიტერატურული ცხოვ-  
რების შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა, თანამედროვე  
ქართველ მწერალთა შემოქმედებითმა პრაქტიკამ ცხადყო,  
ორთოგრაფიის გაგების საკითხიც არ ყოფილა ერთსახოვანი.  
შემოქმედთა გარკვეული წყების მიზრუნება გრიგოლ ორბე-  
ლიანის სტილურ-ორთოგრაფიული პრინციპებისაკენ გვარწ-  
მუნებს იმ თვალსაზრისის ჭეშმარიტებაში, რომლის მიხედვით  
ურთიერთისაგან უნდა განსხვავდეს ენობრივ-ორთოგრაფი-  
ული მოვლენებისადმი მიდგომა მწერლისა და ენათმეცნიერე-  
ბისა.<sup>4</sup> ის, რაც ენათმეცნიერებისათვის მხოლოდ მშრალი, თუ

<sup>1</sup> აღნიშნული საკითხი დეტალურადაა განხილული ნ. გოგუაძის სა-  
უურადღებო ნარკვევში. „ი. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის საერთო შე-  
ხედულებანი ქართული სალიტ. ენის განვითარებაზე, იხ. ისე უროშევი,  
ტ. 69, თბ. 1958, გ. 213—22.

<sup>2</sup> იხ. ნ. გოგუაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 215, 216, 217.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 220.

<sup>4</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. გრ. კიკნაძე, ნიკოლოზ ბარათა-  
შვილი, წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1972,  
გვ. 167.

გნებავთ, კონსერვირებული ენობრივი ფაქტია, ხელოვანისათვის, პოეტისათვის იგივე მოვლენა მხატვრულ ემოციათა აღჭურვის ეფექტური საშუალება შეიძლება იყოს. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ გაუგებარი და სადღეისოდ კონსერვაციული ენობრივი პოზიციის გამოხატულებად დარჩებოდა კონსტანტინე გამსახურდიას, ანა კალანდაძის თუ სხვათა ბედი ჩვენს ლტერატურულ სამყაროში.

გრიგოლ ორბელიანი ქვეშარიტი ხელოვანი იყო და, ბუნებრივია, სწამდა მხატვრული სიტყვის მაგიური ძალა... მას, როგორც მგოსანსა და ერისკაცს სჯეროდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხისათვის მხატვრულ შედეგზე მეტი იყო. სხვადასხვა პოეტურ კონტექსტში მრავალგზის უთქვამს მას და ზეპირადაც განუცხადებია: „თქვენმა მზემ, მთავრობის შიში რომ არ მქონდეს, „ვეფხისტყაოსანს“ ეკლესიაში შევიტანდი და ზედ საკურთხეველზე დაეასვენებდიო“. სალოცვე ხატად სახავდა პოეტი რუსთველსა და მის პოემას, იმ ენას, რომელიც ჩვენი ხალხის ძირძველობას ამტკიცებდა და მისი მარადიულობის წყურვილს აღვივებდა. მან, როგორც შემოქმედმა და სიტყვის დიდოსტატმა, კარგად იცოდა, რომ პოეტი და მხატვრული შემოქმედება ფაქიზ დამოკიდებულებას, გაგებასა და თანადგომას მოითხოვს; ამქვეყნად არაფერია ისე სათუთად მოსაპყრობი, როგორც ხელოვნების, პოეზიის სფერო. ამიტომაც არ იშურებს ის გამგებიან, მოსაფერებელ სიტყვას ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის თუ ახალი თაობის სხვა გამოჩენილ სიტყვის ოსტატთა მიმართ. გრ. ორბელიანს სწამს, რომ მხოლოდ ტალანტს სჭირდება თანადგომა და ამიტომაცაა დაუნდობელი, უმკაცრესი კრიტიკოსი ის ყოველგვარი უნიჭობისა.

გრიგოლ ორბელიანი შესანიშნავად ერკვევა მხატვრულ ტალანტის ბუნებაში. თუ არა გრიგოლ ორბელიანს, აბა, ვის შეიძლებოდა სცოდნოდა XIX საუკუნის 40-იანი წლების საქართველოში, რომ დიდ პოეტურ ნიჭს თანაგრძნობა და მოსმენა სჭირდება. გრიგოლ ორბელიანიც წუხს დიდი მონაცემების მქონე დისწულის ბედზე, როცა აღნიშნავს „სამწუხარო იქნება, თუ მისი გონებრივი ნიჭიერება განუვითარებელ დარჩება“, და უგებს მას, როცა სხვა შემთხვევაშიც წერს

„ჩვენი ტატო პოეტია, და პოეტების ხასიათი ზომ ვიცი, თლონდ/ ყური დაუგდო... მაგისი იმედი მაქვს“...

გრიგოლ ორბელიანს, როგორც ყოველ გამოჩენილ პოეტს, სჯერა, რომ პოეზია ზეგარდმო ნიჭით ცხებული მადლია და „ჩანგის მსახური მგოსანი“ ის არსებაა, ვინც „განაცხოველებს“ ქაშთა ცხოვრების მსწრაფლ წამავალთა“.

\* \* \*

გრიგოლ ორბელიანის უმშვენიერეს პოეტურ განწყობილებათა საფუძველს ღრმა მამულიშვილური მისწრაფებები წარმოადგენს. შეიძლება გადაუქარბებლად ითქვას, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრებ ქართველთაგან, ვინც კი შემორჩა მეორე ნახევრის საქართველოს, „საქმით“ წმიდა“, „გულმხურვალე“, „სიტყვატკბილი“, „ქცვამაღალი“, ვისაც მყარი პოზიცია ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკური თუ ლიტერატურული მოვლენებისადმი — ეს გრიგოლ ორბელიანი იყო. ცალკეულ მოვლენათა ან ცალკეულ პიროვნებათა შეფასების ქაშს შეიძლება ზოგჯერ ის სცდებოდა, მაგრამ მას სწამდა და სჯეროდა იმისა (და ესაა სწორედ მნიშვნელოვანი), რასაც ამბობდა. ამიტომაც გაორებული პიროვნება კი არ იყო იგი თავისი მრწამსით, არამედ მტკიცედ შეკრული, მონოლითური ნატურა, რომელიც ცხოვრების მწუხრშიც იმავე სალოცავს ემსახურებოდა, რასაც სიცოცხლის გაზაფხულზე სცემდა თავყვანს. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე, ეს გარეგნულად ბრწყინვალე და ბედნიერი ცხოვრების ელფერით მცხოვრები კაცი, ბედმა უმწარესი პიროვნული უბედურებისა და ტრაგიკული ეროვნული ტკივილის მზიდველი გაზადა. თუ უმწვავესი პიროვნული უბედურების ქაშს, 1845 წელს, მისი ძმისავე სიტყვებით „ქრისტიანებრივი მოთმინებით“ იღებს ის ცხოვრების უმძიმეს დარტყმას, 1856 წელს უკვე თვითვე მოუწოდებს ახლობლებს ახალი უბედურების თავსდატყდომისას ელოდონ „უკანასკნელ ქაშს, აუცილებელს მოთმინებითა და სასოებითა“... ყველა შემთხვევაში რწმენა არის ის დულაბი, რომელიც შინაგანად ამაგ-

რებს სვეგამწარებულ პოეტს, აძლევს მას ძალას შეეგუო  
გაჭირვებას, რათა პიროვნული ტანჯვა შემოქმედებით ეზღ-  
გიად გადაადნოს და უსასოო ყოველდღიურობა პოეტური სვე-  
დით ავსებულ მარადიული სიხარულის უღვე წყაროდ აქციოს.  
ამიტომაც უმტკიცესი ნებისყოფის გამოხატველი პიროვნების  
აღსარებად გაისმის 1880 წელს ნათქვამი მისი სიტყვები: „სი-  
ღარიბეში ძნელი ყოფნა და ცხოვრება არცა მე ამცდენია და  
გულში ღრმად დამრჩა სიმწარისა ძალი მისი; მაგრამ ბერწ-  
მუნეთ, ერთხელაც არ მიწყევლია არცა ბედი ჩემი და არცა  
ღმერთი. ვითმუნდი, რადგან ვიყავ ყმაწვილი კაცი და იმედი-  
ცა მქონდა“. (ი. მ. II, 264). პიროვნულ შეჭირვებათა დაძ-  
ლევის პირობად პოეტი ყოველთვის მოთმინებას სახავს, მოთ-  
მინების ქრისტიანულ შინაარსსა და თვით ფრაზასაც გრი-  
გოლ ორბელიანი უსიგრძეგანებს მკითხველს. ამიტომაც, რო-  
ცა მის პოეზიაშიც ამოატანს ხოლმე მოთმინებისკენ მოწო-  
დება („მუშა ბოქულაძე“), გრ. ორბელიანის მხატვრულ სამყა-  
როში ეს ვისიმე აღმოჩენა კი არაა, არამედ თვით პოეტის  
მიერ აზრობრივად და ფრაზეოლოგიურად ჩვენამდე მოტანი-  
ლი და ჩვენშივე დამკვიდრებული ფაქტია.

მოთმინება დიდ სულიერ სიმტკიცეს გულისხმობს. ადა-  
მიანი, გრ. ორბელიანის მრწამსით, იმისთვის არსებობს, რომ  
მოთმინებით გაუძლოს გარდაუვალ სიდუხჭირეს სულისას, მაგ-  
რამ მას აროდეს აქვს მორალური უფლება არ თრთოდეს, არ  
ღელავდეს ეროვნულ თუ მოქალაქეობრივ უბედურებათა მო-  
ძალების ემს. გულგრილობა ასეთ შემთხვევაში მისთვის ზნე-  
ობრივი სიკვდილის ექვივალენტია. გრიგოლ ორბელიანის  
ცხოვრების საზრისი მისი სამშობლოს ბედზე ფიქრია. დიდი  
ტკივილითა და სევდითაა მოცული პოეტის სული ახალგაზრ-  
დობიდან სიბერემდე, როცა ხედავს მამულის უნუგეშო მდგო-  
მარეობას... „შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვ-  
რებას, მოყვრულად გვმტერობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს  
აღერსობას“, — წერს ის 1832 წელს და ამ იდენის ერთგული  
რჩება 1872 წელსაც, თავის სამსახურებრივი აღზევების ემს;  
გრ. ორბელიანი დაუნდობლად ამხელს ყველა იმათ, ვინც ამტ-  
კიცებს, რომ „ქართველებს არცა ჰქონიათ ლიტერატურა“. მს-  
ცოვანი პოეტი თავს ესხმის ხელისუფლების ოფიციალურ

წარმომადგენლებს, რომლებიც ამ დროისათვის „გულსმოდგინებით და დიდი მჭევრმეტყველებით“ რჩევას იძლევიან, „თუ ვითარს წარმატებაში და ბედნიერებაში შევა საქართველო, როდესაც ქუეყანაზე განჭრება სახსენებელი ქართულისა ენისა!...“

...საქართველოში ურიები, თათრები, სომხები, ლოტრანები ილოცვენ თავიანთ ენაზე და არავენ არის დამშლელი მათი... და მხოლოდ ქართველებსა უნდა მოვუსპოთ ქართულს ენაზე ლოცვა! რათა? აქ ხომ აზრი არ არის, თუ არ დაჩლუნგება, დაჟანგება გონებისა, და ან საქართველოსა, ერთგულების მეტი რა დაუშავებია, რომ ეროვნათა სხვადასხვა ხალხთა შორის მართო ქართველები ამოურჩევიათ დასაჩაგრავად? — აი, საქართველოს ბედი; მოვა ვინმე თუგინდა რევიზორი, თუ გინდა კარბეკო, გადავლებს თვალს აქაურობას და მაშინვე პლანი მზად არის ჩუენისა ბედნიერებისა და განათლებისათვის.“

„მთლად საქართველო იყიდება“ — ჰგოდებს გულდათუთქული პოეტი 1875 წელს და კონკრეტულ მიზეზებსაც ასახელებს: „სახლიდან გვერეკებიან გარეთ... ფეხქვეშიდამ გვეცლება მიწა და მშველელიცა აღარ არის ჩვენთვის“, რადგანაც, მისი თქმით, „ფიტარეთი ჩვენის მამა-პაპების სასაფლაო, უფალს თაიროვს გაუხდია ცხვრების ფარეხებად“. ეს უკვე მეოცნებე რომანტიკოსის ხილვა კი არაა, მკაცრი რეალიზმის გრძნობით აღჭურვილი მრავლის მნახველი პოლიტიკური მოღვაწის მსჯელობა, რომელიც ხედავს, რომ, თუ ასე გაგრძელდა „საქართველო დაიღუპება, თორემ თათრებსა, ან რუსებსა რა უჭირთ“. გრიგოლ ორბელიანი ამაში ბრალს დებს, პირველ ყოვლისა, „რუსეთის მოხელეებს, ხალხთა სიძულვილის მოხვეჭის შეუდარებელ ოსტატებს“... პოეტის გონება და გული მიპყრობილია იმხანად ყურადღების ცენტრში მოქცეული აჭარა-ქობულეთის, მესხეთის, აფხაზეთის მკვიდრთა ბედისადმი... მისი საოცნებო იდეალი პოეზიაში და ცხოვრებაშიც ერთიანი და ძლიერი საქართველოა. დუღაბი ამ ერთობისა პოეტის აზრით, პირველ ყოვლისა ენაა. „ვის რა დაუშავდება, რომ სხვათა ენათა შორის იყოს ჩვენიცა ცოცხალ“? აღნიშნავს პოეტი 1869 წელს და მცირე ხნის შემდეგ 1877 წელს დიდი გზნებით წერს: „ვისაც არ უყვარს თავის სამშობ-



ლო ენა, მას უეჭველია არ უყვარს თავისი მშობელნიცა, თავის წინაპარნიცა; თავის მამულის ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფა-ცხოვრებისა, მათის სარწმუნოებისა, ჩუქლები, ესე იგი თუთ ისტორიისა“. მართალია, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე მან შექმნა უმძიმესი სევდით დატვირთული სტრიქონები: „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო, გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდევარ სიმწარით“, მაგრამ ეს მაინც შეიძლება სიკვდილის პარისპირ მყოფი ადამიანის წუთიერი პოეტური განწყობილების გამოხატულებად მივიღოთ და არა იმ მოუდრეკელი ქართველი რაინდი-მგოსნის ცხოვრების ლაიტმოტივად, რომელსაც უკუდურესი პესიმიზმის დროსაც სწამდა, რომ უნდა „ივერი აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“.

გრიგოლ ორბელიანი ის კაცი იყო, რომელმაც კარგად იცოდა, რომ „მადლობისა და შურისძიების გრძნობა დიდხანს სიცოცხლობენ ამქვეყნად“... ამ გრძნობის არსებობა მას ადამიანის ზნეობრივი ცხოვრების გამაწონასწორებელ ფაქტორად მიაჩნდა. პოეტი თავყვანს სცემდა „გონების ძლიერებას“, „ნებნაყოფის დიდ ძალას“. თავად ამ მაღალ თვისებათა მატარებელს მაღალი სულიერი ღირებულებებისადმი რწმენა აროდეს დაუკარგავს. ინტელექტუალური და პრაქტიკული ცხოვრების სიბრძნე მასში თანაბრად იყო შერწყმული. ამიტომაც განსაკუთრებულ ძალმოსილებას იძენს ამ დიდი ნიჭის პიროვნების მოწოდება: „ყოველი ბნელი მხოლოდ უძლურობისა და მანკიერების თავშესაფარია“ და რომ „ძალა სინათლემია!“. ყველა შემთხვევაში ის სინათლის სხივად და ნუგეშად ახალგაზრდობის ნიჭსა და გარჯას სახავდა. გრიგოლ ორბელიანს თავისი სიცოცხლის დასასრულსაც სწამდა ახალგაზრდობის ყოვლისშემძლეობა, როცა წერდა: „მაინც-ის გვანუგეშებს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა გულმოდგინედ მეცადინეობს, შრომობს და გვაქვს იმედიცა, რომ მეცადინეობა მათი არ დაშთება უნაყოფოდ და ერთხელ ჩვენცა გაგვითენდება დილა სინარულისა“. წარმატების პირობად პოეტი ნების სიმტკიცეს და გამძლეობას თვლიდა. ამიტომაც მოუწოდებდა ახალგაზრდობას, „ნუ დაეცემიან სულითა“, „ნუ მიეცემიან უსასოებას!“...



გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებითი მასალა და მხატვრული ინტერესები

გარეგნულად ბრწყინვალე, მაგრამ შინაგანად ძალზე დაძაბული, რთული ცხოვრებით იცხოვრა გრიგოლ ორბელიანი. ღიდი აკაკის თქმით, მან „შამაცად განვლო ეს ბოროტების საფრთხით საცხე ქვეყანა. ჩირქის მომდებმა სიფელმა ვერ შებღალა მისი სახელი“. ყმაწვილობიდან სიცოცხლის მიწურულამდე ისე აეწყო ყველაფერი, თითქოს ცხოვრების პროზა განგებისაგან ბოძებული მშვენიერი პოეტური ნიჭის ჩაყვლას ცდილობდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა. თუ მძიმე მხედრულმა ცხოვრებამ და ადმინისტრაციულმა საქმიანობამ გავლენა მოახდინა პოეტის შემოქმედებით პროდუქტიულობაზე, სამაგიეროდ ვერაფერი დააკლო მისი პოეზიის მაღალმხატვრულობას.

გარემო, რომელშიც მომავალ პოეტს უხდებოდა სულიერი ფორმირება, ყოველნაირად ხელშემწყობი უნდა ყოფილიყო ლიტერატურულ მისწრაფებათა განსაფრთხილებლად. ერეკლე მეორისა და ყაფლანიშვილთა ნაშეიერების არისტოკრატიული ოჯახი, სადაც მეფობდა კულტი ძველი საქართველოსი და ისიც იყო ღვივდებოდა შიდრეკილება ევროპული სამყაროსადმი, „კურკად“ წოდებულ მკვირცხლი გონების ყმაწვილს ნაირფეროვან წარმოდგენებს უღვიძებდა, წარმოსახვის უნარს უძლიერებდა. თავისი ინდივიდუალური „მე“ რომ ეპოვნა, ანჩისხატის ეკლესიისა და შემდგომ კეთილშობილთა სასწავლებლის ბრძენნი მოძღვარნი დ. ალექსი-მესხიშვილი და ი. ხელაშვილი სწორ მიმართულებას აძლევდნენ სახელოვანი ზურაბ ორბელიანის ვაჟს.

ამიტომ მოულოდნელი არაფერია იმაში, რომ ზაქარია ჭი-

ქინაძის გადმოცემით „გრ. ორბელიანს ლექსების წერა 1820 წლებში დაუწყია. მართალია, ამ წლებით დათარიღებულ ლექსებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მოღწეულია 1824 წელს დაწერილი მხატვრული პროზაული ესკიზი „ან...დმი“, რომელიც თარგმნილ თხზულება „ალლელორიასთან“ ერთად გრ. ორბელიანის პირველ დათარიღებულ ქმნილებად ითვლება (ჯ. ჭუმბურიძე).

საერთოდ კი, გრ. ორბელიანმა დაგვიტოვა 48 ლექსი, 1 პოემა, 3 დღიურის ფორმით წოდებული პროზაული ქმნილება, 4 მხატვრული ესკიზი, 9 მიბაძვითი და გადმოკეთებული ნაწარმოები, სხვადასხვა მწერლის 4 თარგმანი, 1 ყრიტკული წერილი, 8 საინტერესო შენიშვნა, ჩანაწერი და სიტყვა ჩვენი ეროვნული ცხოვრების საპირპოროტო საკითხებზე. თუ თვალს მივაღწევნებთ პოეტის შემოქმედებით განვითარებას, ვნახავთ, რომ 1827—1832 წლებში მას შექმნილი აქვს 24 ლექსი, 1833—1851 წლებში 13 ლექსი, 1860—1883 წლებში კი 11 ლირიკული ქმნილება. 1827-დან 1870 წლებში იწერებოდა ცნობილი „სადღეგრძელო“, 1831—1839 წლებში პროზაული „დღიურები“, 1824-წლიდან და შემდეგ პროზაული ესკიზები; სხვადასხვა პერიოდში მას ნათარგმნი აქვს რუსი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებები. გრ. ორბელიანის ლექსებისა და პოემის ვარიანტებიდან ზოგიერთს დამოუკიდებელი მხატვრული ერთეულის მნიშვნელობაც შეიძლება მიენიჭოს. გრ. ორბელიანს აქვს ძალზედ დიდი ეპისტოლარული მემკვიდრეობა. როგორც ვხედავთ, შემოქმედ ადამიანთა ბედის პირობაზედ მდიდარი სულიერი მონაცემის გარდა, შედარებით ხანგრძლივი სიცოცხლის ნიჭითაც დაჯილდოებული გრ. ორბელიანი, გასაგები მიზეზისა გამო, ხელხვედრიელი პოეტი არ ყოფილა.

გრ. ორბელიანის თხზულებათა ქრონოლოგიური ნუსხიდანაც ჩანს, რომ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, იმისდა მიხედვით, თუ სად უხდებოდა მგოსანს მოღვაწეობა, მას ხანგრძლივი შეყოვნებები აქვს... ასე, მაგალითად, 1841 წლისათვის, ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვით, თუ „მრავალნი კაცნი, მოცილილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოობაში, შე-

ეწვეიან მამულს ენას“, რითაც გვამცნობენ, რომ „ქართველთა  
 არ სძინავთ გონებით“, გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის გაცნობი-  
 ლიდან ვრწმუნდებით, რომ პოეტი მოწვევტილია არა მხოლოდ მე-  
 მოქმედებითი ცხოვრებისათვის ეგზომ აუცილებელ „მყუდ-  
 როებასა“ და „მარტოობას“, არამედ ელემენტარულ სულიერ  
 საზრდოს. მოგვიანებითაც, 1848 წელს, საპასუხისმგებლო თა-  
 ნამდებობაზე ყოფნისას, ის წასაკითხად ნატრობს ქართულ  
 წიგნს, „ვეფხისტყაოსანსა“ და „სახარებას“, (იხ. წერილი ილია  
 ორბელიანისადმი, წერილები, II, გვ. 80). გრიგოლ ორბელი-  
 ანი 1832 წლიდან მოყოლებული უკვე ოფიციალურად სასჯელს  
 იხდის ბალტიისპირეთში, პოლონეთსა და დაღესტანში. მაგრამ,  
 როცა საზოგადო მოღვაწის თვისებითა და ზეგარდმო პოეტუ-  
 რი ნიჭით ცხებულ კაცს შემოქმედებითი ასპარეზი მოუსპეს,  
 მისთვის იძულებითი სასჯელის ფორმა, სამხედრო სამსახური,  
 ჯერ მოვალეობად, შემდეგ თავის გამოჩენის, პიროვნული ძა-  
 ლის გამოვლენის ერთ-ერთ საშუალებად და ბოლოს სამხედ-  
 რო კარიერა მის ვნებად იქცა... გრ. ორბელიანის უშრეტო  
 ენერგია და ელვარე ნიჭი გზას, სადინარს მოითხოვდა. დაუ-  
 თკებელი შინაგანი ძალა ეწვეა პოეტს, რომ იმოქმედოს და  
 პრაქტიკულ სფეროში მაინც შთანთქას შემოქმედებითი ენერ-  
 გია, რომელიც, ალბათ, სასურველ პირობებში რამდენ შე-  
 დევრად გადადნებოდა მის პოეტურ სულში. ამ დროს გრ. ორ-  
 ბელიანი ერთხანს თითქოს დაბნეულია, ჭეშმარიტი აზროვნ-  
 ულ-მხატვრული ორიენტირის პოვნა უჭირს... შემდეგ, რო-  
 გორც ყოველი ადამიანი, ისიც ცდილობს სასიკეთო თვალთ  
 შეხედოს თავის საქმიანობას. ცხადია, გამუდმებული ფიქრი  
 და ზრუნვა სამხედრო ოპერაციებზე, სამოქალაქო მმართვე-  
 ლობის ფორმებზე, მხედარი-სარდლის მოვალეობა და ადა-  
 მიანური ფიქრი თავის გადარჩენასა და თავის გამოჩენაზე  
 წამყვან ადგილს იკავებს მის ფსიქიკაში. არაშემოქმედებითი  
 ატმოსფეროს გამო, ლექსის წერის მაგივრად მოკითხვის ბა-  
 რათების წერასლა ახერხებს, რითაც რამდენადმე მაინც იკ-  
 ლავს თავის მახლობელთა, პოეტური შთაგონების ობიექტთა,  
 სიშორით გამოწვეულ სევდა-ნალველს. 1833—1851 წლებში  
 პოეტს შექმნილი აქვს სულ 13 ლექსი და აქედან უმეტესობა

რუსეთსა და ევროპაში ყოფნისას, ან ხანმოკლე მოცალეობის  
ქამს. თანამედროვეთაგან მრავალი ახლობელი გრძნობს და  
აქეზებს გრ. ორბელიანს ლიტერატურული შრომისათვის, მო-  
ითხოვენ მისგან ახალ თარგმანებს, უწონებენ ლექსებს და  
მათგან განსაკუთრებით მანანა ორბელიანი, სალომე ჭავჭავა-  
ძე, ეკატერინე ჭავჭავაძე და სხვ. მაგრამ ყველაზედ მეტად  
მამინც ნიკოლოზ ბარათაშვილი გრძნობს ფასსა და მნიშვნე-  
ლობას გრ. ორბელიანის მხატვრული ტალანტისა, წუხს, რომ  
ასე იშვიათად გამობრწყინდება მისი ნიჭის გამოჩაშუქი. 1842  
წელს მიწერილ ბარათში ნიკ. ბარათაშვილი ევედრება კიდევ  
საყვარელ ბიძასა და მეგობარს: „გრიგოლ, რა იქნება, რომ  
ერთი კვლავ დააწკარუნო ამდენი ხნის დადუმებული შენი  
სანთური“...

და მართლაც, გრ. ორბელიანის შემოქმედებითი ნაყო-  
ფიერება ახალგაზრდობაში, გადასახლებაში უფრო თვალსა-  
ჩინოა. 1832 წლამდე აქვს პოეტს შექმნილი ჩვენამდე მოღ-  
წეული 24 ლექსი, მრავალი თარგმანი, ცნობილი „მოგზა-  
ურობა“, პროზაული ესკიზი „ან-დმი“... ამ დროის მონაკვეთ-  
ში იწყებს მუშაობას და ფაქტიურად ქმნის პოემა „სადღეგრ-  
ძელოს“ I ვარიანტს. შემდეგ? რაც დრო გადის, სა-  
ზოგადო და სამსახურებრივი საზრუნავი ემატება პოეტს, 14  
ლექსი, ორიოდღე დღიური, რამდენიმე თარგმანი გვაქვს შე-  
მორჩენილი 1833 — 1851 წლებიდან; 1860-დან 1883 წლამდე  
კი პოეტი წერს 11 ლექსს, ერთ კრიტიკულ წერილს და ას-  
რულებს „სადღეგრძელოს“...

ცხადია, ბოლო წლებში სამსახურებრივი დატვირთვა გრ.  
ორბელიანს უკვე აღარა აქვს, ნანატრი შემოქმედებითი თა-  
ვისუფლებაც თითქოს ეღირსა პოეტს, მაგრამ სხვა დაბრკო-  
ლებას აწყდება იგი; საყოველთაოდ ცნობილია, რომ შემოქ-  
მედება მოითხოვს დიდ ძალას, ენერჯიას, სულიერ სიკაცა-  
სეს და, თუ გნებავთ, მსხვერპლს, მეორე დიდი პოეტის სიტყ-  
ვით, „ხორცის დაჰნელებას და სულის აყვავებას“; გრიგოლ  
ორბელიანს კი ერთ ახლობელთან წერილში ამ დროს (1878 წ)  
გულისტკივილით წამოსცდება: „სიბერემ წამართო, წაიღო  
პოეზიის ძალი, მაგრამ ვეცდები, თუ შევძელ როგორმე და  
ფადავთარგმნო შენი საყუარელი ლექსები“... პოეტური აღ-  
მაფრენა და „ძალი პოეზიისა“ გრ. ორბელიანს სიბერეში კი-

დევ უფრო გაუცხოველდა. ამას მოწმობს მისი უბრწყინვალესი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „მუშა ბოქულაძე“ და „პასუხი შვილთა,“ მაგრამ ფაქტია, რომ თვით-კონტროლის გრძნობა, რომელიც იმთავითვე ძალუმაღ იყო წარმოდგენილი გრ. ორბელიანის პოეტურ ნატურაში, კიდევ უფრო გაულრმავდა მოხუცებულობის ეაშს. პოეტის მაძიებელი სული წელთა სიმძიმემ ვერ შეაფერხა. ფსალმუნებისადმი მიდრეკილება გრ. ორბელიანს ახალგაზრდობაშიც ჰქონდა, მაგრამ უანრობრივად ამ დიდი ძეგლის ქარგაზე აგებული კმნილება მან მხოლოდ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მიწურულში შექმნა. ამას მოწმობს 1879 წლის 25 ივნისით დათარიღებული მისი წერილი ილია ჭავჭავაძისადმი: „დავბერდი და შევუდეგ სულისა გზასა, ვჰკითხულობ დავითნსა და არა დაედნა ამ კითხვისაგან. მაგრამ გთხოვთ კი, რომ თქვენვე წაუკითხოთ ჩემს უღმობელს კრიტიკოსს კნე. ოლლასა: თუ მოეწონოს, ხომ რა კარგი, და თუ არა, აიღეთ კარანდაში, წაუსვით და წამოუსვით, ისე რომ მაგ ლექსის სახსენებელიც აღარსად იყოს ჩემ შესარცხვენლად“... თითქოს დამწყები პოეტიაო, ისეთი გულისფანცქალით წერს დიდი პოეტი, ოთხიოდე წლის შემდეგ ილია მას უკვე „ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრის მეუფეს“ უწოდებს. ჭეშმარიტ პოეტის გული ჭაბუკის მგზნებარებით ფეთქავს სიცოცხლის ყველა ეტაპზე; მთავარია სულით არ დაბერდეს მგთსანი. ერთია, რომ როგორც ყველა ჭეშმარიტ შემოქმედს, გრ. ორბელიანსაც უკმარისობის სევდა იპყრობს, სევდა, რომელიც ნამდვილი შემოქმედებითი წინსვლის პირობაა და არა ჩიხში მოქცეული ადამიანის გოდება:

„ან ეს რაცა ვსთქვი, რადა ვსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა ვსთქვი?  
და ვერ ვსთქვი რაცა, ის წყლულად გულს დაშთა და მით ვიტანჯის...“

მრავალი ხელოვანისთვის ქცეულა შემოქმედებითი უკმარობის გრძნობა ტანჯვის წყაროდ, მაგრამ მრავალთაგან მხოლოდ მცირეს თუ მოუხერხებია აღვსილიყო საკუთარი თვითღირებულების სიმადლისა და ნამდვილი შემოქმედის ბუნების გამომხატველი სიამაყის ისეთი შეგნებით, როგორადაც ეს თავისი მხატვრული სამყაროს მიმართ გამოხატა გრ. ორბელიანმა:

„მაგრამ, თუ ვინმემ აქ კპოვა აზრი ნაცნობი გულისა,  
ვიფიწყებ, რაც ესეი სიმწარე ეკლიანს გზაზე სოფლისა...“

ამ სტრიქონებით კიდევ ერთხელ გახაზავს პოეტი, რომ მისი  
გული შემოქმედებითი სიხარულისა და მით ტყბობის გრძნო-  
ბით იყო ყოველთვის მოცული.

გრ. ორბელიანის ნაწერებიდან ღრმა ინტელექტის პიროვ-  
ნება შემოგვეყურებს, ფაქტიური მასალის სიმცირის გამო ძნე-  
ლია ვთქვათ, რა ლიტერატურული ატმოსფეროთი სუნთქა-  
და პოეტი, რანაირი იყო ის გარემო, რომელიც მის ლიტე-  
რატურულ ინტერესებს გეზს და მიმართულებას აძლევდა.  
ოჯახი, სამონასტრო და კეთილშობილთა სასწავლებელი, სამ-  
ხედრო სკოლა, სადაც სულიერ საგზაოს იკრებდა მომავალი  
პოეტი, სადღეისოდ უტყვ მოწმეთა როლში გამოდიან, რადგან  
არაფერს გვაძლევენ ფაქტების თვალსაზრისით ისეთს, რომ  
მათზე დაყრდნობით ასე თუ ისე წარმოვისახოთ, როგორ მი-  
მართებოდა გრ. ორბელიანის სულიერი განვითარება. დღეს-  
დღეობით ძნელია იმის გარკვევა, თუ ვინ ჰყავდა მკითხველი  
გრ. ორბელიანის თხზულებებს, ვინ იწონებდა, ვინ იწუნებ-  
და მის შემოქმედებას, ვინ აძლევდა ბიძგს პოეტის ფანტაზიას  
ლიტერატურული შრომისთვის. ეს შეგვეჩქმნადა ერთგვარ  
სურათს გრ. ორბელიანის ირგვლივ არსებულ ადამიანთა ინტე-  
რესებზეც. კარგად ვიცით, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა გრ.  
ორბელიანს ეროვნული და პოლიტიკური თვალსაზრისით მის  
თანამედროვეებთან, ქართველთან თუ არაქართველთან, მაგ-  
რამ ნაკლებად ან თითქმის არ ვიცით მისი დამოკიდებულება  
ლიტერატურული ინტერესებით მცხოვრებ ქართველ ინტელი-  
გენციასთან. ეს განსაკუთრებით ეხება პოეტის ცხოვრების  
ადრეულ პერიოდს, თორემ 60-იან წლების შემდეგ ილიასთან,  
აკაკისთან, იონა მეუნარგიასა და სხვა ქართველ მწერლებთან  
თუ ინტელიგენტებთან ურთიერთობა დღეს უკვე საყოველთა-  
ოდ ცნობილია.

ადრე კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, მკაფიოდ მხოლოდ ნა-  
კოლოზ ბარათაშვილი ავლენს ინტერესს პოეტი-ბიძგის ლიტე-  
რატურული ცხოვრებისადმი. სხვა? სხვას იშვიათად თუ ახ-  
სენდება, რომ გრიგოლ ორბელიანი გარდა ოფიცრისა, — პო-  
ეტიცაა.

ქართველი მანდილოსნებიც ინტერესდებიან გრიგოლის ლიტერატურული ცხოვრებით და თავიანთი გულწრფელი თხოვნით, ზოგჯერ გულუბრყვილობამდე მისული შეფასებებითაც, მას შემოქმედებითი შრომის ხალისს მატებენ. XIX ს. 30-იან 40-იან წლებში გრიგოლ ორბელიანის პოეზიის დამფასებელთა განწყობილებასა და დონესაც ერთგვარად გამოხატავს მანანა ორბელიანის ბარათი პოეტისადმი: „...შე დიდათ მაძმონს შემს დასთან მიწერილი ლექსი... საგანგებო არის, მთლად ერთიანად პოეზიით სავსე... შავრამ დიშპლიპიტოს არ არის კარგი ძალით, როგორც შენი ნათქვამები“.<sup>1</sup>

იმდროინდელი საზოგადოების, თუნდაც მისი არისტოკრატიული ნაწილის არც თუ სავსებით ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ გემოვნებაზე მიუთითებს აღნიშნული წერილი. ფაქიზი სევდითა და დახვეწილი, ამალღებული განცდებით დატვირთული ლექსი „ჩემს დას ეფემიას“, რომელიც ახალშექმნილი აქვს პოეტს, ცხადია, „დიპლიპიტოს“ ჰანგს არ საჭიროებს... გრ. ორბელიანის „მუხამბაზების“ კილო, ეტყობა, უფრო ზიზღავდა 30—40-იანი წლების ქალთა საზოგადოებას. ვიდრე სევდის სიღრმეთა ფარული სილამაზის ხილვა.

ვერ ვიტყვით, რომ გრ. ორბელიანი ანგარიშს არ უწევდეს მის მიმართ კეთილგანწყობილი მკითხველის, კერძოდ, ქალთა იმ საზოგადოების მოთხოვნებსაც, რასაც უყენებდნენ ვადასახლებაში მყოფ პოეტს. ამას მოწმობს თუნდაც სალომე ჭავჭავაძის წერილი გრ. ორბელიანისადმი. ჩვენს გამოჩენილ პოეტს, ალექსანდრე ჭავჭავაძესა და მის მეუღლეს, სალომეს, 1834 წელს შეეძინათ მესამე ქალი სოფიო. აი, სწორედ მას მიუძღვნა გრ. ორბელიანი მშვენიერი ლექსი „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“. ლექსი პოეტს სალომესთვის გაუგზავნია. ამ ფაქტით კმაყოფილი სალომე ჭავჭავაძე მას „სახუმარო“ ლექსად თვლის და თავადაც თამამი, ხუმრობის ტო-

<sup>1</sup> მანანა ორბელიანის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, 1835 წ. 30. IX. ს. ც. ს. არქ. ფ. № 481, აღწერილობა № 2, საქმე № 364. ფურც. 20. გრ. ორბელიანის საარქივო მასალებზე მიგვიითითა და სათანადო კონსულტაცია გაგვიწია ლიტერატურისა და ხელოვნების არქივის დირექტორმა, პატ. ვახტანგ გურგენიძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.



ნით სწერს მეგობარს: „საწყალს ბეჟანს, მკვდარს, მკვდარს მანც დაეხსენ. ერთი წელიწადი არის მოიშორე და ყავდეს თავის ვენერებს“.<sup>1</sup>

სხვა დროს (1836 წლის 2 ივლისი) მანანა ორბელიანი ევედრება პოეტს: „გრიგოლ, შენი ჭირიმე, მითარგმნე რამე წიგნი, რას გაკერპდი, ჩვენი ქალები უერმინას კითხულობენ და მითარგმნიან“.<sup>2</sup> ეს ქალები არაერთგზის ახსენებენ (მაგალითად, 1835 წ. 5. XI). გრიგოლ ორბელიანს, რომ თარგმნოს რაიმე ქართულ ენაზე...

ქართველ მანდილოსანთა თხოვნას, რომელთაც მისწრაფება აქვთ ეზიარონ ევროპულ მწერლობას, — (ყერმენა დე სტალს სხვისი წაკითხვით იცნობენ. ამ გზით იკლავენ დიდ ლიტერატურასთან ზიარების წყურვილს,) — გრიგოლ ორბელიანი სიცოცხლის დასასრულამდე გულისყურით უგდებს ყურს. პოეტი შეძლებისდაგვარად ცდილობს თავისი პოეზიის ერთგულ მკითხველთა, ერთ დროს მისი პოეტური შთაგონების ობიექტთა და შემდეგ კიდევ მათ შთამომავალთა თხოვნის ასრულებას. 1877 წელს სწერს კიდევ ეკატერინე ჭავჭავაძის ასულს, სალომე მიურატს: „ძალიან მეამა. რომ „თამარ მეფის სახე ბეთანიაში“ მოგწონებიათ ეკატერინესაცა და შენცა. რადგანაც უნდა მოგახსენო, რომ მე გახლავარ იმ ლექსის დამწერი და ცენსურამ ზოგიერთისა მათში დაბეჭდვა არ ინება, და აი, სწორე, ნამდვილი მომირთმევია ჩემ სახსოვრად“... ძნელია ქართველობა ყოველ დროში და რაც უფრო უცნაურია, უჭირდა თავისი სათქმელის პირდაპირ თქმა თვით გრიგოლ ორბელიანსაც, რომელსაც ერთი შეხედვით ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ ნდობით აღჭურვილიყვნენ ინფანტერიის გენერლის, კავკასიის ომების გმირის მიმართ. მაგრამ ნამდვილი ქართული სატკივრის შესახებ ფიქრსაც კი, როგორც ჩანს, არც მას პატიობდნენ...

1872 წელს (5. I) გრ. ორბელიანს უთარგმნია ვ. სოლოგუბის ლექსი. ე. მ ა ლ რ ა ძ ე ს მოაქვეს ნაწყვეტი პოეტის წერილიდან, საიდანაც აშკარად ჩანს გრ. ორბელიანის მთარგმ-

<sup>1</sup> სალომე ჭავჭავაძის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, 1835 წ. 25. III. ხ. ს. ც. სარკ. ფ. 481, აღწ. № 2, საქმე № 364, ფურც. 24.

<sup>2</sup> დასახ. არქივის ფ. 481, იქვე, ფურც. 193: 1.

ნელობითი პრინციპი; „სიტყვა სიტყვით თარგმანი არ ევან-  
გებოდა, ამის გამო გადმოვიღე მხოლოდ ჰაზრი სალალუბისა  
და განვაჯრცელე ქართველთა ჩვეულების ჩამატებით... და მხ-  
ლა არ ვიცი, ეს ჩამატება მოუხდა თუ არა? მსაჯული ამისი  
თქვენ ბრძანდებით“...<sup>1</sup> თავისი შემოქმედებითი ცხოვრების აი-  
სიდან დაისამდე, როგორც ირკვევა, გრ. ორბელიანი პუბლიკის,  
მკითხველი საზოგადოების, (რომელიც მის მიმართ ერთგვარი  
„დაშკვეთის“ როლში გამოდის), მოთხოვნილებას და გემოვნ-  
ებას გარკვეულ ანგარიშს უწევს და ეს მომენტი უკანასკ-  
ნელ ადგილს არ იჭერს პოეტის მთარგმნელობით საქმიანო-  
ბაში. რასაკვირველია, ავტორთა შერჩევაში ის საკუთარი მხა-  
ტვრული სიმპათიით ხელმძღვანელობს და თავის გარემოს,  
გემოვნების თვალსაზრისით, თვითვე უდგენს ლიტერატურულ  
კრიტერიუმებს; ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე გრ. ორბე-  
ლიანს უთარგმნია, გადმოუკეთებია და როგორც სპეციალისტ-  
თა დაკვირვებიდან ვგებულობთ, ქართულ ყაიდაზე აუმეტყვე-  
ლებია ვ. ჟუკოვსკი, ა. პუშკინი, კ. რილევევი, ი. კრილოვი,  
მ. ლერმონტოვი, ვ. სოლოგუბი, ი. ვ. გოეთე, ცშოკე, ი. გ. პერ-  
დერი... მას გამოუმტყდავნებია გარკვეული ინტერესი ა. ვ. შლე-  
გელის, ვალტერ სკოტის, ჯორჯ ბაირონის, საადის, ვაგიფის  
მიმართ...

გრ. ორბელიანის ლიტერატურული ინტერესების, მისი  
მხატვრული მიზანსწრაფვის გასათვალისწინებლად ამ გარე-  
მოებას აქვს თავისი მნიშვნელობა. აქედან ჩანს, თუ რა ხა-  
სიათისა და ტიპის მწერლები და მოაზროვნეები იტაცებდა  
პოეტს, თითქოს არაფერი ელობება წინ იმას, რომ ზემოჩამო-  
თვლილ ავტორთა ნუსხის მიხედვით, თავისი სიცოცხლის ბო-  
ლომდე პოეტი წმინდა რომანტიკული მისწრაფებების, ამ  
სკოლის წიაღიდან მომდინარე აზრისა და გრძნობის ერთგულ  
მგოსნად ჩავთვალოთ. მაგრამ გრიგოლ ორბელიანი ის შემოქ-  
მედია, რომელიც ცხოველ ინტერესს ავლენს არა მხოლოდ რომ-  
მანტიკოსი მწერლებისა თუ მოაზროვნეებისადმი, არამედ ძვე-  
ლი და ახალი დროის აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგე-  
ნელთა მიმართაც. მას აქვს ერთი ჩანაწერი „ჰაზრნი მსწავ-  
ლულთა ჩვენის პლანეტის შექმნისთვის ანუ მიწისა“, სადაც

<sup>1</sup> ე. მაღრაძე, „გრიგოლ ორბელიანი“, 1967, გვ. 325.

ელავს სახელები ეგვიპტური მითოლოგიიდან ტაუტისა, ბუჩქ-  
 ნული თეოსოფიური მოძღვრების წარმომადგენლად მიჩნე-  
 ული ჰერმეს ტრისმემისტის, ცნობილი ფილოსოფოსის ეპი-  
 კურესი, ახალი ევროპული ფილოსოფიის, კარტეზიანული რა-  
 ციონალიზმის წარმომადგენლის დეკარტესი, იდეალისტური  
 მონადოლოგიის ფუძემდებლის ლაიბნიცისა; ფრანგი ბუნების-  
 მეტყველის ბუფონის, გეოლოგის დელიუკის თუ გამოჩენილ  
 ინგლისელი მათემატიკოსის, ფიზიკოსისა და ფილოსოფოსის  
 ისააკ ნიუტონისა. რაც ყველაზედ მნიშვნელოვანია, 1880  
 წელს (27. III), გარდაცვალებამდე სამიოდე წლით ადრე,  
 გრ. ორბელიანი აღტაცებულია გერცენის „მომხიბლავი დია-  
 ლექტიკით“, წუხს, რომ „დადუმდა „კოლოკოლი“ და გაქრა  
 მისი მომხიბლაობა“. (შდრ. ე. მალრადის დასახ. წიგნი, გვ.  
 355).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ უფრო ნათელია  
 იმ აზრის ჭეშმარიტება, რომელსაც სათავე დიდმა ილია ჭავ-  
 ჭავაძემ დაუდო, როცა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან  
 წლებში თქვა, რომ „გრ. ორბელიანმა არ იუცხოვა ახალი  
 მიმართულება და პირიქით, თავისი ძლიერი ბანი მისცა“ მასო,  
 გრ. ორბელიანი აზრის, გონის კაცი იყო და ყოველივე სიახ-  
 ლის ტრფიალი, ოღონდაც სკეპტიკური ჭკუის პიროვნება, რო-  
 მელიც მხოლოდ აწმყოს კი არა, მომავლის თვალთაც ზო-  
 მავდა ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის მნიშვნელობას. ამი-  
 ტომაც სწრაფ რეაგირებებს არ ახდენდა ლიტერატურულსა თუ  
 საზოგადოებრივ სიახლეებზე. ერთი სიტყვით, ცხოვრების  
 მრავალ კირგამოვლილი პოეტი ემოციების სფეროდ პოეზიას  
 იტოვებდა და პრაქტიკულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაში  
 ძალზედ მკაცრი, ულმობელი კრიტიკოსის ამბლუსს არჩევდა.  
 ნათქვამი იმაზე მიუთითებს მხოლოდ, რომ არავითარი სა-  
 ფუძველი არ გვაქვს გრიგოლ ორბელიანი კონსერვატორად  
 გამოვაცხადოთ და მივიჩნიოთ, რომ ის ჩამორჩა ახალი დრო-  
 ის სულიერ ცხოვრებას. პოეტის დაუცხრომელი წყურვილი  
 აზროვნებისა და ლიტერატურის სფეროში არსებული სიახ-  
 ლისადმი ნათელყოფს მისი გონებრივი სამყაროს აღმასვლას.



ცნობილია, რომ ყოველნაირი შემოქმედების ამონახველია წინასწარ მოცემული, განსაზღვრული მასალა. რასაკვირველია, მასალის შერჩევის თვალსაზრისით ბევრი რამაა დამოკიდებული ხელოვანის, მწერლის სიმბათიებზე, მის მიდრეკილებებსა და მსოფლმხედველობრივ პოზიციასზე.

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში პირობითად შეიძლება გამოიყოს და დაჯგუფდეს რამდენიმე ფენა მასალისა, რომელიც ბიძგს აძლევს პოეტის წარმოსახვას, შექმნას ახალი და მშვენიერი მხატვრული სინამდვილე.

მაინც რანაირი მასალისადმი ავლენს გრ. ორბელიანი შემოქმედებით ინტერესს? როგორი მასალა ასაზრდოებს მის პოეტურ ფანტაზიას და რით შეიძლება აიხსნას შედგენილობის მიხედვით გრ. ორბელიანის შემოქმედების მრავალფეროვნება? აი, კითხვები, რომელიც პასუხის გაცემას მოითხოვს.

ამთავითვე აღსანიშნავია ის, რომ გრ. ორბელიანს აქვს გამაფრებელი სწრაფვა საზოგადოდ წარსულის და მომეტებულად კი საქართველოს ისტორიული წარსულისადმი, იქნება ეს მითიურ-ლეგენდური, წმინდა ისტორიული, თუ მოგონების, გახსენების ფორმით ჩვენამდე მოტანილი მასალა. ამავე ინტერესს ექვემდებარება, მაგრამ უფრო ზედროულს და ზოგადსოციალურ ინტერესთა გამოხატვას ისახავს მიზნად პოეტი, როცა ის ბიბლიის, ფსალმუნის მარადიულ მოდელებს ეყრდნობა და ანსახიერებს.

არის კიდევ თბილისური ყოფიდან, თუ მისი ფოლკლორულ-ლიტერატურული გარემოდან აღებული მასალა, რომელიც სრულიად ორიგინალურადაა გარდასახული პოეტის ნაწერებში.

გრ. ორბელიანის ლირიკის ობიექტები კონკრეტული ადამიანებია, როცა ის სინამდვილიდან მიღებული შთაბეჭდილებების წყალობით ლექსის შექმნის პროცესში ირჩევს აღრესატიისადმი მიძღვნიტ, ან ეპისტოლარულ ფორმას და მკითხველს უთვალსაჩინოებს პოეტური შთაგონების გამომწვევ ფაქტორებს.

ცხადია, აღნიშნულით არ და ვერც შემოიფარგლება ამ დი-

დი პოეტის შემოქმედებითი ინტერესები. აქ მასალის მხარე ბევრი რამ არის ისეთი, რაც მიუწვდომელია მკითხველისათვის, რადგან გრ. ორბელიანის ნიჭის წყალობით ბევრი რამ ასაკუთარ „სულიერ ქურაში“ ისეა გარდაქმნილი, გატარებული, რომ ამა თუ იმ ქმნილების მასაზრდოებელი წყარო გარეშე თვალისათვის დაფარული და უხილავია.

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ ორბელიანი ქართულ სინამდვილეში ის მოაზროვნე-ხელოვანია, რომელსაც გარკვეული მიზანდასახულობითი ჩანაფიქრი აქვს და ამასთან ცხადად აქვს შეგნებული მხატვრულად ასასახავი მასალის მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად გამორჩეული ადგილი მის წარმოდგენაში წარსულს, საქართველოს წარსულს უჭირავს. ამ მხრივ გრ. ორბელიანის, როგორც მოაზროვნის, ხელოვანისა და მამულიშვილის ღვაწლი განუზომელია, რადგან დიდი ილია ქავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ „პირველმან ამან (გრ. ორბელიანი ი. ე.) მიგვახედა ჩვენ მიერ დავიწყებულს წარსულს... თითქო იგრძნო, რომ უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია“... ჩვენი წარსულის მიმართ კრძალვით აღვსილი გრ. ორბელიანი 1869 წელს, იმოწმებს რა პავლე მოციქულის სიტყვებს, ალექსანდრე ორბელიანს სწერს: „პავლემ სთქვა: „რაცა დავპსწერე, დავსწერე, რაცა შემეძლო, ის შევიძელ, კარგია და გავათათ. ნულარ შემიყვან განსაცდელში სხვადასხვა თხრობებით საქართველოზე. ჩვენი ისტორია სავსეა დიდ საქმეებით, დიდი მამაცობით და მამულისათვის თავდადების სიყვარულითა. ყოველთა ამათვის დიდი მწერლობა უნდა და მას მწერალსაცა „საწერელი ზღვა უნდა“ და მე კოდაზე (გრ. ორბელიანის სოფელია — ი. ე.) პატარა წყაროს მეტი არა მაქვს“...<sup>1</sup>

ასეთი მოთხოვნა საკუთარი თავისადმი, მასალის ვერ დაძლევის ერთგვარი შემოქმედებითი შიში, გრ. ორბელიანის შინაგან პასუხისმგებლობას მოწმობს მხოლოდ და მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოეტი წარსულის კუთვნილი ისტორიული ამბების, ლეგენდური ელფერიით მის დრომდე მოღწეული, ჩვენი ხალხის არსებობის

<sup>1</sup> ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, 11, გვ. 268—269.

სიძველესა და სიდიადეზე მიმთითებელი მასალის მხატვრულ გარდასახვას. ფაქტიურად საქართველოს ქეშმარიტი წარსული ჩვენ გრ. ორბელიანმა გაგვიცოცხლა მართალია, ისტორიულ გმირებსა თუ მოვლენებზე მითითება ადრინდელ მწერლობაშიც (აღორძინებისა და ე. წ. გარდამავალი ხანის) გვხვდებოდა, წარსულს მკრთალად, მაგრამ მაინც ალ. ქავჭავაძეც შეეხო, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით, მას მხოლოდ მეორადი და სპონტანური სახე ჰქონდა... ან პოეტური ღირებულების ნიშნით სათქმელი ვერ იყო იმ დონეზე თქმული, როგორსაც თვით ეს მასალა იმსახურებდა. ასე რომ, წარსულის სიდიადის ცნობიერების მხატვრულ ენაზე განმამტკიცებელი ჩვენს ლიტერატურაში გრ. ორბელიანია. ნათქვამის ნათელსაყოფად ინტერესმოკლებული არ იქნება იმ ზოგად მოთხოვნათა გახსენება, რაც წარსულის შემოქმედებით მასალად გამოყენებისას დგას მწერლის წინაშე. ჰეგელი, მაგალითად, ასე ხსნის წარსულის შემოქმედებით მასალად გადაქცევის ღირებულებას: „პოეტები, მხატვრები, მოქანდაკეები, მუსიკოსები მასალას უმთავრესად ირჩევენ წარსული ეპოქებიდან, რომელთა კულტურა, განათლება, ზნე-ჩვეულებები, სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება, კულტი განსხვავდება მათი საკუთარი აწმყოს მთელი კულტურისა და განათლებისაგან; ამგვარ უკუსვლას, წარსულისაგან მიბრუნებას... ის დიდი უპირატესობა აქვს, რომ ამ უშუალობისა და აწმყოსაგან თავის დაღწევით მოგონების, გახსენების გზით ხელოვანი თავისთავად აღწევს მასალის განზოგადებას, რის აცილებაც ხელოვნებას არ შეუძლია“.<sup>1</sup> მისივე თქმით, წარსული კი მხოლოდ მოგონებას ეკუთვნის და ამის კვალობაზედ მისი შინაარსიც ნაირგვარია, რაც, რასაკვირველია, გულისხმობს ისტორიული მოგონებების არსებობასაც.<sup>2</sup> მაგრამ ამ მოაზროვნის მითითებისამებრ, „ისტორიული მხოლოდ მაშინ არის ჩვენი, როდესაც იგი ჩვენი ერის კუთვნილებაა, ანდა თუ შეგვიძლია აწმყო საერთოდ განვიხილოთ იმ მომხდარ მოვლენათა შედეგად, რო-

<sup>1</sup> გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, ესთეტიკა, ტ. I, გერმანულიდან თარგმნა შალვა პაპუაშვილმა, თბ., 1973, გვ. 306.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 219.

მელთა ჯაქვეში გამოხატული ხასიათები ან საქმენი არსებობს რგოლს შეადგენენ“.<sup>1</sup>

ხელოვანის ამოცანად აქ ისაა მიჩნეული, რომ „პოეტმა“ ამა თუ იმ დროისა და ხალხის სწორედ... სუბსტანციური გული, დედაარსი უნდა იცოდეს და პირველად მხოლოდ მაშინ ჩადის უდიდეს ანაქრონიზმს, როდესაც მის სულსა და გულში შეუთავსებელი რამ შეაქვს... ამ თვალსაზრისით, ხელოვანს მოეთხოვება, რომ წარსული ეპოქებისა და უცხო ხალხების სულს ჩასწვდეს, მას შეუხსნისხლხორცდეს, რადგან სუბსტანციური თუ ის ჭეშმარიტი და ნამდვილია, ყველა დროისთვის ცხადი და ნათელი დარჩება, ხოლო იმის სურვილი, რომ წმინდა გარეგანი მოვლენის კერძო განსაზღვრულობა სიძველის ენაგში მთელი სიზუსტითა და დაწვრილებით გადმოხატოს, მხოლოდ ბავშვური განსწავლულობაა... მართალია, ამ მხრივ უნდა მოვითხოვოთ ზოგადი სისწორე, სიზუსტე, მაგრამ ამით ასეთ გამოხატვას არ უნდა წაერთვას უფლება, იქანაოს გამოგონებასა და ჭეშმარიტებას შორის“.<sup>2</sup>

პეგელის შეხედულებებზე დაყრდნობით, ოდონდ უფრო მძაფრ თეოსოფიურ პლანში შემდგომაც უთქვამთ: „ისტორია ღვთაებრივი (Божественная) პოემაა... თავისი სიტბოთი და თავისუფლებით ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები“.<sup>3</sup> მაშინვე და მახვილ ვონებას იქვე ისიც შეუნიშნავს, რომ „ისტორიის შედარება პოემასთან არის მხოლოდ აზრის გრაფიკული თამაში, ერთი უცნობიდან მეორეზე გადარბენა და პირიქით, გამოხატვა ერთი იმათგანისა მეორის სახით. ის საკუთრივ არ ცხადყოფს არც ერთს. მაგრამ ამგვარ შეპირისპირებას აქვს კიდევ სხვა აზრი. ამით სურთ შეადარონ არა მხოლოდ მზა პოემა გასრულებულ (სრულყოფილ) ისტორიას, არამედ სურთ აჩვენონ თავისუფალ ღვთაებრივ სულში ისტორიის წარმოშობასთან ერთად ხელოვანის ფანტაზიაში მხატვრული ქმნილების ჩასახვა“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ფ. პეგელი, ესთეტიკა, ტ. I, გვ. 316.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 323.

<sup>3</sup> Микрокосм, Мысли о естественной и бытовой истории человечества. Опыт антропологии Германа Лотце, ч. III, перевод Е. Корша, М; 1867, с. 54.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 55—56.

ასეთია ისტორიულ მასალასთან ხელოვანის, მწერლის მიხედვის, მისი შემოქმედებით ბაზად გადაქცევის შესახებ არსებული აზრი. ამასთან, საინტერესოა, თუ რა შემეცნებითა და ესთეტიკურ ღირებულებას ანიჭებენ ისტორიას, როგორც „ადამიანის სულიერ ძალთა სიღიადგზე მთხრობელს“. ამ თვალსაზრისით, საფეხური, რომელსაც თავისი გონებრივი ინტერესებით მიაღწია გრიგოლ ორბელიანი და რასაც „ისტორიულ ცნობიერებას“ უწოდებენ, ადამიანის კულტურული განვითარების მეტად გვიანდელ მონაპოვრადაა ჩათვლილი: ამ მხრივ ის, რაც ილია ჭავჭავაძისათვის ლაიბნიციდან მომდინარე აზრის მიხედვით, „აწმყო შობილი წარსულისაგან არის შშობელი მომავალისა“ — იყო სავსებით ნათელი ჰემიარიტება, როცა დაბეჯითებით წერდა: „აწმყოს, რომელსაც წარსული არა აქვს, არც მომავალი აქვსო“, ხოლო სხვა კონტექსტში უფრო მძაფრად განცდილი და გააზრებული აზრი — „ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა“, — ამოსავალი თვალსაზრისია თანამედროვე ისტორიული და კულტურულ-ფილოსოფიური კვლევისა. ამიტომაცაა, რომ, რაკი ისტორიის საგნად ადამიანს, ან უფრო ზუსტად ადამიანების დანახვას თვლიან, გვმოძღვრებენ: „წარსულის უცოდინარობა არა მხოლოდ ვნებს აწმყოს შემეცნებას, არამედ საფრთხის წინაშე აყენებს აწმყოში მოქმედების ყოველგვარ ცდასო“.<sup>2</sup> ცხადია, ე. კასირერის თქმით, „ჩვენ არ ძალგვიძს წარსულის მოვლენები ისე აღვადგინოთ და გავაცოცხლოთ, რომ ისინი რეალურ, ამჟამინდელ სინამდვილეს გავუთანაბროთ. რისი ძალაც შეგვწევს, ეს არის მხოლოდ წარსულის მოგონება, რომლის მეოხებითაც მას ვანიჭებთ არა რეალურ, არამედ იდეალურ ყოფიერებას. ყოველი ისტორიული კვლევის ძირითადი პირობაა იდეალური გონითი კონსტრუქცია“ (ე. კასირერი, დასახ. წიგნი, 273). მისივე სიტყვით, „წარსულის გაგება მომავლის უკეთ დანახვაცაა, რაც

<sup>1</sup> ერნსტ კასირერი, რა არის ადამიანი? ცდა ადამიანური კულტურის ფილოსოფიის აგებისა. გერმანულიდან თარგმნა ლამარა რამიშვილმა, თბ., 1983, გვ. 270. შემდგომ ყველგან მიუთითებთ ე. კასირერი და სათანადო გვერდით.

<sup>2</sup> Марк Блок, Аппология истории... стр. 25.



თავის მხრივ გავლენას ახდენს ჩვენს გონითსა და სოციალურ არსებობაზე“ (ე. კასირერი, 279). ოლონდაც, აქამდე ადამიანთა მიპყავს საკუთარი პიროვნული, ეროვნული „მე“-ს თვითშემეცნებას, რადგან ისტორიული კვლევის შექმნე ცხოვრება წარმრგვიდგება დიდ რეალისტურ დრამად ყველა თავისი დრამატული დაძაბულობითა და კონფლიქტით, სიდიადითა და მწუხარებით, იმედითა და ილუზიით, ენერჯის გამოღვიძებითა და ვნებათაღელვით.

ოლონდ ცხოვრების დრამა გადმოცემული ისტორიკოსის მიერ, არა ისტორიულის წმინდა შთაგრძნობის, არამედ უპირველეს ყოვლისა, მისი გონითი ხედვის ნაყოფია“ (ე. კასირერი, 319). მაგრამ ფაქტია, რომ ეს „გონითი ხედვა“ ანაყოფიერებს ხელოვანთა, მწერალთა ფანტაზიას, ჰკვებავს მათ შემოქმედებას<sup>1</sup> გარდასულ თუ აწმყო მოვლენათა შემეცნების ამ რთულ გზაზე ერთგვარად ერთიანდება მიზანდასახულება ისტორიკოსისა და პოეტის, მწერლისა. იმავე ავტორის მიხედვით, „რაც შეეხება დიდ ისტორიულ თხზულებებსა და მხატვრულ ქმნილებებს, აქ ჩვენი მზერა მიმართულია ჩვეულებრივი ადამიანის მიღმა; ისინი ადამიანს ჩამოაცლიან საბურველს და გვიჩვენებენ მის ნამდვილ სახეს... გვსურს შევიტყოთ ადამიანის ქვეშარტი ბუნება, უნდა მივმართოთ ისტორიკოსებსა და სახელმთხვეჭილ მწერლებს... მწერლობა არ არის ბუნების მარტოდენ მიბაძვა; არც ისტორია გვკვებავს უტყვი ფაქტებითა და შემთხვევებით. ისტორიაცა და მწერლობაც თანაბრად გვიკვლევს გზას თვითშემეცნებისა, მსოფლგაგებისა და ადამიანური სამყაროს აგებისაკენ“ (ე. კასირერი, 320). ამ გზაზე კი თურმე „ისტორიკოსები... ამავე დროს, არც „პოეტურობას“ არიან მოკლებულნი“ (კასირერი, 317).

რაც დრო გადის, სხვადასხვა სიტყვიერ სამოსელში უფრო მეტი ენერჯიულობითა და დამარწმუნებლობით გახაზავენ შემოთ მოტანილ თვალსაზრისთა მართებულობას, რომ „ისტორია არის პოეზია დიდი მასშტაბით“.<sup>1</sup> ლაპარაკობენ ესთეტიკის შესახებ (არსენი გულიგა) და ისტორიული მასალის ქრო-

<sup>1</sup> იაკობ ბერკარტის აღნიშნული აზრი კასირერის ნაშრომის მიხედვით, დამოწმებული აქვს გრ. ფარულავას. იხ. მისი „ადამიანის სილიაღზე მთხრობელი წიგნი, ე. „სკოლა და ცხოვრება“, № 1, 1986, გვ. 57.

ნიკა-მატიანეთა მხატვრულ მხარეზეც საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას (დ. ლიხაჩოვი)<sup>1</sup>. ქართულ სინამდვილეშიც „არსებობს ტენდენცია: გარდასულ დროთა ქამთაალმწერლობა გაუთანაბრდეს მხატვრულ მწერლობას“<sup>2</sup> და ამ თვალსაზრისით ქართველ ქამთაალმწერელთა ქმნილებანი განხილულ იქნას როგორც „არა მხოლოდ ისტორიული, არამედ მხატვრული აზროვნების ნიმუშები“.<sup>3</sup> სადაც ეპოსისათვის სპეციფიკური მონუმენტური სტილითაა გაშლილი თხრობა.

ყოველივე ზემოთქმულის გახსენება იმიტომ დაგვიკვირდა, რომ აღგვენიშნა გრ. ორბელიანის შემოქმედებითი პროცესისათვის საყურადღებო ერთი ფაქტი: ისტორიულ წარსულზე მთხრობელი მასალა, რასაც ეყრდნობა პოეტი, უკვე თვით არის მხატვრულ-პოეტური თვისების შემცველი, და როცა მას ისეთი დახვეწილი პოეტური ტალანტი შეეხება, როგორც გრ. ორბელიანია, ცხადია, კიდევ უფრო ამბალღებს ამ მასალიდან მომდინარე მოვლენის დამოუკიდებელ მხატვრულ ფასსა და ღირებულებას.

ა) „ქართლის ცხოვრება“, როგორც გრ. ორბელიანის  
შემოქმედებითი მასალა

ამჟამად ძნელია ყველა იმ წყაროზე მითითება, რითაც საზრდოობდა გრ. ორბელიანი ისტორიულ ქარგაზე აგებულ თხზულებათა შექმნისას. მაგრამ პოემა „სადღეგრძელოზე“ დართული პოეტისავე შენიშვნების და ამ მიმართებით გაშლილი კვლევის შედეგების მიხედვით, აშკარაა, რომ „ქართლის ცხოვრება“ ეს მართლაც „ადამიანის სიღვინდზე მთხრობელი წიგნი“ (გრ. ფარულავა) არის ბიძგის მიმცემი მისი პოეტური ფანტაზიისათვის. სპეციალურ ლიტერატურაში ურთიერთთან არის რა შედარებული „სადღეგრძელოს“ ცალკე-

<sup>1</sup> აღნიშნულ ავტორთა შეხედულებანი გადმოცემულია გრ. ფარულავას დასახ. ნარკვევში.

<sup>2</sup> რ. სირაძე, წერილები, თბ., 1980, გვ. 178.

<sup>3</sup> იხ. გრივერ ფარულავას დასახელებული ნარკვევი გვ. 57, და შემდეგ.

ული მონაკვეთი, კერძოდ, ფარნაოზის გრ. ორბელიანისგული დახასიათება „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის ადგილთან, ნათქვამია, რომ „გრ. ორბელიანიც საქართველოს ისტორიას აცოცხლებს და წინაპრების სადღეგრძელოს წარმოთქვამს დაწყებული ფარნაოზით და გათავებული სამასი არავგელით. ამ ნაწილში პოეტი უმთავრესად „ქართლის ცხოვრებას“ ეყრდნობაო“.<sup>1</sup>

თუ „სადღეგრძელოში“ გრ. ორბელიანის მიერ დახასიათებულ ისტორიულ პერსონაჟებს შევადარებთ „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის ადგილებს, ასეთ სურათთან გვექნება საქმე,<sup>2</sup> პოემის ფარნაოზის სახე ასეა წარმოდგენილი:

„შენ, ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა,  
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი,  
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა  
და ერთობისა წესი და ძალი!  
და ივერიის აღწნდა მეფობა,  
და განძლიერდა შენისა სიბრძნით,  
შორსა განითქვა მისი გმირობა  
და მის მეფენი დიდების ბრწყინებით!“

„ქართლის ცხოვრებაში“ კი ვკითხულობთ: „უამთა ამთ შინა იყო ქაბუკი სახელით ფარნაოზ, ნათესავი ქართლოსიანი და ბიძა ფარნაოზის სახელით სამარა მოსლვისა შინა ალექსანდრე მაკედონელისასა მცხეთას მამასახლისობდა“ (გვ. 55). შემდეგ: „დაიბყრა ყოველი საქართველო ფარნაოზ დასაბამითგან“ (56). უამთაღმწერელი გვიამბობს: „ესე ფარნაოზ იყო პირველი მეფე ქართლისა; მან აღაშენა და განაგსნა ქუეყანა თესი, მოზღღუნა ქალაქნი და ციხენი განამაგრნა, და შექმნა წიგნი ქართული და განავრცელა ენა ქართული, და უბრძანა

<sup>1</sup> ჯ. ჰუმბოლტი, ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 327.

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრებიდან“ ადგილების მოხმობისას ვიყენებთ „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსი. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ თბ., 1973, გვერდები მითითებული იქნება ტექსტშივე.

რათა არღა-რა ზრახვიდნენ ენათა სხუათა თუნიერ ქართულსა“ (57).

აქ, როგორც ვხედავთ, პოეტი კვალდაკვალ მიჰყვება მემატიანის მონათხრობს და მხატვრულ საშუალებათა მომარჯვებით, კაზმული სიტყვიერი სამოსელით წარმოადგენს ამ მეფეს, სულ სხვა ვითარებაა მირიანის პოეტური სახისა და მემატიანის მიერ დახასიათებული ამ მეფის ურთიერთშეჯერებისას; „ქართლის ცხოვრებაში“ ვრცლადაა მოთხრობილი, რომ „გამეფდა მირვან, რომელსა უწოდეს მირიან... გარნა მირიან შეიყუარეს ქართველთა და მირიან უმეტეს ქართველნი. შემდგომად მოიყვანა მირიან ასული ულიოტორისა პონტოდას სახელით ნანა, და შეირთო ცოლად...“ (71). თავდაპირველად თურმე მირიანი ქრისტიანობას სდევნიდა. „ნანა დედოფალიცა ფრიად მტერ იყო ქრისტეს რჯულისა“ (83). მას შემდეგ, რაც ნინო მოეწვინა საქართველოს, მისი სასწაულქმედების წყალობით პირველად ნანა დედოფალს „ათქმია სამგზის: „ვიჯმნი ეშმაკისაგან და შეუდგები ქრისტესა“ (85). ისტორიკოსი დაწვრილებით მოგვითხრობს მირიანის გაქრისტიანების წინაისტორიასა და იმ მიზეზებზე, რომელმაც ეს მეფე ქრისტეს რჯულის აპოლოგეტად აქცია. „მაშინ მირიან განვიდა თთუესა იენისსა კ, დღესა შაბათსა ნადირობად მუხრანით კერძო, მოუტდა ბოროტი გულსა და ეტყოდა ოთხთა წარჩინებულთა თუსთა: „ღირს ვართ ბოროტის-ყოფად კერპთა ღმერთთა ჩუენთაგან, რამეთუ დაუტევეთ იგინი და ვისმინეთ დედაკაცისა მის ჰრომისა, რომელი ქადაგებს ჯუარცმულსა, აწ მნებავს, რათა ესტანჯო იგი და დედოფალი ნანაცა, უკეთუ არა დაუტევეთ სჯული ჰრომთა“. ხოლო მათ წადიერებით დაუმტკიცეს განზრახვა მეფესა; არამედ მოვლეს და აღვიდნენ მთასა ზედა თხოთისასა. რათა მოიხილონ კასპით; მაშინ მყის მოეხვირა ბური და იქმნა ბნელი წყვილიად ი, რამეთუ მოწყდნენ მეფესა ყოველნი სპანი, და თეთ მარტო დაბრმალი მუნ ევედრებოდა კერპთა თუსთა ეამ რაოდენმე აღხილვად თუალისა და ჩუენებად გზისა და ვერ პოვა ღბინება და ვერცაღა უძლო სლვად. შემდგომად მოეგო გონებას და თქუა: «ვხადო დედა-კაცისა მის ღმერთსა, უკეთუ მერგოს რაი, აღვიარო იგი»: და იტყოდა: «ღმერთო ნინოსო! განმინათლე

ბნელი, უკეთუ ხარ ჰეშმარიტი ღმერთი, და აღვიარო შენა/ მყის სიტყვისა თანა განათლდა ყოველი ქუეყანა და თუთაღნი/ ცა მეფისანი; მაშინ მირბიოდა მეფე ზახილით: ~~ადიდ~~ არს ღმერთი ნინოსი», და გამოეგებოდა ნანა დედოფალი საფურცლეს ერიტურთ... მეფე მივიდა... მას წინაშე ნინოსა, გარდაცდა ჰუნისაგან და თაყვანისცა ჯუარსა ვახისა ნინოსსა და აღიარა ქრისტე ღმერთი ჩუენი მან და ერმან მისმან... (86). ქართლის ცხოვრების მიხედვით „ნათელ-ილეს მეფემან და დედოფალმან და ყოველმან ივერიელმან კელითა მათითა მტკუარსა შინა“ (89).

ისტორიკოსი გატაცებით გვიყვება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში მირიან მეფის დამსახურებაზე: „მერმე ინება მეფემან მოქცევა მახულითა მთიულთა და აუწყა ნინოს და ეპისკოპოზსა; არამედ წმინდამან არა ნებასცა, რამეთუ არა ბრძანებულ არს მახული, არამედ ქადაგება და ეტყოდა მეფესა: «მე წარვიდე მუნ ქადაგებად». ხოლო მისრულმან ქადაგა სახარება ქრისტესი; არამედ უმრავლესთა არა უსმინეს და არა შეიწყნარეს; ამისთვის მეფემან დაურთო ხარკსა ზედა ხარკი მთიულთა და ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახული და შემუსრნა კერპნი მათნი; ამისთვის ფხოელნი გარდაემენნენ თუშეთს და ერწო-თიანელთა ნათელილეს“ (93). და ბოლოს, აღწერილია აღსრულება მეფისა და კიდევ მერამდენედ ხაზგასმულია ღვაწლი მისი ქართველი ხალხის წინაშე. „გარდაიცივალა მირიან მეფე, სავსე სარწმუნოებითა და მადლითა, რომელმან ნათელ-სცა ყოველთა ივერიელთა“ (94).

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მოცემულ მირიანის დახასიათებაში დეტალურადაა გადმოცემული ყოველი წვრილმანი; აქ ვხვდებით ლეგენდურ ამბებს, ქრისტიანობის გავრცელების შესახებ ჩვენში, მისტიკურ ზმანებებსა და ჩვენებებს, მირიანის პიროვნებაში ჩასახულ დრამატულ კოლიზიამდე მისულ კონფლიქტს საკუთარ თავთან და გარემოსთან, და ბოლოს საქართველოში ქრისტეს სჯულმდებელი მეფის სადიდებელ აპოთეოზს...

გრ. ორბელიანის პოემაში კი აღნიშნული მასალიდან სულ რამდენიმე შტრიხია მხოლოდ გაცოცხლებული:

„ქრისტეს ნათელით განათლებული,  
მეფე მირიან კბრწყინავს გვირგვინით,  
ჭვარიისა ძალით გარე-მორტყმული  
შეჰმუსრავს კერპთა მათის ბოშონით!  
და განჰჭრა ახლის აღტქმისა ძალით  
ძველის ივერის ბნელი რწყმუნება;  
ქართველთ მიხედვს ცას სიხარულით  
და საუკუნო ჰსცნეს მუნ ცხოვრება!...“



როგორც ჩანს, პოეტს საჭიროდ ჩაუთვლია მრავალ ამბავ-თავან მხოლოდ ორი ეპიზოდის შერჩევა: 1. ქრისტეს მოძღვრების აღიარებით გაჭირვებისაგან თავდახსნილი მეფისა და ხალხის სიხარულის აღწერა, და 2. მირიანისაგან კერპთაყვანისმცემელ მთიელთა შემუსრვის გახსენება.

ვრცლად და ენაწყლიანად მოგვეთხრობს „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ გორგასლის შესახებ. აქ ვკითხულობთ. „მეფედ ჰყვეს ძე მირდატისა ყრმა ვახტანგ...“ (100) ვახტანგ ისწავება და გულსმოდგინედ ყოველსავე. შემდგომად იქმნა რა ვახტანგ წლისა 10, გარდამოვიდნენ ოსნი ქართლს და მოსტყუევნენ ციხე-ქალაქთაგან კიდე, და შემუსრეს კასპი და გამოიყვანეს დაჲ მეფისა მირანდუხტ, ჩავლეს რანი და მოვაკანი, მოსტყუევნენ და განვლეს დარუბანდი, რამეთუ გზა სცეს დარუბანდელთა და მივიდნენ ოვსეთს მშუდობით“ (101).

ისტორიკოსი იხსენებს და აღადგენს ვახტანგ მეფის ხასიათის მრავალ ნიშანს, მისი ცხოვრების წესსა და მისწრაფებებს: „ხოლო ვახტანგ იყო სწავლის მოსწრაფე ფრიად სამღთო-სამკედროთა; არამედ რა იქმნა წლისა ი, მოუწოდა დიდებულთა და დაჯდა დალიქსა ზედა და იწყო სიტყუად: «ეჰა დიდებულნო, მოიწია ჩუენ ზედა მწუხარება ძლიერი, რამეთუ მიგვიხუნეს ჩუენ საზღვარნი ჩუენნი და გვერივნენ მტერნი ცოდვათა ჩუენთათჳს, ვინაჲთგან ვსცოდეთ წინაშე ღვთისა და არა დავიცვენით მცნებანი მისნი; გარნა გვწუართა, ვითარცა მამან ძე. აწ მიიღეთ ნიჭი ჩემ მიერ უმეტესი მამა-ბაბათა ჩემთა და ვიძიოთ შური ოვსთა ზედა, რამეთუ მაქუს სასოება ჯუარცმულისა ძლუანებითა ჯუარისათა“ (101). „ქართლის ცხოვრებაში“ საინტერესოდაა დახატული ვახტანგის შერკინება ხაზართა ბუმბერაზ თარხანთან და ოსთა გოლიათ ბაყათართან. მისი

ვადმოცემით, „იყო ბუმბერაზთა ბრძოლანი, ზოგჯერ მათ  
 ბიან და ზოგჯერ ამათ. ხოლო იყო ხაზართა ბუნბერაზი თარს  
 ხან სახელით. ესე გამოვიდა და ითხოვდა მებრძოლსა ვახ-  
 ტანგის სპისაგან უძლიერესსა. ხოლო იყო სპათა შინა რანი-  
 სათა გოლიათი ფარსმან ფარუხ, რომელსა მრავალი გოლიათი  
 მოეკლა და ლომსა კელითა შეიპყრობდა. ესე განვიდა, იკუთ-  
 ნენ და იბრძოლეს ძლიერად, არამედ ხაზარმან უხეტქა ჩაბა-  
 ლახსა კრმლითა და განუპო თავი ბექამდე და მოკუდა რანე-  
 ლი. მაშინ დაკმუნდნენ სპანი ვახტანგისანი, რამეთუ არღ-  
 რავინ იყო მზგავსი მისი; ხოლო დღესა მეორესა კუალად გა-  
 მოვიდა თარხან და იგივე სიტყუა თქუა; არამედ სპათა ვახ-  
 ტანგისაგანთა ვერავინ იკადრეს განსლვად; მიმოიხილვიდა ვახ-  
 ტანგ და რა ვერღარავინ იხილა გამსვლელად თუთ განვიდა.  
 მაშინ აყენებდნენ დიდებულნი სიყრმისათუს და ევედრებოდ-  
 ნენ; გარნა იგი ეტყოდა: «არა ძალითა ჩემითა განვალ, არა-  
 მედ ძალითა ჭუარცმულისათა იძლიოს ჩემ მიერ» ხოლო მე-  
 ფემან ჩავლო კიდური და იკუთნენ ფიცხელად; გარნა პირ-  
 ველსავე მისლვაზე სცა ოროლი ვახტანგ თარხანს სარტყელსა  
 ზედა და განავლო იქით, ჩამოაგდო და მოკუდა. გარდაჯდა  
 ცხენისაგან მეფე თაყვანი-სცა ღმერთსა, მერმე მოჰკვეთა თა-  
 ვი და მოვიდა სპათა თუსთა თანა. ხოლო მეორესა დღესა  
 გამოვიდა სხუა უმეტეს გოლიათი მისა, სახელით ბაყათარ  
 ოვსი, რომლისა მშულდისა სიგრძე იბ მტკაველი და ისარი  
 ექუსი; იყილა: „ვახტანგ! ნუ ვალადდები, რამეთუ არა ერთო  
 თარხან გოლიათთა შინა; აწ უკეთუ გამოხვიდე, მოგხუდეს ჩემ  
 მიერ ნაკრავი ფიცხელი; ხოლო უკეთუ არა, სხუა ვინმე გამო-  
 ვიდეს სპათა შენთაგანი. მაშინ ვახტანგ პასუხ უგო მქუხა-  
 რედ და განვიდა და გამოიწვია ოვსი მდინარის ამიერ კიდე-  
 სა. «რამეთუ ხარ მონა და მე მეფე, ამისთუს არა გამოვიდე;  
 არამედ გამოვედ შენ». უსმინა ბაყათარ და გამოვიდა კადნი-  
 ერად და დაასხნეს ისარნი ერთმანერთს, არამედ მეფე აცთუ-  
 ნებდა სიფიცხლითა ცხენისათა და სიკისკასითა თუსითა და  
 მიუახლოვდებოდა ბაყათარს, ჰკრა ისარი ბაყათარ ცხენსა  
 ვახტანგისასა ფერდსა და განავლო იქით; არამედ ვახტანგ  
 მყის სიფიცხითა ცხენისათა მიუტდა, ჰკრა ვრმალი ბაყათარს  
 მვარსა და ჩაჰკუთა გულამდე და მოკლა“ (102—103). მიმ-

ზიდველად აღწერს მემკვიდრე ვახტანგის ბრძოლას სპარსე-  
ლებთან, აი, აქ არის სწორედ დახატული ვახტანგის ის ცნო-  
ბილი მუშარადი, რომლის გამო მას „გორგასალი“ უწოდეს.  
„მოვიდაცა სპარსთა მეფე სპითა... დაებანაკათ დიდმითგან  
ვიდრე ქართლის კარამდე და იყო მათ შორის ბრძოლა მარა-  
დის ოთხ თთუე და ბუმბერაზთა კუეთებანი: ზოგჯერ მათ  
სძლიან და ზოგჯერ ამათ. არამედ ვახტანგს შეეჭმნა  
მუშარადსა ზედა წინ მგელი და უკანით  
ლომი გამოეჭმნული და საითაც იყვის ბრძო-  
ლა ძლიერი, მიუჯდის ვახტანგ და ფრიწის.  
ამისთვის სპარსნი უყოოდნენ ურთიერთს:  
«შირიდეთ გორგ-ასლანს» (რომელი მგელ-ლომად ითარგმნე-  
ბის) და მიერიდგან იწოდა გორგ-ასლანს» (109).

„ქართლის ცხოვრებაში“ ვახტანგ გორგასლის ცხოვრების  
ამსახველი ეპოპეიდან, მთელი იმ რაინდული შერკინებებიდან,  
რომელიც ერთი რომანის მასალად შეიძლება გამომდგარიყო,  
გრიგოლ ორბელიანი მხოლოდ უკანასკნელ ეპიზოდს იყენებს,  
მეფის გოლიათურ ფიზიკურ ძალასა და გარეგნულ პორტ-  
რეტს რაც ეხება:

„მუშარადს მგელ-ლომ გამოსახული,  
ხელსა მახეილით, ვინ მოვალს გრგვინეთ?  
ვით ბრძოლის ღმერთი, თვით შპრძანებელი,  
შხად არს საომრად სახე-შერისხვით!  
ესე არს გმირი ის გორგ-ასლანი,  
რომლის შეხედვით სპარსელნი პართოდნენ,  
მისწვდნენ სადაც მის ძლიერნი მკლავნი,  
მტერთა შელაწდენ და შემუსვრიდენ!“.

„ქართლის ცხოვრებაში“ ვახტანგის მუშარადის აღწერი-  
ლობის პერიფრაზს წარმოადგენს პოეტის შენიშვნაც: „ვახ-  
ტანგ მეფეს მუშარადზე აქვნდა გამოსახული მგელი და ლომი  
და ამისათვის ყიზილბაშთა უწოდეს გორგასლანად, ან მგელ-  
ლომად. საშინელი იყო ყიზილბაშთათვის ძალი მუშარადისა  
ამის“... სხვა მხრივ გრ. ორბელიანი არ უღრმავდება ვახტანგ  
მეფის ცხოვრებას, არ მიჰყვება სათავგადასავლო პერიპეტეებს,  
ის მხოლოდ პლასტიკური, ხედვითი ნიშნის მქონე მომენტთა



გახსენებით იფარგლება („მუზარადს მგელ-ლომ გამოქაბ-  
ლი“, „ხელსა მახვილით“, „სახე-შერისხვით“, „ძღუენი  
მკლავნი“).

მემატიანე არ იღლება აღმაშენებლად წოდებული დავითის დიად საქმეთა თხრობით. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით: „დაჯდა ძე გიორგისა მეფედ დავით“ (155). „ხოლო მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, იყო ქუეყანა ესე სრულიად ოკერ; ამან განავსნა და აღაშენნა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყუარე ღვთისა, გლახაკთა, ქურივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თუთმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა (სასნეულო სახლი) მაშენებელი, სამღუდელოთა მოპატივე, წერილთა სამღთოთა მოყუარე, რამეთუ ზიდვიდა მისთანა ჯორაქლემთა ყათარნი და მკითხველი მარადის ნადირობა-ლაშქრობასა შინა, არამედ რა უამი იყვის, მისცის წიგნი, თუთ მიეტევის და აღასრულის საწადელი“ (163).

„ქართლის ცხოვრებაში“ ყურადღება არის გამახვილებული მეფის ზასიათის მნიშვნელოვან დეტალებზე, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, ინტელექტუალურ და ადამიანურ თვისებებზე. „მოვიდა სულტანი შარვანს, შეიბყრა შარვანში, აღიღო შამახია და მოგზავნა დავით მეფისა: «შენ ტყეთა მეფე ხარ, ანუ წარმოგზავნე ძღუენი საქადრო, ანუ გამოვედ ნახვად ჩემდა» (161).

დავით მეფის, როგორც მმართველის, ღირსებებს მჭევრმეტყველურად წარმოგვიდგენს ისტორიკოსი, როცა წერს: „კეისარი მეგობრობდა სათნოდ; არაბნი მეოტად; ისმაიტელნი იავარად; სპარსნი მტურად; კელმწიფენი მონად ყვნეს. განავსნა ქუეყანანი და განამდიდრნა ეკლესიანი, არა გარნათსნი ეკლესიანი, არამედ საბერძნეთისაცა ეკლესია-მონასტერნი მრავალნი დაიკსნნა და განაშუენნა“ (164).

„ქართლის ცხოვრებაში“ ქართველთა იმ ეროვნულ, ბუნებით ნაკლზეც არის ყურადღება მიქცეული, რაც ხელს უშლიდა ამ ზნესრულ და დიად მეფეს თავისი ჩანაფიქრის განხორციელებისას. მემატიანის თქმით, „არიანცა რომელნი აბრალებენ მეფესა განუსუენელობასა სპათასა და ამაღლებასა თა უაზნოთასა და დამდაბლებასა. გუარიანთასა, არამედ ვინა-

მთგან ნათესავნი ქართველნი ორგულ-ბუნება არიან პირვე-  
ლითგანვე თვსთა უფალთა, რამეთუ რაქამს განდიდნიან, გან-  
სუქდიან, და განისუენიან, იწყებენ განზრახვასა ბოროტსა, ვი-  
თარცა მოგვითხრობს მატიანე ქართლისა ძუელი და ახალი“  
(164).

„ქართლის ცხოვრებაში“ აღნუსხულია დავით აღმაშენებ-  
ლის სამხედრო ოპერაციები, მისი „საქმენი საგმირონი“. და-  
ვითის მხედრონის ერთ-ერთი ასეთი გონივრული მოქმე-  
დების სურათს აღწერს ისტორიკოსი: „სცნა რა სულტანმან  
მიმავალობა მეფისა და სპათა სიმრავლე, შეშინდა და მირიდა  
შამახიას, სადაცა ცალ-კერძ ზღუდითა ქალაქისათა და ცალ-  
კერძ ხანდაკითა მოიმტკიცა და დადგა შეძრწუნებული. მცნო-  
ბი დავით არღარა მივიდა, არამედ დავარდა მიწასა და შეს-  
წირა ღმერთსა მადლობა და დაადგრა მუნვე. ხოლო სულტან-  
მან არღარა ძლუენისა მთხოველმან, არღარა სულტანურისა  
სიამაყითა, არამედ მოაჯემ მოუშცნო დავითს, რათა მისცეს  
გზა და განუტეოს, რამეთუ შესჭირდა ფრიად უსაზრდელო-  
ბითა...“

...სულტანი დამესა მას გაპარვით წარვიდა შეძრწუნებული  
სპარსეთად; ხოლო დავით ძლევა-შემოსილი უკ-მოიქცა, განი-  
სუენა მცირედ, შემდგომად კუალად წარვიდა შირვანს ივნის-  
სა, აღიღო გულისტანი, სახლი შარვანისა და აღავსნა სპანი  
კეთილითა; სთუელს გარდამოვიდა გეგუთს და განაგნა მან-  
დაურნი; მარტს წარმოვიდა და აღიღო ქალაქი დბანისი; აბ-  
რილს დაესხა ბაბურს დარუბანდს...

„...შემდგომად წარვიდა მეფე შირვანს, აღიღო შამახია,  
ცინე ბივრიტი და ყოველი შარვანი და დაუტევნა მუნ ჰერ-  
კახნი, უჩინა ზედამხედველად მწიგნობართ-უხუცესი სუმონ  
ქყონდიდელი, დაამშუნა ქურდნი, ლეკნი, თარასნი და მო-  
ვიდა ქართლს; მაშინ უჩინა ყიფჩაყთა საზამთრო აღგილნი და  
დასხნა იგინი“ (161—162). როგორც ვხედავთ, „ქართლის  
ცხოვრებაში“ დავით აღმაშენებლის გამეფებიდან, მის აღსას-  
რულამდე, მემატიანე თვალს ადევნებს ამ საოცარი ძალებით  
დაჯილდოებული პიროვნების ცხოვრების გზას და ჭეშმარი-  
ტად ამადლებული, მკვერმეტყველური პათოსით, როგორც

იტყვიან, „მონუმენტური სტილით“, მოგვითხრობს როგორც დავითის საქვეყნო — ეროვნულ დიად საქმეებზე, ისე მის პაროვნულ-ადამიანურ თვისებებზე...

ყოველივე ამის შემდეგ, მართლაც, დიდი მხატვრული ტალანტის პოეტს შეეძლო მხოლოდ სულ სამ სტროფში კომპაქტურად ისე შეესხა ხოტბა დავით აღმაშენებლისათვის, რომ მხედველობის არედან არ გამოორჩენოდა არც ზეგარდმო ნიჭით ცხებული მეფის სიყრმითგან თანამდევნი ადამიანური ღირსებები, არც მისი ინტელექტური ინტერესები, აღმაშენებლობითი საქმიანობა, და ის გეოგრაფიული გარემოც კი, სადაც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით შეშინებული „სულტანი ილტვოდა“. „ქართლის ცხოვრებაში“ ვრცლად გადმოცემული დავითის თავგადასავალი, პოემაში ასე გამოიყურება:

„ზეცა წყალობად, ნუგეშად, ივერსა გაოხრებულსა,  
მეფედ მოუვლენს დავითსა, ზეგარდმო სიყრმით ცხებულსა,  
მხედართ-მოთავარსა უძღვევლს, გულ-მოწყალებსა მსაჯულსა.  
ზე-ჩაგონებით გასწავლულს, ენა მღინარე მეტყველსა!...  
დავით ჰსთქვი: „იყავ ქალაქნი“ და აღმოცენდნენ ქალაქნი  
განჰვლე უდაბნო ოხერი, — საესეღ დაბეზით შეჰქმენი  
დაჰკარ წერაჰვი, — და აღწინდნენ ტაძარნი, ტურფად ნაშენნი  
მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ გალობით შენნი ივერნი  
ხმა-ჰყავ და აღსდგა ივერი ფენიქსებრ განახლებული,  
დიდების სხივით შემოსილ, მშვიდობით აღყვავებული...  
აღმხედრდი ლაშქრად, — და ილტვის სულტანი შეჰრწუნებულ,  
შირვან, ღერბენდი ჰყავ სამზღერად, შენი ხმლით შემოხაზული“.

ამ სტროფებზე პოეტის მიერ თანდართული შენიშვნებიდან ჩანს, რომ ის კარგად იცნობს „ქართლის ცხოვრებას“, უთითებს კიდევ, როგორც წყაროს. შენიშვნების დართვა გრ. ორბელიანმა, ალბათ, საჭიროდ ჩათვალა იმიტომ, რომ უფრო მეტი სიცხადე შეეტანა მკითხველის წარმოდგენაში დავით აღმაშენებლის პიროვნებასა და მის ღვაწლზე. ახსენებს რა დავითს, შენიშვნაში პოეტი განმარტავს „დავით აღმაშენებელი, რომელიც გამეფდა მაშინ, ოდესცა საქართველო იყო სრულიად გაოხრებული მაჰმადიანთაგან“...

გრ. ორბელიანი ვარაუდობს, რომ ფართო მკითხველი შეიძლება არ იცნობდეს „ქართლის ცხოვრებას“ და ამდენად არ



კონდეს წარმოდგენა „შეძრწუნებული სულთანის ალტოლ-ვაზე“. ამიტომაც შენიშვნაში აღნიშნავს ის: „შემახის სულ-თანი გაიპარა შეშინებული მეფის დავითის ჯარის მიახლო-ვებითა“. ასევე ინფორმაციული თვალსაზრისით მეტი სის-რულე შეაქვს მკითხველის ინტერესებში, როცა სტროფში დასახელებულ დავითის ხმლით შემოხაზულ „შირვანისა“ და „დერბენდის“ ხსენებას ასეთ კომენტარს უკეთებს „მაშინ საქართველოს სამზღვარი იყო: ანი, შამახია და დერბენდი (იხილე „ქართლის ცხოვრება“)“.

გრ. ორბელიანი როგორც რომანტიკოსი პოეტი საჭიროდ არ თვლის „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილი „ქართველთა ორგული ბუნების“ გამომხატველი თვისების წარმოჩენას, ისევე, როგორც ყოველივე წვრილმანი დეტალების აღწერას, თუ მდარე ღირსების მოვლენებზე ყურადღების გამახვილებას.

ისტორიული მასალისადმი მსგავსი მიმართება თავს იჩენს პოემის სხვა პერსონაჟთა დახასიათებისას. აი, რას მოგვითხ-რობს თამარ მეფის შესახებ „ქართლის ცხოვრება“. „დაჯდა მეფედ ასული გიორგი მეფისა თამარ. ხოლო გარდაჯდა რა ეამი გლოვისა, შემოიკრიბნენ ნიკოფსიით დარუბანდიურთ კათალიკოზნი, ეპისკოპოზნი, დიდებულნი და აკურთხეს კდ თამარ მეფედ; მერმე განსცა საუნჯე გლახაკთა და დავრდო-მილთა ზედა; კულად აღავსნა სპანი საბოძვრითა... თამარ სი-ბრძნითა თვისითა დაამშუდნა და დაიმორჩილნა ყოველნი“ (171). თამარის სამეფო კარი, წრე იმ ადამიანებისა, რომლებიც გვერდში ედგნენ მას სახელმწიფოს მართვაში „ქართლის ცხოვრებაში“ ასეა წარმოდგენილი: „ველისუფალნი თამარის პირველ მეფობასა ესენი იყვნენ: სპასალარი სარგის მკარ-გრძელი; მანდატურთუხუცესი ჭიაბერი; მეჭურჭლეთუხუცესი კახაბერ ვარდანისძე; მსახურთუხუცესი ვარდან დიდი; ჩუნ-ჩერახი მარუშის ძე; ამილახორი თორელი გამრეკელი; და ერისთავნი ესენი: ბარამ უარდანისძე სუანთა; კახაბერი კახა-ბერისძე რაჭისა; დაღათო შარვაშისძე აფხაზთა; ამუნელის ძე ცხომისა; ბუდიელი ოდიშისა; ლიხთიმერ-ამერთა რატი სუ-რამელი, ბაკურ ძაგანისძე კახეთისა; გრიგოლ ასათისძე ჰე-რეთისა; ზოცო ჯაყელი სამცხისა და სპასალარი მუნებურთა

სხუათა ერისთავთა“... ამათ შოროსო, გვაუწყებს მემატყანე:“... იყო თამარ ფრიად უმეტეს ზესთა შუენიერებით აღმატებულნი და საღმრთოთა მუშაკობითა წარმატებული“ (172).

თამარის დროს მოწყობილი ლაშქრობებისა და ბრძოლების შესახებ დაწვრილებით ვგებულობთ, რომ ქართველებმა თამარის პირველი ქმრის გიორგი რუსის წინამძღოლობით „ილაშქრეს ქუეყანასა კარისა და კარნიფორისასა, მოარბივეს და მოვიდნენ გამარჯვებულნი, არამედ პირველვე მოვიდნენ თურქნი გელაქუნისანი... ამათ ეწიათ გამრეკელი კახას ძე მცირითა სპითა, მოსწყუდნა და მოიღო არმაღანი წინაშე მეფისა.

ამასვე ეამსა კარნუქალაქელნი, შამელნი, თურქ-გარმიანელნი ცხენოსან-ქუეითნი მოვიდნენ და აღიღეს შავშ-კლარქნი. შეიკრიბნა გუზან ტაოელმან მის ქუეყანისა ლაშქარნი. ამას მიესწრნენ მესხნიცა და მათ მარბიელ-გაშუებულთა შეებნენ ესენი... შემდგომად წარვიდა მკარგრძელის სარგისის ძე და ილაშქრა დვინს (173—174).

„ქართლის ცხოვრებაში“ საგანგებოდაა თვალი მიდევნებულნი იმ გეოგრაფიულ გარემოზე, რომელსაც სხვადასხვა დროს თამარის ჯარი ლაშქრავდა, ჩვენი საკითხის თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი მონაცემთი: „სუესა ზედა ლაშასა გაილაშქრეს პირველად ბარდას ქალაქსა ზედა, მოსწყუდნეს რანი, აღიღეს ბარდა, აღივსნენ ტყუთა და საუნჯითა... მუნითგან მოსრულთა მსწრაფლ ილაშქრეს აზრუმსა ზედა, კარნუ-ქალაქსა... შემდგომად შემოიქცნენ და მოვიდნენ წინაშე თამარისა მძლეველნი ალაფითა დიდითა. კუალად შეკრბნენ და განვიდნენ გელაქუნად, ჩავლეს ხაჩინი, ჩავიდნენ ყარაყარს და მიიწიენენ ბალყუნამდე, მოარბიეს და მოსტყუენენს“ (179—180).

გრიგოლ ორბელიანს „სადღეგრძელოში“ „ქართლის ცხოვრების“ თავისთავად ემოციურად მიმზიდველი და ესთეტიკური ღირებულების მქონე ზემომოტანილი მასალა პოეტურ რევისტრში აპყავს, როცა მისივე შენიშვნებიდან მომდინარე ანტონ კათალიკოზის (ჰყონდიდელის) სიტყვების მოშველიებით თამარის ცნობილ დახასიათებას გვთავაზობს:

„ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი,  
 თვალნი სიამის გამოშაცენნი,  
 სარო-ტანადი, ნაზად შრბეველი,  
 თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი  
 ვითარცა ღმერთა მშვენიერების,  
 ქველ-მოქმედების, სახიერების,  
 ვით მტრედი მადლის მშვიდი და წყნარი  
 ეგრეთ მშვენებით მოვალს თამარი!  
 სხივ-ცისკროვანი მისი გვირგვინი,  
 უპურავს დიდებას და სათნობას;  
 წინაშე მისსა ძლევა და მუზნი  
 განადიდებენ მისსა მეფობას!“

მემატიანის მიერ ჩამოთვლილ თამარის ვეზირთა და მისი  
 დროის სახელმწიფო მოღვაწეთა ვრცელ სიას პოეტი ცხრი-  
 ლავს, ოღონდაც ერთგან ამატებს თამარის ეპოქის ყველაზე  
 ბრწყინვალე წარმომადგენლის სახელს, სახელს მარად უკვ-  
 დავი შოთა რუსთველისა, რომლის შესახებ „ქართ-  
 ლის ცხოვრება“ დუმს...

„მის დროშას მოჰსდევს დიდი ორბელი,  
 შოთა უკვდავი, ბრძენი ჭყონდიდი;  
 მხედართ-მთავარი დიდი მზარ-გრძელი  
 და გამრეკელი, ლომებრ გულადი!“

ასევე რამდენადმე შეკვეცილია და ზოგჯერ სახეცვლილიც  
 იმ გეოგრაფიული გარემოს რეალიები და ტოპონიმები, სა-  
 დაც თამარის ლაშქარს გამარჯვებები უზეიშია. მაგრამ არსე-  
 ბითად, პოეტი მაინც მიჰყვება იმ ისტორიულ-გეოგრაფიულ  
 ქარგას, რაც „ქართლის ცხოვრებაში“ გვხვდება. ამას მოწ-  
 მობს პოემის შემდეგი შთამბეჭდავი სტრიქონებიც:

„გალაშქრდნენ, მისწვდნენ კარნუსა, ერთი შეტევით მიღწესი  
 ლომებრ მისცივდნენ სინოპსა, მის ციხე ზღვაში გარდაგდეს,  
 განვლეს არეზი, თაერისი, ყაფლანქუ გარდაიარეს,  
 და მტვერი გაოხრებისა, ღეთის რისხვად ყაზმინს თავს დასცეს!“

„ქართლის ცხოვრება“ წყარო და ნიადაგი სხვა ისტორიულ  
 პირთა: ქეთევანის, ვახტანგ VI-ის, კახეთის მხსნელი გმირე-

ბის: ელიზბარ, შალვა, ბიძინას, 9 ძმა ხერხეულიძეთა, ვაჟ  
არაგველთა, გიორგი VIII-ისა და მისთვის თავშეწირულ იოთამ  
ზედგინიძის (ამილახვარის), ერეკლე II-ის და მისი ვაჟი ლე-  
ვანისა და დავით ორბელიანის დახასიათებისას. სახელგანთქ-  
მულ გმირთა დახატვის პროცესში, პოეტი ეტყობა, სხვა წყა-  
როებსაც ეყრდნობოდა და უწევდა ანგარიშს (ასე მაგალითად,  
ქეთევანის წამების გახსენებისას არაა გამორიცხული გრ. ორ-  
ბელიანი ანგარიშს უწევდეს თეიმურაზ I-ის თხზულებას), ან  
ერეკლე II-ისა და ზაქარია ანდრონიკაშვილის მხატვრული სა-  
ხის შექმნაში გარკვეული გავლენა მოეხდინოს თანამედროვე-  
თა მოგონებებსა და შთაბეჭდილებებს, რომლებიც „სად-  
ღეგრძელოს“ შექმნის პირველ ეტაპზე, ჯერ კიდევ ცოცხლე-  
ბი იყვნენ, იქნებოდა ეს საკუთრივ გრ. ორბელიანის ოჯახის  
წევრები, თუ თეკლა ბატონიშვილის დიდი ოჯახი, რომლის  
უფროსი ვაჟი ალექსანდრე ორბელიანი, ცნობილი მწერალი  
და საზოგადო მოღვაწე, გრ. ორბელიანს პოემაზე მუშაობის  
პროცესში, კერძოდ, ისტორიული მასალის დამუშავებისას  
ერთგვარ კონსულტანტობას უწევდა.

„ქართლის ცხოვრებაში“ დეტალურადაა აღწერილი საქარ-  
თველოს მცხოვრებთა ღირსება-ნაკლოვანებანი და ეს ისტო-  
რიული ხასიათის თხზულებაში ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ  
გრ. ორბელიანი საქართველოს სხვა და სხვა კუთხის წარმო-  
მადგენელთა: კახელის, თუშის, ფშავ-ხევსურის, ქართლელის,  
ოსის, მესხის, იმერის, აფხაზის, გურულის, მეგრელის დახასია-  
თებისას, — ამ კუთხის მცხოვრებთა ხასიათის ჩრდილოვან  
მხარეს კი არ ამოზიდავს ცნობიერების ზედაპირზე, არამედ  
მხოლოდ ღირსებას, ბუნებით ნიქსა და უზადობას გახაზავს,  
რაც სამაგალითოდ უნდა დარჩეს და იქცეს მომავალი ქართვე-  
ლისათვის.

„ქართლის ცხოვრებიდან“ გრიგოლ ორბელიანი პოეტური  
სიცოცხლის უფლებას უნარჩუნებს ქართველთა იმ საუკეთესო  
თვისებებს, რამაც გადაარჩინა და დღემდე მოიყვანა ჩვენი  
ხალხი/ ესაა: **ბრძოლისუნარიანობა, ფარ-შუბით იქნება ეს,**  
**ხმლით თუ აბჯრით კახისა, თუშისა და ფშავ-ხევსურისა, ძლი-**  
**ერება და ციხე-ბურჯივით დგომა ქართლელისა, სიმარდე ოსი-**  
**სა, შეუპოვრობა მთიულისა; პოეტი გახაზავს და სამაგალი-**

თოდ აქცევს ცოდნისა და სწავლის ტრადიციას მესხისას, რმერის გმირობასა და ზრდილობას, აფხაზის მშვილდოსნობას და გურულ-მეგრელის მკვირცხლ ბუნებას. გრ. ორბელიანის პოეტურსა და მოქალაქეობრივ წარმოდგენაში თამარის დროშის ქვეშ გაერთიანებული საქართველო — ესაა ერთი იდეით, ერთი ენით, კულტურულ-პოლიტიკური მისწრაფებით, ერთიანი ტერიტორიული და ფსიქიკური წყობით შეკავშირებული ადამიანები: ამიტომაცაა, რომ, როცა ვკითხულობთ, გრ ორბელიანის ლექსს:

„თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდებეს ლაშქარი;  
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშაე-ხევესურს ჰშენის აბჯარი;  
მკლავით ძლიერით ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი,  
ოსი ფეხმარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი!  
მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით,  
და მშვილდოსნობით აფხაზი, გურული, მეგრი მკვირცხლობით“.

მკითხველი მას განიცდის, როგორც ერთიანი საქართველოს ხოტბას, სადაც სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, ეროვნული შეგნების სიმადლეზეა აყვანილი.

მოცემულ შემთხვევაში „ქართლის ცხოვრებიდან“ „სადღეგრძელოში“ მომდინარე ყველა ეპიზოდისა თუ მონაკვეთის ურთიერთშეპირისპირებას აღარ ვთვლით საქიროდ, რადგან აღნიშნულიდანაც ცხადი უნდა იყოს, თუ როგორია გრიგოლ ორბელიანის, როგორც ხელოვანის მიმართება საქართველოს წარსულისადმი.

როგორც დავინახეთ, ყველა შემთხვევაში, პოეტი არ იცავს ისტორიულ ფაქტთა გადმოცემისას თანმიმდევრობას; ის არც გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული რეალიების ცოდნით იწონებს თავს, ზოგჯერ სახესაც უცვლის და მისი მხატვრული მიზანსწრაფვის კვალობაზედ აგებს თხრობას, ერთი სიტყვით, არ ერიდება გადახვევებს, ოღონდაც მტკიცე ეთიკურ-ესთეტიკური საყრდენი მოუპოვოს მკითხველის ცნობიერებაში საქართველოს ისტორიას, ჩვენს მრავალ ჭირგადატანილ, საინტერესო და დიად წარსულს. ჩვენს ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენს წიგნები „ქართლის ცხოვრებისა“, დიდი ესთეტიკური ღირებულების მქონე ისტორიული პროზის ეს ქეშმე-



რიტი შედევრი. მაგრამ უამთააღმწერელთა თხრობანი მათს  
ობიექტური თვალით დანახული სინამდვილეა მისი დროის ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს დაქვემდებარებული და მხოლოდ გარკვეული სოციალური წრისათვის გამიზნული. როგორც მიუთითებენ: „ქართლის ცხოვრების“ თითოეული ისტორიკოსი ინდივიდუალური ავტორია, საკუთარი მსოფლმხედველობით, საკუთარი პოლიტიკური აზროვნებით, თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელი მომენტებით. თითოეულ ავტორს საკუთარი ენა აქვს და საკუთარი გაგება მოვლენებისა.

ეს „ფეოდალური ხანის გამართული ისტორია“ (ნ. ბერძენიშვილი) თავისი ამოცანებით. კაცმა რომ თქვას, ის არც ყოველ მოკვდავთათვის საკითხავად გამიზნული წიგნია. ამიტომაცაა, რომ ქართველმა ხალხმა აქ აღწერილ მოვლენათა და გმირთა შესახებ მცირე რამ თუ იცოდა... იცოდა მაგალითად ლეგენდები ვახტანგ გორგასლის შესახებ, ზოგიერთ რამ დავით აღმაშენებლის ცხოვრებიდან, ზღაპრულ-ლეგენდარული სახით შემორჩენილი სხვადასხვა ეპიზოდი თამარ მეფის ცხოვრებიდან. ერთიანი საქართველო თაყვანს სცემდა, აფასებდა ვრ. ორბელიანის ეპოქისგან არც თუ დიდი დროითი მანძილით დაშორებულ პატარა კახს. „ქართლის ცხოვრებაში“ უკვდავყოფილ დანარჩენ ისტორიულ პირთა შესახებ ხალხმა, ერმა, ბევრი რამ არ იცოდა.

XIX საუკუნის საქართველოს წინაშე კი უკვე სულ სხვა პრობლემები იდგა. ამ პერიოდის ქართველობა საკუთარი წარსულის სხვაგვარ გააზრებას მოითხოვდა. მართალია, „ქართლის ცხოვრების“ მხატვრული ღირებულება უდავოა და ღირსესანიშნავიც, მაგრამ ფართო მკითხველისთვის ხელმიუწვდომელია ამას გარდა, იდეალები, რომლებიც XIX საუკუნის საქართველოს აწუხებდა, არც შეიძლებოდა წინა პლანზე დამდგარიყო მემართიანის ცნობიერებაში. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთიანი საქართველოს იდეის პროპაგანდა განსაკუთრებით მასობრივად დაიწყეს ჩვენში; ამიერიდან მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის გრძნობის გაღვივებით ვერ

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IX, მასალები ავტორის არქივიდან, თბ., 1979, გვ. 9.

დაკმაყოფილებოდა ქართველი მწერალი, ისტორიკოსი თუ მოღვაწე, ეროვნული შეგნების სიღრმეთა განმტკიცება ვახ- და მათი მთავარი მიზანი. ამიტომაც „ქართლის ცხოვრება“ შე- იძლება ქცეულიყო მხოლოდ მასალად მწერლებისათვის, ზო- ვადად ხელოვანთათვის, რომელთაც ეკისრებათ ფუნქცია, იყ- ნენ წინასწარმეტყველნი, მქადაგებელნი და მორალისტები ერისა. მაგრამ ამასთან, აკად. ნ. ბერძენიშვილის მართებული შენიშვნით, ზოგიერთებს „ავიწყდებოდათ, რომ „ქართლის ცხოვრება“ სამოციანი წლების იდეების საქადაგოდ კი არ იყო დაწერილი, არამედ თავისი დროისათვის, რომელსაც ის დიდი წარმატებით ემსახურებოდა.“<sup>1</sup> ამ აზრით, „ქართლის ცხოვრების“, თუ შეიძლება ითქვას, „გათანამედროვეება“, მი- სი სადღეისო სულისკვეთებით ავსება, აქტუალური შინაარ- სით დატვირთვა და ქართველთა მტკივნეულ პრობლემებთან დაკავშირება მხოლოდ მხატვრული სიტყვის ნამდვილ ოსტა- ტებს შეეძლოთ... უკვე XIX საუკუნის მკითხველი, სრულიად საქართველო მოითხოვდა თავისი ქვეყნის პოეტურ ისტორი- ას, რომელიც კიდევ უფრო შეაყვარებდა ქართველს მიწა- წყალს, წინაპართა საფლავებს, კულტურას, ცხოვრების წესსა და ზნე-ჩვეულებას. აქ მთავარი იყო არა იმდენად ფაქტების სიზუსტე, არამედ არსებითის ნათლად, ცხადად, სწორედ მა- ლალმხატვრული სიტყვით წარმოჩენა. ეს უკვე შეეძლოთ ზე- გარდმო მადლით ცხებულ მგოსნებს, მწერლებს, ისეთს, რო- გორც იყო, მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი.

გრიგოლ ორბელიანმა, ამ თვალსაზრისით, პირველმა ქარ- თულ ლიტერატურაში, მხატვრული სიტყვის მეოხებით ბრწყინვალედ შეძლო ამ ამოცანის გადაწყვეტა. როგორც ვნა- ხეთ, პოეტი თავისი მხატვრული მიზანდასახულობის შესაბა- მისად ხშირად ამოკლებს, ზოგჯერ სახესაც უცვლის ისტო- რიულ მონაცემებს და ამ მხრივ არც ცდილობს საკუთარი ერუდიციის თუ განსწავლულობის დემონსტრირებას; ის რო- გორც ხელოვანი, შესანიშნავად ახერხებს ქართული სულის საზრისის ხილვას ჩვენს ისტორიაში, როგორც ამბობენ, ერ-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IX, მასალები ავტორის არქივიდან, თბ., 1979, გვ. 9.

ოვნული სუბსტანციური სულის წვდომას. ამ მიმართებ-  
ვრ. ორბელიანი სავსებით პასუხობს ისტორიული მასალის  
მოსახვის პროცესში კლასიკურ ესთეტიკაში პოეტებისადმი  
წაყენებულ იმ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც „ხელოვნე-  
ბის ნაწარმოებები სასწავლებლად და დიდი განსწავლულობი-  
სათვის როდი არიან შექმნილი, არამედ ისინი ამ ვრცელ და  
შორეულ ცნობათა უცოდნელადაც, მიუკიბ-მოუკიბავადაც  
უშუალოდ, თავისთავად გასაგები და დამატებობელი უნდა  
იყვნენ. რადგან ხელოვნება არსებობს მთელი ერისათვის, ხალ-  
ხისათვის და არა მცირერიცხოვანი ყველაზე განათლებული  
ადამიანების ვიწრო და კარჩაკეტილი წრისათვის“.<sup>1</sup>

გრიგოლ ორბელიანი ისტორიული მასალის მხატვრული  
გარდასახვისას სწვდება და „უსისხლხორცდება“ ამ მასალიდან  
იმას, რაც „ქეშმარიტი და ნამდვილია“ იცავს მხატვრული  
ქმნილებისთვის აუცილებელ იმ „ზოგად სისწორეს“, რომლის  
წყალობით, როგორც ყველა პოეტს, მასაც რჩება უფლება  
„იქანაოს გამოგონებასა და ქეშმარიტებას შორის“ (პეგელი).

დიდი საუნჯეა ერისთვის, როცა ის ფლობს „ქართლის  
ცხოვრებისთანა“ მაღალი ნიჭით, „სისხლითა და ცრემლით“  
დაწერილ მატიანეს... მაგრამ ბედნიერებაა ხალხისთვის, რო-  
ცა მას ჰყავს ისეთი პოეტი, როგორიც გრიგოლ ორბელიანია.  
ამ შესანიშნავმა შემოქმედმა წმინდა მხატვრული თვალსაზ-  
რისით ჩვენი ისტორიის ქეშმარიტი ესთეტიზაცია მოახდინა  
და ყოველი ქართველის განცდაში დაამკვიდრა საკუთარი ის-  
ტორიული წარსულის დიდებულების, ამადლებულობის შეგ-  
ნება.

მხატვრული სიტყვა, კერძოდ, პოეტური მეტყველება ის  
ფენომენია, რომლის ძალითაც ადვილად მკვიდრდება ადამი-  
ანთა შინასამყაროში ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის ღირ-  
სება-ნაკლოვანების განცდა-შეგნება. პოეტურ სიტყვას აქვს  
ის მაგიური ძალა, რომელიც ძალუშად იკაფავს გზას ადამიან-  
თა გულებისაკენ და ღრმად იღვამს ფესვს მათს ცნობიერება-  
ში.

<sup>1</sup> პეგელი, ესთეტიკა, I, ქართ. თარგმანი შ. პაპუაშვილისა, თბ., 1973,  
გვ. 316.

რაოდენ არასრულიც უნდა იყოს პოეტური, მხატვრული გზით შესული ინფორმაცია ადამიანის გონებაში, მას მეტი ხანიერება უწერია, ვიდრე რაგინდარა მეცნიერულ ქრონიკასა და მათიანეს. ამიტომაცაა, რომ დიდ პოეტებს „ერის სულის უპირველეს ისტორიკოსებად“ (ვიკო) თვლიან და მისი მომავლის მესიტყვედ სახავენ.

გრიგოლ ორბელიანმა ისტორიულ მასალაზე აგებულ ქმნილებებში, პირველყოვლისა კი „სადღეგრძელოში“, გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული „ერთიანი საქართველოს მესიტყვეობა“ (რ. თვარაძე) იკისრა, ეროვნული შეგნების აუცილებლობა გახაზა/ უფრო მეტიც, იმ ძნელბედობის წლებში მისი სასიცოცხლო მნიშვნელობა იქადაგა, რითაც მან თავისი მხატვრული თუ პუბლიცისტური სიტყვით ერთგვარი ლიტერატურული წინაპირობაცა და თანადგომაც გაუწია ამ იდეის ყველაზე დიდ მოჭირნახულებებს — ჩვენს სამოციანელებს.

#### გრიგოლ ორბელიანის მასალის კვალი გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში

გრიგოლ ორბელიანი ავლენს მყარ ინტერესს ბიბლიური მასალის, კერძოდ კი ფსალმუნებისადმი. ჯერ კიდევ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების გარეყრაქზე, 1832 წლის ახლო ხანებში, პოეტი ფრ. შლეგელის შეხედულებებზე დაყრდნობით ასეთნაირ ახსნას აძლევს ფსალმუნის ქანრობრივ და იდეურ-რელიგიურ მიზანდასახულობას; „ფსალმუნი არის თავისუფლებითი ამალღება სულისა ღვთისადმი. ნახე ისტორია ლიტერატურისა შლეგელის მიერ“<sup>1</sup>. სხვა შემთხვევაშიც (1833 წ.) მიუთითებს პოეტი: „გამოთქმაში „ფსალმუნი არის თავისუ-

<sup>1</sup> პროფ. ა. გაწერელიას შენიშვნით „გრ. ორბელიანის ეს მოსაზრება დაეფუძნა საქართველოს არქივში:“ 1832 წლის საქმე“, რვეული XXI“. პატ. შკვლევერის დაკვირვებით „გრ. ორბელიანი გულისხმობს ფრ. შლეგელის ლექსების კურსს „ძველი და ახალი ლიტერატურის ისტორია, რომლის რუსული თარგმანი პირველად დაიბეჭდა 1826 წელს, პეტერბურგში, მეორედ — 1834 წელს (შდრ. ამ გამოცემის გვ. 179—184). იხ. ა. გაწერელიას შესავალი წერილი. გრ. ორბელიანი, თხზულებანი, 1959, გვ. 012.

ფალი აღვლენა სულისა ღმერთისადმი“... „მე იგი ამოვიწერე  
შლეგელიდან“,<sup>1</sup> აკაკი გაწერელიას თქმით, „პოეტმა პრაქტიკულად  
კულადაც განახორციელა ეს აზრი. მისი შესანიშნავი „ფსალმუნნი“ ამის  
დადასტურებაა. ლექსის პირველი ტაეპი — „ვინ აღვიდეს  
მაღალსა მას მთასა წმინდასა — პირდაპირ აღებულა  
დავითის „ფსალმუნნიდან“:

„ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს  
აღგილსა წმიდასა მისსა? (23,3)

გრ. ორბელიანის „ფსალმუნნი“ არსებითად ამ ტაეპის პოეტურ მსჯელობად გაშლას წარმოადგენს. პოეტი უშუალოდ დავითის ფსალმუნებიდან ამოდის.“<sup>2</sup> 1879 წელს გრ. ორბელიანი თავის ამ შესანიშნავ ლექსს უგზავნის ილია ჭავჭავაძეს და თან ასეთნაირ კომენტარს უერთავს: „დავებრდი და შევეუდეგ სულის გზასა, ვაკითხულობ დავითისა და აი, რა დადნა ამ კითხვისაგანი“ (დასახ. კრებული, გვ. 109)... გრ. ორბელიანის ინტერესი ბიბლიისადმი, კერძოდ, პოეტური ფსალმუნების, როგორც შემოქმედებითი მასალისადმი, მისი ცხოვრების რომელიმე ეტაპით არ შეიძლება იქნას შემოსაზღვრული. ჩანს, რომ ახალგაზრდობიდან სიცოცხლის ბოლომდე პოეტს ჰქონდა განსაკუთრებული მოთხოვნილება საკუთარი განცდების პოეტიზირებისას მიემართა ამ წიგნებისათვის, რათა ამ მასალის წყალობით შექმნილ დიად ეთიკურ მოდელებში, ჩაეტია თავისი სათქმელი; ამ თვალსაზრისით, როგორც ვასილი როზანოვი წერს: „ბიბლიური სახეები — ეს ხომ მხოლოდ ფაქტთა უღიადესი განზოგადოებაა, სანამდისაც შეეძლო ეფიქრა ისტორიასა და ფილოსოფიას; „პალმის შტო და თეთრი ტანსაცმელი“ — ეს მხოლოდ მილიონობით გასრესილ, გულში პირად სურვილებჩაახშობილ არსებათა მხრივ სიზარულისა და სინანულის წყურვილია“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> იხ. ქართული რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თბ. 1980, გვ. 80.

<sup>2</sup> აკაკი გაწერელია, ჩრეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1978, გვ. 182. იხ. აგრეთვე: მანანა კაკაბაძე, ქართული რომანტიზმის ეროვნული ხაფუძელები, თბ., 1983, გვ. 111—112.

<sup>3</sup> В. Розанов. Легенда о великом инквизиторе, издание 3-е, С-Пб. 1906, с. 38.

ცხადია, მათზე დაყრდნობით პიროვნულ განცდათა ამეტყველების გზა ლიტერატურაში ცნობილი გზაა, ცნობილია ის ჩვენი მწერლობის ისტორიისთვისაც. მკვლევართა მიერ მითითებულია, რომ ჯერ კიდევ დავით გურამიშვილის პოეზიაში გვაქვს ბიბლიური მასალის მოხშობით მიღწეული პოეტური თვითგარდასახვის მშვენიერი ნიმუშები. ამ თვალსაზრისით ცნობილია ილიას აზრიც: დავით გურამიშვილის „სარწმუნოებრივი ღაღადება დავითის წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმალემდეა ასული“, (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. III. გვ. 153). მაგრამ საინტერესოა, რა შინაგანი მოტივები უდევს საფუძვლად შემდგომი თაობის სხვადასხვა შემოქმედებითი ინდივიდუალობის მქონე პოეტთა მიზრუნებას ამ მასალისკენ? ამ მხრივ კი, როგორც ცნობილია, „ფსალმუნთა სიტყვები რომ საკუთარ სათქმელად უნდა მიჩნეულიყო, ეს უძველესი ლიტერატურული ტრადიციით იყო შეპირობებული“ და მისი მიზანი ის გახლდათ, რომ „ამ ნაწარმოების სიტყვებით ჩვენ საკუთარ განცდებს გამოვხატავთ სხვაგვარად; ჩვენ ჩავენაცვლებით ნაწარმოების ავტორს, ვითარცა პოეტურ სუბიექტს“.<sup>1</sup>

ვრ. ორბელიანი ლირიკული ტალანტია და ცხადია, ის თავისი მხატვრული მიზანსწრაფვის საყრდენს ბუნებრივად პოულობს „ფსალმუნებში“, ამ უძველეს და უდიადეს ლირიკულ შედევრებში... ფსალმუნის, როგორც „ღვთისადმი სულიერი აღვლენის“ ერთი ფორმისათვის, გამოხატვის ლირიზმია დამახასიათებელი, რადგან, როგორც აღნიშნავენ, „მხოლოდ ლირიკას შეუძლია ღვთისადმი აღვლენის დროს, მის ძლიერებას და დიდებულებას შეასხას ხობა“.<sup>2</sup> ვიცით ისიც, რომ „ამ მიმართულებით ფსალმუნი ნამდვილი აღმატებულობის, ამაღლებულობის კლასიკურ მაგალითებს იძლევა, ყველა ეპოქისათვის ნამუშს რომ წარმოადგენდა“.<sup>3</sup> ფსალმუნთა მიხედვით აღამიანებისათვის საცნაური ხდება, რომ „ამქვეყნად

<sup>1</sup> რ. სირაძე, დავით გურამიშვილის მეორე პოეტური „მე“, წერილები, თბ., 1980, გვ. 128—129.

<sup>2</sup> ჭეველი, ესთეტიკა, ქართული თარგმანი შ. პაპუაშვილისა, ტ. I, 1973, გვ. 203.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 433.

არაფერს არა აქვს უფლება თვითმყოფობა დაიჩემოს. გვაყვირებს აქ ჩვენ „სულისა და გულის, გრძობათა ალტყინების, აღფრთოვანების ძალა“. სულის მღელვარების სიმძაფრით გამოირჩევა ადამის მოღვმის ეს ძველი საუნჯე და ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ აქ „ადამიანი თავის თავს ღვთის წინაშე უღირსად თვლის, მისი აღმაფრენა, ალტყინება ზდება უფლისადმი შიშით, მისი რისხვის წინაშე თრთოლვით, ვხედავთ, თუ რაოდენ ღრმად და შემადრწუნებლად არის გამოხატული გულისტკივილი არარაობისა და უმნიშვნელობის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი გოდება, ჩივილი, ვაება, სულის ძახილი“.<sup>1</sup> იმავე ავტორის თქმით, „ასეთი ზეაღსვლა და ასეთი ამალღებულობა ლირიკული სულისა“,<sup>2</sup> არის შინაგანი ხმის განსახოვნება და საკუთარი თავის შეცნობის, დიდების, ღირსების დანახვის უტყუარი გზა.

დიდი იყო ფსალმუნთა თავდაპირველი ეთიკურ-ესთეტიკური გამიზნულობა და მისი ამჟამინდელი მოდიფიცირების მხატვრული შესაძლებლობაც ფართოა. სპეციალისტის დაკვირვებით „ფსალმუნთა სიმღერით უპირველესი ქრისტიანები იტკობდნენ დევნილობის ნაღვლიან დღეთა სიმწარეს და თავიანთ თავს აგულიანებდნენ წამებით მიყენებულ ტანჯვათა ვაეკაცურად გადასატანად, ხოლო მშვიდობიანობის დროს თავს იმხნეებდნენ ღვთისადმი გმირული კეთილმსახურებით“.<sup>3</sup> მხატვრული თვალსაზრისითაც, ამ ქმნილებათა პირველი შემოქმედი „დავითი, ფსალმუნის სიმღერათა თავისი მდიდარი, მრავალფეროვანი გენიით იყო და დარჩა შემდომი ხანის ყველა მომღერლისათვის, ფსალმუნის სიმღერათა უმაღლეს იდეალად, რომლისადმი შეიძლება მიისწრაფვოდე, მაგრამ რომელსაც ვერასოდეს შეიძლება მისწვდე“.<sup>4</sup> მით უფრო, როცა ხელოვანი ახალი ცხოვრების გადასხვაფერებულ პირობებში არ (ან ნაკლებ) მიმართავს ამ ძველი მასალის ახლებურ გააზრებას, მხატვრულ ტრანსფორმაციას, მაშინ ის შეიძლება

<sup>1</sup> ჰეგელი, ესთეტიკა, ქართ. თარგმ. ტ. I, გვ. 434.

<sup>2</sup> Гегель, Эстетика, т. 3, М., 1971, с. 520—521.

<sup>3</sup> В. Вишняков, О происхождении псалтыри, С-ПБ. 1875, с. 3.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 69.

აღმოჩნდეს იმავე მდგომარეობაში, რაზეც მაგალითად, ცნობილი გერმანელი პოეტის კლოპშტოკის მიმართ თავის დროზე აღნიშნავდა ჰეგელი; „კლოპშტოკის მრავალი ლექსი, ჰიმნისა და ფსალმუნის ფორმით, არ გამოირჩევა არც აზრის სიღრმით, არც რამენაირი რელიგიური შინაარსის მშვიდი განვითარებით-ო“.<sup>1</sup> ფაქტია, რომ ფსალმუნები ღრმა მწუხარების ნიადაგზე შექმნილი პოეტური შედეგებია და მას წითელი ზოლივით გასდევს მელანქოლია, წუხილისა და მწუხარების ნაყოფი.

ამ მხრივ, როგორც გამორკვეულია, ნეტარი ავგუსტინეს უბრაწყინვალეს ორიგინალურ ჰიმნებსა და ფსალმუნებში ღმერთის მიერ ყველაფერი ზღვარდადებულია, ყველაფერი არარაობაში ინთქმება, თვით სილამაზეც<sup>2</sup> კი. ამიტომაც დიდი ვნებისა და წუხილის ტვირთი უნდა აწვეს პოეტის სულს, რომ მან ამ მასალას მიმართოს. სულის საღბუნად, მის თანამოაზრედ და მოკავშირედ ღრმა მელანქოლიით შეპყრობილ მგოსნებს ყოველთვის ეგულეობდათ ფსალმუნი და ბიბლია. ისინი ხელოვანთათვის, როგორც ვთქვით, ისეთი დიადი მოდელეებია, რომელიც ყველა დროის ადამიანის ვნებათა ჭიდილს იტევს, რადგან ყოველი ეპოქა თავის ენაზე აშინაარსებს ამ ქმნილებათა პათოსს. რასაკვირველია, ძნელია, დიდ ნიჭთან ერთად ძალთა განსაკუთრებულ დაძაბვას მოითხოვს პოეტისაგან ათასწლეულთა წიაღს თავშეფარებულ თაობათა რწმენასა და ცნობიერებაში უკვე განმტკიცებულ, მყარ ზნეობრივ ეტალონად და მუდმივ პოეტურ ხატად ქცეულ ღირებულებებთან შეხება, თანამედროვე სულით მისი ავსება, ძველი მასალის ახალი ეთიკურ-ესთეტიკური მისწრაფებების ენაზე თარგმნა. როგორც შენიშნულია, „ვეროპელი რომანტიკოსების მსგავსად, ჩვენი პოეტები ცხოველ ინტერესს იჩენენ შუა საუკუნეების ლიტერატურული ფორმებისადმი, რაც განაპირობებს ადაპტაციის საყურადღებო შემთხვევებს, მეტად მნიშვნელოვანს მხატვრული აზროვნებისა და შემოქმედებითი ფსიქოლოგიის

<sup>1</sup> Гегель, Эстетика, т. 3, М., 1971, с. 521.

<sup>2</sup> ა. გაწერელია, ავგუსტინე ჰიმნოგრაფიისა და ლექსთწყობის საკითხებზე, „მაინე“, 1983 წ. № 3, გვ. 200.



საკითხების კვლევისათვის“.<sup>1</sup> ამ თვალსაზრისით აღნუსხული და გაანალიზებულიცაა ბიბლიური მასალის გამოყენების საყურადღებო შემთხვევები ქართულ რომანტიკოსებთან. (გ. კალანდარიშვილი). ადრეც უთქვამთ და ამჟამადაც მიუთითებენ, რომ „ქართული რომანტიკული პოეზიის, როგორც ენობრივი ფენომენის გააზრება შეუძლებელია ბიბლიის გარეშე, რომანტიკულ პოეზიაში გამოუდგებით ისმის ბიბლია, ბიბლიური სიტყვა-თქმები, ტროპის ბიბლიისებური კონსტრუქცია“.<sup>2</sup>

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას გრ. ორბელიანის ლექსის „ფსალმუნის“ შეპირისპირება „ფსალმუნთან“.

გრ. ორბელიანი „ფსალმუნი“:

„ვინ აღვიდეს შიდალსა მას მთასა წმიდასა,  
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?..  
— სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,  
ვის არ შეეხო ზაყვის გესლი ძმისა განკითხვად...“

„ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილს  
წმიდასა მისსა უბრალო კელითა და წმიდა გულითა,  
რომელმან არა აიღო ამაოებასა ზედა სული თვისა და არც  
ეფუცა ზაკთ მოყვასისსა თვისა“

(დავითნი, კანონი გ., ფსალმუნნი ევ)

„სადღეგრძელოს“ ავტორის ელვარე სტილი დეკლარაციისა და სენტენციის სტრუქტურაში ზოგჯერ ისეთ ეფექტს აღწევს, რომ თქმის ორიგინალობა, სრულიად აქრობს ცნობილი აზრების ტრივიულობის განცდას.<sup>3</sup>

საილუსტრაციოდ მოვიტანოთ „ფსალმუნიდან“ ზოგიერთი ადგილი:

„რომელმან აღადგინის ქუეყანისაგან გლახაკი და სკორეთაგან აღამდლის დავრდომილი“ (ფსალმუნნი, 112, ალილუია, 316);<sup>4</sup> ან კიდევ:

<sup>1</sup> გ. კალანდარიშვილი, ბიბლიის ლიტერატურული იდეატაცია ქართულ რომანტიკოსთა პოეზიაში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, თბ., 1981, გვ. 27.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 27.

<sup>3</sup> იხ. გ. კალანდარიშვილის დასახ. წერილი, გვ. 26, შდრ. აკაკი გაწერელისა ზემოთ ხსენებული დაკვირვება, რჩ. ნაწერები, ტ. II, გვ. 162.

<sup>4</sup> ყველგან ვიმოწმებთ მზ. შანიძის მიერ გამოცემულ „ფსალმუნს“...



„რამეთუ იქნა გლაზაკი ძლიერისაგან და დავრდომილი, რომლისა არა იყო შვე“ (ფსალმუნი, 70, ფსალმუნი დავითისნი, 2, 184).

„განარინეთ გლაზაკნი და დავრდომილი და კელთაგან ცოდვილისათა იქსენით იგი“ (ფსალმუნი 81, ფსალმუნი ასაფისი 4, 221).

„უსაყეთ ოზოლსა და გლაზაკსა, მდაბალი და დავრდომილი განმართლეთ“ (ფსალმუნი 81, ფსალმუნი ასაფისი 3, 221).

„შეიყუარე სიმაართლე და მოიძულე უმჯელოებამ“ (ფსალმუნი 44, 8, 113).

„და სიმაართლე შენი, ღმერთო ჩემო, მიმადლადმდე (ფსალმუნი 44, 19, 18).

„განშჯად იერისა შენისა სიმაართლით და გლაზაკთა შენთა განციოხვით (ფსალმუნი 71, სოლომონისთჳს ფსალმუნი, 2, 184).

„ნეტარ არიან, რომელთა დაიცივან სიმაართალი და ყონ სიმაართლე ყოველსა ეამსა“ (ფსალმუნი 105, აღილუჲა 3, 290).

„რამეთუ წყალობამ და ქვეშარიტებამ უყუარს უფალსა, მადლი და ღიდებამ მოსცეს ღმერთმან, უფალმან არა მოაკლოს კეთილი, რომელნი გლენან უბიწოდ“ (ფსალმუნი 83, 12, 227).

„განმარინე მე, უფალო, კაცისაგან უკეთურისა და კაცისა ცრუისაგან მიკუნ მე“ (ფსალმუნი 139, დასასრულსა, ფსალმუნი დავითისი, 2, 385).

„დაიციე უმანყოვებამ და იხილე სიწრფელე“ (ფსალმუნი 36, ფსალმუნი დავითისი, მოსახსენებლად სინანულისა, 37, 93).

„დააცხრე ენამ შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყუან ზაკება“ (ფსალმუნი 33, 14, 80).

აღნიშნულ მონაკვეთებს თუ შევეუდარებთ „სადღეგრძელოს“ ცნობილ სტრიქონებს:

„რა არის ჩვენი სიციოხლე, თუ არა საქმე კეთილი? თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი? თუ არა ვჰსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი? სხვის კენესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი? ამ ჰაზრის გულსა დანერგვით ვჰსდევნიდეთ სულ-მოკლეობას!

ვსდევნიდეთ ძალას დამჩაგვრელს და მისსა უსამართლობას;  
ვსდევნიდეთ კაცის წამპილწველს, უწმინდურს ანგაარებდას;  
ვსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცისა სულს მადლიანად.

დავრწმუნდებით, რომ აქ შეინიშნება ბიბლიის სენტენ-  
ციების შორეული ანარეკლი. აზრობრივი ჩარჩო, რომელშიც  
მოქცეულია გრ. ორბელიანის პოეტური ფრასაჲ, სათავეს  
ფსალმუნიდან იღებს, მაგრამ პოეტის მიერ უაღრესად ინდი-  
ვიდუალიზირებულია მისი სახე.

ფსალმუნის ერთი ადგილი: „და ღვინოჲ ახარებს გულსა კაც-  
სასა, საცხებელითა მხიარულ-ყოფად პირი, და პური გულსა კაცისასა გ-  
ნამტკიცებს“ (ფსალმუნი 103, ფსალმუნი დავითისი, სოფლისა შესაქმნი-  
სათუს, 15, 280).

„სადღეგრძელოში“ ამგვარ რემინისცენციად წარმოგვიდ-  
გება:

„პოი, შენ ღვინოვ, ყოვლად ძლიერო,  
ლხინით, შექცევით გულნი ადგივზნე;  
გულის პირთ მდევნო, ნიჟო ციერო,  
ვინ არს, რომელ გსვა და არ აღზინე?“

ახალგაზრდობისას აქვს შექმნილი გრ. ორბელიანს „ჩემი  
ეპიტაფია“ (1839 წ.).

1879 წელს, „ჩემი ეპიტაფიის“ დაწერიდან 4 ათეული  
წლის შემდეგ, არის დაწერილი „ფსალმუნი“. ეს ორი ლექსი,  
თავისი აზრობრივი დინებით და ემოციური წყობით უახლოე-  
დება ერთმანეთს, რადგან ერთისა და მეორის წყარო ფსალ-  
მუნთა წიგნია. ინტერესი სიცოცხლის წარმავლობის, ამოების,  
სულის უკვდავების შესახებ გრ. ორბელიანისთვის ასაკში შეს-  
ვლით მოსული განცდა არაა. ეს მისი მყარი ფიქრის და აწ-  
ნიადაგზე ცხოვრების ყველა ეტაპზე სერიოზული განსჯის სა-  
განია.

„მერგო რიგი, და აწ ჩემს საფლავს დაჰმზერ შენი  
ამ ზენა-ჰსჯულსა ვერა არსი ვერ ასცდეს;  
ვერცა ხელმწიფე დიდებისა გვირგვინით,  
ვერცა გლაზაკი შემოსილი ძონძითა,

ვერც სიკაბუჯე შეგნებითა შემკული  
და ვერც მოხუცი დაღალული სიციცხლით!  
ყველა იცვალოს, ყველა მოკვდეს, დამიწდეს,  
და მხოლოდ წრფელი სული, წმიდა, ცხოველი,  
მღეთადა აღვიდეს ნაწილაკი მღეთაებრი“.

სულიერი ამაღლებისა და უკვდავებასთან თანაზიარობის  
იდეა მსკვალავს როგორც ამ ლექსს, ასევე გრ. ორბელიანის  
„ფსალმუნს“:

„ვინ აღვიდეს მაღალსა მას მთისა წმიდასა,  
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა ღიდებას?..  
— სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,  
ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად  
და სიყვარულით შეიწყალა ცდომილი ვნებით“...

დასაბამი აღნიშნული პოეტური სტროფებისა კი, როგორც  
ვთქვით, არის „ფსალმუნის“ შესაბამის სტროფში. „ჩემი ეპი-  
ტაფიის“ შემთხვევაშიც ამოსავალი შეიძლება იყოს ისევ  
„ფსალმუნის“ სულიერი გარემო.

„ამაო არს ყოველი კაცი“ (ფსალმუნი 38, 12, 98)

„გამოაველინე ნათელი შენი და ჰეშმარიტებაჲ შენი, ესენი მიმადღეს  
და მიმიყვანეს მე მთისა წმინდასა შენსა“ (ფსალმუნი 42, მუხლი კ. ე-  
112).

„რამეთუ წრფელ არს სიტყუად უფლისაჲ და ყოველნი საქმენი მისნი  
სარწმუნოებით არიან“ (ფსალმუნი 32, 4, 75).

რამეთუ არა სიკუდილისა მისსა წარიღის მან  
ყოველი, არცა შთაყვეს ღიდება მის თანა“ (ფსალმუნი 44, 18, 124).

„აკურთხედიტ უფალსა ყოველნი ანგელოზნი მისნი, ძლიერნი ძალი-  
თა, რომელნი ჰყოფენ სიტყუასა მისსა, სმენად კმაჲ სიტყუათა მისთაჲ“  
(ფსალმუნი 102, დავითის ფსალმუნი, 20, 178).

ზემომოტანილი, მეტნაკლებად სარწმუნო, მსგავსი განც-  
დითი სარჩულისა და ფრაზეოლოგიური სამოსლის შემცველი  
აღვილები მიგვანიშნებს იმ კავშირზე, რაც არსებობს გრ. ორ-

ბელიანის პოეტურ სამყაროსა და ბიბლიის, — ყველა დროის ამ დიადი წიგნის, — ცალკეულ მონაკვეთებს შორის.

გრ. ორბელიანი ახალი შინაარსით ტვირთავს ბიბლიის ბუნ-სონაყთა მუდმივ ხატებს, როცა მაგალითად „მუშა ბოქულა-ძეში“ ლაპარაკობს „ძმის ღალატსა“ და „მოყვასთაგან და-ჩაგვრაზე“. „მეგობრისგან იუდას ამბორზე“, „ზეციური მად-ლით განათებულ „ნუგეშ-ცემის სულის გამამაგრებელ ძალა-ზე“, ლოცვანთა მოგონებით სიმშვიდის გრძნობაზე...

კიდევ და კიდევ მრავალი სიტყვისა და ფრაზის, თუ საბე-ობრივი ნიმუშების დაძებნა შეიძლება, რომელიც გვამცნობს, თუ რამდენად ორგანულადაა შექრილი გრიგოლ ორბელიანის მხატვრულ აზროვნებაში, ბიბლიის აზრობრივი და პოეტური აქსესუარი. აშკარაა ამ მასალის სიახლოვე გრ. ორბელიანის პოეზიასთან. მის შემოქმედებით პროცესში აქტიურადაა ჩარ-თული ბიბლიური მასალა და გარდასახულია ის, რასაკვირვე-ლია, თავისებურად. ტრადიციული მასალის ინდივიდუალიზა-ციის პროცესი გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებით უნარზე მიუთითებს და მის პოეტურ შესაძლებლობებათა სიფართოვეს გახაზავს.

ბ) თბილისის უოფა და მისი ლიტერატურული ტრადიციები  
რომორც გრ. ორბელიანის შემოქმედებითი მასალა

გრიგოლ ორბელიანი იმ მცირერიცხოვან მგოსანთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც თბილისში დაიბადა და აღიზარდა. ბუ-ნებრივია, რომ მას, როგორც ყოველ გრძნობიერ და გონება-ამაღლებულ ადამიანს უყვარდა საკუთარი მშობლიური გა-რემო. პოეტის ბიოგრაფიიდან ვიცით, თუ თავისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე როგორ ცდილობდა ის, საქმით გამოეხა-ტა ქვეშარბიტი სიყვარული ქართველთა სათაყვანებელი ქალ-ქისადმი. გრ. ორბელიანის ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფი იონა მეუნარგია ერთგან იგონებს მის ნათქვამს: „კაცს ყო-ველგან შეუძლია იყოს, თუნდ იაპონიაში, თუნდ შვეიცარი-აში, თუნდ ინგლისში მაგრამ ცხოვრებით კი მარტო თბილის-ში უნდა იცხოვროს, — ამბობდა პოეტი და თვითონ პირვე-



ლი ასრულებდა ამ მცნებას“ (ი. მეუნარგია ქართველ მწერ-  
 ლები, I, გვ. 150). რას წარმოადგენდა ვრ. ორბელიანისდრთ-  
 ინდელი თბილისი და ვინ იყვნენ მისი მკვიდრნი? ამ კითხვა-  
 ზე სავსებით ნათელი პასუხი გასცა აკაკი წერეთელმა. როცა  
 აღნიშნა: „ვინ არიან... და რა ნაციას ეკუთვნიან?... ჩვენის  
 პაზრით ესენი არც ერთ ხალხს არ ეკუთვნიან! ისე, თავისთა-  
 ვათ ქალაქელები არიან... მხოლოდ მიუღიათ ერთის მხრით  
 სომხებისაგან და მეორეს მხრით ქართველებისაგან ის, რაც  
 მათ ხელობას, მათ ქალაქელობას გამოადგებოდა: სომხური  
 ანგარიში და ყაირათიანობა და ქართული გულ-გაშლილობა  
 და გულჩვილობა; მაგრამ ეს უკანასკნელი კი მხოლოდ ხანდა-  
 ხან, როცა იარაღათა ხმარობენ და ქსელათ. მაგალითად, აბა,  
 თუ ვისმეს უნახავს, რომ ქალაქელი ვაჭარი ანგარიშის დროს  
 ქართულად ლაპარაკობდეს და ალერსისა და დარბაისლობის  
 დროს სომხურად? ვერ მოახერხებენ!... ძირეულათ იმათ, არ-  
 ცარა ქართული აქვთ და არცარა სომხური“ და დიდი პოეტის  
 თქმით, არასოდეს „იმათ მისთანა სამუშაო არა ჰქონიათ-რა,  
 რომელიც ადამიანს სულით ამალღებს“<sup>1</sup>... ამიტომაც მოხდა,  
 რომ ამ ფენამ ქართულ კულტურაში ვერ შექმნა ეროვნული  
 სულის გამომხატველი ღირებულებანი და ჩვენი საუკუნის  
 გამოჩენილი მწერლის გ რ ი გ ო ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ი ს ი რ ო ნ ი ა ც  
 დაიმსახურა: „სიტყვა ქართული, ბაიათი სპარსული. ხმა „ყარა-  
 ჩოღელის“... რასის დომხალი?! („გველის პერანგი“, გვ. 246)  
 ხოლო უკანასკნელად კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა ს  
 რისხვაც კი გამოიწვია: „ერთი ვიკითხოთ, ვის ესაქირო-  
 ება... „ძველი თბილისი“ თავისი კინტოებით... და ყოჩებით...  
 სამწუხაროდ, ამ ძველი ტფილისის მეხოტბენი კიდევ შე-  
 მორჩნენ ჩვენს მხატვრობას, თეატრსა და კინოს“<sup>2</sup>. საყურად-  
 ლებოა, რომ ქართული ეროვნული სულისა და ხასიათის ისე-  
 თი მესაიდუმლენი, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-  
 ფშაველა, არასოდეს დაინტერესებულან თბილისელი მოქა-  
 ლაქის ფსიქოლოგიით, მიზეზი ამისა, ალბათ, ის ვახლავთ,

<sup>1</sup> აკაკი წერეთელი, „თეატრი“, თბულებათა კრებული თბუთმეტ  
 ტომად, ტ. XII, გვ. 36—37.

<sup>2</sup> კონსტანტინე გამსახურდია, „შანთით ამოუწვათ“, აღმანახი „კრიტი-  
 კა“, № 5, 1987 წ. გვ. 192—193.

რომ მათ წარმოდგენაში ეს მოქალაქენი განასახიერებდნენ არაქართულს, არაეროვნულ ნაწილს ჩვენი ქვეყნისა. ველ თავადაზნაურთა და გლეხობას იქეთ მყოფი ე. წ. ს. მესამე ფენა, ამქრობა და ბურჟუაზია თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე გულისხმობდა არაქართულ ელემენტს, რის გამოც კარგა ხნის მანძილზე ქართულ მწერლობაში დაცინვის ერთგვარ ობიექტად იქცა.

გრიგოლ ორბელიანი თანამედროვეთა გადმოცემით და მისი ნაწერების მიხედვით, ჭეშმარიტი ქართველი იყო, რამდენადაც ის თავის თავში ატარებდა სხვა ხალხებისადმი პატივისცემის გრძნობას, მაგრამ ის, როგორც ნამდვილი პატრიოტი, ცნობილია, თუ რა მძაფრად განიცდიდა არაქართული ელემენტით ქართული გარემოს, და კერძოდ, თბილისის განაშენიანებას. გრ. ორბელიანის ნაწერებსა და მის პრაქტიკულ საქმიანობაში ჩვენ ვერ ვპოულობთ ისეთ ფაქტს, რომ პოეტი მოიხიბლული იყოს მხოლოდ თბილისელ მოქალაქეთა ცხოვრების წესით; მას ხიბლავდა ყველაფერი ის, რაც ჭეშმარიტად ქართული იყო, იქნებოდა ეს ძველი თუ ახალი საქართველოს შენაძენი. პოეტი, რომელსაც იდეალად დავითის, თამარისა და ერეკლესდროინდელი ქართველის რაინდული სული ჰქონდა, ცხადია, ვერ მოიხიბლებოდა XIX საუკუნის თბილისის ვაჭრულ-ამქრული და, რაც მთავარია, არაქართული საზოგადოების მეშინური ანგარიშინობით. გრ. ორბელიანის შთავგონების წყაროს, როცა ის მის თანადროულ ყოფას ეხებდა, წარმოადგენს არა თბილისის საზოგადოების ამ ფენის სწრაფვა-განცდანი, არამედ თვით პოეტის ფანტაზიის მიერ შექმნილი სახეები, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ „ჩათუქესანი მოქალაქისა“, რომელიც საკუთრივ ქართული ცხოვრების შვილი შეიძლება ყოფილიყო. არსად გრიგოლ ორბელიანი თბილისელი დიდვაჭრის ცხოვრებას არ აქცევს თავისი ლექსის საგნად, არაქართული ელემენტი არ შეიძლება იყოს და არც არის გრ. ორბელიანის პოეტური გამოსახვის ობიექტი და თუ აღიარებულნი შეხედულებების მიხედვით, „მან გააცოცხლა კოლორიტული ფიგურები ძველი თბილისის მზიარული მეთევზეებისა და მეკრივეებისა, დარდიმანდი ყარაჩოღელებისა და ბედის უღელქვეშ ქედმოხრილი მეკურტნე-

ეზისა“, და თუ „ამ აღამიანების განცდაზე ის ლაპარაკობს <sup>როგორ</sup> გულდასმობილი არისტოკრატისა და ბიუროკრატის <sup>ქვეყნად</sup> ლობით“,<sup>1</sup> არამედ დემოკრატიზმის სულსკვეთების <sup>მეტაწინა</sup> ბელი ქართველის შეგნებით, ეს იმიტომ, რომ საკუთარი ოფლითა და ჯაფით მცხოვრებ თბილისელებში პოეტი ხედავს ქართული ტრადიციების, ქართული სულის შენახვის პერსპექტივებს.

გრ. ორბელიანი, სხვადასხვა დროს შექმნილ იმ თერთმეტი-ორდე ლექსში, სადაც ქალაქური ყოფა, შექცევა და ლხინი, თუ მკვიდრთა ყოველდღიურობაა ასახული, ახერხებს თბილისელი მოქალაქე დაიჭიროს იმაში, რაშიც ის თავის ქართველობას ავლენს. ხელგაშლილობა, გულუხვობა, აღაღმართლობა, რაინდული თავაზიანობა, კდემა მშვენიერთა სქესისადმი, შეუდრეკელობა, მამაცობა და ქველმოქმედება — ეს ის თვისებებია, ფსიქო-ეთნიკური თვალსაზრისით, რაშიაც არ გლინდება მეშჩანურ-ვაჭრული, თბილისის ბურჟუაზიის სა-სიცოცხლო იდეალი. ეს ძირძველი ტრადიციის შენახავი, სოფლიდან ქალაქში ჩამოსულ ამქართა წრეში შესულ გლეხთა, მეთევზეთა, ქართველ მშრომელ კაცთა ფსიქოლოგიის ამსახველი თვისებებია, ვიდრე იმ გაქსუებული ბურჟუიისა, რომელსაც ამ დროისთვის ეკონომიკურსა და სოციალურ სფეროში ცხოვრების მართვის სადავე მოუპოვებია. თბილისელი მოქალაქის სახელს შეფარებული არაქართული ელემენტი მალავს თავის ეროვნულ წარმომავლობას, რათა დროთა განმავლობაში მატერიალურად მოღონიერებული გაბატონდეს ეროვნულ სულზე და მისთვის სასურველი მიმართულება მისცეს ქართველისა და საქართველოს ხვალისდელ დღეს. წორედ ეს საშიშროება დაინახა დიდმა ქართველმა.

გრიგოლ ორბელიანს ფაქიზი პოეტური სული ჰქონდა, მაგრამ ის შორსმჭვრეტელი მოაზროვნე — ხელოვანი და ყოველგვარი გულუბრყვილობისაგან შორს მდგომი პოლიტიკოსიც იყო. ამიტომაც თბილისის კოლორიტული ყოფით მისი აღტაცება და მოხიბლულობა გარკვეულ ინტელექტუალურ

<sup>1</sup> გ. ქიქოძე, რომანტიკოსების თაობა, თხზულებანი სამ ტომად, ტ. 1. თბ., 1963, გვ. 89.



საწყისს ეფუძნებოდა. ლექსები, სადაც თბილისელ ყარაჩხელთა, მშრომელ და საკუთარი ოფლით მცხოვრებ ადამიანთა სახეებია გაცოცხლებული, პოეტი ყურადღებას ამახვილებს ქართულ, ეროვნულ ნიშან-თვისებებზე.

თუ, ერთი მხრივ, გრ. ორბელიანის პოეტური იდეალი არის საუკუნეთა წიაღს შეფარებულ ქართველ გმირთა დიადი სახეების გაცოცხლება, რათა მკითხველს დაანახვოს, თუ რანაირი იყო ბრძოლის სტიქიაში მყოფი ქართველი, მისი რაინდული შემართება, მეორეს მხრივ, იქ, სადაც პოეტი საკუთარ აწმყოს ეხება, ცდილობს აჩვენოს ახალი დროის გადასხვაფერებულ გარემოში ქართველის შრომა და ლბინა გრ. ორბელიანის პოეტური წარმოდგენით, ბრძოლაში, შრომასა და ლბინაში ჩანს ყველაზე მეტად ქართველის ქართველობა, მისი ეროვნული ცხოვრების შინაარსი. მას შემდეგ რაც ქართველმა პოლიტიკური და მეომრული ბრძოლის ასპარეზი დათმო, სადაც თვალსაჩინოდ ვლინდებოდა ერის რაინდული სული, XIX საუკუნის საქართველოში მისთვის დარჩა მხოლოდ შრომისა და ლბინის ასპარეზი, სადაც უნდა გამოვლენილიყო ქართველის ზნეობრივი ენერჯია. ცხადია, თბილისელი მოქალაქის ბურჟუაზიული ცხოვრების წესი და მეშჩანური იდეალი ვერ მიიტაცებდა გრ. ორბელიანის პოეტურ თვალთახედვას. მას როგორც შემოქმედს, ახასიათებს თბილისური ყოფითი მასალის პოეტიზირება. ამქრულ, დარდიმანდულ გარემოში მას შეაქვს რაინდული ელემენტი, რითაც აქართულებს, ეროვნული შინაარსით ტვირთავს, ანუ ზოგად ქართული ცხოვრების წესს უქვემდებარებს ყველაფერ იმას, რასაც თბილისის ყოფა, მის მკვიდრთა ქცევა ჰქვია. გრ. ორბელიანის მხატვრული უნარის წყალობით სპეციფიკურ ქართულ გარემოდ წარმოგვიდგება დიმიტრი ონიკაშვილისა და ბეჟანა მკერვალის, თუ ყარაჩოხელთა თბილისი, რომლის წიაღში არის გაშლილი კდემით მოსილი მიწნურის ამალმებული განცდები, შრომაში, კრივსა და ლბინაში, „წამით ტოლუმბაშად“ მყოფი თბილისელის ბუნებრივი არტიტიზმით შემკული ზასიათი.

ცხოველყოფელი იყო გრ. ორბელიანისთვის ცხოვრებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებათა შენახვის უნარი, მაგრამ

კიდევ უფრო დიდი იყო ამ შთაბეჭდილებათა მხატვრულად ამეტყველების პოეტისეული ნიჭი. ისტორიულად არსებულ კინტო და ყარაჩოხელი, ანუ გრ. ორბელიანის პოეზიის გარკვეული ობიექტები, როგორც ეს სამართლიანადაა მითითებული<sup>1</sup> სრულიადაც არაა ისეთი ზნესრული და პოეტური, როგორადაც მხატვრულ სიტყვაშია ის წარმოსახული, ან ცალკეულ ავტორთა ნარკვევებშია წარმოდგენილი.

როგორც ცნობილია, თბილისს, მის მოქალაქეებს ჰყავდა თავისი აშუღები და მეხოტბენი, რომელთა სახელები გაცოცხლებულია გრ. ორბელიანის პოეზიაში, როცა პოეტი, ლექსის სათაურში ან ტექსტშივე მიანიშნებს მკითხველს, თუ რა იყო მისთვის შემოქმედებითი იმპულსი. მაგალითად, „სავათნავას შიბაძვა“, ეპიგრაფი ჩამჩი-მელქოს ლექსიდან და ა. შ.

ქართველ პოეტთაგან მაინც გრიგოლ ორბელიანი იყო ახელოვანი, რომელმაც ქართული თვისებებით დატვირთა და ამით გააკეთილშობილა თბილისელი მოქალაქის თვით კინტოსა და ყარაჩოხელის ძალზედ პროზაული და ეროვნულკოლორიტს მოკლებული ხასიათები.

გრ. ორბელიანის ცხოველმყოფელმა მხატვრულმა ფანტაზიამ პოეტურ რეგისტრში აიყვანა მათი განცდები, ეროვნული ნიშნით წარმოსახა ისინი და ამით აამალა მკითხველის თვალში თვით ამ გარემოს ლიტერატურული ფასი და მნიშვნელობა. გრ. ორბელიანის პოეზიის წყალობით მომავლის მკითხველს შეექმნა ამაღლებული წარმოდგენა „ქართული პატიოსნებით“ აღსავსე, შრომაში, სიყვარულში, კრივსა და ლხინში მოუღლელ, დარდიმანდული ხასიათის თბილისელ მოქალაქეზე, რომელიც საზრდოობს გეოგრაფიულად, მეტი რომ არ ვთქვათ, გრ. ორბელიანისთვის ეგზომ მომზიბვლელი ტაბახმელას, ყოდის, კუმისისა და კოჯრის გარემოდან შენატანილი ქართველი გლეხის არა მხოლოდ სულიერ-ზნეობრივი საგზლით...

<sup>1</sup> ამ თვალსაზრისით საინტერესო დაკვირვებებია მოცემული გ. შაფერლიშვილის წერილში: „ძველი თბილისი, კინტო და... ყარაჩოხელი“ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987 წ. № 18 (2590) 1 მისი.

დიდია გრიგოლ ორბელიანის თვალით უშუალოდ ხელ-  
ლი და განცდილი თბილისური გარემოს შთაბეჭდილებათა  
გავლენის ძალა მის შემოქმედებით პროცესზე. პრეტენზიულ  
ტაზიისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მოპოვებული  
ამ შთაბეჭდილებათა გახსენება-გაცოცხლებას, მაგრამ დრო-  
დადრო ამ პროცესს, როგორც ჩანს, აჩქარებდა მის აბლო-  
ბელთა და მეგობართა ბარათები, რომლებიც თვალნათლივ  
უცოცხლებენ თბილისისაგან შორს მყოფ პოეტს მისთვის ესო-  
დენ სანატრელ გარემოს. ამის ნათელი დადასტურებია და-  
ვით ყორღანაშვილის წერილი გადასახლებაში მყოფი გრი-  
გოლ ორბელიანისადმი დათარიღებული 1834 წლის 14 ოქ-  
ტომბრით. მასში ცხოველმყოფლადაა დასურათებული გრი-  
გოლ ორბელიანის პოეზიისათვის ესოდენ სპეციფიკური შექ-  
ცევა და ლხინი.

„...ვიკმარე სამხედროს სამსახურით წვალემა. ეხლა ვამა-  
რებ დამშვიდებულს სამსახურით ცხოვრებას ჩუენს ტყბილს  
ტფილისშია. მგონია, ეს ჰაზრი შენც არ დამიწუნო.

ეხლა ვიამბო დღევანდელი ჩუენი კარგი ლხინი ბაღში...  
წუხელის როგორც ხოზაინი, წაველ ბაღში ბარგის ბარხანით,  
ფანრებით, საზანდრებით და ყოველითვე. კუხნის კარავში  
ეკიდა ფანარი, ქვეშ ვისხედით, მე ჩემის პრედმეტებით... და  
ერთის კარგის საზანდრით, ესე იგი ჰაჯი მაჰმუდათი... რს!  
მისი ჭირიმე, განთიადის ვარსკვლავამდინ ვიყავით სამოთხებრ  
დატკობაში, შემდეგ გვეძინა, ძალლი დაიძინებდა მე არა.  
დილაზედ მე ავდექი მეცხრე საპათში. შუადღემდინ ბესედ-  
კაში ყვავილებით სუფრას ვაკეთებდი; შუადღისას მოვიდნენ  
ყველანი. დავსხედით, მოგპყავით სადილს, საუცხოოდ ვილ-  
ხინეთ, შემდეგ საღამოზედ იგორ სტეფანიჩი, მე და მელოქ-  
ზად მეზურნეებით სეგის დაკვრით წავედით სხვა ბაღებში  
ორთაქალისა კამპანიების გასაშინჯავათ. პირველად დაგვებდ-  
ნენ ბაყლებისა, ყელზედ ბაღდადის ხელსახოცებით, — მაშინ-  
ვე ჯამები სავსე მაჭრებით მოგვეგებნენ, მიგვიპატიყეს, შე-  
ვედით, სუფრაში ერჭო ყირაზედ ორი შამფური წვადი, დაგ-  
ლეჯილს სუფრაზედაც ფოთლებით ეწყოთ მურწები, მოთა-  
ლი და კარგი თართის დოში. ცოტად დავლიეთ და გავშორ-  
დით ამით, თუმცა არ გვიშვებდნენ; მივედით სხვა დიდს ეშ-

ხიანს და კარგს მოქალაქეების კამპანიაში. ამათაც ჩვენებურ ჩვეულებით, ერთგულად მიგვიწვიეს, თვითონაც პყავდით მუჭურნეები; ეს ორ დასტათ მეზურნეთა დაიწყეს კვრა. შემდეგ მოვყოლეთ იალლის თამაშობა; მერე ეს კამპანია ერთიან წამოვიყვანეთ, ზურნის კვრით ჩვენკენ, გამოუარეთ იმ ბაყლებს, ისინიც წამოვიყვანეთ თავიანთის შამფურებით, მივედით ჩვენს სუფრაზედ ოცამდინ ქალაქელნი მოლხინენი. მივაყოლეთ აქ ყველა საზანდრებს ერთათ კვრა, მღერა და ჩვენ ყიყინა, ჩვენის ხმით მრთელი ორთაჭალა შეიძრა... «...»... თუმცა ესენი შენთან მოსაწერი არ არის ამისთვის, რომ აქ არ მყოფობით უმეტეს შესწუხდები, მაგრამ ეს მადათოვის ჩიზუხის ჯავრის ამოყრაა, გული მხიარულად შეინახე; მოთმინება იყოს, თორემ ქაჩუყანაზედ რა სიძნელეა, რომ არ გაადვილებლიყოს».<sup>1</sup>

გაივლის მცირე ხანი და 1835 წელს გრ. ორბელიანის პოეტური გარდასახვა ცნობილ „მუხამბაზში“ ასეთ მაღალმხატვრულ ხარისხში აიყვანს მეგობრის ბარათში ნატურალისტურად აღწერილ სურათს:

„სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით  
თასით, ჯამით, ყანწით, აზარფეშებით!  
ლხინის სუფრა მოჭვინეთ ყვავილებით;  
ალავერდა დასვით თარით ნაქებით,  
ყოჯა ბულბულ ტკბილის ხმით აღუღენეთ,  
დიმპლიპიტო დაპკარ — დაარაკუნეთ!  
ლხინის პაპა, სახით არაბისტნელი,  
ღვინისა და ეშხისათვის შექმნილი,  
ტოლუმბაშად დასვით ქუდ ჩაკეცილი!  
მის შკოლაში ვინ არა ვართ ნასწავლი?“

შემოქმედებითი ცხოვრების ბოლომდე შემორჩა გრ. ორბელიანს განსაკუთრებული ინტერესი და ხიბლი თბილისური კოლორიტული მასალებისადმი.<sup>2</sup> ერთი შეხედვით ძალზედ პროზაული ფაქტურა პოეტური წარმოსახვის წყალობით მხატვ-

<sup>1</sup> დავით ყორღანაშვილის წერილი გრ. ორბელიანისადმი, 1834 წ. 14. X. ს. ც. ს. არქივი, ფ. № 481, აღწ. № 2, საქმე 364, გვ. 1—2.

<sup>2</sup> იხ. მაგ. ლ. ასათიანი, გრიგოლ ორბელიანი, რჩეული ნაწერები, ტ 1, თბ., 1958, გვ. 142.

რულ სიცოცხლეს იძენს ლექსებში „მირზაჯანას ეპიტაფია“, „სავათნავეს მიბაძვასა“, „კინტოს სიმღერას“ და „ტონსა“ და „იარალისშიც“, ასევე მის ცნობილ „მუხნამბაზუნებში“. გრ. ორბელიანის შემოქმედების მკვლევრები პოეტის ამოუწურავი სიცოცხლის სიყვარულის დასტურად ხშირად იხსენებენ მოხუცებულობის ეამს 1875 წ. 13 VI. მიწერილ ბარათს მეგობარი ქალისადმი. ისევე, როგორც ერთ დროს გრ. ორბელიანის ახალგაზრდა მეგობარი, დიდი გატაცებით და ენით აღწერდა თბილისური ქეიფის დეტალებს, ახლა უკვე მსცოვანი პოეტი სიცოცხლის უშრეტეი წყურვილით აღწერს მსგავს სიტუაციას: „ამას წინათ შევიყარენით სულ ყმაწვილი კაცები: მე, ჩილაევი, გიორგი მუხრანსკი, შახავსკოი, მირსკი, ლევან, ისაკ, ჯორჯაძე, სულთან გირეი, სოსიკო, ალაღაროვი, სტაროსელსკი — ამ ყმაწვილ კაცებში ყველაზე უფრო ყმაწვილი 60 წლის მაინც იყო — და წაყვდიით საღამოზე ორთაქალას და მტკვრის პირზედ ჩავსხედით ზურნით, ქიანურ-თარით და ლაზათიანის მომღერლითა.

და იყო ჰაერი მშვენიერი, ღამე მთვარიანი.. ამ დროს საღ იყო, სად არ იყო, წამოვიდა ერთი ნავი დასტითა და სწორედ ჩვენს პირდაპირ შუა მტკვარზე დადგა. მოთავემ დაიძახა: წმინდა სანთლები აანთეთ! და აენთო ნავის გარეშემო წმინდა სანთლები ჩირაღდნად. დაიძახა: გაშალეთ სუფრა, და გაიშალა სუფრა. მოართვეს მოთავეს თეფში ოთხის სტაქნებით და დალია ოთხივე დიდის მოხდენით; მერე თითონ ააგსო ოთხივე და ჩაურიგა რიგზე ყველას ოთხ-ოთხი და ამით გაჩაღდა ღებინი, ჩვენი აქედან, იმათი — შუა მტკვრიდამ.

გამოჩნდა, რომ ნავის აღმირალი იყო კუნძუას ძმა, ყასაბი. შუა ღებინში შევიდნენ. დაიძახა აღმირალმა, — ასე დავარქვით მოთავეს, — ახლა მწუადი მოვიდეს! ამ სიტყვაზე ერთმა, ნავიდან გადმოვიდა მალაურა, ჯერ ჩაიღუპა და მერე მძოვარით ამოვიდა, მოუსვა ვეება მკლავები და გამოვიდა ტიტველა მიკიტნის დუქანთან, საიდანაც ცხელ-ცხელი შამლურები ბუქნალარით გაიტანა ნავში და შეიქნა ახალი ჩამორიგება ოთხ-ოთხის სტაქნებისა ერთად. ჩვენის საზანდრების სიმღერაზე ისინი ძალიან იხრაკებოდნენ და ხშირად იძა-

ხოდნენ: ერთი კიდევ, გეთყვას!... დიდი სიამოვნებით უყურებდა შახავსკოი იმათ დარბაისლობის შექცევას.

პირველს საათზე ჩვენ აქედან ავიყარენით და იმათი ნავი ნელნელა ცურვით წავიდა ზევით ხილისაკენ... უფრო ადრეც (1861 წლის 4 მარტი) გრ. ორბელიანი ცუმწვილური გატაცებით წერს ყაფლან ორბელიანს, რომ „...ნიკომ დაჰპატიყა მთლად ჩუენი უბანი მუშთეიდის ბაღში მუზიკით, ზურნით, აღასათთარით და შუალამის სამ საათზედ დავიშალენით“.<sup>1</sup> აღნიშნული ნაწყვეტები გრიგოლ ორბელიანის წერილებიდან ისევე, როგორც პოეტის მეგობართა ბართებში წარმოდგენილი ლხინისა და შექცევის სიტუაციითა აღწერები არამც და არამც არ გულისხმობს, რომ გრ. ორბელიანი მხოლოდ ტფილისური კოლორიტის ტრფიალია და არა საზოგადოდ ლხინის... ასევე გატაცებით იგონებს ის თავის დროზე ბორჯომში „გაწეულ ლაზათებსა“ თუ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა ბანკეტებს... აქ მთავარია დავინახოთ, თუ რანაირად არჩევს გრ. ორბელიანის პოეტური თვალი და თავის ყაიდაზე, რა მხატვრულ შინაარსს სძენს ამდაგვარ მასალას...

თუკი ვინმემ იცოდა, საქართველოში, ეს პირველ ყოვლისა, გრ. ორბელიანმა იცოდა, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისის ყოფა და გარემო ეროვნული სულის გამოვლენის მაგალითად ვერ გამოდგებოდა. პოეტი კარგად არჩევდა ეთნო-ფსიქოლოგიური და კულტურული თვალსაზრისით, რომ საიათნოვას, მით უფრო, შამჩი-მელქოსა და ძმათა მისთა პოეზია, თუ მათი შთავგონების ობიექტები ქართული ფსიქოლოგიის, ეროვნული ცხოვრების განცდით სამყაროს რომ არ განეკუთვნებოდნენ. ძველი თბილისი და მისი პოეზია გრ. ორბელიანისათვის არც ყოფილა მიბაძვის საგანი. პოეტი თვით ქმნიდა იმ ქართული თბილისის საოცნებო მხატვრულ სამყაროს, რომელიც დასახლებული იყო არა აღმოსავლური, სუფიურ-რელიგიური მსოფლშეგრძნების ნიშნით აღბეჭდილი ყარაჩოხელებითა და კინტოებით, არამედ სპეციფიკურად ქართული ქრისტიანული თვისებების, მაჰმადი-

<sup>1</sup> ლიტერატურული მუზეუმის ფ. 20139.—6. გვ. 12;

ანური აღმოსავლეთისათვის უჩვეულო, ქრისტიანულ რწმუნებულ დული სულის ადამიანებით.<sup>1</sup> გრ. ორბელიანი მშვენიერად გრძნობდა და ახლა უკვე მეცნიერულადაც გარკვეულად, რამდენიმე დეკელი თბილისის კულტურული ფენომენი, კერძოდ, ძველი თბილისის პოეზია სხვადასხვა ეპოქისა და რეგიონის ისტორიულ-კულტურული აზროვნების კონგლომერატია, რომელიც აშკარად არ მიჰყვება ეროვნული მხატვრული სიტყვის ძირითად მიმართულებას.<sup>2</sup> ამიტომაც იყო რომ ამ ე. წ. III ტიპის ლიტერატურას, როგორც ეს შენიშნულია, მწვავედ დაუპირისპირდა ქართული მწერლობის სხვადასხვა თაობის, მიმართულებებისა და დონის მწერალი; ილია ჭავჭავაძითა და აკაკი წერეთლით დაწყებული, ვახტ. ორბელიანით, იოსებ დავითაშვილითა და იოსებ გრიშაშვილით დამთავრებული.<sup>3</sup> ცხადია, გრ. ორბელიანი, რომელიც თავის შემოქმედებაში განსახიერებს ყოველივე ქართულსა და მხოლოდ ეროვნულს, არ შეიძლება ყოფილიყო „ქალაქურ ლიტერატურად“ წოდებული, არაეროვნული ტენდენციების გამომხატველი ლიტერატურული სამყაროს შვილი... ყოფითი ცხოვრების თვალსაზრისით ქალაქი არ წარმოადგენს გრ. ორბელიანის სასურველ გარემოს და რასაკვირველია, არც მისი სულის ნავთსაყუდელად შეიძლება გამოდგეს იგი. აი, რას წერს 1864 წელს პოეტი ერთ თავის ახლობელ მანდილოსანს: „ხვალ, ესე 9 სექტემბერს მივდივარ ქალაქს, მენანება კოდა, მეტად და მეტად მენანება ამის ჰაერი, ამის წყალი, ამის მთვარე. უშვებ აქ განსვენებით ცხოვრებას და მივალ, რომ მოვიპოვო მოუსვენლობა და ჭორებით საესე ამბები, რომელშინა ძევს მხოლოდ შური, ძრახვა, ცილისწამება, მტერობა, მეც უნდა ჩავერიო ამგუარს ცხოვრებაში: დავინახო რაც არ მინდა, გავიგონო რაც

<sup>1</sup> სინამდვილეს არ შეეფერება შეხედულება, რომლის მიხედვით ტიპური ყარაიოხელი (მისი აღმოსავლური გავებით) რაინდული სულის პერსონაა. აღმ. თავაზიანობასა და რაინდობას შორის ზედამიჯრული მსგავსება არ ნიშნავს რომ ისინი თავიანთი კორპორაციული ეთიკეტით იგივე იყოს.

<sup>2</sup> გ. შაყულაშვილი, ძველი თბილისის პოეზიის ისტორიიდან, თბ., 1987, გვ. 99.

<sup>3</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ. დასახ. წიგნი, გვ. 87—96.

არ მინდა. მეტად და მეტად მეზარება ჩასვლა ქალაქში, მაგრამ რა გაეწყობა“.<sup>1</sup>

ზოგისთვის, გრ. ორბელიანის სიტყვით, ქალაქი „ცხოვრება“ და „ბედნიერებაა“, მაგრამ რომანტიკოსი პოეტისათვის, რომელიც სულდგმულობდა ყოველივე ქართულით, ამალღებულ და მშვენიერ საგნებზედ ფიქრით, ცხოვრების პროზაულ ურთიერთობებზე თვალთვალი არ ანიჭებდა სულიერ სიამოვნებას. აბა პოეტური შთაგონების თვალსაზრისით, რა უნდა მიეცა გ. ორბელიანისთვის იმ ყოველდღიურ მოსაწყენ, ბანალურ ქალაქურ ყოფას, რასაც შეფარული ირონიით აღუწერს ის ერთ თავის მეგობარს: „...წუჭანდელს ამბავს მაინც მოგახსენებ. დიდის ცერემონიით იჯდა საყდართან ელისაბედ და დედუფლობდა, მაგრამ სოფომ არ დააყადა და წამოიძახა: მაკრინას წიგნი მომივიდა, საწყალი ქეთევან ძალიან სუსტად არის და აქიმებს ურჩევით ზღუაში იბანოს, ან ბათუმში, და ან უფრო უკეთესი იქნებოდა, იქვე ახლოს ბათუმზე ტრაპიზონში იბანოს. მაიკომ უპასუხა, რომ მეც მომივიდა მაკრინესაგან და მაგას არაფერს იწერება, ამასვე ამბობს, რომ ქეთევან ძალიან უკეთ არის, ვიდრე ქალაქში იყო, ყოველთვის ერთად ვსეირნობთ ფიჭვის ტყეშიო!“ ამზე სოფო ძალიან გაანჩხლდა. „შენ მეტად ენა წაგიგრძელებიაო და რაც მოხვდება არახუნებო. მაიკო დაჩუმდა... აი, ამისთანა ლაპარაკში და ჩხუბში ატარებენ შუალამემდის, მეცა ვზივარ მოაჯირზე და ყურს ვუგდებ ამით მთლად ქალაქისა და მთელის ქუჩეყუნის ამბებსა. სულ იციან: ან საშამ როგორ და რით ააშენა სახლი ტაბახმელას, ან მირსკი რათ მოსულა წყალზე, ან პოლტორაცკი რათ წავიდა და მრავალნი ამგუარნი... ამით სხუა არა უნდათ რა თავის სიცოცხლის გასაბედნიერებლად და არიან ბედნიერად“.<sup>2</sup> ასე წერს 1882 წლის 25 ივლისს გრ. ორბელიანი;... კავკასიის ომების გმირი, თავის დროზე შამილისა და ჰაჯი-მურატის ღირსეული მეტოქე, სიცოცხლის მიწურულში ბედმა „მაიკოსა და სოფიკოს შორის აღერსიანი

<sup>1</sup> გ. ლონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმის ორბელიანების ფ. № 16565—6. გვ. 22.

<sup>2</sup> ლიტ. მუზეუმის ორბელიანების ფ. № 16261—6 (№ 05293). წერილი აღ. საგინაშვილისადმი. გვ. 5—6.



კინკლაობის“<sup>1</sup> მოწმედ აქცია და ყოველგვარ პოეზიას მოკლებული ცხოვრების თვალთვალი არგუნა.

ბელეტრისტიკისთვის შეიძლება საუკეთესო მტრობის თხზულების შექმნის ბაზად ქცეულიყო ამგვარი ამბები... მაგრამ გრ. ორბელიანი პოეტია და პოეტურად წარმტაცა და მომხიბვლელს ეძიებს მის ირგვლივ. მას იტაცებს ყველაფერი ის, რაც ცხოვრების ყოველდღიურობაზე ამაღლებს ადამიანს, იქნება ეს შექცევა, ლხინი, სიმღერა თუ სხვ. წვრილმან ყოველდღიურობაში პოეტურის დანახვას ცდილობს შემოქმედი. ესაა მისი მხატვრული ამოცანა და როცა სინამდვილეში ამგვარ ფაქტებს შენიშნავს, იგი სიხარულით და ჩვენი ხალხის სულიერი ძალებისადმი რწმენით ივსება. ამას მოწმობს ეკატერინე ჭავჭავაძისადმი 1872 წლის 2 ოქტომბერს გაგზავნილი ბარათის შემდეგი სტრიქონებიც: „...გუშინ აქაური ხალხი რკინის გზით პირველად წავიდა მცხეთას სადღესასწაულოდ. დილით 6-ს საათიდან შუაღამემდის მოუწყვეტლივ მიდიოდნენ და მოდიოდნენ ვალონები, ხალხით გატენილები, ზურნებით, ქიანურებით, სიმღერით. სასიამოვნო სანახავი იყო; უშლიდნენ ზურნის დაკვრასა, მაგრამ არ დაიშალეს, „ე. ი. ინგლის, ზნაეშ სელოდნია მცხეთობა, პრაზნიკ, ზურნა ნადას... ანგლიჩანმაც ვერა გაიგო-რა და თავი დაანება. შუაღამემდის მოუწყვეტლივ გზაზედ ისმოდა ზურნა და სიმღერა. მიყვარს ეს ჩვენი ხალხი თუ არ წაუხდინეს ხასიათი“...<sup>2</sup> სწორედ ჩვენი ხალხის ამ „წაუხდენელ ხასიათს“ ეძიებს პოეტი ყველგან და სადაც მას ვერ ხედავს, უსაზღვრო სევდით ევსება სული, ხოლო, როცა ოდნავი შესაძლებლობა ეძლევა, თვით ქმნის იდეალურ მხატვრულ მოდელს ქართული ლხინისა და ამ ლხინის მონაწილე და შემოქმედი ადამიანებისას... ასე იქცევა მისი პოეზიის საგნად თბილისელ მოქალაქეთა ყოფა, რომელშიც ქართულისა და მხოლოდ ქართული შინაარსის შეტანას ან უკეთ, ამ მასალის მაინცდამაინც ეროვნულ ყაიდაზე ამე-

<sup>1</sup> წერილი ა. საგინაშვილისადმი, 1882 წ. 21. VIII. ლიტ. მუზ. № 16262—6 (05292) გვ. 10.

<sup>2</sup> გრ. ორბელიანის წერილი ეკ. ჭავჭავაძისადმი 1872 წ. 2. X. ლიტ. მუზ. ფ. № 20150—6 (ზუგდიდის სახელმწიფო მუზეუმში დაცული წერილის ასლი) გვ. 39.

ტყველებას ცდილობს პოეტი, ცდილობს და წარმატებითაც ახერხებს ხოლმე. ხშირად გაურკვეველი წარმომსწვლლობის თბილისის მკვიდრთ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ არა მხოლოდ ქართველობის ძირძველ ტრადიციებზე, მისი ცხოვრების ეროვნულ წესსა და ფესვზე, არამედ საკუთარ წარსულზეც. აი, რას წერს ამ საგანზედ თბილისის ჭეშმარიტი მკვიდრი, ჩვენი სასიქადულო პოეტი იოსებ გრიშაშვილი: „თბილელი, — კინტო იქნება იგი თუ აშუღი, ბაყალი თუ სოფლადგარი — არ ეკუთვნის რომელსამე ტომს: მას დედა სომეხი ჰყავს, მამა კი ქართველი, ხანდახან პირიქით, ზოგის მოდგმა არაბისტანიდან არის გადმოსული, ზოგის ულუპაპა მაჰმადიანი ყოფილა და სხვა... ერთი სიტყვით, ყველა ერის სისხლია შერეული და, ვერ დაარწმუნებ, რომ ის გრიგორიანია, ან მართლმადიდებელი და სხვ... ის ყველაფერია (ინტერნაციონალი), მაგრამ ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ თბილელი მცხოვრები, რომელიც თბილისშია შექმნილი და „ჰიპოპოკრილი“ — უმთავრესად ქართველია ცხოვრებით, ენით, სულით, გულით და ტრადიციებით“.<sup>1</sup>

მაგრამ „ქართველობის“ ამგვარ შინაარსს უფრო სტიქიური ხასიათი აქვს და ეს პროცესი თავის ახსნას იმაში პოულობს, რომ „ქართველის“ კულტურული გენი, როგორც ეს კულტურული ტრადიციების მატარებელ ცნობილ ერთა მაგალითზე ხდება ხოლმე, ყოველთვის ახდენს უტრადიციო ან ბურჟუასით მოცული წარსულის მქონე ხალხთა ასიმილირებას და ქართულ ყაიდაზე გარდაქმნის მათი ცხოვრების წესს. მაგრამ ერთია ცხოვრების წესის სახეცვლილება და მეორეა ის გზა, რომელიც ადამიანის სულმა ყოფიდან პოეზიამდე უნდა გაიაროს... ეროვნული სახის ინდივიდუალური „მე“-ს ყველაზე ნათელ გამოხატულებას ჩომ პოეზია და საზოგადოდ ხელოვნება წარმოადგენს... ამ გზაზე არაქართული ელემენტო, რომელიც ვერ ახერხებდა ასიმილირებას, ჰქმნიდა იმ უსახო მწერლობას, რომელსაც ეროვნული ფიზიონომია დაკარგული აქვს და ამ ბოლო ხანებში რატომღაც „ქალაქურ ლიტერატუ-

<sup>1</sup> ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1963, გვ. 58.

რას“, ან „III ტიპის ლიტერატურულ მოვლენას“<sup>1</sup> უწოდებენ. საიათნოვადან მოყოლებული ეს ყველა დოსტოევის, სარა, შამჩი-მელქო, ოპანეზა, გურჯი-ოლლი, ალაპვერდა, ნაბადოლლი აკოფა, თუ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრები ანტონ განჯისკარელი, დ. გივიშვილი, გ. სკანდარნოვა, გ. მატინიანცი, პაზირა და სხვ. ცხადია, პოეზიაში რაიმე ახალ საფეხურს ან გამორჩეულ ფიზიონომიის სულიერ სამყაროს ვერ ქმნიან. თვით მათი ლექსების კრებულთა სათაურებსაც რომ დავავიზრდეთ, „ჯიბგირი ვარ“, „კინტოს გოდება“ (ა. განჯისკარელი) „ქვრივი რით სჯობს ქალწულსა“ (დ. გივიშვილი), „კინტო საქულას შიქასტა და ბაიათები“, „მსუნაფი კაცის ცხოვრება“, „საარშიყო სარკე“ (გ. სკანდარნოვა), „არ შეგცივდეს ბარაშკა“ (გ. მატინიანცი), ჩანს, რომ მათი ხედვის არე ადამიანის სულის ღრმა სფეროებში შეჭრას არ ისახავს მიზნად და ამდენად, ისინი ვერც მოახერხებდნენ სულიერად ფაქიზ გრძნობათა ჩვენებას. ისინი ესთეტიკურად დაუზვეწავი გემოვნების და ეროვნულად გაურკვეველი წარმომავლობის ადამიანთა სულიერ მოთხოვნილებებს პასუხობენ, როცა სერიოზულს კი არა — გრძნობათა ზედაპირზე მოტივტივე, იაფფასიან განცდათა გადმოცემით იფარგლებიან. არადა ეს მწერლები და მათი მეცენატები უსაშველო ენერგიულობით ცდილობდნენ პოპულარობის მოპოვებას. იმდენად დიდი იყო მათ მხრივ ლიტერატურული პოპულარობის მიღწევის უტიფარი ენთუზიაზმი, რომ ყველა ქართველისათვის საყვარელი და ახლობელი მგოსნის აკაკი წერეთლის სამართლიან გულისტკივილს იწვევდა: „ოც-და-შვიდი წელიწადია, რაც ვსწერ და ჯერ კიდევ ჩემ ნაწერებს ცალკე წიგნათ გამოსვლა არ ღირსება, მაშინ როდესაც სხვების, ჩემ თანამოკალმეების, მაგალითად სკანდარნოვის, რიყან-ოლღანის და მათი დამქაშების ნაწერები კი ცალ-ცალკე წიგნებათ განმეორებით იბეჭდებიან“.<sup>2</sup> და ბედის ირონიაა თითქოს, რომ ამას წერს უდიდესი

<sup>1</sup> გ. შაყულაშვილი, ძველი თბილისის პოეზიის ისტორიიდან, თბ. 1987, გვ. 7.

<sup>2</sup> აკაკი წერეთელი, მცირე რამ შენიშვნა, თხზულებანი, ტ. XII. 33-289.

ქართველი საქართველოში, თბილისში დასტამბულ გაზეთში, თავისი პოეტური სიმწიფის ეამს... ეროვნულ ფესვდაკარგულ, უპოზიციო და ლიტერატურულ სკოლაგაუფლელ მოღვექსეთა თაობებს, ბუნებრივია, არ შეეძლო გარკვეული ლიტერატურული ამინდის შექმნა. ისინი მომენტურ მოთხოვნათა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დამკვეთი“ საზოგადოების გემოვნების შესაბამისად ცვლიან თავიანთ პანგთა ტონალობას. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მათ მემკვიდრეობაში შეიძლება დაიკებნოს როგორც კლასიკური ქართული მწერლობის, ასევე აშუღური და აღმოსავლურ-მაჰმადიანური ლიტერატურის ეპიგონური ანარეკლები. ამიტომაც მონათლა იოსებ გრიშაშვილმა მათი პოეზია „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის“ სახელით. არაქართული ფსიქოლოგიის, ამქართა სულისკვეთების ამსახველი პოეზია, მისი უცვლელი პერსონაჟებით — კინტოთი და ყარაჩოხელით, — რომლებიც არამც და არამც არ წარმოადგენენ ქართული ეროვნული ხასიათის კანონიერი განვითარების შედეგს, სუფთა სახით ვერ გამოდგებოდა ქართველ მგოსანთა შთაგონების წყაროდ, ხოლო ამ მასალაზე შექმნილი ლიტერატურა — მიბადვის საგნად. ჭეშმარიტ ქართველ პოეტთათვის, საუკეთესო შემთხვევაში, თბილისის მკვიდრი ყარაჩოხელი, კინტო და მათი მგოსნებიც შეიძლებოდა გამომდგარიყო მხოლოდ მასალად, რათა ეროვნული ფსიქოლოგიის ბრძმედში გავლილი, მათი ცხოველმყოფელი ფანტაზიით თბილისური კოლორიტით ყოფილიყო აღბეჭდილი და ქცეულიყო ქართული ეროვნული ყოფის მოუცილებელ ნაწილად. ამ დროს თბილისის ყოფაში განა არ თვლემდა ქართული სული, ან კიდევ არ სუფევდა ქართველი კაცის სასიცოცხლო სულიერი მოთხოვნილებანი? — საქმე ისაა, რომ ჩვენი ლიტერატურის პორიზონტზე არ ჩანდა ბელოვანი, რომელიც ჭეშმარიტი ქართველის თვალთ დაინახავდა ამ კოლორიტულ სამყაროს და ეროვნული შინაარსით დატვირთავდა მხატვრულად გარდასახულ გარემოს, ქართველის ფიქრით და ქართული ფსიქოლოგიით გახსნიდა თბილისის ყოფას...

გრიგოლ ორბელიანი ქართველ მწერალთა შორის პირველია, რომელმაც ამ ეროვნული გადასახედიდან დაინახა და

დაგვანახა თბილისის კოლოჩიტი. ისე ღრმად შეიჭრა პოეტის  
თბილისის მკვიდრთა სამყაროში, ისე მოხდენილად გასრულდა  
ხა ყარაჩოხელი თუ კინტო, დატვირთა ისინი ეროვნული სუ-  
ლით, რომ მკითხველს შეუქმნა სრული რწმენა თბილისის  
მოქალაქეთა ქართველობის შესახებ. მხატვრული ილუზიის  
შექმნის დონითაა შეპირობებული ის ფაქტი, რომ გრიგოლ  
ორბელიანს „ინტელიგენტ ყარაჩოხელსაც“ უწოდებენ (ი. გრი-  
შაშვილი). გრ. ორბელიანის ნიჭის წყალობით თბილისის მოქა-  
ლაქენი ქართული ცხოვრების მოუცილებელ ატრიბუტებად  
იქცნენ, რადგან პოეტის მიერ დახატულ პერსონაჟებში არა-  
ფერია ისეთი, რაც ეროვნულს, ქრისტიანულს, რაინდულს არ  
განასახიერებდეს და რაიმე დისონანსი შექმნოდეს ქართვე-  
ლის ფსიქოლოგიასა თუ ესთეტიკურ სამყაროში. უპირველეს  
ყოვლისა, გრ. ორბელიანის მხატვრული ხედვის ეს თვისება  
შქონდა მხედველობაში ილია ჭავჭავაძეს, როცა ჭერ კიდევ  
1861 წელს წერდა: „აბა, აიღეთ ურითმო ლექსები თავად  
გრ. ორბელიანისა... „ო... დარდები“; აბა, ყურადღებით წა-  
იკითხეთ, რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსშია! თვალწინ წარ-  
მოვიდგებათ ის ჩათუქესანი თბილისის ქართველი, რომ-  
ლის ნატვრა და სამოთხე კახური ღვინოა, სიყვარული და ორ-  
თაქალის ბაღები. აბა, ნახეთ ის ქართველი პაქარნი, ნაბად-წა-  
მოსხმული, ლოთურად ჩითმერდინით ყელზედ, როგორ გულ-  
მოდგინედ შეჰყურებს თავის საყვარლის ფანჯრებს. ვინც კი და-  
უშლის, აღრინდება და ეუბნება: „მოდო, ამ ვირს ეშხედ ელა-  
პარაკე!“ რამდენი ნამდვილობა და ჭეშმარიტებაა მის წმინდა  
ქართულ პოეტურ დარდებში, კვენესაში და ნატვრაში“.<sup>1</sup> აი, სწო-  
რედ დიდი ილიას მიერ შენიშნული ამ „ქართული პოეტური  
დარდის“, „კვენესისა და ნატვრის“, „ნამდვილობისა და ჭეშმარი-  
ტების“ ხილვა ჭირდა მანამდე ჩვენში და იქმნებოდა ილუზია,  
რომ თბილისი ეროვნული განცდის საყრდენს არ აძლევდა  
პოეტებს. მაგრამ მოვიდა გრ. ორბელიანი და დაანახა ყველა  
დროის მკითხველს, რომ არავითარი საფუძველი არ არსე-  
ბობს ამგვარი ეჭვისათვის. საკმარისია, ქართული გზნებით

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, „ორიოდე სიტყვა „შეშლილი-ს“ თარგმანზედა“, თხზუ-  
ლებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ.  
III, თბ., 1953, გვ. 21—22.

აღსავსე დიდი პოეტური ტალანტი შეეხოს ამ მასალას, რომ  
ეროვნული სულით აავსოს იგი.

ასე რომ, ამქართა და ვაჭართა წიალიდან მოსულნი, და  
უწმენდავი ფსიქოლოგიის მქონე კინტოსა და ყარაჩოხელის  
ყოველდღიურობა კი არ იქცა გრ. ორბელიანის შთაგონების  
წყაროდ, არამედ მათ ცხოვრებაში მოცემული, გინდაც შეჭ-  
რილი ხასიათის ის ქართული შტრიხი, რომელიც ოდითგან-  
ვე შეიცავდა ეროვნულ, რაინდულ საწყისს. ამიტომაც ურთი-  
ერთისაგან უნდა გაირჩეს, ფრიგოლ ორბელიანის მიერ წარ-  
მოსახული, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ილიას მიერ შენიშნული  
„ქართული პოეტური დარდის“ განმასახიერებელი თბილისის  
მკვიდრნი და კინტო-ყარაჩოხელის ის ნატურალისტური მო-  
დელი, რომლისადმი მიზაძემ ადრეც და ბოლო ხანებშიც  
ქართველი ინტელიგენციის სამართლიანი გულსწყრომა გა-  
მოიწვია. თუ მოწინავე ქართველობამ, ილია ჭავჭავაძის სა-  
ხით, ვერ ორბელიანის პოეტური ტალანტის წყალობით აღ-  
მოჩენილი თბილისური, ქართული ხასიათის შემჩნევა მოვ-  
ლენად ჩათვალა, სხვა შემთხვევაში უკვე გადახვევა ამ გზიდან  
ეროვნულ კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციის დალა-  
ტად მიიჩნია.<sup>1</sup> ამით კიდევ ერთხელ იქნა ცხადყოფილი, რომ

<sup>1</sup> ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ს. მესხის, ი. დავითაშვილის, პ. უმიკაშვილის, ი. გრიშაშვილის, გრ. რო-  
ბაქიძის და კ. გამსახურდიას შეხედულებანი. ჩვენს დროში განსაკუთრებ-  
ებით წარმოჩნდა ამ პრობლემის სიმწვავე. ამასთან დაკავშირებით იხ. ვი-  
ორგი ნატროშვილი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1972 წ. № 74.

არჩილ სულაკაური, „ძველი თბილისი და... კინტო“, გაზ. „ლიტ-  
ერატურული საქართველო“, 1987 წ. № 5 (2577) 30. I.

ვახტანგ როდონია, „შილო -ზერაბ, სადამდი...“ გაზ. „ლიტ-  
ერატურული საქართველო“, 1987 წ. № 13; (2585) 27. III.

გიორგი შაყულაშვილი, „ძველი თბილისი, კინტო და... ყარაჩო-  
ხელი“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987 წ., № 18, (2590) 1./V.

პოეტური ფორმით ეს პოზიცია მშვენივრადაა გამოხატული გიორგი  
ლეონიძის ბრწყინვალე ლექსში „თბილისის ოსტატები“, სადაც ეკითხულობთ

აქ აღიდგებდნენ დამპალ კინტოს, თათრულ მუხამბას,  
იბანოს წვირეს, შუა ბაზრის კორიანტელსა.  
გაბერილ შარვალს, ყარაჩოხელს... (გასამხელია?)  
აქ ივიწყებდნენ ფიროსმანის მზიან მუშამბას,  
ბეჭა ოპიზარს, ოსტატობის წმინდა ანდერძსა,  
აქ ივიწყებდნენ ძველ პოეტებს ოქროსყელაინს...“

ერთი და იგივე მასალის მიმართ განსხვავებულია მიდგომა. ერთი ოგუნული სულის განმასახიერებელი მგოსნისა და ცალკეული შემთხვევაში ნიჭიერ, მაგრამ გზადაბნეული კოსმოპოლიტი. ამის კვალობაზედ სხვადასხვა აღმოჩნდა ბედი მათი მემკვიდრეობისაც. ერთი რჩება, როგორც საუნჯე ერისა, ხოლო მეორეს კი დავიწყების ბურუსი ფარავს.

ფ) რაინდობის მცნებათა შინაარსი — ზოგიერთი მკვლევარის აზრით მასალა

გრიგოლ ორბელიანის მსოფლმხედველობრივი და პოეტური მრწამსი ძირითადად ქრისტიანულ წარმოდგენებსა და მოდელებს ემყარება. სწორედ ქრისტიანულ მცნებათა პათოსიდან იღებს სათავეს პოეტის რაინდული თვალთახედვა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა პოემა „სადღეგრძელო“. აქ, თუ შეიძლება ითქვას, ტრადიციული, რაინდული კოდექსის შემადგენელ მცნებათა თითქმის ყოველი მუხლი თუ არა, მისი ცალკეული ელემენტი მაინც პოულობს პოეტურ განსახილველს.

ამიტომაც საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვროთ რაინდობის მცნებათა არსი; ამ მხრივ კი რაინდობის შინაარსის სისტემურ თეორიულ განხილვებს თავი რომ დავანებოთ<sup>1</sup> და ფართოდ გავრცელებული შეხედულებანი გავისწავლოთ, ასეთ სურათთან გვექნება საქმე.

ტრადიციული თვალსაზრისის მიხედვით, რაინდობა იყო შუა საუკუნეებში არა იმდენად წყობა, რამდენადაც იდეალი. ამიტომაც თვლიან, რომ ისტორიულ ქრონიკებსა და მათიანეებში კი არა, უფრო ხალხურსა და ეპიურ პოეზიაშია მკაფიოდ აღბეჭდილი მისი სული (763).<sup>2</sup> რაინდიც თავისი ქმედ-

<sup>1</sup> Гегель, «Рыцарство», Эстетика, т. 2, М., 1969, с. 265-284. Руа, История рыцарства, перевод с французского, СПб, 1898, с. 45-239. Н. Бердяев, Смысл творчества, М., 1916, с. 259. უფრო დაწერილებით იხ. ჩვენი წიგნი: „ქართული რომანტიზმის საკითხები“, თბ., 1982, გვ. 61-66.

<sup>2</sup> რაინდობის მცნებათა დახასიათებისას ამჯერად ვსარგებლობთ ვვ. შნებენკოს ნარკვევით, „რაინდობა“ შდრ. Книга для чтения по истории средних веков, Под ред. П. Г. Виноградова. Выпуск второй. Изд. четвертое, М., 1912. სათანადო მოსაზრებების გამოყენებისას გვერდები ამ წიგნიდან უველგან მითითებულია ტექსტშივე.

ვით, პირველ ყოვლისა, ღრმად მორწმუნე ქრისტიანი უნდა ყოფილიყო. რაინდის ცხოვრებაში აღსარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს მოვლენა გარკვეულ-სიმართლად ლეზეც აღიოდა. შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებისას, რაინდს სასულიერო პირის წინაშე უნდა ეთქვა აღსარება, მაგრამ, თუ სასულიერო პირს ვერ იპოვიდა, მაშინ ვალდებული იყო, ნათესაეების, ამხანაგების და ან თუნდაც იარაღის წინაშე ელიარებინა; აღსარებას ამბობდა ის სასამართლო პროცესზეც. ასე იჭრებოდა რაინდობის მცნებათა გავრცელების არე ცხოვრებაში და ნელ-ნელა შორდებოდა რელიგიურ ჩარჩოსაც. თუმცა რაინდობის მეორე მცნებას იმთავითვე შეადგენდა ეკლესიის დაცვა, რაც თავისებურად არის კიდევ გამოხატული შუა საუკუნეების ერთი არქიებისკოპოსის მოწოდებაშიც: „თქვენ, რაინდებო, არ დაივიწყოთ, რომ ღმერთმა შეგქმნათ ეკლესიის დასაცავად“ (779). რაინდობის ერთ-ერთ მთავარ (მესამე) მცნებას წარმოადგენს ქრისტიანული მოძღვრებიდან მომდინარე აზრი, დაიცვას ამქვეყნად სუსტები და ქვრივ-ობლები (779). რაინდის მოქმედების ასპარეზი ამქვეყნიური მიწიერი საუფლოა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული, იმგვარი გრძნობა, როცა ადამიანი ყველაზე უკეთეს ქვეყნად თავის სამშობლოს თვლის; ეს რაინდობის მეოთხე მცნებაა, რომელიც ვასალური დამოკიდებულების შინაარსიდან გამომდინარე (VII მცნება) გულისხმობს ერთგულებისა და მოვალეობის შეგნებას. რაინდობის მეხუთე მცნების მიხედვით რაინდს მოეთხოვებოდა სიმართლის თქმა და საკუთარი სიტყვის არ გატეხა. ეს ის თვისებებია, რომელიც ამკვიდრებს ადამიანში ღირსების გრძნობას და მას პიროვნებად, გარკვეულ ინდივიდუალობად აქცევს. „მოწყალება“ და საზოგადოდ, გულუხვობა ამ სიტყვის ფართო გაგებით, — აი, რაინდობის მეცხრე წმინდა ქრისტიანული მცნება. „ზრდილი“, კეთილგონიერი, „უხვი“ — შუა საუკუნეების პოეზიაში რაინდის ჩვეულებრივი შექებაა. ერთი გადმოცემა ამხელს კიდევ ისეთ რაინდს, რომელმაც დაივიწყა „გულუხვობა“. რაინდობის მეათე მცნება ქადაგებს ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას და სიკეთის დაცვას. შუა საუკუნეების ეპოსში მაგ. პოემა Caidon-ში, ხშირად გვხვდება სატანურის დაპირისპირება



რება ქრისტიანულ საწყისთან. აქ სატანურის თეზასთან  
„ბოროტების ამაღლება და სიკეთის დამცროება“ — <sup>განუხლებს</sup>  
მწვავე დაპირისპირება, როცა მოწოდებისა თუ <sup>„ლოზუნების“</sup>  
ფორმას იძენს რაინდისადმი მიმართული ასეთი სიტყვები:  
„რაინდო, იძიე შური უსამართლობისათვის და განამტკიცე  
კეთილი ნება“ (781).

რუსთაველის სამშობლოში, მკითხველისთვის, რასაკვირ-  
ველია, სიახლეს არ წარმოადგენდა ზემოთმოყვანილ რაინ-  
დულ მცნებებში კონდენსირებული შეხედულებანი. როსტე-  
ვანისა და ავთანდილის, ტარიელისა და ფრიდონის ქცევის  
წარმმართველი იმპულსი სწორედ რაინდულ-ზნეობრივ კო-  
დექსს ეფუძნება. გულუხვობა, ქველმოქმედება, სუსტისა და  
დაჩაგრულისადმი თანაგრძნობა, ერთგულება და საკუთარი  
ღირსების გრძნობა, სამშობლოს სიყვარული თუ სიკეთისაგან  
ბოროტების დაძლევა — ეს ისეთი მოთხოვნებია, „ვეფხისტ-  
ყაოსნის“ პერსონაჟთა იდეალს რომ ჰქმნიან. მაგრამ, რო-  
ცა ამ რაინდულ იდეალებს უკავშირდება მიწიერი სიყვარუ-  
ლი, მაშინ ადამიანის რაინდული ქცევის საფუძვლად შეიძლე-  
ბა შემოდინოდეს „როგორც ასეთი რელიგიის გარეშე“ მყო-  
ფი გრძნობებიც... რაინდობის მცნებათა რეალიზაციის მო-  
თხოვნა არსებობდა მხოლოდ ყოფაში და, უნდა ითქვას, რომ  
საბოლოოდ ეს მოთხოვნა დარჩა ოდენ მოთხოვნად... ამი-  
ტომაც ფიქრობენ, რომ იმდენად იდეალურია რაინდულ  
თვისებათა არე, რომ რეალურად რაინდობა არასოდეს ყო-  
ფილა განხორციელებულიო. ზოგიერთი მოაზროვნის დაკ-  
ვირვებით, თვით „შუა საუკუნეთა ფაქტიური რაინდობაც,  
ასევე შორს იყო რაინდობის იდეისაგან“ (ნ. ბერდიაევი). პო-  
ეზია იყო და არის ის სფერო, სადაც ცოცხლობს რაინდული  
იდეალები, რამეთუ მის სასიცოცხლო იმპულსად იქცევა  
„ღირსების, სიყვარულისა და ერთგულების“ გრძნობები. აკვ-  
ნად კი ამ გრძნობებისა, რასაკვირველია, ქრისტიანული რწმე-  
ნა გამოდის. როგორც ცნობილია, „Основой всех этих трех  
ступеней — чести, любви и верности — служит внутрен-  
няя самостоятельность субъекта, душа, раскрывающаяся  
для все более широких и все более богатых интересов;  
в них она примирена с самой собою. К этому в романти-

ческом искусстве относится прекраснейшая часть того круга, который находится вне религии как таковой. Цели затрагивают человеческие стремления, которым, по крайней мере, со стороны субъективной свободы, мы можем симпатизировать, а не находить, как это иногда бывает в религиозной области, что и материал и способ изображения сталкиваются с нашими понятиями. Но во многих случаях эта область может быть связана с религией, и тогда религиозные интересы переплетаются с интересами светского рыцарства, как, например, в приключениях рыцарей Круглого стола при отыскании ими священного Грааля. В таком обороте в рыцарскую поэзию входит много мистического, фантастического и аллегорического. Но светская область любви, чести и верности может выступать и совершенно независимо от углубления религиозной цели и помысла, представляя нашему взору только движение души в ее мирской внутренней субъективности»<sup>1</sup>.

ცხადია, „ვეფხისტყაოსანში“ როცა მიწიერი სიყვარული იქცა მთავარ კოლიზიად, რელიგიური სფეროდან რაინდულ მცნებათა მხატვრულმა განსახოვნებამ საერო ცხოვრების წილში გადმოინაცვლა და „რომანტიკული ხელოვნების რელიგიური წრე“ (ჰეგელი) ამქვეყნიური ყოფის გამაშინაარსებელი სიყვარულის, ქველმოქმედების, ხელგაშლილობის, სიკეთისგან ბოროტების დათრგუნვის რწმენით აივსო. ამის გამო, ერთგვარად უცანა პლანზე გადაინაცვლა რელიგიური რწმენის მომენტმა და რაინდული იდეალის ქმედით კომპონენტებად იქცა საერო მოტივები... ერთი სიტყვით, რელიგიური საბურველი ჩამოეცალა რაინდულის შინაარსს და ხელშესახებ მოტივებად იქცა რწმენა ამქვეყნიური სიყვარულისა, მეგობრობისა, ქველმოქმედებისა და სიკეთის უძლეველობისა.

რუსთაველის შემდეგ ქართულ პოეზიაში გრ. ორბელიანი აღმოჩნდა ის შემოქმედი, რომელმაც რაინდულ მცნებათა ძირითადი დებულებები მხატვრულ ასპექტში წარმოაჩინა და ახალ დროში კიდევ უფრო გაამძაფრა რაინდული, ჰუმანისტური იდეალებისადმი ერთგულების მოთხოვნილება. როგორც ითქვა, ყველაზედ მკაფიოდ ეს პოემა „სადღეგრძე-

<sup>1</sup> Гегель, Эстетика, В четырех томах, т. 2, М., 1969, с. 284.

ლოშია“ გამჟღავნებული. „წარმოთქმულ სადღევრძელოებზე“  
გამოვლენილია გრ. ორბელიანის მსოფლმხედველობრივი  
მოკიდებულება ცხოვრებასთან“.<sup>1</sup> ცნობილია ისიც, რომ „მე-  
ემის ძირითადი კონცეფცია, ბუნებრივია, ტექსტშია მატე-  
რიალიზებული, მაგრამ სათავეს მის გარეთ იღებს“.<sup>2</sup>

მართლაც, მსოფლმხედველობრივ ასპექტში „სადღევრ-  
ძელოს“ მასაზრდოებელი წყარო წიგნიერი სამყაროა.

თუ მაგალითად, ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანი“  
იყო „ქართული ცხოვრების გამომსახველი იდეალი, ფეოდა-  
ლური საზოგადოების „სახარება“ უფრო, ვიდრე ქრისტიანე-  
ლი ოთხთავი“,<sup>3</sup> რადგან მისი „ენა იყო... ენა რაინდებისა...  
ფეოდალს შეეძლო არ სცოდნოდა ამა თუ იმ საღმრთო წე-  
რილის ენა (მაგალითად, ბერძნული ენა ლაზიკაში) და მაინც  
სრულფასოვანი ქრისტიანი ყოფილიყო (მერჩულეს „ქართ-  
ლი“); მაგრამ ფეოდალს იმისათვის, რომ მას ქართულ კულ-  
ტურულ ფეოდალურ საზოგადოებაში ფეხი სდგმოდა და მის  
ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიეღო, აუცილებლად  
სჭირდებოდა ვეფხისტყაოსნის ენა“.<sup>4</sup> ამიტომაც „ქართულ  
ფეოდალურ საზოგადოებას ერთი სწამდა და ერთს ჰხედაე-  
და: რომ „ვეფხისტყაოსანი“ ეს ქართველთა ცხოვრებაა, მი-  
სი იდეალური გამოხატულებაა“,<sup>5</sup> რაკი აქ ყველაფერი ქარ-  
თული გარემოს, მის ზნე-ჩვეულებათა და სწრაფვათა გამო-  
მხატველი ატმოსფეროთი სუნთქავს... სხვა ვითარებაში აღ-  
მოჩნდა რომანტიკოსი გრ. ორბელიანი, როცა თავის პოემა-  
ში მან მოიწადინა ქართულ კულტურულ, მწიგნობრულ სამ-  
ყაროში განმტკიცებული ტრადიციიდან ამოსულიყო და ახა-  
ლი პოეტური ელვარება მიენიჭებინა ძველ ქართველ მემკატი-  
ანეთა, თუ სარაინდო თავგადასავალთა იმ მონათხრობთათ-

<sup>1</sup> რ. სურგულაძე, „სხვა საქართველო სად არის“, ანუ პოეტის ოთხი  
წმინდა მცნება. იხ. ზ. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. № 1-2,  
1985, გვ. 76.

<sup>2</sup> იქვე, დასახ. წერილი, გვ. 77.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VII,  
თბ., 1974, გვ. 254.

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VII,  
1974, გვ. 253.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 254.

ვის, — რომლებიც განადიდებდნენ ქრისტიანული წარმოდგენებიდან მომდინარე რაინდული კოდექსის ამქვეყნობად „სულის მარგ“ იდეალებს... გრ. ორბელიანი, XIX საუკუნის კულტურული საქართველოს ღვიძლი შვილი, ერთი მხრივ ეყრდნობა რა „ქართული რომანტიკული ისტორიოგრაფიის“ (ნ. ბერძენიშვილი) მონაბოვარს, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ, რაც უფრო „სუსხიანი იყო თანამედროვეობა და რამდენადაც უკმაყოფილონი იყვნენ აწმყოთი, იმდენად უფრო უმატებდნენ წარსულის იდეალიზაციას“,<sup>1</sup> საკუთარი მიზანსწრაფვისა და განწყობილების შესატყვისად ძველი საქართველოს მრავალჭირანხულ დიდ ისტორიულ გაკვეთილებში ეძებდა რაინდული სულისკვეთების გამომხატველ მაგალითებს, რათა ახალი ქართველის შემდგომი სულიერი განახლებისათვის შეექმნა გარკვეული ზნეობრივი ეტალონის მნიშვნელობის მქონე რაინდული მოდელი. რაინდობის გახსენება და მიბაძვა ქართველებს განუმტკიცებდა საკუთარი ღირსების რწმენას. ალბათ, ამიტომაცაა, რომ „სადღეგრძელოში“ ცალკეულ რაინდულ მცნებათა მორალიზების ბრწყინვალე რიტორიკულ შემთხვევებთან გვაქვს საქმე. პოეტი რაინდულ მცნებათა თვალთახედვით შეჰყურებს ადამიანის და კონკრეტულად ქართველი კაცის ცხოვრებას ამქვეყნად. ესაა, თუ შეიძლება ითქვას, რელიგიურ ქადაგებათა დონემდე ასული შეგონებანი, რომელიც ქართველი მკითხველისათვის მხოლოდ მხატვრული ფაქტი არაა! გრ. ორბელიანის მრწამსით, ისინი სამყაროში ადამიანის განმამტკიცებელი ეთიკური ფაქტორებიცაა. ოღონდაც სამშობლოს სიყვარული პოეტის მიერ აქ ჩათვლილია ყველა გრძნობათა და რაინდულ მცნებათა შემაპირობებელ მომენტად. ისევე, როგორც ტრადიციულ რაინდულ მცნებებში, აქაც, სამშობლო — რაინდული სულის ქართველისათვის სხვა ქვეყანაზე უკეთესია...

„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?“

როცა ასეთი სამშობლო აქვს ადამიანს, პოეტის აზრით,

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VII, 1974, გვ. 244.

მისი ვალია, რაინდულ მცნებათა კვალზედ მსხვერპლშეწირვას  
საკუთარი თავისაც კი.

კარგად  
განვიხილოთ

„სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ემას გრძელსა,  
თუ ფუძე მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!  
მის სადრდებლად ჩვენც შევჭხედით უშიშრად ათასს მახვილსა,  
და მოეჭყედეთ, თუკი სიკვდილით ვადიდებთ მისსა სახელსა.“

ან კიდევ:

„ჰე, მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული  
არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღესილი?  
ვინ გიხილოს დროსა საშინს, არ დასთხოოს თავისი სისხლი“...

რაინდული იდეალებისათვის თავგანწირვისა და მის მცნებათა კონკრეტულ მხატვრულ მოდიფიკაციად შეიძლება ჩათვალოს საქართველოს გმირული წარსულის მკვიდრ იმ სახელთა ზოტბა, რომელთა ღვაწლმა და თავდადებამ გრ. ორბელიანამდე მოიტანა საქართველო. პოეტს ხიბლავს, როგორც მათი უკვდავი საგმირო საქმენი, ასევე „ტარიგათ შესაწირავი, მახვილით განგმირული“... ის პირებიც, რომლებიც „მამულისათვის იტანჯვის, სარწმუნოების დამცველი“. რაინდულ მცნებათა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნის თანახმად, გრ. ორბელიანის მიერ სამშობლოსათვის თავგანწირვა საღვთო მოვალეობადაა ჩათვლილი, ხოლო მისთვის თავდადებული გმირები „ცად შეწირულ წმინდა მსხვერპლად“; ესაა უკვე უღრესად ინტელექტუალიზებული მგოსნის თვალთახედვით დანახული წარსული სინამდვილე, რომელშიც საიდევლო მგალითებს გარდა ბევრი ღირსეული ქართველია „შეუბრალებით შეჭმული“ „მსხვერპლი ბნელისა მტერობის“.

ჩვენს მიერ ზემოთ მოხმობილ რაინდულ მცნებათა აზრობრივ არეალში ეჭვგა მოცემულ შემთხვევაში სიკეთისა და მადლის ქმნის, დაცემულისა და სუსტის აღდგენის, ნუგეშისცემის, ბოროტების დათრგუნვისა და სიმართლის წარმოსაჩენად მიმართული გრ. ორბელიანის სტრიქონები:

„რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?  
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვეჭმნეთ ნუგეშ-მცემელი?!“

თუ არა ვასდევნიოთ ზორბტსა, მართლის არა ვართ მფარველი?  
სხვის კენესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?  
განზრუნულია

ერთ-ერთი რაინდული მცნების პოეტურ გამოძახილს  
წარმოადგენს მომდევნო სტროფიც:

„ამ ჰაზრის გულსა დანერგვით ვასდევნიდეთ სულ-მოკლეობას!  
ვასდევნიდეთ ძალას დამჩაგრელს და მისსა უსამართლობას;  
ვასდევნიდეთ კაცის წამბილწველს უწმინდურს ანგაარებას;  
ვასდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცისა სულის მადლობას!...“

რაინდულ მცნებათა მოთხოვნებს ებასუხება გრ. ორბე-  
ლიანის პოემის შემდეგი სტროფიც:

„მიეციოთ ნიქსა გზა ფართო, თაყვანის-ცემა ღირსებას;  
ნიქს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარის-შვილობას!  
კაცი ის არის, ვინ არის ზეგარდმო მადლით ცხებული;  
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დაშვენებული.“

რაინდული მეგობრობის აბოლოგიას გვიდგენს პოეტის შე-  
გონება:

„ახ! ვით ძნელ არს მეგობრობისთვის, მეგობარსა რომ მარხავდეს,  
ანუ მსჭვრეტდეს საშინს ალაგს, შემწეობას ვერ აძლევდეს!

მეგობრობასა წმიდასა შევქსნიროთ სრულად რაც გვაქნდეს!“

რაინდული კოდექსის ერთ შემადგენელ ნაწილს სიყვარუ-  
ლი, სატრფო წარმოადგენს. გრ. ორბელიანი რაინდულ მცნე-  
ბათა პოზიციიდან ასხამს ხოტბას უმადლეს ადამიანურ გრძნო-  
ბას, როცა მეტრძოლ რაინდთა თავყრილობას შეახსენებს:

„ძმანო, იეიწყეთ მცირეს ეამს მტერი, ომი და დიდება;  
მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტკბება,  
რომლის შექი აღგვამადლებს, რომლით სული გვინათლდება,  
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ვსსგავსება!“

სხვა შემთხვევაში უკვე სიყვარულს სიცოცხლის ქვაკუთხე-  
ლად გამოაცხადებს პოეტი, მას რელიგიური საუფლოს წრი-  
დან გამოიყვანს, მაგრამ რაინდული იდეალის მნიშვნელობას  
შეუნარჩუნებს, როცა იტყვის:

„...სიყვარულს თუ დაეკარგვიდე, უკედეგებამან  
მის წილ რა მომცეს?  
უსიყვარულოდ სასუფველი, ვით საპყრობილე,  
ჩემთვის შეიქმნეს!“



მეოცნებე რომანტიკოსი პოეტი გრიგოლ ორბელიანი ძალ-  
ზედ მკაცრი რეალისტი პოლიტიკოსი გახლდათ. ის კარგად  
ხედავდა რომ „სადღეგრძელოში“ ნახსენებ რაინდული სა-  
ქართველოს საუკეთესო შვილთა

„თავგანწირულმა გმირობამ ვერა დაჰსძლია  
შავ-მხვედრი...  
წახდა თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერი!“...

სამართლიანადაა შენიშნული, რომ „ამ ეპიზოდს ტექსტში  
მოსდევს პოეტის თანამედროვეთა აშკარა მამხილებელი პა-  
თოსით შექმნილი სტრიქონები (რ. სურგულაძე):

„და სად დაჰსთხიეს გმირთ სისხლი ან ეპმზერთ სიამით ბაღთ მწვანეთ.  
მუნით მოისმის ლხინის ხმა გულ-უზრუნველთა მოლხინეთ!  
გლახ-უმეცრება ფეხ-ქვეშე ჰსთრგუნავს გულითა უგრძნობით!...“

აქ გრ. ორბელიანი ეროვნული ყოფის იმ მხარეს გუ-  
ლისხმობს, როცა თბილისში ძველ ქართულ გვარეულობათა  
ადგილს იკავებს „უფალი თაიროვი“ და ძმანი მისნი... აი,  
სწორედ პოეტის თვალში თბილისის ამ ახალ მკვიდრთა „გუ-  
ლით უგრძნობი“ „გლახ-უმეცრება“, „ფეხ-ქვეშე ჰსთრგუ-  
ნავს“ რა ყოველივე ეროვნულს, პოეზიაშიც გზას უკაფავს  
ფენას მოლექსეებისას, რომელთაც გრიგოლ რობაქიძის თქმით,  
აქვთ „სიტყვა ქართული, ბაიათი სპარსული“ და რომელიც  
ჩვენი ისტორიული ავბედითობის გამო იმავე ავტორის სი-  
ტყვიით არის „რასსის დომხალი“. ქართველ პოეტთაგან, რო-  
გორც აღინიშნა, გრიგოლ ორბელიანი პირველი შემოქმედია,  
რომელმაც არა განცხადებითა და პუბლისტური მგზნებარე-  
ბით, არამედ მხატვრული პრაქტიკით ლიტერატურული გა-  
რემოს გარდამქმნელის ფუნქცია იკისრა, რაინდული ელემენ-  
ტი შეიტანა თბილისელი მოქალაქის ცნებაში, ქართველის  
თვალებით დაინახა და ქართული სულით აავსო და დახატა

გადაგვარების საფრთხის წინაშე მდგომი თბილისის სულიერი სახე, რათა შეექმნა აქ არსებულ ლიტერატურულ ტინასთან საქმიანი დაპირისპირების მხატვრული პრეცედენტი; მკითხველმა გრ. ორბელიანის პოეზიის წყალობით სრულფასოვნად იგრძნო და გაიცნობიერა, რომ პოეტის მიერ დახატული „ძველი ივერის“ მკვიდრნი მხოლოდ ქართველებია ქართული სულით, ანუ ისეთი რაინდები, როგორც შეფუტება ძველსა და მომავლის თბილისსა და სრულიად საქართველოს. ეს იყო საქართველოს გულში თავჩენილი, უნიფიცირებული ეროვნების წარმონაქმნის, გრ. ორბელიანისაგან ეროვნული მხატვრული თვალთ გარდასახული სამყარო, რომლის აღკვეთის პათოსი არც ჩვენს დროში გამქრალა. როცა თვით 1967 წელსაც, სასიქადულო მწერალი კონსტანტინე გამსახურდიაც კი მოუწოდებდა ყველას! „ზეშმართად შანთით უნდა ამოვწვათ ეს კოსმოპოლიტური ზედმეტი ხორცი ჩვენი კულტურიდანო“.<sup>1</sup>

იმდენად დიდი აღმოჩნდა გრიგოლ ორბელიანის „მუხამბაზებში“ განსახიერებელი სინამდვილის, ეროვნული ცხოვრებისა და მწერლობის ორგანულ ნაწილად განცდის სიმძაფრე, რომ ამ მიდგომით არაერთგზის იქნა უკვდავყოფილი შემდეგ სინამდვილე აკაკი წერეთლის, იოსებ გრიშაშვილის, ტიციან ტაბიძის და მრავალი თანამედროვე პოეტის მიერ.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ შეიძლება სხვა შინაარსის შემცველი იყოს მასალა, მაგრამ დიდმა მხატვრულმა ტალანტმა შეიძლება საპირისპირო, ჩვენი ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით, სასიკეთო მიმართულება და სულ სხვა მხატვრული ძალა მიანიჭოს მას.

<sup>1</sup> კ. გამსახურდია, „შანთით ამოვწვათ“, აღმანახი, „კრიტიკა“, № 5, 1967, გვ. 19.





## ზრიგოლ ორბელიანის პოეზიის ძირითადი ტენდენციები

1. ქართული პოეტური სიტყვის სფეროში ე. წ. „აღმოსავლურ“ და „დასავლურ“ ესთეტიკურ ტენდენციათა არსებობას, ამგვარ განსხვავებულ მხატვრულ ფენათა ურთიერთკავშირებს, ისევე როგორც ქართველი ხალხის სულიერი თვისებებით შეპირობებულ წარსულს და მის ფსიქოლოგიას საზოგადოდ, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობითაც ხსნიან.<sup>1</sup> ეს აზრი ხატოვნადაა წარმოდგენილი, მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებში: „საკუთარ ნიადგზე ორ ძუძუს ვსწოვდით. ჩვენი სამშობლო ორ კულტურულ ნაკადის შემცველ აუზს წარმოადგენდა“. რასაკვირველია, ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაეწიოს ქართული რომანტიზმის ეროვნულ შინაარსსა და რაობაზე მსჯელობის დროსაც, რადგან, როგორც ერთგან თომას მანი ამბობს, „ეროვნულის არსება ყოველთვის ბუნების სფეროშია საძიებელი“...

<sup>1</sup> კ. გამსახურდია, ქართველობა და უცხოეთის გენია, თბზ. ტ. VIII, თბ., 1967, გვ. 148. ამ საკითხთან დაკავშირებით აგრეთვე იხილეთ: გ. ქიქოძე, რჩეული თბზულებანი, ტ. II, თბ., 1964, გვ. 337. კ. კეკელიძე, ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია (სოციოლოგია ძველი ქართული მწერლობისა და დიალექტიკა მისი განვითარებისა), ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. XI, თბ., 1973, გვ. 60. მისივე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. XIII, თბ., 1974, გვ. 248—249. ამ გარემოებაზე მიუთითებს აგრეთვე მარჯარი უორდრობის მიერ ინგლისურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში ოლივერ უორდრობი: „საქართველო ისეთი მხარე იყო, რომელმაც ყველაზე უკეთ გვიჩვენა დასავლეთისა და აღმოსავლეთის აზროვნების დაახლოება“. ვიმოწმებთ თ. სახოკიას წიგნში („ჩემი საუკუნის აღმოჩენები“, თბ., 1969) მოტანილ თარგმანს აღნიშნული წერილიდან. იხ. დასაბ. წიგნი, გვ. 219. რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978, გვ. 233.

ამჟამად განსაკუთრებული ინტერესის შემცველი მაინც ისაა, თუ ჩვენს პირობებში რანაირად განხორციელდა უაღრესად „დასავლური“ ლიტერატურული მოვლენის — რომანტიზმისა და მისი საპირისპირო — „აღმოსავლური“ მხატვრული მიდგომის ურთიერთმორიგება.

სინამდვილისადმი აღმოსავლურ და დასავლურ მიდგომათა თანაარსებობის გასათვალისწინებლად მოცემულ შემთხვევაში მსჯელობისათვის საუკეთესო მოდელს გრიგოლ ორბელიანის „პოეზია წარმოადგენს. ასე რომ, აღნიშნული საკითხის გასარკვევად ამ პოეტის შემოქმედება ერთსა და იმავე დროს საშუალებაცაა და მიზანიც. მაგრამ უშუალოდ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების ძირითადი ტენდენციების განხილვამდე ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის გახსენება, თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს „აღმოსავლურისა“ და „დასავლურის“ ცნებებში.

ლიტერატურულ მოვლენათა შეფასების ეამს საყრდენი აზროვნების მიმდინარეობის ეროვნული წყობის ჩვენებაა. ამიტომაცაა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურისა და ხელოვნების თავისთავადობას აპირობებს ის, თუ რამდენადაა მასში გამოხატული, მოცემული ერის თავისებურებები; ეს არის მიჩნეული ეროვნული ლიტერატურის არსებობის პირობად. სწორედ ამის გამო, ყოველი ერის ლიტერატურის ამოცანაა, გამოხატოს იმ ერის ადამიანთა აზროვნება, იმ ერის წარმომადგენელთა განცდების თავისებურება, რომლის წიაღშიც არის შექმნილი ეს ლიტერატურა.

ვრ. ორბელიანის შემოქმედების მაგალითზე ქართული რომანტიზმისათვის დამახასიათებელ „აღმოსავლურ“ და „დასავლურ“ ნიშანთა ძიებაც სწორედ ჩვენი ეროვნული სულის შემადგენელ თვისებათა წარმოჩენას გულისხმობს; მაგრამ რამდენადაც ლიტერატურული ფაქტები, როგორც საზოგადოდ მხატვრული ფაქტები, ცვალებადნი არიან და სხვადასხვაგვარად აღიქმებიან ეპოქებისა და ინდივიდუუმების მიხედვით, ამდენად, ამ ფაქტთა შესწავლაც მათი ურთიერთმიმართების პროცესისა თუ ისტორიის რკვევა დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამ სირთულეს, პირველ ყოვლისა, ის გარემოება ქმნის, რომ ლიტერატურაში განცდების სფეროსთან

გვაქვს საქმე და ამის გამო კვლევა-ძიებაც არ ექვემდებარება ლოგიკურ-დისკურსიული ანალიზის გზას. ამიტომაც მხატვრულ ფაქტთა უაღრესად ინდივიდუალური, ეროვნული ბუნების რკვევას ხშირად ცვლის შთაბეჭდილებებზე დაფუძნებული მსჯელობა, რაც განპირობებული არის სწორედ აზროვნების თვითნებური დინებით. მაგრამ იქმნება სხვანაირი საფრთხეც, როცა მხატვრულ მოვლენათა ხელოვნურ ლოგიციზირებას, მათ მოქცევას გარკვეულ („აღმოსავლური“, „დასავლურ — რომანტიკული“ და ა. შ.) ცნებათა ქვეშ, სქემატიზმამდე დაჰყავს და გამარტივების საფრთხით ემუქრება ხელოვნების ნაწარმოებს, ცალკეული მწერლის შემოქმედებას და, საერთოდ, თვით ლიტერატურულ პროცესსაც კი. ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი მეტ-ნაკლებად ყველგან იჩენს თავს და, ბუნებრივია, ამ საერთო „წესისაგან“ არც ჩვენი მსჯელობა იქნება დაზღვეული. მაგრამ როგორც უნდა იყოს, „აღმოსავლური“ და „დასავლური“ მხატვრულ-ესთეტიკური ნაკადების კვლევას ქართული მასალის საფუძველზე იშეიქტური ღირებულება გააჩნია და ამ ცნებათა გამოყენებას ჩვენში თავისი ისტორია უძღვის. მას აქ არა აქვს შეძენილი ყალბი, სახე, თუნდაც იმიტომ, რომ „აღმოსავლური“ და „დასავლური“ ჩინიან-თვისებები თვით ქართველი ადამიანის ქარაქტეროლოგიურ მონაცემებში არსებული თავისებურებებია.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის, კერძოდ, რომანტიკული ლიტერატურის არსებობაც ამ თვისებათა ჭარბეწარმოუდგენელია, რადგანაც ყველა დროში და ამ პერიოდშიც ჩვენი მწერლობა ქართველი კაცის თვისებისა და ხასიათის, მისი სულიერი ცხოვრების გამომხატველია.



2. ერთი იმ მყარ და გამძლე მოტივთაგანი, რაც XIX საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ ჩვენი ადრინდელი მწერლობისაგან შეითვისა, სწორედ ე. წ. „აღმოსავლური“ მოტივია. მიუთითებენ, რომ აღმოსავლური მოტივი ძირითადად

პოეტური განსახიერების რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს გულისხმობს: ქალის კულტს, ღვინის კულტს და სხვ. მაგრამ ქალისა და ღვინის კულტის აღნიშვნა სათანადო განმარტების გარეშე არაფერს გვეუბნება თვით აღმოსავლური მოტივის შინაარსის შესახებ, რადგან ქალის კულტი, ასე თუ ისე, ყველა ქვეყნისა და დროის ლიტერატურაშია წარმოდგენილი და აღმოსავლეთისათვის სპეციფიკურად ვერ ჩაითვლება. რაც შეეხება ღვინოს, მას მაჰმადიანური სამყარო, როგორც ცნობილია, საერთოდ დევნის. მაშასადამე, როცა კულტზეა ლაპარაკი, იქნება ეს ქალის, ღვინის, ბუნების თუ სხვ., იგულისხმება არა ობიექტის თაყვანისცემა, არამედ თავისებურება ამ თაყვანისცემისა; კონკრეტულად, როდესაც, მაგალითად, ქალის კულტზე ვმსჯელობთ, ანგარიში უნდა გაეწიოს ქალისადმი თაყვანისცემის ორ ფორმას: ერთი, როცა ფიზიკური მხარეა ყურადღების ცენტრში მოქცეული და მეორე, როცა ლაპარაკია ქალის სულიერ შინაარსზე. კულტურის მაღალ დონეზე ფსიქიკური შინაარსი ფიზიკურის გამძლიერებლად გამოდის. სახელდობრ, აღმოსავლური ლიტერატურისათვის კი ისაა დამახასიათებელი, რომ ქალის ხილვისას მთავარი ტვირთი დაკისრებული აქვს თვალს, გარეგნული სილამაზეა მიმთითებელი აღამინის, ამ შემთხვევაში ქალის, შინაგან სამყაროზე. ამ ნიშნითაა დამახასიათებელი ქალი ცნობილი აღმოსავლელი პოეტების ჰაფეზისა და ფირდოუსის ქმნილებებში. საუკუნეთა განმავლობაში აღმოსავლურ პოეზიასთან კონტაქტში მყოფ ქართულ ლიტერატურაშიც გარკვეული მოქალაქეობივი უფლება მოიპოვა სინამდვილისადმი ამგვარმა მიდგომამ.

აღმოსავლეთი სიმბოლიკური ხელოვნების აკვნად ითვლება. ამითაცაა შეპირობებული ის ფაქტი, რომ აქ, აღმოსავლურ პოეზიაში, გამორჩეული პოეტური სხივითაა მოსილი სიყვარულის სიმბოლოები, ვარდი და ბუღბუღი; ვარდბუღბუღიანურმა პოეზიამ კი, როგორც ვიცით, ფართო გავრცელება ჰპოვა ჩვენს ლიტერატურაში, იმდენად დიდი, რომ მისი ექვსი XIX საუკუნის 50—60-იან წლებამდეც კი სწვდებოდა. მოგვიანებით, აკაკი წერეთელმა მწარე დაცივნის ობიექტად აქცია ამ პოეზიის მიმდევარი ქართველი მგოსნები; მაგრამ ფაქტია, რომ გარკვეული მემკვიდრეობითი ფენის

სახით აღმოსავლურობის კვალი ქართულ სინამდვილეში დღემდე დარჩა...

როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლურ პოეზიაში გარკვეული ფორმით ვლინდება ღვინის თაყვანისცემაც. მაგრამ მაინც რატომ უნდა ჩაითვალოს ღვინის კულტი აღმოსავლეთის კუთვნილებად? არაერთგზის იჩენს თავს ეს მოტივი ა. პუშკინის პოეზიაშიც. (Выпьем с горя, где же кружка? Сердцу будет веселей". იხ. „Зимний вечер“ და სხვ.), ჩვენს ვაჟა-ფშაველასთანაც („ქეიფი“, „დამისხი, დამალევინე... ეგება წაღმა ვიფიქრო სოფლის უკულმა ტრიალი“). ამიტომაც, როცა ვლაპარაკობთ აღმოსავლური პოეზიის იმ მოტივზე, რომელიც აქ ღვინის კულტის სახით ვლინდება, იგულისხმება ის საშუალება, რომლითაც ადამიანი ახერხებს ყოფითი ტვირთის თავიდან აცილებას. იმას, რასაც დასავლეთელი პოეტები და ჩვენც ღვინოს ვუწოდებთ, აღმოსავლური პოეზიისათვის ღვინო არაა. ღვინო აღმოსავლური გაგებით არის ყველაფერი ის, რასაც გამაბრუებელი თვისება აქვს, რაც ადამიანს თიშავს ყოფითი ვითარებისაგან, რაც მის ფანტაზიის უნარს აძლიერებს და ემოციურ ტონუსს ამაღლებს. ამ გზით ადამიანები იადვილებენ არსებობას; ღვინო ამ შემთხვევაში ამსუბუქებს სევდის იმ ნაირსახეობას, რომელიც აღმოსავლეთის, როგორც ობიექტური პესიმიზმის კერისათვის არის დამახასიათებელი. თავდავიწყების ეს გზა ერთგვარად ახშობს თავისუფალი სულიერი მდგომარეობის პოვნის ყოველგვარ სურვილს. როგორც ჰეგელი შენიშნავს, „აღმოსავლეთის ხალხებმა ჯერ კიდევ არ იციან, რომ სული ანუ ადამიანი, თავისი თავის მიმართ თავისუფალია; მამახადამე, რაკი მათ ეს არ იციან ისინი არ არიან თავისუფალნი“.<sup>1</sup> ამიტომაც, „როდესაც აღმოსავლეთის ადამიანი იტანჯება, წუხს, უბედურია, მას ის ბედის გარდაუვალ განაჩენად მიუჩნევია და ამიტომ ის თავის თავში შინაგანად მტკიცე და დაჯერებული რჩება“.<sup>2</sup> ეს უკვე აღმოსავლეთისათვის ნიშანდობლივი ფანატიზმის გამოხატულებაა. მთელი აღ-

<sup>1</sup> Гегель, *Философия истории, сочинения*, т. VIII, М.-Л., 1965, с. 18.

<sup>2</sup> ჰეგელი, *ესთეტიკა*, ტ. I, ქართული თარგმანი შ. პაპუაშვილისა, თბ., 1973, გვ. 420.

გოსავლური, სპარსული პოეზია იმის დადასტურებაა, თუ როგორ ითქვიფება ხელოვანი მოვლენებსა და საგნებში, „ღვთისაღმე სიყვარულით იგი თავის თავს ღმერთთან აიგივებს... და მას ერთიანს სკერეტს სამყაროს ყველა სივრცეში“.<sup>1</sup>

იმავე ავტორის თქმით, „მართალია, გრძნობის დასავლური რომანტიკული გულწრფელობა მსგავს თვითშესისხლხორცებას ამელავნებს... მაგრამ აქ იგი სუბიექტურად, თავის თავში ჩაკეტილი რჩება“.<sup>2</sup> ამიტომაცაა, რომ აღმოსავლელი ცნობილი პოეტის ჰაფეზის ლაპარაკი ბულბულის, ვარდის, ღვინისა და ა. შ. შესახებ განსხვავდება აღნიშნული საგნების „დასავლური“, ანუ რომანტიკული ხილვისაგან.

ჰეგელი წერს: „როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენს ლექსებში ვარდებზე, ბულბულებზე, ღვინოზე, მაშინ ეს სულ სხვა, პროზაული გაგებით ხდება.. ვისმენთ ბულბულის სტვენას და განვიცდით მის გრძნობებს, ვსვამთ ღვინოს და ვუწოდებთ მას ზრუნვისა და ჭირ-ვარამის გამქსრველებს... სპარსელებში კი ვარდი სურათი, სახე... როდია, ის პოეტს სულდგმულად, მოსიყვარულე სასძლოდ ევლინება და თავისი გონით ვარდის სულში იძირება“.<sup>3</sup> აი, სწორედ ამ პანთეისტური სულით, სუბიექტურისაგან, რომანტიკული მგრძნობელობისაგან თავისუფალი თვისებით განირჩევა აღმოსავლელ პოეტთა ზედვის არეში მოქცეული სინამდვილე, დასავლური ანუ რომანტიკული მიდგომის მქონე ხელოვანთა ქმნილებებისაგან. ჰეგელის თქმისამებრ, აღმოსავლური ლირიკა „თავისი არსებით განსხვავდება დასავლურისაგან, მით, რომ აღმოსავლელი თავისი ზუსტი პრინციპის შესატყვისად არ დადის არც ინდივიდუალურ თავისთავადობამდე და სუბიექტის თავისუფლებამდე, არც შინაარსის იმ უსასრულო, გულში ჩაწედლობამდე, რომანტიკული სულის სიღრმეს რომ შეადგენს. ამის გამო, ფორმის მიხედვით აღმოსავლურ ლირიკაში ეხვდებით ყოველგვარი რეფლექსიისაგან თავისუფალ განც-

<sup>1</sup> ჰეგელი, ესთეტიკა, ტ. I, ქართული თარგმანი შ. პაპუაშვილისა, თბ., 1973, გვ. 425.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 425.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 426—427.

დათა უშუალო აღწერას“.<sup>1</sup> აქ შინაგანი კონკრეტულობის  
თვალსაზრისით ერთგვარად „დაკარგულია ლირიკული სუ-  
ლი“.<sup>2</sup> განრიდება განცდათა რეფლექსიისაგან, რასაკვირველია,  
ბოჭავს გარემოსადმი ფილოსოფიურ მიდგომას.

სუბიექტური, ლირიკული „მე“-ს განცდათა გამოხატვის  
მაგივრად აღმოსავლურ ლირიკაში გზა ეთმობა გარკვეულად  
სტერეოტიპულ მიდგომას, რაც ე. წ. ობიექტური ლირიკის  
ატმოსფეროს ქმნის. „აღმოსავლური პოეზია თითქმის სრუ-  
ლიად გამოირჩევა პოეტის ბიოგრაფიულ მომენტებს და პი-  
რად განცდებს. პოეტის გრძნობათა წარმოსახვას ასაზრდოებს  
არა პირადად აღქმული და განცდილი, არამედ იმ დროს გა-  
ბატონებული თვალსაზრისი, რომელიც ამ გრძნობის საერ-  
თო ვაგებას და მისი ხედვის და დახატვის ეტიკეტს ეყრდნო-  
ბა. ამ თვალსაზრისითაც ინდივიდუალურის ხედვის კუთხე  
თითქოს უგულვებელყოფილია, რაც აღმოსავლურ ლირიკის  
ერთგვარ ობიექტურობას ანიჭებს“.<sup>3</sup> ლირიზმის გამოვლენის  
ასპარეზი აღმოსავლურ პოეზიაში იმითაცაა შეზღუდული,  
რომ „პირად განცდებზე საუბარი ეთიკური და ესთეტიკური  
თვალსაზრისითაც გაუმართლებელია“.<sup>4</sup> ყოველივე ამის წყა-  
ლობით, „აღმოსავლელ პოეტთა განცდა მოკლებულია სუ-  
ბიექტურ ხედვებს“,<sup>5</sup> რაც ხელს უწყობს „შაბლონის“ დამკ-  
ვიდრებას და მუდმივი „ხატების გაბატონებას“.<sup>6</sup> ამიტომაცაა,  
რომ აღმოსავლურობა, როგორც გარკვეული მიდგომა გარე  
სინამდვილისადმი, თავის ინტელექტუალურ გამოხატულებას  
მდგრადი სიბრძნის აფორისტულ ფორმულირებაში პოულობს  
და თავისი ბუნებით საფუძველს უქმნის არა აზრის მიმოქ-  
ცევის ფილოსოფიურ სიცოცხლისუნარიანობას, რაც ყოველ-  
გვარი პროგრესის პირობაა, არამედ ავითარებს სიბრძნის მოყ-  
ვარეობას, როგორც ასეთს; ყველაფერი ეს, რასაკვირველია,

<sup>1</sup> Гегель, Эстетика, т. 3, М., 1971, стр. 528-529.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 530.

<sup>3</sup> ელიზბარ ჭაველიძე, შუა საუკუნეების აღმოსავლური პოეზიის ტი-  
პოლოგიისა და შესწავლის მეთოდისათვის, შტუდიები, თბ., 1985, გვ. 117.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 125.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 138.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 118.

ეყრდნობა ტრადიციას, ბუნებისაგან ბოძებულ თვისებებს და სწორედ იმის გამო, რომ ამგვარ სიბრძნისმოყვარეობაში ნაკლებადაა ასახული მაძიებელი სულის მღელვარება, იქმნება კიდევ საფუძველი ერთგვარი კონსერვატიზმის წარმოშობისათვის. აღმოსავლეთისათვის უფრო მეტი ღირებულება აქვს შეძენილი საგნისა და მოვლენის ზედაპირულ მხარეს, გარეგნულ ბრჭყვიალებას, ვიდრე შინაგან არსს. ამიტომაც ეკიდებიან ასე მოწონებით აღმოსავლელი პოეტები წარმტაც ამბავსა და ლამაზ სიტყვას—მჭევრ სიტყვას, გარეგნულ სიღარბისლესა და ბრძნულ მეტყველებას.

წარმტაცი ამბავი და მჭევრი მეტყველება არის აგრეთვე გამაბრუნებელი საშუალება იმისათვის, რომ გაიტაცოს, ყოფით პროზაულობას მოსწყვიტოს, ყოფითი ტვირთი შეუშლუბუქოს ადამიანს. თავდავიწყების გარკვეული სახეობათაგანია ამბავთა წარმტაცი დინებისათვის ინტერესის მიღვევნება, ისევე როგორც მჭევრმეტყველებისათვის ყურის გდება.

აღმოსავლური მხატვრული ხედვის სიღიადღე სწორედ მჭიდროდაა დაკავშირებული მოხუცებულობის ჭკუადამჭდარ, არა ძიების ბურუსში მყოფ, არამედ სავსებით ცხადლივ და ნათელ ჭეშმარიტებებთან; აღმოსავლელი ადამიანი რელიგიური მოწიწებით და შიშითაც კი ეკიდება სინამდვილის მიმართ ამგვარ ფასადურ მიდგომაზე დაფუძნებულ ყოველგვარ ეფექტს. და ბუნებრივია, ამ გარემოებას ენიადაგება სწორედ კონსერვატიზმი და ასაზრდოებს ადამიანის სხეულებრივი არსებობის უპირატესობაზე შექმნილი ამალღებული წარმოდგენა. მხატვრული აღქმა-განსახიერების ეს, თუ შეიძლება ითქვას, შედარებით გულუბრყვილო გზა ცალკეულ შემთხვევაში უცხო არც ევროპული მწერლობისთვისაა.

ასეთია ზოგიერთი ის ნიშანი, რაც ქმნის ლიტერატურაში გამოვლენილი „აღმოსავლურობის“ ძირითად შინაარსს. ეს ნიშნები მეტ-ნაკლები ოდენობით თავს იჩენს ჩვენს რომანტიკოსთა ნაწერებშიც და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გარკვეულად გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში.





3. XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურას ის თავისებურებაც გააჩნია, რასაც ილია ჭავჭავაძე „ვეროპეიზმს“ უწოდებდა.<sup>1</sup> ამ თავისებურების მიხედვით გამოირჩევა XIX საუკუნის ლიტერატურა და, კერძოდ, ტიპური ევროპული მოვლენა რომანტიზმი, ჩვენი ადრინდელი მწერლობისაგან. ევროპული ლიტერატურაც საკუთრივ დასავლეთისათვის სპეციფიკური თვისების მიხედვით უპირისპირდება ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული აღმოსავლური ლიტერატურის მხატვრულ-ესთეტიკურ ტენდენციებს. მაგრამ ისმის კითხვა — რაში მდგომარეობს „ვეროპეიზმის“ ცნებაში გამოხატული დასავლური ესთეტიკური ტენდენციის ხასიათი?

როგორც ცნობილია, იყო ხანა, როცა მოვლენის ფიზიკური, გარეგნული მოცემულობა წარმოადგენდა ან ქმნიდა სილამაზის კრიტერიუმს. ეს ხანა აღმოსავლური ხელოვნების განვითარების გარკვეულ საფეხურთანაა დაკავშირებული; მაგრამ გადის დრო და იცვლება შეხედულება სილამაზეზე. ადამიანის ცხოვრებაში ჩნდება საფეხური და ამჟამად ამ საფეხურზე დგას კაცობრიობა, როცა ფსიქიკური განაგებს ფიზიკურს, ეს უკვე ცივილიზებული ადამიანის საფეხურია. ადამიანის სულიერი დატვირთვის ზრდასთან ერთად დგება ხანა, როცა სულიერი ინტერესები ენაცვლება ან ცვლის ფიზიკური მხარისადმი ინტერესს. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, უარს ამბობდნენ ფიზიკური მხარის გამოსახევაზე. ამბობენ, რომ ესაა არსებითი ნიშანი ევროპული ცივილიზაციისა; ქრისტიანული დასავლეთისათვის სწორედ „აზრისა და გრძნობა-გონების უფრო დრამაზინავანი გულწრფელობაა დამახასიათებელი“.<sup>2</sup> ადამიანის, როგორც ასეთის, ღირებულება იზრდება ევროპულ ანუ დასავლურ წარმოდგენაში და მხატვრული სიტყვის სფეროში ეს ფარემოება გზას უხსნის ინტერესის გაძლიერებას იმ გან-

<sup>1</sup> აღნიშნული საკითხის საგანგებო განხილვა მოცემულია წიგნში: დ. ლაშქარაძე ვეროპეიზმი ქართულ ლიტერატურაში (თეიმურაზ I-დან ნ. ბარათაშვილამდე), თბ., 1978 წ.

<sup>2</sup> ჰეგელი, ესთეტიკა, ქართულნი თარგმანი, თბ., 1973, გვ. 420

ცდებისადმი, რაც აღამიანს აქვს. დასავლურ, ქრისტიანულ წარმოდგენაში, ჰეგელის თქმით, „აღამიანი, როგორც ასეთი, თავისუფალია. სულის თავისუფლება შეადგენს მისი ბუნების ძირითად თვისებას“.<sup>1</sup>

აღამიანის სულიერი მონაცემების ასახვისადმი განსაკუთრებული სწრაფვაც ასხვავებს ევროპული ლიტერატურის წარმოდგენებს აღმოსავლური ლიტერატურისაგან. აქ, დასავლურ ლიტერატურაში, გარეგანი ამბების ადგილს შინაგანი იკავებს, ინტერესი ამბებისაკენ (რომელიც მოხდა ან ხდება) კი არაა იმდენად მიმართული, არც ფიზიკურ მხარეზეა მთავარი ყურადღება გადატანილი, არამედ ხელოვანს აინტერესებს, რა ხდება თვით აღამიანის შიგნით; ამ შემთხვევაში ახალ განცდათა წარმოშობის პირობად მხოლოდ ამბები კი არ გამოდიან, არამედ თვით განცდები ქმნიან ახალ განცდებს. ასე რომ აღამიანის ცხოვრების ფსიქიკური შინაარსისადმი ყურადღების აქტუალიზაცია არის დასავლური ესთეტიკური ტენდენციის ერთი არსებითი ნიშანი. ესაა სწორედ ის თავისებურება, რომელსაც ხელოვნებაში „ევროპეიზმს“ უწოდებენ.

განსხვავებულია ამგვარი ევროპული, „სულიერი მაქსიმალიზმის“ პრინციპზე აგებული „არისტოკრატიზმის“ შინაარსიც. თომას მანი ე. წ. „არისტოკრატიზმის პრობლემის“ ცნობილი დახასიათების დროს, მსჯელობს რა შილერისა და დოსტოევსკის მაგალითზე, ამ ხელოვანთა „მოწამეობრივ“, სულიერი ცხოვრების ბუნებაზე, „სხეულებრივი არისტოკრატიზმის“ საპირისპიროდ მათ მიერ შექმნილ მხატვრულ სამყაროში „გამოვლენილ სულის ქრისტიანობას“<sup>2</sup> პოულობს. სწორედ არისტოკრატიზმის ეს უკანასკნელი სახეობა შეესატყვისება დასავლური ესთეტიკური ტენდენციების თავისებურებას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით საინტერესოა იმის გარკვევაც, თუ როგორია დასავლური ესთეტიკური ტენდენციების გავრცელების არე, ანუ „ევროპეიზმის“ თვისებათა შემცველი მხატვრული ზედვის საკუთრივი შინაარსი და ფარგლები. ამ მხრივ „ევროპეიზმის“ საყურადღებო განმარ-

<sup>1</sup> Гегель, Философия истории, собр. соч. т. VIII, стр. 18.

<sup>2</sup> Т. Мани, собр. соч., т. IX, стр. 534.

ტებას გვაწვდის ფრ. ნიცშე. „ევროპულს“ და „თანამედროვეს“ იგი იყენებს როგორც სინონიმებს; ამასთან, ეს კულტურული შეუდარებლად აფართოებს „ევროპულს“ კულტურულ-ისტორიულ საზღვრებს და მასში გულისხმობს ამერიკასაც, რამდენადაც ეს ქვეყანაც, მისივე თქმით, „ევროპული კულტურის ქალიშვილია“. მაგრამ ფრ. ნიცშესეული დახასიათებით, „თვით ევროპაში კი ჩვენი კულტურული ტერმინის ქვეშ („ევროპეიზმის“ — ი. ე.) შემოდის არა შორეული და ყველა ხალხი, არამედ მხოლოდ ისინი, რომელთაც აქვთ ერთიანი წარსული — ბერძნული და რომაული სამყაროს, ბიბლიისა და ქრისტიანობის სახით“.<sup>1</sup>

რასაკვირველია, აღნიშნული აზრი ამ ერთიანი წარსულის მემკვიდრე ქართულ კულტურაზეც ვრცელდება. ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან მჭიდრო სულიერი კონტაქტით და ქრისტიანობის დიდი ტრადიციებით ნასაზრდოები ქართული მწერლობა მკაფიოდ გვიდგენს ევროპული, ანუ რომანტიკული ლიტერატურის ნიშანდობლივ მხარეებს.



4. ამბობენ, რომ რომანტიკული ცხოვრების საფუძვლად ყოველთვის ძვეს საკუთარი თავისადმი სიყვარულით. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს მხოლოდ ვიწრო — ეგოისტური „მე“-ს აზრით საკუთარი თავის სიყვარულს. ესაა სიყვარული საკუთარი პიროვნული „მე“-სადმი ამ სიტყვის ფილოსოფიური მნიშვნელობით. ესაა ქრისტიანული წარმოდგენებით გაღონიერებული საკუთარი ძალების თვითგანცდა, პიროვნული ღირსების გრძნობაზე აგებულ რაინდულ იდეალს რომ ასაზრდოებს და კვებავს. მამაცობა, როგორც უმაღლესი აღამიანური თვისება, არის ამ იდეალთა მყარად არსებობის ერთი პირობა. ეს თვისება უკაფავს პოეტური უკვდავებისაკენ გზას რაინდობას და ანაყოფიერებს მოგვიანებით ხელოვანთა მიერ განსახიერებულ რომანტიკულ წარმოდგენებსაც.

<sup>1</sup> Фр. Ницше, Анти Библия, собр. соч., т. V, стр. 299.

ამ თვალსაზრისით კონკრეტული გარემო-პირობებიც აძლევდა ბიძგს პოეტებს. როგორც ცნობილია, „სარაციონებთან ბრძოლაში ევროპული სიმამაცე იდეალიზებული იყო და რაინდობის წყალობით მშვენიერებამდე ამაღლდა“.<sup>1</sup> მაგრამ ამ მხრივ, რა ვითარებაში შეიძლება აღმოჩენილიყო და რას უნდა დაყრდნობოდა მაჰმადიანური ფანატიზმით სავსე აღმოსავლურ გარემოში მოქცეული ქრისტიანული საქართველო და მისი ლიტერატურა? საკუთრივ ქრისტიანულ-რაინდულ იდეალთა შესუსტების პირობებში რა მომენტებს შეეძლო ქართველი რომანტიკოსებისათვის რაინდული თვისების მქონე ამაღლებული მოვლენის მნიშვნელობა შეეძინა?

უკვე სადავო აღარაა, რომ ქართულსა და აღმოსავლურ ლიტერატურას შორის არსებული კონტაქტები ჩვენი მწერლობის მხრივ არ ატარებდა ეპიგონურ ხასიათს. ქართველი პოეტები მაჰმადიან პოეტთა ნაწერებშიც პოულობდნენ ისეთ იდეალებს, რაც შესაძლებლობას აძლევდა მათ ამაღლებული თვისებით შეემოსათ და წარმოედგინათ საკუთარი ქრისტიანულ-ეროვნული მრწამსი. სულგრძელობისა და მამაცობის საუკეთესო ნიმუშებს თვით მაჰმადიანური აღმოსავლური ლიტერატურაც უხვად შეიცავდა. როგორც ჰეგელი შენიშნავს, „მაჰმადიანური ფანატიზმი იყო იმავე დროს ყველაფერზე ამაღლებული, და ეს ამაღლებულობა ერთდებოდა რა ყოველგვარ ქველმოქმედებასთან, თავისუფალია ყოველგვარი წვრილმანი ინტერესებისაგან; მისი თვისებაა სულგრძელობა და ვაჟკაცობა“.<sup>2</sup>

ჩვენი ეროვნული ლიტერატურის თვალსაზრისით, ე. წ. „აღმოსავლურ“ და „დასავლურ“ მხატვრულ-ესთეტიკურ ტენდენციათა გამოვლენის დონე ქართულ სინამდვილეში ყველაზე უფრო სარწმუნოდ ვრ. ორბელიანის შემოქმედებითი მიდგომის და მის მიერ განსახიერებული თემების განხილვის პროცესში შეიძლება გამოჩნდეს.<sup>3</sup> მაგრამ კონკრეტული მასა-

<sup>1</sup> Гегель, Философия истории, собр. соч., т. VIII, стр. 339.

<sup>2</sup> Гегель, Философия истории, собр. соч., т. VIII, стр. 337.

<sup>3</sup> გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების მოტივთა დახასიათებისათვის იხ. აბ. მახარაძე, გრიგოლ ორბელიანი, წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1972, გვ. 104—133. ე. მაღრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1967, გვ. 413—519.

ლის დახასიათებამდე, განსახილველი პოეტური ნიმუშებისათვის მეტი სიცხადის მისანიჭებლად, აუცილებელია ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე დონის გამომხატველ მრავალფეროვან დაკვირვებათაგან იმ მოსაზრებათა გამოყოფა, რომლებიც მიზნად ისახავს ქართული ლირიკის განვითარების გზის ან იმ ეტაპების შესწავლას, სადაც გარკვეული საფეხურის სახით თვითმყოფად აღვილს იქერს გრიგოლ ორბელიანის პოეზია. ამ მხრივ, ანალიზის ორიგინალობით და მისი თეორიული განხორგადების დონით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია გრიგოლ კიკნაძის ნაშრომი: „ქართული ლირიკის განვითარების ერთი ასპექტი“.<sup>1</sup> აქ გაშლილი მსჯელობის მიხედვით, ლირიზმის ამოსავალს წარმოადგენს „ავტორის პიროვნული ელემენტის“, „პიროვნული მღელვარების“ გაძლიერება ნაწარმოებში და მისი „თავისთავადი პიროვნული ღირებულების ცნობიერების“ განმტკიცება. აღნიშნულია, რომ „ამ თვალსაზრისით ლირიზმი ერთი უშუალო გამომხატულებაა იმ დიდი სოციალურ მოძრაობისა, რომელიც ცნობს პიროვნების განცდათა ღირებულებას, მისი გრძნობების საზოგადოებრივ ფასსა და მნიშვნელობას“... „განსაკუთრებით უან-უაყ რუსოს დროიდან ეს ხანა ლიტერატურაში პიროვნების განცდათა აქტუალიზაციით გამოირჩევა. გრ. კიკნაძის აზრით, „ქართულ მწერლობაში ავტორის პიროვნული განცდებისადმი ყურადღება უფრო და უფრო გაძლიერდა ე. წ. „აღორძინების ხანიდან“ და გამორჩეული სახე მიიღო „XIX საუკუნის ქართული ლირიკის ბრწყინვალე წარმომადგენლების შემოქმედებაში“. მოცემულ შემთხვევაში ავტორის საგანგებო ყურადღებას იქცევს გრ. ორბელიანის პოეზია, სადაც პოეტი „გრძნობათა დაწვრილებით ანალიზს და სხვა გრძნობასთან მათ შეპირისპირებას იძლევა“, რაც უკვე უშუალობას აცლის გრ. ორბელიანის პოეზიას და მისი ლირიკაც „დინჯი, დაფიქრებული, ინტელექტით გაშუქებული“ ლირიკის ფორმას იღებს.<sup>2</sup>

დავით წერედიანის ნარკვევში — „ახალი ქართული ლი-

<sup>1</sup> გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957, გვ. 303—328.

<sup>2</sup> გრ. კიკნაძე, დასახ. წიგნი, გვ. 304, 305, 306, 307.

რიკის ჩამოყალიბების გზები“ (წერილი პირველი)<sup>1</sup>,  
ხელობთ, რომ აღრინდელ ქართულ ლირიკაში „პოეტური  
„მე“ ზოგადია, ფორმალურ-პირობითი და არა ინდივიდუალური...  
ერთი და იგივე სახეები და ტროპები ლექსიდან  
ლექსში მოგზაურობს, არც ერთი ლექსი თუნდაც მაღალ ოს-  
ტატურად შესრულებული, არ ატარებს ინდივიდუალურობის,  
განუშეორებლობის ბეჭედს; მკვლევრის მიერ ესაა სწორედ ჩა-  
თვლილი „აღმოსავლური“ ხედვის გამოხატულებად, როცა  
ლექსში „შინაარსისაგან თითქმის დაცლილი ზოგადობა“ მო-  
ცემული. საყურადღებოა აქ წარმოდგენილი დასკვნა, რომ-  
ლის თანახმად „პირველი ქართველი პოეტი, ვინც სერიოზუ-  
ლად ეცადა გამიჯვნოდა ძველი ქართული ლირიკის ტრადი-  
ციას და დაეძლია მისი ძლიერი ინერცია, იყო ვრიგოლ ორ-  
ბელიანი. მისი დამსახურება ამ მიმართულებით ძალზე დი-  
დია“.<sup>2</sup> ზემოთ გამოთქმულ შეხედულებათა არეალში განვი-  
ხილავთ ვრ. ორბელიანის პოეზიის ძირითად თემებსა და მო-  
ტივებს.

##### 5. ადამიანის სიცოცხლის აზრის საკითხი ბრიტოლ ორბელიანის პოეზიაში

რა აზრი აქვს ადამიანის სიცოცხლეს, მის არსებობას სა-  
ერთოდ? ამ კითხვას ყველა დროში ეხებოდა და ეხება რო-  
გორც აღმოსავლური, ასევე დასავლური ლიტერატურა. თუ  
აღმოსავლურ პოეზიაში ადამიანის არსებობა (ისევე რო-  
გორც მთელი სამყაროს არსებობა) უაზრობადაა გამოცხადე-  
ბული და ერთადერთი ზსნაა თავდავიწყება, დასავლურ ანუ  
რომანტიკულ ლიტერატურაში პიროვნულ-ინდივიდუალურის  
სახელებშია მოქცეული ამ კითხვის დასმის პრობლემატუ-  
რობაც და მისი ადამიანურად აუცილებელი სასიცოცხლო ღი-  
რებულებაც. განსაკუთრებით აქტუალურად დგას ეს კითხვა  
რომანტიკოსთა წინაშე. რასაკვირველია, რომანტიზმისა და

<sup>1</sup> დ. წერეთლიანი, დასახ. ნარკვევი, ლიტერატურული ძიებანი, I, (XVI),  
თბ., 1986.

<sup>2</sup> დასახ. ნარკვევი, გვ. 181, 183, 190.

რომანტიკული ლიტერატურის სპეციფიკის კვალობაზე ადამიანის არსებობის პრობლემა არა მხოლოდ საკუთრივ სოცოცხლის აზრისა და რაობის საკითხადაა დანახული, არამედ მჭიდროდაა გადაწნული ამ პრობლემის სხვა, უფრო მისტიკურ-რელიგიურ მოდიფიკაციებთან (იქნება ეს ბედისწერის, ქრისტიანული ტანჯვის, არსებობის აზრისა თუ სხვა საკითხები).

აღნიშნულ საკითხს ეხება გრიგოლ ორბელიანიც. მისი შემოქმედებითი ცხოვრების თითქმის ყველა ეტაპზე ურთიერთს ენაცვლება ამქვეყნიური ამოების ქრისტიანული შეცნობა და აღმოსავლური თავდავიწყების ელფერის მქონე განცდებში ჩანთქმის გამოხატვა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა გრ. ორბელიანისათვის (1827—1832 წწ.) სიცოცხლე სწრაფმავალია. „ნუ გგონია სიკაბუკე მარად იყვეს განუყრელი“, რადგან პოეტის აზრით, „უღმობელ დროს მიაქვს“ სიცოცხლის ზალისით აღსავსე ახალგაზრდობა. ამიტომაც მიმართავს იგი ერთ თავის მეგობარს: „ერთსა წამსაც ნუ დაჰკარგავ“ ილზინე და გაიზარეო („ანტონს“). გრ. ორბელიანისათვის საკუთარ, პიროვნულ გამოცდილებებზეა ამოზრდილი „ურწმუნო სოფლის“ „მუხთლობა“, რომელიც ნაკარნახევია იმით, რომ „ყოველსა კეთილსა იქვს მხოლოდ წამი მყოფობა“ („გაზაფხული“). სიცოცხლისა და სამყაროს მიმართ ასეთ განწყობილებათა არსებობის პირობებში პოეტისათვის ერთადერთი ბედნიერებაა თ რ ო ბ ა. თრობით მიღწეული თავდავიწყება უიოლებს ადამიანს ტვირთს ცხოვრებისას: „მუხთალს ამ სოფელს გასურს ვისაცა იყო ბედნიერ, სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ! დაღუპე ეშყში და ღვინოში ყოვლი სიმწარე“ („მირზაჯანას ეპიტაფია“). თუმცა ამგვარ განცდათა არსებობა სრულიად არ გულისხმობს, რომ პოეტის გული დაპყრობილი არ იყოს სიცოცხლის სიხარულით. მას სწორედ ამ სიხარულის წარმავლობაზე ფიქრი ტანჯავს: „აწ ვხარობ, მარამა მტანჯავს ეს ფიქრი, რომ სიხარულსაც აქვს დასასრული“-ო, წერს ის ერთგან. მაგრამ რაც დრო გადის, გრ. ორბელიანის შემოქმედებაში უფრო გამოკვეთილ სახეს იძენს ადამიანის არსებო-

ბის აზრის ქრისტიანული ინტერპრეტაცია. მხოლოდ ღვთა-  
 ებრივი შინაარსის მქონე სულიერი საწყისი არის უკვდავი  
 და მარადიული ამქვეყანაზე; „ყველა იცვალის, ყველა მოკვ-  
 დეს, დამიწდეს, და მხოლოდ წრფელი სული, წმინდა, ცხო-  
 ველი, მღვთადა აღვიდეს ნაწილაკი მღვთაებრივი“ („ჩემი ეპი-  
 ტაფია“). პოეტი არაერთგზის მიუთითებს წუთისოფლის ამა-  
 რებაზე, გაუტანლობასა და ცვალებადობაზე: „ჰე, ცრუ სო-  
 ფლო, დაუნდობელო, შენში კეთილი სად არს ფერ-ფეც-  
 ლელ? („თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“). მაგრამ ეს  
 გარემოება სრულიადაც არ აუფასურებს მის წარმოდგენაში  
 ადამიანის სიცოცხლის აზრის სოციალურ ასპექტს: ერთის  
 მხრივ, გრ. ორბელიანის მიდგომას ამ საკითხისადმი კეთილ-  
 ქმედების ქრისტიანული პათოსით ავსებულნი განცდები აში-  
 ნაარსებს, რადგან პოეტისათვის არსებობის აზრის შესახებ  
 ფიქრი და მსჯელობა გარკვეულად ღვთაებასთან შეზიარებაა  
 და დიდ სულიერ ამალღებას მოითხოვს; მაგალითად, კითხვა  
 იმაზე, თუ, „ვინ აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა, სადა  
 ჰვალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?“... ასეთი პასუხი-  
 თაა გაშინაარსებული პოეტის მიერ: „—სულითა წრფელი,  
 მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ, ვის არ შეეხო ზაკვის  
 ვესლი ძმისა განკითხვად და სიყვარულით შეიწყალა ცდომი-  
 ლი ვნებით“ („ფსალმუნნი“). ესაა ადამიანის სიცოცხლის აზ-  
 რის წმინდა ქრისტიანული თვალსაზრისით შეფასება-დახა-  
 სიათება, რომელიც გულისხმობს და მოიცავს თავის თავში  
 მწვავე სოციალური ღირებულების მატარებელ მიზნებსაც,  
 იქნება ეს მოყვასისადმი უანგარო სიყვარული, თუ მამული-  
 სათვის თავის გაწირვის ღვთაებრივი მოვალეობა. „სოფელი  
 იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა, თუ ფუჭი  
 მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა“, — ამბობს ერთ  
 შემთხვევაში გრ. ორბელიანი და ადამიანური არსებობის  
 საყრდენ მცნებად მისი სულიერი ამალღების, ცოდვათაგან  
 განწმენდის ფაქტი მიაჩნია; სიცოცხლის აზრი მისთვის სი-  
 კეთის სამსახურია — „კეთილი საქმის“ თესვა ამქვეყნად: „რა  
 არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი? თუ არ აღ-  
 ვადგენთ დაცემულს“ და თუ არ „ვდევენით ყოველს, რაც  
 უშლის კაცისა სულის მაღლობას?“ („სადღეგრძელო“) —



კითხულობს ის და უკვე კითხვის დასმაშივე ჩანს ქრისტი-  
ანული ეთოსით გამსჭვალული პოეტის პასუხიც.

მამულისათვის თავდადების, სიკეთის სამსახურის, დაცუ-  
მულის აღდგენისა და, საზოგადოდ, ადამიანის სულიერი სი-  
მალლის ნათელი იდეალები გრ. ორბელიანის, როგორც სიყ-  
ვარულის ქრისტიანული იდეით ანთებული ხელოვანის, პო-  
ეტურ ინტერესთა დიდ სოციალურ გამიზნულობას მოწმობს.  
იმედი, როგორც ნათელი ძალა, გრ. ორბელიანის პოეტური  
გრძნობის თანამდევ სხივთაგანია ყოველთვის; პოეტის წარ-  
მოდგენით იმედიანი განწყობილება აშინაარსებს ადამიანის  
სიცოცხლეს და უიოლებს მას თვით სიკვდილის მოახლოებით  
გამოწვეულ მწარე განცდებსაც კი.

„იმედო, ნუთუ ღმერთი ხარ, რომ ფიქრი ყოვლის შენ-  
კენ ჰრბის!... და თუთ მას ჟამსა, ოდესცა უბადრუკს ყოვლი  
უტევებს, სამარის კარად შენ მარტო მასა თანაჰსდევ მეგობ-  
რულ და იქ უჩვენებ... ზეცად ღვთაებრივ ცნოვრებას, ნე-  
ტარსა, საუკუნოსა“ — რასაკვირველია, აშკარაა ამ სტრი-  
ქონთა რელიგიური შინაარსი. აქ არაა გამოვლენილი ადამი-  
ნიანის სისუსტის შეგნებაზე დაფუძნებული უსასოობა, რად-  
გან პოეტისათვის, როგორც ქეშმარიტი ქრისტიანისათვის,  
უცხოა უსასოო პესიმიზმი, იმიტომაც, რომ თავისი არსით  
თვით ეს რელიგიაა ოპტიმისტური. გრ. ორბელიანის პოეზი-  
აში უიმედობით აღსავსე ტანჯული ადამიანის განცდებიცაა  
მოწოდებული, მაგრამ უკმარობის ნიადაგზე ამოზრდილი ეს  
პესიმიზმი ჩანს მხოლოდ საკუთარი „მე“-ს შეფასებისას, თუმ-  
ცა აქაც არაა სიცოცხლიდან გაქცევის მოწოდება. პოეტი  
აღნიშნავს მხოლოდ ფაქტს. ამიტომაც სიცოცხლის აზრის არ-  
სებობის საკითხთან შეხებისას გრ. ორბელიანის პოეტური  
პოზიცია უპიროვნო, ანუ აღმოსავლური პესიმიზმის შემც-  
ველი განცდებით კი არაა დატვირთული, არამედ ესაა უაღ-  
რესად პიროვნული ნიშნის მატარებელი, სუბიექტური გან-  
წყობილებებით აღბეჭდილი რომანტიკოსის პოზიცია.

თუ ხანდახან სიცოცხლის სირთულის შეგნებით გატან-  
ჯული პოეტი ღვინოს მიმართავს და სიცოცხლის აზრის ფი-  
ლოსოფიური ძიების ნაცვლად თავდავიწყებას ცდილობს, ეს  
სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ გრ. ორბელიანი სიცოცხ-

ლის უზრუნველყოფის აღიარებას თვლიდეს ამ რთული საკითხის შესატყვის პასუხად; აქ, რომანტიკული ხედვის მქონე მრავალი პოეტის მსგავსად (იქნება ეს გოეთე, პუშკინი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.), გრ. ორბელიანს თავდავიწყება მიაჩნია პირადული ტანჯვის შემსუბუქების ერთ გზად და არა არსებობის ერთადერთ ფორმად.



გრ. ორბელიანის პესიმისტურ განწყობილებათა წყაროდ ხშირად გამრდის მარტობა. მარტობის გარემოში ყოფნა ამ პოეტისათვის მშვენიერების ენაზე შეჭირვებისა და წუხილის სახილველად შესაფერის ნიადაგს პოულობს: მარტობის პირობებში ნაირ-ნაირი, სევდიანი განწყობილებები ეფუძლება პოეტს; სევდას ხან წარსულის გახსენება იწვევს: — „გულს ეწუხების, რა აგონდების დღენი წარსულნი ნეტარებისა“ („იარაღის“), ხან სატრფოსთან დაშორების გახსენება. მარტობის სევდა ისადაგურებს პოეტის სულში, როცა სატრფოს შიშართავს: „აწ, დავშთი მარტოდ... მშვიდობით!“ („სკამო გამოსალმებისა“). დრო, სიცოცხლის ხალისის მომკვლელი უღმობელი დრო, იწვევს განმარტოებისაკენ გრ. ორბელიანის ლტოლვას: „დრონი წარვიდნენ, თანა წარიდეს გულისა გრძნობა, ძალი ტრფობისა“ („მოგონება“) და ბუნებრივია, რომ ასეთ მძიმე განწყობილებათა არსებობის პირობებში განმარტობულად და ობლად მოჩანს მის პოეტურ წარმოდგენაში დიდებული ბეთანია, ეკლესიის კედელზე გამოხატული თამარის სახით. ერთ დროს დიადი ტაძარი დაინგრა, დაირღვა და ისეთ დიად პიროვნებასაც კი, როგორც თამარია, დავიწყების ჩრდილი მიადგა... ძველ ღირებულებათა გაუფასურების მოწამე პოეტი საკუთარ თავთან განმარტობული კითხულობს: „ნუთუ ესლა გვაქვს, ვხედავთ რასაცა?... უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს, სად სახე მეფის, დიდის თამარის, სჩანს ძველს კედელზედ გამოხატულად!“ („თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“). ამ სურათის შემყურე, ალ. ჭაბუკაშვილის მსგავსად, გრ. ორბელიანის თვალშიც თით-

ქოს ღირებულება ეკარგება სიცოცხლის აზრს, ფიქრს მო-  
მავალზე.

ტანჯული ადამიანი ყოველთვის მარტოა საკუთარ თავთან; ასეა მუშა ბოქულაძე და „მწუხარებათათვის შესაქმნელად დაშთენილი“ პოეტიც („ან-დმი“). მართალია, გრ. ორბელიანი ხშირადაა მოქცეული მძიმე, გამოუვალი სევდის ტყვეობაში, მაგრამ ეს სევდა მხოლოდ სულიერ ნიადაგზე ამოზრდილი განწყობილებაა. პოეტის ამგვარ განცდათა ლაიტმოტივი ასეთ შემთხვევაში კარგადაა გამოხატული შემდეგ სტრიქონში: „არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა“ („სალამო გამოსალმებისა“). მაგრამ ეს მხოლოდ სულიერი უკმარობით შეპირობებული სევდაა და გრ. ორბელიანიც ის პოეტი გახლავთ, რომელიც ყოველთვის ეძებს გამოსავალს, რომ „სულის მწუხარება“ შეიმსუბუქოს; იმას იგი ახერხებს ხან მოთქმით, რადგან ფიქრობს, რომ „მოთქმითა ნუგეშ-ეცემის და კმუნვა მითცა შემცირდებისა“, ხან კიდევ ძვირფასი სულიერი ახლობლების გახსენებით.

პოეტს ცხოვრების მძიმე ტვირთს უმსუბუქებს მოგონება საყვარელი დისა: „დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ, და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ მხვედრისა“, — ამბობს გრ. ორბელიანი და მასში სიცოცხლის ხალისს აღვივებს, „ნუგეშს“, „შეებას“, „სიხარულს“ და „გულის ღხენას“ აღძრავს ფიქრით დარჩენილ საკუთარ დასთან, გახსენება იმისა, რომ იგი მარტო არაა ამქვეყანაზე.

• • •

მარტოობით გამოწვეული სევდა გრ. ორბელიანის შემოქმედებაში ვხვას ხსნის სიცოცხლის აზრის მისტიკურ-რელიგიური, ქრისტიანული ინტერპრეტაციისთვისაც. ლოცვანის ენით გამოხატავს პოეტი ამგვარ განწყობილებებს და ფსალმუნებისადმი თავის მიდრეკილებას თეორიული პოზიციიდან ამართლებს კიდევ, როცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგანგებო შემთხვევის დროს, შლეგელის აზრს იმოწმებს: „ფსალმუნი არს თავისუფლებითი ამადლება სულისა

ლეთისადმი. ნახე ისტორია ლიტერატურისა შლეღელის მი-  
ერა“, — წერს პოეტი ერთგან.<sup>1</sup> მაგრამ ფსალმუნებისა და ქრის-  
ტიანულ თხზულებებისადმი პოეტისეული მიდრეკილება არ  
შეიძლება დაყვანილ იქნას ბიბლიურისადმი იმგვარ ინტერეს-  
ზე, როცა ხელოვანი საგანგებო ძიებას აწარმოებს ამგვარი  
მასალისას. ამიტომაც გრ. ორბელიანის ქრისტიანული მრწამ-  
სის და ამ ნიადაგზე მის პოეტურ შესაძლებლობათა დასად-  
გენად, ვფიქრობთ, თვითმიზნად არ უნდა იქცეს იმის ძიება,  
თუ მისი ლექსის რომელი სტრიქონი ემთხვევა ან ჰგავს სახა-  
რების რომელიმე შეგონებას. ამგვარი გზით მიმართული  
კვლევა მხოლოდ იმას დაადასტურებდა, რომ გრ. ორბელი-  
ანი იცნობდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, რაც, რა-  
საკვირველია, თავისთავად საინტერესოა, მაგრამ არაარსები-  
თი მისი მხატვრული ტალანტის შესაფასებლად. საქმე ისაა,  
თუ რანაირადაა ასახული ქრისტიანული ლიტერატურის სუ-  
ლი ამ ხელოვანის პოეტურ ფრაზაში და რანაირად იქცევა  
გრ. ორბელიანის მხატვრული ენერჯის კუთვნილებად ქრის-  
ტიანულ მცნებათა პათოსი.

თუ პოეტში ისეა გადასული მოცემული მასალა, რომ ხე-  
ლოვანისეული ინდივიდუალობის ნიშანი მოსავს მას, მაშინ  
უკვე იგი საკუთრივ პოეტის ნიჭიერების საზომია, აქ მხედვე-  
ლობაში გვაქვს არა მხოლოდ ქრისტიანული მასალის მოხ-  
მობა, მისი სიუხვე, არამედ რელიგიური სულით ავსება ქმნი-  
ლებისა. ამ მხრივ ყველაზე მეტად, როგორც გერონტი ქიქო-  
ძე აღნიშნავს, მხოლოდ გრ. ორბელიანს აქვს „თბილი რელი-  
გიური გრძნობა“.<sup>2</sup> რელიგიური გრძნობებითაა დატვირთული  
გრ. ორბელიანის პოეზია ახალგაზრდობიდან სიბერემდე, ე. ი.  
რწმენითი სფეროს მხატვრული წარმოსახვისადმი ინტერესი  
ამ პოეტის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშანთაგანია.  
ყველაფერი, რასაც ამქვეყნად სიქველე, სიკეთე ჰქვია, პო-

<sup>1</sup> გრ. ორბელიანის აზრს ვიმოწმებთ აკაკი გაწერელის ნარკვევიდან:  
„გრიგოლ ორბელიანი“, იხ. გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრე-  
ბული, თბ., 1989, აკაკი გაწერელის და ჭუმბურ ჭუმბურიძის რედაქციით,  
გვ. 102.

<sup>2</sup> გერ. ქიქოძე, რომანტიკოსების თაობა, რჩეული თხზულებანი, ტ.  
I, თბ., 1963, გვ. 87.

ეტის მიერ „საღვთო“ ქმედებადაა ჩათვლილი, ღვთის გზის გამოვლენად და მისადმი სამსახურადაა მიჩნეული. ღვთის მშობლის სიყვარული და მისთვის თაყვანისცემაც კი გრ. ორბელიანის პოეზიაში განიცდება როგორც „საღმრთო“ წესის ასრულება, ღვთაებრივი მოვალეობა. აკი ჭერ კიდევ ახალგაზრდობაში დაწერილ ლექსებში ამბობს კიდევ პოეტად: „მისი სახელი კიცხვითა მარადის იხსენებოდეს, ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ ჰგრძნობდეს“-ო.

მოგვიანებით თავის ცნობილ „საღვთაგანთა“ იგი გატაცებით მოგვეთხრობს „ქრისტეს ნათელით განათლებულ“ და „ჯვარისა ძალით გარე-მორტყმულ“ მეფე მირიანზე, „ახლის აღთქმისა ძალით ძველის ივერის ბნელი რწმუნების“ დამხოზაზე, ქრისტიანობის სიმალღესა და უპირატესობაზე. განსაკუთრებული კდემამოსილება ახლავს ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავგანწირულ პიროვნებათა გახსენებას. იქნება ეს ქეთევან დედოფალი, რომლის სახელი „სულის სიმალღეს გვიმტკიცებს ზეცად დიდებით აღმსვლელი“, თუ „ნათელ გვირგვინით“ მოსილნი „კახეთის მხსნელნი გვირგები“ და ძმები ხერხეულიძეები. მამულისათვის თავგანწირული ეს გვირგები პოეტისათვის არიან „წმიდა მსხვერპლი ცად შეწირულნი“. გრ. ორბელიანის პოეტური მრწამსით, მამულისადმი სიყვარული ღმრთისადმი სამსახურის დადასტურებაა და, ამდენად, რელიგიური რწმენა მისთვის ხიდია, რათა ერთმანეთს დაუკავშირდეს ამქვეყნიური სიქველე და რწმენა სულის არსებობისა. ქრისტიანული სარწმუნოება სულიერად ამალღების პირობაა და კეთილ საქმეთა შთამაგონებელი ფაქტორიც. პოეტი ხშირად ამქვეყნიურ, მიწიურ ვნებათა წარმავლობასა და სულის უკვდავებაზე მიგვანიშნებს ქრისტიანული პოზიციიდან და ეს ყველაზე მკაფიოდ „ჩემს ეპიტაფიაშია“ გამოხატული:

„ზველა იცვალოს, ზველა მოკდეს, დამიწდეს,  
და მხოლოდ წრფელი სული, წმინდა, ცხოველი,  
მღვთადა აღვიდეს ნაწილაკი მღვთაებრი“.

გრ. ორბელიანის შემოქმედებითი ცხოვრების ბოლო ეტაპზე (1860—1883) განსაკუთრებით იზრდება რელიგიური იერით მოსილი თხზულებების რიცხვი მის პოეზიაში.

სიცოცხლის აზრის გვირგვინია თავისუფლება, მაგრამ თავისუფლება მიიღწევა საიჭიოში, იმქვეყნად „საუკუნო განსასვენსა ალაგსა“, და სწორედ ფიქრი საუკუნო, იმქვეყნად ურ სულიერ თავისუფლებაზე „სულს უმაგრებს“ და „ნუგეცემის ძალსა“ მატებს მუშა ბოქულაძეს. სიცოცხლის აზრის შეფასებისას გრ. ორბელიანის ქრისტიანული ხედვის საყრდენია მისი „ფსალმუნი“. „ვინ აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა, სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?“ — კითხულობს პოეტი და პასუხს თვითვე იძლევა: „სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილი“—ო. მსგავსი შეხედულებით და განწყობილებებითაა დატვირთული გრ. ორბელიანის „დავბერდი“, „იმედო, ნუთუ ღმერთი ზარ“ და სხვ.

პოეტი ფსალმუნის ენით „სადღეგრძელოსა“ და სხვა ლექსებში არაერთგზის ლაპარაკობს „უწმინდესი ანგაარების“ ანუ „კაცის სულის მაღლობის“ აუცილებლობაზე, „გვარიშვილობასთან“ შედარებით „ზეგარდმო მაღლით ცხებული ნიჭის“ უპირატესობაზე. სიცოცხლის აზრის ძიებისადმი მიმართული გრ. ორბელიანის პოეტური ინტერესები მხოლოდ ზემოაღნიშნულ სოციალურ-რელიგიური ასპექტებით არ განისაზღვრება. ბუნებისადმი მიმართების პროცესშიც გრ. ორბელიანი ავლენს რომანტიკოსთათვის ნიშანდობლივ რელიგიურ მიდგომას. პოეტის თვალწინ გადაშლილი ბუნების სილამაზე ღმერთის ემანაციაა და ამ სილამაზის უსაზღვროება ღმერთის სიდიადის შეგრძნებასა და შეგნებას აღვივებს მხოლოდ. ბუნებაში შემავალი ყოველი პროცესი გრ. ორბელიანის მიერ დანახულია, როგორც ღმერთის ნებას დაქვემდებარებული აქტი, და ამიტომაც თვით სიკვდილის პროცესიც დადებითი შინაარსის მოვლენადაა ჩათვლილი მის მიერ: „ღმერთო, ვინ მიჰსწვდეს შენგან ქმნილს, მისს ფერ-უთვალავს შევენებას? სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!“.. — წერს პოეტი „სადღეგრძელოში“.

სიცოცხლის აზრის, მისი მშვენიერების ამგვარი განმარტებისას აქ, თუ შეიძლება ითქვას, ფიხტეანური თვალსაზ-

რისის თანამხედრ მომენტთან გვაქვს საქმე,<sup>1</sup> ეს კოლეგია  
თხელ მიუთითებს, რომ გრ. ორბელიანი თავისი განწყობილ-  
ბებითა და თვალსაზრისითაც ნამდვილი რომანტიკოსის პირო-  
ციანზე დგას. ესაა მისი ქრისტიანულ-რომანტიკული, ანუ და-  
სავლური ესთეტიკური ხედვის მატარებელი ხელოვანის ნი-  
შანდობლივი თავისებურება.



ადამიანის არსებობის აზრის საკითხი გრ. ორბელიანის პო-  
ეზიაში სხვა ასპექტითაა დანახული და განხილული. იგი ერთ-  
გვარად ახერხებს ამქვეყნიური ტანჯვის შემსუბუქებას, რაც  
მიღწეულია სულიერი საწყისის უპირატესობის აღიარებით  
ხორციელთან, მიწიერთან შედარებით. მაგრამ გრ. ორბელი-  
ანისათვის ნიშანდობლივია სიცოცხლის აზრის შეგნებისა და  
სამყაროს ხილვის ისეთი გზაც, როცა სევდისაგან თავის დაღ-  
წევას პოეტი თავდავიწყებითაც ცდილობს.

გრ. ორბელიანისათვის პირველ რიგში ღვინო არის ყოფი-  
თი ტვირთის შემსუბუქების ერთი ამ საშუალებათაგანი. ესაა  
სწორედ ე. წ. „აღმოსავლური“ მოტივის გამოხატულება. „აღ-  
მოსავლური“ ესთეტიკური ტენდენციის დამადასტურებელი  
ამ პოეტთან. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველგან ვგრძნობთ,  
რომ იგი ასეთ შემთხვევაში ერთგვარ პოეტურ დისტანციას  
ამყარებს მოვლენებისადმი. თუმცა ამგვარი „აღმოსავლური“  
მიდგომა გრ. ორბელიანის ცხოვრების მთელ მანძილზე მყარ  
შემოქმედებით მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს. ალ. ჭავჭა-  
ვაძის მსგავსად, პოეტი ფიქრობს, რომ „მუხთაღს ამ სოფელს  
გსურს ვისაცა იყო ბედნიერ, სიყვარულითა და ღვინითა ჩე-  
მებრ დაითვერ“. მას მიაჩნია, რომ გონივრული ცხოვრება  
კი არა, გამოთიშვა რთული აზროვნებითი პროცესებიდან, ჩა-  
ძირვა თავდავიწყების უსაზღვროებაში არის სიცოცხლის  
აზრის ერთგვარი გამართლება: „გონებით გინდ ცა განვლო,

<sup>1</sup> ფიბტეს მიხედვით: „ყოველნაირი სიკვდილი ბუნებაში არის ამავე  
დროს დაბადებაც და სახელდობრ სიკვდილში ხდება ხილული სიცოცხ-  
ლის ამალბება“. იხ. Фихте, Назначение человека, СПб, 1913, стр. 196.

ჩემებრ იქმნა მტვერ“-იო, — წერს პოეტი („მირზაჯანის ეპი-ტაფია“). ღვინით თავდავიწყების, გონებრივი ცხოვრების უარყოფის, მიწიერი სიამის გამომხატველი ზემოთ მოყვანილი სტრიქონები მირზაჯანას ეპიტაფიის სიტყვებია და თუ მას შევადარებთ გრ. ორბელიანის „ჩემი ეპიტაფიის“ საყრდენ აზრს: „მხოლოდ წრფელი სული, წმინდა, ცხოველი, მღვთა-და აღვიდეს ნაწილაკი მღვთაებრი“ — ვნახავთ, რომ გარემოსაღმი გრ. ორბელიანის ე. წ. „აღმოსავლური“ მიდგომა სრულ-ლიადაც არ ნიშნავს, თითქოს ეს პოეტი ითქვიფებოდეს ყოველგვარ მასალაში; ის, რაც საკუთრივ გრ. ორბელიანის განწყობილებას გამოხატავს, რა სფეროშიც უნდა ვლინდებოდეს იგი, პოეტი ყველგან ქრისტიანულ პოზიციაზე დგას, ხოლო როცა იგი „სხვის“ გრძნობებს ვადმოსცემს, იქნება ეს მირზაჯანა, ლოპიანა, დიმიტრი ონიკოვი თუ სხვ., ყველგან ჩანს მიწიურ-აღმოსავლური ხილვა სინამდვილისა. ღვინის როგორც თავდავიწყების საშუალების განდიდება მაინც არ ნიშნავს, რომ მხოლოდ აქამდე დაჰყავდეს პოეტს სიცოცხლის აზრი. აღმოსავლური პოეზიისაგან განსხვავებით, გრ. ორბელიანი-სათვის თავდავიწყება სიცოცხლით ტკბობის ერთი მხარეა და სიცოცხლით ტკბობის ფაქტი უკვე თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ამ პოეტისათვის აღმოსავლურობა მისი პოეტური ხედვის წარმმართველი, ანუ საყრდენი შინაარსი კი არაა, აქამდე ფორმაში გამჟღავნებული ერთგვარი პოეტური პოზიაა. გრ. ორბელიანის მოწოდება: „ჰე, ჰაბუკო, სიხარულით დღენი შენი განატარე, იმხიარულე, შეექმე, ილხინე და შეიყვარე“ („ანტონს“), სიცოცხლის, სწორედ სიცოცხლის მაღალი ღირებულების აღიარებას მოწმობს და არა მოწოდებას მისი უარყოფისაკენ. რასაკვირველია, აღმოსავლური ხედვის ნიშნები ჩანს იმ შემთხვევაში, როცა პოეტი ნატრობს საკუთარი სულისათვის „სატრფოს ზილფებში ადგილის აღნიშვნას“ („მასვე“), მაშინაც კი, როცა „მუხამბაზში“ სიყვარულის ეშხით შთვრალი იტყვის: „ნუ მასმევ ღვინოს, უღვი-ნოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით... მაგ ვარდის ნაცვლად მასუნე ვარდს, შენთ ღაწვთზე გაშლილს“...

გრ. ორბელიანის ლექსების ერთ წყებაში, აღმოსავლური პოეზიის დარად, ძირითადი დატვირთვა ეკისრება თვალს, ფი-



ზიკური ნიშნის მიხედვით ზღვება სილამაზის შეფასება-<sup>არაა</sup>  
სიათება ისე, რომ ფსიქიკურს შინაარსზე აქ თითქმის  
ყურადღება გამახვილებული. ამგვარი ტენდენციის გამოჩენა-  
ველია, მაგალითად, ლექსი „ს“-ს, სადაც პოეტი ასე აღწერს  
სატრფოს სილამაზეს: „მერცხალნი — თვალნი შენნი“, „ვარდ-  
ნი — შენნი ბაგენი“, „თოვლ-ღვინო — შენნი ლაწენი“, „შენი  
წელი — კიპაროზ!“ და „ხმა — სირინოზი“. პოეტის ფანტაზია  
დასტრიალებს სატრფოს, სადილებს, აბანოს, ლხინებს, ლხი-  
ნი — მის მიერ დახატული ყარაჩოხელებისათვის სასიყვარუ-  
ლოდ აღვზნების ერთი საშუალებაა. ამიტომაც ამბობს ბე-  
ენა მკერვალი: „არავისთვის მე დღეს არა მცალიან, სალო-  
მესთან სადილად მეძახიან“; ამიტომაც მოუწოდებს „სახით  
არაბისტნელი“ „ლხინის ეშვისათვის შექმნილი ტოლუმბა-  
ში“ თავის შეინახვებს: „სულით ერთნო... აწ შეკრბით, თა-  
სით, ჯამით, ყანწით, აზარფეშებით“, რადგან მისი წარმოდ-  
გენით, სწორედ „თასი არს სადგური სიამეთი“.

გრ. ორბელიანის შემოქმედებაში ღვინისადმი გამომყდ-  
ნებული თაყვანისცემა არსებობის აზრის გაუფასურებისა და  
ადამიანის ბედის უნდობლობისაგან ხსნის გზა კი არაა, არა-  
მედ შავ ბედთან და მოუწესრიგებელ მთელ სამყაროსთან  
მორიგების ერთი პირობაა. აკი პოეტი კიდევ მიმართავს უპი-  
როვნო პესიმიზმში გადავარდნილ მსმენელს ერთგან: „ბედსა  
რად სწყველი?... შე უგუნურო, დალიე, ქვეყანა შენი იქნება“-ო  
(„აზარფეშაზე“).

ღვინისადმი თაყვანისცემის ის ფორმა, რომელსაც გრ.  
ორბელიანთან ვხვდებით, სრულიადაც არაა ღვინის კულტის  
ტიპურ-აღმოსავლური ფორმა. თუ აღმოსავლურ პოეზიაში  
ადამიანის არსებობის აუცილებელი კომპონენტია ღვინო და  
ხსნის ერთადერთი საშუალებაა თრობით თავდავიწყება,<sup>1</sup> გრ.  
ორბელიანთან, როგორც დავინახეთ, ღვინო სიცოცხლის ხა-  
ლისის დამამკვიდრებელი, მიწიერი სიხარულით ადამიანს

<sup>1</sup> მაგალითად, აბუ აბდულა მოსამედ ქონაიდელის აზრით, ღვინო ისე  
აუცილებელი კაცისთვის, როგორც ბავშვთათვის რძე, საჭიროა ზღმ  
გეპიროს დოქი და ჯამი და ღვინის სმაში გაატარო ეს წუთისოფელ-  
დაწვრილებით საძიხოს ნიძუძები გახხილულია წიგნში; დავით კობიძე, სსრ-  
სული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1975, გვ. 89—90 და სხვ.

ამავსებელი, ამქვეყნიური გართობისა და შექცევის ერთი  
შუალებაა, რაც მშვენიერადაა გამოხატული „სადღეგრძელოს“  
შემდეგ სტრიქონებშიც:

„და შენ, ჰე, ღვინოვ, ყოვლად ძლიერო,  
ღვინო, შექცევით გულნი ალგოგზნე,  
გულის ქირთ მღვენო, ნიკო ციერო,  
ვინ არს, რომელ ვსვა და არ აღზინე!“

ესაა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მცხოვრები  
ქართველი კაცის განცდა მიწიერი ცხოვრებისა, სპეციფიკუ-  
რად ქართული დამოკიდებულების გამოვლენა ღვინისადმი,  
ქართულისა, რომელშიც მიწიერი გრძნობა სიცოცხლისა,  
ერწყმის ზეციურზე წარმოდგენას, სიცოცხლის განცდა ენი-  
ადაგება სულიერ შინაარსს და თავდავიწყებას ადამიანი ფა-  
ნატიზმის გამო კი არ ეძლევა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ  
სულიერი აქტივობა აიმაღლოს, მიწიერი სილამაზისადმი  
რწმენით აივსოს და პოეტურად შეხედოს თვით სიკვდილსაც  
კი. ღვინო, ლხინი გრ. ორბელიანისათვის პოეტურ განწყო-  
ბილებათა შექმნის დამაჩქარებელ ფაქტორთაგანია, ხოლო  
სადღეგრძელო თავისი არსით თვითაა პოეტური ფაქტი, რაც  
ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ქართულ გარემოში მომ-  
წიფებული მხატვრული მიმართება ღვინისადმი განსხვავებუ-  
ლია აღმოსავლური ხედვისაგან. იგი სპეციფიკურად კონკრე-  
ტული ქართული გარემოს შინაარსითაა დატვირთული.

გრ. ორბელიანისათვის, როგორც ქართველისათვის, ღვინო  
მიწიერი სიხარულის მომნიჭებელი საშუალებაა. ღვინის  
წარმოდგენით ცოცხლდება პოეტის წარმოსახვაში საკუთარი  
ქვეყანა, კონკრეტული გარემო, ქართველი კაცის ყოველდღი-  
ურობა. ეს განწყობილება არა მხოლოდ მის „იარალისა“ და  
სხვა პოეტურ შედევრებშია გამომჟღავნებული, არამედ „მოგ-  
ზაურობის“... ერთ ეპიზოდშიც.<sup>1</sup> ამასთან, გრ. ორბელიანისათ-

<sup>1</sup> „ზარფშისა და კახურის ღვინის ბილემ ფრად გამაზარა: ვინცა  
არა ყოფილხართ შორს უცხოს ქვეყანას, არ გეცოდინებათ ის სიამოვნე-  
ბის აღტაცება, რომელსაც ჰგრძნობს თვისისა მამულით განშორებული,  
იხილავს რა გინა რასმე თვისისა მამულისასა“. იხ. გრიგოლ ორბელიანი,  
დასახ. გამოცემა, გვ. 233.

ვის, როგორც რომანტიკოსისათვის, ღვინო პოეტურ ინტერესსა  
გადახალისების, სხვა სიბრტყეზე გადანაცვლების ერთ-ერთ ფაქ-  
ტორია და არა მხატვრულ-ესთეტიკური, თუ არღლიფიქტი  
მრწამსის გამომავლინებელი საყრდენთაგანი. ღვინის ამგვარი  
ალიარების შემთხვევაში გვეჩნებოდა საქმე არა რომანტიკო-  
სის მხატვრულ ხედვასთან, არამედ აღმოსავლელი პოეტის  
სულიერი სამყაროს გადმოშლასთან. ვიმეორებთ, გრ. ორბე-  
ლიანი რომანტიკოსია იმიტომაც, რომ მის წარმოსახვაში პი-  
როვნული საწყისის უპირატესობის რომანტიკულ-ქრისტი-  
ანულ გრძნობას არასდროს არ ჩრდილავს სიმბოლიკურ-მე-  
ტაფორული, ანუ აღმოსავლური მიდგომის პირობებში წარ-  
მოშობილი სამყაროსეული ხილვა. იგი, როგორც ორივე ფე-  
ხით მიწაზე მყარად მდგომი ქართველი პოეტი, ცდილობს და-  
ახასიათოს ის „ბედნიერი შეხვედრა სულისა და ბუნებისა“  
(თ. მანი), რაც ყველაზე მეტად გამოხატავს თვით ადამიანის  
არსებას.

ამ ნიშნითაცაა იგი ქართულ გარემოში ჩამოყალიბებული  
რომანტიკული თვალსაზრისის გამომხატველი ხელოვანთაგანი.

#### 6. სიყვარულის განსახიერების თავისთავობა ზრიგოლ ორბელიანის მხატვრულ წარმოდგენაში

სიყვარულის გრძნობის აღქმა-განსახიერების თვალსაზრისით  
ზრიგოლ ორბელიანი ის პოეტია, რომელმაც ამ მეტად რთული  
გრძნობის დახასიათებისას განსაკუთრებული ინტერესი გამო-  
ავლინა თავისი სულიერი მოძრაობის დახატვისადმი; სიყვარუ-  
ლის გრძნობა გრ. ორბელიანის შემოქმედების ერთ-ერთ საყრ-  
დენ გრძნობად იქცა, რაზეც ასე ხაზგასმით მიუთითებს კ-  
დეც პოეტი ერთ-ერთ თავის პროზაულ ესკიზში. სიყვარული—  
აღნიშნავს გრ. ორბელიანი — არის „ესე მშვენიერი სიცოცხ-  
ლისა ჩვენისა ყვაილი, რომელიცა გვატკბობს, გვახარებს  
თვით ტანჯვისაცა შინა თვისსა და აღგვამაღლებს ყოველთა  
მდაბალთა და უღირსთა სხვათა ვნებათაგან“ („ზამთრისა ქა-  
რი გრიალებს“). უკვე სიყვარულის რაობის ამ დახასიათე-  
ბაშივე ჩანს ჩვენი პოეტის ესთეტიკური პოზიცია. გრ. ორბე-

ლიანი, როგორც ხელოვანი, ამ გრძნობის განსახიერების პროცესში რჩება უაღრესად ინტელექტუალურ პოეტად, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სიყვარულის გრძნობის წარმომობა-განვითარების, მის სხვადასხვა ასაკობრივ და სოციალურ გარემოში გამოვლენის ხასიათზე. თავისთავად, ამ გრძნობის ასახვისას გამოვლენილი მხატვრული ხედვის ამგვარი სიფართოვე იმაზე მიუთითებს, რომ პოეტისათვის უცხო არაა როგორც სიყვარულის სულიერი შინაარსით დატვირთვა, ასევე ამ გრძნობის ფიზიკური ხილვის ნიადაგზე წარმოსახვა. მაგრამ ყველა შემთხვევაში, სულიერი მომენტი მისი სატრფიალო პოეზიის არსებით მხარეს წარმოადგენს და ამ თვისებითაა დანახული სწორედ იგი ზემოთ მოყვანილ პროზაულ ნაწყვეტშიც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ გრ. ორბელიანი საგანგებო ყურადღებით ეკიდება სიყვარულის გრძნობის ფსიქოლოგიურ, სულიერ მხარეს და გადაულახავ შემოქმედებით მოთხოვნილებად სახავს მის გადმოცემას.

სიყვარული გრ. ორბელიანისათვის „ზეგარდმო მადლით“, „ღვთის კურთხევით“ მოვლენილი გრძნობაა და რაოდენ დიდი პოეტური ნიჭითაც უნდა იყოს დაჯილდოებული მგოსანი, ჭირს ამ გრძნობის „ჩვეულებრივი“, ხელშესახები ფორმით გადმოცემა, მისი მრავალფეროვნებისა და სიღრმის წედომა. ამიტომაც ასე მიმართავს იგი თავის სატრფოს სიყვარულის გამჟღავნებისას: „შენსა შელექსეს მაქვს ვედრება ეს, რაც ვერ ვპსტქვი ენით, მიხვდე გულითა!“-ო. („ალბომში ღრაფინია ოპერმანისას“).

გრ. ორბელიანის რწმენით, სიყვარული, სიცოცხლის მშვენება და გვირგვინია, — „სიცოცხლე შვენობს სიყვარულითა“, — ამბობს პოეტი ერთგან და სხვა შემთხვევაში განმარტავს — „რა უნდა აქენდეს სულსა უკვდავი, თუ მასში განჰქრეს კვლავ სიყვარული“. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ გრ. ორბელიანისათვის მაღალი, სულიერი შინაარსით ავსებული სიყვარული „მარადიული“, უკვდავებასთან დაახლოებული გრძნობაა. ტანჯვა ამაღლებს და უკვდავს ქმნის ამ გრძნობას ადამიანის თვალში: „ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა, დამბერველ ეშუის ცეცხლისა, ტანჯვა არს ვალი და

მსხვერპლი უზომო სიყვარულისა“ („ნ“...) — წერს იგი „სადღეგრძელოში“ უკვე სიყვარულის, როგორც ამალღებელი სულიერი მოვლენის და მშვენიერების ფენომენის, გვარ აპოთეოზს იძლევა:

„მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტკება, რომლის შუქი აღგვამაღლებს, რომლით სული გვინათლებს, რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება“.

მაშასადამე, გრ. ორბელიანის პოეტური მრწამსით, სიყვარული ერთსა და იმავე ღროს არის ადამიანის სიცოცხლით ტკბობის, სულიერი სინათლისა და შინაგანი ამალღების, ადამიანის მშვენიერების გზით ღვთაებრივ საწყისთან დაახლოების ერთგვარი გზა. ამ უაღრესად მიწიერი გრძნობის ასეთნაირი გაზეციურება, თუ შეიძლება ითქვას, თანშერწყმა მიწიერი და სულიერი ინტერესებისა, ერთხელ კიდევ მიუთითებს, რომ გრ. ორბელიანის სახით ჩვენ ტიპურ ქართველ რომანტიკოსთან გვაქვს საქმე, რომანტიკოსთან, რომელიც ცდილობს, სულიერი შინაარსის დასავლური ხედვა დაუკავშიროს მიწიერ ვნებებს და ზეციური ნათლით გაასულიეროს, ამაღლოს ე. წ. აღმოსავლური ხილვა მიწიერი სიყვარულისა.

სიყვარულის დახასიათებისას გრ. ორბელიანისათვის სულიერით აღტაცება არ გამოორიცხავს ფიზიკურით გატაცებას და პირიქით. ეს ორი მომენტი მონაცვლეობს მის ფანტაზიაში და მათ გარეშე პოეტისათვის წარმოუდგენელია ქეშმარიტი განცდა სიყვარულისა.

გრ. ორბელიანი არაერთგზის ეხება სიყვარულის წარმოშობა-განვითარების ძალზე ღრმა ნიუანსებს. პოეტი ხან გახსენება-მოგონებების გზით ცდილობს სიყვარულის ფსიქოლოგიური შინაარსის ხილვა-დახასიათებას.

სიყვარული იმდენად რთული გრძნობაა, რომ პოეტისათვის მისი შინაგანი სიღრმეების ახსნა მიუწვდომელია; „მნათობო! თვით შენ აღმიხსენ, რა მემართების, რასა ვჰგრძნობ, როს ვხედავ, რადა ვჰსწითლდები, რად ვჰკრთები, ვჰშიშობ და ვჰხარობ?“ („ნ-დმი“) — მიმართავს იგი სატრფოს და სხვა

ვითარებაში ქეშმარიტი სიყვარულის ამიღლებული ბუნების  
რუსთველისებურ ახსნასაც იძლევა, როცა წერს:

„ნამდვილი ტრფობა გონა რა სიტყვათ ეძებდეს, ვერ ჰპოვებს.  
რათა გამოსთქვას თვის გრძნობა და მისთვის ოხერით მღუმარებს“.

(„გამოსალმება“).

გრ. ორბელიანს აინტერესებს ქალის თვალით დანახული  
სამყაროც. მას აოცებს და აკვირვებს, თუ რატომ იზიდავს  
ქალს უგულო მამაკაცის მოჩვენებითი თაყვანისცემა და ყალ-  
ბი კომპლიმენტი:

„თაყვანისმცემელთ როს გუნდი თავსა გველეზა ფარვანებრ,  
რადა ვსურს ყოველთ მათგანსა ეჩვენებოდე მშვენიერებრ?  
მათ უგულოთა ქებათა რად ისმენ სიამოვნებით?“

(„მ...ღმი“)

შეყვარებული მამაკაცის გულუბრყვილო პატიოსნებით  
კითხულობს იგი. სიყვარულის სულიერი მხარისაღმი თაყვა-  
ნისცემა მოჩანს გრ. ორბელიანის ყოველ ფრაზაში და, მართ-  
ლაც, მისივე თქმით: „უსიხარულოდ, უსიყვარულოდ რა სანა-  
ტრელ არს სიმრავლე დღეთა“... სიყვარულის მიმდინარეობის  
ფსიქოლოგიურ მომენტზეა ყურადღება გამახვილებული ლექ-  
სებში: „ანტონს“, „ნ-ღმი“, „საღამო გამოსალმებისა“ და „მო-  
გონება“. აქ, პოეტის სევდიანი და მელანქოლიური განცდე-  
ბია გადმოშლილი. სევდიანია გრ. ორბელიანის განწყობილე-  
ბები იმიტომაც, რომ აწ უკვე განვლილ გრძნობებს აღადგენს,  
აცოცხლებს პოეტი: „მშვენიერო, გახსოვს ოდეს, მუქით  
ღამეს მინათებდი?“ — კითხულობს იგი. სხვა შემთხვევაში  
მისტირის სატრფოსთან განშორების გახსენებას: „სული  
სწუხს განშორებითა... არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუ-  
გეში რომელსა“... პოეტი სულიერი ცხოვრების აწ უკვე განვ-  
ლილი ეტაპის აღდგენას ისახავს მიზნად ლექსში „მოგონება“. სევდის  
წყარო აქაც ისაა, რომ „დრონი წავიდნენ... თანა წა-  
რიდეს გულისა გრძნობა, ძალი ტრფობისა; აწ არც კი მიც-  
ნობ, გულით იცვალე... ამ მოგონებამ არ შეგაწუხოს“. რო-  
გორც აღნიშნავენ, არა მხოლოდ სიყვარულის დაბასიათები-

სას, არამედ ყველა შემთხვევაში სწორედ ეს წარსული გრძნობებია გრ. ორბელიანის გამოსახვის მთავარი საგანი. იგი წარსულს „აღადგენს თავის ლექსებში. ამიტომ ეს გრძნობები არ გულისხმობენ ისეთ მღვლევარებას, რაც აწმყოში მიმდინარე გრძნობათათვის არის დამახასიათებელი. გრ. ორბელიანის ლირიკა გრძნობათა მოგონებას უფრო მეტად შეიცავს, ის უფრო წარსულ გრძნობათა ხელახალ გაღვივებას ჰგავს, ვიდრე გაღვივებული გრძნობების უშუალო გაღმოცმას“.<sup>1</sup>

მელანქოლიურ გრძნობათა ამგვარი ინტელექტუალიზაციის ფაქტშივეა უკვე მოცემული სიყვარულის ხილვის განსახიერების ე. წ. „დასავლური“ მხატვრული მანერა. მაგრამ გრ. ორბელიანისათვის არსებობს სიყვარულისა და ქალის მომხიბლავი სილამაზისადმი განსხვავებული პოეტური მიდგომაც. ასე, მაგალითად, ლექსში „მტირალ ნ...ს...“ პოეტი შეჰხარის სატრფოს გარეგნულ მშვენიერებას, როცა ამბობს: „ვითა ნამი ზეციური თვალთა შინა გამობრწყინვის, ვარდებრივთა ლაწვთა ზედა მარგალიტნი გაღმოგცვივის“. თუმცა აქ მხოლოდ შედარების ხერხადაა გამოყენებული „ვარდი“ და „მარგალიტი“, აღმოსავლური პოეზიის ეს მარადიული სიმბოლოები. ლექსში „ღამე“, მართალია, პოეტი ეხება სიყვარულის წმინდა აღმოსავლურ პერსონაჟებს, ვარდსა და ბუღბულს, მართალია, იგი აქ ლაპარაკობს იმაზე, რომ „ბუღბული ბუჩქში ფარულად ვარდსა გალობით შეჰსტრფოდა“, მაგრამ აქვე მიუთითებს თავისი „სულისა“ და „გულის ემზხით“ მახეში მოქცევაზე. უფრო მეტიც, პოეტს აქ განცდათა სულიერი მოძრაობა ხიბლავს, მისი ყურადღებაც აქეთყენია გადატანილი, მას ანიჭებს უპირატესობას, როცა წერს:

„ვიდრე თვალთ ნახეს, სულმან ჰსცნა  
საყვარლის მოახლოება“...

უფრო მეტადაა დატვირთული აღმოსავლური პოეტური ხერხებით ლექსი „სო... ორ“...: „ვარდი ხარ? — არა! ზამ-

<sup>1</sup> გრიგოლ კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957, გვ. 307.

გახი? — არა! მაგრამ, შენ ლაწვთზე აღყვავებულნი, არიან ორნივე შეზავებულნი! ნეტარ მას ბულბულს, ვინც შენს ვარდს, ზამბახს ზედ დამღერს მარად, ვით ეშყის ბანაკს“. აღმოსავლური ხედვისათვის ნიშანდობლივ მსგავს ხილვებთან გვაქვს საქმე ლექსებში: „ს“, „სავათნავეს მიბაძვა“ და ცნობილ „მუხამბაზებში“, რომლებშიც „სატრფოს ხალი არს ტახტი სიყვარულის“, ხოლო „ფიალა“ „სადღეგრძელო ხალის“. ეს სიყვარულის გრძნობის წმინდა აღმოსავლური დანახვაა და, ალბათ, ამიტომაც თვლიან გრ. ორბელიანის „მუხამბაზებს“ ე. წ. „აღმოსავლური ანაკრეონტიზმის მშვენიერ ნიმუშად“.<sup>1</sup>

ტრადიციული გაგებით ამგვარი აღმოსავლური ხილვებით უფრო მეტად დატვირთულია გრ. ორბელიანის ლირიკის პერსონაჟების — ლოპიანას, ჩამჩი-მელქოს, დიმიტრი ონიკაშვილის, ბეჟანა მკერვალის სასიყვარულო განცდები. ისევე როგორც ლხინისა და დროსტარების სიხარულის გამომხატველ ლექსებში, გრ. ორბელიანი ყარაჩოხელთა განცდების დახასიათებისას განსხვავებულ, თუ შეიძლება ითქვას, უფრო „მდაბიურ“ ხილვებსა და ენობრივ მასალას იმარჯვებს. სიყვარულის გრძნობის ვადმოცემის პროცესშიც კი, როგორც აქ. გაწერელია აღნიშნავს, გრ. ორბელიანი „უფლებას არ უტოვებს ყარაჩოხელს მართლაც პოეტად წარმოიდგინოს თავი, რადგან ამ პროფესიას მუხამბაზის ავტორი — არისტოკრატი თვითონ იტოვებს და ამშვენებს კიდევ მას. „სიყვარულმა მათქმევინა, თორემ მე ვინ, ლექსი ვინა“ — ამბობს მისი ყარაჩოხელი“.<sup>2</sup>

ასახევი მასალისადმი გამოშვლავებულ ამგვარ პოეტურ დისტანციაშიც ვლინდება გრ. ორბელიანის, როგორც რომანტიკოსის, მიდგომა აღმოსავლური ხილვებით დატვირთულ ყარაჩოხელთა ყოფისადმი. ესაა პოეტური სვლა რომანტიკოსისა ქართულ გარემოში არსებული თუ გაჩენილი აღმოსავლური ტენდენციებისაკენ. აქ თვით ამ მდაბიოთა ყოფაც კი რომანტიკულად ესთეტიზებულია გრ. ორბელიანის მიერ.

<sup>1</sup> აქ. გაწერელია, იხ. გრ. ორბელიანის თხზულებათა სრულ კრებულში, შესავალი წერილი, თბ., 1989, გვ. 42.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 61.



ცნობილია ილია ჭავჭავაძის აზრი, რომ გრ. ორბელიანმა „პირველმან მიგვახედა ჩვენ მიერ დავიწყებულს წარსულს“... თითქო იგრძნო, რომ „უწარსულოდ აწყყო უფესვო ნერგია“, რითაც გააღრმავა ქართველის წარმოდგენაში პატრიოტული გრძნობა და ის ეროვნული თვითშეგნების დონემდე აამაღლა. მაინც რაში მდგომარეობს გრ. ორბელიანის პატრიოტიზმის თავისებურება?

როგორც ცნობილია, ერთი ფორმა გრძნობების გამოხატვისა არის გახსენება გარკვეული გრძნობის, მაგრამ გახსენება შეიძლება ყველასი და ყველაფრის. გრ. ორბელიანი მომეტებულად იხსენებს წარსულს, საქართველოს წარსულს, მის დიდ გმირებს და ჩვენი ისტორიის დამამშვენებელ ადამიანებს.

ქართულ მწერლობაში გრ. ორბელიანი ერთი იმ პირველ პოეტთაგანი იყო, რომელსაც აღმოაჩნდა განსაკუთრებულად დახვეწილი კულტურა ჩვენი წარსულის დაფასებისა და უნარი, აქტუალური შინაარსი მიენიჭებინა ამ წარსულისათვის, მოწიწებით ამბობს კიდევ პოეტი „სადღეგრძელოში“:

„ძმანო, პატივით მივმართოთ თვალნი  
წარსულთა ძველთა საუკუნეთა,  
მათში სახელნი ჰსჩანან ნათელნი  
გმირთა, მამულის განმადიდეთა!...“

რასაკვირველია, სამშობლო ქვეყნის წარსულის, მის დიდ პიროვნებათა სახელების გაცოცხლება, მათთვის ახალი სულის შთაბერვა მხოლოდ გრ. ორბელიანის მიერ შერჩეული გზა არ არის ლიტერატურაში.

პატრიოტული გრძნობის გასაღრმავებლად, ჰეგელის თქმით, ჯერ კიდევ კლოპშტოკი მიმართავდა ამ ხერხს.<sup>1</sup>

გრ. ორბელიანი ქართულ ლიტერატურაში იმ ხელოვანთაგანია, ვინც სწორედ ძითიური იერით მოსილი ფარნაოზის სახელიდან მოყოლებული ერეკლეს ჩათვლით, გააცოცხლა და

<sup>1</sup> Hegel, *Эстетика*, Т. III, с. 539.

ერთგვარი მხატვრული სისტემატიზაცია მოახდინა საქართვე-  
ლოს ისტორიული წარსულისა. მის პოეზიაში მარტო განცხად-  
დების სახეს კი არ იღებს მამულიშვილური მოწოდებანი: „მი-  
სი სახელი მარადის კიცხვითა იხსენებოდეს, ვინცა საღმრთოსა  
სიყვარულს მამულისადმი არ გრძნობდეს“; ან კიდევ: „მოვკვ-  
დეთ, თუკი სიკვდილით ვადიდებთ მისსა სახელსა“. გრ. ორ-  
ბელიანი დაეინებით ცდილობს ერთმთავრობის შემომღები და  
ქართული ანბანის შემქმნელი ფარნაოზის, ჩვენში „ქრისტეს  
ნათელის“ შემომტანი მირიანის, უძლეველ მითიურ გმირად  
ქცეული „მუხარად მგელ-ლომ გამოსახული“ ვახტანგ გორ-  
გასალის, საქართველოს „ფენიქსებრ განმბახლებელი“ დავით  
აღმაშენებლის და დიდებული თამარ მეფის გახსენებას. პოეტს  
არც შოთა რუსთაველი, ბრძენი ჭყონდიდელი, დიდი მხარ-  
გრძელი და „ლომებრ გულადი“ გამრეკელი ავიწყდება. მაგრამ  
გრ. ორბელიანისათვის სათაყვანებელი იდეალი მაინც თამარის  
დროშის ქვეშ გაერთიანებული საქართველოა.

ესაა გრ. ორბელიანის წარმოდგენაში ჩვენი ერის მომავა-  
ლი სიცოცხლის პირობა. პოეტი დროის ცვლას აღევნებს  
თვალს, სიდიადის — ეროვნული სიამაყის გრძნობას — მარტო  
აღზევებული საქართველოს სახე არ იწვევს, არანაკლები პო-  
ეტური ძალითა და მძაფრი პატრიოტული ვნებით ხატავს  
იგი ტანჯულ ვითარებაში მოქცეული ქართველი ხალხის სუ-  
ლიერი უტეხობის ეტალონად ქცეულ გმირთა სახეებს. მაპ-  
მადიანურ გარემოცვაში მყოფ ქართველთათვის რაინდული  
სიქველისა და თავის გამოჩენის სარბიელს სარწმუნოებისა და  
სამშობლოსათვის თავდადება წარმოადგენდა. ამიტომაც იქ-  
ცევა „მამულისათვის ტანჯული“ და „სარწმუნოების დამც-  
ველი“ ქეთევან დედოფლის მოწამებრივი პიროვნება სამაგა-  
ლითო გამძლეობის ნიმუშად, ამ განცდითაა დანახული და  
შეფასებული „კახეთის მხსნელი გმირები“: ელიზბარის, შალ-  
ვას და ბიძინას სახელები, ცხრა ძმა ხერხეულიძეები თუ ერი-  
სა და მეფისთვის თავდადებული ბევრი სხვა პირი.

გრ. ორბელიანი არც „სწავლის მოყვარე“, „გონება ამაღ-  
ლებულ“, მაგრამ „სვე-გამწარებულ“ საქართველოს მეფე  
ვახტანგ VI-ს ივიწყებს. დაცემული საქართველოს დიდება

და იმედით პოეტისათვის მაინც „მამაცთა შორის“ საკვრელ-  
ლება“ პატარა კახი, მეფე ირაკლია და თანამედროვეობის  
ვის რა უბედურებაა, რომ „დიდება ივერიისა მასთან“ მარტია  
სამარეს“... გრ. ორბელიანის პოეზიაში ჩვენი ქვეყნის წარ-  
სულიდან კიდევ მრავალი გმირის სახელი არის მოხსობილი.  
ეს სახელები ახალ სიცოცხლეს სძენენ და ახალ ძალასაც  
ჰმატებენ გრ. ორბელიანის წარმოდგენაში უკვე „დამცირე-  
ბულ“ საქართველოს აწმყოს.

მკითხველის თვალში ასე იტვირთება კონკრეტული ისტო-  
რიული მასალით ქართველთა დასაფასებელი სანატრეო წარ-  
სული და ამ პოეტური განცდითვე მკვიდრ ნიადაგს პოულობს  
მათი ხსოვნა-ჩვენში. გრ. ორბელიანი „ოხვრით სანატრელი  
წარსულის მოგონებას“ იმიტომ კი არ მიმართავს, რომ მასში  
ჩაიძიროს, არამედ თანამედროვე საქართველო შეაპირისპი-  
როს ამ წარსულთან და თანამემამულეებს შეახსენოს: „რად  
არ გახსოვს ძეთა შენთა ხრმალთა კრიალი“.

დიდებაულია წარსული, სიდიადე ახლავს მის გახსენებას.  
ამაღლებული წარმოდგენები ასაზრდოებს წარსულის კეთე-  
ნილ ყოველ მოვლენას, რასაც კი სიჭველის იერი დაჰკრავს.

ამაღლებული მასალისაკენ გრ. ორბელიანის მიდრეკი-  
ლება იმითაცაა გაპირობებული, რომ მშვენიერების ყოველ-  
გვარ წარმოდგენას ენიადაგება ამ პოეტის ფანტაზიაში უვე-  
ლაფერი, რასაც მოგონების, გახსენების ფორმა აქვს.<sup>1</sup>

ცოცხალ ურთიერთობაშიც, მწვავე პოლემიკის დროსაც  
გრ. ორბელიანი ახსენებს ახალ თაობას, რომ „მამანი თქვენ-  
ნი, თავის დროს ძენი, თავის დროს იყვენენ სახელოვანნი“,  
რითაც უცნობიერებს მკითხველს — დიდ წარსულს კიდევ  
უფრო უკეთესი მომავალი უნდა ჰქონდესო. სახელოვან მა-  
მულიშვილთა გახსენებას სწორედ სადღეისო აქტუალური ღი-  
რებულება აქვს შექენილი ამ პოეტთან, რადგან, როგორც  
თვით ამბობს, მათთა „საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ  
მოედინება“, მაგრამ მთავარი ისაა, რომ „მხნეობით აღტა-  
ცებული ჰაბუკი ხმალსა მიჰსწვდება“.

<sup>1</sup> გრ. ორბელიანის აღნიშნულ სტილურ თავისებურებათა შესახებ  
იხ. გრ. კვიციანი, მატყველების სტილის საკითხები, 1957, გვ. 307.

ლექსში „იარალის“ გრ. ორბელიანი, მართალია, სვედრი-  
ანად მოსთქვამს, რომ „გულს ეწუხების, რა აგონდების დღე-  
ნი წარსულნი ნეტარებისა“, მაგრამ აქვე მისი მიზანი მაინც  
ისაა, თუ „ვინ აღჩნდეს გმირი, რომ მის ძლიერი ბედს დაძინე-  
ბულს ხმა აღადგენდეს?“.

ბეთანიასში თამარის ფრესკის წინ მუხლმოყრილი პოეტის  
ლოცვა იგივეა, ოცნებაა, რომ თამარის „ივერი აღსდგეს ძლი-  
ერი, და დადგეს ერთად სხვა ერთა შორის“. სამშობლო  
ქვეყნისადმი სიყვარული გრ. ორბელიანისათვის მხოლოდ ის-  
ტორიულ პირთა გახსენებით არ შემოიფარგლება. პოეტი  
არა მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის იდეის, ანუ პატრი-  
ოტიზმის, ამ უმაღლესი გრძნობის, მქადაგებელია; გრ. ორ-  
ბელიანი მიგვანიშნებს იმ ფიზიკური, ბუნებრივი სიყვარუ-  
ლის გრძნობაზეც, რომელიც ქართველ კაცს აკავშირებს სა-  
კუთარ ქვეყანასთან, მის მიწასთან, „ბუმბერაზ მთასთან“,  
„აღმასებრ უფსკრულს ცვენილ“ თერგთან, „კოჯრის ნიაჭთან“  
და „ცა მშვენიერ“ საქართველოსთან, მის ბუნებასთან საერ-  
თოდ. გრ. ორბელიანის შემოქმედებაში პატრიოტული გრძნო-  
ბის გაღვივებას ემსახურება მის მიერ პოეტურად გაცოცხ-  
ლებული ქართული ლზინი.

პოეტის ფანტაზიაში ერთგვარად ესთეტიზებულია ქართუ-  
ლი სუფრის ყოფითი წვრილმანები. ისეთ ბუნებრივ გარემო-  
შია მოქცეული მის მიერ ყოველი დეტალი, იქნება ეს „კახუ-  
რის ღვინისაგან შუბლგაცხელებული“, მკერდზე „ჩითმერდი-  
ნით დაფენილი“ თამადა, აზარფეშა, „ცეცხლზე მოტრიალე  
ჭეირნის მწვადი“, სუფრის „ამაქრელებელი მოთალი, თევზი,  
მწვანილი“, რომ ამ ერთი შეხედვით პროზაულ სამყაროს მხო-  
ლოდ ბუნებით დიდი ესთეტი თუ შეიძლება მიეახლოს ასე პო-  
ეტურად; ასეთი ამაღლება ყოფითი მასალისაგან სწორედ ქარ-  
თული ცხოვრების ამ დეტალთა გახსენებითაა მიღწეული. სი-  
შორის განცდა ამოეტურებს ყველაფერს და მათ შორის გრ.  
ორბელიანის მიერ მოგონების ფორმით გაცოცხლებულ ქარ-  
თულ ყოველდღიურობასაც.

მაგრამ ყოფითი გარემო მხოლოდ საბაზია პოეტისათვის.  
რათა საზეო საქმეებზე ფიქრსა და ოცნებას მიეცეს. იარალი  
შანშიაშვილთან თანამესუფრეობა, ქართული ლზინის გახსე-

ნება გრ. ორბელიანს გარკვეულწილად იმიტომ სჭირდება, რომ გულმოდგინედ მიუგდოს ყური მოხუცის ნაამბობებს. შობლოს წარსულზე: „შენ მომითხრობდე, მე ყრმა გრწმუნდე... თუ ვით ივერნი, ლომგულნი გმირნი, ჰბრძოდნენ, ჰსცხოვრობდნენ დროსა წარსულსა“. ამ სტრიქონებიდანაც ჩანს, რომ ქართული ლხინი პოეტისათვის ქართველის თავისუფალი სულის და დიადი ხასიათის გამოვლინებაა.

ასეთი კონკრეტული შინაარსით შემოდის მკითხველის განცდაში გრ. ორბელიანის მიერ ჩვენი ყოფით, ბუნებით, პიროვნულ-ბიოგრაფიული მოგონებებითა და დიდ გმირთა სახელებით დატვირთული წარმოდგენა სამშობლოზე, ქართველ ხალხზე. გრ. ორბელიანმა ამ გზით მოახერხა გაეცნობიერებინა მკითხველისათვის, თუ რას ნიშნავს ქართველისათვის ქართველობა და საქართველო. ამიტომაც მამულიშვილური სიამაყით აღესილი ახსენებს ყველას: „სხვა საქართველო სად არისო...“

#### 8. გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების სოციალური შინაარსი

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების თემატიკა და ამდენად მისი სოციალური პრობლემატიკაც უფრო ზოგადი და ამ აზრით ფილოსოფიურია თავისი ხასიათით; განსხვავებულ ვითარებას გვიდგენს გრ. ორბელიანის პოეზია. აქ პოეტი უკვე ყოველგვარი თემის პერსონიფიცირებას ახდენს, კონკრეტული შინაარსით ტვირთავს მასალას. კონკრეტულია გრ. ორბელიანის სიყვარულის ობიექტები და წარსული, რომლის წინაშე იგი მუხლს იყრის მოწიწებით, კონკრეტული შინაარსისაა ის სოციალური გარემოც, რომელიც გრ. ორბელიანის პოეტური ხედვის არეშია მოქცეული.<sup>1</sup>

როგორც ითქვა, კონკრეტული სახელებების ნიშნითაა გაცოცხლებული წარსული გრ. ორბელიანთან და ამიტომაც გრ.

<sup>1</sup> ა. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის პოეზიის აღნიშნულ თავისებურებაზე ყურადღება გამახვილებულია სახელმძღვანელოში: „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია“, I, თბ., 1972, გვ. 245. და ნარკვევში: ს. ზუციშვილი, „ქართული რომანტიზმი“, წიგნი: „ქართველი რომანტიკოსები“, თბ., 1978, გვ. 30.

ორბელიანის პოეზიის სოციალური გამიზნულობის ერთ-ერთ ასპექტს სწორედ საქართველოს ისტორიული წარსულის თქმულზე შექმნილი თხზულებებიც ქმნიან. სოციალური ელემენტობა აშკარად ჩანს თუნდაც საკუთარი ქვეყნის მიმართ თქმულ, პატრიოტული ალტკინებით აღსავსე სტრიქონებში:

„შენი ივერი — აღსდგეს ძლიერი და  
დადგეს ერთად სხვა ერთა შორის“.

ამ სიტყვების მიღმა ჩვენ ვხედავთ მოქალაქეობრივი გზებით შემართულ პოეტს, რომელსაც „ერთა შორის“ საკუთარი სამშობლოს „დგომის“ ხვედრი აინტერესებს. ეს უკვე ცოცხალი, ჯანსაღი მოქალაქეობრივი ინტერესებით ავსებული პიროვნების განცდაა და ამითაა ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისი პოეზიაც, როგორც გარკვეული სოციალური დატვირთულობის მქონე მხატვრული ფაქტი.

გრიგოლ ორბელიანისთვის ისე, როგორც ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილისათვის, უცხო არაა ღრმა ფილოსოფიური ინტერესით სავსე სოციალური საკითხები, აღამიანას სიცოცხლის აზრსა და მისი არსებობის შინაარსს რომ განმარტავს თუ ხსნის. ამ პოეტთან ეს საკითხები სოციალურის უმაღლეს ფორმად წარმოსდგება; ესაა, თუ შეიძლება ითქვას, გრ. ორბელიანის შემოქმედების სოციალური პრობლემატიკის ერთი ასპექტი.

წუთისოფლის ამოების, აღამიანის სიცოცხლის წარმავლობის და სიცოცხლის აზრის შესახებ განსჯითი, შეგონებითი თუ მჭევრმეტყველური ბრძნული მსჯელობებითაა ავსებული გრ. ორბელიანის შემოქმედებითი ცხოვრების თითქმის ყველა ეტაპზე შექმნილი ლექსი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქმნილებებში ყველა შემთხვევაში მკითხველის წინაშე კონკრეტული პიროვნებები დგანან, ე. ი. სიცოცხლის აზრთან დაკავშირებული სოციალური ღირებულებების ყოველი განცდა უაღრესად პერსონიფიცირებულია და დატვირთული ქართული გარემოს, საკუთრივ პოეტის და მის ირგვლივ მყოფ აღამიანთა ვნებებით.

გრ. ორბელიანის იმ ქმნილებათა თემები, რომლებიც გარ-

კვეული ნიშნით ენათესავენა აღმოსავლური პოეზიის პედო-  
ნისტურ თემებს, მის ცნობილ მუხამბაზებსა და სხვა წინა-  
სებში — მაინც ვამჩნევთ ერთ გარემოებას: გრ. ორბელიანი  
აღმოსავლური პოეზიისაგან განსხვავებით არსად არ რჩება  
მხოლოდ აფორისტული მეტყველებისა და სენტენციების  
ფარგლებში. გრ. ორბელიანის ბრძნულ მწვერმეტყველებას —  
სიცოცხლის რაობის შესახებ — სიცოცხლით ავსებენ კონკ-  
რეტული ადამიანები: ანტონი, მირზაჯანა, ლოპიანა, ბეჟანა,  
დიმიტრი ონიკაშვილი თუ თვით პოეტი.

„ქე კაბუჯო, სიხარულით დღენი შენი განატარე... ერთსა  
წამსაც ნუ დაჰქარგავ, გაქვდეს სახე მოციწარე“, —

მიმართავს პოეტი თავის მეგობარს ანტონს და სხვა შემ-  
თხვევაში მდაბიო მირზაჯანას პირით ასე გვიდგენს აზრს სი-  
ცოცხლის არსის შესახებ:

„მუხთალს ამ სოფელს გსურს ვისაცა იყო ბედნიერ,  
სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ!  
დაღუბე ეშუში და ღვინოში ყოვლი სიმწარე“.  
(„მირზაჯანას ეპიტაფია“)

გრ. ორბელიანი სხვა შემთხვევაშიც არაერთგზის ხოტბით  
მიმართავს ღვინოს, როგორც ცხოვრების ტვირთის შემსუბუ-  
ქების ერთ საშუალებას. ეს ჩანს მის სახელგანთქმულ „სად-  
ღეგრძელოშიც“:

„ჰოი, შენ ღვინოვ! ყოვლად ძლიერო,  
ლხინით, შექცევით გულნი აღგვიგზნე;  
გულის ქირთ მღვენო, ნიჟო ციერო,  
ვინ არს, რომელ გსვა და არ აღხინე?“

მგვრამ ასეთ შემთხვევაში პოეტი არასოდეს შორდება პი-  
როვნულ-ინდივიდუალურ სფეროს და ამიტომაცაა ამ სტრი-  
ქონთა სოციალური ზემოქმედების ძალა უაღრესად რომან-  
ტიკულ ნიადაგზე დამყარებული. ამიტომაცაა, რომ ამ ტიპის  
ნაწერებში გრ. ორბელიანი რომანტიკოსად რჩება და სინამდ-  
ვილისადმი მისი სოციალური ხედვაც ეს რომანტიკოსის ხედ-  
ვაა და არა რეალისტისა.

სხვა ასპექტში წარმოგვიდგენს სიცოცხლის აზრის, როგორც ძალზე აქტუალური სოციალური საკითხის მნიშვნელობას პოეტი ნაწარმოებთა იმ წყებაში, რომლებშიც ჩანს ქრისტიანული სწრაფვის კვალი. თითქოს ბიბლიის, ფსალმუნის ერთ ლაღადებს პოეტი სულიერის უკვდავებასა და ხორციელის წარმავლობას. ამის გამომხატველია გრ. ორბელიანის „ჩემი ეპიტაფია“. პოეტის აზრით, ღმერთის, ღვთაების

„ამ ზენა მსჯულსა ვერა არსი ვერ ასცდეს:  
ვერცა გლახაკი შემოსილი ძონძითა,  
ვერც სიჭაბუკე შევწებითა შემეული  
და ვერც მოხუცი დაღალული სიცოცხლით...  
ყველა იცვალოს, ყველა მოკვდეს, დამიწდეს,  
და მხოლოდ წრფელი სული, წმინდა, ცხოველი,  
მღვთადა ავიდეს ნაწილაკი მღვთაებრი“.

დროდადრო პოეტს წუთისოფლის მიმართ სკეპტიკური გრძნობაც იპყრობს, როცა იტყვის:

„ჰე, ცრუ სოფლო, დაუნდობელი  
ვენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?“  
(„თამარის სახე ბეთანის ეკლესიაში“)

გრ. ორბელიანის ქრისტიანული ჰუმანიზმი აქტუალურ სოციალურ სიმძაფრეს მაშინ აღწევს, როდესაც პოეტი ფსალმუნის გავლენით იწყებს ქადაგებას:

„ვინცა ამ სოფლის დიდებასა მზეებრ მნათობსა;  
მონებრ არ მიჰსდევს, მსცნობს რა მის შუქს ფუჭ-წარმავალსა.  
ვინც ძლიერებას ხმითა მალლით ამცნო სიმატლელ  
და მშას დაცემულს მიჰსცა ხელი და აღადგინას...  
იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,  
ღვთისა დიდების გალობითა ნათელ-მოსილი“.  
(„ფსალმენი“)

უნდა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ სოციალურ საკითხთა გაშუქება-დახასიათებისას ამგვარ ქრისტიანულ ჰუმანიზმზე დაფუძნებული პოზიცია გრ. ორბელიანის მხოლოდ პოეტური პოზიცია არაა, იგი მისი მოქალაქეობრივი მრწამსის გამომხატ-



ველიცაა, რაზეც თუნდაც მიუთითებს პოეტის „სიტყვა, წარ-  
მოთქმული 1863 წელს თბილისის გუბერნიის თავადანსურთა  
კრებაზე“. ამ სიტყვაში გრ. ორბელიანი ეხება რა ბატონყმობის,<sup>1</sup>  
როგორც გარკვეული სოციალური ინსტიტუტის დრომოქმე-  
ლობას, ქრისტიანული თვალსაზრისით შეუწყნარებლად მიჩ-  
ნია, რომ ღვთის მიერ თანასწორად გაჩენილი ადამიანები ურ-  
თიერთს ჩაგრავენენ. პოეტის აზრით, ბატონყმობა საუკუნეებ-  
ში შემუშავებული ძველი ჩვეულებაა, მაგრამ იგი სრულიადაც  
არ გამოხატავს და შეესატყვისება ადამიანთა სოციალური ა-  
სებობის შინაარსს, მათ ბუნებას, „მოვიდა დრო, როდესაც სა-  
ქართველოს ძველი ჩვეულება, ძველი წესი — დამკვიდრებუ-  
ლი, დამყარებული საუკუნოებითგან, უნდა დაირღვეს, დაიქ-  
ცეს და მათ ნანგრევზე აშენდეს და დაფუძნდეს ახალი წეს-  
დებულება მებატონეთა და გლეხთა შორის. ამ დღით საქ-  
თველო მიიღებს ახალსა სახესა, ახალსა ცხოვრებასა.

რაოდენსაც განვიხილავთ ამ საგანსა, მხოლოდ ვხედავთ  
ერთსა. აუცილებლად მებატონეთ უნდა შესწირონ მსხვერპლი  
შექლებისამებრ: მაგრამ ამ დანაკლისში, ვითარცა ქრისტიანები,  
უნდა ვნუგეშობდეთ იმ აზრით, რომ ასი ათასი სული თავი-  
სუფლდება, ასი ათასი სული გამოდის საშინელის მდგომარე-  
ობისაგან. ნუ გეწყინს ეს სიტყვა. კაცი ჩვენებრ დაბადე-  
ბული, რომელსაცა საქვეყნოს საქმეში არა აქვს არცა ხმა,  
არცა რაიმე უფლება, რომლისთვისცა თითქმის სამართალშიც  
არა სწერია სანუგეშოდ და რომელსაც არცა აქვს საკუთრე-  
ბა, რა არის მართლად, თუ არა ტყვე? — კიდევ ვამბობ: ნუკ-  
გეწყინებათ ეს სიტყვები, არამედ სულით მივჰმადლოთ კაცთ-  
მოყვარეს ხელმწიფესა, რომელმანცა ნებითა თვისითა დაგ-  
ვადგინა ჩვენ ჰუმარიტს, ქრისტიანულს გზაზედ“.<sup>1</sup>

გრ. ორბელიანის ამ სოციალური შეხედულებების გაცნობი-  
დან აშკარაა, რომ პოეტისათვის ღირებულ თვისებას, ადამი-  
ანურს ღირსებასა და კაცურ კაცობას ბუნებისაგან მომად-  
ლებული მაღალზნეობრივი ადამიანური ნიშნები ქმნიან. კ-  
ცი ყოველთვის კაცად რჩება გრ. ორბელიანის პოეტურ წარ-

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959, 33  
304—305.

მოდგენაში, იქნება ეს დარდიმანდი ყარაჩოხელი ლობიანს  
თუ ბეჟანა მკერვალი.

ჯერ კიდევ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ადრეულ  
ეტაპზე გამოავლინა ეს პოზიცია პოეტმა, როცა ბეჟანა მკერ-  
ვალს ათქმევინა:

„ბედმან დაამხო რაყიფი დიდ-კაცი,  
მაგრამ მე კი ისევ ის ვარ, ბეჟანო,  
რომელს დარჩა ბურთი და მოედანი“.  
(„მეზამზაზი“)

ასე თანდათანობით იკაფავს გზას და გრ. ორბელიანის  
პოეზიაში მკვიდრდება არა მარტო მისი „სადღეგრძელოს“,  
არამედ მთელი ჩვენი ლიტერატურის დამამშვენებელი, მა-  
ღალი სოციალური შინაარსის გამომხატველი მჭევრმეტყვე-  
ლური მოწოდებანი:

„სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ემს გრძელსა,  
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა-რას აკგებს მამულსა.  
მის სადიდებლად ჩვენც შევხვდეთ უშიშრად ათასს მახვილსა,  
და მოვკვდეთ, თუკი სიკვდილით ვადიდებთ მისსა სახელსა“.

ეს არის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით გაბრწყინ-  
ებული სტრიქონები, რომელიც არა მხოლოდ ქართველის  
მამულიშვილურ გრძნობებს ჰფენს სიამეს, არამედ ყველა იმ  
ადამიანს, ვისაც თავისი ქვეყანა და ხალხი უყვარს.

გრ. ორბელიანის სოციალური ინტერესები ცოცხალი, რე-  
ალური სინამდვილის გაუმჯობესებისა და ჯანსაღი ადამიანუ-  
რი ურთიერთობის დამყარებისკენაა მიმართული, როცა ყო-  
ველი დროისათვის აუცილებელი ჰუმანური, ზოგად სოცი-  
ალური იდეალების გამეფების საჭიროებას ქადაგებს პოეტი:

„რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?  
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი?  
თუ არა ესდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?  
სხვის კენესა თუ არ გვაწუხებს, სხვისი არ გვესმის ტყვილი?“

გრ. ორბელიანის ამგვარ მოწოდებათა მთელი პათოსი იმა-  
ში მდგომარეობს, რომ ემსახუროს სიკეთეს, სათნოებას:

აცხადებს პოეტი, რითაც ადამიანური არსებობის შინა-  
არსად სულიერ ამალღებას სახავს:

„შიეციო ნიქსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას!  
ნიქს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარის-შვილობას!“

გრ. ორბელიანის სოციალურ მრწამსზე შედარებით მკა-  
ფიოდ მისი „მუშა ბოქულაძე“ მიგვანიშნებს.

„ნუთუ მართლა კაციც არა გგონივარ,  
რადგანაც ვარ სიღარიბის სამოსლით,  
არა მქონდეს კეთილისა გრძნობაცა...  
ეჰ, ძმავ, წადი შენ შენს გზაზე სიმღერით...  
მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვიხსნი,  
სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი,  
საუკუნოს განსასვენსა ალაგსა!“...

გრ. ორბელიანის სოციალური მრწამსი ამ თხზულებაშიც  
უცვლელია და მყარი. პოეტი აქაც, ისევე როგორც მთელ  
თავის შემოქმედებაში საერთოდ, ქრისტიანული ჰუმანიზმის  
და „მოთმინების“ მქადაგებელია.

უნდა ითქვას, რომ პოეტის სიმპათიები ყოველთვის  
ჩაგრულ ადამიანთა მხარეზეა და მათი ბედის გულშემატკივ-  
რად რჩება იგი. სწორედ ეს გარემოება მიიჩნია გრ. ორბე-  
ლიანის შემოქმედების ერთ-ერთ დიდ ღირსებად „ახალმა  
თაობამ“ და კერძოდ, ილია ჭავჭავაძემ, როცა გრ. ორბელიანს  
„ძველისა და ახალის შემაერთავე ხიდი“ უწოდა და ახალი  
დროის მოწინავე აზრთა ქროლვასთან ახლო მდგომ დიდ ხე-  
ლოვნად გამოაცხადა იგი.

#### 9. ბუნება ბრიჯოლ ორბელიანის შემოქმედებაში

გრ. ორბელიანს, მრავალი ცნობილი რომანტიკოსის მსგავსად,  
მიიჩნია, რომ ბუნების მშვენიერება ურთულეს ფენომენ-  
თაგანია და მისი წვდომა გამორჩეულ უნარს მოითხოვს ხე-

ლოვანისაგან. ბუნებაში გამოვლენილი მშვენიერება ღმერთის, შემოქმედის მიერ შექმნილი მშვენიერებაა და ჩვეულებრივ ადამიანს მისი სრულყოფილად აღწერისათვის ვერ შეუძლია წევს ძალა. ეს აზრი კარგადაა გამოხატული გრ. ორბელიანის „მოგზაურობის“ იმ სტრიქონებში, სადაც კავკასიონის მთების სილამაზეა აღწერილი: „კაცი იხილავს რა დიდმშვენიერებასა ბუნებისასა, უნებლიეთ მდუმარებს დაფიქრებული... კაცისა ხელ ფრიად სუსტ არს აღსაწერად დიდებულებითისა ბუნების მშვენიერებისა. ყოვლად შემძლეობა შემოქმედისა აღბეჭდილ არს ამა მთათა ზედა, რომლის ხილვითა განცვიფრდების, ჰკრთების და იკარგების გონება კაცისა“-ო. ამ მოსაზრების გაცნობიდან ჩანს, რომ გრ. ორბელიანს ბუნების მშვენიერება, მისი სიდიადე ამაღლებულ მოვლენათა რანგში აქვს დანახული და მისთვის ეს ამაღლებულობა განხილულია და განცდილია როგორც მშვენიერების ერთი სფერო. ამაღლებულია თავისი ხასიათით მშვენიერება ბუნებისა იმიტომაც, რომ იგი ღვთაების, შემოქმედის ნების გამოვლენაა. ღმერთის მიერ შექმნილი ბუნების მშვენიერების ამოუწურაობის განცდა კარგადაა გამოხატული „სადღეგრძელოს“ შემდეგ სტრიქონშიც:

„ღმერთო, ვინ მიასწავდეს შენგან ქმნის, მისს ფერ ეთვალავს  
შეენებას?-

როგორც ვხედავთ, გრ. ორბელიანს ბუნებისადმი მიმართების საკითხში გარკვეული ესთეტიკური პოზიცია აქვს. ჩვეულებრივი ადამიანი უძლურია გადმოსცეს, შემოქმედებით ენაზე თარგმნოს ღმერთისაგან შექმნილი მშვენიერება ბუნების სახით. ღმერთის, როგორც შემოქმედის, წარმონაქმნს არ შეიძლება მეტოქეობა გაუწიოს, თუნდაც შემოქმედი ადამიანის „სუსტმა ხელმა“; ადამიანი ნაწილობრივ თუ შესწვდება ბუნების დიად საოცრებას, ბუნებას როგორც მშვენიერების ფენომენს. ერთი მხრივ, ეს არის გრ. ორბელიანის, როგორც ხელოვანის თვალსაზრისი ბუნების მშვენიერების შესახებ; მეორე მხრივ, გრ. ორბელიანს აქვს თავისებური მანერა ბუნების სიმშვენიერის გადმოცემისა, რაშიც,

ბუნებრივია, გარკვეულად არის კიდევ გამოხატული მისი თვალსაზრისი.

ავიღოთ, მაგალითად, ბუნების შეგრძნების მხრივ ერთი საუკეთესო ლექსი „სადამო გამოსაღმებისა“:

„შე ჩაესვენა, მის შუქი გამოსაღმის ემს კავკასსა,  
თავსა ეხვევა აღერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!  
ბუმბერაზ მთანი მღუმარედ ცათამდის აყუდებულნი,  
მსხედან ვით დევნი, სპეტაკის უინულ-გვირგვინით შემკულნი!  
წყალნი მთით დაქანებულნი აღმასებრ უფსკრულს მსცვივიან,  
თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებია!“

როგორც ჩანს, ბუნების ხილვა ნაირნაირ ასოციაციებს იწვევდა პოეტში: ამასთან, ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზემომოყვანილი ბუნების პლასტიკური სურათი რეალისტური მანერით ასახული სურათია: მაგრამ აქ დაახული ბუნება მხოლოდ ფონია იმისათვის, რომ პოეტმა გაიხსენოს ამ ბუნების წიაღში სატრფოსთან განშორების წუთები. საკმარისია თვალი მივაღწევნოთ პოეტის განცდათა დინებას, რომ დავრწმუნდეთ: გრ. ორბელიანისათვის კავკასიონის ბუნების მშვენიერება ასოციაციათა აღმძვრელია. კავკასიონის მთებზეო, — გვეუბნება პოეტი, — „შეწუხებული ვემზერ გზას... ეტლი ჰრბის, სატრფო მშორდების... თანა მსდევს ჩემი მას სული“. ბუნების სურათების დახატვისას, აქაც და სხვა შემთხვევაშიც, ვგრძნობთ, რომ გრ. ორბელიანი ამ ბუნების განსაკუთრებული მოყვარულია, რომ ეს ბუნება მისთვის შეუცვლელია, სხვა ადგილი შეიძლება მოსწონდეს, მაგრამ ეს საქართველოს ხედები პოეტს უყვარს. ასეა ბუნება ასახული ლექსში „იარალის“. აქ წარმოდგენილი „ცა-მშვენიერი“ ეს „მშობლიური ცაა“, ნიავიც — „კოჯრის ნიავია“.

გარკვეულ იდეას ექვემდებარება უმეტესწილად გრ. ორბელიანის შემოქმედებაში გამომჟღავნებული ბუნების გრძობა. ყველაზე მკაფიოდ მაინც ეს „სადღეგრძელოშია“ მოცემული, როცა პოეტი საქართველოს მთების, მისი ხედის ცქერით ტკბება და მის სიყვარულში გადნობას ცდილობს:

„სად მთანი უინვის გვირგვინით არიან ცაღმდე ასულნი  
და მღინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე მსროლულნი;

უფსკრულნი — ჩაბნელებულნი, კლდენი — თვალ-გაღმწეველნი,  
სად მონადირე ჰსდევს ჭიხვსა და მის ქვეშ ჰვლენან ღრუბლები,  
სად ველნი, ფერით ზურმუხტნი, ნაზადა აღმწეანდებიან,  
მათზე კასკასით წყარონი, გახარებულნი მორბიან;  
მათ სიკამკამეს ყვაულნი თავ-დახრით განცვიფრდებიან;  
გულს მათი ხილვა უხარის, თვალთ კვალად ენატრებიან.

ბუნების სურათთა ამგვარი ხილვისა და შერჩევა-განსახიერების სუბიექტური მანერა, როცა პოეტი პატრიოტულ განწყობილებას მიიჩნევს ამოსავალ პრინციპად ბუნების მშვენიერების ასახვისას, იმას მოწმობს, რომ გრ. ორბელიანის პოეზიაში რომანტიკოსის თვალით დანახული ბუნებაა წარმოდგენილი. პოეტს მის „მე“-სთან, მის ქვეყანასთან, საკუთარ განცდებთან, ამ განცდების გახსენებასთან დაკავშირებული ბუნება ხიბლავს, იზიდავს და ესაა მისი გამოსახვის მთავარი საგანი. რასაკვირველია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ გრ. ორბელიანი მოკლებული იყოს ბუნების სხვაგვარი ხილვის უნარს. ამას თუნდაც „სადღეგრძელოს“ ბრწყინვალე ტრიქონები მოწმობს:

„ცისკარმან აღმოსავლეთით ვარდისა ფერად შეპლება...“

მაგრამ აქ უფრო ღმერთის წინაშე აღამიანის მოწიწება, საკუთარი სისუსტის აღიარება ჩანს. ბუნების მშვენიერების შესახებ ჩვენი პოეტის ზოგადი პოზიცია იკვეთება და ნაკლებ ვამჩნევთ გატაცებას, ან უკვე იმ თავდავიწყებას, რასაც საკუთრივ საქართველოს ბუნების დახატვისას იჩენს გრ. ორბელიანი. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში მისი პოეტური ოსტატობის დონე ოდნავად ჩამორჩებოდეს პატრიოტული ნიშნით აღწერილ ბუნების სურათებს.

გრ. ორბელიანი, ისევე როგორც ყოველი რომანტიკოსი, საკუთარი განცდების შესატყვისის ეძებს და პოულობს ბუნებაში, იჭნება ეს პატრიოტული გრძნობის განსახიერებისას. თუ სასიყვარულო განცდათა დახასიათების პროცესში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა „გაზაფხული“, „ღამე“, „მოგონება“, „აღბომში ღრაფინია ოპერმანისას“ და განსაკუთრებით მისი „მოგზაურობის“ ცალკეული ადგილები. თუმცა, გრ. ორბელიანის, როგორც ბუნების გრძნობის განსაკუთრე-

ბული, რომანტიკული ხილვის უნარით დაჯილდოებულ ზე-  
ლოვანის, შესაძლებლობათა საჩვენებლად ხელშესაჩვენსა-  
თვალსაჩინო მასალას ჩვენ მიერ განხილული „საღამო კამო-  
სალმებისა“, „იარალის“ და „სადღეგრძელო“ იძლევა.

10. გრიგოლ ორბელიანი — ქართული ეპისტოლარული ლირიკის  
ფუძემდებელი

რამდენადაც ეპისტოლარული ლიტერატურა გულისხმობს  
რომელიმე პირისადმი წერილობით მიმართვას, რამდენადაც  
ყოველგვარ უანრში ჩართული ეპისტოლე (წერილი, ბარათი)  
ლირიკის თვისებებს შეიცავს, ამდენად გადაუჭარბებლად შეიძ-  
ლება ითქვას, რომ საკუთრივ ლირიკაში გამოვლენილი ინტე-  
რესი პიროვნების სულიერი მოძრაობის დახატვისადმი ლი-  
რიკულის უმაღლეს ფორმად შეიძლება იქნას მიჩნეული. თუ  
ამ კრიტერიუმებით მივუდგებით გრ. ორბელიანის ლექსს —  
„ჩემს დას ეფემიას“, ვნახავთ, რომ ეს ქმნილება ქართული  
ეპისტოლარული ლირიკის შედევრს წარმოადგენს. ამიტომაც  
აყენებენ მას ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის დონეზე<sup>1</sup> და  
თვლიან, რომ „იგი სინთეზია ყოველივე იმისა, რაც კი ნი-  
კოლოზ ბარათაშვილამდე XIX საუკუნის ქართულ ლირი-  
კაში თვისობრივად ახალი გაკეთდა“.<sup>2</sup>

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ყოველგვარი მიძღვნილი  
ხასიათის ლექსი არ შეიძლება გავაიგივეოთ ეპისტოლარულ  
ლირიკასთან; ეპისტოლარული ლექსი სწორედ წერილობითი,  
ბარათის ფორმით წარმოდგენილი მიმართვაა, სადაც გადმოშ-  
ლილია სუბიექტის სულიერი ცხოვრების უინტიმურესი ფე-  
ნები. ქართული პოეზია მიძღვნილი ხასიათის მრავალ ლექსს  
იცნობს, მაგრამ ისინი ვერ ჩაითვლებიან ეპისტოლარული ლი-  
რიკის ნიმუშებად, რამეთუ ბარათის სახე, წერილობითი მი-  
მართვის ნიშნები არ გააჩნიათ და, მაშასადამე, ლირიკულ  
მღელვარების იმ თვისებას არ ავლენენ, რასაც, როგორც

<sup>1</sup> გრ. კიკნაძე. მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957, გვ. 307.

<sup>2</sup> დ. წერეთლიანი, დასახ. წიგნი.

თავისი წარმომავლობით, ისე არქიტექტონიკითა და განცდითა  
დინებით, უნდა გვიდგენდეს „ეპისტოლეს“ საკუთრები შიშვენიერი  
ნაარსი.

„ჩემს დას ეფემიას“ რომ იმთავითვე სწორედ „ეპისტო-  
ლეს“ ფორმითაა შექმნილი, რომ ის გამიზნულია მაინც და  
მაინც ბარათში მოაქციოს დის მიმართ საკუთარი ნაგრძობ-  
ნაფიქრი, ამას გრ. ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდ-  
რეობიდანაც ვიგებთ. ამას მოწმობს პოეტის მიერ 1835 წლის  
29 ივლისს სალომე ჭავჭავაძისადმი მიწერილი ბარათი, სა-  
დაც ვკითხულობთ: „ეს ლექსები, რომელიც არის მიწერილი  
ჩემს დასთან (იგულისხმება „ჩემს დას ეფემიას“ — ი. ე.),  
მომირთმევიან თქვენთვის, სადაცა არის აღწერილი ჩემი საბუ-  
რობილესი ყოფნა. — წაიკითხეთ ყურადღებით და მომწერეთ  
სწორე თქვენი ჰაზრი“.1 ამ ლექსს რომ ეპისტოლარული ფორ-  
მა აქვს, ვრწმუნდებით ამავე წელს პოეტისადმი გაგზავნილ  
მანანა ორბელიანის წერილიდან: „შენი ლექსებიც მოგეწერა.  
მე დიდათ მომწონს შენს დასთან მიწერილი ლექსი. მთლად  
ერთიანად პოეზიით არის სავსე“...2 მართლაც, როცა ვკით-  
ხულობთ დიდი შინაგანი ინტიმით აღსავსე ლექსის უმშვენი-  
ერეს საწყისს სტრიქონებს:

„ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად სასიხარულოდ,  
ლხენად გლახ გულის უღროოდა მწარ დამკენარისა,  
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ.  
და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ მხვედრისა!  
ცხოვრების ბნელ გზას შენ მინათი შვების ვარსკვლავი,  
შენის ღიმილით შექმუხენილი სახე მინათლე,  
შენი ალერსი მშვიდი, წყნარი, მიხარის შორით  
და გულ დაჩაგრულს მენატრების კვალად სიციცხლე.“

და ბოლოს კი მის ფინალს:

1 გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი პირველი, აკაკი გაწერე-  
ლიას რედაქციით და შენიშვნებით, ტფ. 1936, გვ. 33.

2 მანანა ორბელიანის ბარათი გრიგოლ ორბელიანისადმი, 1835 წელი,  
30 სექტემბერი. იხ. გრ. ორბელიანის წერილები, საქართველოს ცენტრ-  
ლური საისტორიო არქივი, ფონდი № 481, აღწერილობა № 2, საქმე  
№ 364, გვ. 20.



„მისთვის ვლოცავ ცას, შავნი დღენი ჩემთვის შთომილნი,  
არ შექსწედნენ, ვიდრე კვალად ჩემთა თვალთ არ გიხილდნენ...  
და მაშინ, ოდეს საუკუნოდ მივლულო თვალნი, გიხილდნენ...  
მშობლიურ მიწა ხელთა შენთა გულს დამაყარონ.“

აქ არა მხოლოდ მიმართვის ფორმები, საკუთარ პიროვნულ სამყაროზე მიმთითებელი გამოთქმებია ეპისტოლარული, ლირიკული ატმოსფეროს შემქმნელი, არამედ გარდასულ დღეთა მოგონების ის თხრობითი ფორმა, რომელშიც მოქცეულია გრიგოლ ორბელიანის მწარე ნადველით შეფერილი პიროვნული სულიერი ცხოვრების ისტორია. პოეტის ჩაღრმავება საკუთარ თავში, გახსენება და ხელახალი აშლა განვლილი გრძნობებისა აღძრავს წუთისოფლის ამათებაზე ფიქრს, „უსაგნოდ, უიმედოდ“ ყოფნის განცდას. „უბედობის გრიგალის ქროლვა“ შობს „გულის სიღრმით აღმოსულ“ „ობნობას“ და ამტკიცებს სასომიხდილ მგოსანში იმ აზრის ჭეშმარიტებას, რომ „მწუხარების დროს უამნი მსწრაფლნი ვლიან ნელიად“. ასეთ პირობებში საკუთარი უბედურების შეგნებას აორკეცებს იმის გახსენებაც, თუ სამშობლოსაკენ მომავალი პოეტი „მშობლის ხვევნის წილ“ რანაირად ჰვდება „მის სამარეს“. გრ. ორბელიანი ამ ლექსში პიროვნულ-ინდივიდუალური განცდის განზოგადოებას ახდენს; ამიტომაც გვხვდება აქ მითითება „უბედობასა“ და „ველურსა“ და „საზარელ“, „უცნობ“ „ხმაზე“, რომელიც მისი სულიერი ცხოვრების მამოძრავებელ მოტივთაგანია. ამიტომაც სავსებით მართებულად არის აღნიშნული, რომ „ჩემს დას ეფემიას“ თითქოს... დისადმი მიმართული ჩვეულებრივი ინტიმური... ლექსია, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. სინამდვილეში ის შორს სცილდება ვიწრო ოჯახურ ფარგლებს როგორც წყობით, ჩასიათით, ასევე შინაარსით, და ეხება ზოგადკაცობრიულ პრობლემას, ადამიანის ბედის მარადიულ თავსატეხს<sup>1</sup>. ამ ნიშნითაც უწევს ის ერთგვარ ლიტერატურულ წინაპირობას თავის გენიალურ დისწულს, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ შექმნის უკვდავ „მერანს“... გარდა ამისა, დაძმობის თემაზე ქართულ ლიტერატურაში არც გრ. ორბელიანამდე და

<sup>1</sup> ელგუჯა მადრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1967, გვ. 164.

არც შემდეგ არ ვხვდებით ისეთი სიღრმით დაწერილ ლექსს, რომელიც პიროვნულ-ინტიმურში ათავსებდეს ასე ღრმად ზოგადსა და ფილოსოფიურ წყობას განცდისა და აზრისა, რითაც „ჩემს დას ეფემიას“ ხასიათდება. იმიტომაც უფრო მაღლდება ფასი და მნიშვნელობა გრიგოლ ორბელიანის ამ შესანიშნავი ეპისტოლარული ლექსისა, რომ დიდი ილიას სიტყვებით „მწერლობა ჩვენი, ოცდაათიან წლებში... პირველ ხანს უფრო შინაური საქმე იყო“... რადგან „მაშინ არც ქურნალ-გაზეთობა იყო, არც ჩვეულობა ცალკე წიგნად ბეჭდვისა“. „რაკი კაცს ხელთ შერჩა მარტო თავის-თავიდა, სხვა რა ექნა, რომ უსაგნო გარეშემოსაგან ლტოლვილი თვალი — თავის საკუთარ გულში არ ჩაეხედებინა და აქ არ მოეკლა წყურვილი გულთათქმისა და ჭკუა-გონების ხედვისა“. გრ. ორბელიანმა ეპისტოლარულ ფორმაშიც მოახერხა ეგზიმოზინებინა მკითხველისათვის უაღრესად პიროვნულ-ინდივიდუალურ განცდათა სოციალური ღირებულება, როცა ფილოსოფიური დაფიქრების ელემენტებით დატვირთა დისადმი მიმართული ეპისტოლე-ლექსი.

11. ბრიტოლ ორბელიანი როგორც პოლემისტი პოეტი

გრიგოლ ორბელიანი ჩვენს ლიტერატურაში განსაკუთრებული პოლემიკური ნიჭით დაჯილდოებული პოეტიც აღმოჩნდა. მართალია, „ისტორია პოლემიკური ლირიკისა, — საზოგადოდ, ჯერ ვერ დაიწერა, მაგრამ ამა თუ იმ ხელოვანის საპოლემიკო საგანი და საკითხი აღირიცხა და მათდამი მიმართებასაც კვალიფიკაცია მიეცა“.<sup>1</sup> არადა არსად ისე ცოცხლად არ ჩანს ამა თუ იმ ხალხის თუ ცალკეული შემოქმედის საარსებო ინტერესთა მასაზრდოებელი სულიერი მოტივები, როგორც პოლემიკის პროცესში. მით უფრო გამორჩეულია ამ თვალსაზრისით ლირიკის სფერო, რადგან, როგორც მიუთითებენ, „ლირიკული თხზულება, თუ იგი უშუალოდისა და გულწრფელობის ნიშნითაა აღბეჭდილი, ყველაზე უფრო ცხა-

<sup>1</sup> გრ. კვიციანი, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 295.

დად გვიდგენს ავტორის პოზიციას და მის ემოციას სიმართლურს. ეს უკანასკნელი მომენტი ხშირად პოლემიკურ დონეზე გადასვლის სატირულ ნიშან-თვისებასაც ანიჭებს და ამიტომ „სტირული მომართვა პოლემიკური ლირიკის ჩვეულებრივ ფორმადია მიჩნეული“.<sup>1</sup>

ქართული პოლემიკური ლირიკის ისტორიაში გრ. ორბელიანს ჯეროვანი ადგილი უკავია, რადგან თავის დროზე პოეტს, გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა თუ პიროვნულ მიზეზთა გამო, შესაძლებლობა მიეცა შეემოწმებინა საკუთარი მხატვრული ტალანტის ძალა პოლემიკის სფეროშიც. უკვე მოხუცებულ პოეტს განგებამ წილად არგუნა კამათში ჩაბმულიყო პოლემიკური უნარით დაჭილდობებულ ისეთ დიდ პოეტურ ტალანტებთან, როგორც ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იყვნენ. რასაკვირველია, ასეთ ბრწყინვალე სახელთა გარემოცვაში გრ. ორბელიანის ავტორიტეტის ჩართვა მეტ ინტერესს სძენს ქართულ ლიტერატურაში XIX საუკუნის 70-იან წლებში გაშლილ პოლემიკას და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ასაკობრივად ქარმაგი პოეტის გონებრივ სიმკვირცხლესა და გულმხურვალეობაში.

ჩვენს სინამდვილეში თუ საფუძვლიანად არის შესწავლილი აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის პოლემიკური ლირიკა,<sup>2</sup> ამას ვერ ვიტყვით გრიგოლ ორბელიანის შესახებ. ხოლო თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ამ დიდ ხელოვანთა პოლემიკური შესაძლებლობების ერთი საგულისხმო ნაწილი სწორედ გრიგოლ ორბელიანთან კამათში გაიხსნა, მაშინ ვასაგები იქნება საგანგებოდ მისი დახასიათების აუცილებლობა.<sup>3</sup> რაკი ილიასა და აკაკის საპოლემიკო ერთ-ერთი ობიექტი გრიგოლ ორბელიანიც იყო, ცხადია, მათი პოლემიკური ოსტატობის ნათელსაყოფად შესაპირისპირებელ ფონად გრიგოლ ორბელიანის ლექსებიცაა ხშირად მოხმობილი, რათა აზ-

<sup>1</sup> გრ. კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 295.

<sup>2</sup> დაწერილებით იხ. გრ. კიკნაძე, აკაკი წერეთლის პოლემიკური ლირიკა, ლიტერატურის თეორიის და ისტორიის საკითხები, თბ., 1978.

<sup>3</sup> ლ. შინაშვილი, ილია — პოლემისტი პოეტი, ილია ჭავჭავაძის ლირიკა (შემოქმედებითი ასპექტების დახასიათებისათვის, თბ., 1977).

ვენონ „ახალი თაობის“ იდეური და მხატვრული უპირატე-  
სობა „ძველთან“ შედარებით, მაგრამ სწორედ ამის გამო  
სისრულით არაა წარმოდგენილი თვით გრ. ორბელიანის პო-  
ლემიკური ლირიკის საკუთრივი შინაარსი, მისი მხატვრული  
ხემოქმედების მასშტაბები.

გრიგოლ ორბელიანის პოეტურ ოპონენტთა პოლემიკური  
ნიჭის სპეციფიკის საჩვენებლად გარკვევითაა ნათქვამი, რომ  
„თვითონ კამათი, თვით პოლემიკა, — როგორც ასეთი, — არ  
არის ილიას ლირიკის შინაგანი მოთხოვნილება. ის არ იწვევს  
ილია ჭავჭავაძის ტკობას, თვითონ ილია არ ეძებს საპოლე-  
მიკო ვითარებას, ანუ პოლემიკა არაა მისი ლირიკული სწრაფ-  
ვის საგანი“... აქედან გამომდინარე ბუნებრივია დასკვნაც,  
რომ „პოლემიკა ვერ დაახასიათებს ილია ჭავჭავაძის ლირი-  
კული ნიჭის თავისებურებას საზოგადოდ“.<sup>1</sup> მაგრამ არსე-  
ბობს ილია ჭავჭავაძის როგორც საზოგადოდ პოლემისტის  
ხსვაგვარი შეფასებაც, რომლის მიხედვით „ილია მხოლოდ  
ისეთი პოლემისტი კი არ იყო, რომელსაც ბრძოლა შეეძლო,  
არამედ ისეთი, რომელსაც შეეძლო მოწინააღმდეგის გამოწ-  
ვევა საქამათოდ. ეს მნიშვნელოვანი მხარეა პოლემისტის ბუ-  
ნებისა. ერთია, როცა თავდასხმის დროს ხმას აიმაღლებ თავ-  
დასაცავად, ასეთ შემთხვევაში მოტივები კამათისა მომეტე-  
ბულად თვით მოკამათის გარეა, მას აიძულებენ, რომ იკამა-  
თოს. ხოლო მეორეა მოპირდაპირის გამოწვევა, ხელშეწყობა  
საწინააღმდეგო აზრის გადმოშლისა, თუკი არსებობს ასეთი  
საწინააღმდეგო აზრი“.<sup>2</sup> ასეთ პირობებში ილიას პოლემიკუ-  
რი ლირიკის წარმმართველი საბუთიანობა და არგუმენტი-  
რებაა.<sup>3</sup>

სულ სხვაა ხასიათი აკაკი წერეთლის პოლემიკური ლირი-  
კისა. გამორკვეულია, რომ „აკაკი ძალიან გამოკვეთილი პო-  
ლემიკური ბუნების პოეტია. მისი პოეტური არსებობის ერ-  
თი და უმთავრესი ფორმაა კამათი, დაპირისპირება და გა-

<sup>1</sup> გრ. კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები,  
თბ., 1978, გვ. 299—300.

<sup>2</sup> ლ. შინაშვილი, ილია ჭავჭავაძის ლირიკა, თბ., 1977, გვ. 119.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 120.

კენწვლა“.<sup>1</sup> ამასთან, ილია ჭავჭავაძისაგან განსხვავებით თუკ-  
მე „პოლემიკური სიტუაცია ჩვენი პოეტის შემოქმედებით  
ბიძგიცაა (მიზეზი კი არა, ბიძგი) და ესთეტიკურად და-  
მატებობელი ატმოსფეროც“.<sup>2</sup> განსაკუთრებით აღსანიშნა-  
ვია ის, რომ პოლემიკა აკაკის პოეტური ბუნების აუცი-  
ლებელ მონაცემადაა ჩათვლილი და ხაზგასმულია, რომ ამის  
გამო „მისი პოლემიკა უაღრესად ემოციურია“... კონკრეტუ-  
ლი შინაარსისაა და ამიტომ დამარწმუნებელიცაა. აკაკის პო-  
ლემიკაში ჩანს მისი შეუღრეკელობა, შეურიგებლობა, რაც  
თავის კონკრეტულ გამოხატულებას მოუერიდებელს თუ არა,  
თამამ ტონში პოულობს“... ამიტომაც „მას ახლა აღარ აქვს ის  
ძალა, რაც თავის დროზე ჰქონდა. ეს მოითხოვს მისი შეფასები-  
სას ისტორიულობის პრინციპის განსაკუთრებულსა და ხაზგას-  
მულ დაცვას“.<sup>3</sup> ყოველივე აღნიშნულის გახსენება მხოლოდ  
იმიტომ დაგვჭირდა, რომ ნათლად წარმოვისახოთ ის ლიტე-  
რატურულ-პოლემიკური ატმოსფერო, რომლის წიაღში მო-  
უხდა თავისი პოეტური და პოლემიკური ენერჯიის დემონსტ-  
რირება გრიგოლ ორბელიანს. ამასთან საგანგებოდ აღსანიშ-  
ნავი ისაა, რომ მსცოვანი პოეტი უმშვენიერესი პოეტური ნი-  
ჭის ახალგაზრდა თანამოკალმეებთან თანამდგომის როლში კი  
არ გამოდის, არამედ მოწინააღმდეგისა. ამ დროისათვის, თა-  
ვიანთი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ილია ჭავჭავაძე-  
სა და აკაკი წერეთელსაც უკვე აქვთ სათანადო პოლემიკური  
წრთობა, გავლილი აქვთ, თუ შეიძლება ითქვას, გარკვეული  
ლიტერატურული სკოლა. ამ თვალსაზრისით ისინი ქართულ  
სინამდვილეში ერთგვარი ისტორიის მქონე მწერლები არიან  
და, ცხადია, ესეც მათ, როგორც პოლემისტ პოეტებს, საზო-  
გადოების თვალში ერთგვარ უპირატესობას აძლევს.

ვისაც კრიტიკის სუსტი უწვნივია და პოლემიკის აღში მოხ-  
ვედრილა, მას კარგად მოეხსენება, თუ რას ნიშნავს კრიტი-  
კისა და პოლემიკის შეუჩვეველი პიროვნებისათვის პირველი  
კრიტიკა, ლიტერატურული „გაკენწვლა“ და ზოგჯერ ლანძლ-

<sup>1</sup> გრ. კიკნაძე, აკაკი წერეთლის პოლემიკური ლირიკა, დასახ. წიგნი, გვ. 295.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 296.

<sup>3</sup> გრ. კიკნაძე, დასახ. წიგნი, გვ. 301.

ვაც. როცა ეს გზა გავლილია, მას უკვე აღარ უჭირს შეგუბება  
შემდეგ და შემდეგ წამოჭრილ კრიტიკულ-პოლემიკურ  
ტუაციებთან... ილია და აკაკი კი ჯერ კიდევ 60-იან წლებშივე  
ნაზიარები იყვნენ პოლემიკის ლიტერატურულ აე-კარგს. ამი-  
ტომაც, როცა 70-იან წლებში სულ სხვა ნიადაგზე, მაგრამ  
მაინც, კვლავ წამოიჭრა პოლემიკის აუცილებლობა, ისინი ში-  
ნაგანად შემზადებული შეხვდნენ ამ ფაქტს. უფრო მეტიც:  
ამჯერადაც პოეზიის სფეროში, მაგრამ მაინც, პოლემიკის წა-  
მომწყები ისევ და ისევ ილია ჭავჭავაძე გახდა; გრიგოლ ორ-  
ბელიანი კი თავისი პოეტური ბედით განსხვავებული ნატურა  
იყო. მართალია, მისი მხატვრული ნაწერები ახალგაზრდობა-  
ში სრულიად გარკვეული მიზნისა გამო არ ქვეყნდებოდა,  
რომ ფართო საზოგადოება გამოსულიყო ამ ქმნილებათა შემ-  
ფასებლად და მსაჯულად, მაგრამ როგორც პოეტის ეპისტო-  
ლარული მემკვიდრეობიდან ჩანს, დახვეწილი გემოვნების  
არისტოკრატთა წრე დიდ მოთხოვნილებებს უყენებდა მგო-  
სანს, იწონებდა, შემოქმედებითი მუშაობისათვის აქეზებდა  
და ერთგვარად კიდევ ანებივრებდა კავკასიის ომების გმირ-  
სარდალს, იქნება ეს ჟერმენა დე სტალით გატაცებული მანა-  
ნა ორბელიანი, პოეტის გენიალური დისწული ნიკოლოზ ბა-  
რათაშვილი, თუ ქართველ მგოსანთა შთაგონების უშრეტი  
წყარო, ცნობილი ეკატერინე ჭავჭავაძე. ქება და დაფასება  
გრიგოლ ორბელიანს მოგვიანებითაც არ მოჰკლებია.

ილია ჭავჭავაძემ თავის პირველსავე კრიტიკულ სტატი-  
აში „ორიოდე სიტყვა“ მაღალი შეფასება მისცა გრ. ორბე-  
ლიანის პოეზიას. მისი ლექსები დაასახელა როგორც ჭეშმა-  
რიტი პოეზიის ნიმუში, შემდეგ ლავრენტი არდაზიანმა, გი-  
ორგი წერეთელმა და სხვებმა დამსახურებული ქებით მოიხ-  
სენიეს და დაახასიათეს გრ. ორბელიანის შემოქმედება... ყო-  
ველივე ამან საზოგადოების იმ საერთო ალტაცებასთან ერ-  
თად, რასაც სამართლიანად იწვევდა მისი ქმნილებები, ცხა-  
დია, გრ. ორბელიანი შეაჩვია კომპლიმენტს და ქებას; რასაც  
ვირველია, ქებაც და ალტაცებაც ყველა შემთხვევაში საფუძე-  
ლიანი იყო და სამართლიანიც, მაგრამ ამ ფონზე, პოეტისათ-  
ვის მოულოდნელი აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის „გამოცანებ-  
ში“ გახმაურებული მისი სახელი...

ილიამ და აკაკიმ, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივ რეზზე გამოსვლა შეტევით დაიწყეს... ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მათ სავსებით გაცნობიერებული ჰქონდათ პოლემიკის სანიშნედ აღებული ობიექტის ღირსებაც და ნაკლიც. ხოლო, როდესაც 70-იან წლებში კრიტიკულ-პუბლიცისტური ჟანრიდან ლირიკის სფეროში გადაინაცვლა პოლემიკამ, აქ მათი უღალატო დასაყრდენი აღმოჩნდა: დიდი მხატვრული ტალანტით ნასაზრდოები ლალი პოეტური ფანტაზია და ქვეშაობით მგოსანთა უტყუარი იარაღი — მდიდარი ენობრივი აღლო და სიტყვიერი რესურსები.

გრიგოლ ორბელიანი თავდაცვით პოზიციაში აღმოჩნდა თავდამსხმელისაგან თავის დაცვა, რაოდენ სამართლიანიც უნდა იყოს საკუთარი ღირსების დამცველი, ყოველთვის შეუდარებლად უფრო ძნელია, რადგან უმეტესად თავდასხმა მოულოდნელობას გულისხმობს. მით უფრო, თუ თავდამსხმელს თავდასხმის გამამართლებელი მიზეზი მოეპოვება. ჩვენ არ შევეუდგებით 70-იან წლებში გაშლილი პოლემიკის არალიტერატურული საფუძვლის დახასიათებას. ეს საკითხი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევართა მიერ მრავალგზის სხვადასხვანაირად არის გაშუქებული. თავის ადგილას ვცადეთ კიდევ მისი ახლებური ინტერპრეტაცია. ამჯერად გვაინტერესებს ამ დროს წარმოშობილი, აზრთა სხვადასხვაობის გამომხატველი, პოლემიკაში გადაზრდილი ლიტერატურული ასპექტი. მით უფრო, რომ გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთა“ და ილია ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“ ე. წ. „სალიტერატურო სატირის“ ძვირფას ნიმუშებადაა აღიარებული ქართული სატირისა და იუმორის ცნობილი მკვლევრის გრიგოლ კიკნაძის მიერ<sup>1</sup>.

გრიგოლ ორბელიანის პოლემიკური ნიჭის გამომავლინებელი საბაბი გამხდარა ილია ჭავჭავაძის მიერ 1871 წლის 7 დეკემბრით დათარიღებული ლექსი „გამოცანები“, სადაც სატირულად გაკენწლილია მრავალი პიროვნება და კერძოდ გრიგოლ ორბელიანის შესახებ ნათქვამია შემდეგი:

<sup>1</sup> გრ. კიკნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბ., 1972, გვ. 275.



„მოხუცია იგი ქმუხი,  
 პირად ბადრი, ტანდაბალი,  
 საქმით წმინდა, გულმზურვალე,  
 სიტყვატკბილი, ჭკეპმაღალი.  
 ძველთაგანა ეგლა დარჩა  
 გრძნობით სავსე, გონიერი,  
 მაგრამ გაუბედავია,  
 თუმცა უყვარს თვისი ერი,  
 ის ძველის და ახლის შუა  
 შემაერთავი ხიდია,  
 მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა  
 ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია“.

„გამოცანებში“ მოხსენიებული ყველა პირი ილიასეული დაუნდობელი და მრისხანე სატირის საგნადაა ქცეული ისე, რომ ყველგან მათ ლაქიურ ქცევასთან გაიგივებულია გარეგნული პორტრეტი. უფრო ზუსტად: სატირის ობიექტად წარმოსახულ მოღვაწეთა გარეგნული დახასიათება გვიქმნის სრულ წარმოდგენას მათსავე სულიერ ხატზე. გრ. ორბელიანის შემთხვევაში ორიოდ ფრაზის გარდა, ჩამოთვლილია მისი ღირსებები (გარეგნული თუ შინაგანი), მაგრამ „გაუბედაობა“, საქვეყნო ინტერესების სამსხვერპლოზე პირადულის ბოლომდე ვერ მიტანა ისეთი მოღვაწისაგან, რომელიც თავისი არსებით არის „საქმით წმინდა“, „გულმზურვალე“, „სიტყვატკბილი“, „ჭკეპმაღალი“, „გრძნობით სავსე, გონიერი“, „ძველისა და ახლის შუა შემაერთავი ხიდი“, რომელსაც „უყვარს თვისი ერი“ — აი, ასეთ პიროვნებასაც, თურმე, ილიას აზრით, „ქვეყანა ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია“..

ცხადია, ილია ჭავჭავაძისაგან, რომელმაც ყველაზედ კარგად იცოდა ფასი და მნიშვნელობა გრიგოლ ორბელიანისა, „გაუბედაობისა“ და საქვეყნო ინტერესების, თუნდაც „ზოგჯერ გაუბედაობის“ ბრალდება მიმემ ბრალდებად აღიქვა უკვე ხანდაზმულმა პოეტმა. ამასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „გამოცანებში“ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მკითხველ საზოგადოებაში. გრ. ორბელიანს, რომელიც გაცნობია „გამოცანებს“, ასე უთქვამს: „არა, არა მწყინს, მამას არ უნდა ეწყინოს სილა თავის პატარა შვილისა. ერთი რამ მაწუხებს მხო-



ლოდ: იქ, ზემოდ მივა ეს ამბავი და არ ივარგებს. არავინ უნდა იცოდეს ჩვენი იდუმალი გულის ზრახვანი“ (იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., — გრ. ყიფშიძე, ილია ჭავჭავაძე, გვ. XXXVIII).

„გამოცანები“ იმ დროს ხელნაწერის სახით გავრცელდა, რადგან ყველა იქ გამოყვანილი პირი ცნობილი პიროვნება იყო და, რაც მთავარია, ცოცხალი. ამიტომ „გამოცანების“ ავტორის გამჟღავნებას ყველა ერიდებოდა. თვით ილიაც მალავდა თავის ავტორობას, თუმცა კი ლექსის გავრცელებას ხელს უწყობდა. ამის შესახებ იგი 1871 წლის 11 დეკემბერს დ. ერისთავს სწერს: „დათიგო! გიგზავნი „გამოცანებს“, რომ წაიკითხავ და დააკვირდები, მგონია, მიხვდე, ვინც არიან აწერილნი... შენ იცი, როგორ შეინახავ ჩემს სახელს საიდუმლოდ. დაბეჭდვა მაგ ლექსისა არ იქნება, — ეგ ისე უნდა გავრცელდეს ქალაქში. მაგ გავრცელებაშიაც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, თორემ ჩვენდა სამტროდ, „ისინი“ ყოველსაფერს სიმურტლეს იკადრებენ და მაშინ ჩიტი პრტყვნად აღარ ეღირება. გამომიცხადებია, რომ შენს მეტს მანდ ქალაქში არავის ვანდე ეგ ჩემი ლექსი. შენ იცი, როგორ უპატრონებ“ (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961, გვ. 33).<sup>1</sup>

როგორც ცნობილია, „გამოცანები“ ილიას სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. ამ ფაქტს არსებითი მნიშვნელობა აქვს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული სიმშაბიებისა და მისი პოზიციის ნათელსაყოფად. ქართველთა გონებრივი მოძრაობის დიდ ბელადს არ ჩაუთვლია საჭიროდ, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ფიგურა, როგორიც გრ. ორბელიანი იყო, მოექცია რევაზ ანდრონიკაშვილისა და თუნდაც მიხეილ თუმანიშვილის რიგში, მათდამი მიძღვნილ სატირულ ქმნილებაში, პოეტის მრავალ სასიკეთო თვისებათა

<sup>1</sup> ეიმოწმებთ წიგნიდან; ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი I, თბ., 1987, ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები რ. კუსრაშვილისა, გვ. 418, ამ ვითარების საგანგებო დახასიათებისათვის იხ. აბ. მახარაძე, ილია ჭავჭავაძის ცხოვრება, თბ., 1984, გვ. 67—76.

ალიარების მიუხედავად, თუნდაც ირიბად გამხელილი ნაკლი  
ბეჭდურად მოეფინა ერისთვის.

ვინც გრიგოლ ორბელიანის ადრინდელი დამოკიდებულება  
ბა იცის ილია ჭავჭავაძისადმი და პირიქით, ამ პოეტის ილი-  
ასეულ შეფასებებს იცნობს, შეიძლება მოულოდნელი არ მო-  
ეჩვენოს ის აღშფოთება, ამ „ჭკვამილადი“, „გონიერი“ პი-  
როვნების წონასწორობის რღვევა რომ გამოუწვევია. აკაკი  
გაწერელის სიტყვით, „გამოცანებმა“ გრ. ორბელიანის აღშ-  
ფოთება გამოიწვია. 1872 წელს პოეტმა დაწერა „გამოცა-  
ნების პასუხი“, რომელიც ამჟამად „პასუხი შვილთას“ პირ-  
ველი ვარიანტის სახითაა ცნობილი. იგი ახალი თაობისადმი  
მიმართული ძალზე დამამცირებელი ეპითეტებით იწყება.<sup>1</sup>  
აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც ილიას „გამოცანები“,  
გრ. ორბელიანის „გამოცანების პასუხიც“ ხელნაწერის სახით  
ვრცელდებოდა. ის შეფასებულია, როგორც „ბუნებით დინ-  
ჯი და დარბაისელი, მაგრამ აწ წონასწორობიდან გამოსული  
პოეტის ლანძღვა“.<sup>2</sup> მართლაც, როცა ვეცნობით გრ. ორბე-  
ლიანის „გამოცანების პასუხს“:

„კოლო-ბუზებო,  
ლიბერალებო,  
ჭკუით გლახებო, პატრიოტებო,  
გზა დაკარგულნო,  
წყალწალღებულნო,  
კატის კნუტებო, სიღვანა კნავით?

ილიას დასახასიათებლად გამიზნულ სტრიქონებს:

„...ის ლიბერალი,  
ბურთივით მრგვალი...“

და ლექსის ფინალს:

„ბევრნი მოვიდნენ თქვენისთანები!  
კოლო-ბუზები,

<sup>1</sup> აკაკი გაწერელია, გრიგოლ ორბელიანი (კრიტიკულ-ბიოგრაფიული  
ნარკვევი) თბზულებანი — „სალამო გამოსალმებისა“, თბ., 1989, 87.

<sup>2</sup> ლადო მინაშვილი, ილია ჭავჭავაძის ლირიკა, თბ., 1977, გვ. 121.

ლიბერალები,  
ერუ პოეტები, პატრიოტები,  
აკაკიები,  
ბაკაკიები,  
რიონელები, გოგიტელები. —



აშკარაა, რომ მასში საკუთარი პიროვნების შეურაცხყოფით გააგებულნი აღამიანის განცდებია მოწოდებული და რომ მას არ ერთვოდეს წუხილი რწმენის, ენის, „საქართველოსთვის“ მოჩვენებით მზრუნველობაზე, მაშინ ეს ლექსი პიროვნული სატირის უკიდურეს ნიმუშად შეიძლება ჩათვლილიყო, თუნდაც იმიტომ, რომ ის დატვირთულია ისეთი გამოთქმებით, როგორცაა: „კოლო-ბუზებო“, „ჭკუით გლახებო“, „ვირი წავიდა, ვირი მოვიდა“, „ის ლიბერალი ბურთავით მრგვალი“, „ქაჩუებო, ჭიანჭველებო“, „უსწავლელნო, ცრუ რუსთაველნო“, „აკაკიებო, ბაკაკიებო“. მაგრამ აქ მკრთალად მაინც არის გულისტკივილი საქვეყნო-საზოგადოებრივ საკითხზე. სხვა საკითხია, რამდენად მართებულია ამგვარი დახასიათება, მაგრამ აქ ჩანს შეუქავებელი ემოციურობით აღსავსე დაუსაბუთებელი მოსაზრებები. სავსებით მართებულად არის აღნიშნული, რომ „მოხუცი გრიგოლ ორბელიანი თითქოს აჰყვამ კიდევ პირველსავე ემოციურ იმპულსებს, მაშინ, როცა თავშეკავება, განცდათა დამუხრუჭება იმთავითვე შესძლო ახალგაზრდა ილიამ“.<sup>1</sup> მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ილია არანაკლებ დაუნდობელია „გამოცანებში“ გამოყვანილი ყველა პირის მიმართ; უფრო მეტიც; ის საერთოდ აზიზლებს მკითხველს ყველა იმ პირს, ვინც საქართველოს ინტერესებზე მალა პირადული ინტერესი დააყენა, გამონაკლისნი ამ მხრივ, ილიას ლექსის პოლემიკურ კონტექსტში არიან მხოლოდ დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი.

ეტყობა, მოხუცი პოეტი ფიქრობდა, რომ სატირული დაცინვის ილიასეული ობიექტები ესოდენ მკაცრ შეფასებას არ იმსახურებდნენ. საამისო საფუძველს მას, ალბათ, აძლევდა ის ცოცხალი ურთიერთობანი, რითაც ახალი თაობის წარმომადგენლები იყვნენ დაკავშირებულნი „ძველთან“, ანუ ე. წ.

<sup>1</sup> ლადო შინაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 123—124.

გამებთან. შემდგომში ხომ თვით ილია ჭავჭავაძე არაერთგზის<sup>1</sup> გახაზავს ამ ნიშნით თაობათა დაყოფის უსაფუძვლობას, დააკაკი წერეთელიც სითბოთი და სიყვარულით საესე მოგონებებს დაგვიტოვებს არა მხოლოდ ალ. ორბელიანსა, ბარბარე ჯორჯაძესა, რევაზ ერისთავსა და საერთოდ ყურნალ „ცისკრის“ ძველ თანამშრომლებზე, არამედ თვით გიორგი მუხრანსკიზეც კი.<sup>2</sup>

გრიგოლ ორბელიანის „გამოცანების პასუხი“ ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძის „გამოცანები“ ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. როგორც ჩანს, პოეტს საჭიროდ არ ჩაუთვლია მკითხველი საზოგადოებისათვის და ამდენად მომავალი საქართველოსათვის თავისი სუბიექტური განაწყენება საჩინო გაეხადა. მაგრამ აშკარაა, რომ გრ. ორბელიანის პოლემიკას აკლია ის, რაც არგუმენტირებულს და ამდენად სხვებისთვის მეტ-ნაკლებად სარწმუნოს გაზნდება მისი პოზიციის მართებულობას, ე. ი. პოლემიკა არ მიმდინარეობს „მსჯელობა-მტკიცების ნიშნით“. ბუნებრივია, ამ და კიდევ სხვა ფაქტორებმაც გააღიზიანა ილია ჭავჭავაძე, როცა „პასუხის პასუხი“ შექმნა და ეს ლექსიც ილიას სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, „გამოცანების“ და გრ. ორბელიანის „გამოცანების პასუხის“ მსგავსად ისიც ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში სავსებით მართებულად არის შეფასებული ილიას პოლემიკური ნიჭის ბრწყინვალეობა და საბუთიანობა. აქ „საბუთიანობა არის პოლემიკის მიმდინარეობის საფუძველი“,<sup>3</sup> იმიტომაც რომ „თუ გრ. ორბელიანის „გამოცანების პასუხი“ ქედმაღლური, ამპარტავნული ტონით გამოირჩეოდა („კატის კნუტებო, სიდგანა კნავითო“, ან: „ბევრი მოვიდ-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, წერილები ქართულ ლიტერატურაზედ, თბზ. ტ. 111, თბ., 1953, გვ. 195—206. „თერგდალეულნი“ და ახალი თაობა“, დასახ. წიგნი, გვ. 305—316 და სხვ.

<sup>2</sup> აკაკი წერეთელი, ანტონ ფერცელაძეს (1879) (პასუხი) თბზ. ტ. XI, თბ., 1960 გვ. 467, აგრეთვე იქვე მისივე: „ლოტოთი ლოტობა ქეთაისში“, გვ. 11. რამოდენიმე სიტყვა კ. ბ. ჯორჯაძისა (1868), გვ. 42. „ორი შეხვედრა“ (1893), თბზ., ტ. XIII, 1961, გვ. 20—22. დასახ. ნაშრ. „გახსენება“, (1893) გვ. 55—56.

<sup>3</sup> გრ. კიკნაძე, ლიტერატურის თეორიის და ისტორიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 304.

ნენ თქვენისთანები, კოლო-ბუზები...“) ილიამ თავის „პასუხის პასუხში“ კი არ უარყო, ჩვენ არ ცენავითო, არამედ შეიფერა ეს დაჩაგრულის, დათრგუნვილის პოზა და ლექსი სწორედ ქვემოდან შეპასუხების იერით წარმოადგინა, — დიახ, ცენავითო მართლაც, მაგრამ თვით ამ ცენავილის მიზეზად „მამები“ გამოიყვანა.<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძემ დამარწმუნებლობა იმითაც შესძინა თავის მსჯელობას, რომ გრ. ორბელიანის მიერ წამოყენებული ბრალდებები ხელაღებით კი არ უარყო, არამედ ზოგიერთი მიიღო, როგორც სამართლიანი. მაგალითად, მისი აღსარება: „რაც ენას ეცოდეთ, ის გასწორდება“ — ისეთი განცხადებაა, რომელიც მიგვანიშნებს მომავლის განვითარების თვალსაზრისით პერსპექტიულ მიზანსა და ამოცანას.

ამავე 1872 წელს დაიწერა და კვლავ ხელნაწერის სახით გავრცელდა აკაკი წერეთლის „ხარაბუზა ლენერალს“, რომელიც „უმწვავესი პიროვნული სატირის ნიმუშიადაა“<sup>2</sup> ჩათვლილი. აქ „მართალია, პოეტი საზოგადო ინტერესების პოზიციაზე დგას... მაგრამ ისეთი შეუპოვრობით და შხამიანი გამოთქმებით ხასიათდება ეს სატირა, რომ მკითხველისათვის უეჭველია: აკაკი ვერ იტანს გრიგოლ ორბელიანის არა მარტო შეხედულებებს, არამედ ვერ იტანს მას, როგორც პიროვნებას“.<sup>3</sup> ახალგაზრდა აკაკი წერეთელი ასე „ამცობს“ გრიგოლ ორბელიანს:

„იარანალ ხარაბუზა,  
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,  
დაგიკარგავს შენი მუზა!  
ბზუ, ბზუ, ბუზა-ბუზა...“

აკაკის დახასიათებით, გრ. ორბელიანი არის „ენა-წმინდა, გულ-სატანა“, „ორპირი“, „სიტყვით სამსონი, საქმით საპყარი“, ხოლო ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც გრ. ორბელიანმა შეარქვა „ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“, აკაკი ასე იცავს:

<sup>1</sup> ლ. შინაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 123.

<sup>2</sup> გრ. კიკნაძე, ქართული სატირის და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბ., 1972, გვ. 278.

<sup>3</sup> დასახ. წიგნი, გვ. 278.

„იმ ლიბერალს, ბურთივით მრგვალს,  
რად უპრაფავე მრისხანედ თვალს?  
ის იხდის ვალს და თქვენსა კვალს  
არ აღირსებს თავის ნაეალს, —  
თქვენსავით ვერ წაიკუზა,  
იარანალ — ხარაბუზა“...



ცხადია, „ეს ლექსი მხოლოდ მოუპრიდებელი ტონით კი არ არის დაწერილი, არამედ პირდაპირ თავშეუქცავებელი და შეურაცხმყოფელი გამოთქმებითაა სავსე. ისტორიკოსისათვის ასეთი შეფასება გრ. ორბელიანისა, რასაკვირველია, მიუღებელია“.<sup>1</sup> მაგრამ ამასთანავე ამ სასტიკ პამფლეტშიც კი აკაკიმ გვერდი არ აუარა გ. ორბელიანს, როგორც დიდი პოეტს და მოიხსენია „სადღეგრძელოს“ ავტორი“<sup>2</sup> უწოდა მას „ნოვლოროდის ლიბერალი“, არ დაუეწიყა პოეტს, რომ ერთ დროს იყო „გულმტკიცი და გულმამაცი“ და მოუწოდა „მოეძებნა და „დაებრუნებინა“ „ისევ მუზა“.

უნდა ითქვას, რომ არაბეჭდური სახით გაშლილ ამ პოლემიკაში ბევრი რამ იყო ისეთი, რომელიც მომენტური განწყობილების, თუ აფექტის ნიშნითაა დალდასმული. თუ იმასაც გაეიხსენებთ, რომ აკაკიმ ამ თემაზე მწვავე სატირული ნაწარმოებებიც შექმნა: „პატრიოტის აღსარება“, „ფარშევანგი“, „ახმედ-ფაშა კახაბერი“, ხოლო ილია ჭავჭავაძემ „გამოცანების პასუხს“ უბრწყინვალესი „პასუხის პასუხით“ უპასუხა, მაშინ უფრო ნათელი იქნება იდეური უპირატესობების გარდა, ძალთა ის ცალმხრივი თანაფარდობა, რასაც ამ პოლემიკის პროცესში ჰქონდა ადგილი. არსებობს აზრი, რომლის მიხედვით, „იმდენად საცნობელი ყოფილა ილიას ლექსის ძლიერება, რომ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, მაგრამ ყველაზე მეტი, როგორც ჩანს, თვით გრიგოლ ორბელიანზე, ყოველ შემთხვევაში კი ფაქტი ისაა, რომ ამ უკანასკნელს პასუხად არაფერი დაუწერია“.<sup>3</sup> ასეთივე კვალიფიკაცია მიეცა აკაკი წერეთლის პოლემიკურ მიმართებას, „როცა „ხარაბუზა ღენერალი“ დაიწერა. აქაც მოწინააღმდეგე

<sup>1</sup> გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957, გვ. 167.

<sup>2</sup> პრ. კეკელიძე, აკაკი წერეთელი, თბ., 1985, გვ. 168.

<sup>3</sup> ლ. შინაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 123.

სრული გაჩუმება არჩია“.<sup>1</sup> მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად, უნდა ითქვას: გრ. ორბელიანის პოლემიკურ მიდგომამ ახალგაზრდა ოპონენტთა მალაღნიჭიერმა სატირამ დააბრუნა გველენა მოახდინა და ნიადაგი შეამზადა იმისთვის, რომ მოხუც პოეტს შეექმნა შეუდარებლად უფრო მყარი არგუმენტებით დატვირთული ბრწყინვალე პატრიოტული პათოსით სავსე ლექსი, რომელსაც ახლა „პასუხი შვილთას“ სახელწოდებით ვიცნობთ. თავისთავად ის ფაქტი, რომ გრიგოლ ორბელიანმა ამ ლექსის გამოქვეყნება გადაწყვიტა და დაბეჭდა კიდევ ერთხელ „ცისკარში“ 1874 წელს სათაურით — „პასუხი უღირსთა შვილთა“, მიუთითებს იმაზე, რომ პოეტს საჭიროდ ჩაუთვლია საზოგადოებისათვის მიეწოდებინა პოლემიკური იერით დაწერილი ლექსი, სადაც სატირული დახასიათების წრიდან პიროვნულად გამოართულია ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ორი დიდი ფიგურა ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ~~ხე~~ უკვე არც „ლიბერალი ბურთივით მრგვალი“ ილიაა წარმოდგენილი და არც „აკაკიები, ბაკაკიები“. როგორც აღნიშნავენ „მკვახე ტონი აქ შერბილებულია, ამოღებულია ძალზე დამამცირებელი ეპითეტებიც... („კოლო-ბუზებო“, „კატის კნუტებო“, „ვირი წავიდა, ვირი მოვიდა“), სამაგიეროდ იგი უფრო გავრცობილია და იდეური თვალსაზრისით საინტერესო მასალას შეიცავს.“<sup>2</sup> არადა, გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთას“ გამოქვეყნების საბაზიცი კვლავ აკაკი წერეთელი გახლდათ, როცა მან 1872 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა სატირული თხზულება „ახმედ-ფაშა კახაბერი“. როგორც მიუთითებენ, „მკითხველისათვის ძნელი არ იყო ახმედ ფაშა კახაბერის სახეში გრიგოლ ორბელიანი ეცნო“.<sup>3</sup> უკვე 1874 წელს დაბეჭდილ გრ. ორბელიანის ლექსში კი არაფერია ისეთი, რაც ამცირებდეს დიდი ილიასა და აკაკის ღვაწლსა და პიროვნებას.

<sup>1</sup> გრ. კიკნაძე ლიტერატურის თეორიის და ისტორიის საკითხები, გვ. 310.

<sup>2</sup> ა. გაწერელია, გრიგოლ ორბელიანი (კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი) თხზულებანი — „სალამო გამოსალმებისა“, თბ., 1989, გვ. 88.

<sup>3</sup> აბ. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. 111, თბ., 1969, გვ. 83.

თუკი ვინმემ იცოდა, ეს გრ. ორბელიანმაც კარგად უწყობდა, რომ ილია და აკაკი ის პიროვნებები იყვნენ, რომელთაც უნდა ეზიდათ ახალი საქართველოს მძიმე უღელი. ამიტომაც პირვეტი თავის პოლემიკურ ქმნილებაში პიროვნულ მოტივებს გამოირიცხავს და მხოლოდ საზოგადოებრივად ღირებულ მოვლენებზე ამახვილებს ყურადღებას. სწორედ აქ იღებს მაღალ პატრიოტულ და საზოგადოებრივ ჟღერადობას თვით ილიასა და აკაკისაგან დაფასებული და აწ უკვე ყველა ქართველისათვის ლოზუნგად ქცეული სტრიქონები:

„ერის ცხოვრება,  
მისი დიდება,  
მის ისტორია დაცულ არს ენით;  
რა ენა წახდეს, —  
ერიც დაეცეს...  
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!“..

როცა გრ. ორბელიანმა საჭიროდ ჩათვალა, ბეჭდური სახით, რეაგირება მოეხდინა ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებზე, მან სრულიად სხვა ლიტერატურული გაფორმება მისცა თავის აზრებს და ენის, რწმენის, ერის სასიცოცხლო აქტუალური პრობლემატიკა წამოსწია წინა პლანზე, რითაც მოქალაქეობრივი თვალსაზრისით აამაღლა საკუთარი პოზიციის მნიშვნელობა საზოგადოების თვალში. ეჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ ლექსში, რომელსაც ხშირად „გამოცანების პასუხის“ მეორე ვარიანტადაც თვლიან, ვითარება ისეა წარმოდგენილი, რომ ილიას, აკაკის და გრიგოლ ორბელიანს „შორის პოლემიკის საფუძველი მსოფლმხედველობრივი შინაარსისა კი არაა, ანუ მიზანი კი არაა ამ პოეტი-მოღვაწეებისა განსხვავებული, არამედ მიზნის განხორციელების გზები და ფორმები. ამიტომაც თვლიან, რომ „გრიგოლ ორბელიანისა და ილია ქავჭავაძის ლიტერატურული პაექრობა არავითარ შემთხვევაში იდეურად დაპირისპირებულ აღმნიშნათა კამათი არ ყოფილა“.<sup>1</sup> როგორც ჩანს გრ. ორბელიანის პოლემიკური ნაწარმოების გამოქვეყნებამ აკაკი წერეთელს კვლავ მისცა ბიძგი, რომ სატირული ხასიათის „პატრიოტის

<sup>1</sup> აპ. მახარაძე, ილია ქავჭავაძის ცხოვრება, თბ., 1984, გვ. 75.



აღსარება“ შეექმნა და დაესტამბა კიდეც 1875 წლის 8 იანვრის „დროების“ ნომერში.<sup>1</sup> მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს თხზულება, ისევე როგორც ამ თემაზე შექმნილი აკადემიის სხვა ქმნილებები, იდეურად არც ერთ ახალ არგუმენტს არ შეიცავს და ადრე წარმოდგენილ მოსაზრებათა ახლებურ პოლემიკურ-მხატვრულ სამოსელს გვიდგენს მხოლოდ.

გრიგოლ ორბელიანის პოლემიკური ოსტატობა, მისი როგორც პოლემისტის აზროვნების „სიღრმე და ძალი“, ყველაზე სრულყოფილად „პასუხი შვილთაში“ გამჟღავნდა. თავისთავად ის ფაქტი, რომ პოეტი პიროვნული სატირის უსიამო საბურველს აცლის დასაბეჭდად გამიზნულ ლექსს, მას ტვირთავს ბრძნული აფორისტული გამოონათქვამებით, წინ წამოსწევს ჩვენი ეროვნული არსებობის სასიცოცხლო ფაქტობად აღიარებული „ენის“, „რწმენის“, „სისხლშემოსილი მამული თვისის“ დაფარვა-დაცვას. ეს უკვე იმაზედ მიუთითებს, რომ გრ. ორბელიანმა პიროვნული ღირსების დამამცირებელი მლაშე გამოონათქვამების საპირისპიროდ („თქვენსავით არ წაიკუზა“, „იარანალ-ხარაბუზა“) საზოგადოებრივად ღირებული მოტივები შეაგება და „ერის ისტორიის“, მისი წარსულის ცოდნა-გააზრება მიიჩნია საკუთარი პიროვნული და ეროვნული მეობის ცნობის ქეშმარიტ გზად. 1876 წელს მან შექმნა კიდეც ერთი სატირული პათოსით დაწერილი პოლემიკური ლექსი „დროების ათი წლის იუბილე“ (ფერხული და ბუქნა), მაგრამ პოეტს არც მისი გამოქვეყნება უცდია. ფიქრობენ, რომ ეს ლექსი ახალი თაობის საწინააღმდეგოდ შექმნილი ნაწარმოებია, სადაც გაბიაბრუებულია მათი ღვაწლი, მაგრამ თავისთავად „დროებასთან“ მხოლოდ „ცისკრის“ კი არა, არამედ ახალი თაობის პრესის ორგანოთა — „მნათობისა“ და „კრებულის“ დაპირისპირება — მიუთითებს გრ. ორბელიანის წმინდა ლიტერატურულ სიმპათიებზე, რომ მოხუცი პოეტი ნიჭიერების, ენის სიწმინდის კრიტიკიუმებით ზომავს და აფასებს პრესისა და მწერლობის მნიშვნელობას. უნდა

<sup>1</sup> ამის შესახებ დაწერილებით იხ. ა. მახარაძე, ნაყრველები, III, თბ., 1969, გვ. 84—86.

ითქვას, ამ ლექსშიც ამოატანს ხოლმე გრ. ორბელიანის მჭევრ-  
მეტყველური, პოეტური ნიჭის ელვარება, როცა იტყვის:

„ათი წელი,  
ასი წელი  
რას არგებს,  
უნიჭობა  
თუ თან ჰყვება  
მწერალსა?“

როცა სპეციალურად დაიწერება ქართული პოლემიკური  
მწერლობის, კერძოდ, პოლემიკური ლირიკის ისტორია, ვფიქ-  
რობთ, საგანგებოდ იქნება შესწავლილი ამ ჭეშმარიტი პო-  
ეტის პოლემიკის საგანი, თემატიკა და ხერხები, რაც იმის გა-  
რანტიანია, რომ კიდევ უფრო გამოიკვეთოს მისი ადგილი ქარ-  
თული საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნების ისტო-  
რიაში.

## 12. გრიგოლ ორბელიანის პოეზიის მჭევრმეტყველური ხასიათი

კარგა ხანია ქართული ლიტერატურის მკვლევარნი (ი. მე-  
უნარგია, კ. აბაშიძე, ვ. კოტეტიშვილი, შ. რადიანი, გრ. კიკ-  
ნაძე და სხვ.) მეტ-ნაკლები დამარწმუნებლობით გახაზავენ  
გრიგოლ ორბელიანის პოეზიის მჭევრმეტყველურ ბუნებას.  
მჭევრმეტყველება კი ზეპირი, ორატორული მეტყველებითი  
ფაქტია; რანაირად ერთვის იგი წერილობითი მხატვრული მე-  
ტყველების ქსოვილს? აი, კითხვა, რომელიც საგანგებო ახს-  
ნას მოითხოვს.

გრ. ორბელიანის ესთეტიკური პოზიცია მის მიერ განსა-  
ხიერებული მასალის ენობრივ ქსოვილშიცაა გამოსახული, ე.  
ი. პოეტი რაღაცნაირად ენობრივი მასალითაც ეხმაურება და  
პასუხობს იმ ამადლებული საგნის შინაარსს, რაც მისი პო-  
ეზიის საყრდენია. მსგავს ვითარებაში ჩვეულებრივად ამ  
ხერხს მრავალი ხელოვანი მიმართავს. იგი ნათლადაა მოცე-

მული ალ. ჭავჭავაძესთანაც, მაგრამ გრ. ორბელიანთან მაინც განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს. თუ ალ. ჭავჭავაძესთან ვგარძნობთ არქაიზაციისადმი საგანგებო მიდრეკილებას, თუ ამ პოეტთან არქაიზმი, როგორც ამბობენ, ამობურცულია ამბის თხრობის ზედაპირზე,<sup>1</sup> გრ. ორბელიანის პოეზიის გაცნობისას ეს განცდა არ ეუფლება მკითხველს. აი, სწორედ აქ იჩენს თავს გრ. ორბელიანის პოეზიის მჭევრმეტყველური ხასიათი. გრ. ორბელიანის სახით ჩვენ წინაშე, პირველ ყოვლისა, ლირიკოსი პოეტი დგას. ლირიკოსი კი ტრადიციული თვალსაზრისით ყოველთვის მიილტვის სუბიექტურის გაბატონებისაკენ; ლირიკოს სუბიექტად შინაგანი სულიერი მოძრაობაა ჩათვლილი და არა „მე“, რომელიც ჩვეულებრივ ამ სულიერ მოძრაობას ატარებს. ლირიკოს ერთადერთი საგანი შინაგანი მღელვარების უშუალო გადმოცემაა; ასეთია ლირიკოსის წინაშე მდგარი ძირითადი მოთხოვნა. პოეტის უშუალობით სავსე ლირიკული სული და მჭევრმეტყველება, რომელიც იმთავითვე შერჩეულ სიტყვათა მომარჯვებას გულისხმობს, ერთი შეხედვით, ვერ უნდა ეგუებოდეს ერთმანეთს და ერთ დროს კიდევ გახაზავდნენ ამ ორი სფეროს — ლირიკულისა და მჭევრმეტყველების — მოურიგებლობას.<sup>2</sup>

რანაირად იწოვს გრ. ორბელიანის პოეზიის ლირიკული სული მჭევრმეტყველებას? აქ უკვე მეორე სირთულეც იჩენს თავს. ესაა თვით მჭევრმეტყველების გავრცელების სფეროთა სიფართოვე და ამის გამო მჭევრმეტყველების ცნების განმარტების უკმარობა; როცა ლირიკოსი და მჭევრმეტყველების მიმართების საკითხს ვეხებით, დიფერენცირებული მიდგომის ობიექტად უნდა იქცეს თავად ცნება მჭევრმეტყველებისა<sup>3</sup> და, გარკვეული სირთულისდა მიუხედავად, ურთიერთისაგან უნდა გაირჩეს მჭევრმეტყველება ფართოდ გაგებულ პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ლიტერატურაში, კერძოდ, ლირიკაში,

<sup>1</sup> აღნიშნული თავისბურების შესახებ იხ. გრ. კეკელიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1972, გვ. 167.

<sup>2</sup> ამ გარემოებას აღნიშნავდა, მაგ., ლესინგი.

<sup>3</sup> მჭევრმეტყველების ცნების დადგენის ცდა მოცემულია ნ. კანდელაკის წიგნში: „ქართული მჭევრმეტყველება“, თბ., 1958.

რადგან ერთმანეთისაგან განსხვავებულია ზეპირი და წერილობითი მეტყველების ფაქტები. ზეპირი გამოსვლის დროს ორატორულ ხელოვნებაში მხატვრული ლიტერატურიდან მოტანილი მაგალითი, როგორც ჩვეულებრივი მეტყველებისაგან განსხვავებით მდგომარეობს, შეიძლება მჭევრმეტყველებით ხერხად ჩაითვალოს, ამ გზით მიაღწიოს ორატორმა მჭევრმეტყველურ ეფექტს. ამ აზრით, ყოველგვარი ლექსითი მეტყველება, როგორც ჩვეულებრივისაგან განსხვავებით მდგომარეობს მეტყველებითი ფაქტი, ზეპირი გამოსვლის დროს მჭევრმეტყველებით მოვლენად შეიძლება იქცეს.

სწორედ აღნიშნული თავისებურების გამო, ძალზე რთულია წვდომა მხატვრული სიტყვის წერილობით სფეროში გამოვლენილი მჭევრმეტყველებითი ხერხებისა.

მჭევრმეტყველება ზეპირი მეტყველების უმაღლეს სახედ ითვლება. ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იყო ცნობილი, რომ მჭევრმეტყველების მიზანია ასწავლოს, ააღვლოს და დაატკბოს მსმენელი (დემოსთენე). მჭევრმეტყველება, როგორც განსაკუთრებული მეტყველებითი ფაქტი, სიტყვის ძიების პროცესს გულისხმობს. ეს აქვს მხედველობაში არისტოტელეს, როცა აღნიშნავს: არ არის საკმარისი იმის ცოდნა, რაც უნდა ითქვას, აუცილებელია ისე ითქვას, როგორც საჭიროა.

უფრო მკაფიოდ მიუთითებს გამოთქმათა საგანგებო შერჩევის აუცილებლობაზე ციცერონი, როცა წერს: „ორატორის ლამაზი ლაპარაკი სხვა არაფერია, გარდა შერჩეული გამოთქმებით გამოხატვა ლამაზი აზრებისა“.<sup>1</sup>

ამ ზოგად მოსაზრებათა ღირებულება მეტნაკლებად ლიტერატორულ თხზულებებში გამოვლენილ მჭევრმეტყველურ თავისებურებებზეც ვრცელდება, მაგრამ კონკრეტულად კი ძალზე ჭირს მჭევრმეტყველებითი ლიტერატორული ფაქტის ანალიზი. საგანგებოდ გამოყოფა სპეციფიკური მჭევრმეტყველებითი ხერხებისა აქ ძნელია, რადგან მჭევრმეტყველებითი ეფექტის მისაღწევად ყველა მხატვრული ხერხის გამოყენებამ შეიძლება ითამაშოს სათანადო როლი. ამ თვალსაზრისით

<sup>1</sup> არისტოტელეს, დემოსთენეს და ციცერონის მოსაზრებებს ვიმოწმებთ წიგნიდან: ნიკოლოზ კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველების ისტორიისათვის, ქართული მჭევრმეტყველება, თბ., 1958, გვ. 12—16.

განსაკუთრებით მაინც რიტორიკული მიმართვების, შეკრებების, ფიქსირებულ ფორმათა გამეორებისა და დარღვევების შემთხვევებს ასახელებენ. ამალღებული მეტყველებითი ტონის შექმნაში საგანგებოდ აღნიშნავენ ოდნავ არქაიზებული მეტყველების ფუნქციასაც. თუმცა არქაიზაცია ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ პოეტი მიზნად ისახავს მხოლოდ წარსულის კოლორიტის აღდგენას, გარკვეულ შემთხვევაში ესაა განცდლისათვის ამალღებული თვისების მინიჭების ერთი გზა. მაშასადამე, მჭევრმეტყველება აზრის განსაკუთრებულ სიღრმეს კი არ გულისხმობს, არამედ ჩვეულებრივი, ძალზე ნათელი ჭეშმარიტების ლამაზად, სათანადოდ თქმას. ასე რომ, მჭევრმეტყველებას უაღრესად ამალღებისაყენ აქვს სწრაფვა და ამასთან იგი მძაფრი სოციალური მიზანდასახულობისაა. ეს გარემოება თავის განმარტებას ძველთაგანვე იმაში პოულობს, რომ „ამალღებული კი არ არწმუნებს მხოლოდ მსმენელს, არამედ აღელვებს და აღაფრთოვანებს მას“.<sup>1</sup>

მჭევრმეტყველებისადმი სიყვარული აღმოსავლეთიდან იღებს სათავეს. არსად ისე პატივს არ სცემენ ბრძნული, თუნდაც გაცვეთილი ჭეშმარიტების ლამაზ ფრაზაში მოჭყევეს, როგორც აღმოსავლეთში. აფორისტული მეტყველებისაყენ სწრაფვაც, ე. წ. „აღმოსავლური სიბრძნე“, ყველაზე მეტად აღმოსავლურ პოეზიაში იჩენს თავს.

ქართულ სინამდვილეში სწორედ გრ. ორბელიანი იყენებს ლირიკაში მჭევრმეტყველებით ხერხებს:

„შენ ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ ერთმთავრობა,  
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი“,

ეკითხულობთ „სადღეგრძელოში“ და ვრწმუნდებით, რომ ეს არაა ჩვეულებრივი მეტყველება...

„ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად სასიხარულოდ,  
ლხენად გლახ გულის უდროოდა მწარ-დამჭკნარისა...  
დაო სასურველ, ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ“.  
(„ჩემს დას ეფემიას“)

<sup>1</sup> ფსევდო-ლონგინე, ამალღებულისათვის. ძველი ბერძნულიდან ქართულად თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა პრეგვაძემ. თბ., 1975, გვ. 98.

არც ესაა ყოველგვარი ოფიციალობისაგან თავისუფალი ჩვეულებრივი მიმართვა დედამამიშვილისადმი.

არც „მუშა ბოქულაძე“ ტოვებს ჩვეულებრივ პარამბებში გამდინარე მეტყველების შთაბეჭდილებას:

„რას მიყურებ ეგრე გაკვირვებითა,  
ნუთუ სახე არ გინახავს მუშისა?“...

პოეტს ყველგან ეტყობა ლამაზი აზრების, ლამაზი ფრაზების საგანგებო შერჩევის სურვილი. გრ. ორბელიანის პოეზია ამ ამალღებულ გამოთქმათა თავყრილობას წარმოადგენს. ეს არ არის ჩვეულებრივი ლაპარაკი, აქ ჩანს სურვილი იმისა, რომ თავისი მეტყველებითი ფორმით პოეტმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინოს. „სადღეგრძელო“ თავიდან ბოლომდე ამ ტონითაა დაწერილი. ასეთივეა მისი „მუშა ბოქულაძე“, „ჩემს დას ეფემიას“, „სადამო გამოსალმებისა“, „იარალის“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“... და თითქმის გრ. ორბელიანის მთელი პოეზია, სადაც წარსულის, თუ წარსულ გრძნობათა გახსენების, მოვონების ფორმასთან გვაქვს საქმე.

გრ. ორბელიანის პოეზია მჭევრმეტყველურია არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ პოეტი რიტორიკულ ხერხებს იყენებს, არამედ იმიტომაც, რომ განსაკუთრებულ მიდრეკილებას აქვს ბრძნული, ჭარმაგი, გამოცდილებით დატვირთული ადამიანის გონიერებით აღბეჭდილ აზრთა მოწოდებისაკენ. თუ სწორია აზრი, რომლის მიხედვით „მაღალი ზნეობრიობა — მჭევრმეტყველების ყველაზე უხვი წყაროა“,<sup>1</sup> ამ მხრივ განსაკუთრებით უხვი მასალაა წარმოდგენილი „სადღეგრძელოში“. მჭევრმეტყველება გარკვეულობას საჭიროებს, გარკვეულობას და სიცხადეს ყველაფრისას. სხვა შემთხვევაში ის არც შეიძლება იყოს მჭევრმეტყველება.

გრ. ორბელიანის პოეზიაში იდეალთა, აზრთა და გრძნობათა სიცხადესა და სინათლესთან გვაქვს საქმე. ამიტომაც აქლია გრ. ორბელიანის პოეზიას ის მღელვარება და დუდილი

<sup>1</sup> Жермена Де Сталь, О красноречии. О литературе. М., 1939., с. 352.

გრძნობისა, რაც „ჭაბუკურ პოეზიას“, მაგ., ნ. ბარათაშვილის პოეზიას ახასიათებს.

გრ. ორბელიანის პოეზია უფრო „მოხუცებულობის“ პოეზიაა“ არა იმიტომ, რომ მას გამოცდილი, ხანდაზმული ადამიანის იდეალები აქვს და ამ მხრივ ძიების ნიშანი არაა აქ წარმოდგენილი, არამედ იმიტომაც, რომ ეს პოეზია განსაკუთრებულად ინტელექტუალიზებულია.<sup>1</sup> იმიტომაც აქ უფრო სილამაზისა და სიდიადის „ჭკნობის სურნელი“ იგრძნობა.

ოღონდაც უნდა ითქვას, რომ გრ. ორბელიანის პოეზია მჭევრმეტყველური პოეზიის ნიმუშად ვერ გამოდგებოდა, მკითხველი რომ გრძნობდეს დისტანციას პოეტის ამაღლებულ მეტყველებასა და იმ განცდას შორის, რომელიც მას დაუფლებია. შორს მყოფი მონატრებული დისადმი სიყვარულის მელანქოლიურ განცდას შესანიშნავად შეესაბამება ამაღლებული ტონი, რაც გარკვეულად მიუთითებს დაძმური ურთიერთობის სიფაქიზეზე, შინაგან სიმალლეზე. სწორედ მსგავს მელანქოლიურ განწყობილებებთან მჭევრმეტყველების მომარჯვების ეფექტურობას გახაზავს ჟერმენა დე სტალის დაყვირება: «Меланхолическое чувство, которое чем дальше тем глубже проникает в человеческое сердце, может исполнить красноречие неслышанного величия».<sup>2</sup>

იარაღი შანშიაშვილთან ლამაზი აზრებით დატვირთული დროსტარების გახსენება, მოგონება იმისა, რაც უკვე აღარ შეიძლება განმეორდეს, განსაკუთრებულ სიტყვებს მოითხოვს და გრ. ორბელიანიც ეძებს ამგვარ გამოთქმებს.

უფრო მეტად „სადღეგრძელო“ — ჩვენი დიდი წარსულს, მისი დიდებული ადამიანების გახსენება — საჭიროებდა ამაღლებულ მეტყველებას. გრ. ორბელიანი ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ახერხებს თავისი ამაღლებული განცდებისათვის შესაფერისი ფორმის მოძებნას იმიტაც, რომ ნაწარმოებს „სადღეგრძელოს“ არქმევს.

როგორც ცნობილია, ქართული სუფრა დღემდე წარმოდგენს მოწესრიგებული ზეიმის ნიმუშს, რომელიც თავისი

<sup>1</sup> გრ. ორბელიანის პოეზიის ინტელექტუალური ხასიათის შესახებ იხ. გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, გვ. 307.

<sup>2</sup> იხ. ჟერმენა დე სტალის დასახ. სტატია, გვ. 357.

მწყობრი აგებულებით ხელს უწყობს იმპროვიზაციული მჭევრ-მეტყველების განვითარებას.<sup>1</sup> ასე რომ, სადღეგრძელოს ფაქტი ყოფაშიც უკვე მჭევრმეტყველების გამოხატულებაა და როცა მხატვრული სიტყვის სფეროში ქმნის ხელოვანი ამ სათაურის ქმნილებას, იგი უკვე, მართლაც, განსაკუთრებულ მეტყველებას საჭიროებს, მეტყველებას, რომელსაც მსმენელზე შემოქმედების გამორჩეული საზეიმო თვისება ექნება.

ამ თვალსაზრისით, გრ. ორბელიანის პოეზია მჭევრმეტყველური პოეზიის ტიპური ნიმუშია; აქ არ არსებობს რაიმე ბარიერი პოეტის ამაღლებულ განცდასა და სიტყვას შორის; პოეტის მიერ შერჩეული სიტყვა ყოველთვის განცდის ადეკვატურია. ძალზე რთულია ამ ამოცანის გადაჭრა ლირიკაში, რომელიც, როგორც ითქვა, განცდათა მღელვარების დახასიათებას ისახავს მიზნად. მაგრამ გრ. ორბელიანმა პოეზიის ენაზე მოახერხა წარსულ განცდათა აღდგენის გზით ლირიკისათვის ამაღლებულის თვისება მიენიჭებინა, რაც მხოლოდ მჭევრმეტყველების მომარჯვებით თუ იყო შესაძლებელი. თუ სარწმუნოა აზრი, რომლის მიხედვითაც „ამაღლებული სიტყვიერი შემოქმედების მწვერვალია, და რომ დიდმა პოეტებმა თუ პროზაიკოსებმა სწორედ მისი წყალობით მოიხვეჭეს პირველობა და დიდების შარავანდელით შემოსეს თავიანთი სახელი“,<sup>2</sup> მაშინ აღნიშნული გრ. ორბელიანის პოეზიის ამაღლებულ, მჭევრმეტყველურ ხასიათზეც ვრცელდება.

გრ. ორბელიანმა ამაღლებული, აღმოსავლური მჭევრმეტყველება ჭეშმარიტად ამაღლებული სულიერი შინაარსით დატვირთა, რითაც შეძლო აღმოსავლურ და დასავლურ ესთეტიკურ ტენდენციათა სინთეზირება — ფორმისა და შინაარსის შერწყმა ურთიერთთან. ამ წინააღმდეგობის გადალახვა დიდ პოეტურ ოსტატობას ითხოვდა ხელოვანისაგან. გრ. ორბელიანმა ეს მოახერხა, რადგან დიდი ილიას თქმისა არ იყოს, „იგი იყო თვითმპყრობელი ქართული ენისა“. პოეზიაში მჭევრ-

<sup>1</sup> ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველების ისტორიისათვის, წიგნში: ქართული მჭევრმეტყველება, თბ., 1958, გვ. 63—64.

<sup>2</sup> ფსევდო-ლონგინე, ამაღლებულისათვის, ძველი ბერძნულიდან თარგმანა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1975, გვ. 97.



მეტყველების საშუალებათა მომარჯვებას დიდი სოციალური ღირებულება აქვს საერთოდ, რადგან აქ იგულისხმება უმაღლესი კონტაქტი ხელოვანსა და საზოგადოებას, მისი ფუნქციონირების შორის; და, ალბათ, „მჭევრმეტყველებისაკენ გრ. ორბელიანის მისწრაფებითაც აიხსნება, რომ მის სტრუქტურებს ძალიან ხშირად იმოწმებდა და იშველიებდა ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების დიდი ფიგურა — ილია ჭავჭავაძე, რომლის სოციალური შინაარსით დატვირთული პოეზიაც მჭევრმეტყველურ მოწოდებას წარმოადგენს“.<sup>1</sup> გრ. ორბელიანი ყველგან ლამობს მკითხველი ამალღებულ გაცდისა და აზრის საუფლოში გადაიყვანოს, ცნობილი შეხედულების თანახმად, თუკი პათოსი არის ერთიანობა აზრისა და გრძნობისა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ გრ. ორბელიანის პოეზია მჭევრმეტყველური პათოსით აღვსილი პოეზიის ნიმუშია. ამალღებულისაკენ პოეტის მისწრაფება კი ძველთაგანვე თავის ახსნას იმაში პოულობს, რომ ის არა მხოლოდ არწმუნებს მსმენელსა თუ მკითხველს, არამედ „აღელვებს და აღაფრთოვანებს მას“ (ფსევდო-ლონგინე).

გრ. ორბელიანის პოეზიის მჭევრმეტყველური ხასიათი „მისი პოეტური არტიზმის“ გამოხატულებაა. „პოეტური არტიზმი“, ე. ი. მჭევრმეტყველებითი ტონის ლირიკაში გადატანა, მხატვრული სიტყვისადმი გრ. ორბელიანის, როგორც რომანტიკოსის სპეციფიკურად ქართულ დამოკიდებულებას გვიდგენს; ეს არის დადასტურება ერთგვარი „არისტოკრატიზმისა“ ჩვენს ლიტერატურაში, „არისტოკრატიზმისა“ იმ აზრით, რომ მისგან შექმნილი სილამაზე, გრიგოლ რობაქიძის სიტყვებით თუ ვიტყვით, „უფრო გვარეულია“, ვიდრე ინდივიდუალი; თვისგნით, შინაგანი სულიერი კულტურით, ეს სილამაზე ძვირად თუ ვისმე აქვს ამახვილებული ქართველი, — რომელშიც იღვიძებს სიძლიერე ძველი ჯიშის, ხშირად ისწრაფვის შემოქმედებად, — მაგრამ ვერ იჩენს გამწეობას, ვერ პოულობს შეუცნობლის სფეროში სინოციერეს, —

<sup>1</sup> გრ. ორბელიანის პოეზიის მჭევრმეტყველურ ბუნებას გახაზავს გრ. კიკნაძე, იხ. რომანტიკოსებიდან რეალისტებისაკენ, წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1972, გვ. 243.

და მისი სულის ლირიზმი ლამაზ რიტორიკად გამოდის.<sup>1</sup> გრ. სწორედ დაღლილი „ძველი ჯიშიდან“ მომდინარე „გამწეობის“ უქონლობა წარმოშობს იმ ფაქიზ მელანქოლიას, გრ. ორბელიანის პოეზიას რომ გასდევს და რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა არისტოკრატიული „ზანტი განცხრომა, ასე ვთქვათ, „ნაღვლიანი ფუფუნება“, რასაც სჭირდება ტრადიცია, ისტორია, ჯიში. ამიტომაც თვლის გრ. ორბელიანის საყვარელი პოეტი ვასილ ჟუკოვსკი „მელანქოლიას ძველი ბერძნული რომაული სამყაროს ელემენტად“.<sup>2</sup> ამგვარ „პოეტურ არისტოკრატიზმზე“ დაფუძნებულმა გრ. ორბელიანის ფრაზის არაჩვეულებრივმა ძალმოსილებამ, განცდათა გულწრფელობამ და აზრის სიცხადემ განსაზღვრა მისი პოეზიის გამოკვეთილი მჭევრმეტყველური ბუნება, ამ გზით მიღწეული ემოციური სიმძაფრე და ამდენად მისი მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის. ამ თვისების გამოა, რომ გრ. ორბელიანის ფრაზის პოეტური სიბრძნის ზემოქმედებითი ძალა თავს იჩენს და ამოატანს ხოლმე არა მხოლოდ ილიას, აკაკისა და ვაჟას, არამედ XX საუკუნის მრავალი ცნობილი პოეტის ნაწერებშიც. ამიტომაცაა, რომ გრ. ორბელიანის პოეზიის ენა მკითხველის მიერ განიცდება არა როგორც არქაიზმის ანუ როგორც მას უწოდებენ, „ენობრივი კონსერვატიზმის“ გამოვლინებად, არამედ პოეტურ მჭევრმეტყველებად.

<sup>1</sup> გრიგოლ რომაქიძე, გრიგოლ ორბელიანი, გაზ. „საქართველო“, 1917 № 277.

<sup>2</sup> В. А. Жуковский, О меланхолии в жизни и поэзии, Эстетика и критика, М., 1985, с. 342-343.

გრიგოლ ორბელიანის პროზა

ცნობილია დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის აზრი, რომლის მიხედვით „გრიგოლ ორბელიანის ლექსების წაყითხვით ვინ არ დამტკბარა, მაგრამ პროზა კი არ ეხერხებოდა“...<sup>1</sup> მართლაც, ფართო მკითხველი საზოგადოება გრიგოლ ორბელიანს იცნობს ისეთი პოეტური შედეგებით, როგორცაა: „იარალის“, „სადღეგრძელო“, „სიღამო გამოსაღმებისა“, „ჩემს დას ეფემიას“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, მისი მშვენიერი „მუხამბაზები“ და სხვ. ამდენად, აკაკი წერეთლის შეხედულებას გარკვეული ობიექტური საფუძველიც გააჩნია. მაგრამ ფაქტია, რომ პოეტს ეკუთვნის მხატვრული თვალსაზრისით საყურადღებო რამდენიმე პროზაული ქმნილება. ესენია: „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“ (1831—1832 წ. წ.), „დღიური 1836 წლისა“, რომელიც ითვლება „მგზავრობის“ ნაწილად, მხატვრული ესკიზები: „ან...დმი“ (1824 წ.), „ზამთრისა ქარი გრიალებს“... (1829 წ.), „ნ. ე. მ.“ (1832 წ.), „ანბავი რიგის ლოშპიტალში ნათქვამი“ (1835 წ.). გრ ორბელიანის ეს პროზაული თხზულებები ზოგი დაუსრულებელია, ზოგიც ნაწარმოების მონახაზს წარმოადგენს და თავიანთი ლიტერატურული დონით არათანაბარი ღირებულებებისანი არიან. რასაკვირველია, ისინი ვერ დგანან იმ სიმაღლეზე, რითაც სახელოვანი მგოსნის პოეზია გამოირჩევა. ალბათ, ამის გამო იყო, რომ თვით გრ. ორბელიანის მიერ ისინი არ ყოფილან გამოსაქვეყნებლად გამიზნულნი, ე. ი. ეს ნაწარმოებები ავტორის უკანასკნელი ნების გამომხატველნი არ არიან. მხოლოდ ჩვენი საუკუნის 30-იანი

<sup>1</sup> აკაკი წერეთელი, „ნადღი“ (1913 წ.) თხზულებანი, ტ. XIV, თბ., 1961, გვ. 564.

წლებიდან დაიწყო მათი პუბლიკაცია. პ. ინგოროყვას, ი. ბა-  
ლახაშვილის, ჯ. ჭუმბურიძის, ს. ხუციშვილის და სხვა ქართ-  
ველ მკვლევართა მიერ ბევრი რამ გაკეთდა, რომ ქართველი,  
საზოგადოება გასცნობოდა პოეტის მხატვრული მემკვიდრე-  
ობის ამ ნაწილს. მოგვიანებით აკ. გაწერელიას, ჯ. ჭუმბუ-  
რიძის, აპ. მახარაძის, ელ. მაღრაძის მხრივ გარკვეული მუშა-  
ობა ჩატარდა, რათა სათანადოდ შეფასებულიყო ამ თხზუ-  
ლებათა პრობლემატიკის მნიშვნელობა და ლიტერატურული  
ღირსებები. სადღეისოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას: ჩვენ  
რომ არ მოგვეპოვებოდეს გრ. ორბელიანის მშვენიერი პო-  
ეზია, მისი პროზა უფრო მეტ ყურადღებას დაიმსახურებდა  
და სათანადოდ დაფასდებოდა კიდევ. მაგრამ როგორც ანა-  
ლოგიურ შემთხვევაში სხვა მწერლებთანაც ხდება ხოლმე,  
ამჯერადაც გრიგოლ ორბელიანის პოეზიის ბრწყინვალეობამ  
ერთგვარად დაჩრდილა მისი პროზა არა მხოლოდ მკითხველ-  
თა (რომლისთვისაც დიდხანს უცნობი იყო ის), არამედ თვით  
სპეციალისტთა თვალშიც. არადა, ამ ნაწარმოებებს თავის-  
თავადი ლიტერატურული ღირსებები გააჩნიათ და ისეთ  
თვისებებს შეიცავენ, რომელიც კიდევ უფრო აფართოებს  
ჩვენს თვალსაწიერს. გრიგოლ ორბელიანის როგორც იდეურ-  
მსოფლმხედველობრივ ინტერესებზე, ასევე მის მხატვრულ  
უნარზე.

\* \* \*

საინტერესოა ერთი ფაქტი: მრავალი ათეული წლის მან-  
ძილზე გრ. ორბელიანს უხდებოდა სამხედრო მოღვაწეობა,  
შეიძლება ითქვას, საბრძოლო მოქმედებათა ხელმძღვანელო-  
ბა. სახელოვანი ქართული სახლეულობის წარმომადგენლის  
(რომელსაც მტრებიც კი პატივს სცემდნენ, რომ ის იყო ერეკ-  
ლე II-ის შთამომავალი) მაღალი მხატვრული ფანტაზია თითქ-  
მის მდუმარე აღმოჩნდა კავკასიის მთიანეთში სხვათათვის  
არსებული პოეტური რომანტიკისადმი.

კავკასიის მთიანეთში, დაღესტანში, მიმდინარე ბრძოლე-  
ბი, შამილი და მისი გარემო რუს რომანტიკოსს მწერალთა შთა-

გონების წყაროდ გადაიქცა. სულ რომ არაფერი ვთქვათ მარ-  
 ლინსკის, პუშკინის, ლერმონტოვის და სხვა რუს შემოქმედთა  
 მემკვიდრეობაზე, მართო ლევ ტოლსტოის მოთხრობებზე: „ვარ-  
 დასხმა“ („Набер“), „კაზაკები“, („Казакки“), „ტყის კაფეა“  
 („Рубка леса“) და გენიალური „ქაჯი მურატი“ კმარა იმის  
 ნათელსაყოფად, თუ რაოდენ ამოუწურავე აღმოჩნდა რუს მწე-  
 რალთათვის კავკასიის მთიანეთში მიმდინარე ომებიდან მიღე-  
 ბული შთაბეჭდილებანი. რატომ არის, რომ არა მხოლოდ ქარ-  
 თველ რომანტიკოსთა, არამედ მთელი XIX საუკუნის ჩვენი  
 მწერლების გული და ხედვა დახშულია შამილისა და, საერ-  
 თოდ, კავკასიის გმირული ეპოპეისადმი? (გამონაკლისს წარ-  
 მოადგენს მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილი — თავისი ერთი  
 ლექსით — „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირის-  
 პირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა წელსა 1844“ — და ალექსანდრე  
 ყაზბეგი...) ვერ ვიტყვით, რომ გრიგოლ ორბელიანი როგორც  
 პიროვნება არ განიცდის ყოველივე იმას, რაც მის თვალწინ  
 წლების განმავლობაში ხდებოდა; მართლაც, ძნელია ინდიფე-  
 რენტულად წარმოვიდგინოთ იმ მოვლენების მიმართ აღამიანი,  
 რომელიც თვით ტრიალებს სისხლის წვიმაში, ზოგჯერ სერთუ-  
 კის ამარა იძულებულია მდევრად მისდიოს შურისძიებით ან-  
 თებულ მთიელს და არცთუ იშვიათად გულის მოსაგებად პუ-  
 რიც კი გატეხოს მასთან. ქართველ თავად-აზნაურთა წრიდან  
 გამოსული ნიჭიერი ახალგაზრდობაც დაღესტნის მთებში იღუ-  
 მალ, საოცნებო სურვილთა შესრულებას მოელოდა. ეს პირ-  
 ქუში მთები, ეტყობა, მათ მიაჩნდათ დაკარგული რაინდული  
 იდეალის პოენის დიდ ასპარეზად; როცა სინამდვილის ლოგი-  
 კა მათ არწმუნებდა რეალობის სიმკაცრეში, ისინი იძულებულ-  
 ნი იყვნენ, პოეტური ილუზიის მაგივრად ცხოვრებისეული  
 პროზის წვრილმანებს დამორჩილებოდნენ და ახლობლებისთ-  
 ვის ეწერათ გაცრუებული იმედებით გამოწვეული გულდა-  
 თუთქული, რომანტიკული ნაღველით შეფერადებული ბარა-  
 თები, სადაც ქარბობს დაღუპული წარსულის და სავალალო  
 აწმყოს შესახებ მწარე გამონათქვამები. ამის მკაფიო ნიმუ-  
 შებს ჩვენ გრ. ორბელიანის პირად წერილებშიც ვპოულობთ.  
 ის, რაც, მაგალითად, ლევ ტოლსტოის გენიალური თვალისათ-  
 ვის არაჩვეულებრივად საინტერესო მხატვრული მასალა აღ-

მოჩნდა, გრ. ორბელიანისა და მისი უმცროსი თანამოკალმის-  
თვის, მამია გურიელისათვის ძალზედ უშინაარსო სამყაროა.  
„შეშას მაჭრევინებენ და თივას მაზიდვინებენ“-ო, წერს ეს  
უკანასკნელი ერთ მშვენიერ ბანოვანს, რითაც თავის გახუ-  
ნებულ რომანტიკულ ოცნებათა მარცხს აშიშვლებს. ერთი  
რამეა საყურადღებო: ქართველი მწერლებისათვის, როგორც  
ჩანს, დაღესტანი არ წარმოადგენს იმ სამყაროს, რომლის  
მხატვრულ დონეზე ხილვა და დანახვა მათ შემოქმედებით მი-  
ზანსწრაფვას შეესაბამებოდეს. გრიგოლ ორბელიანი და მისი  
თანამოკალმეები (ნიკ. ბარათაშვილის გარდა); ეტყობა, იმდენ-  
ად ვაიტაცა საკუთარ, პიროვნულ განცდათა გადმოცემაში და  
ასახვამ, რომ ვერ მოახერხეს შინაგანი სამყაროსაკენ მიმარ-  
თული ინტერესი გარე სამყაროზე გადაეტანათ და სუბიექ-  
ტური განცდების თვითგამოხატვისათვის მოვლენათა ობიექ-  
ტური აღწერა შეენაცვლებინათ. ლევ ტოლსტოი ყირიმის  
ომისა და კავკასიის ბრძოლათა ხილვის პროცესში მის მონა-  
წილედ კი არ წარმოსდგება მხოლოდ, არამედ მჭვრეტელია  
ომის სინამდვილისა; გენიალური რუსი მწერალი ამ დიდ სი-  
სხლისღვრათა, აზრთა და იდეათა ჭიდილის დროს რჩება რთ-  
გორც ცნობისმოყვარე მოყურიადე და არა ჯარისკაცი ან  
სარდალი. მისთვის მის თვალწინ მიმდინარე მკაცრი ვითარე-  
ბები ოდენ მხატვრული სურნელით აღსავსე მასალაა და არა  
მისი არსებობის ყოფნა-არყოფნის განმსაზღვრელი ფაქტორი.

გრ. ორბელიანისათვის დაღესტნის ბრძოლები ყოველგვარ  
პოეტური რომანტიკისაგან დაცლილი უმკაცრესი სამხედ-  
რო ოპერაციაა; თავის უდაბრჩენის, სიკვდილის შიშით აღსავ-  
სე მწვავე განცდები იკითხება პოეტის პირად წერილებში და  
მათი შემოქმედებითი გადამუშავებისათვის (პოეტური ფორ-  
მით იქნება ეს თუ პროზაულით) მას არც ელემენტარული  
პირობა და არც ფსიქოლოგიური მზაობა აქვს და, როგორც  
ჩანს, არც სურვილი. სამხედრო-პოლიტიკური ყოფითი ინტე-  
რესი მთლიანად ნთქავს მხატვრულ ინტერესებს. ამიტომა-  
ცაა, რომ არც შემოქმედების აღრეულ ეტაპზე და არც მოგ-  
ვიანებით არ ცდილა პოეტი მხატვრული ფორმით აესახა ნა-  
ნახი და განცდილი. გრიგოლ ორბელიანის რთული, საინტე-  
რესო სამხედრო ცხოვრებიდან მიღებული შთაბეჭდილებანი,

სამწუხაროდ, ვერ იქცა მისი მხატვრული ფანტაზიის წყაროდ. ეტყობა, მას არც დრო აღმოაჩნდა და არც მოცალეობა, რათა ახალი სინამდვილის, მხატვრული სინამდვილის საშენ მასალად გამოეყენებინა მძაფრი სათავეგადასავლო ამბებით დატვირთული ცხოვრება. არადა, გრ. ორბელიანის პირადი წერილები აღსავსეა საინტერესო მხატვრული ელემენტებით, აქ პოტენციაშია წარმოდგენილი ლიტერატურული ნაწარმოების შექმნისთვის საჭირო ესკიზები. მოვლენათა ჰერეტიკ ანალიტიკური უნარი, რაც სიმშვიდეს მოითხოვს და ასე აუცილებელია პროზაიკოსისათვის, ეს შემოქმედებითი ატმოსფერო გრიგოლ ორბელიანს არ აღმოაჩნდა. ამასთან, როგორც ჩანს, იმდენად მწვავე იყო სამხედრო ცხოვრებიდან მიღებულ შთაბეჭდილებათა ხარისხი, რომ მის მიმართ დისტანციის დამყარება, გარკვეულ შემოქმედებით პოზიციაში ყოფნა, ვერ მოახერხა პოეტმა, ე. ი. ძნელი აღმოაჩნდა მისთვის ყოფითი, რეალური განცდებისათვის მეტოქეობა გაეწია მხატვრულს; შემოქმედებითი გადამუშავების თვალსაზრისით ვერ შთანთქა მგოსნის ფანტაზიამ ყოფითი მასალა. გოეთეს ეკერმანთან საუბარში უთქვამს: პოეტური ნიჭი კონფლიქტშია რეალურ ცხოვრებასთან, რასაც ჰქმნის სასახლეში მუშაობა, ნაირ-ნაირი და მრავალრიცხოვანი საქმიანობა, სამსახურებრივი მოვალეობანი. ამგვარი სამსახურეობრივი მოვალეობებით დატვირთული კი არა, გადატვირთულიც იყო გრ. ორბელიანის ცხოვრება. ალბათ, ესეც ახდენდა გავლენას მის შემოქმედებით პროცესზე და გზას უღობავდა ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებათა მხატვრულად გარდასახვას. ანდრე მორუა ერთგან იხსენებს გუსტავ ფლობერის აზრს: „მხოლოდ მაშინ გამოსახავ ღვინოს, სიყვარულსა და ომს, თუ არა ხარ ლოთი, არა ხარ შეყვარებული და მეომარი. ნიჭიერად აღწერ პოლიტიკურ სამყაროს, თუ თვითონ არ მიეკუთვნები რომელიმე პარტიას“. გრიგოლ ორბელიანის ბელეტრისტული შესაძლებლობების შესაფასებლად პროზის დიდოსტატის ამ დავირვებასაც შეიძლება ჰქონდეს გარკვეული მნიშვნელობა, რადგან საკუთარი შემოქმედებითი პრაქტიკით შეძენილ გამოცდილებას ზოგჯერ ლოგიკური არგუმენტის ძალა გააჩნია სხვებისათვისაც. ამ მხრივ გრიგოლ ორბელიანის მწერლური



ნიჭი უფრო გამოჩნდა შედარებით მშვიდი შთაბეჭდილებებით დატვირთულ ნაწარმოებში, რომელსაც ჰქვია „მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“. ეს თხზულება შეიძლება გრიგოლ ორბელიანის საპროგრამო ნაწარმოების მონახაზადაც მივიჩნიოთ, რამდენადაც აქ გამოხატული იდეები, მხატვრულ-ესთეტიკური ინტერესები სათანადო გაშლა-გაღრმავებას განიცდის პოეტის ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე და ნათლად ავლენს როგორც მის ეროვნულ-პოლიტიკურ მრწამსს, მოქალაქეობრივ პოზიციას, ასევე სამწერლო ინტერესებს და მხატვრულ სიმბათიებს. აქ მრავალფეროვან საკითხთა წყებაზე აჩერებს პოეტი ყურადღებას: იქნება ეს ეროვნული, სოციალურ-პოლიტიკური, ესთეტიკური, ეთნოგრაფიული თუ სხვ. მაგრამ ყველა შემთხვევაში ეროვნული მიზანსწრაფვა მართავს პოეტის ინტერესებს. ის ფაქტი, რომ გრ. ორბელიანი ერთი ნაწარმოების ფარგლებში თავს უყრის მრავალ საკითხს, ახერხებს ჩაატოს ინტერესთა მრავალფეროვნება ერთ ქმნილებაში, განსაზღვრულია იმით, რომ მწერალი მოგზაურის თვალთ დახახული სინამდვილის ასახვას ახდენს. არქიტექტონიკის თვალსაზრისით საკითხთა ნაირფეროვნების თავმოყრას ამართლებს მოგზაურის, ამ შემთხვევაში გრ. ორბელიანის, თვალწინ გადაშლილი სინამდვილიდან მიღებული შთაბეჭდილებების სიუხვე. ავტორს მოცემულ შემთხვევაში შესაძლებლობა ეძლევა ყურადღება შეაჩეროს ყველა იმ მტკივნეულ, ან საინტერესო კითხვაზე, რაც აწუხებს და რომელზეც მსჯელობა და საკუთარი აზრის გამოთქმა მას მიზანშეწონილად მიუჩნევია. აკაკი გაწერელის დაკვირვებით, „მოგზაურობის ზოგიერთი აღგილი წარმოადგენს პოეტის საუბარს თავის თავთან. უმთავრესად კი „მოგზაურობა“ მკაფიო პროგრამული გადმოცემაა შეთქმულთა იმ იდეებისა, რომელიც პოეტის მთელ რიგ ლექსებში მხატვრული სახეებითაა გამოხატული.<sup>1</sup>

ჯუმბერ ჭუმბურიძის აზრით, „თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარსულ საუკუნეებში ბევრს არ დაუტოვებია ისეთი

<sup>1</sup> აკაკი გაწერელია, გრიგოლ ორბელიანი, იხ. წიგნში: გრიგოლ ორბელიანი, თხზ. საღამო გამოსაღმებისა. თბ., 1989 წ. გვ. 27.





მნიშვნელობის დოკუმენტური პროზის ნიმუში, როგორცაა, გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან მშვეტერბურლამდის“.

„მგზავრობა“ წარმოადგენს დღიურს, რომელიც პოეტს უწერია 1831 წლის 9 ივნისიდან 1832 წლის 31 აგვისტომდე.<sup>1</sup> საგულისხმოა ის, რომ აქ შეუნიღბავად არის გადმოცემული გრიგოლ ორბელიანის ეროვნული კონცეფცია, რომელიც მისი პოეზიის ლაიტმოტივიცაა.

**გრიგოლ ორბელიანის ეროვნული კონცეფცია  
„მგზავრობის“... მიხედვით**

რომელ შეგნებულ ადამიანს არ უყვარს საკუთარი ქვეყანა და არ ფიქრობს მის უკეთეს მერმისზე, მაგრამ, ალბათ, იშვიათია ერი, რომლის ღირსეულ შვილთა საქმიანობასა და ღანსაკუთრებით მწერალთა ნაწერებში ესოდენ გამორჩეული, შეიძლება ითქვას, ცენტრალური ადგილი ეჭიროს სამშობლოს „აღდგომა-გამოხსნის“ შესახებ ფიქრსა და ოცნებას, როგორც ეს ქართულ სინამდვილეშია წარმოდგენილი; ხოლო როგორც მიუთითებენ, „თავისებურება სამშობლოს სიყვარულის ქართველური განცდისა, სპეციფიკა ქართული სახლის სიყვარულისა, საერთოდ, ქართული პატრიოტიკა, ფონდირებულია საქართველოს ისტორიის თავისებურებაში. მისი საზრდოა ის ათასწლოვანი ბრძოლების ისტორია, რომელსაც აწარმოებდა ქართველი ხალხი“.<sup>2</sup> ამიტომაცაა, რომ თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვან ზიგზაგისებურ და ნარეკლიან გზაზე, აქა-იქ თუ მოჩანს თავისუფლების ნათელი წერტილები და თავისუფალი ქართველიც... დაძაბული ბრძოლა თავის გა-

<sup>1</sup> ჭუმბერ ჭუმბურიძე, გრიგოლ ორბელიანის პროზა, დასახ. წიგნი, გვ. 96.

<sup>2</sup> მ. გოგიბერიძე, პატრიოტიკა ანუ სამშობლოს სიყვარულის ქართველური განცდა. ქართული სახლის ფილოსოფია. იბ. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. IV, ტომი შეადგინა და განმარტებანი დაურთო იოსებ მეგრელიძემ. პროფ. გ. თევზაძის რედაქციით, თბ., 1978, გვ. 233—234.

დასაჩინად და შემდგომ კიდევ გამოსახსნელად ათავსვარი გეგმების დასახვა-ძიება თითქმის ჩვენი ხალხის ეროვნული ცხოვრების წესად იქცა. მაგრამ ამ პრობლემამ სულ უფრო და უფრო წვავე მას შემდეგ შეიძინა, როცა დაირღვა რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს დადებული ე. წ. სამეგობრო ხელშეკრულება, ტრაქტატი და 1801 წელს რუსეთმა ძალმომრეობით საბოლოოდ მოშალა ქართული სახელმწიფოებრიობა, ანუ შეეცადა დაეჩქარებინა ერის პოლიტიკური სიკვდილი.

ამ დროიდან მოყოლებული მოწინავე ქართველთა მოუბეზრებელი ფიქრის საგნად იქცა ეროვნული სახელმწიფოს დაშლის მიზეზთა ანალიზი და, ბუნებრივია, შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამოსავლის ძიება.

ამ თვალსაზრისით გრიგოლ ორბელიანის „მოგზაურობა-ში“ ისეთი საკითხებია აღძრული, რაც აქტუალურია დღესაც და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართველისათვის, რადგან ისინი არა თუ ეხმიანება თანამედროვე მოაზრე საქართველოს პოლიტიკურ ვნებებს და ინტერესებს, არამედ ამჟამადაც, როგორც არასდროს, უმწვავესად დგანან ჩვენი ხალხის არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის რთულ გზაზე.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს საკმაოდ დიდი მონაკვეთი გრ. ორბელიანის აღნიშნული თხზულებიდან, განსაკუთრებით კი დიალოგი გენერალ ივანე აფხაზთან. გრიგოლ ორბელიანს იმდენად მნიშვნელოვნად მიუჩნევია ეს დიალოგი, რომ ნაწარმოების ეს ნაკვეთი დაუსათაურებია კიდევ ასე: „უბნობა ჩვენი“. ჩვენი ფიქრით, ამ საუბარში იკვეთება ერთი იდეით, საქართველოს თავისუფლების მოპოვების იდეით, შეპყრობილი, ოღონდ დიდი მიზნის განხორციელების გზაზე შემდგარი სწვადასხვა პოზიციის მქონე ორი მოღვაწის ალტერნატიული თვალსაზრისი: 1. ეროვნული სუვერენიტეტის, სახელმწიფოებრივობის აღდგენის შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა საქართველომ იარსებოს როგორც დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა ერთეულმა? 2. რამდენად რეალურია ამ პრობლემის გადაჭრა რუსეთთან კავშირის გარეშე? 3. ქართველ ხალხს მაშინ არსებული სიტუაციის, მსოფლიო-პოლიტიკური ტა-

როსის მიხედვით აქვს კი იმის რეალური შანსი — შეინარჩუნოს თავისუფლება? და ბოლოს 4. არსებული ვითარების გათვალისწინებით ქართველ ხალხს გააჩნია კი ეროვნული განთავისუფლების უშრეტე წყარო, რომელიც ასაზრდოებს პირველ რიგში ეროვნული თვითშეგნების მაღალ დონეს, გახაზავს მის პოლიტიკურ სიმწიფეს და საბოლოოდ, უქვევლს გახდის ჩვენი ერის სამხედრო-ეკონომიკურ არსენალსა და კულტურულ პოტენციალს? აი, საკითხთა ის წყება, რომელიც ივ. აფხაზის და გრ. ორბელიანის „უბნობის“ მიხედვით შეიძლება გამოვყოთ. ვიმეორებთ, ქართველთა სასიცოცხლო ინტერესების თვალსაზრისით საჭირობოროტო ამ კითხვებს, როგორც არასდროს, დღესაც აქვთ შენარჩუნებული თავისი ცხოველმყოფელი ძალა.

ორივე მოღვაწის — ამ შემთხვევაში პერსონაჟის — იდეალია, იხილოს რუსთაგან თავდახსნილი საქართველო, ქვეყანა თავისუფალი და თავისი თავის მცნობელი, აღზევებული და განათლებული. საქმე ისაა, რომ ივანე აფხაზის მსჯელობა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით არის ცხოვრების გამოცდილებით დატვირთული სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწის, მკაცრი რეალისტის მსჯელობა, მაშინ, როცა გრიგოლ ორბელიანის განსჯა შედარებით რომანტიკული ელფერიითაა შეღებილი და უფრო მისი პოეტური განწყობილებების უკუფენაა, ვიდრე საქართველოს იმეამინდელი რეალური ვითარების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული აზრი.

ივანე აფხაზი თვლის, რომ ამჯერად, ე. ი. XIX საუკუნის 30-იან წლებისთვის, ქართველთათვის დამლუბველი შეიძლება აღმოჩნდეს „რუსთაგან დატევება“. მისი არგუმენტაცია მოცემულ შემთხვევაში ასეთია: 1) რუსეთმა რომ საქართველო მიატოვოს, ეს გამოიწვევს ჩვენს ქვეყანაში „შინაგან განხეთქილებას“, რაც, რასაკვირველია, დააჩქარებს „ზედასხმას გარეშე დაუძინებელთა მტერთა“ და საქართველოც „შეიქმნების მსხვერპლად უწესობისა“ (235). 2) დამოუკიდებელი საქართველოს ხელშეუხებლობა მხოლოდ რეგულარული არმიის არსებობის შემთხვევაშია გარანტირებული. ივანე აფხაზის თქმით „ურეგულოთ ვერც ერთ თვესა გაუძ-

ლებს მტერსა“ (236). ცხადია, რევულარულ არმიას შესაძლებ-  
რისი ტექნიკური სამხედრო აღჭურვილობა სჭირდება. ამის  
გამო, რომ თავდაცვას მყარი ეკონომიკა ასაზრდოებს, ამჟამად  
3) საქართველო ეკონომიკურად ღარიბია (238) და მისი  
სამხედრო ტექნიკაც ჩამორჩენილია (236); თუ მეზობელი  
ძლიერი სახელმწიფოები ამ პატარა ქვეყანაში პოლიტიკურსა  
და ეკონომიკურ სარგებელს არ ხედავენ, მათი მხრივ დახმარება  
და მხარდაჭერა გამორიცხულია: — ჯარისა და სასწავ-  
ლებელთა შენახვისათვის საჭირო არის ხაზინა; საქართველო  
არის ღარიბი სამეფო და „სხვა რომელი სახელმწიფო გვენ  
დობა ჩვენ ვალად“ (238). ივანე აფხაზის დაკვირვებით,  
4) რუსთა ბატონობის 30 წელმა „ფრიად შეჰსცვალა ერი.  
არღა მდგომარეობს ჩვენს შორის იგი მხნეობის სული, რომ-  
ლითაცა იქნებოდნენ უწინ“ (236). ამ გარემოებამ ჩაკლა ქარ-  
თველში მეომრული თვისება, მისი აზრით, 5) ერი, რომე-  
ლიც დამოუკიდებლობას კარგავს, უზნეობის ქაობში ეფ-  
ლობა, ქართველებს არა აქვთ უზნეობრივი პროგრამა და ნა-  
თელი სულიერი იდეალი, რადგან ქართველებში არ არსებობს  
ეროვნული მთლიანობა. ამის გამო, საზოგადოებრივი  
ინტერესი ჩაკლულია, მასზე ბატონობს ეგოისტური საწყისი.  
ამას მოწმობს შემდეგი მსჯელობა: „დამისახელე გინა ერთი  
კაცი, რომელმანცა დასდვას ნაწილი სიმდიდრისა თვისისა სა-  
ზოგადოებისა სარგებლობისათვის. ესრეთი მსხვერპლი არს  
სათნოება, რომელსაცა ჰგრძნობს მხოლოდ გონებითა და გუ-  
ლითა განათლებული კაცი: უმეცარი და უმსწავლელი ვერა  
მიხვდების ამა ამალლებულსა გრძნობასა, რომელსაცა აწარ-  
მოებს მხოლოდ სიყვარული მამულისადმი“ (237). ცხადია, ამ  
იდეალებთან შეპირისპირებაში არარაობაა უზნეობრივი დაქვე-  
ითების გზაზე დამდგარი, საკუთარ ეროვნულ მეობასა და  
ღირსებას მოკლებული მორჩილი საქართველო. მისი თქმით,  
„აწინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკვდარ მამულისათვის.  
ჰსცხოვრებენ უსაგანოდ, დაეხეტებიან უგზოდ, ვითარცა  
ბნელსა ღამესა შინა; ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა  
სარგებლობისათვის, რომლისა მისაღებელად არა მიხედვენ  
არცა სირცხვილსა და არცა უპატიურსა გზასა... ანგაარება  
არს მათთვის თაყვანსაცემი კერბი, რომლითაცა გვეკარგება

პატიოსნება; გარნა ნუ გგონია, რომელ ესე იყოს ბუნებრივ  
თვისება ქართველთა; არა, ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდამ  
ათის წლის მორჩილებისა“ (238). მაშასადამე, ეროვნულად  
მოუკიდებლობის მოშლა იწვევს მორჩილების კომპ-  
ლექსის ჩამოყალიბებას ხალხის ფსიქიკაში. მორჩილების ფსი-  
ქოლოგია კი არის აკვანი ზნედაცემულობის ისეთი ფორმები-  
სა, როგორცაა: შური, ეგოიზმი, ანგარება, უსირცხვილობა,  
პიროვნული ღირსების უარყოფა, უპატიოსნება. 6) ხსნა „ქარ-  
თველთა ბუნებითი თვისების“ აღდგენაშია, რომელიც უნდა  
ემყარებოდეს გონების სინათლესა და სულიერ ამბლებას.  
ივანე აფხაზის პირით, გრიგოლ ორბელიანი ერთადერთ იმედს  
ამყარებს ახალგაზრდობაზე, ცხოვრებისგან შეურყვნელ ძა-  
ლაზე. მისი მიზანიც ისაა, რომ ეროვნულ მოღვაწეებად გო-  
ნებრივად განვითარებული, სულიერად ამბლებული ახალ-  
გაზრდობა იხილოს. ეს აზრია გამოხატული შემდეგ მოწო-  
ლებათშიც: „ახალგაზრდანო! თქვენ უნდა ეცადნეთ ყოვლის  
ღონისძიებით მამულისათვის. პირველად უნდა ისწავლოთ,  
ცონება განინათლოთ, და მაშინ დაინახავთ და გამართავთ  
ნაკლულოვანებათა“ (237). ეროვნული დამოუკიდებლობისათ-  
ვის ბრძოლის ვზაზე გამოვლენილი უსასოო პესიმიზმი ერთე-  
ნული ნიპილიზმისათვის ჰქმნის საფუძველს. ამგვარი მიმარ-  
თება მოვლენებისადმი „მოგზაურობაში“ სავსებით გამორი-  
ცხულია. ბოლო 7) და ყველაზე მთავარი არგუმენტი ივანე  
აფხაზისა ის გახლავთ, რომ განამტკიცოს საქართველოს სხვა-  
დასხვა კუთხეთა ერთიანობის იდეა, რომელიც ჩვენი ხალხის  
გადარჩენის ძირითადი პირობაა. ეს კი მხოლოდ მაშინ იქ-  
ნება მიღწეული, თუკი ქართველი მოახერხებს თავის თავში  
აღზარდოს ქეშმარიტი მამულიშვილი, ე. ი. როცა ქართველი  
ყველა გრძნობათა შორის სამშობლოს სიყვარულის გრძნობას  
მიანიჭებს უპირატესობას, მას აიყვანს ეროვნული შეგნების  
ღონემდე და აქცევს თავისი ქცევა-საქმიანობის მამოძრავე-  
ბელ ძალად. ამის მიღწევას დრო სჭირდება, დრო, რომელიც  
ურთიერთთან შეადუღაბებს ქართველთა ინტერესებს და მო-  
უპოვებს ერს თავისუფლებას. ამ თვალსაზრისით „მოგზა-  
ურობაში“ გაშლილი ივანე აფხაზის მსჯელობის ფინალი სავ-  
სებით გამართულია და შეუვალი: „საქართველო არს დაგ-

ლეჯილი ნაწილ-ნაწილად... ამიერიტგან უნდა შეერთდეს  
ნენ და შეადგინონ ერთი მთელი: წებოთი მიკრული  
გების დიდს ხანს, თუ მზე არ შეაერთებს და არ შეადუღებს  
მას. ჩვენი მზე არის დრო; დრომან უნდა განგვანათლოს,  
გვასწავლოს ურთიერთთა და მამულისა შეყვარება და შეგ-  
ვაერთოს ერთითა გულითა, ერთითა ფიქრითა ყოველნი ნა-  
წილნი ძველისა საქართველოსანი“ (238).

ამის წინაპირობად ისაა მიჩნეული, რომ რაკი „გარშემო-  
ზღუდულ არს რა საქართველო მტერთაგან, ჯერ-არს, რათა  
ყოველი ქართველი აღინთოს მამულის სიყვარულითა და თვი-  
თოველმან აღირჩიოს გზა ლეონიდისა... დრომ, დრომ უნდა  
აღადგინოს საქართველო“ (239).

რა არგუმენტებით უპირისპირდება ივანე აფხაზის მსჯე-  
ლობას გრიგოლ ორბელიანი? პოეტის რწმენით, 1) მთავა-  
რია, საქართველო დატოვოს რუსეთმა, მან მოიპოვოს დამო-  
უკიდებლობა; ამ შემთხვევაში უნდა ეივარაუდოთ — ქართ-  
ველი საკუთარი ქვეყნის მოვლასა და დაცვას მოახერხებს,  
მით უფრო, რომ რუსთა ქვეშევრდომობაში ყოფნის ოცდა-  
ათი წლის მანძილზე ჩვენი ხალხი რაოდენობრივად გაიზარდა,  
თორემ არ მოუკლია. აღნიშნულზე მიუთითებს მისი სიტყვე-  
ბი: „საქართველო, შემდგომად რუსთაგან დატევებისა, ვგო-  
ნებ იყოს ესრეთ ძლიერ, რომელ შეიძლოს დაცვა მტერთაგან  
სამზღვრისა თვისისა. ოცდაათს წელიწადს საქართველოს თუ  
არ მომატებია ხალხი, ვგონებ არც დაპკლებოდეს“ (235).

გრ. ორბელიანიც ამტკიცებს, რომ საქართველოს დაცვა შე-  
საძლებელია რეგულარული არმიის შექმნით და ეს არაა ძნე-  
ლი, რადგან, როცა საკუთარ საზღვრებს და მეობას იცავს  
ქართველი, თვალნათლივია რეგულარული ჯარის არსებობის  
სარგებლიანობა. მით უფრო, რომ საამისო ტრადიციაც გვაქვს  
ერეკლე II-ის მორიგი ჯარის სახით. პოეტს სჯერა, რომ „რე-  
ლულის გაწყობა ადვილად მოხდება საქართველოში; ამიტომ  
რომ იქნებიან რა თვით დამცველნი თვისისა საზღვრისანი,  
თვალთ დაინახვენ რელულის სარგებლობასა; თვით მეფე  
ერეკლემაც იცოდა უმჯობესობა რელულისა და გააჩინა მო-  
რიგის ჯარი“ (236), 2) ეროვნული სახელმწიფოს თავდაცი-  
სუნარიანობის უტყუარ გარანტიად გრ. ორბელიანი თვლის



ქართველთა გულადობას, მამაცობას და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს: „მზნეობა და სიყვარული მამულისა და სარწმუნოებისადმი“ არის ერის რუსთაგან თავდახსნისა და შემდგომ თავდაცვის პირობა. მისი აზრით, „ვაჟკაცობაში ქართველნი ნაქებნი არიან და უყვარსთ მამულიცა; ესე დამტკიცდების მით, რომე საქართველო, ესრეთი მცირედი სამეფო, ვერ დაიცავდა ვერცა სამზღვარსა თვისსა და ენასა და ვერცა სარწმუნოებასა, თუ არ განსხვავებულთა ვაჟკაცობითა და სიყვარულითა მეფეთა და მამულისადმი. — ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გათხრებულს და კვალად აღდგინებულს არაარაისაგან. ესრეთთა საკვირველებათა აწარმოვებს მხოლოდ მზნეობა და სიყვარული მამულისა და სარწმუნოებისადმი“ (236—237). საამისო მაგალითებს ის ჩვენი ერის ისტორიაში მრავლად ხედავს და მათ გავვითილის მნიშვნელობას ანიჭებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საბუთად პოეტს მუსსულმანურ სახელმწიფოთა — სპარსეთისა და ოსმალეთის მხრივ დაშვებული პოლიტიკური შეცდომაც მოაქვს, შეცდომა, რომელსაც ეს ქვეყნები ინანიებენ და რომელიც მომავალში აღარ შეიძლება განმეორდეს: „გარდა ამისსა, აწ თვით ყიზილბაში და ოსმალთა ხედვენ შეცდომილებათა თვისთა, რომელ საქართველომ, მათგან შეიწროებულმან, დაუმეზობლა ესდენ საშინელი მათთვის მეზობელი რუსეთი და არღა მოინდომებენ, რომელ საქართველომ კვლავცა მოსთხოვოს მფარველობა რომელსამე ძლიერსა სახელმწიფოსა ევროპასა შინა, ყიზილბაშნი ჰსწყევდენ აღამაჰმად-ხანს ტფილისის წახდენისათვის, რაიცა იყო მიზეზად რუსების გადმოსვლისა“ (237). მაგრამ გრ. ორბელიანი მომდევნო მსჯელობაში, როცა ერის სულიერი ამადლების გზებს ეძებს და პერსპექტივაში ხსნას ევროპასთან კავშირში ხედავს, ანგარიშს არ უწევს ერთ გარემოებას, რომ ევროპულ სახელმწიფოთა მხარდაჭერას საქართველო თავისი კულტურულ-ეკონომიკური განვითარების გზაზე მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს, თუ ჩვენი ქვეყანა თავისი პოლიტიკური ორიენტაციით უყოყმანოდ აღიარებს აღმოსავლეთთან შედარებით და-



საგლეთის უპირატესობას. 4) საერთოდ, მისი ოპტიმიზმი საქითხზე ემყარება ქართული სახელმწიფოს სათავეში მოქცეულ ხელისუფალთა გონიერების რწმენას და არა რეალურად მოცემულ ფაქტს. გრ. ორბელიანის შეხედულებით, „ერასა სულისა დამდაბლებასა ადვილად აღზოცენ იგინი, ვინცა იქმნებიან შემდგომად რუსთაგან დატევებისა ერის მმართველნი, უკეთუ იქმნებიან გონებიან და შორსმხედველ. ალა იქმნების მათ ხელში, აღაშენებენ და გააწყობენ სასწავლებელთა; ჭხვათა სახელმწიფოთაგან მოუწოდებენ მსწავლულთა კაცთა და ხელოსანთა, რომელნიცა იქმნებიან პირველნი მთესველნი სწავლათა და ხელოსნობათა საქართველოსა შინა, და შემდგომად რაოდენთაჲმ წელთა ნაყოფი უეჭველად აღმოცენდების, მით უფრო უმეტეს, რომელ ქართველთა აქვსთ ბუნებით, გონება“ (238). მრავალმხრივ საყურადღებო შეხედულებებია მოწოდებული გრ. ორბელიანის მსჯელობაში, მაგრამ, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაში არის მითითებული, „გრ. ორბელიანის ამ მოსაზრებებს საკმაოდ ადვილად აბათილებს ი. აფხაზი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თვით გრ. ორბელიანი ძალზე მიუდგომლად და კეთილსინდისიერად გადმოგვეცემს თავისი ოპონენტის შეხედულებებს და ცდილობს, ობიექტურად აწონ-დაწონოს ორივე მხარის მიერ წამოყენებული არგუმენტები. საერთოდ ჩანს, რომ ი. აფხაზის მსჯელობას გრ. ორბელიანზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია,<sup>1</sup> რაც არცაა გასაკვირი, რადგან ესაა გულმხურვალე პატრიოტის არგუმენტირებული მსჯელობა, რომელშიც მკაფიოდ ჩანს რეალისტური მიდგომა საკითხისადმი, მოვლენათა თვითკრიტიკული ანალიზი და მაინც, რთული ვითარების მიუხედავად, რწმენა ნათელი მომავლისა. ამიტომ მოულოდნელი არაა ის აღტაცება, რასაც გრიგოლ ორბელიანი ავლენს ივანე აფხაზის პიროვნებისადმი. „ახ! ვითარ ძლიერად და მართლიად აღსწერა აწინდელი მდგომარეობა საქართველოსა, რომელიცა უყვარს, ვითარ-

<sup>1</sup> ჯ. ჭუმბურიძე, გრიგოლ ორბელიანის პიროვნება. წიგნში: გრიგოლ ორბელიანი, „საღამო გამოსალმებისა“ (თბილისი), აკაკი გაწერელიას და ჯუმბერ ჭუმბურიძის რედაქციით. თბ., 1989, გვ. 100.



ცა ქეშმარიტსა ძესა მამულისასა. ვითარ მწუხარებთა უბნობა და ქართველებზე, რომელთაცა აღზოცეს თვის შორეულ-კეთილ-შობილური სიამაყე და სიყვარული მამულისადმი და არიან მონებასა ქვეშე დამდაბლებულნი სულითა“ (235). თავის დროზე პავლე ინგოროყვამ აღნიშნა<sup>1</sup> და შემდგომ აქაი გაწერელიამაც გაიზიარა აზრი, რომ „გრიგოლ ორბელიანი თითქოს დაეკეცებულა თავის პოზიციასში, თუმცა იგი საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე რჩება. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გენერალ აფხაზის ზოგიერთი შეხედულება პროზაული გადმოცემაა თვითონ პოეტის ფიქრებისა, რომლებიც მის ზოგიერთ ლირიკულ ლექსშია გამოხატული. ასე, მაგალითად, აფხაზის აზრი „აწინდელი ჩვენი საზოგადოების შესახებ“, რომელსაც „ოცდაათის წლის მორჩილების ნაყოფად“ პატიოსნება დაუყარგავს, სრულს პარალელს პოულობს ლექსში „ჰე, ივერიავ“... ასევე ივანე აფხაზის მიერ გამოთქმული აზრი ალექსანდრე მეფის შემდეგ საქართველოს ცალკეულ ნაწილებად დაქუცმაცებისა („საქართველო არს დაგლეჯილ ნაწილ-ნაწილად“)... მშვენიერ პარალელს პოულობს მის ლექსში „აღსარება“.<sup>2</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ „მგზავრობა“, უპირველესად, მხატვრული ნაწარმოებია და არა პოლიტიკური ტრაქტატი და გრ. ორბელიანიც აქ ქეშმარიტი მწერლისთვის ნიშანდობლივი თვისებით ხელოვანის თვალით აღწერს მოვლენებს. ივანე აფხაზისა და გრ. ორბელიანის დიალოგი მაინც მხატვრული უკუფენაა იმ პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობისა, რასაც იმდროინდელ საქართველოში ჰქონდა ადგილი. ამ თხზულებაში გამოვლენილი სკეპსისი, ოპტიმიზმი, თუ კოკმანი საქართველოს აწმყოსა და მომავალზე გრ. ორბელიანის შემოქმედებით ინტერესად ქცეული სულიერად სასიცოცხლო მოთხოვნილებია.

სადღეისოდ ამ ქმნილების შესახებ ასეთი აზრია დამკ-

<sup>1</sup> პ. ინგოროყვას წერილი გრ. ორბელიანის დღიურებზე, ე. „მნათობი“ 1940, № 2, გვ. 92 შტრ. ა. გაწერულის ნარკვევს, გრ. ორბელიანი. თხზ., 1939, წლის გამოცემა, გვ. 26.

<sup>2</sup> აკ. გაწერელია, გრიგოლ ორბელიანი, კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი, დასახ. წიგნი, გვ. 26.



ვიდრებული. „მგზავრობა წარმოადგენს არა უბრალოდ დღე-ურს, არამედ წმინდა ლიტერატურულ ნაწარმოებს“<sup>1</sup> (მ. ანდროპოვი)... „მგზავრობა ლიტერატურულად დამუშავებული ნაწარმოებია“ (ა. გაწერელია).<sup>2</sup> „წარსულ საუკუნეებში ბევრს არ დაუტოვებია ისეთი მნიშვნელობის დოკუმენტური პროზის ნიმუში, როგორცაა გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“<sup>3</sup>... და ბოლოს: „მგზავრობა უპირველეს ყოვლისა, ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებია ცნობილი ჟანრისა. მისი დინჯი კილო, ხატოვანი ენა, აღწერილობანი, მეტადრე ბუნების დიდებული სურათებისა, და ბოლოს დიალოგში გაშლილი სურათი საქართველოს ბედ-ილბალისა, განსჯა მისი აწმყო-მომავლისა, ეპოქალური მოვლენაა უკვე იმითაც, რომ რამდენიმე ათეული წლით ადრე დაიწერა ილიას „მგზავრის წერილებზე“, დაახლოებით რვა წლით ადრე ნ. ბარათაშვილის პოემაზე „ბედი ქართლისა“ — ამ ორ დიდ ლიტერატურულ ძეგლზე, რომელთაც თვლიდნენ გასული საუკუნის ჩვენი ლიტერატურული აზროვნების პირველ მერცხლებად“<sup>4</sup>... მართლაც, გრ. ორბელიანის ნაწარმოებში, ჩვენი ერის არსებობის თვალსაზრისით, პირველად დასმული ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვების საკითხი და მწერლის თვალთ დახატულია აზრთა ალტერნატიული დინებანი; ამიტომ რამდენადმე დაზუსტებას საჭიროებს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ქრესტომათიულად განმტკიცებული შეხედულება, რომლის მიხედვით, ჩვენს სინამდვილეში ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ „წარმოადგენს შემოხსენებული საკითხის პირველ დამაჯერებელ გამხილვას“<sup>5</sup>, რისთვისაც, ე. მაღრაძის თქმისამებრ, პრიორიტეტი მოცემულ შემთხვევაში გრ. ორბელიანს უნდა მიეკუთვნოს. და თუ „მგზავრობაში“ აღძრული პრობლემატური პოლიტიკური კითხვების მიმართ დაყინებით მოვითხოვთ პასუხს, ნათლად

<sup>1</sup> პ. ინგროპოვი, გ. ორბელიანის „მგზავრობა“ ე. „მნათობი“, 1940, № 2, გვ. 88.  
<sup>2</sup> ა. გაწერელია, დასახ. წიგნი, გვ. 50.  
<sup>3</sup> ჯ. ქუმბურიძე, დასახ. წიგნი, გვ. 96.  
<sup>4</sup> ელგუჯა მაღრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1967, გვ. 511.  
<sup>5</sup> იხ. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1972, გვ. 155.



იყოს მონიშნული გრ. ორბელიანის პოლიტიკური ორიენტაცია, ეს მსჯელობის კონტექსტსა და პერსონაჟთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტების სიუხვეში უნდა ვეძიოთ.

ნაწარმოების პერსონაჟების — ივანე აფხაზისა და გრიგოლ ორბელიანისთვის ამოსავალი თვალსაზრისი, რომელიც აქ ურთიერთს ემთხვევა და საერთოა: — ესაა ადრე თუ გვიან საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა. და თუკი ამ რთული პრობლემის გარშემო სხვადასხვანაირი მოსაზრება უჩნდება ერთს ან მეორეს — ეს უკვე ქართველისთვის ამ მეტად მწვავე პრობლემის ახსნის შინაგანი სირთულეთაა გამოწვეული, სირთულეთ, რომლის გადაჭრას გრ. ორბელიანის შემდეგაც, თავიანთი დიდი სააზროვნო და მხატვრული ენერჯია შეაღიეს არა მხოლოდ დიდმა 60-იანელებმა, არამედ მომდევნო თაობამაც. სამწუხაროდ, ეს პრობლემა თავისი სიმწვავეით დგას დღევანდელი საქართველოს წინაშეც და ამ შემთხვევაშიც ერთის მხრივ კვლავ გვაფრთხილებს ივანე აფხაზის პირით გრიგოლ ორბელიანი: „დრომ, დრომ უნდა აღადგინოს საქართველო“, და მეორეს მხრივ, გვაჩქარებს ამ ნათელი იდეისაკენ სვლისათვის პოეტი, როცა მოსაწონ სიფრთხილეს შეუწავსებებს იდეალისათვის ბრძოლის რომანტიკულ პათოსს და ჩვენი ხალხის პოტენციურ უნარს მისი გადარჩენის, აღდგენა-გამოხსნის პირობად დასახავს იმ იმედით, რომ „ქართველთა აქვსთ ბუნებითი გონება“...

**არაპარტული გარემო გრიგოლ ორბელიანის თვალთ**

„მოგზაურობაში“ ყურადღებას იქცევს აგრეთვე გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულება არაქართული გარემოსადმი. ეს იქნება რუსეთი და რუსი ადამიანები, ბალტიისპირეთი თუ ყაზახეთი და ყაზახოელები.

პირველი შთაბეჭდილება, რასაც გრ. ორბელიანი რუსეთისა და რუსი ადამიანისგან იღებს, ეს მისი ჩინოვნიკური გონებაშეზღუდულობაა. მწერალი კომიზმის ზღვარზე მისული მიდგომით გვიხასიათებს შემდგომში ლიტერატურულ სინამდვილეში ეგზომ გავრცელებული რუსული სამხედრო ბი-



უროკრატული აპარატის მოხელის ტიპურ ქცევას: „მოვედით ეკატერინოლრადის კარახტინში. კარებში მოგვეგება ერთი ბებერი წითელცხვირა სალდათი რკინის მაშით, რომლითაცა გვართმევდა ბილეთებს საქართველოდამ მოსულთა და არ გვეკარებოდა, რათა არ შეგვეხეს, ეშინოდა ჩვენგან, რადგანაც ვეგონეთ ხოლერიანნი და ჭირიანნი. — მაშაში ველარ დაეტივა მრავალი ბილეთები, რომლისაცა ნახევარი გასცვივდა მიწაზე, — წითელცხვირამ აკრიფა მიწილამ შიშველის ხელით ბილეთები და ისევ მაშაშივე ჩააწყო და მით დაიცვა და დამტკიცა კანონი და რჯული კარახტინისა. ბებერი ვიცინეთ ამჟამს მის სიფრთხილზე“ (226). ამ ეპიზოდში აზრობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღწერილი ვითარების დეტალთა ქვეტექსტები: 1. რუსეთის სამხედრო-ბიუროკრატული იმპერიის მექანიზმი დაფუძნებულია „წითელცხვირა“ „სალდათის“ გაუაზრებელ, მექანიკურ მოქმედებაზე, „რკინის მაშით“ გაუწიოს კონტროლი ყველასა და ყველაფერს. 2. რუს „წითელცხვირა სალდათს“, რომელიც განასახიერებს რუსული შოვინისტური აპარატის ყურმოჭრილ მსახურს, „ხოლერიანად“ და „ჭირიანად“ ესახება ყველაფერი, რაც არარუსულია, განსაკუთრებით კი, რაც „საქართველოდამ მოსულია“. აქედან დასკვნა: რუსეთის სამხედრო-ბიუროკრატულ აპარატს სძულს საქართველო და ქართველი. ამ სიძულვილის გამონატვის ბრმა იარაღად გამოყენებულია ინტელექტუალურად ჩლუნგი არსება რუსი ჯარისკაცის სახით, რომელიც თავისი მოტორული ქცევით „იცავს“ და „ამტკიცებს“ „კანონს“ და „რჯულს“... აქ, ამ ჯურის კაცის პორტრეტში „წითელიცხვირი“ მიმანიშნებელია რუსეთის მასის ყველაზე დიდ სენზე — ლოთობაზე, რომელიც ყოველგვარი სიბნელის აკვანი და ადამიანში გონებრივი საწყისის ჩაკვლის სინდრომია.

ამ სენითაა მოცული რუსეთის ისეთი ფენაც, როგორიც სასულიერო წოდებაა. ამას მოწმობს მწერლის ნაამბობი: „მოვედ მოსკოვსკის სოფელში, სადაცა დამბატიყა მთვრალმა მღვდელმა, რომელიცა პირველად მეხვეწებოდა არაყის სმას და მერე წამეჩხუბა, რატომ არაყს არა სვამო, — შენ უთუოდ ნეხრისტი ხარო (ესე იგი არაქრისტიანე). ძლივს მოვიშორე თავილამ“ (240). გრ. ორბელიანის „მოგზაურობაში“...

წარმოდგენილ ამგვარ ეპიზოდებში აზრობრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ფაქტებს, არამედ ფაქტთა ურთიერთობას; დეტალებში ჩანს მთელი ქვეყანა, ხალხი, ერის სულიერი პორტრეტის გარკვეული შტრიხი. რასაკვირველია, ამგვარ მომენტთა არსებობას გამოკვეთილი სოციალური გამიზნულობა არა აქვს, რასაც ის დებულობს ცნობილ დიდ რეალისტთა ნაწერებში, მაგრამ ერთი რამ უდათა; გრ. ორბელიანს ძალუძს ცალკეულ შემთხვევაში ჭეშმარიტი ბელეტრისტის, პროზაიკოსის თვალთ დაინახოს სინამდვილე და ტიპაჟის შექმნის პოტენციური უნარი გამოავლინოს. მის მიერ ცალკეულ ადამიანთა მოქმედებისა თუ ქცევის აღწერა საწყისია ადამიანთა განცდების დახასიათებისა; ყოფითი სურათებისადმი მწერლის ცოცხალი ინტერესი იმის მაჩვენებელია, რომ მას შესწევს ძალა ტიპურ სიტუაციაში დაიჭიროს და დახატოს ადამიანები...

„მოგზაურობის“ ამ ორიოდ ეპიზოდშიც ჩანს სინამდვილისადმი გრ. ორბელიანის რეალისტური მიდგომა. მოცემულ შემთხვევაში მწერლის ამოსავალი თვალსაზრისი რუსეთის ცხოვრებაზე ასეთია: 1. რუსეთის სახელმწიფოს მექანიზმი სამხედრო-ბიუროკრატიული აპარატის ბრმა მორჩილებაზეა აგებული. 2. ამ აპარატს ზნეობრივ საფარველად „კანონი“ აქვს მომარჯვებული, მაგრამ ეს „კანონი“ სამართლიანობის დამამკვიდრებელი კი არაა, არამედ დიქტატორული რეჟიმის ფარი და მახვილია. მისი „დამცველი და დამამტკიცებელი“ წითელცხვირა სალდათი“ სხვა არაფერია, თუ არა არარუსთადმი შოვინისტურად განწყობილი რუსული იმპერიალისტური მანქანის ჰანჯიკი. ამგვარ საფუძველზე აშენებული ქვეყანა ინტელექტუალური სიჩლუნგის აკვნად შეიძლება იქცეს. 3. ადამიანთა ინტელექტუალური სიდუხჭირე წარმოშობს ენერჯის უქმად ფლანგვის ყველაზე იოლ გზას — ლოთობას, რომელიც ცოცხალ რუსეთს აცლის შემოქმედებით ძალას, უკარგავს აქტივობის უნარს, კლავს მასში სულიერი საწყისისადმი რწმენას. ამიტომაცაა, რომ რუსი მღვდლის თვალში ქრისტეს მაღალი, ზეციური იდეალი უთანაბრდება არაყს; მისი წარმოდგენით ვინც არაყს არ სვამს, ის არც ქრისტიანია, ე. ი. რუსი სასულიერო წოდების ერთი ნაწილის

მიერ სულიერი საოხი ქრისტეს მცნებებში; მის მიერ დასა-  
ხულ ნათელ იდეალთა დაცვა-განმარტებაში კი არაა დანახუ-  
ლი, არამედ ლოთობაში, ანუ მიწიერ თავდავიწყებაში.

3. აქედან გამომდინარე, არაფერი ელოდება იმას, რომ  
წარმოიშვას უნდობლობა და ზიზღი ყოველივე იმისადმი,  
რაც არარუსულია; მაგრამ გრიგოლ ორბელიანი ის მოაზროვ-  
ნე-ხელოვანია, რომლისთვისაც არსებობს გონებრივი ნათ-  
ლით მოსილი რუსეთიც. მის მიერ აღწერილ ბნელ ვითარე-  
ბათა ფონზე ვხვდებით რუსული საზოგადოებით აღძრულ  
ასეთ გულწრფელ სტრიქონებსაც: „მიყვარს ყოფნა ჭკვიანთ,  
ყმაწვილთ აფიცრებთანა, მათი უზრუნველობა, სიჭაბუკე, და-  
უდევნელობა და მარადის მხიარულებისათვის მზად ყოფნა  
დაავიწყებენ სევდასა, შეწუხებასა“ (234).

სწორედ ასეთ ოფიცერთა წრეში იშვიათად, მაგრამ მაინც  
პოულობს ის საქართველოსა და ქართველებისადმი მაღლი-  
ერებით გამსჭვალულ რუსს, რომელიც პატიყებს მას და  
ეუბნება: „საყვარელო გრიგოლ! — ჰსთქვა მაიორმა და ამო-  
იღო ზანდუკიდან აზარფეშა, — ამით დღეს მოვიგონოთ სა-  
ქართველო“ (233)... „თოთხმეტი წელიწადი ვიყავ მე საქარ-  
თველოში“, — განაგრძობს რუსი მაიორი — „და ესოდენი დრო  
კაცისათვის არს თითქმის საუკუნე. შევეჩვიე იქაურს პაერს,  
ცხოვრებას ჩვეულებათა, ვპოე მუნ ყოველი, რაიცა აწ მაქვს,  
და ესეცა ჩემი საყვარელი ცოლი (ესე ჰსთქვა და აკოცა მას).  
და ვიყავ მუნ კმაყოფილ ჩემითა ცხოვრებითა. საქართველოს  
არა ყოველნი იცნობენ, ოც წლამდის მიეზგავსება იტალიას.  
საქართველოს სადღეგრძელო იყოს!“ (234). ცხადია, რუსი  
ოფიცრის კმაყოფილება საქართველოთი და ქართველებით,  
ეს უფრო პიროვნულ-ბიოლოგიური სიამოვნების ნიადაგზე  
აღმოცენებული თვითკმაყოფილი საშუალო ადამიანის განც-  
დაა, თუმცა, ვინ იცის, რამდენ ინტელექტუალ რუსსაც ჩა-  
უვლია და უცხოვრია საქართველოში, მაგრამ სულიერი კმა-  
ყოფილების გამომხატველი ერთი ფრაზაც კი არ გაუმეტებია  
ჩვენი ხალხისთვის. საქართველოს „ველური ბუნებით“ მო-  
ხიბლული ბევრი ყოფილა, მაგრამ მის ფონზე ვერ დაუნახავთ  
ამ გარემოს დამამშვენებელი ხალხის სულიერი ამაღლებუ-  
ლობა... თვით გრიგოლ ორბელიანის თვალწინ მოგზაურობდ-

ნენ და ცხოვრობდნენ კიდევ საქართველოში რუსული მრწან-  
დიდი შვილები: გრიბოდოვი, პუშკინი, ლერმონტოვი და  
ლ. ტოლსტოი (სხვებს რომ თავი დაეანებოთ), მაგრამ ამ დი-  
ადი ნიჭის ადამიანებისათვისაც კი საინტერესო აღმოჩნდა  
მხოლოდ დეკორიუმი, ფასადი ქვეყნისა და არა მისი სული.<sup>1</sup>

ბუნებრივია, გრ. ორბელიანი ოდნავ გაკვირვებული და  
კმაყოფილიცაა, რომ მან იხილა მაღლიერი რუსი, როცა წერს:  
„მერწმუნე მაიორო — უთხარ მე. — რომ ამ ქაშით უფრო  
უმეტეს შემოყვარდით; ამისთვის, რომელ მემამულენნი შენ-  
ნი, ისე იგი რუსნი, არაოდეს დაუტევებენ საქართველოს, თუ  
არ წყევითა და კიცხვითა; თუმცა ვიცით, რომელ საქართვე-  
ლოში მიიღეს მათ ბედნიერება, სიმდიდრე და უმაღლესნი  
ხარისხნი, რომლისაცა არ არიან ღირსნი; და თქვენ კი გზე-  
დავთ პირველსა რუსსა, რომელიცა იგონებს საქართველოს  
ესრეთ სიამოვნებით“ (234).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გრ. ორბელიანი აღტაცებუ-  
ლია რუსული საოპერო მუსიკით, რუსული თეატრით, მხატვ-  
რობით, სიძველეთსაცავეებით და ამ მხრივ გზადაგზა თავის სა-  
ყურადღებო დაკვირვებებსაც გვთავაზობს. მაგრამ ერთი რამ  
არის საგულისხმო: ყველგან ის ქართული გენისა და კულტუ-  
რული შემოქმედების კვალს ეძებს და სადაც ამჩნევს, კმა-  
ყოფილებას გრძნობს. „უსპენსკის „სობოროში“ უპოვნია მას  
„ლურსმანი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მოტანილი 1686  
წელს საქართველოს მეფის არჩილის მიერ“ (258), სხვაგან კი-  
დეე „ორუქეინის პალატაში“ მის ყურადღებას იპყრობს „გვირ-  
გვინი საქართველოს სამეფოსი... ჩამოსხმული ოქროსი, შემ-  
კობილი თვლებითა, გვირგვინზე არს ვაშლი ანუ ბურთი და  
ჯვარი, აგრეთვე ოქროსი“ (265). ასევე, „სკიპტრა საქართვე-  
ლოს მეფისა, არწივით თავზე — არს ოქროსი, მწვანეს (ქმა-  
ლით) დაფარული და შემკობილი თვლებით“ (266). შემთხვე-  
ვითი არაა, რომ პოეტი დაქინებით ამახვილებს ყურადღებას  
რუსეთის საცავეებში გაბნეულ ქართულ ეროვნულ განძზე  
„დღიურში“ ბალტიისპირული სანახების სიმშვენიერე სა-  
ქართველოს აგონებს პოეტს და მოხიბლულია ნანახით იმი-

<sup>1</sup> ამის შესახებ მოუთითებს კ. გამსახურდია.

ტომაც, რომ მშობლიური გარემოს ასოციაცია აღეძრა: <sup>1927</sup> მოჩნდა მშვენიერი სახილველი: მრავალნი სოფელნი, განზნე-  
ულნი ვაკესა და ადგილსა ზედა, შემკობილსა ლამაზის <sup>1928</sup> ტი-  
ლაკებით და აქა-იქ ლამაზის მიზებით, ფრიად აამებდა თვალ-  
თა: ერთის შეხედვით ემზგავსებოდა საქართველოსა! უნებ-  
ლიეთ აღმოუტევე ოხვრა გულისაგან ჩემისა. ნუთუ მხოლოდ  
შემზგავსებითა, ანუ შედარებითა უნდა ვინუგეშო თავი ჩემი?  
ნუთუ არღა მეღირსების ყოფნა მუნ, სადაცა მიისწრაფიან ყო-  
ველნი ფიქრნი და სურვანი ჩემნი? მაქვს სასოება და იმედი  
ღმრთისა მიმართ: მფარველობა მისი ცხადად ვიგრძენ რაე-  
დენჯერმე და ამისთვის არა ვკსწუხვარ, გინა სადა გარღმაგ-  
დოს მე ბოროტმან მხვედრმან ჩემმან“. (335—336).

გრ. ორბელიანის გონებრივი მზერის არეში ყოველთვის  
და ყველგან საქართველოა მოქცეული. ჩვენი ქვეყნის არსე-  
ბობის საკითხზე ფიქრითაა აგებული მისი სული მაშინაც  
კი, როცა ნოვგოროდის წარსულზე მსჯელობს.

გრიგოლ ორბელიანი დიდი სიმპათიით აღწერს ჩრდილო  
კავკასიის ხალხთა, კერძოდ, ყაბარდოელთა ცხოვრების წესს,  
გარემოს, ადამიანებს. ქართული მხატვრული სიტყვის ოს-  
ტატთა შორის (თუ მხედველობაში არ მივიღებთ დ. გურამი-  
შვილის მიერ ჩერქეზთა მხარის აღწერას) გრ. ორბელიანი  
ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც დაინტერესდა მათი ყოფით;  
შემდგომში აკაკის, ა. ყაზბეგისა და ვაჟას დიდი ნიჭის გად-  
მონაშუქით ჩვენს მწერლობაში სამუდამოდ იქნება უკვდავ-  
ყოფილი ჩრდილო კავკასიის ხალხთა სულიერი ღირსებები.  
მაგრამ აი, აქ, „მოგზაურობაში“, მწერალმა გამოავლინა თა-  
ვისთავადი ინტერესი დამპყრობელ რუსთა წინააღმდეგ თა-  
ვისუფლებისათვის მებრძოლი პატარა ხალხისადმი. ამ ხალხის  
თავისუფლების მოპოვების უშრეტე ენერგია აღძრავს ჩვენს  
პოეტში თანაგრძნობის, ბედის მოზიარეობის განწყობილებას  
და გრ. ორბელიანიც დაკვირვებული გეოგრაფოსისა და ეთ-  
ნოგრაფის სიღინჯით აღწერს ამ დაუდგრომელი ხალხის სა-  
ცხოვრისს, როცა წერს: „ვლადიკავკასიიდან დაიწყების ყაბარ-  
თოს მამული: ყაბართო განიყოფების ორად, დიდად და მცირედ.  
ამ ორთა განწყოფს მდინარე თერგი (277).



...მწერალი დიდი გულისხმიერებით ახასიათებს მათ. სწავლ  
ლოვან წარსულს და დაცემის მიზეზებს: ყაბარდოელები  
აღნიშნავს გრ. ორბელიანი — „უწინ ძლიერი ხალხი ყაბარდოელები  
ნა საშინელმან ჭირმან გაწყვიტა, და შემდეგ ბრძოლამან პი-  
რისპირ რუსთა. უმეტესი ნაწილი ხალხისა, წინააღმდეგი ყოვ-  
ლისა მორჩილებისა, გაიქცა ყუბანის იქით. — ყაბართოელნი  
არიან თავისუფლების მოყვარენი, რომლისათვისცა ებრძვიან  
ესოდენტა წელთა რუსთა, რომელთაცა შეაიწროეს ფრიად.  
დაამცირეს და დაიპყრეს მთელი ყაბართო; გარნა სიყვარული  
თავისუფლებისა ვერა აღხოცეს მათ შორის. ესენი არიან  
მხნენი და ყოველთვის საომრად განმზადებულნი და მარადნი  
ეძიებენ შემთხვევასა, რათა დაიხსნან მამული თვისი რუსთა.  
გან“ (227). ცხადია, პოლიტიკურ უფლებაყრისი ერის შეიღს.  
თავისუფლების წყურვილით სავსე პოეტს, რომელიც საქარ-  
თველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე ოცნებობს, ხიბ-  
ლავს მცირერიცხოვან ყაბარდოელთა გაუტეხელი სული, მე-  
ომრული ბუნება, მორჩილების ყოველგვარი ფორმისადმი  
პროტესტის შეუწინებელი გრძნობა და თავისუფლების ის  
სანუკვარი იდეალი, რომელიც, პირველყოვლისა, გულისხ-  
მობს „თვისი მამულის“ რუსთაგან“ დახსნას. ამიტომ სავსე-  
ბით გასაგებია, თუ რატომ ეძიებს პოეტი მსგავსების მოძენ-  
ტებს ქართველთა და ყაბარდოელთა ცხოვრების წესში, რო-  
ცა მიუთითებს: „თავადნი აძლევენ შვილთა გასაზრდელად  
და სასწავლებლად გამოცდილთა აზნაურთა თვისთა, რომელ-  
ნიცა ასწავლიან ცხენზე ჯდომას, იარაღის ხმარებას და ვაე-  
კაცობას (ჩვეულება ესე იყო ოდესმე საქართველოშიცა).  
ყაბართოელნი არიან ტანადოვანნი და მარდნი. მათის ქალე-  
ბის წელი და კაცების ფეხი განთქმულ არიან მთელს ქვეყა-  
ნას, — ესენი არიან მაჰმადის სარწმუნოებისანი“ (228).  
გრ. ორბელიანი ამ ხალხის ბუნებრივ ღირსებებს საგანგებოდ  
გახაზავს და მათი დამცრობის მთავარ მიზეზსაც წარმოაჩენს,  
შემდეგ დახასიათებაში: „ყაბართოელთა აქვსთ ბუნებითი გო-  
ნება და მუხსიერება; გარნა უმეცრებასა შინა არიან დაფ-  
ლულნი. უყვარსთ უქმობა. საქმე მათი არს იარაღი, ცხენი და  
ბრძოლა. — უწინ იყვნენ მდიდარნი ჯოგებითა; გარნა აწ  
ბრძოლამან პირისპირ რუსთა გააღარიბა ესრეთ, რომელ დიას

ქვირადღა იპოება ყაბართოში კარგი დარჩეული ცხენის ცი“ (228).

გრ. ორბელიანი ცდილობს ყაბარდოელთა ადრინდელი ქართველებთან და, საზოგადოდ, კავკასიის ხალხებთან პარალელების დაძებნას, რათა სიახლოვის საფუძველზე საერთო საზრუნავზე ფიქრის მოთხოვნილება გაადვიდოს. ქართველების დარად თურმე „სტუმართმოყვარეობასა არათუ ოდენ ყაბართოელნი, არამედ ყოველნი კავკასიისა ხალხნი პრაქტიკულ უწმინდეს მოვალეობად. — სტუმარი, გინა იყოს უცნობი, შევალს რა მათდა სახლსა შინა, იქმნების შეუხებელ ყოველთა მისთა მტერთაგან და პატივცემულ ყოვლისა სახლობისაგან; და უკეთუ გითხრა ოდესმე ძმობა, ანუ მეგობრობა (ყონალ), მაშინ სიკვდილამდის ექმნება ესე გრძნობა განუწყვეტელად და მეგობრისათვის არცა სიმდიდრესა და არცა სიცოცხლესა თვისსა არა დაზოგავს“ (227).

ქართველთა მსგავსად თურმე „ყაბართოელთა ჰქონდათ ჩვეულება, რომელ ომში გამოსულიყვნენ ლამაზის ტანისა-მოსით: თაეადნი და აზნაურნი იცმენ ომში მუხარადს, ჩაჩქანს, სამკლავეს და ხმარობენ მშვილ-ისარს, ზოლო ხმალი, ხანჯალი, თოფი, დაბანჩა მარადის შინაც განუშორებლად არტყიათ. უწინ არაოდეს არ დაუტევებდენ ომში მკვდარსა თვისსა და არცა დანებდებოდნიან ტყვედ“... (228). ...ვითარცა სხვათა კავკასიელთა, ეგრეთვე ყაბართოელთა უწყიან სისხლისა ზღვევა სისხლითვე“ (227). თითქოს ქართველ მთიელთა ჩვეულებას აღწერსო, ისეთნაირ მომენტებს არჩევს გრ. ორბელიანი ყაბარდოელთა ყოველდღიურობაში, როცა აღნიშნავს: „დედაკაცი არიან მათ შორის პატივცემულნი, ესრეთ რომელ ვინმე მისდევდეს სასიკვდილოდ მტერსა თვისსა და ამან უკანასკნელმან მოახწივა დედაკაცთან, მაშინ მფარველობასა ქვეშე დედაკაცისასა იქმნების შეუხებელ“ (227—228).

ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით საგულისხმოა ყაბარდოელთა ადრინდელი პოლიტიკური გავლენის გრ. ორბელიანისეული დახასიათება: „ყაბართოელთა განავრცელეს ხელმწიფება თვისი სხვათა კავკასიის ერთა ზედაცა: ინგუშნი, ოსნი, აბაზელნი და ბისლინელნი, — იყვნენ მოხარკენი მათნი;

მხოლოდ ჩაჩნელნი ებრძოდენ მარადის და არა მორჩილებდენ მათ“ (228). ამასთან, ამ დროისათვის „ჩაჩნელთა და არა ჰყავთ არცა თავადნი და არცა აზნაურნი, მუნ ყოველნი თანასწორ არიან“ (231).

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აქ დასახელებული „აბაზელნი“ ის ტომია, დღეს „აფხაზობას“ რომ იბრალებს. მათი საცხოვრისი ჩრდილო კავკასიაა და უკლასო საზოგადოებაში ანუ თემური ყოფის პირობებში ცხოვრობენ, გასაგები იქნება ვრ. ორბელიანის მიერ მოწოდებული ცნობის დიდი ღირებულება.

როგორც აღინიშნა, დღეს უკვე საეჭვო აღარაა „მოგზაურობის“ მხატვრული ფასი და მისი მნიშვნელობა არა მხოლოდ საკუთრივ ვრ. ორბელიანის, არამედ ქართული ლიტერატურის ისტორიისათვისაც (პ. ინგოროყვა, ა. გაწერელია, ჯ. ჭუმბურიძე, ე. მაღრაძე და სხვ.).

განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნიებენ მას ქართული რომანტიკული პროზის თავისებურებათა გასათვალისწინებლად. ამ თხზულების მაღალმხატვრული ღირსებების გამოა, რომ მკვლევარნი ეძიებენ და პოულობენ შემხვედრ მომენტებს, ეპიზოდებსა და მხატვრულად საყურადღებო პასაჟებს მისი პოეზიის ცნობილ ნიმუშებთან.<sup>1</sup>

ვრ. ორბელიანის „დღიურებში“ გვხვდება ღრმა მედიტაციური მსჯელობა ცხოვრების აზრისა და ბედნიერების რაობის შესახებ, რომლებიც სრულიად სამართლიანად ჩვენში იწვევს ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური მიდგომისა და პოეტური განწყობილებების ასოციაციას.<sup>2</sup> მართლაც, მრავალი გამოჩენილი თუ ნაკლებ ცნობილი ხელოვანი დაფიქრებულა ბედნიერების საზღვრების შესახებ, მაგრამ ვფიქრობთ, ქართულ სინამდვილეში ვრ. ორბელიანამდე ასე სერიოზულად იშვიათად დაფიქრებულიყოს ვინმე აღნიშნულ საკითხზე. „ახ! რა ძვირფას არს სიმართელე კაცისთვის! უიმისოდ სიმდიდრე და თვით დიდებაც არა არს საამო, არა არს ბედნიერება! მა-

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. ავ. გაწერელია, დასახ. ნარკვევი, გვ. 26, 27 და სხვ.

<sup>2</sup> დაწერილებით იხ. ჯ. ჭუმბურიძე, დასახ. ნარკვევი, გვ. 103.

რამა, მაშინ ვპსცნობთ ფასსა მისსა, გვეწვევის რა სენი, ოდეს-  
ცა უძლურობა შეგვიპყრობს და დაგვეცემს მკენესარცსა სა-  
რეცელსა ზედა; მაშინ მოუწოდოთ მას ზვეწნითა, ვეღრებრითა;  
ვითარცა შემომწყრალსა მეგობარსა ჟამსა უბედურებისასა. —  
და რაი არის ბედნიერება? — მე აწ მგონია, რომ ბედნიერება  
მყოფობს სიმრთელეში, მარამა, როცა ვიყავ მრთელ, მაშინ  
ვგონებდი შტაბს-კაპიტნობაში მომივიდა იგი, ღამეხარდა და  
კვალად ახალი სურვილი ბედნიერებისა აღჩნდა გულსა შინა  
ჩემსა. ესრეთ ერთი კიბე აღიყვანს მეორისადმი, ერთი სურ-  
ვილი ჰშობს მეორესა და სიკვდილამდის დასასრული არა  
აქვს სურვილსა ბედნიერებისათვის. ნეტარ მას, ვინც არს  
კმაყოფილ მით, რაიცა მოუვლენია მის წილად ბედსა მისსა;  
ვინცა, დამყუდროებული, დამშვიდებული სულითა მივალს  
გზასა ზედა ცხოვრებისასა; მაგრამ, ახ! უნეტარეს არს იგი,  
ვინცა ცხოვრებითა თვისითა მოიპოვა გინა ერთი ფურცელი  
ისტორიასა შინა — ვითარცა ბრწყინვალე ვარსკვლავი სჩანს  
საუკუნეთა შინა სახელი მისი, რომელსაცა შთამომავლობა  
შეჰმზერს კეთილმოწიწებითა და კურთხევითა“ (349).

მწაობას ადამიანის ბედნიერება-უბედურების რაობაზე  
დასაფიქრებლად, საკუთარ თავთან დაიჩენა, განსაცდელის  
პირისპირ ყოფნა ჰქმნის მედიტაციის მოთხოვნილებას ყო-  
ველთვის და ასეა ეს გრ. ორბელიანის შემთხვევაშიც ავადმ-  
ყოფობის ჟამს ადამიანი უფრო რომანტიკულია, მძაფრად გა-  
ნიცდის საკუთარ „მე“-ს, ახდენს მის თვითანალიზს, ერთი  
სიტყვით, წინა პლანზე წამოსწევს ხოლმე სუბიექტურ განც-  
დებს. ამას მოწმობს ერთი ადგილიც გრ. ორბელიანის „დღი-  
ურიდან“: „დასუსტებული და ძალიან ავადმყოფი ვიწექ სა-  
ძაგელს ურიის სახლში მარტო, უწამლოდ, უნუგეშოდ; მხო-  
ლოდ პატარა ნინიკა ჩემი გულხელდაკრეფით დამყურებდა  
მწუხარედ დადუმებული. ფიქრი სიკვდილისა, შორს ჩემთა  
ძმათა და მეგობართაგან, შორს ყოველთა მათგან, რომელნი-  
ცა სამარესა ზედა ჩემსა დაჰსცემდენ გინა ერთსა ცრემლ-  
სა, — მკმუნვარე ფიქრი ესე აღჩნდა ჩემს გონებაში და უნებ-  
ლიეთ ვჰსთქვი ოხრვითა: „ახ! სადა ვარ, სადა ვჰკვდები!“ —  
ცრემლნი წყაროსებრ გარდმოედინენ თვალთაგან პატარა ნი-  
ნიკას; მზურვალეებითა მომწვდა ხელსა ჩემსა და დამიწყო

კოცნა ტირილითა. გული ამიდუღდა და ორი ცრემლი მცეა გარდმომცვივდენ თვალთაგან, — ვიხილე უანგარო <sup>მეცხეშაბათი</sup> ტი, წმიდა ჩემდამი მისი სიყვარული მას წამსა, ოდესცა ვიყავ თითქმის ყოველთაგან ანუ დავიწყებულ, ანუ დატყვევებულ და ანუ განშორებულ. — წამი ესე არ დამავიწყდების, ვიდრე ვარ ცოცხალ“ (350).

მარტოობის, სულიერი ობლობის, ახლობელთაგან და მეგობართაგან დაშორების, სულიერი შიმშილის გრძნობა, რაც ასე სპეციფიკურია შემდგომში „მერანის“ გენიალური ავტორისათვის, თურმე არც მისი უფროსი თანამედროვის, ბიძისა და მეგობრის — გრ. ორბელიანისთვისაც ყოფილა უცხო, და როგორც ჩანს, ეს რომანტიკული პესიმიზმი საერთო ნიშანი არის 30—40-იანი წლების ქართული ლიტერატურისათვის; ეს ეპოქის და, კერძოდ, ბედის ანაბარა დარჩენილი ყოველი მოაზრე ქართველის, მით უფრო, პოეტური ბუნების ადამიანის სევდაა, სევდა ამოზრდილი სიკვდილისა და სიცოცხლის მარადიული წყველა-კრულვიანი საკითხავიდან.

რამდენადაც გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობასა...“ და „დღიურს“ ლიტერატურული დამუშავების ხარისხის მიხედვით განარჩევენ (პ. ინგოროყვა, ა. გაწერელია, ჯ. ჭუმბურიძე), რამდენადაც ე. წ. „ლიტერატურულად დამუშავებული ნაწილი“ სტილური დახვეწის ნიშნით განსხვავდება მეორე ნაწილის ანუ „დღიურისაგან“, რაკი I და II ნაწილის საყრდენს „დღიურის“ ფორმა აქვს საერთოდ, ამდენად როგორც „ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით, ისე შინაარსისა და განწყობილების მხრივაც“ მას სამართლიანად „ერთ მთლიან ნაწარმოებად“ თვლიან (ჯ. ჭუმბურიძე). სავსებით გარკვეულად არის აღნიშნული, რომ ამ ნაწარმოებში „პოეტის თვალი მიქცეულია, როგორც საკუთარი შინაგანი სამყაროსაკენ, ისე გარეშე საგნებისა და მოვლენებისაკენ და ხშირად ეს უკანასკნელი ტენდენცია უფრო ძლიერია, ვიდრე პირველი. უნდა ითქვას, რომ სწორედ ამის გამო, ზოგჯერ პოეტის დღიურების ლირიკულობა კლებულობს... სამაგიეროდ, იზრდება დამკვირვებელი მწერლის ფიგურა, რომელსაც საგნებისა და მოვლენებისაგან აღძრული მხოლოდ საკუთარი განწყობილებები და ემოციები კი არ აინტერესებს, არა-

მედ ხშირად თვით ეს საგნები და მოვლენები. „მოგზავრობაში“  
ეს ტენდენცია... მიუთითებს იმაზე, რომ თვით ისეთი რომანტი-  
ციკოსის შემოქმედებაშიც, როგორცაა, გრ. ორბელიანი რე-  
ალისტური ინტერესები იჭრება.<sup>1</sup> აღნიშნულის მიუხედავად,  
უნდა ითქვას, რომ ამ დროისათვის თეორიულად ამ ინტერესს  
გაცნობიერებული სახე მაინც არა აქვს მიღებული; მას უფრო  
სტიქიური ფორმა აქვს, რაც გარკვეულად რეალისტური ტენ-  
დენციის მატარებელი რომანტიციკოსის ვალტერ სკოტისადმი  
განსაკუთრებულ სიმპათიაშიცაა გამჟღავნებული.<sup>2</sup> ასე რომ,  
გრ. ორბელიანს, ბევრ უცხოელ რომანტიციკოსთა მსგავსად,  
იქნებოდა ეს ჟან-ჟაკ რუსო, ვალტერ სკოტი თუ სხვა, წარ-  
სულისა და თანამედროვეობის ხილვისას არ ღალატობს რე-  
ალიზმის გრძნობა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ მიუთითებს რე-  
ალიზმისაკენ გრ. ორბელიანის გადახრაზე. სენტ-ბიოვი ერთგან  
წერს, რომ რუსოსათვის, როგორც მხატვრისათვის, ნიშანდობ-  
ლივია რეალურის მძაფრი გრძნობა. ეს გრძნობა მასთან ყო-  
ველთვის ვლინდება, როცა იგი მშვენიერების შესახებ გვესა-  
უბრებაო.<sup>3</sup> მით უფრო ეს თვისება თვალსაჩინო და გამოკვე-  
თილი სახით შეიძლება იყოს მოცემული ქართულ გარემოში  
ჩამოყალიბებული ისეთი სიცოცხლისმოყვარული რომანტი-  
ციკოსის შემოქმედებაში, როგორც გრ. ორბელიანია. გრ. ორ-  
ბელიანს „მოგზავრობაში“ უფრო მკვეთრად აქვს რეალურ-  
მიწიერის გრძნობა გამახვილებული. თუმცა იგი ამ ვენებიან  
სიყვარულს რეალობისადმი ამაღლებულ ნაკადთან ახამებს  
და სწორედ ამაღლებულის პოზიციდანაა დანახული მის მი-  
ერ რეალური ცხოვრების მშვენიერება. ესაა გრ. ორბელი-  
ანის პოეტური მრწამსის ერთი ნიშანდობლივი მხარე; ამ  
თხზულებაში და ზოგიერთ პოეტურ ქმნილებაშიც, როგორც

<sup>1</sup> ჯ. კუმბურიძე, გრიგოლ ორბელიანის პროზა. იხ. გრ. ორბელიანის  
თხზულებათა კრებული, „საღამო გამოსალამებისა“, თბ., 1969, გვ. 103—  
104.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. 1. ა. გაწერელის  
რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1936, გვ. 412. უფრო დაწვრილებით  
იხ. ავ. გაწერელის ნარკვევი, გრ. ორბელიანის თხზ. სრული კრებული,  
თბ., 1959, გვ. 013.

<sup>3</sup> Сент-Бев, Жан-Жак Руссо, Литературные портреты и кри-  
тические очерки, М., 1970, с. 338.

ლიტერატურისა და ხელოვნების ინტერესებით მცხოვრებ მოქალაქეს, ნაირ-ნაირი მხატვრული სიმპათიების უჩინოებში, გრ. ორბელიანის „დღიურებში“ გვხვდება შენიშვნებით დატვირთული შთაბეჭდილებანი უცხოელ მწერალთა, კომპოზიტორთა და მხატვართა ნაწარმოებებზე. როგორც აღნიშნავენ, „ეს ჩანაწერები მნიშვნელობას არ არის მოკლებული პროეტის ესთეტიკური მიდრეკილებების გასარკვევად“.<sup>1</sup> ამ ჩანაწერებიდან ვგებულობთ, რომ გრ. ორბელიანი იცნობდა ანტიკურ მითოლოგიას, ძველსა და ახალ აღთქმას, სხვადასხვა დროს პროეტს იტაცებდა რუსი მწერლებიდან: პუშკინი, ეუკოვსკი, კრილოვი, გრიბოედოვი, უცხოელი ავტორებიდან: ვოლტერი, დიდრო, დალამბერი და ჰერდერი, მოქანდაკეებიდან და მხატვრებიდან: მიქელანჯელო, რაფაელი, პეტრარკა, რუბენსი, ტენირსი, ბეგჰემი, გრეცი, ნიკოლა პუსენი, ლებრუნი, ფალკონეტი, კორეჯიო. კომპოზიტორებიდან ჩვენი პროეტი მონიბლული ყოფილა მოცარტით, ვებერიტა და როსინით. გრ. ორბელიანი განსაკუთრებული სიმპათიით ახსენებს მსახიობთაგან მოჩალოვს.

როგორც ვხედავთ, ამ დღიურებში წარმოდგენილია ჩვეულებრივი, განათლებული ინტელიგენტის, არისტოკრატის ინტერესები. საერთოდ, გრ. ორბელიანის დღიურების ფორმით აგებულ „მგზავრობაში“ (მის პირველსა და მეორე ნაწილში) მოწოდებული ინფორმაციის სიჭარბეს ახლავს რომანტიკული პროზისათვის სპეციფიკური „აღწერითი ელემენტი“ (ა. ელისტრატოვა), რაც ქმნის კიდევ მოვლენათა რეალისტური დახასიათების შთაბეჭდილებას.

\* \* \*

გრიგოლ ორბელიანის პროზის რომანტიკულ ზასიათზე კიდევ უფრო აფართოებს მკითხველის წარმოდგენას მისი მხატვრული ესკიზები: „ან... დმი“ (1824 წ. ტექსტი პირველად გამოაქვეყნა ი. ბალახაშვილმა ეურნალში „ჩვენი თა-

<sup>1</sup> ჯ. ჭემბურძე, გრ. ორბელიანის პროზა, იხ. გრ. ორბელიანის თხზ. სრული კრებულის შესავალი წერილი, თბ., 1959, გვ. 0103.

ობა“. № 10, 1940 წ.); 2. „ზამთრისა ქარი გრიალებს“ (1829 წ. ტექსტი პირველად გამოაქვეყნა ს. ხუციშვილმა. გრძელნიშნული ინსტ. შრომები, II, 1947); 3. „ნ. ე. მ.“ (1832 წ. პირველად გამოაქვეყნა ი. ბალახაშვილმა, 1940 წ.) და 4. „ანბავი რიგის ღოშპიტალში ნათქვამი“ (1835 წ. გამოაქვეყნა ჯ. ქუმბურიძემ, ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945 წ. № 14).

ამ ქმნილებათა ავტორიანობა გარკვეულად შეფასებულია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ასე მაგალითად, აკაკი გაწერელია გრ. ორბელიანის პროზაულ ესკიზთა შესახებ წერს, რომ „ისინი ფსიქოლოგიური მინიატურების ნიმუშებია სტილისტურად დამუშავებული და ქართული რომანტიკული პროზის საწყისებად შეიძლება ჩაითვალოს-ო“.<sup>1</sup>

ჯუმბერ ქუმბურიძის აზრით, ეს „ესკიზები — ლირიკული პროზის საუცხოო ნიმუშებია“.<sup>2</sup> აღნიშნულ თხზულებათაგან მკვლევარი განსაკუთრებით გამოყოფს ესკიზს „ზამთრისა ქარი გრიალებს“ და თვლის, რომ ის „ლირიკული პროზის საუკეთესო ნიმუშია. მასში მოცემულია ღრმა მედიტაცია. ავტორი ცხოვრების წარმავალობის საკითხს უფიქრდება და თითქოს ეკლესიასტეის ავტორის აზრს იმეორებს, „ამაოება ამოთა ყოველივე ამო“. მაგრამ სწორედ ისაა მნიშვნელოვანი, რომ ამ მსჯელობას ავტორი ცხოვრების უარყოფამდე კი არ მიჰყავს, არამედ სიცოცხლის აზრისა და მშვენიერების აღიარებამდე“.<sup>3</sup>

ელგუჯა მალრაძე, ცალ-ცალკე ახასიათებს რა ამ ნაწარმილებს, აღნიშნავს, რომ „ან...დმი“ დაწერილია ჭაბუკის ხელი და მით უფრო გვხიბლავს მისი პოეტური სუნთქვა, აზრთა ია გრძნობათა სიღრმე და სინატიფე“...<sup>4</sup> „ზამთრისა ქარი გრიალებს“ „არსებითად ისევ სიჭაბუკის წარმავლობაზე და

<sup>1</sup> ა. გაწერელია, გრიგოლ ორბელიანი, კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი წიგნში: გრ. ორბელიანი, თხზულებანი, „სიღამო გამოსაღმებისა“, თ., 1989, გვ. 50.

<sup>2</sup> ჯ. ქუმბურიძე, გრიგოლ ორბელიანის პროზა, დასახელებული წიგნი, გვ. 96.

<sup>3</sup> ჯ. ქუმბურიძე, გრიგოლ ორბელიანის პროზა, დასახ. წიგნი, შენიშვნები, გვ. 41.

<sup>4</sup> ე. მალრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1967, გვ. 509.



ბედის მუხტობაზეა დაწერილი“.<sup>1</sup> და იგი „უფრო ოთხმოცე-  
წლის ბრძენი მწერლის დღიურის ფრაგმენტს მოგვაცნობს, ხოლო  
ხოლო ავტორის თქმით, „ანბანი რიგის ლოშპიტალში ნათქვამი“  
რაიმე განსაკუთრებული მხატვრული ღირებულებით არ  
გამორჩევა, მაგრამ „მაინც საგულისხმოა, როგორც პოეტის  
პროზაული სიუჟეტით დაინტერესების და მისი ლაქონური  
სტილის ნიმუში“.<sup>2</sup>

ასეთი გახლავთ გრიგოლ ორბელიანის აღნიშნული პრო-  
ზაული ესკიზებისადმი ქართული ლიტერატურის ისტორი-  
კოსთა მიმართება. ზემოთქმულს მხოლოდ ეს შეიძლება და-  
ემატოს, რომ, თუ ესკიზებს „ზამთრისა ქარი გრიალებს“ და  
„ანბანი რიგის ლოშპიტალში ნათქვამი“ პირველს უფრო მე-  
დიტაციური, ხოლო მეორეს მეტ-ნაკლები აღწერილობითი  
ფორმა აქვთ, დანარჩენი ორი ქმნილება — „ან...დმი“ და „ნ.  
ე. მ.“ — შეიძლება ითქვას, ეპისტოლარული პროზის ნიმუშებს  
შეიცავს. ეპისტოლარული ფორმა კი, როგორც ცნობილია,  
მიჩნეულია რომანტიკული პროზის სპეციფიკურ მხარედ და  
მის არსებით ნიშან-თვისებად ჩათვლილია ყურადღების  
ცენტრში მწერლის პიროვნული „მე“-ს მოქცევა, გრძნობათა  
თვითანალიზი, რომელიც აღსარებაშია გადაზრდილი; ეს უკა-  
ნასკნელი თავის მხრივ გამოდის საზოგადოების, ანუ „მალ-  
ლი საზოგადოების“ გამმართლებელ და ხან კიდევ გამამტყუ-  
ნებელ აქტად, მისი მომავლის თუ ბედისწერის წინასწარ-  
ჭკვრეტად.<sup>3</sup> როცა ვკითხულობთ გრ. ორბელიანის, მართლაც  
რომ, შესანიშნავი მხატვრული ესკიზის სტრიქონებს: „მე ე-  
ყავ ყვავილოვანსა დროსა სიჭაბუკისასა, მაშასადამე, ვიყვი  
ბედნიერცა, ვინაითგან აწმყოი დამატკობდა და მომავალცა  
აღმითქვამდა უმეტეს ბედნიერებასა. გარნა, ახ! ყოველივე  
ესე იმედნი და თვით თავისუფლება განჭკრენ გულისა იემი-  
სათვის ესრეთ მჰსწრაფლიად, ვითარცა საამურისა სიშრისა

<sup>1</sup> ე. მალრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ.: 1967, გვ. 508.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 509.

<sup>3</sup> ე. მალრაძე, დასახ. მონოგრაფია, გვ. 513.

<sup>4</sup> რომანტიკული პროზის ამ მხარეზე ყურადღება გამახლებულია  
ა. ელისტრატოვას ნარკვევში „რომანტიკოსთა ეპისტოლარული პროზა“,  
იხ. კრებული: «Европейский романтизм», М.; 1973, с. 38.

ოცნებანი. ბაგეთა ჩემთა დაივიწყეს ღიმი და სიამოვნებანიც  
არლა მყოფობენ დამპყნარისა ჩემისა გულისათვის, რომელიცა  
მოცულ არს მწუხარებისა ღრუბლითა... ყოველგან თავსა  
ჩემსა ვხედავ მარტოდ დაჰშთენილსა. ზოგჯერ ვსვირნობ  
წალკოტსა შინა და მუნცა მშვენიერი ყვავილნი ჰსკვნებიან  
მკმუნვარეთა ფირქთაგან ჩემთა. — უწყოდე, მეგობარო ჩე-  
მო, რომელ მიზეზი ესრეთისა ჩემისა უბედურებისა არს სიყ-  
ვარული, რომელიცა უმეტეს ეგზნების, რაოდენცა შირბიან  
დრონი. რვამან წელიწადმან ვერ შეამსუბუქნა ტანჯვანი ჩემ-  
ნი და ოხრვათაცა ესოდენსა დროსა ვმაღავ გულსა შინა  
ჩემსა. არს უკვე რვა წელიწადი, რა გონება ჩემი ებრძვის  
გულსა; რომელსაცა ვხედავ დასასრულ მძლეველად.

— აქ შეჰსწყდა ყოველი მოთმინება ჩემი. ახ! საყვარე-  
ლო მეგობარო! რჩევათა შენთა ესრეთსა ჩემსა მდგომარე-  
ობასა შინა ძალედვით მოცემად ჩემდა რომლისამე ნუგეშისა;  
გარნა შენცა ხარ ჩემგან განშორებულ, და ვარ ესრეთ დაჰშ-  
თენილ შესაჰმელად მწუხარებათათვის. — მშვიდობით, მე-  
გობარო ჩემო! ვხედავ უფსკრულსა წინაშე ჩემსა და არა  
ძალმიძს მორიდებად. ახ! ნეტარ წერილსა შენსა ძალედვას  
მოცემად ჩემდა წარსულისა ბედნიერებისა და განმჭრალისა  
ჩიმიისა თავისუფლებისა უკმოქცევად. — მშვიდობით!“ (352—  
353). გარდა იმისა, რომ ამ თერთმეტწინადადებიან მშვენიერ  
მხატვრულ ქმნილებაში მთლიანად პირველ პირშია თხრობა  
გაშლილი, პიროვნული „მე“-ს გარშემო ტრიალის სიმძაფრეს  
აძლიერებს ისიც, რომ მთხრობელის პერსონაჟზე მიმთითებე-  
ლი ნაცვალსახელთა „მე“-სა და „ჩემი“-ს—ჩართვა ამბის გად-  
მოცემაში ცხრაშეჯერ ზდება, რაც ლირიკულ მღელვარებას  
კიდევ უფრო აცხოველებს. მწერლის სულის ღელვას რომან-  
ტიკულ ელვარებას ანიჭებს და დაძაბულს ხდის ნატვრისა და  
ვედრების გამაძლიერებელ შორისდებულთა ჩართვაც: „გარ-  
ნა, ახ! ყოველნივე ესე იმედნი“... „ახ! საყვარელო მეგობა-  
რო!“... „ახ! ნეტარ წერილსა შენსა!“ და სხვ.

განცდათა გადმოცემის ამგვარი ვზა, როცა თხრობის  
ცენტრში შემოქმედის პიროვნული „მე“ არის მოქცეული,  
როდესაც მიმართვისა და შეძახილების ფორმით გაძლიერე-  
ბულია ლირიკული მღელვარება, მწერლის მონათხრობი აღ-

სარების ჩასიათს იძენს და გარკვეული ნიშნებით საესტეტიკო შეესატყვისება რომანტიკული პროზის ტრადიციულ მოდელებს, მსგავსი თავისებურებანი ამკარად ჩანს გრ. ორბელიანის მაღალმხატვრულ მინიატურაშიც „ნ. ე. მ.“ აქაც მკაფიოდ ვამჩნევთ პიროვნული „მე“-ს გამძაფრებულ გრძნობას, პირდაპირ მითითებას საკუთარ სუბიექტურ ემოციათა ღირებულებაზე, მშვენიერ მანდილოსანთა წინაშე უშუალოდ გულის გადმოშლის გზით შექმნილ აღსარების მხატვრულ ილუზიას, ასევე ამ პროცესში წარსულის მოგონების საფუძველზე წარმოშობილ გრძნობათა თვითანალიზს და მით შექმნილ კეთილშობილ სევდას, სევდას რომანტიკულს, სიყვარულისა და ჭირთა თმენის ნიადაგზე ამოზრდილს.

\* \* \*

გრიგოლ ორბელიანის მდიდარ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ვხვდებით ადგილებს, სადაც ნამდვილი მწერლის თვალი და ზედა ჩანს. რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ამდაგვარი ეპიზოდების მნიშვნელობა ჩამოყალიბებული ეპისტოლარული პროზის დონემდე ავიყვანოთ; როგორც ცნობილია, „ეპისტოლარული პროზა წარმოადგენს თავისთავად საყურადღებო თვითმყოფად ლიტერატურულ ჟანრს“<sup>1</sup> რომანტიკულ ლიტერატურაში. ამ თვალსაზრისით სრულყოფილი ეპისტოლარული მხატვრული პროზის სახე არა აქვს გრ. ორბელიანის ვრცელ პირად წერილებს. მაგრამ მათში ისევე, როგორც მრავალი ცნობილი რომანტიკოსი პოეტისა თუ ბელეტრისტის პირად წერილებში, ბევრი რამაა მხატვრულად ღირებული და ჭეშმარიტი სამწერლო ინტერესის შემცველი. სხვათა შორის, სპეციალურ ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, თუ „ეპისტოლარული პროზის მკვლევართათვის რაოდენ, ფასდაუდებელია ბაირონის: ინტიმურად მიმოწერა“.<sup>2</sup> აქ გარკვევითაა ნათქვამი, რომ „ამ წერილებში

<sup>1</sup> იხ. ა. ელისტრატოვას დასახ: ნარკვევი, კრებულში: „ევროპული რომანტიზმი“, მ., 1973, გვ. 351. (რუს. ენაზე).

<sup>2</sup> იხ. ა. ელისტრატოვას ნარკვევი, დასახ. კრებულში, გვ. 329.

არაიშვიათია მთელი იმპროვიზირებული ნოველები ან თხრობითი ეპიზოდები, რომელთაც შეეძლო უმაღლეს დამატებითად აღილი არა მხოლოდ რომანტიკულ, არამედ რესლისტურ-ფსიქოლოგიურ რომანში<sup>1</sup>. რასაკვირველია, გადაქარბება იქნება ასეთნაირ სიმაღლეზე ავიყვანოთ გრ. ორბელიანის ეპისტოლარულ ნაწერებში შემჩნეული მსგავსი ეპიზოდები, მაგრამ უდაოა, რომ ისინი შეიცავენ მხატვრული პროზისათვის სპეციფიკურ ნიშნებს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს 1832 წლის შეთქმულების პერიოდში მეგობრისადმი მიწერილი პოეტის ბარათი; „სწრაფად მივფრინდი თბილისს, მაგრამ უფრო სწრაფად ავლაბრის ყაზარმებში ამოვყავ თავი, სადაც სამი თვე ვიჯექ, დერვიშებით დუმილსა და ამ ქვეყნიური ამოებების შესახებ ფილოსოფიურს მსჯელობაში გართული. სწორედ ამ დროს დედაც მომიყვდა. ვხედავდი ჩემის ფანჯრის პატარა ქუჭრუტანიდან, როგორ გაასვენეს მისი კუბო, მტერსაც კი არ უსურვებ გამოსცადოს ჩემი ტანჯვა. ქვად ვიქეც, ყველა დავივიწყე, დედის სიკვდილიც კი და რამდენსამე დღეს უსმელ-უტემელი, უძილო და უტყვი ვიყავი, ცრემლი არ გადმომივდია. რამდენსამე დღის შემდეგ გამომიშვეს კიდევ, თითქოს დედის სიკვდილით შეყიდოს ეს თავისუფლება, მაშის სახლი დაცარიელებული და დამწუხრებული დამხვდა, სადაც 28 დღე დავყავი, ვითომ აწეწილი საქმეების გასარიგებლად, მაგრამ ნამდვილად კი, ვგონებ, სულ არა გამოიკეთებია — რა. დამე, მთვარის შუქზე თვალცრემლიანი ვეამბორე დედის საფლავსა და წაველ — კავკასიის ნავაგანსკის რაზმში სამსახურად, სადაც დროებით ვიქმენ გამწესებული“<sup>2</sup>. ამ ბარათში პოეტი ავლენს მთხრობელის შესანიშნავ უნარს, მშვენივრად აღწერს მოულოდნელობებით გამოწვეულ ემოციათა მონაცვლეობას... ბარათში აღწერილი პოეტის სულიერი მდგომარეობა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მის სულში მიმდინარე განცდების გამძაფრების პროცესს გვიდგენს...

მშობლიურ გარემოსთან შეხვედრის წყურვილი, მასთან

<sup>1</sup> ა. ელისტრატოვას ნარკვევი, დასახ. კრებული, გვ. 346.

<sup>2</sup> იბ. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, თბ., 1954, გვ. 49. შდრ. ვ. მაღრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1967, გვ. 59—60.

უახლოებით შემზადებული განწყობა ისეთია, რომ გრ. ორბელიანი თითქმის „ფრენით“ მიდის თბილისს, მაგრამ ულოდნელია მისი „ყაზარმებში“ თავის ამოყოფა“, — პატიმრად გადაქცევა... კიდევ უფრო მწვავეა ამ პირობებში „ღერვიშივით“ ყოფნა და მწარე განცდათა აპოგეა, როცა ფაქიზი სულის პოეტი „ყაზარმის“ „ქუჭრუტანიდან“ შეპყურებს დედის გასვენებასა და მის კუბოს... გრ. ორბელიანი ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით აღწერს საკუთარ ტანჯვას: „უქმელუსმელობა“, „უტყუობა“, „იმგვარი მწუხარება, ცრემლსაც რომ აშრობს“ და ბოლოს მწარე სინამდვილის შეცნობა — პოეტს თითქოს „დედის სიკვდილით ეყიდოს თავისუფლება“... კიდევ უფრო რომანტიკულია განცდა და ფაქიზი სევდით სავსე, როცა „ღამე, მთვარის შუქზე თვალცრემლიანი“ მგოსანი „დედის საფლავსა“ ეამბორება — ყველაფერი ეს ბელეტრისტული ფორმით გარკვეულ მხატვრულ ეფექტს ქმნის და გვარწმუნებს, რომ პოეტს საჭიროების შემთხვევაში შეეძლო პროზის ენაზე წარმატებით გადმოეცა თავისი გულისნადები.

გრიგოლ ორბელიანის, როგორც მთხრობელის, ნიჭი ნათლად ვლინდება 1834 წელს მანანა ორბელიანისადმი მიწერილ ერთ ბარათში; აქ ურთიერთს ენაცვლება უახლოეს ადამიანთაგან განშორებით გამოწვეული სევდა, საკუთარ სულიერ შეჭირვებათა მოგონებით აღძრული მწარე განცდები; იმედიანი განწყობილების შუქი, სიტუაციური კომიზმის ეპიზოდის აღწერა პოეტის ცხოვრებიდან და კვლავ და კვლავ სიცოცხლის ამაოებისა და სიკვდილის გარდუვალობის შეგნებით დატვირთული განცდები მასთან დაკავშირებული მედიტაციური მსჯელობით, — წუთისოფლის წარმავლობასა და ადამიანის ბედზე. აი, ნაწყვეტი ამ ბარათიდან: „უსაყვარლესო ძალუავ მანანავ! აჰა განვიდა უკვე ერთი წელიწადი, რა დაგშორდი — ვითარ მსწრაფლად განირბინა ამა წელიწადმან ცხოვრებისათვის, და ვითარ ნელად, ნელად ვიდოდა იგი გულისთვის, — წავიდეს და აღარ მოვიდეს, ესრეთ წელიწადი არცა ჩემთვის და არცა თქვენთვის. — თვითეულთა დღეთა მისთა მოჰქონდათ სხუადასხვაგვარი მწუხარებანი ჩემ მოსაკუთლელად. — ძნელ იყო მოსათმენად...

...მარამ შემდეგ შევეჩვიე ანუ გავქვავდი გულითა და ვი-



თარცა ფილოსოფოსი ანუ დავრიში, არღარა ვპვრძნობდნი  
 ძალასა მათსა -- აწ მომავალსა წელსა ვუმზერ იმედის...  
 ლითა და ვნახოთ, თუ რასა მოავლენს ჩემდამი ღმერთი, მა-  
 რად მფარველი ჩემი... აღვიწერთ ჩემს მოკლე მგზავრობა-  
 საც. — იყო ხუთშაბათ საშინელი წვიმა, კისერში ჩამდიოდა  
 და ტალახში მეფლობოდა ფეხები (უნდა იცოდეთ, რომ მე,  
 დიდი კნიაზი ქვეითად დავეხეტები)... თვითვე იფიქრეთ, თუ  
 რა გააფთრებული მიველ შუადღისას ერთს სოფელში; მარამა  
 პ — ლ შესვლაშივე სახლში დამიმშვიდდა გული, ვიხილე რა  
 ჩვიდმეტის წლის სახლის პატრონის ქალი, ლამაზი, როგორც  
 ვაშლი (აქაურს ქალებს ნუ შეადარებთ ნუცა ვარდსა და ზამ-  
 ბახსა), მყისვე ბოროტნი პაზრნი, ვითარცა ეშმაკსა ბელზე-  
 ბელსა, აღმიჩინენ ჩემს თავში — ნახად, წყნარად, თავის  
 დაკვრით მომიტანა რძე; მითომ უცებ მივსწვდი მის ხელსა  
 ცოფიანურად, მოუთმენლად და საბრალოცა შეკრთა. — და-  
 ღალულობა დამავიწყდა. ანთებულის თვალეებით ქორსავით  
 ვუყურებდი კუთხეში მიმგდარს და ხანდახან სიტყვებით ვე-  
 ხუმრობოდი; მარამა, ვერა ვათქმევიენე — რა, პო და არას მე-  
 ტი. — დავწექ და ფიქრში დავაწყე მრავალგვარი მირზაჯანა-  
 საგან ნასწავლნი პლანები მის გასაბმელად მახეში, მაგრამ  
 ამ პლანების დაწყობაში ჩამეძინა და მეორეს დღეს მეტერთ-  
 მეტე საათზე გამაღვიძა ჩემმა პატარა ბიჭმა. ასე ჩაიფუშები-  
 ან ყოველნი ბოროტნი კაცისა განზრახვანი“... ამ სასიამოვ-  
 ნო, მაგრამ კომიკურ ფინალს პოეტის ცხოვრებიდან, რო-  
 ნელსაც ახლო წარსულის გახსენება უდევს საფუძვლად, სა-  
 ბოლოოდ ცვლის მწარე სინამდვილიდან მომდინარე რეალუ-  
 რი აწმყოს შეპირისპირება ნალველნარევ, მაგრამ მაინც  
 ტკბილად გასახსენებელ წინადღესთან. გრ. ორბელიანი საკუ-  
 თარი მდგომარეობის თვითანალიზს ახდენს, როცა სიცოცხ-  
 ლისა და სიკვდილის უსასრულოდ სევდიან საფიქრალს მიად-  
 გება და იტყვის: „ამ წიგნის წერაში ვზივარ მარტო დაყრუ-  
 ებულს ოთახში ღამე და ჩემს სიახლოვესა დარეკეს საყდარი,  
 მისადებლად ახლად მიცვალებულისა აქაურისა პომეშიჩიკისა  
 ქალისა. — უნებლიეთ აღმოუტევე ოხრვა მწუხარებისა! ვა-  
 ითუ მალე ჩემთვისაც ასე დარეკონ და საფლავი ჩემი გასთხა-  
 რონ მხარესა უცხოთა; შორს ყოველთა ჩემთა გულისა საყუ-

არელთაგან და არცა ერთი ცრემლი არა დაეცეს მიწასა; სი-  
უკუნოდ ჩემს დამფარველსა. — თუმცა სიკუდილი ერთი  
ყველგან, მარამ გულს კი ჰსურს, რომელ უკანასკნელი ოზვრა  
ესმას მისთა მახლობელთა; რომელ თვალთა მიმოიხედონ რა  
უკანასკნელ, იხილონ მოყუასნი თვისნი, და არა უცხონი გულ-  
გრილნი დაუდევნელის სახითა“.<sup>1</sup> გაივლის კიდევ რამდენიმე  
წელი და გრ. ორბელიანის გენიალური დისწული — ნიკო-  
ლოზ ბარათაშვილი უკვდავ „მერანში“ სულ სხვა ფილოსო-  
ფიურ კონტექსტში გამოჩენილი პოეტური ელვარებით გან-  
საკუთრებულ ხიბლს მიანიჭებს მარტოობისა და ბედისწერის  
სევდიან კითხვებს. გრ. ორბელიანის მხრივ კი თავისთავად  
ამდაგვარ პრობლემებზე ფიქრი და მისი აყვანა გარკვეულ  
მხატვრულ დონეზე, ჩვენი პოეტის ხასიათის მრავალმხრივო-  
ბაზე მოწმობს, მის სამწერლო მიდრეკილებებსა და გამოხატ-  
ვის ფორმათა ძიების წყურვილზე მიგვანიშნებს.

გრიგოლ ორბელიანი ქართველთა თავმოსაწონებელი პო-  
ეტი იყო და არის. შთაგონების წუთებში ის შესანიშნავად  
ახერხებდა პოეტური ფორმა მიეცა იმ განცდებისათვის, რო-  
მელიც მისი შემოქმედებითი სამყაროს შინაარსსა და გულ-  
წარმოადგენს. მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ „სიტყვამაღალი“  
მოძღვრისათვის თავისი განცდების გადმოსაცემად არც პრო-  
ზაული ფორმა ყოფილა უცხო. დიდი ილიას თქმით, „მეუღლე  
ჩვენი სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა“ ის ხელო-  
ვანი იყო, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეეძლო შე-  
საფერისი ფორმა შეერჩია თავისი მხატვრული ჩანაფიქრი-  
სათვის.

<sup>1</sup> გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი პირველი, ა. გაწერელის  
რედაქციით და შენიშვნებით, ტფ. 1936, გვ. 21—22.

# შ ი ნ ა ა რ ს ი



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

თავი I — გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების გზა . . . . .	3
თავი II — გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურულ-ისტორიკული და მოქალაქეობრივი მრწამსი . . . . .	75
თავი III — გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებითი მასალა და მხატვრული ინტერესები . . . . .	105
თავი IV — გრიგოლ ორბელიანის კოეფიის ძირითადი ტენდენციები . . . . .	176
თავი V — გრიგოლ ორბელიანის პიროვნება . . . . .	250



Евгенидзе Иуза

ГРИГОЛ ОРБЕЛИАНИ

(На грузинском языке)

Издательство «Меридиани»

Тбилиси

1995

სარედაქციო სამუშაო შესრულდა გამომცემლობა „ნაკადულში“.

რედაქტორი ნ. დათიაშვილი

მხატვრული რედაქტორი ჟ. ყავლაშვილი

ტექნიკური რედაქტორი ზ. დონდუა

კონტრ.-კორექტორი ლ. სულთანაშვილი

კორექტორი მ. შველიძე

გამომშვები ვ. ჩიღუნაძე

გადაეცა ასაწყობად 6.05.92. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. VIII. 95  
ჭალალდის ზომა 84×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>.

ტირაჟი 700. შეკვ. 478.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი“

სააქციო საზოგადოება „ფარნავაზი“, თბილისი, ვრ. რობაქიძის გამზ. № 7.

3 5/11/77

241/2

